

## დიდი სახლის პატარა დიასახლისი

თავი პირველი

ალიონზე გაიღვიძა; გაიღვიძა სწრაფად, უშფოთველად, \_ უბრალოდ, თვალი გაახილა და კვლავ სიბნელე შეიგრძნო. სხვათა დარად არ სჭირდებოდა ჯერ ყურის მიგდება, ხელის ცეცება და გარესამყაროს ამგვარი აღქმა. დროისა და სივრცის გაუთვალისწინებლად, გაღვიძებისთანავე გააცნობიერა საკუთარი «მე» და სრულიად ძალდაუტანებლად განაგრძო ძილით დროებით შეწყვეტილი ცხოვრების დინება. უმაღვე მოეგო გონს, რომ ის დიკ ფორესტია \_ თვალუწვდენელი მამულების მეპატრონე, რომ მხოლოდ სულ რამდენიმე საათის წინ, უკვე მთვლემარემ. წიგნში ასანთის ღერი ჩადო და მაგიდის ნათურა გამორთო.

იქვე, სულ ახლოს შადრევნის საამური ჩქრიალი და ლიკლიკი ისმოდა. სადღაც შორიდან კი ისეთი სუსტი და გაურკვეველი ხმა შემოესმა, რომლის დაჭერა მხოლოდ მახვილ ყურს თუ შეეძლო; მაგრამ ფორესტმა გაიგონა და სასიამოვნო ღიმილიც მოკგვარა: იცნო თავისი სახელგანთქმული ხარის, მეფე პოლოს ყრუ ბლავილი. კალიფორნიაში, საკრამენტოს სახელმწიფო ბაზრობაზე შორტჰორნის ჯიშის ამ ხარს, მეფე პოლოს, ხართა შორის სამგზის ჩემპიონობა ჰქონდა მოპოვებული. დიკ ფორესტის სახეს ღიმილი დიდხანს აღარ განშორებია: გონების თვალთ უმაღვე წარმოიდგინა ის ახალი გამარჯვებანი, რასაც იგი ახლა აღმოსავლეთში გამართულ შინაურ პირუტყვთა საწვრთნელ დათვალეობაში უმზადებდა მეფე პოლოს. ის დაამტკიცებს, რომ კალიფორნიაში დაბადებულ და გაზრდილ ხარს თავისუფლად შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს აიოვას შტატის სიმინდით ნაკვებ საუკეთესო ხარებს და თვით ზღვის გაღმიდან \_ მათ ნამდვილ სამშობლოდან შემოყვანილ შორტჰორნებს.

დიკი უკვე აღარ იღიმებოდა. სიბნელეში, სასთუმლის ზემოთ, ელექტროლიაკების მწკრივისაკენ წაიწია და ხელი პირველ ღილაკს შეახო. ასეთი სამი მწკრივი იყო. ჭერზე მოქათქათე უზარმაზარი ჭაღიდან სინათლემ იფეთქა და ვერანდაზე ნათელ სხივებად დაიღვარა. სამინებელი ვერანდის სამ მხარეს სპილენძის წმინდა ბადე ფარავდა, მეოთხე მხარეს კი სასახლის ბეტონის მყარ კედელზე მინის მაღალი, საკეცი კარი იყო დატანებული.

იმავე მწკრივში დიკმა მეორე ღილაკს შეახო ხელი. შუქი ახლა კედლის იმ ადგილს მოეფინა, სადაც საათი, ბარომეტრი და ფარენჰაიტისა და ცელსიუსის თერმომეტრები ეკიდა. თვალის ერთი შევლებით თითოეულის მაჩვენებელი ამოიკითხა. დრო \_ 4.30, ატმოსფერული წნევა 29,80, რომელიც წლის ამ დროს, რა თქმა უნდა, სრულიად ნორმალურად ითვლებოდა ზღვის დონიდან ასეთი სიმაღლის ადგილმდებარეობისათვის, ტემპერატურა ფარენჰაიტით ოცდათექვსმეტ გრადუსს უდრიდა. ღილაკზე თითის განმეორებითი მოძრაობით ტემპერატურის, დროისა და ატმოსფერული წნევის ხელსაწყოები კვლავ წყვდიადმა შთანთქა.

ბოლოს მესამე ღილაკს გადასწვდა და სამუშაო ნათურა აენთო. ზურგის მხრიდან დაცემული სინათლის შუქი თვალს დამაბრმაველად არ ხვდებოდა.

პირველმა ღილაკმა ჭერში, თვალისათვის უხილავი ნათურის შუქი შთანთქა. დიკმა სამუშაო მაგიდიდან ანაბეჭდი ფურცლები და ფანქარი აიღო, სიგარეტს მოუკიდა და დასწორება დაიწყო.

სამინებელი ოთახის მოწყობილობა მოწმობდა, რომ აქ მუშაობის მოყვარული ადამიანი ცხოვრობდა. ცხადად ჩანდა, ყოველი ნივთი განსაკუთრებული მიზნისათ-

ვის იყო განკუთვნილი, არცთუ ისე სპარტანული კომფორტით. რკინის მომინანქრებული რუხი ფერის საწოლი ასევე რუხი ფერის კედელს ეხამებოდა. საწოლის ბოლოს თბილი საბნის მაგივრად მგლის ტყავებისაგან შეკერილი, კუდებჩამოკონწიალებული მოსასხამი იდო. დაბლა მაღალი მთების ბინადარი ქურციკის ხშირბეწვიან, ფუმფულა ტყავზე ფლოსტები ეწყო.

ღამის სამუშაო მაგიდაზე ფაქიზად ელაგა წიგნები, ჟურნალები, ბლოკნოტები, თუმცა ასანთის, სიგარეტების, საფერფლისა და თერმოსის ადგილიც დაეტოვებინათ. კედელზე რკინის ბოძკინტებით მიმაგრებულ მოძრავ სადგარზე დიქტოფონი იდგა. ბარომეტრებსა და თერმომეტრებს ქვემოთ ხის მრგვალ ძვირფას ჩარჩოში ჩასმული, მოცინარი ქალიშვილის სურათი ეკიდა. იქვე, კედელზე ელექტრო-ლილაკების გრძელ მწკრივებსა და გამანაწილებელ დაფას შორის რევოლვერის ღია ბუდეც იყო ჩამოკიდებული, საიდანაც ავტომატურ კოლტ 44-ის ტარი მოჩანდა.

სრულ ექვს საათზე, როცა დილის ნაცრისფერმა სინათლემ სპილენძის თხელ, ბადისებურ კედელში მალულად იწყო შეპარვა, დიკ ფორესტმა კორექტურიდან თავის აუღებლად გასწია ხელი და მეორე მწკრივში ერთ-ერთ ღილაკს შეახო.

ხუთი წუთში რბილი ფლოსტებით აივანზე უხმაუროდ მომავალი ჩინელი მსახური ეახლა. ხელში გაკრიალებული სპილენძის ლანგარი ეჭირა, რომელზედაც ვერცხლის პატარა ყავადანი, ნალებით სავსე ვერცხლისავე სარძევე და ფინჯანი იდგა თავისი ლამბაქით.

– დილა მშვიდობისა, ო-დაი. – ღიმილით მიესალმა დიკ ფორესტი. ღიმილმა ფორესტს ოდნავ გახსნილ ბაგეზე გადაურბინა და თვალებიც აუკიაფა.

– დილა მშვიდობისა, ბატონო, – უპასუხა ო-დაიმ, საწერ მაგიდაზე ლანგრის დასადგმელი ადგილი გაათავისუფლა და ფინჯანში ყავა და ნალები ჩაუსხა.

ო-დაის სხვა ბრძანებისათვის აღარ დაუცდია. შენიშნა, რომ პატრონი ერთი ხელით ყავას შეექცეოდა, მეორეთი კი კვლავ განაგრძობდა საკორექტურო სამუშაოს. მსახურმა იატაკზე დავარდნილი, მაქმანმოვლებული, ვარდისფერი საღამური ქუდი ფრთხილად აიღო და ღია კარში ჩრდილივით უხმოდ გაუჩინარდა.

ზუსტად შვიდის ნახევარზე ო-დაი უფრო მოზრდილი ლანგრით ხელში გამოჩნდა. დიკ ფორესტმა ანაწყობი გვერდზე გადადო, სწრაფად გადმოიღო წიგნი «ბაყაყთა სარეწაო მოშენება» და საუზმის საჭმელად მოემზადა. საუზმე ჩვეულებრივი, მაგრამ პირველ საუზმესთან შედარებით საკმაოდ ნოყიერი იყო: უფრო მეტი ყავა, ნახევარი გრეიპფრუტი. ცხელი თოხლო კვერცხი ჭიქაში ათქვეფილი კარაქით და შებრაწული შაშხის ერთი თხელი ნაჭერი. დიკმა კარგად უწყოდა, რომ ლორი მისი საკუთარი ფერმის ღორისა იყო, თანაც შინ საუკეთესოდ შებოლილი.

ღრო სწრაფად გავიდა. მზის სხივები ბადურა კედელში შეიპარა და საწოლზე უხვად გადმოიღვარა. ბადის გარეთა მხარეს ღამის სიცივით გათოშილი გაზაფხულის რამდენიმე ადრეული ბუზი ჩანდა. ფორესტი საუზმეს შეექცეოდა და თან ხორცის მოყვარულ ყვითელმუცელა კრაზანების ბუზებზე ნადირობას ადევნებდა თვალს. ფუტკრებთან შედარებით ყინვის უფრო ამტანი კრაზანები ბადისებური კედლის მახლობლად ფრენდნენ და ღამის სიცივით ძალაგამოცლილ გაფიჩხულ ბუზებს უთვალთვალეზდნენ. ხმამაღლა მოზუზუნე ეს ყვითელსამოსიანი საჰაერო მონადირე მტაცებელნი ნიშანში ამოღებისთანავე, შეუცდომლად ესხმოდნენ თავს თავიანთ უმწეო მსხვერპლს, მერე კი სწრაფად სადღაც მიფრინავდნენ. სარკმელზე უკანასკნელი ბუზი უფრო ადრე გაქრა, ვიდრე დიკ ფორესტი ყავის ბოლო ყლუპს შესვამდა. მერე წიგნში ასანთის ღერი ჩადო და კვლავ საკორექტურო სწორებას შეუდგა.

რამდენიმე ხნის შემდეგ დიკ ფორესტს ტოროლას სმენის დამტკობი წკრიალა გალობა შემოესმა. აისის ამ პირველი მომღერლის ხმამ სამუშაოზე ხელი ააღებინა და საათს შეხედა. ისარი შვიდს უჩვენებდა. დიკმა სწორებას თავი მიაწვია და ტელეფონის ყურმილი აიღო. მიჩვეული ხელით სწრაფად აკრიფა სხვადასხვა ნომერი და რიგ-რიგობით რამდენიმე კაცს ესაუბრა.

— ჰელოუ, ო-ჯოი, — მიმართა მან პირველს. — მისტერ თაიერი ხომ არ ამდგარა?.. კეთილი, ნუ შეაწუხებთ. არა მგონია, საწოლში მიგატანინოთ საუზმე, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჰკითხეთ, რას ისურვებს. ძალიან კარგი. აჩვენეთ, როგორ უნდა მოუშვას ცხელი წყალი, შესაძლებელია, არ იცოდეს..... დიახ, კეთილი, კეთილი. სასწრაფოდ იშოვეთ ხელზე მოსამსახურე ბიჭი. ახლა კარგი ამინდები დადგება და, ხომ იცით, რამდენი სტუმარი ჩამოგვივა... ერთი სიტყვით, თქვენ იცით, ნახვამდის.

— მისტერ ჰენლი, თქვენ ხართ?.. დიახ, — დაიწყო ახლა სხვასთან საუბარი, — კვლავ ბიუკეის კაშხალზე ვფიქრობდი, ხრემისა და ქვის მისაზიდად ხარჯთაღრიცხვა მჭირდება... დიახ, სწორედ ასეა... ჩემი აზრით, ერთი იარღი ხრემი ექვსი ან ათი ცენტით მეტი ეღირება, ვიდრე ქვა. ხრემის გადმოზიდვას მეტისმეტად უშლის ხელს გორაკის ეს ბოლო ციცაბო ფერდობი... გააკეთეთ ხარჯთაღრიცხვა..... არა, ორ კვირაზე ადრე ვერ დავიწყებთ... დიახ, დიახ, ახალმა ტრაქტორებმა თუ არ დაიგვიანეს და მოგვისწრეს, ცხენებს გაგვითავისუფლებენ, მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ, ტრაქტორები შესამოწმებლად უნდა გავგზავნოთ..... არა, თქვენ მოგიხდებათ ამ საკითხზე მისტერ ევერენს მოელაპარაკოთ. ნახვამდის...

მესამე საუბარი ასე დაიწყო:

— მისტერ დოსონი ხართ? ჰა!.. ჰა!.. ჩემთან ვერანდაზე ახლა ოცდათექვსმეტი გრადუსია. დაბლობებში თრთვილმა, ალბათ, მთლად გადაათეთრა ყველაფერი, მაგრამ, იმედია, წელს უკანასკნელია ასეთი სუსხიანი დღეები. შემომფიცეს, რომ ტრაქტორებს ჯერ კიდევ ორი დღის წინ გამოიყვანდნენ. ერთი, რკინიგზის სადგურის მოხელეს დაუკავშირდით... სხვათა შორის, ბარემ ჩემ მაგიერ მისტერ ჰენლისაც მოელაპარაკეთ, მინდოდა მეთქვა, როდესაც მეორე წყება ბუზის საჭერს დაუკვეთავს, არ დავიწყდეს ვირთაგვების საჭერი ხაფანგებიც. აი, ამ დილით დაახლოებით ოციოდე ბუზი მაინც თბებოდა ჩემი ბადურის კედელზე... დიახ, ნახვამდის.

საუბრის დამთავრებისთანავე ფორესტი საწოლიდან წამოდგა, ჯერ ისევ პიჯამიანმა ფეხები ფლოსტებში შეაცურა და სააბაზანოში გამავალ მინის კარისაკენ გაემართა. ჩინელ ო-დაის აბაზანა უკვე მზად ჰქონდა. დაახლოებით თორმეტი წუთის მერე პირგაპარსული და დაბანილი დიკი ისევ ლოგინში შეწვა და ბაყაყების მოშენებაზე წიგნის კითხვა განაგრძო: თავისი საქმის წუთი-წუთზე შემსრულებელი ო-დაიკი დიკის ფეხების დაზელას შეუდგა.

ამ მოხდენილი, შესანიშნავი მოყვანილობის ფეხების პატრონის, წარმოსადეგი და უნაკლო გარეგნობის მქონე ადამიანის სიმაღლე ხუთ ფუტსა და ათ დუიმს უდრდა, ხოლო წონა ას ოთხმოც პაუნდს. დიახ, სწორედ ამ ფეხებს ბევრი რამის თქმა შეეძლო მათ მფლობელზე: მარცხენა ბარძაყს ათი დუიმის სიგრძის ნაჭრილობევი ემჩნეოდა. მარცხენა კოჭის გარდიგარდმოც ფეხის კანჭიდან ქუსლამდე ექვსიოდე ნახევარ დოლარიანის ზომის ჭრილობები ჩაუდიოდა. როდესაც ო-დაიმ თითი ჩააჭირა და მარცხენა მუხლი მძლავრად დაჭიმა, ფორესტს წამიერად ფერი ეცვალა და მძიმე ტკივილისაგან სახე შეეჭმუხნა. მარჯვენა წვივზეც შეიმჩნეოდა ჩალურჯებული რამდენიმე ნაჭრილობევი. ერთი ღრმა ჭრილობა კი სწორედ მუხლს ქვემოთ, ძვლამდე დადიოდა. მუხლსა და საზარდულს შუა ჯერ ისევ ეტყობოდა სამი დუიმის სიგრძის ძველი

ჭრილობის კვალი, რომელიც ძაფების მოხსნის შემდეგ წითელი წერტილებით იყო დაწინწკლული.

უცებ გარედან ლალი ჭიხვინი მოისმა. დიკმა სწრაფად ჩადო ასანთის ღერი წიგნში და იქითკენ შეტრიალდა, საიდანაც ხმა მოდიოდა. ო-დაიმ უკვე წინდებისა და ფეხსაცმლის ჩაცმა დაუწყო პატრონს. ადრეული იასამნის მონანავე, მთრთოლვარე რტოებს შორის ტანშეთქვირებულ ულაცზე ამხედრებული თვალწარმტაცი გარეგნობის კოვბოი გამოჩნდა. დილის ოქროსფერ მზის სხივებზე ამ უმშვენიერესი პირუტყვის ბეწვი მოწითალო-ყავისფრად ბრწყინავდა; ღონიერ ფლოქვებს ძლიერად სცემდა მიწას, პირიდან თოვლივით თეთრი ქაფის წინწკლები სცვიოდა. მაღლა ამყად იქნევდა მშვენიერ ფაფარს და ანთებულ, ცეცხლისმკვესავ თვალებს აბრიალებდა. მის ხმამაღალ სასიყვარულო ძახილს გაზაფხულის იდუმალი ძალით გაღვიძებული ბუნებაც ბანს აძლევდა.

დიკ ფორესტს ერთად დაეუფლა სიხარული და შეშფოთებაც. სიხარული ამ კეთილშობილი პირუტყვის ხილვამ მოჰგვარა, იასამნის დაბურულ ბუჩქებს შორის ამყად რომ მოაბიჯებდა, მღელვარება კი მისმა ჭიხვინმა. ამ ხმას შეეძლო იმ ახალგაზრდა ქალის გამოღვიძება, რომელიც დიკს კედელზე დაკიდებულ, ხის ულამაზეს ჩარჩოში ჩასმულ სურათიდან უღიმოდა. დიკმა ორასი ფუტის სიგრძის ეზოსა და ჯერ კიდევ ჩრდილში მოქცეული სასახლის წინ წამოწეულ ნაწილს სწრაფი მხერა შეავლო. სამინებლად განკუთვნილ ვერანდაზე ფარდები ჯერ ისევ დაშვებული იყო და ოდნავადაც არ ირხეოდა. ულაცმა კვლავ დაიჭიხვინა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ გარეულ იადონთა გუნდი დააფრთხო. ამ მშვენიერი სასახლის ბაღის აყვავილებულ ბუჩქებიდან აფრენილი ჩიტები ჰაერში ისე გაიფანტნენ, გეგონებოდა, ახლად ამომავალი მზის მოოქროსფრო-მომწვანო სხივთა კონა ერთად ჩამოიფრქვაო.

დიკი ულაცს მისჩერებოდა. ნათლად წარმოიდგინა ამ მშვენიერი ცხოველის ძლიერი, უნაკლო შთამომავლობა. შემდეგ, როცა ულაცი იასამნის ბუჩქებს მიეფარა, სწრაფად მოტრიალდა, გარშემო არსებულ სინამდვილეს დაუბრუნდა და მსახურს შეეკითხა:

- ო-დაი, როგორია ახლახან მიღებული ბიჭი, ეჩვევა საქმეს?
  - ვფიქრობ, ძალიან კარგი მსახური უნდა დადგეს, — უპასუხა ჩინელმა.
  - ჯერ სულ მთლად ბავშვია, ყველაფერი ეუცხოება, ცოტა ზანტია საქმეში, მაგრამ არა უშავს, გამოკეთდება.
  - მაინც საიდან დაასკვენი?
  - უკვე მესამე თუ მეოთხე დილაა, მე ვაღვიძებ. ჩვილი ბალღავით სძინავს. გამოიღვიძებს და იღიმება. სწორედ ისე, როგორც თქვენ. ეს კი ძალიან კარგია.
  - განა მე ვიღიმები, როცა ვიღვიძებ? — ჰკითხა ფორესტმა.
- ო-დაიმ დარწმუნებით დაუქნია თავი.
- აი, უკვე რამდენი წელია, მე თქვენ ვაღვიძებთ, თვალებს გაახელთ თუ არა, ისინი უკვე ციმციმებენ. ბაგეზეც მუდამ ღიმილი გეშლებათ. იღიმის მთელი თქვენი სახე. როგორც აი, ახლა, ერთბაშად. ეს ძალიან კარგია. კაცი, რომელიც ასე იღვიძებს, ძალიან ჭკვიანია. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ეს ახალი კოვბოიც აზრიანი ბიჭია. აი ნახეთ, მალე როგორი კაცი დადგეს. მას ჯოუ გენს ეძახიან. თქვენ რაღას დაარქმევთ?

- დიკ ფორესტი ჩაფიქრდა.
- აბა, აქ ვის რას ვეძახით? — იკითხა მან.
  - ო-რავი, ოი-ოი, ოი-ლი და ბოლოს მე — ო-დაი, ჩამოთვალა სწრაფად ჩინელმა. — ო რავი ამბობს ახალბედას ო-დაი უნდა დავარქვათო...

ჩინელი დადუმდა და პატრონს ეშმაკურად აციმციმებული თვალებით გადახედა.

ფორესტმა თავი დაუქნია.

— ო-ჯოი ამბობს, რა იქნება ო-ეშმაკი რომ დავუძახოთო.

— ოჰო, — გაიცინა ფორესტმა. — როგორც ვატყობ, ო-ჯოი ენამოსწრებული ყოფილა. კარგი სახელია, მაგრამ არ გამოგვადგება. ამასთანავე უნდა შევიტყოთ, რა აზრის იქნება ქალბატონი ფორესტი. საჭიროა, სხვა რამ ახალი სახელი მოვიგონოთ.

— ო-ჰოიც ძალიან კარგი სახელია, — წარმოთქვა ჩინელმა.

საკუთარი წამოძახილი, ო-ჰოი ფორესტს ჯერ ისევ ზარის რეკვასავით ჩაესმოდა ყურში და მიხვდა, რატომ აქცია ჩინელმა სწორედ ახლა იგი სახელად.

— კეთილი. ო-ჰოი დავარქვათ.

ო-დაიმ პატრონის წინაშე მოწიწებით თავი დახარა, სწრაფად მიბრუნდა და მინის კარის მიღმა გაუჩინარდა. მერე ფორესტის ტანსაცმლით ხელში ისევ მალე შემობრუნდა; პატრონს პერანგების გამოცვლაში დაეხმარა: ჰალსტუხი თვითვე გამოუნასკვა; ჩაიჩოქა, გამაშები ჩააცვა, დეზები შემოაკრა და ფეტრის ფართოფარფლებიანი ქუდი და შოლტი მიაწოდა. მოქნილი ტყავის ზოლებისგან წმინდად დაწნული შოლტი ინდური ხელოვნების მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენდა, რომლის ტარშიაც ათი უნცია ტყვია იყო ჩატანებული.

დიკმა შოლტი ტყავის გრძელი მარყუჟით მაჯაზე ჩამოიკიდა, თუმცა ოთახიდან გამოსვლა ჯერ ვერ მოასწრო. ო-დაიმ რამდენიმე წერილი გადასცა და თან ახსნა-განმარტებაც მიაყოლა:

— წუხელ, როდესაც თქვენ დასაძინებლად წაბრძანდით, ეს წერილები ფოსტიდან მაშინ მივიღეთო. ფორესტმა ერთ-ერთ კონვერტს მარჯვენა კიდე მოახია, შინაარსი სწრაფად ჩაათვალიერა და მხოლოდ ერთ წინადადებაზე შეაჩერა ყურადღება. წამით შედგა, შეშფოთებით წარბი შეკრა, კედლიდან დიქტოფონი გამოსწია; დილაკს ხელი დააჭირა — ცილინდრი შემოტრიალდა და სულმოუთქმელად, ისე რომ სიტყვისა და აზრის ძიებაც არ დასჭირვებია, სწრაფად დაიწყო კარნახი.

«1914 წლის 14 მარტს გამოგზავნილი თქვენი წერილის პასუხად მინდა გაცნობოთ, რომ ფრიად შეშფოთებული გახლავარ... თურმე თქვენს მხარეში ღორის ჭირი მძვინვარებს. დიახ, ფრიად ამაღელვა იმ ამბავმა, რომ თქვენ ამ საქმეში პასუხისმგებლობას პირადად მე მაკისრებთ. მეტად ვწუხვარ იმასაც, რომ სანაშენო ტახი, რომელიც მე გამოგიგზავნეთ, მომკვდარა.

შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩვენთან შავი ჭირის ნიშნებიც კი არ ყოფილა. დიახ, თითქმის რვა წელია, ის არსად შეუძმჩნევიათ ამ არემარეში, გარდა ორი გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც ორი წლის წინათ ჩვენთან აღმოსავლეთიდან შემოიტანეს. მაგრამ აქ დაკანონებული წესების მიხედვით, დაავადებული ღორები მაშინვე გავაცალკევეთ და დავხოცეთ, სანამ გადამდები სნეულება მთელ კოლტს მოედებოდა.

მინდა აგრეთვე გაცნობოთ, რომ არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში არ შემიძლია ბრალი მათ გამომგზავნელს დავდო, თითქოს დაავადებული საქონელი მოეყიდოს. როგორც მოგეხსენებათ, ღორის შავი ჭირის საინკუბაციო პერიოდი მხოლოდ ცხრა დღე გრძელდება და როცა მათი მიღების თარიღი გადავსინჯე, დავრწმუნდი, რომ ისინი სრულიად ჯანსაღნი იყვნენ თქვენთან გადმოგზავნისას.

ნუთუ არასოდეს აზრად არ მოგსვლიათ, რომ რკინიგზა მეტისმეტად უწყობს ხელს დაავადების გავრცელებას? გსმენიათ განა, ოდესმე ჩაეტარებინოთ იმ ვაგონების შეხრჩოლება ან დეზინფექცია, რომლითაც დაავადებული პირუტყვი გადაიყვანეს? შეადარეთ თარიღები: პირველ ყოვლისა, ჩემგან ტახის გამოგზავნის რიცხვი, თქვენ

მიერ მისი მიღების თარიღი და მესამეც, დღე — დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენისა. როგორც თქვენგან შევიტყვე, გაზაფხულის ნიაღვრების გამო პირუტყვი ხუთი დღე გზაში ყოფილა. დაავადების პირველი ნიშნები თქვენთან მოყვანილ ღორს შვიდი დღის მერე აღმოსჩენია. როგორც ხედავთ, ჩემგან პირუტყვის გამოგზავნიდან თორმეტი დღე გასულა.

არა, მე თქვენ ვერ დაგეთანხმებით: არ შემძლია პასუხისმგებლობა ვიკისრო იმ უბედურების გამო, რაც თქვენს კოლტს თავს დასტყდომია. გარდა ამისა, შეგიძლიათ მიმართოთ შტატის ვეტერინარულ სამმართველოს და შეიტყოთ, მძვინვარებს თუ არა ჭირი ჩემს სამფლობელოში.

ულრმესი პატივისცემით...»

## თავი მეორე

ფორესტი საძინებელი ვერანდიდან მაღალი, მისაკეცი კარის გავლით გვერდითა, კეთილმოწყობილ საგარდერობო ოთახში შევიდა, სადაც შემინულ ნიშებში დივნები და რამდენიმე კიდობანი იყო ჩადგმული. ერთ-ერთ კედელს უზარმაზარი ბუხარი ამშვენებდა, მის გვერდით სააბაზანო ოთახის კარი ჩანდა. დიკი პირდაპირ იმ ოთახისაკენ გაემურა, რომელიც კანტორის დანიშნულებას ასრულებდა და შესაბამისად იყო მოწყობილი. ოთახში საწერი მაგიდები, დიქტოფონები, კართოტეკები და წიგნების კარადები იდგა. განყოფილებებად და უჯრებად დაყოფილი თაროები იატაკიდან ჭერამდე იყო აზიდული. ოთახის შუაგულში ფორესტი ერთ-ერთ თაროს მიუახლოვდა და ღილაკს ხელი დააჭირა. რამდენიმე თარო ღერძზე შემოტრიალდა და მის წინ ფოლადის ვიწრო, პაწაწინა ხვეული კიბე გადიხსნა. ფორესტი კიბეზე წელა დაეშვა, თან ცდილობდა დეზებით თაროებს არ შეხებოდა, რადგან თაროები თავის პირვანდელ მდგომარეობას ავტომატურად უბრუნდებოდა.

ერთი ფუტის გავლის შემდეგ კვლავ მეორე ღილაკს შეახო ხელი. ღერძზე ახლა უფრო მეტი თარო შემოტრიალდა. გამოჩნდა გასასვლელი, რომელიც გრძელი, დაბალი ოთახისაკენ მიემართებოდა. ეს ოთახიც იატაკიდან ჭერამდე წიგნებით იყო სავსე. ფორესტმა პირდაპირ ერთ-ერთ თაროს მიაშურა და შეუცდომლად სწორედ იმ წიგნს მოჰკიდა ხელი, რომელსაც ეძებდა; გადაფურცლა, რამდენიმე წამს კითხულობდა. ეტყობოდა, იპოვა ის ადგილი, რომელიც აინტერესებდა; კმაყოფილმა თავი დაიქნია და წიგნი თავის ადგილზე მოათავსა.

ამ ოთახიდან კარი ტალავერში გადიოდა. ზღურბლს იქით კვადრატული ფორმის ბეტონის მყარი სვეტები აღემართათ, რომლებიც გარდიგარდმო გადებული წითელი, შესანიშნავი ხის ძელებით ერთდებოდა და ერთმანეთში უფრო მცირე ზომის, ამავე ხის წვრილი რტოებით ჩახლართულიყო. რტოების ტანი ხორკლიანი, მეწამული ხავერდის მსგავსი დანაოჭებული ქერქით იყო დაფარული. სასახლის მახლობლად, ფართოდ გადაშლილ ბერძნულბეჭევემ, ცხენის გრძელი საბმურები, გათელილი ბალახი თუ ცხენის ფლოქვებით ნათქერი ხრეში მოწმობდა, რომ აქ ბევრი ცხენი უნდა ჰყოლოდათ. დიკმა მკრთალი ოქროსფერი, უფრო მოწითალო წაბლა ფაშატი შენიშნა. მისი საგაზაფხულო, კარგად დავარცხნილი ბეწვი ხის ფოთლებიდან ირიბად ჩამოჭრილ დილის მზის სხივებზე საოცრად ლაპლაპებდა. მთელი მისი არსება სიცოცხლითა და გზნებით იყო სავსე. აგებულებით ულამაზეს ჩამოჰგავდა, ხოლო ზურგზე გაწოლილი მუქი ვიწრო ზოლი მისი წინაპრების უცილობელ მუსტანგობაზე მეტყველებდა.

— როგორ გუნებაზეა ჩვენი ფურია ამ დილით? — იკითხა მან და ცხენს კისერზე თოკი შემოხსნა.

ცხენმა პაწაწინა ყურები ცქციტა. ყურები, მართლაც, ისეთი შესანიშნავი და პატარა ჰქონდა, როგორც მგზნებარე სიყვარულის შედეგად მოვლენილ, დაუოკებელ წმინდა სისხლის უშიშარ ულაცთა და მთის ველურ ფაშატთა შთამომავალს უნდა ჰქონოდა. ამ საოცარი მშვენიერების პირუტყვმა დიკს ბოროტად დაუდრჭიალა კბილები და ცეცხლისმფრქვეველი თვალები მზაკვრულად დაკვესა.

როგორც კი დიკი უნაგირს მოახტა, ცხენმა უგვერდა, სცადა მხედარი სასწრაფოდ თავიდან მოეცილებინა, ძირს გადმოეგდო. მერე თითქოს უეცრად დაწყნარდა, დაცხრა და ხრემით მოფენილ გზას თამამ-თამამ გაუყვა. რა თქმა უნდა, სრულიად ადვილად შეეძლო ყოველ წუთს ყალყზე დამდგარიყო. მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი აღვირის წყალობით ახერხებდა დიკი ცხენის დაოკებას მეტად სახიფათო და მოულოდნელი თავაწყვეტიდან, ამავე დროს მაგარი ღვედი პირუტყვის გააფთრებული თავის აქნევისაგანაც იცავდა მხედრის თავ-პირს.

დიკი ამ ფაშატს ისე იყო მიჩვეული, სულაც არ გრძნობდა მის თავნებობას. აღვირის ოდნავი მოზიდვა, პირუტყვის აღერილ ყელზე შეხება, დეზის ოდნავი გაკვრა ფერდზე, ან მუხლისთავის მიკარება საკმარისი იყო, რომ მხედარს თავის ნებაზე წაეყვანა იგი. აი, ფაშატი როგორღაც თავბრუდახვეულივით აწრიალდა და ერთ ადგილზე მოუსვენრად აცეკვდა. დიკმა სწორედ მაშინ შეავლო თვალი საკუთარ დიდ სახლს. დიახ, სახლი ამ მანძილიდან, მართლაც, ძალიან დიდი ჩანდა. უფრო უცხო არქიტექტურის გამო ეჩვენებოდა ასე მხილველს, თორემ სინამდვილეში არც ისე დიდი იყო. სახლის წინა ნაწილი დაახლოებით რვაასი ფუტის სიგრძეზე იყო გადაჭიმული. ამ რვაასი ფუტიდან უფრო მეტს ბეტონით ნაშენი, კრამიტის სახურავიანი დერეფნები შეადგენდა, შენობის სხვადასხვა ნაწილს რომ ერთმანეთთან აერთებდა. აქ, შენობის შიგნითა ეზოებში ნახავდით წალკოტს, თვალწარმტაც ხეივნებს, დახურულ გასასვლელებსა და გადასასვლელებს. შენობის მთელი ეს ნაწილი თავისი წახნაგოვანი კედლებით, სწორკუთხა, წინგამოზნექილი შვერილებითა და ნიშებით, თითქოს სოლივით ამოზრდილიყო გაშლილ ტევრსა და ყვავილებში. რა თქმა უნდა, დიდ სახლს ესპანური არქიტექტურის კვალი ნათლად ემჩნეოდა, მაგრამ მაინც არ ეკუთვნოდა იმ ესპანურ-კალიფორნიულ შენობათა სახეობას, რომელიც აქ მექსიკიდან შემოეტანათ დაახლოებით ასი წლის წინათ და რომლის მიხედვით მომდევნო საუკუნეებში არქიტექტორებმა ეგრეთ წოდებული ესპანურ-კალიფორნიული სტილი შექმნეს. დიდი სახლის არქიტექტურა, მიუხედავად მისი სხვადასხვაგვარობისა, შეიძლება უფრო ესპანურ-მავრიტანულად მიგეჩნიათ. თუმც ამ საქმის ბევრ მცოდნეს ასეთი მტკიცების სრულიად საწინააღმდეგო აზრი ჰქონდა.

ვრცელი, მაგრამ არცთუ მკაცრი სტილის, თვალწარმტაცი, ყოვლად უპრეტენზიო, აი ასეთი გახლდათ ჭეშმარიტი შთაბეჭდილება, რომელსაც დიდი სახლი ტოვებდა მხილველზე. მისი გრძელი და ჰორიზონტალური ხაზები ადგილ-ადგილ რომ სწორკუთხოვანი ნიშებითა და კედელშვერილთა ვერტიკალური ხაზებით იკვეთებოდა, სახლს მონასტრულ სისადავესა და სიმსუბუქის იერს აძლევდა. მხოლოდ სახურავის ტეხილი ხაზებიღა აცოცხლებდა მის ერთფეროვნებას.

მაგრამ ეს თითქოსდა მიწაზე გართხმული ვრცელი შენობა დაბალ სახლად მაინც არ აღიქმებოდა. მისი უამრავი, ერთმანეთზე შედგმული ოთხკუთხა მაღალი კოშკურა დიდ სახლს ცადაზიდულს არა, მაგრამ საკმარის სიმალლეს მაინც აძლევდა. დიდი სახლის მთავარი ღირსება მისი სიმტკიცე და გამძლეობა გახლდათ. მიწისძვრა ვერას დააკლებდა. ჩანდა, საუკუნეებს გადაევიდა მის თავზე. დიდი სახლის ბეტონის

კედლები საუკეთესო ხარისხის ბათქაშით იყო შელესილი და ღია მოყვითალო საღებავით შეღებილი. მთელ სახლზე ასეთი ერთი ფერის გაბატონებაც შესაძლოა, თვალისათვის ერთფეროვანი და დამლელი აღმოჩენილიყო, რომ იგი ულამაზეს, მარჯნისფერ, ესპანური კრამიტით დახურულ სწორ სახურავებს არ გაეხალისებინა.

ვიდრე სახლთან მიჭრილი ფიცხი ცხენი ადგილზევე ცეკვავდა, ფორესტმა მზრუნველი თვალი დიდ სახლს შეავლო და მზერა ერთ საკმაოდ გრძელ ფლიგელზე შეაჩერა. ეზოს იქითა მხარეს გაწოლილი ფლიგელის სიგრძე დაახლოებით ორასი ფუტი მაინც იქნებოდა. მისი ერთმანეთზე მიწყობილი კოშკურები დილის მზის სხივებზე მარჯნისფრად ლივლივებდა. მათ ქვემოთ, საძინებელ ფლიგელში დაშვებული ფარდები მოწმობდა, რომ მის მეუღლეს ჯერ ისევ ეძინა.

დიდი სახლის ირგვლივ, სამ მხარეს, დამრეცი, მწვანედ ახასხასებული ბორცვები და შემოღობილი საძოვრები მოჩანდა. ბორცვები თანდათანობით უფრო მაღალ გორაკებს ერწყმოდა, რომლის ფრიალო ფერდობები ტყით არ იყო დაფარული. უფრო იქით კი ციცაბოფერდობიანი ბუმბერაზი მთები იდგა. მეოთხე მხარეს ჰორიზონტს არაფერი ეფარებოდა, არც მთები და არც ბორცვები. იქ, იმ ნისლიან შორეთში მიდამო თვალუწვდენელ ველებად იშლებოდა, რომლის დასასრული ამ გამჭვირვალე, სუსხიან დილითაც კი არ ჩანდა.

ვამატმა ფრუტუნი დაიწყო. ფორესტი დეზებით ოდნავ შეეხო მის სხეულს და პირუტყვი აიძულა გზის კიდეზე გადასულიყო, რადგან მისკენ ვერცხლისფრად მოლაპლაპე თითქოს კლაკნილი მდინარე მოედინებოდა. თვალის ერთი გადავლებით ფორესტმა მაშინვე იცნო ფეხების ბაკუნით მომავალი, ჯილდომილებული ანგორული თხების თავისი ფარა, დაახლოებით ორასამდე თხას თავის საგვარეულო დახასიათება და საკუთარი გვარტომობის აღწერილობა ჰქონდა.

იმის გამო, რომ ამ სანაშენო თხებს შემოდგომობით არ პარსავდნენ, თვით ხნოვანებით ყველაზე პატარა პირუტყვთა ფერდებზეც გრძლად ჩამოშვებული მზინვარე მატყლი ეკიდა, ახლად დაბადებული ჩვილთა ან სულაც ყრმა ალბინოსთა<sup>1</sup> (ალბინოსი — თეთრთმიანი ადამიანი, რომლის ორგანიზმს პიგმენტაციის უნარი არ გააჩნია.) თმაზე უფრო ნაზი და წმინდა. მატყლი დაახლოებით თორმეტ გოჯზე უფრო გრძელი იქნებოდა, ხოლო მათ შორის საუკეთესოთა მატყლი დაახლოებით ოცი გოჯის სიგრძე. საღებავით მატყლი ნებისმიერ შეფერილობებს იღებდა და მისგან უმთავრესად ქალების პარიკები მზადდებოდა, რასაც ზღაპრულ ფასად ჰყიდდნენ. დიკ ფორესტს ხიბლავდა მისკენ მომავალი ფარის შეუდარებელი სილამაზე. გზა უცებ ზღვის ტალღასავით მოქანავე აბრეშუმის ბაფთას დაემსგავსა. ძვირფასი ქვებივით აკიაფდა კატის თვალევივით ბრიალა თხათა ცეცხლისფერი თვალები. თხები შიშნარევი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ დიკ ფორესტს და მის მშფოთვარე ქურანს. ფარას ორი ბასკი მწყემსი მისდევდა. ორთავე ჩასკვნილი, მხარბეჭიანი, შავგვრემანი, შავთვალა, სიცოცხლით აღსავსე ჭაბუკი იყო, რომელთა ფიქრიან სახეზეც წინასწარ განჭვრეტის უცდომელი იერი აღბეჭდილიყო. მწყემსებმა ქუდები მოიხადეს და პატრონს კრძალვით თავი დაუკრეს. ფორესტმა მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, რომელზედაც მოქანავე შოლტი ეკიდა, საჩვენებელი თითი ქუდთან მიიტანა და თითქმის მხედრულად მიესალმა მათ.

ცხენი კვლავ აცქმუტდა, თითქოს ცეკვავსო. დიკმა აღვირი ოდნავ მოზიდა და ქურანს დეზები შეახო, თუმცა ჯერაც ვერ მოეწყვიტა თვალი აბრეშუმევივით მოლაპლაპე მატყლიან პირუტყვთათვის, მთელ გზაზე ვერცხლისფერ ნიაღვრად რომ მოედინებოდა. ფორესტმა კარგად უწყოდა მისი კარმიდამოსაკენ მათი სწრაფვის მიზეზი, დოლი ახლოვდებოდა და მწყემსები ფარებს საველე საძოვრებიდან მათთვის გან-

კუთვნილ ბაკებში მიერეკებოდნენ, სადაც გარკვეული დროის მანძილზე გულუხვი კვება და განსაკუთრებული მზრუნველობა ელოდათ. შეჰყურებდა დიკი ფარას და გონების თვალთვლით თურქულსა და სამხრეთ აფრიკის საუკეთესო ჯიშის პირუტყვთა ადარებდა. ამ შედარებამ დიკი თავის ფარის უპირატესობაში დაარწმუნა. დიახ, მართლაც რომ საუცხოო ფარა ჰყავდა!

ცხენზე შემჯდარმა დიკმა გზა განაგრძო. ყოველი მხრიდან მიწის გამაფხვიერებელი მანქანების ხმა მოისმოდა. უფრო შორს, დაბალი ბორცვების ფერდობებზე წყვილ-წყვილად და სამ-სამად შებმული ცხენები მოჩანდა. ეს მისი შაირის ჯიშის ფაშატები გახლდათ, ფერდობების მწვანე კორდებს რომ ხნავდნენ. მოშავო-მოყავისფრო ნოყიერი მიწა თითქოს თავისთავად იზნეოდა წვრილ-წვრილ ნამცეცებად, უკვე თელის მისაღებად გამზადებული. ეს ადგილი სიმინდისა და სასილოსე სორგოს დასათესად იყო განკუთვნილი. სხვა კორდებზე ქერი დაეთესათ და ახლა ჯეჯილი უკვე მუხლამდე წვდებოდა. უფრო შორეულ ფერდობებზე კი სამყურა და კანადური მუხუდო ბიბინებდა მწვანედ.

მთელი ეს დიდი თუ პატარა ველი ისე გულდასმით და გონივრულად იყო დამუშავებული, რომ მეტისმეტად მომთხოვნ, მცოდნე კაცის გულსაც კი აამებდა. ყველგან ამ ვრცელ მიდამოებს ისეთი ღობეები ერტყა ირგვლივ, რომ ვერც ერთი შინაური პირუტყვი შიგნით ვერ შეაღწევდა. ამ მეტად მაღალ ღობეთა ძირებში კი ჩრდილს ისე მოესპო იქაურობა, რომ სარეველაც არ ხარობდა. დაბლობებში იონჯა თვალის საამოდ ბიბინებდა. სხვა ადგილებში შემოდგომით დათესილი ჯეჯილი ჭარბობდა. ზოგიერთ ადგილებში კი თელბრუნვის წესის მიხედვით საგაზაფხულო თესვისათვის ემზადებოდნენ; თვალუწვდენელ მდელოებზე, სანაშენო დედაცხოველთა საჩეხების მახლობლად შროპშირული და ფრანგული ჯიშის მერინოსის მატყლიან ცხვარს ამოვებდნენ. იქვე ახლოს გარგანტული ჯიშის ნეზები ღრუტუნით ჩიჩქინდნენ მიწას, რომელთა დანახვაზე დიკს თვალები სიამოვნებით გაუბრწყინდა.

დიკმა ცხენით იმ ადგილს ჩაუარა, რომელიც ნამდვილად სოფლის მშვენიერებას წარმოადგენდა. ვერსად მოჰკრავდით თვალს ვერც სასტუმროსა და ვერც სავაჭროებს. თითქმის ყველა სახლი ბუნგალოს ტიპის მკვიდრ ნაგებობას წარმოადგენდა და თვალს მეტისმეტად აამებდა: ყვავილნარებში ბავშვები თამაშობდნენ და ჟრიამულითა და სიცილ-კისკისით ავსებდნენ მიდამოს. ისმოდა დედების ხმებიც, ალბათ, საუზმეზე თუ უხმობდნენ პატარებს.

დიდ სახლს დაახლოებით ნახევარი მილის დაშორებით რკალივით გარს ერტყა სახელოსნოები. ფორესტმა ერთ მწკრივს ჩაუარა, ერთ-ერთ სახელოსნოსთან შეჩერდა და შიგნით შეიხედა. ერთი მჭედელი ქურასთან მუშაობდა, მეორე კი მიწაზე გაწოლილ ათას რვაას გირვანქიანი შაირული ჯიშის ფაშატთან ჩაჩოქილიყო და ნალის დასამაგრებელ მსხვილსა და გრძელ ლურსმანს წვერს უმახავდა; ფორესტმა წამით შეავლო თვალი, მჭედლებს მიესალმა და გზა განაგრძო. დაახლოებით ასი ფუტის დაშორებით ცხენი შეაჩერა, ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო და რაღაც ჩაინიშნა.

მერე სხვა სახელოსნოებშიაც შეიხედა: სამღებრო, გარაჟი, საზეინკლო და სადურგლო მოინახულა. სადურგლოსთან მდგარ ფორესტს უცნაურმა, ნახევრად სატვირთო ნახევრად მსუბუქმა ავტომანქანამ ჩაუქროლა, დიდი შარაგზისკენ გადაუხვია და მისი მამულიდან რვა მილის დაშორებით მდებარე რკინიგზის სადგურისაკენ აიღო გეზი. მან იცნო სატვირთო მანქანა, რომელსაც ყოველ დილით კარაქი და რძის ნაწარმი მიჰქონდა ფერმიდან.

დიდი სახლი მთელი ამ თვალუწვდენელი მამულისა და მეურნეობის მომწესრიგებელი და მეთაური იყო. ნახევარი მილის დაშორებით უამრავი სამეურნეო ნაგებობათა დიდი მწკრივი ერტყა გარს. ცხენზე ამხედრებულმა დიკ ფორესტმა ოთხით ჩაუარა ამ შენობებს, დაუსრულებლად ესალმებოდა მამულსა თუ ფერმებში მომუშავეთ. ბოლოს რძის ფერმას მიუახლოვდა. ეს თვალუწვდენელი მეურნეობა გახლდათ, აურაცხელი ნაგებობებით, სასილოსე კომპურებითა და კიდული რკინიგზებით. ლიანდაგებზე უამრავი საზიდარი მოძრაობდა. მანქანების სადგომ მოედნებზე ავტომატურად გადაჰქონდათ სასუქი. ფერმაში მომუშავენი, ფეხით, ფურგონებითა თუ ცხენით მოსიარულენი აჩერებდნენ ფორესტს, ყველას მასთან ლაპარაკი სურდა. თითოეული მათგანი მეტად თავდაჭერილი, საქმით დაინტერესებული პირი იყო — ეკონომი, ზოგი კიდევ ამა თუ იმ სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელი. პატრონთან საუბრისას ისეთივე სიტყვაძუნწები ჩანდნენ, როგორც თავად ფორესტი. უკანასკნელი მოსაუბრე შესანიშნავ, სამი წლის ველურ, უმშვენიერეს ცხენზე იჯდა, ისეთზე, როგორც შეიძლება იყოს მხოლოდ სანახევროდ გახედნილი არაბული ჯიშის ცხენი. თუმცა შეხვედრისას დიკს მხოლოდ მისალმება ჰქონდა გუნებაში, მაგრამ მერე თვითვე შეაჩერა მხედარი.

— დილა მშვიდობისა, მისტერ ჰენესი, მალე დასრულდება მისის ფორესტის ცხენის გახედნა?

— ერთი კვირა კიდევ არის საჭირო, — უპასუხა ჰენესიმ. — ახლა სწორედ ისეა გახედნილი, როგორსაც მისის ფორესტი ისურვებდა, მაგრამ ცხენი გადალლილია და მეტისმეტად აღგზნებული. საჭიროა რამდენიმე დღე ახალი მდგომარეობის მისაჩვენად და დასამშვიდებლად.

ფორესტმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ჰენესიმ კი, რომელიც მასთან ვეტერინარად მუშაობდა, განაგრძო: მისტერ ფორესტ, ჩვენ ორი მეფურგონე გვყავს, რომელთაც იონჯა გადმოაქვთ მინდვრებიდან. ჩემი აზრით, ისინი უნდა დავითხოვოთ.

— რა დაემართათ, რა მოხდა?

— ერთი ახალია, გვარად ჰოპკინსი. სამხედრო სამსახურიდან ახლად განთავისუფლებული ჯარისკაცია. შესაძლებელია, სახელმწიფო ცხენების მოვლა იცოდეს, მაგრამ შაირის ჯიშის ფაშატების მოვლისა არაფერი გაეგება.

ფორესტმა თანხმობის ნიშნად კვლავ დაუქნია თავი.

— მეორე ჩვენთან უკვე ორი წელიწადია მუშაობს, მაგრამ სმა დაიწყო. ცუდ გუნებაზე გამოფხიზლებული ცხენებზე იყრის გულის ჯავრს.

— აჰ, ეს, მგონი, სმიტია, ძველ ამერიკელთა ნაღდი შთამომავალი, სუფთად გაპარსული, მარცხენა თვალით ელამი, არა? — შეაწყვეტინა ფორესტმა.

ვეტერინარმა თავი დაიქნია თანხმობის ნიშნად.

— მეც კარგა ხანს ვადევნებდი თვალს, — წარმოთქვა ფორესტმა, — პირველად მუყაითად მუშაობდა, მაგრამ ახლა თაღლითობა დაიწყო... აბა რა კითხვა გინდათ, თავიდან მოიშორეთ და ის მეორეც ზედ მიაყოლეთ! ჰოპკინსი, მგონი, ასე თქვით, არა? ჰო, მართლა, მისტერ ჰენესი, — წარმოთქვა ფორესტმა და უბის წიგნაკიდან სულ ცოტა ხნის წინათ ჩანაწერი ფურცელი ამოხია, ხელში დაჭმუჭნა და განაგრძო: — თქვენ, მგონი, ახალი მჭედელი გყავთ. როგორ ჰქედავს ცხენებს?

— სრულიად ახალია, ჯერ დაკვირვება ვერ მოვასწარი.

— კეთილი, ისიც ამ ორთან ერთად მოიშორეთ თავიდან. ჩვენ არ გამოგვადგება. ეს-ეს არის ვნახე, როგორ ჰქედავდა ცხენს. საცოდავ, ბებერ ბესის ნახევარ დუიძზე მეტი ჩლიქი გადააფხიკა, რომ უფრო ადვილად მოერგო ნალი წინა ფეხზე.

— ახალი ხერხისათვის მიუგნია, — დამცინავად დაუმატა ჰენესიმ.

— გააგდეთ, ჯანდაბამდის გზა ჰქონია!.. — გაიმეორა ფორესტმა, მერე ცხენი ოდნავ დასძრა და გზას გაუყენა. ფაშატმა მსწრაფლ თავი აიშვა და კისერალერებულმა კვლავ სცადა მხედრის თავიდან მოშორება.

ბევრი რამ, რაც იმ დილით ფორესტმა მოინახულა, სიამეს განაცდევინებდა. ერთხელ, თითქმის გასაგონად ჩაიჩურჩულა: დალოცვილი მიწაა, დალოცვილი. ხოლო რაც მის თვალს არ ეამა, ის რაც არ მოეწონა, დიკმა მაშინვე შესაფერისი შენიშვნების სახით საკუთარ წიგნაკში ჩაინიშნა.

დაასრულა თუ არა დიდი სახლის შემოვლა, ფორესტმა დაახლოებით ნახევარი მილით დაშორებულ, განცალკევებით მდგარ საჩეხებისა და ბოსლებისაკენ გასწია. ეს იყო მისი შემოვლის ძირითადი მიზანიც. ამ სამკურნალო თავშესაფრებში დაავადებულ პირუტყვს კურნავდნენ. აქ მას მხოლოდ ორი უშობელი დახვდა. ვეტერინარი ექვობდა, რომ მათ ტუბერკულოზი ჰქონდათ. აქვე იყო შესანიშნავი ჯერსის ჯიშის ქოსმენი. პირუტყვი თავს უკვე ჩინებულად გრძნობდა. ღორი დაახლოებით ექვსას გირვანქას იწონიდა. ტახის კრიალა თვალის გუგები, სიცოცხლით სავსე მოძრაობა და ჯაგრის ბზინვარება ავადმყოფობის არავითარ ექვს არ იწვევდა. ეს ტახი ცოტა ხნის წინათ აიოვას შტატიდან ჩამოიყვანეს და მის მამულში დადგენილი წესის თანახმად, საკარანტინო ვადის გაუვლელად, ღორის კოლტს ვერ შეურევდნენ. სავაჭრო გაერთიანების საბუთებში ეს ორი წლის პირუტყვი ბურგეს პირველის სახელით იყო გატარებული. მისი რანჩოში მოყვანა ფორესტს ხუთასი დოლარი დაუჯდა.

ფორესტი ახლა დიდი სახლიდან რადიუსებად მიმავალ ერთ-ერთ გზას დაადგა და მელორეობის ფერმის მმართველ კრეილინს დაეწია. პატრონმა ხუთწუთიანი საუბარი გაუბა. მითითება მისცა, როგორ უნდა შეენახა მომავალი რამდენიმე თვის მანძილზე ბურგეს პირველი. კრეილინმა პატრონს აცნობა, რომ საუკეთესოთა შორის უკეთეს დედა ღორს, რამდენჯერმე გამოფენებზე დაჯილდოებულ ცისფერი ბრწყინვალე ბაფთის მფლობელ ლედი აილტონს, თერთმეტი გოჭი მშვიდობიანად მოეგო. თითქმის მთელი ღამე პირუტყვის გვერდით თეთრად ვათიე და ახლა აბაზანის მისაღებად და საუზმისათვის სახლში მივეშურებო, — დასძინა ბოლოს კრეილინმა.

— გავიგე, თქვენს უფროს ქალიშვილს საშუალო სასწავლებელი დაუმთავრებია და ახლა სტენფორდის უნივერსიტეტში აპირებს სწავლის გაგრძელებას, არა? — იკითხა ფორესტმა და გასაჭენებლად შემზადებული ცხენი შეაჩერა.

კრეილინი დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის ახალგაზრდა კაცი გახლდათ. მართალია, ნაადრევ მამობას ადრე დაეკაცებინა, მაგრამ მეტად წესიერი ცხოვრებისა და სუფთა ჰაერის წყალობით მაინც ახალგაზრდული იერი შერჩენოდა. პატრონის ყურადღებით ნასიამოვნებს ახლა მზისაგან გარუჯული კანი ალეწოდა და დასტურის ნიშნად თავს იქნევდა.

— კარგად განსაჯეთ, — მისცა რჩევა ფორესტმა. — გაიხსენეთ კოლეჯ და ინსტიტუტდამთავრებული ყველა თქვენი ნაცნობი გოგონა... ვითომ ბევრი მუშაობს თავისი სპეციალობის მიხედვით? რამდენი მათგანი გათხოვდა ამ ორი წლის მანძილზე, კურსის დასრულების შემდეგ და საკუთარი შვილების აღზრდას შეუდგა?..

— მაგრამ ელენი სერიოზულად ეკიდება სწავლის საქმეს, — წარმოთქვა კრეილინმა.

— გახსოვთ, როდესაც ბრმა ნაწლავი ამომკვეთეს, — კვლავ განაგრძო საუბარი დიკმა. — მაშინ ერთი მედდა მივლიდა, რომლის მშვენიების სადარი ჩემს თვალს არაფერი უნახავს ამქვეყნად. ისეთი თვალწარმტაცი არსება ორ შესანიშნავ ფეხს ჯერ კიდევ არ უტარებია დედამიწის ზურგზე. გოგონას მაშინ მხოლოდ ექვსი თვის მიღებული ჰქონდა დამთავრებისა და კვალიფიცირებული მომვლელი ქალის მოწმობა. ოთ-

ხი თვის შემდეგ კი საქორწინო საჩუქრის გაგზავნა დამჭირდა: გოგონამ საავტომობილო ფირმის აგენტზე დაიწერა ჯვარი. ახლა ცოლ-ქმარი მხოლოდ სასტუმროებში ატარებს დროს და ერთიდან მეორეში გადადის. ჯერ არ ჰქონია შემთხვევა საკუთარი ცოდნის გამოყენებისა, მით უფრო, რომ შვილიც არ იყოლია. თუმცა ახლა იმედოვნებს... მაგრამ ასრულდება თუ არა, ესეც საკითხავია. ამჟამად კი, უამისოდაც სრულიად ბედნიერია. მაშ რისთვის იყო საჭირო მისი ამდენი სწავლა?

სწორედ ამ დროს სასუქის საზიდავმა ცარიელმა მანქანამ ჩაიქროლა და კრეილინი აიძულა, მისთვის გზა დაეთმო, ხოლო დიკმა ცხენი გზის კიდეზე გადაიყვანა. ფორესტი კმაყოფილებით დააკვირდა მასში შებმულ ჯიშთან, საოცრად პროპორციული შესანიშნავი აგებულების ფაშატს. ყველა ის აურაცხელი ცისფერი ბაფთა, რაც საკუთრად მან, ან მისმა წინაპრებმა მიიღეს, განსაკუთრებულ ექსპერტს საჭიროებდა ჩამოსათვლელად და აღსარიცხად.

— შეხედეთ ერთი ამ სამეფო შთამომავლობის ფოთერინგტონის პრინცესას, — წარმოთქვა ფორესტმა და ფაშატზე მიუთითა, რომლის დანახვამ თვალები სიხარულით აუციმციმა, — აი, ნამდვილი სანაშენო ცხენი, მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევით, წინაპართა სელექციის შედეგად იქცა იგი ტვირთის მზიდავ პირუტყვად, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ იგი სანაშენო პირუტყვია. ქალებიც, უმრავლეს შემთხვევაში, ჩვენში, მამაკაცებში, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულს ეძებენ. რომლისთვისაც მოწოდებულნი არიან, ბუნებრივი, შინაგანი წადილით ბიოლოგიაში არ არსებობს თანამედროვე ქალთა სქესის მიერ სამსახურისა და პოლიტიკური უფლებებისათვის ატეხილი აურზაურის საფუძველი.

— მაგრამ არსებობს ეკონომიური საფუძველი, — შეესიტყვა კრეილინი.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა პატრონი და კვლავ განაგრძო: — ჩვენი საწარმოო სისტემა ქალს ხელს უშლის ოჯახის შექმნაში, აიძულებს იშრომოს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ საწარმოო სისტემა წავა და მოვა, ბიოლოგიური კანონზომიერება კი გარდაუვალია.

— ჩვენს დროში მხოლოდ ოჯახური იდილით ქალის დაკმაყოფილება მეტისმეტად სამძიმო საქმეა, — ჯიუტად იმეორებდა მეჯოგე.

ფორესტმა ურწმუნოდ გადაიხარხარა.

— არ ვიცი! — წარმოთქვა მან. — აი, თუნდაც თქვენი მეუღლე, მაგალითად. მიიღო უნივერსიტეტის დიპლომი, თანაც ძველი ენების ფაკულტეტის დამთავრებისა, მაგრამ რისთვის არის ყოველივე ეს საჭირო? თუ არა ვცდები, ორი ვაჟი და სამი ქალიშვილი გააჩინა. როგორც თქვენივე ნაამბობიდან ვიცი, თქვენი საცოლე დამთავრებამდე წლინახევრით ადრე იქცა თქვენს მეუღლედ.

— მართალია, მაგრამ... — შეეპასუხა კრეილინი, თუმცა მის თვალებში ისეთი ნაპერწკალი აციმციმდა, რაც პატრონთან დათანხმებას უფრო ნიშნავდა. — რაც შეგვეხება ჩვენ, მისტერ ფორესტ, ჯერ ერთი, ეს თხუთმეტი წლის წინათ მოხდა, მეორეც, ჩვენ ერთმანეთი უჩვეულო სიყვარულით შეგვიყვარდა. გრძნობამ გაიმარჯვა, დაგვამარცხა. მე ამ საკითხზე კამათს არ შემოგბედავთ. თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით. დიახ, ჩემი საცოლე დიად საქმეებზე ოცნებობდა. მე კი, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სასოფლო სამეურნეო სასწავლებელში შემეძლო დეკანოზა მიმელო. მაგრამ, როგორც ხედავთ, გრძნობამ დაგვძლია და ჯვარი დავიწერეთ. ეს ყოველივე ხომ თხუთმეტი წლის წინათ მოხდა. ამ თხუთმეტმა წელმა რამდენი რამ შეცვალა მსოფლიოში, რამდენი სიახლე შეიტანა ჩვენი ახალგაზრდა ქალების მისწრაფებებსა და იდეალებში.

— ნუ იწამებთ ყოველივეს ასე ბრმად, მისტერ კრეილინ! გადახედეთ სტატისტიკას. ყოველივე, რაზედაც ჩვენ ვმსჯელობთ, მეტად შემთხვევითი და შედარებითია. თითოეული ქალი, უპირველეს ყოვლისა, იყო და მარად ქალად დარჩება. სანამ ჩვენი გოგონები დედოფალებით თამაშობენ და სარკეში თავიანთ სახეს ეკეკლუცებიან, ქალი იმ არსებადვე დარჩება, რადაც სამყარომ დასაბამიდან გააჩინა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დედად, მეორე რიგში კი მამაკაცის მეუღლედ და მეგობრად. გიმეორებთ, ეს სტატისტიკით დადასტურებული ამბავია. მე თვალყურს ვადევნებდი იმ ქალთა ბედს, რომელთაც პედაგოგიური ინსტიტუტები დაამთავრეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ვინც ინსტიტუტის დამთავრებამდე იწერს ჯვარს, ინსტიტუტს ვერ ამთავრებს, ირიცხება, მაგრამ, ვინც ამთავრებს, მხოლოდ ორ წელს თუ მასწავლებლობს. ისიც უნდა ითქვას, რომ სწავლადამთავრებულთა უმრავლესობა ან მახინჯია, ან ბედკრულ ბედზე დაბადებული. დიახ, განწირულნი — სამუდამოდ შინაბერებად დარჩნენ და მხოლოდ მოზარდთა სწავლებაში უნდა გაატარონ მთელი სიცოცხლე, იმ ქალთა შრომის ხანგრძლივობა კი, რომლებიც ოჯახებს ქმნიან, ამის გამო კიდევ უფრო იკვეცება.

— მაგრამ ქალი, თუნდაც ჯერ კიდევ გოგონა, ყოველივეს თავის ჭკუაზე გააკეთებს, მამაკაცის საპირისპიროდ, — ჩაიბუტბუტა კრეილინმა — შეუძლებლად მიიჩნია კამათი დაეწყო პატრონისათვის მის მიერ მოყვანილი ციფრების საწინააღმდეგოდ.

— მაშასადამე, თქვენი ქალიშვილი სტენფორდს მიემგზავრება, — გაიცინა დიკ ფორესტმა. ცხენი გასაჭენებლად მოამზადა და წარმოთქვა: — როგორც ვხედავ, შენ, მე და ყველა სხვა მამაკაცი ამ საუკუნის დასასრულამდე ნებას მივცემთ ქალთა სქესის წარმომადგენელთ, თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით იმოქმედონ.

მიმავალ ფორესტს კრეილინმა მხერა გააყოლა: პატრონის გამოსახულება თვალიდან ეკარგებოდა, მაგრამ ღიმილმორეული მაინც მასზე ფიქრობდა, იცოდა მისი გულის ვარამი. მისი ღიმილის მიზეზიც ეს გახლათ: «სად არიან თქვენი საკუთარი შვილები, მისტერ ფორესტ?» გულში კი გადაწყვიტა, დილას, ყავის დალევის დროს, მეუღლისათვის ეამბნა მთელი ეს საუბარი.

დიდ სახლში დაბრუნებამდე, დიკ ფორესტი კიდევ შეჩერდა. კაცი კი, რომელიც მან შეაჩერა, გვარად მენდელჰოლი, მის მამულში საჯინიბოებისა და სამოვრების ზედამხედველად მუშაობდა. ხმები დადიოდა, იგი მთელ ამ თვალუწვდენელ მამულში თითოეულ ბალახის ღერს თავის ამოყოფიდანვე ცნობსო.

მენდელჰოლმა ორთვალაში წყვილად შებმული ცხენები ფორესტის წინ მსწრაფლ შეაყენა.

ფორესტმა მას ახლა მხოლოდ იმის გამო უხმო, რომ ყურადღებით შეათვალიერა საკრამენტოს ჩრდილო განაპირა ველები. ამ ველებს, რამდენიმე მილის სიგრძეზე ესაზღვრებოდა მზის ბრწყინვალე სხივებში განზანილი და ზურმუხტისფერი, ხასხასა ბალახით შემოსილი დიდი ბორცვები.

მათ შორის გამართული საუბარი მეტად მოკლე და სხარტი იყო. მოსაუბრენი ასედაც დიდი ხანია კარგად უგებდნენ ერთმანეთს. საუბრის თემა გახლდათ სამოვრები, ბალახი, ზამთრის თოვლ-ჭყაპი, მოსალოდნელი ნაგვიანევი საგაზაფხულო წვიმები და ნიაღვრები. ახსენეს მდინარეები: პატარა კოიოტი და ლოს-კვატოსი, გორაკები: იოლო და მირიმარი, ბიგ ბეზინი თუ რაუნ დველი, ახსენეს მთაგრეხილებიც: სანანსელმო და ლოს-ბანოსი. ირჩეოდა ბალახის მოსავლიანობის, ფარებისა და ჯოგების ადგილმონაცვლეობის საკითხი აწმყოსა და მომავალში. მთის სამოვრებზე დათესილი ბალახის მოსავალი და იმ თივის მარაგი, რომელიც შემონახული ჰქონდათ მთის სა-

ძოვრებზე მთელი ზამთრის განმავლობაში, შორეულ სათივეებში საქონლის გამოსა-  
ზამთრებლად და გამოსაკვებად.

მუხების ქვეშ, ცხენების საბმურთან მისულ ფორესტს არ დასჭირვებია ფურია-  
ზე ზრუნვა. წამსვე გაჩენილმა მეჯინებმა ფაშატი ჩამოართვა. სახლისკენ მიმავალმა  
ფორესტმა მეჯინებს ეტლის ცხენ დადიზე ჩამოუგდო სიტყვა. მალე დიკ ფორესტის  
დეზების წკარუნი დიდი სახლის კიბეზე გაისმა.

## თავი მესამე

ფორესტმა რკინის ჭედურსართყლიანი, ხის მოჩუქურთმებული მძიმე კარი გა-  
მოაღო და დიდი სახლის ფლიგელისაკენ გაემართა, რომელიც ფილაქნის იატაკით და  
სხვადასხვა მიმართულებით გამავალი რამდენიმე ასეთივე კარით შუასაუკუნეობრივ  
ციხე-კოშკს უფრო მოგაგონებდათ. ერთ-ერთი კარი თეთრწინსაფარიანმა და გახა-  
მებულ ჩაჩიანმა ჩინელმა მზარეულმა გამოაღო და ზღურბლზე შედგა. კარის გაღე-  
ბისთანავე დინამომანქანის ყრუ გუგუნი გაისმა. სწორედ ამ ხმამ შეაცვლევინა ფო-  
რესტს მიმართულება. ერთი წამით შედგა, გამოღებულ კარს ხელი მოჰკიდა და ელექ-  
ტრონათურებით განათებულ ფილაქნის იატაკიან ცივ ოთახში შეიჭვრიტა. აქ მინის  
გრძელი მაცივარი იდგა, მინისავე თაროებით, რომელიც ხელოვნური ყინულის და-  
სამზადებლად დინამომანქანასთან იყო შეერთებული. იატაკზე გაზეთილ კომბინე-  
ზონიანი, სახემოსვრილი პატარა კაცი ჩაცუცქულიყო. პატრონმა მას თავი დაუკრა.

— ხომ არაფერი დაზიანებულა, ტომპსონ? — იკითხა ფორესტმა.

— დიახ, დაზიანდა, — გაისმა მოკლე და ამომწურავი პასუხი. ფორესტმა კარი  
მოხურა და გვირაბის მაგვარ გრძელ დერეფანში გავიდა. დერეფნის ვიწრო, რკინის  
ბადურებით დაცული, თაღისებური სარკმლები შუასაუკუნეობრივი ციხეების სა-  
თოფურებს მიაგავდა და სინათლე ძლივძლივობით აღწევდა. მეორე კარი დაბალ,  
გრძელ, ფიცრისჭერიან ოთახში გადიოდა, რომლის ერთ კედელში ისეთი დიდი  
ბუხარი იყო დატანებული, შიგ მთელი ხარიც კი შეიწვებოდა. მოციმციმე ნაკვერ-  
ცხლებზე გიზგიზით იწვოდა უზარმაზარი კუნძი. ოთახში საბილიარდო და ქალაქ-  
დის სათამაშო რამდენიმე მაგიდა და სასმელების დასაწყობი ერთი გრძელი დახლი-  
სებური დგამი მოჩანდა. ოთახის კუთხეებში, ირგვლივ, სავარძლები იდგა. მინიატ-  
ურული ბარი კი ყველაზე კეთილმოწყობილი, უხვად მომარაგებული ჩანდა. ორმა  
ჭაბუკმა, რომლებიც ბილიარდის სათამაშო ჯოხებს ცარცს უსვამდნენ, ფორესტს თავი  
დაუკრა.

— დილა მშვიდობისა, მისტერ ნეისმით, — მხიარულად მიმართა ერთ მათგანს  
ფორესტმა, — შეაგროვეთ რაიმე მასალა «მესაქონლეთა გაზეთისათვის?»

ნეისმითმა, დაახლოებით ოცდაათი წლის სათვალთანმა მამაკაცმა. მორცხვად  
გაიღიმა და თვალით ანიშნა მეგობარზე:

— აი, უაინრაიტმა მიხმო აქ...

— სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიუტსა და ერნესტინას ჯერ კიდევ ტკბილად  
სძინავთ! — გაიცინა ფორესტმა.

უაინრაიტს სურდა ფორესტის ხუმრობაზე რაიმე ეპასუხა, მაგრამ ვერ მოას-  
წრო. დიკი მსწრაფლ გაშორდა მას და უკვე მიმავალმა სიტყვა ნეისმითს ესროლა:

— ხომ არ ინებებდით ჩემთან ერთად წამოსვლას თორმეტის ნახევარზე? მე და  
თეიერი მანქანით მივდივართ შროპშირების დასათვალიერებლად. მას ათი ვაგონი  
ცხვარი სჭირდება. ვფიქრობ, თქვენთვისაც მოინახება შესაფერისი მასალა აიდაპოს

მეცხვარეობის საკითხებზე... თან ფოტოაპარატი წამოიღეთ. თეიერი თუ ნახეთ სადმე ამ დილით?

— ჩვენ რომ სასადილოდან გამოვედით, სწორედ მაშინ მოდიოდა სასაუზმოდ. — ჩაერია ბერტ უეინრაიტი..

— თუ ნახოთ, გადაეცით, მზად იყოს თორმეტის ნახევრისათვის. შენ კი არ გეპატიჟები... ბერტ, გითანაგრძნობ... იმ დროისათვის ქალიშვილები, ალბათ, ადგებიან.

— რიტა მაინც წაიყვანეთ, — თხოვნით მიმართა ბერტმა.

— არა, არ შემიძლია, — უპასუხა ფორესტმა და უკანა კარს გასცდა. — ჩვენ საქმეზე მივდივართ და, გარდა ამისა, რიტასა და ერნესტინას, როგორც მოგეხსენება, წყალიც რომ გადაასხა, ერთმანეთს ვერ მოაცილებ.

— ძალიან მინდოდა, ერთხელ მაინც როგორმე ასე მომხდარიყო, — ჩაიბუტბუტა ბერტმა.

— საოცარია! ძმები რატომღაც ვერასოდეს აფასებენ საკუთარ დებს, — შენიშნა ფორესტმა და მხოლოდ ერთი წამით შედგა.

— ყოველთვის ვფიქრობ, რომ რიტა მეტად მოსიყვარულე და არის, რით ვერ მოიგო შენი გული, მაინც რა დაემართა?

პასუხისათვის არ დაუცდია, კარი ისე გაიხურა. მისი დეზების წკარუნი ჯერ დერეფნიდან ისმოდა, მერე ხვეული კიბიდანაც აღწევდა. ბეტონის ფართო საფეხურებზე მიმავალ ფორესტს როიალის ხმა შემოესმა, რომელსაც ცეკვისა და აგზნებული სიცილის ხმა ერთვოდა. ფორესტმა მზის სხივებით განათებულ, თეთრად მოქათქათე დილის მოსასვენებელ ოთახში შეიხედა. როიალთან ატმის ყვავილისფერ კიმონოსა და სადამურ ჩაჩში გამოწყობილი ნორჩი გოგონა შენიშნა. მის მახლობლად სხვა მისი ტოლი, ასევე სადამურ კიმონოიანი ქალიშვილი ხელიხელჩაკიდებული ჯერ თვალისთვის უნახავ რაღაც საოცარ ცეკვას ასრულებდა, რომელიც, რა თქმა უნდა, დასაბამიდან დღემდე არც ერთ საცეკვაო სკოლაში არ შეიძლებოდა ესწავლებინათ. დიახ, იგი არც მამაკაცის თვალის საცქერლად იყო გამიზნული.

როიალთან მჯდარმა მსწრაფლ შენიშნა დიკი; თვალი ჩაუკრა და დაკვრა განაგრძო. მოცეკვავეებმა მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოჰკრეს თვალი. საოცარი კივილი ატეხეს, ერთმანეთს ჩაეხვივნენ და მუსიკაც მხოლოდ მაშინლა შეწყდა. ფორესტს სრულიად ნორჩი, სიცოცხლით სავსე, შველივით ყელაღერილი, სამი შემკრთალი არსება ცნობისმოყვარე თვალებით შეჰყურებდა. მათ ხილვაზე ფორესტს ისეთივე სიამისა და სიხარულის სხივი აუკიაფდა თვალებში, როგორც პრინცესა ფოთერინგტონის პრინცესას ხილვისას ჩაუდგებოდა ხოლმე.

შეხუმრებებსა და ურთიერთგამოჯავრებას ბოლო არ უჩანდა, როგორც ეს ახალგაზრდობას სჩვევია საერთოდ.

— მე უკვე ხუთი წუთია გიყურებთ, — არწმუნებდა მათ დიკი. შემფოთებულ მოცეკვავეებს უხერხულობის დაფარვა სურდათ და დიკს უმტკიცებდნენ, თქვენს სიტყვებში ეჭვი გვეპარებაო, თან ერთმანეთს არ აცლიდნენ, დაუსრულებლად ასახელებდნენ მის საყოველთაოდ გამომჟღავნებულ ტყუილებს.

როიალთან მჯდარი ქალიშვილი, დიკის ცოლისდა ერნესტინა საწინააღმდეგოს ამტკიცებდა: ჩემი ბაგენი ყოველთვის სიმართლეს ღაღადებენ და მერწმუნეთ, დიკი პირველი წამიდანვე შევნიშნე, როგორც კარებში შემოიჭვრიტა და ჩემი გამოთვლით, ხუთ წუთზე მეტ ხანსაც კი ტკბებოდა თქვენი ყურებითო.

— კეთილი, კეთილი, როგორც იყო, იყო, — შეაწყვეტინა დიკმა გაუთავებელი ტიტინი. — მიამიტ ბერტს კი ჰგონია, რომ თქვენ ჯერ ისევ გძინავთ და არც ამდგარხართ.

— ავდექით, მაგრამ მისთვის კი არა, — განაცხადა ერთ-ერთმა მოცეკვავემ, სიყვარულის ღვთაება ვენერას რომ ჩამოჰგავდა, — და არც თქვენთვის, სხვათა შორის! ამიტომ მიბრძანდით აქედან, ჩემო ბიჭუნო, აბა ჩქარა!

— მომისმინეთ, ლიუტ, — მკაცრად წამოიწყო ფორესტმა. — ვთქვათ, მე დაჩაჩანაკებული მოხუცი ვარ, თქვენ კი ახლა შეგისრულდათ თვრამეტი წელი, სწორედ თვრამეტი და ჩემს უმშვენიერეს ცოლისდად მოუვლენიხართ განგებას, მაგრამ ყოველივე ამის გამო არ მეკუთვნის ასე თამამად და უტიფრად მომეცხეთ. მინდა შეგახსენოთ, ძალიანაც რომ გეწყინოთ, განსაკუთრებით კი რიტას, რომ ამ ათი წლის განმავლობაში ხშირად გამისილაქებიხართ. ვითომ დაგავიწყდათ? თუ აღარ გსურთ გამოტყდეთ ახლა? მართალია, ისე ახალგაზრდა აღარა ვარ, როგორც ოდესღაც ვიყავი... — დიკმა თავის დაკუნთულ მარჯვენა მკლავს შეავლო ხელი და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს სახელოს დაკაპიწებას აპირებდა, — ჯერ არც ისეთი მოხუცი ვარ, თუ მოთმინებიდან გამომიყვანთ...

— რა მოხდება, ვთქვათ და — გამოგიყვანეთ? — გამომწვევად შეეკითხა ქალიშვილი.

— თუ თქვენ მოთმინებიდან გამომიყვანთ... — წამოიძახა მან მუქარით. — მაშინ... იცით რა? მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ქალბატონო, ჩემდა სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩაჩი გვერდზე მოგქცევიათ. იმაშიც უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეგ საღამური ქუდი თქვენ გემოვნებას არ ადასტურებს და არც ხელოვნების ვერაფერი დიდი ნიმუშია. მაგაზე გაცილებით მოხდენილ ჩაჩს თვითონ მე, თვალდახუჭული, ასე წარმოიდგინეთ, ზღვის ავადმყოფობით სნეულიც კი შეგიკერავდით...

ლიუტმა ლაღად გადიქნია ქერა დალალებიანი თავი და მეგობრებს გადახედა, თითქოს მხარდაჭერას სთხოვსო:

— ოჰ, არ ვიცი, ეჭვი მეპარება. ნუთუ გგონიათ, რომ ჩვენ სამთავე, ჩვენი ახალგაზრდული ქალური ძალით ერთ, არცთუ მაინცდამაინც ძლიერსა და ხნიერ მამაკაცს ვერ გაგისწორდებით?

— რას ფიქრობთ, გოგონებო? მოდით, ყველანი ერთად მივცვივდეთ, აბა ვნახოთ, როგორ დაგვიდგება ეს ორმოცს გადაცილებული, გულის ანევრიზმიანი სნეული კაცი. მართალია, ოჯახის საიდუმლოების გაცემა დაუშვებელია, მაგრამ ყველაფერთან ერთად მენიერიც<sup>1</sup> (N<sup>o</sup> მენიერის დაავადება — თავბრუსხვევა და სიყრუე, ყურის ლაბირინთში ცვლილებათა გამო.) სჭირს. როიალთან მჯდარი მომცრო ტანის, მაგრამ საკმაოდ ძლიერი თვრამეტი წლის ქერა ერნესტინა თვალისდახამხამებაში ფეხზე წამოიჭრა. სამივენი ერთად თავბრუდამხვევი სისწრაფით გრძელი დივანისაკენ გაიქცნენ და ბალიშებით შეიარაღდნენ; მაშინვე გარკვეული მანძილით დაშორდნენ ერთმანეთს, რომ თავისუფლად ემოქმედათ და «მტრისკენ» დაიძრნენ.

ფორესტიც საბრძოლველად მოემზადა, მაგრამ მალევე ასწია ხელი მოსალაპარაკებლად.

— მხდალო! მხხავანა კატა! — ჯერ ცალ-ცალკე წამოიძახეს, შემდეგ კი, ერთხმად, დაუსრულებლად იმეორებდნენ. — მხდალო! მხდალო!

დიკმა ჯიუტად გაიქნია თავი.

— სწორედ ყოველივე ამისა და იმ უტიფრობათა გამო, რასაც თქვენ მიბედავთ, სამთავეს პირადი დამსახურების მიხედვით ახლავე მოგიზღავთ სამაგიეროს. ახლა, ჩემ წინ, თვალისმომჭრელი სიცხადით აღდგა ყველა შეურაცხყოფა, რაც ცხოვრებაში შემხვედრია. ერთი წუთის შემდეგ მოქმედებას დავიწყებ, მაგრამ ჯერ, ლიუტ, მინდა გთხოვო რადგან, თურმე, როგორც შენ აცხადებ, სრულიად გულდამშვიდებული მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობას ვეწევი მთელ იმ შესაძლებლობათა მიხედ-

ვით, რაც ჩემში დარჩენილა და სხვა თურმე აღარაფერი ძალმიძს და გამეგება ამქვეყნად, ღვთის გულისათვის, ერთხელ კიდევ ყურად იღე ჩემი მუდარა და ამიხსენი, რა ჯანდაბაა ეს მენიერის ავადმყოფობა? ცხვრები შეიძლება დაავადნენ ამით?

— მენიერის დაავადება... ეს, ... — დაიწყო ლიუტმა, — ეს სწორედ ის არის, რაც თქვენ გჭირთ და ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელსაც მენიერის ავადმყოფობა ემართება, მხოლოდ ცხვარია.

მტრები ერთუროს ჯიქურ მიეახლნენ. ფორესტი მტერს რეგბის გავრცელებამდე არსებულ კალიფორნიულ ფეხბურთის თავდამსხმელის ილეთებით უტევდა. იგი გოგონებს დაუძვრა. მაგრამ მათ გვერდებიდან შეუტიეს და ბალიშები დაუშინეს. დიკი მსწრაფლ მოტრიალდა, მკლავები გაშალა, თითები ნემსკავივით მოხარა და სამივე ერთად შეიპყრო. ბრძოლა გრიგალად იქცა, რომლის შუაგულში დეზებიანი მამაკაცი ტრიალებდა. მის გარშემო კი უმშვენიერეს არსებათა აბრეშუმის კიმონოების კალთები ფრიალებდა. აქეთ-იქით ცვიოდა ულამაზესი ფლოსტები, თმის სარჭები თუ საღამური ჩაჩები. ისმოდა ბალიშების ცემის ყრუ ხმა. თავდამსხმელის ბრდღვინვა, ქალიშვილების თავშეუკავებელი კივილი, გამოძახილები, დაუოკებელი კისკისი და აბრეშუმის სამოსის ფხრეწის ხმა.

ბოლოს, თავბრუდახვეული დიკ ფორესტი იატაკზე გამოტილი აღმოჩნდა... ლამის მიმხრჩვალა და ბალიშების ცემით სმენადახშული, ხელში პაწაწინა პირისფერი ვარდებით ნაქარგ, ცისფერი აბრეშუმის ქამარს ჭმუჭნიდა.

ერთ-ერთი კარის ზღურბლთან დაწვებულული და ბრძოლით დაღლილი რიტა იდგა გასაქცევად გამზადებული; ქურციკივით გაფაციცებული იყურებოდა აქეთ-იქით. მეორე კარის ზღურბლზე არანაკლებ სახეატკრეცილი ერნესტინა შენიშნა, გრაკების ამაყი დედის პოზა რომ მიეღო. გოგონა კიმონოს მორცხვად იფარებდა შიშველ სხეულზე და იდაყვებით ფრთხილად იმაგრებდა. როიალის იქით, კუთხეში მიმალული ლიუტი გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ფორესტის მუქარა აკავებდა. დიკი ოთხზე იდგა და მთელი ძალით ხელისგულებს იატაკს ურტყამდა. თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და გამძვინვარებული ხარივით ზმუოდა.

— ხალხს ჯერ ისევ სწამს წინაისტორიული მითი, რომ თითქოს ერთ დროს ეს საცოდავი, ადამიანის მსგავსი აქ გართხმული არსება ბერკლის დაეხმარა სტენფორდზე გამარჯვებაში! — საზეიმო იერით განაცხადა ერნესტინამ, რომელიც უფრო უშიშარ ადგილას აღმოჩნდა, ვიდრე დანარჩენები.

გოგონა მძიმედ სუნთქავდა, პრიალა მოწისფერი აბრეშუმის ქვეშ მკერდი უჩვეულოდ უთრთოდა. ფორესტმა სიამით შეავლო თვალი, რადგან კარგად უწყოდა, რომ დანარჩენებიც ასევე ღონემილეულნი ძლივსღა სუნთქავდნენ.

მზის სხივებით გაცისკროვნებულ დილის ოთახში კედელთან ახლოს ქათქათა, ოქროსვარაყიანი მინიატურული როიალი იდგა. ასე რომ, მის უკან შეფარებულ ლიუტის ორივე მხარეს შეეძლო გაქცევა. ფორესტი წამოდგა და ინსტრუმენტს ზემოდან გადახედა, მოაჩვენა, თითქოს გადასახტომად ემზადებოდა. შიშისაგან შეძრწუნებულმა გოგონამ შეჰკვივლა:

— დეზები, დიკ, დეზები!

— მაშინ მოიცადე, ვიდრე მოვიხსნი, — გაეპასუხა დიკი.

როგორც კი დიკი დეზების მოსახსნელად დაიხარა, ლიუტმა იმწამსვე გაქცევა სცადა, მაგრამ დიკმა უკანვე თავშესაფარში შეაბრუნა.

— იცოდე, თქვენი ბრალი იქნება, თუ როიალის თავი გაიფხაჭნება. ყველაფერს პაოლას ვეტყვი, — დაემუქრა ფორესტი.

— მე მოწმეები მყავს, — ძლივს ამოთქვა ლიუტმა და მოცინარი, ცისფერი თვალებით კარებში მდგარ მეგობრებზე ანიშნა.

— ძალიან კარგი, ჩემო ძვირფასო, — ფორესტმა უკან დაიხია და ხელები გაშალა. — აბა ვნახოთ, თუ ვერ დაგიჭერ!

მუქარა და შესრულება ერთი იყო. ფორესტი როიალის სახურავს ხელისგულე-ბით დაეყრდნო და გვერდულად ისე გადაევიწყო, რომ დეზები ერთი ფუტით მაინც აცდა მის მზინავ, თეთრ ზედაპირს. ლიუტიც ასევე სწრაფად დაიხარა, როიალის ქვეშ შეძვრა და ფორთხვით მეორე მხარეს აპირებდა გაცოცებას, რომ უეცრად თავი მიარტყა. გაბრუებულმა გოგონამ მოსულიერებაც ვერ მოასწრო, რომ იქვე ფორესტი შენიშნა და კვლავ უკანვე შებრუნდა.

— გამოდი, გამოდი! — უბრძანა ფორესტმა, — გამოდი და მიიღებ დამსახურებულ საზღაურს.

— შემინწყალეთ, შემინწყალეთ, კეთილო რაინდო, — შესთხოვა ლიუტმა. — შემინწყალეთ სიყვარულის დიადი გრძნობისა და ამქვეყნად ყველა ტანჯული ულამაზესი ქალწულის ხათრით.

— მე რაინდი არ გახლავარ, — განაცხადა ფორესტმა ბოხი ხმით, — მე კაციჭამია ვარ, მძვინვარე, შეუბრალებელი კაციჭამია. ჭაობში დავიბადე; მამაჩემი კაციჭამია იყო, დედა კიდეც მასზე საშიში, ადამიანის ხორციტ გაუმადლარი ჯადოქარი. დაძინებისას, ყოველდღე მათ მიერ შესანსლული ბავშვების გულშემზარავი ღნავილი ჩამესმოდა. ყრობიდანვე დაწყებული და შეჩვენებული ვარ. მე მხოლოდ პანსიონში მოსწავლე ქალიშვილების სისხლით ვიკვებებოდი. ყველაზე გემრიელად საჭმელს ხის იატაკზე შევექცევი. ჭერად როიალი მქონდა და საყვარელ საჭმელად ახალგაზრდა ქალწულთა ნეკნები. მამაჩემი მარტო კაციჭამია კი არ იყო, ცხენების ქურდიც გახლდათ. მე კი მამაჩემზე ბევრად დაუნდობელი და მრისხანე ვარ... მასზე გაცილებით ბასრი და მეტი კბილები მაქვს. დედაჩემი კი, კაციჭამიობის გარდა, წიგნების გამავრცელებელ აგენტადაც მუშაობდა ნევადაში. იგი ქალთა ჟურნალების ხელისმომწერთაც კრებდა. ვაი, სირცხვილო! მე კი დედაჩემზე უარესი... მე პირბასრი სამართებლებით ვვაჭრობდი!

— ნუთუ არაფერს შეუძლია დააცხროს და მოხიბლოს თქვენი შეუბრალებელი გული? — ევედრებოდა ლიუტი და თან თვალთვალს გასაქცევ გზას ეძებდა.

«მხოლოდ ერთი, საბრალო, ბედკრულო ქმნილება! ერთადერთი ზეცაში, ზღვასა თუ ხმელეთზე».

— ეს ხომ პლაგიატია, — წამოიყვირა განრისხებულმა ერნესტინამ.

— ვიცი, ვიცი, — განაგრძო ფორესტმა — იხილე ერნესტ დაუსონი, გვერდი 27-ე. თხელი წიგნია მილის პანსიონში დატყვევებულ ასულთათვის. ამჟამად კი ჩანს, ესოდენ ავმაღლდი, გადავწყვიტე გაგანდოთ, — ერთადერთი რაც ჩემს ულმობელ გულს დაამშვიდებს ეს, «ასულთა ლოცვა» მხოლოდ. მისმინეთ კარგად, ორივე ყური ჩემ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს მიაპყართ, სანამ ორივეს ერთად ან ცალ-ცალკე მოგაჭამდეთ! მისმინე, შენც, როიალს უკან დამალულო თავქარიანო ხორცსავსე მოკლეფეხება უმსგავსო ქმნილება! შეგიძლიათ წარმოთქვათ «ასულთა ლოცვა».

პასუხი არავის გაუცია. სწორედ ამ დროს ბერტი გამოჩნდა და სხვადასხვა კართან მდგომ ორივე ასულს სიამოვნების კვილი აღმოხდა. ლიუტმა უკვე ოთახში შემოსულ ბერტს შესძახა:

— მიხსენით, ბატონო რაინდო, მიხსენით!

— გაათავისუფლეთ ასული ახლავე! — გაისმა ბერტ უეინრაიტის ბრძანება.

— ვინა ხარ, ბრძანებას ვინ მიბედავს? — იკითხა ფორესტმა.

— ქვეყნიერების მეუფე ჯორჯი, ან, როგორც ამქვეყნად მიხმობენ, წმინდა გიორგი.

— თუ ასეა, მაშინ მე ხომ თქვენი ფრთოსანი ურჩხული ვარ, — შესაფერისი მორჩილებით განაცხადა ფორესტმა. — მუხლმოდრეკილი გვედრებით, დაინდეთ ეს ძველისძველი, ღირსეული და შეუდარებელი თავი ჩემი, რამეთუ მეორე არ გამაჩნია.

— არ დაინდოთ, მოჰკვეთეთ თავი! — დაჟინებით მოითხოვდნენ ახალგაზრდა ქმნილებანი.

— ო, ასულნო, გვედრებით, იქონიეთ მოთმინება, — ითხოვდა ბერტი. — მე ხომ ამქვეყნად არარაობას წარმოვადგენ, მაგრამ ჩემს გულს შიში ჯერ არ გაჰკარებია. ურჩხულს წვერში ხელს წავავლებ და თავისივე წვერით მოვგუდავ. მანამ კი, ვიდრე ნელ-ნელა სული ამოუვა და სიმკაცრისა და შეუბრალებლობისათვის ჩემს შეჩვენებას დაამთავრებდეს, თქვენ, თვალწარმტაცნო ასულნო, მაღალ მთებს შეეფარეთ, ველები ფეხქვეშ არ გამოგეცალოთ, რადგან იოლოს, პეტალუმესა და დასავლეთ საკრამენტოს შთანთქმით ემუქრებიან ვეებერთელა თევზები და ოკეანის უზარმაზარი ტალღები.

— მოჰკვეთეთ თავი! — სირინოზის ხმით გაიძახოდნენ ნორჩი ასულნი, — საკუთარ სისხლში ჩაჰკალით და მთლიანად შეწვიოთ!

— ყოველივე დამთავრდა. — ამოიგმინა სასოწარკვეთილმა ფორესტმა, — დავილუპე, აი, ესეც 1914 წლის გოგონათა ქრისტიანული გრძნობანი! მათ ხომ ერთ მშვენიერ დღეს მონაწილეობა უნდა მიიღონ არჩევნებში, როცა ხნოვანება ცოტა კიდევ მოემატებათ, თუ, რა თქმა უნდა, უცხოელებს არ გაეკიდებიან ცოლად! წმინდა გიორგი, მომკვეთე თავი! წირვა გამოსულია! ვშორდები ამ ქვეყანას, შთამომავლობისათვის მარად შეუცნობელი!

ფორესტი ხმამაღალი ქვითინით წაფორთხდა და სრულიად ბუნებრივად აცახცახდა. იატაკზე გაწვა და სავსებით დამაჯერებლად, შემფოთებული აქეთ-იქით მომაკვდავივით აწყდებოდა. იგრხებ-იკლავებოდა, დეზებს საშინლად აწკარუნებდა, ბოლოს სულიც ამოხდა.

ლიუტი როიალის ქვემოდან ცოცვით გამოვიდა და რიტასა და ერნესტინასთან ერთად მაშინვე იმპროვიზებული ცეკვა დაიწყო. იგი ჰარპიათა<sup>1</sup> (<sup>1</sup> ჰარპია — ბერძნულ მითოლოგიაში: ფრთოსანი ქალ-ურჩხული.) როკვას წააგავდა დამარცხებული მსხვერპლის გარშემო, მაგრამ გახურებული როკვის დროს ფორესტი მოულოდნელად შემფოთებული წამოიჭრა, ლიუტს თვალით რაღაც საიდუმლოდ ანიშნა და წამოიძახა:

— გმირი, გმირი რატომ დაგავიწყდათ? ახლავე ყვავილების გვირგვინით შეუმკეთ თავი.

ბერტი მართლაც შეამკეს ყვავილებით, გუშინდელს შემდეგ გამოუცვლელად რომ ეწყო ლარნაკებში. ლიუტმა პაწაწინა ღონიერი ხელებით ადრეული ტიტას სველი ღერები საყელოში ჩაურჭო ბერტს. ჭაბუკმა გაქცევით სცადა თავის დაღწევა. მდევის ფეხის ხმა მთელ დარბაზში დაირხა, მერე თანდთან მინელდა და ახლა საბილიარდო ოთახისაკენ მიმავალი კიბიდანლა ისმოდა. ფორესტი წამოდგა, შეეცადა ოდნავ მაინც მოწესრიგებულიყო და ღიმილმორეულმა დეზების წკარუნით დიდ სახლში დაწყებული მოგზაურობა განაგრძო.

დიკმა ესპანური კრამიტით და აგურით მოკირწყლული ორი ეზო გადაიარა. იქაურობა ადრეულ ყვავილებსა და ზურმუხტისფერ სიმწვანეში იყო ჩაფლული. ფორესტი ჯერ ისევ მძიმედ სუნთქავდა ამ მხიარული თავშესაქცევის წყალობით; მერე საკუთრად მისთვის განკუთვნილ ფლიგელში დაბრუნდა, სადაც პირადი მდივანი ელოდა.

— დილა მშვიდობისა, მისტერ ბლეიკ! — მიესალმა მას ფორესტი. — მაპატიეთ, რომ დავიგვიანე, — დიკმა თავის საათ-სამაჯურს დახედა, — თუმცა მხოლოდ ოთხი წუთით, უფრო ადრე თავის დაღწევა ვერ მოვახერხე.

### თავი მეოთხე

ცხრიდან ათ საათამდე ფორესტი და მისი მდივანი მიმოწერას აგვარებდნენ სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებასთან, სანაშენე და სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციებთან.

უმდივნოდ მომუშავე რომელიმე რიგით საქმოსანს ასეთი სამუშაო, რა თქმა უნდა, მთელ დღეს წაართმევდა, მაგრამ დიკმა მის მიერვე შექმნილი სისტემის შუაგულში საკუთარი თავი დააყენა, რითაც ფარულად დიდად ამაყობდა კიდეც. მნიშვნელოვან წერილებსა და საბუთებს ფორესტი პირადად აწერდა ხელს. ყველა დანარჩენს კი მდივანი მისტერ ბლეიკი მისი ბეჭდით ამოწმებდა. ამ ერთი საათის განმავლობაში მდივანი ზოგი წერილის დაწვრილებით პასუხს ბეჭდავდა, ზოგს კი გამზადებული ფორმულირებით პასუხობდა. მისტერ ბლეიკის ფარული აზრით, თვითონ პატრონზე გაცილებით მეტს მუშაობდა. თვით პატრონი კი ფენომენად მიაჩნდა სხვისთვის სამუშაოს გამოჩხრეკის საქმეში.

სრულ ათ საათზე საგამოფენო მრჩეველ-კონსულტანტი პიტმენი ფორესტთან შევიდა. საბარათო ლანგარზე აზვინული უამრავი წერილით, ქალაქის დასტებითა და სადიქტოფონო ცილინდრული ხვეულებით დატვირთული ბლეიკი კი საკუთარ ოფისში გავიდა.

ათი საათიდან თერთმეტამდე უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ ფერმათა მმართველნი თუ სამეურნეო ნაწილის გამგებელნი. ამ ფრიად დახვეწილ და ჩამოყალიბებულ ადამიანებს შეეძლოთ მოკლე საქმიანი საუბარი, მათ კარგად იცოდნენ დახარჯული წუთების ფასი. თვით დიკ ფორესტმა შეაჩვია ისინი ამას. მის წინაშე მოხსენებით წარდგომისა თუ რაიმე წინადადების წამოყენებისას დრო ტყუილუბრალოდ არ დაეხარჯათ, გაჭიანურებული მსჯელობა და ყოყმანი არ დაეწყოთ, ყველაფერი წინასწარ უნდა მოეფიქრებინათ. სრულ ათ საათზე ბლეიკს მდივნის თანაშემწე ბონბრაიტი ცვლიდა. იგი პატრონის გვერდით ჯდებოდა. მისი შეუჩერებელი ფანქარი ქალაქზე ფრენდა და უსწრაფეს კითხვებს, პასუხებს, საფინანსო ანგარიშებს, გეგმებსა და წინადადებებს ინიშნავდა. ეს სტენოგრაფიული ჩანაწერები, რომლებსაც შემდეგ შიფრავდნენ და მანქანებზე ორ-ორ ცალად მმართველებისა და ეკონომებისათვის ბეჭდავდნენ, აუტანელ კომმარად იქცეოდა ხოლმე. ხშირად იგი ნემეზიდას როლსაც კი ასრულებდა. თვითონ ფორესტს შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა და საკუთარი ღირსების გამოჩენაც უყვარდა, რასაც ბონბრაიტი ჩანაწერების გამოყენებით ცხადყოფდა ხოლმე.

ხშირად პატრონთან ხუთი ან ათწუთიანი საუბრების შემდეგ თანამშრომლები ოფლში გაწურულნი, მთლად გამოფიტულნი და ქანცგაწყვეტილნი გამოდიოდნენ მისი კაბინეტიდან. დროის ამ მოკლე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან და დამაბულ მონაკვეთში ფორესტი ყველას ისე უხვდებოდა, როგორც ნამდვილ მეურნეს შეეფერებოდა. იკვლევდა ყველა წვრილმანს თავის საოცრად რთულსა და თავისებურ სფეროში. ერთხელ მექანიკოს ტომპსონს ოთხ წუთში აუხსნა, თუ რატომ მუშაობდა ცუდად დიდი სახლის მაცივრის დინამომანქანა, რაშიაც თვით ტომპსონს ადანაშაულებდა. ბონბრაიტს კი ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნიდან ის თავი და სტრიქონები ჩაანიშნინა, რომელიც ტომპსონს ამ საქმის მოგვარებასთან დაკავშირებით უნდა წაეკითხა. მერე

ისიც უთხრა, მერძევეობის ფერმის მმართველი პარკმენი საწველი მანქანების კმაყოფილი არ არის და სასაკლავოს მაცივარიც გაუმართავიაო.

ფერმის ყოველი თანამშრომელი საუკეთესო სპეციალისტი და საკუთარი საქმის დიდი მცოდნე გახლდათ. თავად ფორესტი ყველა დარგში საუკეთესოდ ერკვეოდა. ერთხელ ხვნა-თესვის საქმეთა გამგებელი აგრონომი პოლსონი ასე შესჩიოდა მოსავლის აღებაზე პასუხისმგებელ აგრონომ დოსონს:

— აი, უკვე თორმეტი წელია აქ ვმუშაობ და არ მახსოვს, თუნდაც ერთხელ ფორესტი გუთანს გაჰკარებოდეს, მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, ყოველივე ზედმიწევნით იცის. გენიალური ადამიანია! ერთხელ რაღაც სხვა საქმით იყო გართული, თან იმ კაციჭამია, თავზეხელაღებული ფაშატისათვის თვალყური უნდა ედევნებინა, რამე ახალი ოინი არ ჩაედინა. მეორე დღეს კი, ვითომ სხვათა შორის, მეუბნება, ველების მახლობლად ჩავიარე და ამდენი და ამდენი დუიმის სიღრმეზეა მოხნულიო. თანაც ნახევარი დუიმის სისწორით განსაზღვრა. ბოლოს ისიც დაუმატა, თუ რომელი გუთნით იყო დახნული. აი თუნდაც პოპის მინდვრების ამბავი, პატარა ველების ზემოთ, ლოსკვატოზე... პირდაპირ არ ვიცოდი რა მექნა, გამოსავალს ვერა ვხედავდი. იძულებული გავხდი, ეწერიც კი გადაგვებრუნებინა და ორპირად დაგვეხნა. ვფიქრობდი, იქნებ, როგორმე ვასიამოვნო-მეთქი. როცა ყველაფერი დამთავრდა და ცხენით ჩამოიარა, თვალს არ ვაშორებდი. წარმოიდგინეთ, თითქოს ერთხელაც არ გაუხედავს დახნული ადგილებისაკენ, მაგრამ მეორე დილით კანტორაში სასტიკი საყვედური მივიღე. არა, მე ოდნავადაც ვერ შევძელი შეცდომაში შემეყვანა. იმ დღის შემდეგ ამდაგვარი აღარაფერი მიფიქრია...

სრულ თერთმეტ საათზე ცხვრის ფარებისა და მწყემსების საქმეთა გამგებელი ფორესტის დავალებით კანტორიდან გავიდა. ნაბრძანები ჰქონდა, თორმეტის ნახევარზე აიდაჰოდან ჩამოსულ ცხვრის შემსყიდველ თეიერთან ერთად მანქანებით შროპშირის ფარების დასათვალიერებლად წასულიყო. გამოვიდა ბონბრაიტიც იმდღევანდელი ჩანაწერების გასაშიფრავად.

როგორც იქნა, ფორესტი მარტო დარჩა. წვრილი მავთულისაგან მოწნული ლანგარიდან, სადაც დაუმთავრებელ საქმეებს დებდნენ, ასეთი ლანგრები კი უამრავი ჰქონდათ, აიოვას შტატში გამოცემული ბროშურა ამოიღო და კითხვა დაიწყო.

ამ წარმოსადეგი, ორმოცი წლის კაცის სიმაღლე ხუთ ფუტსა და ათ დუიმს აღწევდა. წონა კი ას ოთხმოც პაუნდს. მას დიდი ნაცრისფერი თვალები, გრძელი მუქი წამწამები და წარბები, არცთუ ძალიან მაღალი შუბლი და ღია წაბლისფერი თმა ჰქონდა. ყვრიმალის ძვლები ოდნავ ემჩნეოდა, მათ ქვემოთ კი სახის ასეთი წყობისათვის დამახასიათებელი, სრულიად უმნიშვნელო ჩაზნექილობა, ძლიერი, შესანიშნავი მოყვანილობის, მამაკაცური ყბის ძვლები, სწორი თხელნესტოებიანი არცთუ დიდი ცხვირი, სიმტკიცისა და არა პირქუშობის გამომხატველი გაუყოფელი ნიკაპი საოცარ მიმზიდველობას ჰმატებდა. თითქმის ქალწულებრივი, ნაზად მოხაზული ტუჩები ჰქონდა, თუმცა ისიც იგრძნობოდა, არც სიმტკიცე და ვაჟკაცური შეუპოვრობა იყო მათთვის უცხო ხილი. უნაოჭო და სალუქი სახის კანი მზით გარუჯოდა. მხოლოდ წარბებსა და თმას შორის შერჩენოდა კანის სითეთრე ფართოფარფლებიანი ქუდის ჩრდილის წყალობით.

ტუჩების გარშემო გაჩენილი ნაოჭებიც კი ახლახან გამქრალი სიცილის ნაკვალები გეგონებოდათ, და მაინც სახის თითოეული ნაკვთი მეტად მშვიდ ძალასა და თვითრწმენაზე მეტყველებდა. დიახ, დიკ ფორესტი, მართლაც, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი გახლდათ: დარწმუნებული იმაში, რომ მის მიერ მაგიდისაკენ გაწვდილი ხელი მისთვის საჭირო ნივთს მაშინვე შეუცდომლად მიაგნებდა. ასე წარ-

მოიდგინეთ, ერთი გოჯითაც კი არ უხდებოდა ხელის ცეცება მარჯვნივ თუ მარცხნივ, ყოველთვის პირდაპირ იმ წერტილს აგნებდა, სადაც ნივთი ეგულეობდა. ახლაც, როცა ღორის ჭირის თაობაზე ზერელედ, თვალის ერთი გადავლებით პატარა ბროშურას კითხულობდა, მტკიცედ სწამდა, რომ მისი ნათელი, დაკვირვებული გონება არსებითსა და მნიშვნელოვანს არაფერს გამოტოვებდა. დარწმუნებული იყო საკუთარი სხეულის სიძლიერეში, როდესაც მბრუნავ, საქანაო სავარძელში, მის მაგარ ზურგს მიყრდნობილი სამუშაო მაგიდის წინ იჯდა. დარწმუნებული იყო საკუთარი გულისა და გონების ძლიერებაში, საკუთარ ცხოვრებასა და სამუშაოში, მთელ საკუთარ არსებაში, საერთოდ, ყველაფერში, რაც მას ეკუთვნოდა.

დიკს ჰქონდა ასეთი თვითრწმენის უფლება. მისმა სხეულმა, ტვინმა და ცხოვრების გზამ მრავალნაირ გამოცდას გაუძლო. უმდიდრესი კაცის ერთადერთი შვილი მამის დანატოვარს როდი ფლანგავდა. ქალაქად დაბადებული და აღზრდილი სოფელს დაუბრუნდა, მიწათმოქმედებას მოჰკიდა ხელი და ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ მეცხოველეობისა და მეურნეობის მუშაკები თავიანთ შეკრებებზე პირველად ყოველთვის მის სახელს მოიხსენიებდნენ ხოლმე. მისი თვალუწვდენელი მამული ვალებისა და გირაოსაგან თავისუფალი იყო. ფორესტი, დაახლოებით, ორას ორმაცდაათ ათას აკრ მიწას ფლობდა. ზოგი აკრის ფასი ათასი დოლარი იყო, ზოგისა — ასი, ხოლო ზოგისა ათ ცენტამდეც ეცემოდა. იყო ისეთი მიწებიც, ერთი პენიც არა ღირდა. მთელ იმ არემარეში არავინ უწყობდა, რა განუსაზღვრელი თანხა იხარჯებოდა ჭაობიანი, გამოუყენებელი მიწების სავარგულად ქცევაზე. რა ჯდებოდა ახოების გაჭრა, ჭაობების მანქანებით ამოშრობა.

და აი, ორმოცი წელიც კარს მოადგა დიკ ფორესტს; თვალი კარგად უჭრიდა, გულიც მშვიდად და აუღელვებლად უძგერდა საგულეში, მაჯისცემა — უცვლელი და ახალგაზრდული. ერთი სიტყვით, ჯან-ღონით სავსე კაცი გახლდათ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ოცდაათ წლამდე მეტად უწყესო ცხოვრებას ეწეოდა. მილიონერი მამის სახლიდან გამეტი წლისა გაიქცა, ჯერ კიდევ ოცდაერთი წლისაც არ იყო, როცა საუნივერსიტეტო კურსი დაასრულა და გადაწყვიტა, ამქვეყნად ყველა ზღაპრული სილამაზის ნავსადგური ეხილა და ზღვათა მაცდუნებელი ძალა ეგემნა. ფხიზელი გონებითა და ანთებული გულით დადიოდა. სიცილით უსწორებდა თვალს ცხოვრებისეულ ყოველ განსაცდელს. თავდავიწყებით გადაეშვა სათავგადასავალო სამყაროს ორომტრიალში, რომელიც მის თვალწინ გარკვეული კანონზომიერებისა და წესრიგიანობის ჩარჩოებში ექცეოდა ხოლმე.

ერთ დროს სან-ფრანცისკოში ფორესტების მამას მაგიური ძალა გააჩნდა. ნობ-ჰილზე წამოჭიმული ფორესტების დიდი სახლი, სადაც ფლუდები, კროკერები და ო'ბრაინები ცხოვრობდნენ, იმ მიდამოებში იმხანად აშენებული პირველი სასახლე იყო. დიკის მამას, რიჩარდ ფორესტს, «ქუდბედიანს» ეძახდნენ. იგი პანამის ყელის გამოვლით, წმინდა კომერციული თვალსაზრისით, ახალ ინგლისად წოდებულ ძველთამველი ქვეყნიდან გადმოსახლდა. გადმოსახლებამდე სწრაფმავალი გემებითა და მათი მშენებლობით იყო დაინტერესებული. კალიფორნიაში ჩამოსვლისას კი პორტის ახლომახლო მიწების შეძენითა და სამდინარო გემებით დაინტერესდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მადაროების, ნევადაში კომსტოკის ამოშრობისა და სამხრეთ-წყნარ ოკეანის რკინიგზის მშენებლობის უდიდეს საქმეებში ჩაება.

იგი მხოლოდ დიდ საქმეს ეჭიდებოდა — დიდ თანხას აგებდა და ასევე დიდ თანხას იგებდა. რა თქმა უნდა, მოგებული უფრო ხშირად გამოდიოდა. რასაც ერთი ოპერაციისას კარგავდა, მეორეგან სამკვეცად იბრუნებდა. კომსტოკის ამოშრობით მოგებული მთელი თანხა ელდორადოს საგრაფოში, დეფოდლის მადაროთა უძირო ხა-

როებში გადაუშვა. რაც ბენისლაინზე გაკოტრებას გადაარჩინა, «ნაპა კონსოლიდეი-ტედში» ვერცხლისწყლის საბადოებში დააბანდა, საიდანაც ხუთი ათას პროცენტიაანი სარგებელი ნახა. ხოლო რაც სტოკტონის საბირჟო აურზაურის დროს დაკარგა საკრამენტოსა და ოკლენდის მამულების შეძენის შედეგად, დიდი სარგებლით დაიბრუნა.

დასასრულ, ამ ფრიად საოცარ საქმეთა მოთავემ, «ქუდბედიანმა» რიჩარდ ფორესტმა ყველაფერი დაკარგა და უბედურება უბედურებაზე დაატყდა. იმდენად ცუდად წაუვიდა საქმე, რომ სან-ფრანცისკოში იმის თაობაზეც კი ბჭობდნენ, საჯარო ვაჭრობით აუქციონზე რა ფასში გაიყიდებოდა მისი ნობ-ჰილის სასახლე. რიჩარდ ფორესტი ამ დროს ვინმე დელ ნელსონს მექსიკაში საექსპედიციოდ ყველა საჭირო მასალით ამარაგებდა. ამ მიზეზის შედეგად, თუ ისტორიის უტყუარ მასალებს ვერწმუნებით, სწორედ დელ ნელსონმა აღმოაჩინა «ჰარვესტის ოქროს საბადო», რომელიც დაუღვეელი მარაგის მქონე ტეტელსნიეკის, ვოისის, სიტის, დეზდემონას, ბულფორტის, ნელიუ-ბაის მადაროებს მოიცავდა. ამ ზღაპრული მარაგის აღმოჩენით გონწართმეული დელ ნელსონი ისე გალოთდა, რომ მდარე ხარისხის ვისკში ჩაიხრჩო თავი. ნელსონი მარტოხელა კაცი იყო. მემკვიდრეობას არავინ ეცილებოდა და თავისი აურაცხელი სიმდიდრე «ქუდბედიან» რიჩარდ ფორესტს დაუტოვა.

დიკ ფორესტი მამის ჭეშმარიტი განსახიერება გახლდათ. ბედნიერ ვარსკვლავზე შობილ რიჩარდ ფორესტს ამოუწურავი ენერჯია ჰქონდა, ყოველივეს თავად თაოსნობდა, მაგრამ ოჯახური ბედნიერება არ ეღირსა; ორჯერ დაქორწინდა და ორჯერვე დაქვრივდა. ღმერთმა ისე ინება, რომ ორჯერვე უძეოდ დატოვა. მესამედ რიჩარდმა 1872 წელს იქორწინა, როცა უკვე ორმოცდათვრამეტი წლის კაცი იყო. 1874 წელს რიჩარდ ფორესტის ოჯახს სრულიად ჯანმრთელი, თორმეტი გირვანქა წონის მტირალა ვაჟი მოევლინა, რომლის ამქვეყნად მოსვლამ დედის სიცოცხლე შეიწირა. ახალშობილს ნობ-ჰილის სასახლეში მიძებნი მიუჩინეს აღსაზრდელად.

პატარა დიკი ნაადრევად მომწიფდა. «ქუდბედიანმა» რიჩარდმა, თვითონაც დემოკრატიკა შვილს აღსაზრდელად კერძო მასწავლებლები მიუჩინა. ბავშვმა ერთი წლის განმავლობაში შეისწავლა ის, რასაც სკოლაში სამი წლის თანმიმდევრული სწავლა დასჭირდებოდა. ამ გზით მოპოვებულ დროს დიკი გარეთ, ჰაერზე თამაშში ატარებდა. დიკის ნიჭიერებისა და მამის დემოკრატიკობის წყალობით მოხდა ისიც, რომ მოხუცმა ვაჟიშვილი დამამთავრებელ კლასში, ჩვეულებრივ, სახალხო სასწავლებელში შეიყვანა. დაე, ისწავლოს და მუშათა, გამყიდველთა, ლუდხანების მფლობელთა, მიკიტანთა და მოპოლიტიკოსო ადამიანთა წრიდან გამოსულ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს დაუახლოვდესო.

სასწავლებელში იგი ისეთივე მოსწავლე იყო, როგორც ბევრი სხვა. მამის მილიონებს არ შეეძლო იმ ფაქტის შეცვლა, რომ სწორედ აგურის მზიდავის შვილი ჰელორენი იყო ვუნდერკინდი მათემატიკაში და არა დიკი, ან თუნდაც ორთოგრაფიაში გამარჯვებული მემწვანილე ქვრივი ქალის შვილი მონა სანგვინეტი. აბა რას უშველიდა მამის მილიონები ან ნობ-ჰილის სასახლე, როდესაც პატარა დიკმა ქურთუკი გაიძრო და შიშველი ხელებით, ყოველგვარი სპორტული კანონებისა და რაუნდების გარეშე, ცხარე ბრძოლაში ჯიმი ბოტსს, ჯონ ჩოინსკისა და სხვა ჭაბუკებს შეება. ესენი იმ ვაჟკაცური შემართების მქონე თაობის წარმომადგენელნი იყვნენ, რომელნიც მხოლოდ სან-ფრანცისკომ გამოზარდა და მსოფლიო არენაზე გამოიყვანა თავისი დაუდგრომელი, მშფოთვარე, ძლიერი და ჯანსაღი აღზევების პერიოდში. დიახ, ეს სწორედ ის თაობა გახლდათ, რომელთა წრიდანაც ამდენი კრივის ოსტატი გამოვიდა და სახელისა და შემოსავლის მოსახვეჭად მსოფლიოს მოეფინა.

ყველაზე გონივრული, რაც რიჩარდ ფორესტმა შვილისათვის გააკეთა, ეს ბავშვის დემოკრატიული აღზრდა გახლდათ. ჭაბუკს ფარულად, სულის სიღრმეში არასოდეს ავიწყებოდა, რომ ის დიდებული სასახლის მკვიდრი იყო და აურაცხელი მსახური დასტრიალებდა თავს, რომ მამამისი, ძღვევამოსილი მილიონერი, ფრიად პატივცემულ და გავლენიან პირად ითვლებოდა საზოგადოებაში, მაგრამ, ამასთან ერთად, პატარა ფორესტს გაუჩნდა იმ დაბალი წრის ადამიანების პატივისცემა, რომელთაც მხოლოდ თავისი გამრჯე ხელის იმედი უნდა ჰქონოდათ.

აბა რას უშველიდა მამამისის სასახლეები და საბანკო ქვითრები, როცა ტიმ ჰეგენმა მეასეჯერ გაუხეთქა ცხვირი და ტუჩები, ფერდებსა და მუცელში იდაყვების ცემით უთვალავჯერ დაბლა დაანარცხა, თან ისე ძლიერად, რომ სულშეგუბებულსა და აქვითინებულს დასიებული ტუჩების ოდნავ განძრევაც აღარ შეეძლო. მას საკუთარი მუშტით უნდა დაეცვა თავი. სწორედ აქ, ოფლში გაღვრილმა, გასისხლიანებულმა ისწავლა შეურიგებელი ბრძოლა, შეუდრეკელობა და დაუმორჩილებლობა მაშინაც კი, როცა ბრძოლა წაგებული იყო. ტიმის დარტყმები აუტანელ წამებას აყენებდა, მაგრამ იტანდა. ითმინა მანამ, ვიდრე არ დაასკვნეს, ესენი ერთურთს ვერ აჯობებენო. ამ დასკვნამდე კი მხოლოდ მაშინ მივიდნენ, როდესაც ორივენი ძალაგამოცლილები აქეთ-იქით ეყარნენ, ტკივილებისაგან იგრიხებოდნენ და გააფთრებისა და სიკერპისაგან გული ერეოდათ. ამ ამბის შემდეგ დამეგობრდნენ კიდევ და სკოლის ეზო-გარემოში მხოლოდ ისინი მესვეურობდნენ.

«ქუდბედიანი» რიჩარდ ფორესტი სწორედ იმ თვეში გარდაიცვალა, დიკმა რომ სასწავლებელი დაამთავრა. დიკს მაშინ მხოლოდ ცამეტი წელი შეუსრულდა და ნათესავიც არავინ ჰყავდა ამქვეყნად, მის საქმეებში რომ ჩარეულიყო. ბავშვი მამის ოცი მილიონის მემკვიდრედ გამოაცხადეს. ამასთანავე, მის განკარგულებაში იყო სასახლეები, უამრავი მოსამსახურე, ორთქლის სწრაფმავალი აფრიანი იახტა, განსაცვიფრებელი საჯინბოები, ხოლო ზღვის სანაპიროზე, ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთით, მენლოში მდიდრული საზაფხულო ვილა. მაგრამ ყოველივე ამით სარგებლობის შემზღვევანიც გამოჩნდნენ. ესენი, რა თქმა უნდა, მისი მეურვენი გახლდნენ.

და აი, ზაფხულის ერთ დღეს დიკი დიდ ბიბლიოთეკაში გამართულ მათ პირველ შეკრებას დაესწრო. სამნი იყვნენ, ხანშიშესული, მდიდარი საქმოსნები. მამამისის, რიჩარდ ფორესტის, იურიდიული კომპანიონები. როდესაც მეურვეებმა დიკს საქმის ვითარება გააცნეს, დიკმა იგრძნო, რომ, მიუხედავად მათი კეთილი სურვილებისა, ამ ადამიანებთან საერთოს გამონახვა არასოდეს შეეძლებოდა. მათ დიდი ხანია ჭაბუკური წლები ხელიდან გასცლოდათ და ახლა სრულიად სხვაგვარად აზროვნებდნენ. გარდა ამისა, დიკმა ისიც ნათლად შენიშნა, რომ სრულიად არაფერი გაეგებოდათ, სახელდობრ, მისი, ამ ცამეტი წლის ბიჭუნას სურვილებისა და ფიქრებისა, რომლის ბედიც მათ ამგვარად აღელებდათ. ალბათ, ამიტომაც დიკმა გულში მტკიცედ გადაწყვიტა, რომ თვით იყო ამქვეყნად ერთადერთი ადამიანი, ვისაც ყველაზე ნათლად ესმოდა, რა იქნებოდა მისთვის უკეთესი მომავალში ან, საერთოდ, როგორ უნდა მოქცეულიყო.

მისტერ კროკეტი ვრცელი სიტყვით წარსდგა ამ საკრებულოს წინაშე. დიკი შესაფერისი ყურადღებით უსმენდა და ყოველთვის, როდესაც მოსაუბრე პირადად მას მიმართავდა, მოკრძალებით უქნევდა თავს. მისტერ დევიდსონმა და მისტერ სლოკუმმაც გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებანი. მათ სიტყვებსაც ჭაბუკი არანაკლები ყურადღებით უსმენდა. სხვათა შორის, დიკმა მათი სიტყვებიდან შეიტყო, რა კეთილშობილი, განსაკუთრებული, შესანიშნავი ღირსებით შემკული კაცი ყოფილა მისი მამა, რიჩარდ ფორესტი. ამასთანავე მეურვეებს ჰქონდათ დიდი სურვილი და საკუთა-

რი გეგმაც კი, რათა ბიჭუნა ასეთივე კეთილშობილებით აღსავსე სახელოვან პიროვნებად აღეზარდათ.

როდესაც მათ თავიანთი სიტყვები დაასრულეს, დიკმა აზრის გამოთქმის ნება ითხოვა.

— ყოველივე დიდი ხანია მოვისაზრე, — განაცხადა მან. — პირველ ყოვლისა, მსურს სამოგზაუროდ წავიდე.

— ეს, რა თქმა უნდა, შემდგომ, ჩემო ბიჭუნი, — თბილად შენიშნა მისტერ სლოკუმმა, — ვთქვათ, როდესაც უკვე მზად იქნებით უნივერსიტეტში შესასვლელად... დიახ, იმ დროისათვის ერთი წელი საზღვარგარეთ ცხოვრება, მართლაც რომ, მეტად სასარგებლო იქნებოდა თქვენთვის.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — სწრაფად დაუმატა მისტერ დევიდსონმა, რადგან შენიშნა, რომ ბავშვის თვალეზში უკმაყოფილების ცეცხლმა გაიელვა და ჯიუტად მოკუმა ბაგენი. — დასაშვებად მიმაჩნია, მანამდეც მოაწყოთ პატარ-პატარა მოგზაურობანი, თუმცა არდადეგების დროსაც შეიძლება... ჩემი კოლეგები დამეთანხმებიან, რომ ასეთი მოგზაურობანი უნდა მოეწყოს შესაფერისი მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით. ვიმეორებ, რა თქმა უნდა, არდადეგების დროს ასეთი რამ სასურველი და ჭკუის სასწავლებელიც იქნება.

— მაინც რამდენი მაქვს ფული? — იკითხა დიკმა სრულიად მოულოდნელად.

— სულ ცოტა, ოცი მილიონი... დიახ, მიახლოებით ასეთი თანხაა, — დაუფიქრებლად უპასუხა მისტერ კროკეტმა.

— ვთქვათ, მე გთხოვთ ორასი დოლარი? — განაგრძო დიკმა.

— კი მაგრამ, დიახ, ეს... ჰმ... — მისტერ სლოკუმმა კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო კოლეგებს.

— იძულებული ვართ, გკითხოთ, რისთვის გჭირდებათ ეს თანხა? — იკითხა მისტერ კროკეტმა.

— რა მოხდება... — ჩაილაპარაკა დიკმა და თან მისტერ კროკეტს პირდაპირ თვალეზში მიაჩერდა, — თუ მოგახსენებთ, რომ ფრიად ვწუხვარ, მაგრამ არ შემიძლია, ვერ აგიხსნით, რისთვის მჭირდება-მეთქი?

— ასეთ შემთხვევაში, თქვენ მას ვერ მიიღებთ. — მტკიცედ წარმოთქვა მისტერ კროკეტმა. პასუხს გალიზიანება და წყენა ემჩნეოდა.

დიკმა ისე ფიქრიანად დაუქნია თავი, თითქოს პასუხის დამახსოვრებას ცდილობსო.

— დიახ, ჩემო ბიჭუნი, — საჩქაროდ ჩაერია საუბარში მისტერ სლოკუმი, — შენ ჯერ იმდენად პატარა ხარ, რომ გაგიძნელდება ამ თანხისათვის თავის გართმევა, ეს ხომ შენ თვითონ კარგად უწყი და ისიც კარგად იცი, ჯერჯერობით ჩვენ ვართ მოწვეული შენ მაგივრად ამ საქმის მოსაგვარებლად.

— ჩანს, რომ თქვენი ნებართვის გარეშე მე არ ძალმიძს მოვიხმარო ერთი პენიკი?

— არც ერთი პენი! — მოკლედ მოუჭრა მისტერ კროკეტმა.

დიკმა კვლავ ფიქრიანად ჩაჰკიდა თავი და ჩაიჩურჩულა:

— ო, დიახ, მესმის...

— რა თქმა უნდა, სრულიად ბუნებრივი იქნება და სამართლიანიც ამ თანხიდან ყოველდღიური, პირადი საჭიროებისათვის ჯიბის ფულს გამღვედეთ, — დაუმატა მისტერ დევიდსონმა.

— შეგვიძლია, მხოლოდ დოლარი ან ორი დოლარი მოგცეთ კვირაში. თქვენი მომწიფების შესაბამისად მოგემატებათ თანხის ოდენობაც. ხოლო, როდესაც ოცდაერ-

თი შეგისრულდებათ, უთუოდ თვით შეძლებთ საკუთარი საქმე დამოუკიდებლად განაგოთ; რა თქმა უნდა, არც მაშინ მოგაკლებთ საჭირო რჩევა-დარიგებას.

— სანამ ოცდაერთი წელი შემისრულდება, ოცდაერთი მილიონის პატრონს ნებას არ მაძლევთ, თუნდაც ასი დოლარი დავხარჯო ჩემი სიამოვნებისათვის? — მშვიდად იკითხა დიკმა.

მისტერ დევიდსონი აპირებდა შეკითხვის დადასტურებას და გონებაში უფრო თბილ სიტყვებს ეძებდა, რომ დიკმა კვლავ დაარღვია მყუდროება:

— როგორც თქვენი საუბრიდან გავიგე, შესაძლებელია, ჩემი კუთვნილი თანხიდან ცოტაოდენი მხოლოდ თქვენი საერთო შეთანხმების შედეგად დავხარჯო? მეურვენი თავის ქნევით დაეთანხმნენ.

— და რა თანხაზედაც შევთანხმდებით, მომეცემა?

მეურვეებმა კვლავ დასტური განაცხადეს.

— მაშინ მომისმინეთ, მინდა ახლავე მივიღო ასი დოლარი, — გადაჭრით განუცხადა დიკმა.

— რისთვის გჭირდებათ? — ჰკითხა პასუხად მისტერ კროკეტი.

— დიახ, მოგახსენებთ, — მშვიდად უპასუხა პატარა ფორესტმა. — გასამგზავრებლად მჭირდება.

— ამ საღამოს სრულ ცხრის ნახევარზე თქვენ მხოლოდ დასაძინებლად წახვალთ და არსად სხვაგან. — მკაცრად შეესიტყვა მისტერ კროკეტი.

— ვერავითარ ას დოლარს ვერ მიიღებთ. ის მანდილოსანი კი, რომლის თაობაზეც გელაპარაკეთ, ექვსი საათისათვის აქ იქნება. თქვენ ყოველდღიურად და ყოველ წუთს მისი ზედამხედველობის ქვეშ იქნებით. ჩვეულებრივ, ყოველ დღე შვიდის ნახევარზე ისადილებთ, ისიც თქვენთან ერთად ისადილებს და იზრუნებს, რომ დროზე დაწვეთ, როგორც უკვე აგიხსენით, ის თქვენ დედის მაგივრობას გაგიწევთ. მეთვალყურეობას არ მოგაკლებთ. აი, ვთქვათ, რომ ყოველ დილით დაიბანოთ ყელი და ყურები.

— და რომ ყოველ შაბათს აბაზანა მივიღო, — დიდი მოწიწებით დაურთო დიკმა.

— დიახ, სწორედ ასეა.

— რამდენი უნდა გადაუხადოთ... უკეთ, მე რამდენი უნდა გადავუხადო იმ მანდილოსანს სამსახურისათვის? — განაგრძო დაკითხვა დიკმა იმგვარი გამაღიზიანებელი ჩაკირკიტებით, რომელიც უკვე ჩვეულებად ქცეოდა და რასაც მოთმინებიდან გამოჰყავდა მისი მასწავლებლები თუ ამხანაგები.

მისტერ კროკეტიმ ჯერ ჩაახველა და ოდნავ შეყოვნდა.

— იმ მანდილოსანს ხომ მე ვუხდი, ასე არ არის განა? — დაჟინებით წარმოთქვა დიკმა, — ჩემი ოცი მილიონიდან, სწორია?

«პირწავარდნილი მამაა», — გაიფიქრა მისტერ სლოკუმმა.

— მისის სომერსტონი ანუ «ის მანდილოსანი», როგორც თქვენ უწოდებთ მას, მიიღებს ას ორმოცდაათ დოლარს თვეში, ანუ წელიწადში ზუსტად ათას რვაას დოლარს... — აუხსნა მისტერ კროკეტმა.

— ესაა ფუჭად გადაყრილი ფული, — ოხვრით განაცხადა დიკმა. — ამას მიუმატეთ ბინა და კვება!

დიკი წამოდგა. წარმოშობით, რა თქმა უნდა, ეს ცამეტი წლის ყრმა არისტოკრატი არ გახლდათ, მაგრამ ნობ-ჰილის სასახლეში აღზრდილს, მეურვეთა წინაშე ისე ამყავდა ეჭირა თავი, რომ მეურვენიც თავისდაუნებურად იძულებული გახდნენ, ტყავის სავარძლებიდან წამომდგარიყვნენ. თუმცა დიკი ისე მაინც ვერ იდგა, როგორც

ოდესღაც ლორდ ფაუნტლეროი<sup>1</sup> (1 ლორდ ფაუნტლეროი — ამერიკელი მწერალი ქალის ბერნეტის ნაწარმოების «პატარა ლორდ ფაუნტლეროის» მთავარი გმირი.) დადგებოდა, რადგან მასში ორი სტიქია იბრძოდა. მას სწამდა, რომ ადამიანთა ცხოვრება მრავალსახაა და მრავალფერი. ტყუილად კი არ აღმოჩნდა მონა სანგვინეტი მასზე ძლიერი ორთოგრაფიაში და არც ტიმ ჰაგენს შეებმია ცხარე ბრძოლაში ტყუილად, შემდეგ რომ მეგობრობდა მასთან და გავლენას იხვეჭდა მეგობართა შორის.

დიკი იმ კაცის ვაჟიშვილი გახლდათ, ვინც ორმოცდაცხრა წლის ოქროს ციებ-ციხელება გადაიტანა. შინ არისტოკრატად აღზარდეს, ხოლო სკოლაში დემოკრატად. ნაადრევად განვითარებული და ყოვლის წინასწარგამჭვრეტი მისი მახვილი გონება მალევე ჩასწვდა დიდ სხვაობას პირივილეგიურ მაღალ წოდებასა და დაბალ ფენებს შორის. გარდა ამისა, საკუთარ არსებაში ისეთ დიდ ძალას გრძნობდა და ისეთი უშფოთველი თვითდამშვიდებით იყო აღსავსე, რაც სრულიად გაუგებარი გახლდათ ამ სამი ხანშიშესული ჯენტლმენისათვის, რომელთა ხელთ იყო მისი ბედი. მათ ვალდებულებაც იკისრეს, კიდევ უფრო გაეზარდათ მისი მილიონები, ექციათ დიკი საკუთარი იდეალების შესაფერ პიროვნებად.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ დიდი სიკეთისა და კაცთმოყვარეობისათვის, რაც თქვენ ჩემ მიმართ გამოამჟღავნეთ, — მიმართა ყრმამ სამივეს ერთად. — ვიმედოვნებ, შევთანხმდებით. რა თქმა უნდა, ეს ოცი მილიონი მე მეკუთვნის. დარწმუნებული ვარ, თქვენ ჯეროვნად იზრუნებთ მასზე და დრომდე შემინახავთ. საქმეებისა მე ხომ ჯერ მართლაც არაფერი გამეგება...

— დიახ, ჩვენ ამ თანხას უთუოდ გავადიდებთ, ჩემო ბიჭუნო. დიახ, სრულიად უშიშარი და ნაცადი საშუალებებით გავზრდით, — განაცხადა მისტერ სლოკუმმა.

— მაგრამ ყოველივე სპეკულაციის გარეშე უნდა მოხდეს, — გააფრთხილა ისინი დიკმა. — მამას ბედი სწყალობდა, მაგრამ მისგანვე მსმენია, რომ ახლა სრულიად სხვა დრო დადგა და არ შეიძლება ადამიანმა ისეთივე რისკი გასწიოს ცხოვრებაში, როგორსაც წინათ ეწეოდნენო.

ყოველივე ამის საფუძველზე, ადამიანს შეეძლო ეფიქრა, რომ დიკი ანგარების მოყვარული იყო, მაგრამ პირიქით, იმ წუთებში მისი ფარული ზრახვანი და გეგმები ახლოსაც არ გაჰკარებია მის ოც მილიონს. ყრმა მეტისმეტად გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდა ამ განსაცვიფრებელი თანხისადმი. მისი ფიქრი და გონი მას უფრო იმ მთვრალ მეზღვაურს ამსგავსებდა, რომელიც სამი წლის ნაშოვარს ზღვის სანაპიროზე ერთ დღეში გაფანტავს.

— მართალია, მე ჯერ სრულიად პატარა ვარ... — განაგრძობდა დიკი... — მაგრამ თქვენ კარგად არ მიცნობთ. სულ ცოტა ხანში ჩვენ უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს. ახლა კი კვლავ მადლობას მოგახსენებთ...

ბიჭი დადუმდა და ამაყად დახარა თავი მათ წინაშე, ისე ღირსეულად, როგორც ნობ-ჰილის სასახლეებში ადრეული წლებიდანვე ასწავლიდნენ ხოლმე ლორდებს. მისი დუმილი აუდიენციის დამთავრებას ნიშნავდა. არც მეურვეებს გამოუხატავთ სიტყვიერი უკმაყოფილება. მამის უახლოესი, დარცხვენილი და შეშფოთებული მეგობრები, რომლებთანაც იგი დიდსა და რთულ საქმეებს აგვარებდა, დუმილით განშორდნენ ყრმას.

მეურვენი ფართო ქვის კიბეს მიუყვებოდნენ, რომლის ბოლოს ეტლი ელოდათ. მისტერ დევიდსონი და სლოკუმი მზად იყვნენ მთელი თავიანთი რისხვა და გულისწყრომა გადმოენთხიათ, მაგრამ მისტერ კროკეტმა, რომელიც რამდენიმე წამის წინ ასე აღელვებული იყო და უკმეხად ეწინააღმდეგებოდა ყრმას, ახლა აღტაცებით წამოიძახა:

— დახეთ, მაგ ეშმაკის ფეხს!

ეტლმა ისინი ძველ, წყნარი ოკეანის კლუბამდე მიიყვანა. შეფიქრიანებულნი და შეწუხებულნი ლამის ერთი საათი კიდევ მსჯელობდნენ დიკ ფორესტის მომავალზე. ერთმანეთს შესჩიოდნენ, როგორ გადაეწყვიტათ ეს ფრიად სამწელო ამოცანა, რომელიც ბედნიერ ვარსკვლავზე შობილმა რიჩარდ ფორესტმა დაატეხათ თავს.

დიკი ამ დროს ბალახით დაფარულ გორაკის ფერდობიდან ცხენებისა და ეტლებისათვის მეტად ციცაბო დაღმართზე, ქვევით, ქვაფენილისაკენ ჩარბოდა. რაც უფრო დაბლა ეშვებოდა და უკან ტოვებდა წარმტაც გორაკებს, საზაფხულო ვილებსა და მილიონერთა ზღაპრული სილამაზის ბაღნარებს, ქუჩები უფრო და უფრო ვიწროვდებოდა. ახლა უკვე მხოლოდ ხის ქოხმახები ჩანდა, სადაც მშრომელი ხალხი ბინადრობდა. 1887 წელს სან-ფრანცისკო ჯერ კიდევ სასახლეებისა და ქოხმახების ერთმანეთში არეულ-დარეულ ქალაქს წარმოადგენდა, ისევე, როგორც, ყოველი სხვა ევროპული ქალაქი. ნობ-ჰილიც, შუასაუკუნეობრივი ციხეების მსგავსად, დაბალი ფენების სიბინძურესა და სილატაკეზე აღმოცენდა.

ბოლოს ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში, საბაყლო დუქნის მახლობლად შეჩერდა, რომლის თავზეც ტიმ ჰეგენი-უფროსი ცხოვრობდა. ტიმ ჰეგენის მამა პოლიციაში მსახურობდა და უფლებამოსილი იყო, ეს ადგილი დაექირავებინა და თავის თანამემამულეთა მალლა ეცხოვრა. თვითრად მას ასი დოლარი ხელფასიც ეძლეოდა, მაშინ, როდესაც მისი თანამემამულენი მხოლოდ ორმოცი, ორმოცდაათი დოლარით არჩენდნენ ოჯახებს.

ღია ფანჯრების ქვეშ მდგარი დიკი კარგა ხანს უშედეგოდ უსტვენდა. ჩანდა, მისი მეგობარი ტიმი შინ არ იყო. ბოლოს სტვენა შეწყვიტა და გონებაში ახლომახლო ადგილებს მოავლო თვალი, სადაც ჰეგენი შეიძლებოდა ყოფილიყო. სწორედ ამ დროს ქუჩის კუთხეში ტიმიც გამოჩნდა. მას ქაფიანი ლუდით პირთამდე ავსებული თავდაუხურავი თუნუქის ჭურჭელი ეჭირა ხელში. დიკის დანახვაზე ბიჭმა მისალმების-მაგვარი რაღაც ჩაიბუტბუტა. დიკმაც ასევე ბუტბუტით რაღაც უხერხულად უპასუხა, თითქოს სწორედ მას ერთი საათის წინ საკუთარ სასახლეში ისე გაბედულად და მედიდურად არ დაეთხოვა ამ დიდი ქალაქის სამი უმდიდრესი უგვირგვინო მეფე. ახლა კი ჩვეულებრივი ბიჭური ენით ესაუბრებოდა ტიმს, თავის მეგობარს. მის სასაუბრო ტონს არაფერი ეტყობოდა, რომ მომავალში იგი ოცი მილიონის, ხოლო დროთა განმავლობაში, იქნებ, გაცილებით უფრო მეტის მფლობელი იქნებოდა.

— მამაშენის სიკვდილის შემდეგ აღარ მინახიხარ, — შენიშნა ტიმმა.

— სამაგიეროდ, ახლა მხედავ, — გამოეპასუხა დიკი. — იცი რა, ტიმ, საქმეზე ვარ მოსული.

— კარგი, დამიცადე, სანამ მამას ლუდს ავუტან, — უპასუხა ტიმმა და გამოცდილი თვალი შეავლო თუნუქის კიდებზე ამობურცულ ლუდის ქაფს, — ყვირილით აქაურობას აიღებს, უქაფოდ რომ მივუტანო.

— ჭურჭელი შეანჯღრე და აქაფდება, — ურჩია დიკმა, — მხოლოდ ერთი წუთით მჭირდები. საქმე ის არის, რომ ამაღამ სახლიდან უნდა გავიპარო. გინდა ჩემთან წამოსვლა?

ცნობისმოყვარეობის ცეცხლით აკიაფდა ტიმის პატარა, ცისფერი ირლანდიური თვალები.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა მან.

— არ ვიცი. გინდა წამოსვლა? თუ ჰოს მეტყვი, მერე მოვილაპარაკებთ, როდესაც გზას დავადგებით. შენ ჩემზე უკეთ იცი ყველაფერი — ჰა, გინდა?

— მოხუცი ტყავს გამაძრობს! — წამოიძახა ტიმმა.

— ცემას არც ადრე გაკლებდა, მაგრამ, როგორც ვხედავ, ტყავი ისევ მთელი გაქვს, — მოისმა დიკის აგდებული პასუხი. — შენ მხოლოდ «ჰო» მითხარი და დღეს საღამოს ცხრა საათზე ბორანთან შევხვდებით ერთმანეთს, თანახმა ხარ? ჰა, შევთანხმდით? მოკლედ, ცხრაზე ვიქნები.

— რომ ვერ მოვიდე? — იკითხა ტიმმა.

— სულ ერთია, მაინც წავალ მარტოდმარტო. — დიკი შებრუნდა. ვითომ წასვლას აპირებდა; შემდეგ მაინც შეჩერდა და დაუდევრად გასძახა: — ჯობდა ერთად წავსულიყავით...

ტიმმა ლუდი შეარხია და ისევე დაუდევრად უპასუხა:

— კარგი, აგრე იყოს, იქ დაგხვდები.

ტიმთან განშორების შემდეგ მთელი ერთი საათი ვინმე მარკოვიჩს დაემებდა. მარკოვიჩი წარმოშობით სლოვენელი იყო და ადრე სკოლაში ერთად სწავლობდნენ. მის მამას პატარა, იაფფასიანი რესტორანი ჰქონდა, სადაც ოც ცენტად შეიძლებოდა კარგი სადილით გამასპინძლებოდნენ ადამიანს. მარკოვიჩს დიკის ორი დოლარი ემართა. დიკმა მისგან მხოლოდ დოლარი და ორმოცი ცენტი მიიღო. დანარჩენი შეარჩინა.

დიკს მღელვარება და სირცხვილი ერთნაირად აწამებდა, როდესაც მონტკომერის ქუჩაზე, აურაცხელ ლომბარდებს შორის, რომლებიც ამ ხალხმრავალ, სიცოცხლით და ხალისით სავსე ქუჩას ამშვენებდნენ, დიდხანს დაეხეტებოდა. ბოლოს სასოწარკვეთილმა ერთ-ერთი ლომბარდი ამოარჩია და რვა დოლარსა და საბანკო ქვითარში ოქროს საათი გადაცვალა, რომელიც, სულ ცოტა, ორმოცდაათი დოლარი მაინც ღირდა.

სადილი ნობ-ჰილის სასახლეში შვიდის ნახევარზე იშლებოდა ხოლმე. შვიდს თხუთმეტი წუთი აკლდა, როდესაც დიკი სასახლეში გამოცხადდა და შესვლისთანავე ტანსრულ, კეთილ მისის სომერსტონს შეეფეთა. ოდესღაც მეტად დიდებული პორტერ რიკინგტონის ქალიშვილი იმ სახელგანთქმულ ოჯახთა წრეს ეკუთვნოდა, რომელთა ფინანსური პირობები 70-იან წლების შუა რიცხვებში მთელი წყნარი ოკეანის სანაპიროზე ძალუმად შეირყა. სიმსუქნის მიუხედავად, მისის სომერსტონი, როგორც თვითონ ამბობდა, საოცრად იტანჯებოდა «ნერვების აშლილობით».

— არა, არა, ეს მართლაც აუტანელია, რიჩარდ, — ცხარობდა დიკის საქციელით შემფოთებული მისის სომერსტონი. — სადილი უკვე თხუთმეტი წუთია მოიტანეს და თქვენ ჯერ ხელიც არ დაგიბანიათ.

— ფრიად ვწუხვარ, მისის სომერსტონ, — ბოდიში მოიხადა ყრმამ. — ამიერიდან არასოდეს დავიგვიანებ და არც არასოდეს შეგაწუხებთ საერთოდ.

დიდ სასადილო დარბაზში მხოლოდ ორნი სადილობდნენ. დიკი გულმოდგინედ ცდილობდა მისის სომერსტონის დაინტერესებას, თუმცა მანდილოსანი დაქირავებული ჰყავდა და გარკვეული თანხა უნდა ეხადა, როგორც აღმზრდელისათვის. მასთან თავს ისე გრძნობდა, როგორც ოჯახის პატრონი სტუმრის წინაშე.

— თქვენ შეგიძლიათ აქ მეტად მოხერხებულად მოეწყოთ, — ჰპირდებოდა დიკი. — ეს კეთილმოწყობილი ძველებური მყუდრო სახლია და მსახურნიც კარგა ხანია აქ უცვლელად ცხოვრობენ.

— მაგრამ, რიჩარდ, — ღიმილით შეეპასუხა ქალი, — მსახურნი კი არ წყვეტენ იმ საკითხს, ბედნიერად ვიგრძნობ თუ არა ამ სახლში თავს, არამედ პირადად თქვენ.

— რაც შესაძლებელია, ვეცდები, — ზრდილობიანად უპასუა დიკმა. — მეტსაც გავაკეთებ. ფრიად ვწუხვარ, რომ სადილად დავიგვიანე, აი, ნახავთ, გავა წლები და

ერთხელაც არ დავიგვიანებ. არ მსურს შეგაწუხოთ... აი, ნახავთ. ისე ვიქნები, თითქოს აქ არც კი ვცხოვრობდე.

დიკმა მისის სომერსტონს ღამე მშვიდობისა უსურვა და დასაძინებლად გაემურა, მერე, თითქოს სრულიად შემთხვევით გაახსენდაო, მობრუნდა და დაუმატა:

— მინდა, გაგაფრთხილოთ: კერძოდ, ამ სახლის მზარეულის აჰ სინგის თაობაზე. ეს კაცი ჩვენთან დიდი ხანია ცხოვრობს, აღარც კი მახსოვს, რამდენი წელია. შესაძლებელია, ოცდახუთი ან ოცდაათი. იგი მამას ემსახურებოდა მანამ, ვიდრე ამ სახლს ააშენებდნენ და მე დავიბადებოდი. დიდი უფლებებითაა აღჭურვილი და მიჩვეულია ყოველივე თავის ნება-სურვილზე აკეთოს. ასე რომ, მის წინაშე მეტად ფრთხილად უნდა მოიქცეთ, მაგრამ თუ მოეწონეთ, თქვენი გულისათვის თავს არ დაზოგავს. მე ძალიან ვუყვარვარ, ისე მოიქეცით, რომ შეგიყვაროთ და მაშინ თავს საუკეთესოდ იგრძნობთ ამ სახლში, მე კი, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ შეგაწუხებთ, ისე მოვიქცევი, თითქოს ამ სახლში არც კი ვცხოვრობდე.

### თავი მეხუთე

ცხრას წამიც არ აკლდა, რომ ძველ ტანსაცმელში გადაცმული დიკი ბორანთან ტინ ჰეგენს შეხვდა.

— ჩრდილოეთით წასვლა არა ღირს, — გამოთქვა აზრი ტიმმა. — მალე ზამთარი მოვა და სიცივეში გარეთ ძილი გაგვიძნელებს, გინდა აღმოსავლეთისაკენ გავწიოთ, ნევადასა და უდაბნოების მხარეს?

— კიდევ საით შეიძლება წასვლა? — იკითხა დიკმა. — რა მოხდება, სამხრეთით რომ გავუყვებ? ლოს-ანჯელესს, არიზონას, ახალ მექსიკას ან ტეხასს მივაშუროთ?

— რამდენი გაქვს ფული? — ჰკითხა ტიმმა.

— რაში გაინტერესებს? — ჩაეკითხა დიკი.

— რაც შეიძლება ჩქარა უნდა გავშორდეთ აქაურობას. ჩქარი მოგზაურობისათვის კი ფულია საჭირო. ჩემთვის სულ ერთია. აი, შენი საქმე კი სულ სხვაა. შენი მეურვენი მაშინვე განგაშს ასტეხენ, მდევრებს დაიქირავენ, ისინიც ფეხდაფეხ დაგვედევნებიან. საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად გავეცალოთ აქაურობას.

— რა გაეწყობა, რაკი სხვაგვარად არ შეიძლება... — უპასუხა დიკმა. — რამდენიმე დღე აქეთ-იქით ვიხეტიალოთ, გზა დავხლართოთ, მდევარს კვალი ავუბნოთ, დავემალოთ. ამისათვის კი თანხაა საჭირო. როგორმე ტრეისს უნდა მივალწიოთ. მერე ფულის გადახდა აღარ დაგვჭირდება და სამხრეთისაკენ ვიზამთ პირს.

მთელი ეს გეგმა ბიჭებმა მეტისმეტი სიფრთხილით შეასრულეს. ტრეისამდე ფასის გადახდით იმგზავრეს, ექვსი საათის შემდეგ ადგილობრივმა შერიფმა მატარებლის ჩხრეკა დაამთავრა, მაგრამ დიკმა უსაფრთხოებისათვის სადგურ მოდესტომდე მაინც გადაიხადა მგზავრობის საფასური. მერე კი ფულის გადახდა შეწყვიტა და ტიმის რჩევით ხან საბარგო, ხან სატვირთო ვაგონებით, ხანაც ტენდერებზე ჩამომსხდარებმა გზა ქურდულად განაგრძეს. დიკი გაზეთებს ყიდულობდა და მისი გატაცების თაობაზე მეგობარს ისეთ საოცარ ამბებს უკითხავდა, რომ ტიმს შიშით აციებდა. მართლაც, შიშისმომგვრელად უკითხავდა ფორესტთა მილიონების მემკვიდრის გატაცებისა და დედამიწის პირისაგან გაქრობის ამბავს.

სან-ფრანცისკოში მეურვეებმა ასეთი განცხადება გამოაკრეს, ვინც გაუჩინარებულ დიკს იპოვნიდა და მათ წარუდგენდა, ოცდაათი ათას დოლარს გადაუხდიდნენ, თანაც დამატებით პრემიის სახით გარკვეულ თანხას ჰპირდებოდნენ. ტიმ ჰეგენ-

მა ამ ცნობების კითხვისას, როცა ისინი წყალსადენის მახლობლად მდებარე ისვენებდნენ, თავის პატარა მეგობარს შთამაგონებლად დაუსაბუთა, რომ სინდისი და პატიოსნება რომელიმე განსაკუთრებული კასტის ღირსებას არ წარმოადგენდა და მისი მფლობელნი შეიძლება ყოფილიყვნენ არა მარტო მაღლობზე წამოჭიმულ სასახლეთა მკვიდრნი, არამედ დაბლობში მცხოვრები საცოდავ მებაყლეთა შთამომავალნიც.

— ეშმაკმა დალახვროს! — წამოიძახა ერთხელ ჰეგენმა და მის წინ გადაჭიმულ ლანდშაფტს გახედა: — ჩემი მოხუცი მამა აურზაურს აღარ ატეხდა ჩემი გაუჩინარების გამო, თუ ამ ოცდაათი ათასი დოლარისათვის შენ გაგცემდი. ეჰ! ფიქრიც კი საშინელია!

რადგან ტიმმა ასე გულწრფელად განაცხადა საკუთარი აზრი, დიკს ამ მხრივ საშიშროება არ ელოდა. პოლიციელის ვაჟი მას არავითარ შემთხვევაში არ გასცემდა.

მხოლოდ ექვსი კვირის შემდეგ არიზონაში ყოფნისას დიკი კვლავ შეეხო ამ თემას.

— გესმის, ტიმ, მე დიდძალი თანხა მივიღე მემკვიდრეობით, რომელიც დაუსრულებლად იზრდება, თუმცა იქიდან, როგორც ამჩნევ, ერთ ცენტსაც ვერ ვხარჯავ... მაშინ როცა მისის სომერსტონი ათას რვაას დოლარს იღებს ჩემგან წლიურად. ამას დაუმატე ბინის, კვებისა და ეტლების ხარჯები. მე და შენ კი, როგორც მაწანწალები, ისე ცვხოვრობთ, და ვხარობთ, თუ რომელიმე ცეცხლფარემის ნასუფრალს წავაწყდებით. ამ დროს კი ჩემი კაპიტალი დღითი დღე იზრდება! რამდენია ოცი მილიონის ათი პროცენტი?.. აბა იანგარიშე!

ტიმ ჰეგენი უდაბნოს ცხელი ჰაერის ტალღათა ციალს დააცქერდა და შეეცადა ამოცანა ამოეხსნა.

— რამდენია ოცი მილიონის ერთი მეათედი? — მოუთმენლად გაუმეორა დიკმა.

— რამდენი? ორი მილიონი.

— ხუთი მილიონის ხუთი პროცენტი რამდენია, რამდენს შეადგენს წელიწადში ოცი მილიონის ხუთი პროცენტი?

ტიმი დუმდა.

— ნახევარს, ორი მილიონის ნახევარს, — წამოიძახა დიკმა. — ამგვარად, ყოველ წელიწადში ერთი მილიონით ვმდიდრდები. დაიხსომე და მისმინე: როდესაც მე სასახლეში დაბრუნებას მოვისურვებ, ეს კი ბევრი, ძალიან ბევრი წლის შემდეგ იქნება, ჩვენ, რასაკვირველია, ერთად გადავწყვეტთ ამ საკითხს. შენ აცნობებ მამაშენს, ისიც მოგვნახავს, წაგვიყვანს და წარგვადგენს სადაც საჭიროა. ჩემი მეურვეებისაგან იგი მაშინვე ოცდაათი ათას დოლარს მიიღებს, პოლიციაში სამსახურს, რაღა თქმა უნდა, თავს დაანებებს და საკუთარ ლუდხანას გახსნის.

— ოცდაათი ათასი, იცი, რამდენია?! — უეცრად წამოიძახა ტიმმა, რითაც თავისი განუზომელი მაღლიერების გრძნობა გამოხატა.

— ჩემისთანა მდიდარი კაცისათვის არაფერი, — განაცხადა დიკმა თავისი გულუხვობის დასაფარავად. — ოცდაათი ათასი მილიონში ოცდაცამეტჯერ შედის. ჩემი თანხა კი მილიონით ყოველწლიურად იზრდება.

მაგრამ საბრალო ტიმ ჰეგენს არ ეწერა ენახა როგორ გახდებოდა მამამისი ლუდხანის პატრონი. ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ, ვიღაც საქმისთვის მეტისმეტად თავგამოდებულმა, ფიცხმა კონდუქტორმა ბიჭები ცარიელი სატვირთო ვაგონიდან სწორედ იმ დროს გადმოყარა, როდესაც მატარებელი ხიდზე გადიოდა. ხიდი ქვალორდიან მშრალ ხრამზე იყო გადებული. დიკმა ქვემოთ ჩაიხედა; ხრამის სიგრძე სამოცდაათი ფუტი ნამდვილად იქნებოდა და თავისდაუნებურად შეაჟრჟოლა.

— ადგილი არის, — თქვა მან, — მაგრამ მატარებელი რომ დაიძრას?

— არ წავა, აბა ჩქარა მოუსვით, სანამ დრო გაქვთ, — დაჟინებით განაგრძობდა კონდუქტორი. — ორთქლმავალი მეორე მხარეს წყალს იღებს, ყოველთვის ასეა ამ ადგილას.

მაგრამ სწორედ ამჯერად არ აიღო ორთქლმავალმა წყალი. როგორც შემდეგ გამოირკვა, წყალსატუმბში წყალი არ იყო და მემანქანემ გადაწყვიტა გზა განეგრძო. ბიჭებმა ძლივს მოასწრეს გვერდითი კარიდან მიწაზე გადმოხტომა და ლიანდაგსა და ღრმა ხრამს შორის გაწოლილ ვიწრო ბილიკზე რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, რომ მატარებელი ამოძრავდა. დიკმა, როგორც ყოველთვის, ახლაც სწრაფად გაიაზრა თავისი მდგომარეობა და უმაღლე ოთხზე დადგა. ბიჭს საშუალება მიეცა მაგრად ჩასჭიდებოდა ხიდს და თავი შეემაგრებინა. ვაგონების წინ წამოწეული ნაწილები თავს ზემოთ გადადიოდა, მაგრამ მას ოდნავადაც არ ეხებოდა.

ტიმი გაცილებით ნელი მოაზროვნე გახლდათ, თანაც კონდუქტორის საქციელის გამო წმინდა კელტური სიშმაგე იმდენად მორეოდა, რომ დაბლა დახრის მაგიერ ფეხზე გაშეშებული დარჩა. სურდა კონდუქტორისათვის რისხვით გადაეხედა და მამაპაპურად შეეკურთხებინა...

— დაწეი! დაწეი! სწრაფად! — ყვიროდა გამოუცდელი და ბიჭობაში ჯერ კიდევ სრულიად ახლადფეხადგმული დიკი.

მაგრამ წამები თვალისდახამხამებაში გაქრა. მატარებელი მიქროდა და თანდათანობით სვლას უმატებდა. სახით ვაგონებს მიჩერებული ტიმი გრძნობდა, რომ ზურგს იქით დასაყრდენი არაფერი ჰქონდა. ფეხქვეშ კი დიდი უფსკრული იშლებოდა. ტიმმა ბოლოს მაინც გადაწყვიტა დიკის მაგალითისათვის მიებადა, მაგრამ მობრუნებისთანავე მისი მხარი გაქანებულ ვაგონს მოხვდა, რაღაც სასწაულით გადარჩა, თავი შეიმაგრა და დგომა განაგრძო. მატარებელმა კვლავ უმატა სიჩქარეს. დაწოლა უკვე შეუძლებელი იყო.

დიკი ყველაფერს ხედავდა, მაგრამ განძრევა არ შეეძლო. მატარებელმა სისწრაფეს უმატა, მქროლავი მატარებლისაკენ სახით მდგარ ტიმს სულის სიმშვიდე არ დაუკარგავს. ზურგს უკან უფსკრულს დაეფჩინა პირი. ხიდის პატარა ფიცრებზე მდგარი საოცრად ირხეოდა, მაგრამ თავს იმაგრებდა. რაც უფრო სწრაფად მიჰქროდა მატარებელი, მით უფრო და უფრო ძლიერად ირხეოდა ჭაბუკი. ბოლოს თავს ძალა დაატანა. საყრდენი წერტილი აღმოაჩინა და როგორღაც გამაგრდა: ბიჭი აღარ ირხეოდა.

ყველაფერი საბედნიეროდ დამთავრდებოდა, რომ უკანასკნელი ვაგონი არა. დიკი მიხვდა ამას; საშინელების მოლოდინში გაქვავებული ელოდა აუტანელი განსაცდელის მოახლოებას. ეს ცხენებისათვის განკუთვნილი, ზომაზე ოდნავ დიდი ვაგონი იყო, ყველა დანარჩენზე ექვსი დუიმით განიერი. დიკმა დაინახა, რომ ეს ტიმმაც შენიშნა. ხედავდა, როგორ მოიკრიბა მისმა მეგობარმა უკანასკნელი ღონე, რომ შუალედში, რომელიც ახლა ნახევარი ფუტით მაინც დაპატარავდა, თავი შეეკავებინა; ხედავდა, როგორ იზნიქებოდა ტიმი უკან და უკან უკანასკნელ შესაძლებლობამდე, მაგრამ ყოველივე უშედეგო აღმოჩნდა. კატასტროფა გარდაუვალი იყო, ვაგონი ერთი გოჯითაც ვიწრო რომ აღმოჩენილიყო, ტიმი ნამდვილად გადარჩებოდა. დიახ, ერთი გოჯით... ბიჭი დაბლა დაეცემოდა და ვაგონი გვერდით ჩაუვლიდა, მაგრამ სწორედ ამ ერთმა გოჯმა დაღუპა იგი. ვაგონი მოხვდა მთელი ძალით, ტიმი ჰაერში რამდენჯერმე გადატრიალდა და ქვემოთ, ქვებს თავით დაენარცხა.

იქ, დაბლა, ტიმი უკვე აღარ გარხეულა. სამოცდაათი ფუტი სიმაღლიდან დაცემულს კისერი გადაუტყდა და თავის ქალა მთლიანად დაემსხვრა.

დიკმა პირველად შეიცნო ნამდვილი სიკვდილი, არცთუ მოწესრიგებული და მართებული, როგორც ის ცივილიზებულ ადამიანებს შორის არსებობს, როდესაც ექიმები, მედდები თუ ნარკოტიკული საშუალებანი უმსუბუქებენ ადამიანს სამუდამო სამყოფელში გადასვლას. როცა ახლო მეგობრები ცდილობენ მდიდრული მოსართავებით, ყვავილებით და საზეიმო გაცილებით შეაფერადონ მისი მოგზაურობა ბნელეთის საუფლომდე, — არამედ უცაბედი, უბრალო, საშინელი, ყოვლად შეუფერებელი სიკვდილი, რომელიც ხარის ან რომელიმე შინაური პირუტყვისათვის სასაკლავოზე ყელის გამოჭრას ჰგავდა.

და კიდევ ბევრი რამ ახალი გადაიშალა დიკის თვალწინ: ცხოვრებისა და ბედისწერის გაუტანლობა და უკუღმართობა; სამყაროს მტრული დამოკიდებულება ადამიანისადმი; უსწრაფესი გააზრებისა და მოქმედების აუცილებლობა; გადამწყვეტი ნაბიჯის დაუყოვნებლივ გადადგმა და საკუთარი თავის შეუდრეკელი რწმენა; მყის შეგუება მოულოდნელი ცვალებადობებისა ძალთა თანაფარდობაში, ასე რომ გამეფებულა ყოველივე ცოცხალზე. და აი, ახლა, იმ არსების საოცრად დამახინჯებული ნარჩენების ხილვამ, ვინც რამდენიმე წუთის წინ მისი მეგობარი იყო, ყრმას აგრძნობინა, რომ ოცნებათა აყოლა ფუჭი სწრაფვია და ყოველთვის საზღაურს ითხოვს და რომ მხოლოდ სინამდვილე არასოდეს ტყუის.

ახალ მექსიკაში დიკი ერთ-ერთ რანჩოში მოხვდა. რანჩოს ჯინგლ-ბობი ერქვა და როსველის ჩრდილოეთით პიკოსის ველზე მდებარეობდა. დიკი მაშინ ჯერ თოთხმეტი წლისაც არ იყო, მაგრამ იმდენად დიდი სიყვარული დაიმსახურა იქ მომუშავე ადამიანთა შორის, რომ რანჩოს თვალისჩინი შეარქვეს. ამ ამბავს ბიჭისთვის სრულიადაც არ შეუშლია ხელი ნამდვილი კოვბოი დამდგარიყო, სწორედ ისეთი, ვინც თავის თავს თვით ოფიციალურ ქაღალდებშიც კი «ველურ ცხენს», «ვილი ხარ-ირემს», «კენგურუს ტყავს» თუ «გრძელ ჯიბეს» უწოდებდა.

ამ რანჩოში ექვს თვეს ყოფნისას ძლიერი და მოქნილი ყრმა კარგად გაეცნო ცხენების მოვლა-პატრონობის საქმეს და საუკეთესო მხედარიც დადგა... ასევე ღრმად შეისწავლა ადამიანიც — ისეთი, როგორც იგი სინამდვილეში არის. ეს ყველაზე მეტად საჭირო ცოდნა თან გაიყოლა, რათა შემდგომ ცხოვრებაში გამოდგომოდა. სხვაც ბევრი რამ გახდა ნათელი მისთვის ამქვეყნად: აქ გაიცნო ჯინგლ-ბობის პატრონი ჯონ ჩაიზომი, ბასკიუ გრანდე და ბევრი სხვა მეჯოგე რანჩოს პატრონი, რომელთა სამფლობელო ბლექ რივერამდე და უფრო შორს, მის იქითაც გადაჭიმულიყო. როგორც ყრმამ შეიტყო: ჯონ ჩაიზომმა, «მეჯოგეთა მეფემ», წინასწარ განჭვრიტა, წვრილი ფერმერული მეურნეობის წარმოქმნის საშიშროება და მთელი ის მიდამოები, ირგვლივ ყველა თავისუფალი, თვალუწვდენელი ველი, სადაც კი წყალი მოიძებნებოდა, შეისყიდა. მერე ეკლიანი მავთულხლართებით შემოღობა და მილიონობით აკრი მიწის სრული ბატონ-პატრონი გახდა. თუმცა იმ დროს, ჯერ კიდევ ამ ადგილებს ხელოვნური რწყვის გარეშე არავითარი ფასი არ ჰქონდა. სურსათ-სანოვაგით დატვირთული ფურგონების გვერდით ღამდამობით კოცონის მახლობლად კოვბოებთან, ამ თავდაუზოგავ მხედრებთან (თვითრად ორმოც დოლარზე მეტს რომ ვერ იღებდნენ) მოსაუბრე დიკი მიხვდა, რომ მათ წინასწარ ვერ განჭვრიტეს ის ფაქტი, რაც მათმა პატრონმა დაინახა. მისთვის ნათელი გახდა, თუ ჯონ ჩაიზომი რატომ იქცა «მეჯოგეთა მეფედ» და ეს ასობით მისი მეზობელი ფერმერი რატომ იღებდა სამუშაოს ახლა ჩაიზომისაგან, როგორც უბრალო დაქირავებული. თვითონ დიკს მეტად მახვილი გონება და ფიცხი ხასიათი ჰქონდა. ახალგაზრდული სისხლი უჩქეფდა. მთელ მის არსებას მგზნებარე მამაკაცური თავმოყვარეობა დაუფლებოდა. ხანდახან ოც საათს განუწყვეტლივ უნაგირზე ჯდომით შეწუხებული ლამის ატირებულიყო, მაგრამ მამაკაც-

ურად იკავებდა თავს და ყურადღებას არ აქცევდა მწვავე ტკივილებს, მის ნორჩ, ბავშვურ სხეულს რომ აწამებდა. ხმისამოუღებლად ითმენდა ყოველივეს და საკუთარ თავს უკრძალავდა ეოცნება ძილზე, ვიდრე ნაწრთობი მენახირენი პირველნი არ მიაშურებდნენ საწოლს. ასეთივე დიდი თავშეკავებით ჯდებოდა ხოლმე ყოველნაირ ცხენზე, რაზედაც კი შესვამდნენ. ითხოვდა, თვითონაც გაეგზავნათ ლამდამობით სამწყესად და წვიმაგაუმტარ ლაბადაში გახვეული, თავისთავში ღრმად დარწმუნებული, მიქროდა მიმოფანტული ნახირისათვის გზის გადასაჭრელად. ყოველგვარ რისკზე შეეძლო წასვლა; ძალიან უყვარდა საფრთხესთან ვაჟკაცური შებმა, მაგრამ ასეთ წუთებშიც არასოდეს ავიწყდებოდა სინამდვილე. დიკმა კარგად უწყოდა, რომ ადამიანები მეტად სუსტი არსებანი არიან და ადვილად ილუპებიან სალი კლდეებიდან გადმოჩხვითა და გაველურებული ცხენების ფლოქვებქვეშ. და თუ ოდესმე უარს აცხადებდა შემჯდარიყო ისეთ ცხენზე, რომელსაც სირბილის დროს ფეხი ებლანდებოდა, ამას შიშით კი არ სჩადიოდა, არამედ, როგორც ერთხელ თვითონ ჯონ ჩაიზომს განუცხადა: «თუ გადმოვარდნაა, ბარემ ბედაურიდან გადმოვვარდეო».

მხოლოდ ჯინგლ-ბობის რანჩოდან გაუგზავნა დიკმა წერილი საკუთარ მეურვეებს, მაგრამ აქაც სიფრთხილე გამოიჩინა. წერილი მზარეულ აპ სინგის სახელზე ჩიკაგოელ მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრეს გაატანა. თუმცა დიკი საკუთარი ოცი მილიონიდან ერთ გროშსაც არ ხარჯავდა, მაგრამ მისი არსებობა წუთითაც არ ავიწყდებოდა. შიშობდა, მისი მემკვიდრეობა ვინმე შორეულ ნათესავს არ დაესაკუთრებინა, რომელიც, შესაძლებელია, ახალ ინგლისში აღმოეჩინათ. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი — მეურვეებს თავისი არსებობა შეატყობინა, რომ ცოცხალი იყო, ჯანმრთელად გრძნობდა თავს და რამდენიმე წლის შემდეგ დაუბრუნდებოდა საკუთარ ოჯახს. თან ბრძანებასაც იძლეოდა, არ გაეთავისუფლებინათ მისის სომერსტონი და ყოველთვიურად, ზუსტად გადაეხადათ ის თანხა, რაც ამ ოჯახში სამსახურისათვის ეკუთვნოდა.

დიკი ერთ ადგილზე ყოფნას გულს ვერ უღებდა. მისი აზრით, ნახევარი წელი ჯინგლ-ბობში მუშაობამ საკმარისზე მეტი გამოცდილება მისცა. ამ დროიდან უკვე მოხეტიალე მოგზაურად იქცა და მთელი შეერთებული შტატები შემოიარა. ამ მოგზაურობის დროს ახლოს გაეცნო პოლიციელებს, მომრიგებელ მოსამართლეებს, მაწანწალათა ცხოვრების კანონებს და ციხეებსაც კი. გაიცნო ნამდვილი მაწანწალები, მოხეტიალე მუშები და წვრილი დამნაშავენი. ყმაწვილი ეცნობოდა ფერმებსა და ფერმერებს; შეისწავლა მიწათმოქმედება. ერთხელ, ნიუ-იორკის შტატში მთელ კვირას მუშაობდა ხილის კრეფაზე ერთ დანიელ ფერმერთან, რომელიც შეერთებულ შტატებში პირველი ატარებდა დასილოსების ცდას. მაგრამ ყოველივე ამას სწავლობდა არა იმიტომ, რომ სწავლა შეადგენდა მის ძირითად მიზანს, არამედ მასში ბობოქრობდა საოცრად დიდი, წმინდა ბიჭური ცნობისმოყვარეობა და ინტერესი საერთოდ ყველაფრისადმი. სწორედ ამის წყალობით მან დააგროვა უდიდესი ცოდნა ადამიანების ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. შემდგომში, როდესაც ყოველივეს ჩაუკვირდა, გაანალიზა და გონებაში გარკვევით ჩამოაყალიბა. ამ ცოდნამ წიგნების დახმარებით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მთელი ცხოვრების მანძილზე.

ამ თავგადასავლებს დიკისათვის ზიანი არ მოუტანიათ. თვით მაშინაც კი, როდესაც იგი ტყეებში გაჭრილ, ნაცხარ ადამიანებს მათსავე, საკუთარ თავშესაფრებში ხვდებოდა. დიკი ეცნობოდა მათ შეხედულებებს ცხოვრებასა და ზნეობაზე, თუმცა ეს შეხედულებები მასზე არავითარ კვალს არ ტოვებდა. იგი თითქოს მოხეტიალე მოგზაური იყო მისთვის სრულიად უცხო ველურთა შორის. დარწმუნებულს, რომ ოცი მილიონის მფლობელი იყო, არასოდეს დაბადებია სურვილი მოეპარა ან გაემარცვა ვინმე. მას ამქვეყნად ყველაფერი აინტერესებდა, მაგრამ არასოდეს მოხვედრილა

ისეთ პირობებში და ისეთ ადგილას, რომ სამუდამოდ იქ დარჩენა გადაეწყვიტა. მხოლოდ ერთი სურვილი არ აძლევდა მოსვენებას, რაც შეიძლება მეტი ენახა და დაუსრულებლად თვალყური ედევნებინა ცხოვრებისეული სინამდვილისათვის.

მესამე წლის დასასრულს, როდესაც თექვსმეტი წელი უსრულდებოდა, გაკაჟებული სხეულის პატრონმა, ას ოცდაათი პაუნდი<sup>1</sup> (1 პაუნდი — ფუნტი \_ გირვანქა წონის ერთეული.) წონის ჭაბუკმა სახლში დაბრუნება და წიგნისათვის ხელის ბეჯითად მოკიდება გადაწყვიტა. ამგვარად დაიწყო მის ცხოვრებაში ახალი, დიდი მოგზაურობა. იალქნიან გემზე იუნგად მოეწყო. გემი დალავერიდან კუნძულ ჰორნის შემოვლით სან-ფრანცისკოსაკენ მიემართებოდა. ძნელი მოგზაურობა ხვდა წილად, ას ოთხმოცი დღე ზღვაზე გაატარა, მაგრამ მოგზაურობის დასასრულს ათი პაუნდით მაინც მეტს იწონიდა.

მისის სომერსტონს განცვიფრებისაგან კვილი აღმოხდა, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს დიკმა საკუთარ ოჯახში შედგა ფეხი და მისკენ გაემართა. ქალმა სამზარეულოდან აჰ-სინგს უხმო იმის დასადასტურებლად, რომ უცხო ჭაბუკი ნამდვილად დიკი იყო. მისის სომერსტონს მეორედაც აღმოხდა კვილი, როდესაც ხელის ჩამორთმევისას, დიკის დაკოჟრებული, ძლიერი ხელისგული შეეხო მის სათუთკანიან ნაზ თითებს.

სწრაფად შეკრებილ მეურვეებთან შეხვედრისას დიკმა დაიმორცხვა, თითქმის შემფოთებულიც კი ჩანდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია პირდაპირ და მოურიდებლად გამოეთქვა თავისი შეხედულება.

— საქმე შემდეგში გახლავთ, \_ დაიწყო მან, \_ მე სულელი არა ვარ, ძალიან კარგად ვიცი, რაცა მსურს. ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მწადია, ამქვეყნად არავინ გამაჩნია, გარდა ისეთი კეთილი მეგობრებისა, როგორც თქვენ ბრძანდებით, მაგრამ მეც მაქვს საკუთარი შეხედულებები სამყაროზე და ისიც კარგად ვიცი, როგორ უნდა ვიმოქმედო. არავის წინაშე ვალდებულების გრძნობას არ დავუბრუნებია ვარ შინ. დრო გავიდა და ჩემი დაბრუნების ჟამი დადგა, უფრო სწორად, საკუთარი თავის წინაშე ვიგრძენი ვალდებულება. სამი წლის ხეტიალმა დიდი სარგებლობა მომიტანა, ახლა მსურს სწავლა განვაგრძო, შევიძინო განათლება. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ, თეორიულად, წიგნების საშუალებით.

— ბელმონტის სასწავლებელი, \_ ურჩია მისტერ სლოკუმმა. \_ იგი თქვენ უნივერსიტეტისათვის მოგამზადებთ.

დიკმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— იქ სამი წელი უნდა ვისწავლო, არა? როგორც ჩვეულებრივი ტიპის საშუალო სასწავლებელში, მე კი მსურს კალიფორნიის უნივერსიტეტში ერთ წელიწადში მოვხვდე. რა თქმა უნდა, ამისათვის დიდი შრომაა საჭირო, მაგრამ ჩემი გონება ყველაფერს იწოვს და ისევე ითვისებს წიგნებსაც. მასწავლებლებს დავიქირავებ, თუ საჭირო იქნება, ათს, თორმეტს ერთად და კარგად მოვემზადები. მე თვითონ დავიქირავებ ჩემს მასწავლებლებს და თვითვე დავითხოვ, ამისათვის კი გარკვეული თანხაა საჭირო.

— თვეში ასი დოლარი საკმარისია? — იკითხა მისტერ კროკეტმა.

დიკმა თავი გაიქნია.

— სამი წელი ვმოგზაურობდი და ჩემი თანხიდან ერთი გროშიც არ დამიხარჯავს. იმედი მაქვს, სან-ფრანცისკოში მის ერთ ნაწილს მაინც გამოვიყენებ გონივრულად. მართალია, ჯერ თავს ნებას არ ვაძლევ, თვითვე ვმართო ჩემი საქმეები, მაგრამ მინდა ხელთ მქონდეს საბანკო წიგნაკი, თანაც საკმაო თანხით. ფულს თვით დავხარჯავ, როგორც საჭიროდ ჩავთვლი და რასაც აუცილებლად მივიჩნევ.

შემფოთებულმა მეურვეებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ეს წარმოუდგენელია, ეს შეუძლებელია, — დაიწყო მისტერ კროკეტმა აელვე-ბით. — თქვენ ისეთივე თავზეხელაღებული ყმაწვილი ხართ, როგორც აქედან წახვე-დით.

— როგორცა ვარ, ვარ, რას იზამთ, — ამოიოხრა დიკმა— წინანდელი უთან-ხმოებაც ჩვენ შორის ფულმა ჩამოაგდო. მაშინ მხოლოდ ასი დოლარი მინდოდა.

— მაგრამ ჩვენი მდგომარეობაც გაითვალისწინეთ, დიკ, — შესთხოვა მისტერ დევიდსონმა. — ჩვენ ხომ თქვენი მეურვენი ვართ. აბა რას იტყვის ხალხი, თექვსმეტი წლის ბიჭს ფულის თავისუფლად ხარჯვის ნება რომ დაგართოთ.

— რა ღირს ჩემი იახტა «ფრედა»? — იკითხა დიკმა მოულოდნელად.

— ვფიქრობ, ოცი ათას? დოლარი მაინც, — უპასუხა მისტერ კროკეტმა.

— მაშინ გაყიდეთ. ჯერ ერთი ეს იახტა ჩემთვის დიდია და მეორეც ყოველ-წლიურად ფასი აკლდება, მე პატარა იახტა მჭირდება, ასე, ათას დოლარიანი, რომ თვითვე შევძლო მართვა და ჩვენს ყურეში თავისუფლად ვიცურო. ეს კი გაყიდეთ და ფული ჩემს სახელზე შეიტანეთ. ახლა ნათელია ჩემთვის, თქვენ სამივეს რისა გემინი-ათ. ალბათ, გგონიათ, ამ ფულს ქეიფებსა და მომღერალ გოგონებთან დროს ტარებაში გავფლანგავ. ჩემი წინადადება ასეთი გახლავთ: დაე, ამ თანხაზე ყველა ჩვენ ოთხთა-განს ერთნაირი უფლება გვექონდეს და იმავე წუთშივე, როგორც კი რომელიმე თქვენ-განი შენიშნავს, რომ მე ფულს ტყუილუბრალოდ ვფანტავ, ფულის გაცემა მთლიანად შემიჩეროს. ამასთანავე გაცნობებთ, რომ მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც უნი-ვერსიტეტში შესასვლელად მომამზადებენ, მსურს მოვიწვიო სპეციალისტი კომერ-ციული კოლეჯიდან. იგი დაწვრილებით შემასწავლის, დიდი საქმოსნები როგორ აწარმოებენ საკუთარ მეურნეობას, გამაცნობს მთელი მათი საქმიანობის მექანიკას.

დიკს მეურვეების თანხმობისათვის აღარ დაუცდია და ისე, თითქოს ყოველივე გადაწყვეტილი ყოფილიყო, განაგრძო:

— რას იტყვით მენლოს ცხენების თაობაზე? თუმცა, მე თვითონ ვნახავ მათ და მოვიფიქრებ, როგორადაც უნდა მოვიქცე. მისის სომერსტონი აქ დარჩება სახლისა და შინაური საქმეების გამგებლად. მე ისედაც ბევრი საქმე მექნება და ამისათვის ვერ მო-ვიცლი. პირობას გაძლევთ, არ ინანებთ, თუ ჩემს პირად საქმეებში თავისუფალი მოქ-მედების ნებას მომცემთ. ახლა კი, თუ გნებავთ, გიამბობთ, როგორ ვცხოვრობდი ამ სამი წლის მანძილზე.

დიკ ფორესტი მართალი იყო, როდესაც მეურვეებს განუცხადა, ჩემი გონება წიგნებიდან ღრუბელივით იწოვს ყოველივესო. არასოდეს, ალბათ, არც ერთ ახალ-გაზრდას არ მიუღია ასეთი არაჩვეულებრივი განათლება — საკუთარ თავს ხელ-მძღვანელობას თვითვე უწევდა, თუმცა ზოგჯერ არც სხვათა რჩევა-დარიგებას უარ-ყოფდა. სხვათა გონების კარგად გამოყენების უნარი, როგორც ჩანდა, მემკვიდრეობით მამისაგან გადმოეცა. ჯინგლობელი მეპატრონე ჯონ ჩაიზომისაგანაც ბევრი ისწავ-ლა. დიახ სტეპებში, იგი შეეჩვია მდუმარედ ჯდომას. კარგა ხნობით ოცნებობდა ხოლმე, მაშინ, როცა მეჯოგენი სურსათ-სანოვაგით დატვირთული ფურგონების გვერდით კოცონთან ისხდნენ და ნელა საუბრობდნენ.

ახლა თავისი სახელისა და მემკვიდრეობის წყალობით დიკი ადვილად ახერ-ხებდა ნაცნობობას პროფესორებთან, სკოლის მმართველებთან. ყველა სახის სპეცია-ლისტთან თუ საქმოსანთან, ძალიან დიდხანს და გულდასმით შეეძლო მათი საუბრის მოსმენა, მხოლოდ ხანდახან თუ ჩაურთავდა სიტყვას, მაგრამ არა შეკითხვის სახით, არამედ მათი ნაამბობის უკეთ გაგებისათვის. დიკი კმაყოფილი რჩებოდა, თუ ამ ხან-

გრძლივი საუბრიდან ერთ გარკვეულ აზრს, პრაქტიკულად გამოსაყენებელ შემთხვევას დაიმახსოვრებდა, რომელიც დაეხმარებოდა გადაეჭრა საკითხი, თუ რა სახის განათლება იყო მისთვის საჭირო, რომ საბოლოოდ იმ გზას დასდგომოდა.

დიკმა მასწავლებელთა შერჩევა დაიწყო. საოცარი სისწრაფით იწვევდა და ათავისუფლებდა დაქირავებულთ. ჭაბუკს თავდაჭერილობა და ზომიერება სრულიად ზედმეტად მიაჩნდა ამ საქმეში, ზოგთან დიკი ერთ, ორ ან სამ თვეს მეცადინეობდა, მაგრამ უმეტესობას პირველ დღეს ან პირველსავე კვირას დაითხოვდა ხოლმე. ერთი თვის საფასურს წინასწარ უხდიდა, თუნდაც სწავლება ერთ საათზე მეტს არ გაგრძელებულიყო. ამ საქმეში ჭაბუკი ყოველთვის გულუხვობასა და კეთილშობილებას ამჟღავნებდა. შესაძლებლობაც ჰქონდა, დიდსულოვნება და ხელგამლილობა გამოეჩინა.

ჭაბუკმა უკვე იცოდა ცეცხლფარეშთა ნასუფრალის გემო, წყალიც ხშირად დაელია საერთო ბაკებიდან, საკუთარ ტყავზე იწვინა გროშების შოვნის სიმწარე. დიახ, კარგად იცოდა ფულის ფასი და ისიც, რომ ამ ფულით მხოლოდ ყოველივე საუკეთესო და გამოსადეგი უნდა შეეძინა. უნივერსიტეტში შესასვლელად ფიზიკისა და ქიმიის ერთწლიანი კურსის მოსმენა იყო საჭირო. როცა დიკმა ალგებრის ელემენტარულ ფუნქციათა და გეომეტრიის სრული კურსის შესწავლა დაასრულა, კალიფორნიის უნივერსიტეტიდან ქიმიისა და ფიზიკის გამოჩენილი პროფესორები მოიწვია. პირველად პროფესორმა ქეირიმ მოურიდებლად დასცინა:

— ჩემო ძვირფასო ბიჭუნო... — დაიწყო პროფესორმა.

დიკი მოთმინებით დაელოდა პროფესორის საუბრის დასრულებას, შემდეგ კი მშვიდად განუცხადა:

— პროფესორო ქეირი, მე სულელი არ გახლავარ. საშუალო სკოლებისა და მოსამზადებელი სასწავლებლების მოსწავლეები უბრალოდ ბავშვები არიან. ისინი ცხოვრებას არ იცნობენ და არც ის იციან გარკვევით, რა უნდათ, ან რისთვის უნდათ სწორედ ის, რითაც გონებას უტენიან. მე კი კარგად ვიცნობ ცხოვრებას, ვიცი, რაც მინდა და რატომ მინდა. მათ ფიზიკაში ორი საათი აქვთ კვირაში წლის პირველსა და მეორე ნახევარში, რაც არდადეგებთან ერთად მთელ წელიწადს შეადგენს. თქვენ მთელი წყნარი ოკეანის სანაპიროზე ფიზიკის საუკეთესო მასწავლებლად ითვლებით. სასწავლო წელი უკვე თავდება. თუ თქვენ დამითმობთ თქვენი თავისუფალი დროის ყოველ წუთს, არდადეგების პირველ კვირაში მე ამ ერთწლიანი კურსის გავლას მოვასწრებ. რამდენად შეაფასებთ თქვენ, ასეთ კვირას?

— თქვენ მას ვერ იყიდით ათასი დოლარითაც, — გამოეხმაურა პროფესორი ქეირი, დარწმუნებული, რომ ამ საკითხზე საუბარი დასრულებული იყო.

— მე დაახლოებით ვიცი თქვენი ხელფასის რაოდენობა... — დაიწყო დიკმა.

— აბა რამდენს ვიღებ, თქვენი აზრით? — მკაცრად იკითხა პროფესორმა ქეირიმ.

— ყოველ შემთხვევაში, ათას დოლარს არ იღებთ კვირაში, — ასევე მკაცრად მიუგო დიკმა, — არც ხუთასს და არც ორას ორმოცდაათს... — დიკმა ხელი ასწია, რადგან პროფესორს მისი შეჩერება სურდა.

— თქვენ ახლა განაცხადეთ, რომ არ შეგიძლიათ ეს კვირა მომყიდოთ ათას დოლარადაც კი. მე არც ვაპირებ მის ამ ფასად შესყიდვას. მე თქვენ ორი ათას დოლარს მოგცემთ. ღმერთო ძლიერო, ჩემი ცხოვრების წლები ხომ დათვლილია!

— განა თქვენ შეგიძლიათ ცხოვრების წლები შეისყიდოთ? — დამცინავად იკითხა პროფესორმა ქეირიმ.

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია. სწორედ იმიტომ გეახელით, ერთი წელიწადით სამს ვყიდულობ და თქვენი კვირაც ამ წლის ნაწილია.

— მაგრამ მე ხომ თანხმობა არ განმიცხადებია? — შენიშნა პროფესორმა ქეირიმ.

— შესაძლებელია, ჩემ მიერ შემოთავაზებული თანხა საკმარისი არ არის? — ცივად იკითხა დიკმა. — ბრძანეთ, რა მიგაჩნიათ ჯეროვან გასამრჯელოდ?

პროფესორი ქეირი დანებდა. ასევე დანებდა პროფესორი ბარსდეილი, ყველაზე გამოჩენილი ქიმიკოსი ქალაქში.

ალგებრისა და გეომეტრიის მასწავლებლები დიკმა საკრამენტოს ტბასა და სანოაკიანზე წაიყვანა გარეულ იხვებზე სანადიროდ, სადაც ერთ თვეზე მეტხანს დაჰყო. როცა ქიმიისა და ფიზიკის კურსი დაასრულა. ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლებთან ერთად ორეგონის სამხრეთ დასავლეთით კარის საგრაფოში სანადიროდ გაემართა. ჭაბუკი თავისი მამის მაგალითის მიხედვით იქცეოდა: სწავლობდა და ერთობოდა, ცხოვრობდა სუფთა ჰაერზე, რის წყალობითაც საშუალო სკოლის სამწლიანი კურსი განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე ერთ წელიწადში გაიარა. ნადირობდა, თევზაობდა, ცურავდა, ვარჯიშობდა, თან უნივერსიტეტისათვის ემზადებოდა. სწორ გზაზე იდგა. ამ გზის არჩევა კი საკუთარი მამის ოცნა მილიონმა შეაძლებინა, ცხოვრების ბატონ-პატრონად აქცია. ფული მისთვის ყოველთვის მხოლოდ საშუალება იყო. დიკი არც ამდაბლებდა და არც ადიდებდა მის მნიშვნელობას; მხოლოდ მაშინ იყენებდა გადანახულ თანხას, როდესაც რაიმეს ყიდვა გარდუვალი იყო.

— ბედოვლათობისა და მფლანგველობის ეს რა უცნაური ნაირსახეობაა, ასეთი არაფერი მინახავს ჩემს სიცოცხლეში! — შენიშნა მისტერ კროკეტმა და დანარჩენ მეურვეებს დიკის მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიში აჩვენა, — თექვსმეტი ათასი დოლარი დასჭირდა სწავლას. ამაში შედიოდა სხვა დანახარჯებიც: რკინიგზის ბილეთების ფასი, ყოველგვარი მომსახურება, ტყვიები და საფანტი მასწავლებლებისათვის.

— მაგრამ გამოცდები კი ჩააბარა, — ჩაერია მისტერ სლოკუმი.

— და ისიც ერთ წელიწადში, — ჩაიბუტბუტა მისტერ დევიდსონმა. — ჩემმა შვილიშვილმა დიკთან ერთად დაიწყო მზადება, იგი ბელმონტის სასწავლებელში შევიდა და, ღმერთმა ქნას, ორი წლის შემდეგ მაინც შეაღწიოს უნივერსიტეტში.

— დიახ, უკვე ერთი რამ შემძლია ვთქვა, — განაცხადა მისტერ კროკეტმა, — ყოველივე იმის შემდეგ, რის მოწმენიც გავხდით, რამდენიც არ უნდა მოითხოვოს საკუთარი ხარჯებისათვის, ვალდებული ვართ, ვენდოთ. დიახ, დიახ, რა თანხაც არ უნდა იყოს.

— ამჟამად ცოტა ხანს შესვენება მჭირდება, — განუცხადა ჭაბუკმა თავის მეურვეებს, — ახლა უკვე ჩემს ტოლებს გვერდით ამოვუდექი, მაგრამ რაც შეეხება ცხოვრების გამოცდილებას, მათ ჩემამდე დიდი გზა აქვთ გასავლელი. ცხოვრებას ძალიან კარგად ვიცნობ, ავიც ბევრი გადამხდენია და კარგიც... ქვეყნად მრავალნაირი ადამიანი შემხვედრია, ქალი თუ კაცი... ბევრი რამ გამომიცდია. მწვერვალზე ასვლაცა და არარაობად ქცევაც. ზოგჯერ თავადაც დავეჭვდები ხოლმე — ნუთუ ყოველივე ეს მართლა ასეა-მეთქი? მაგრამ მე ხომ საკუთარი თვალით ვიხილე.

ამიერიდან აღარ ვიჩქარებ, მე მათ დავეწიე და ფეხიც ავუწყვე. ახლა მთავარია, კურსიდან კურსზე დროზე გადავიდე, ოცდაერთი წლისა უკვე უნივერსიტეტს დავასრულებ, განათლებისათვის შედარებით ნაკლები თანხა დაიხარჯება. კერძო მასწავლებლები საჭირო აღარ იქნება და ფულს მხოლოდ გართობაზე და ვხარჯავ.

მისტერ დევიდსონი დაეჭვდა.

— რას გულისხმობთ მაინც ამ გართობასა და დროის კარგად გატარებაში?

— აი, სტუდენტთა სხვადასხვა საზოგადოებანი, ფეხბურთი... სხვებს ხომ არ უნდა ჩამოვრჩე. ამას გარდა ძალიან მაინტერესებს ბენზინით მოძუშავე მოტორიანი

ძრავები, ვაპირებ მსოფლიოში პირველი ბენზინით მომუშავე ძრავიანი საოკეანო იახტა ავაგო.

— ალბათ, აფეთქდებით სადმე, — ჩაილაპარაკა მისტერ კროკეტმა, — ეს რა სისულელეა, როგორ ყველას ბენზინი აბოდებს.

— არა, არ ავფეთქდები, ისეთ თადარიგს დავიჭერ, — უპასუხა დიკმა, — ამისათვის კი ექსპერიმენტის ჩატარებაა საჭირო. ცდა კი თანხებს მოითხოვს. გთხოვთ, ახალი საბანკო წიგნაკი მომცეთ იმავე უფლებით, როგორიც პირველი იყო.

## თავი მეექვსე

დიკ ფორესტს უნივერსიტეტში არავითარი სასწაული არ მოუხდენია. სხვებისაგან მხოლოდ იმით გამოირჩა, რომ პირველ კურსზე უამრავი ლექცია გააცდინა. სრულიად დარწმუნებულმა, რომ ეს ლექციები მას არ სჭირდებოდა. დაქირავებულმა მასწავლებლებმა არა მარტო უნივერსიტეტში შესასვლელად მოამზადეს, არამედ თითქმის მთელი პირველი კურსის მასალა წინასწარ შეასწავლეს. დიკმა პირველი კურსელებისაგან უნივერსიტეტში ფეხბურთის გუნდი ჩამოაყალიბა, მაგრამ გუნდი ისე სუსტი აღმოჩნდა, რომ მას ყველა ამარცხებდა, იქნებოდა ეს უმაღლესი სასწავლებლის თუ საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდი.

თუმცა შეუმჩნევლად, მაგრამ დიკი წიგნებზე მუშაობას მაინც განაგრძობდა. ბევრს კითხულობდა. კითხულობდა საზრიანად, გონებაში ღრმად ანალიზებდა წაკითხულის დედაარსს. ზაფხულის არდადეგების დროს კი, როდესაც საოკეანო იახტით სამოგზაუროდ გაემართა, გარშემო მხიარულ თანატოლთა ჯგუფი კი არ შემოუკრებია, არამედ ფილოსოფიისა და იურისპრუდენციის პროფესორ-მასწავლებლები მიიწვია თავიანთი ოჯახებით. უნივერსიტეტში შემდეგ ძალიან დიდხანს იგონებდნენ ამ შესანიშნავ საგანმანათლებლო, სამეცნიერო მოგზაურობას ზღვაზე ულამაზესი იახტით. მოგზაურობიდან დაბრუნებული პროფესორები აღტაცებით ყვებოდნენ, რა უჩვეულო სიამოვნება იგრძნეს ამ ზღაპრული მოგზაურობისას. დიკს კი ცალკეულ საგნებზე გაცილებით ფართო და ნათელი წარმოდგენა შეექმნა. უფრო ღრმა ცოდნაც შეიძინა, ვიდრე წლიდან წლამდე ლექციების მოსმენით შეიძლებოდა: დრო კი, რომელიც ამგვარად კვლავ მოიგო, საშუალებას აძლევდა ძველებურად გაეცდინა ლექციების უმეტესობა და მთელი დრო ლაბორატორიული სამუშაოებისათვის შეეწირა.

დიკ ფორესტი არც ნამდვილ სტუდენტურ დროს ტარებას არიდებდა თავს. პროფესორთა ქვრივები გატაცებით თავს ევლებოდნენ. პროფესორის ქალიშვილები კი წრფელი გრძნობით ეტრფოდნენ. დიკ ფორესტი მოუღალავი და დაუცხრომელი მოცეკვავე გახლდათ: არ აკლდებოდა არც ერთ სტუდენტურ შეკრებასა და მეგობრულ წვეულებას. წყნარი ოკეანის მთელი სანაპირო ბანჯოსა და მანდოლინაზე დამკვრელ ზანგების კლუბთან ერთად შემოიარა.

და მაინც სხვებისაგან დიდად არაფრით გამოირჩეოდა. ბრწყინვალე ნიჭი და მიდრეკილება არაფრისადმი გამოუჩენია. მისი ხუთი თუ ექვსი ამხანაგი უკეთ უკრავდა მანდოლინასა და ბანჯოზე: ათიოდე კი გაცილებით უკეთ ცეკვავდა. მეორე კურსზე მის მიერვე შექმნილ ფეხბურთელთა გუნდს დაეხმარა მოგებაში, მაგრამ მასზე დიდი იმედი არავის დაუმყარებია. კარგ ფეხბურთელად თვლიდნენ, თუმცა ვერც ერთხელ ვერ მოახერხა ბურთით მთელი მოედნის გადაჭრა. იგი კარგად ხედავდა, ცისფერსამოსიანი ბიჭები როგორ ცდილობდნენ თამაშს. გაშმაგებული მაყურებელი კი ლამის ტრიბუნებს ლეწდა. დიკმა მოგებას მხოლოდ წვიმის შემდეგ ახელილ ტალახში, მეტად მძიმე და საშინელი წამების შედეგად, მატჩის მეორე ნახევრის და-

სასრულს მიაღწია, როდესაც ცისფერსამოსიანებმა ფორესტს სთხოვეს ცენტრში დამდგარიყო და რაც შეიძლება მაგრად დაერტყა.

ასე რომ, დიკ ფორესტს სრულყოფისათვის არაფერში მიუღწევია. ახმახი ჩარლ ევერსონი გაცილებით მეტ ლუდს სვამდა, ვიდრე დიკი. ჰარისონ ჯეკსონი კი, სულ ცოტა, ოცი ფუტით შორს ისროდა დისკოს. კრივში კარუთერსი სჯობდა. ენსონ ბარჯს ყოველთვის შეეძლო სამი შებრძოლებიდან ორჯერ ბეჭებით ხალიჩაზე გაეწვინა, თუმცა ამას დიდი გაჭირვებით ახერხებდა. ინგლისურ ენაზე თხზულების წერაში ჯგუფის ერთი მეხუთედი მასზე გაცილებით ძლიერი იყო. საუნივერსიტეტო დისპუტში მასთან პირისპირ პაექრობაში საკითხზე — «საკუთრება მარცვია» — რუსმა ებრაელმა ელდილმა გაიმარჯვა. შულცმა და დებრეტმა უკან ჩამოიტოვეს ისიც და მთელი კურსიც უმაღლეს მათემატიკაში. ხოლო იაპონელ ოტსუკის ვერავინ შეედრებოდა ქიმიაში.

ასე რომ, დიკი ამხანაგებისაგან არაფრით გამოირჩეოდა, თუმცა არც არაფერში ჩამორჩებოდა. დიდი ძალის პატრონი არ იყო, მაგრამ სისუსტეც არასოდეს გამოუმჟღავნებია, თვითრწმენისათვის არასოდეს უღალატნია. დიკის კეთილშობილური თვისებებითა და სიბეჯითით აღტაცებული მეურვენი უკვე ოცნებობდნენ მის დიდ მომავალზე. ფრიად დაინტერესებულებმა ერთხელ ჰკითხეს კიდეც, რას აპირებდა შემდგომ, რაზედაც დიკმა ასე უპასუხა:

— ვერაფერ განსაკუთრებულს ვერ მივაღწევ, უბრალოდ, ყოველმხრივ განათლებული კაცი ვიქნები. ან რა საჭიროა დიდზე დიდი სპეციალისტი ვიყო. ამდენი თანხის დატოვებით მამაჩემმა, ვფიქრობ, ამ აუცილებლობისაგან გამათავისუფლა. მართალი მოგახსენოთ, ძალიანაც რომ მოვიწოდო, არც შემიძლია დიდი სპეციალისტი გავხდე, ასე მგონია, ეს ჩემს ბუნებას არ შეეფერება.

დიკ ფორესტი ისეთი გონების პატრონი გახლდათ, რომ წინასწარ ჰვრეტდა მთელ თავის ცხოვრებას. არაფრისადმი ამქვეყნად დიდი გატაცება არ გამოუჩენია. დიახ, ეს გახლდათ საშუალო, ნორმალური, დინჯი და ყოველმხრივ განათლებული ადამიანის ნიმუში.

ერთხელ, თავისი კოლეგების თანდასწრებით, დიკის საქციელით ფრიად ნასიამოვნებმა მისტერ დევიდსონმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, შინ დაბრუნების შემდეგ დიკს არავითარი უგუნური საქციელი არ ჩაუდენიაო, რაზედაც დიკმა ასე უპასუხა:

— დიახ, მე ძალმიძს საკუთარი თავის ბატონ-პატრონობა.

— ნამდვილად, — გამოეპასუხა მისტერ სლოკუმი, — შესანიშნავია, სწორედ მეტად სასიამოვნოა, რომ ასე ადრე დადინჯდით და საკუთარი თავის დათრგუნვა შეგიძლიათ.

დიკმა ეშმაკურად აციმციმებული თვალებით გადახედა.

— რას ბრძანებთ, ის ბიჭური ანცობანი რა ჩასათვლელია. ეგ ხომ თავაშვებულობად და თავაწყვეტილობად არ შეიძლება ჩაითვალოს. მართალი მოგახსენოთ, მე ჯერ არ დამიწყია. აბა ერთი მაშინ მნახეთ, როდესაც ნამდვილად ავიწყვეტ. იცით კიბლინგის «დიეგო ვალდესის სიმღერა»? თუ ნებას დამრთავთ, ნაწყვეტს წაგიკითხავთ ამ სიმღერიდან. საქმე ის გახლავთ, რომ დიეგო ვალდესმაც ისეთივე დიდი მემკვიდრეობა მიიღო, როგორც მე მხვდა წილად. მას ესპანეთის ვიცე-ადმირალობა ელოდა და თავაშვებულობისათვის დრო აღარ დარჩა. ახალგაზრდა და ძლიერი იყო, მაგრამ რატომღაც დაკაცება ეჩქარებოდა. სულელს ეგონა, რომ ძალა და ახალგაზრდობა ყოველთვის შერჩებოდა და თუნდაც ადმირალად ყოფნის დროსაც ექნებოდა ცხოვრებით ტკბობის უფლება. შემდგომ ყოველთვის იგონებდა:

სამხრეთში, სამხრეთში ჩვენ, ათას ვერსზე  
დავუმეგობრდით ერთმანეთს ბედით.  
ვიძენდით მარგალიტს —  
სიმდიდრეს ვხვეჭდით  
და ვეხეტებოდით ზღვასა და ხმელზე.  
საოცრებები ზღვის, უდიადესი,  
ჟრუანტელსა და სიხარულს გვგვრიდა...  
უცნობი იყო ძლიერი ვალდესი,  
მე კი ცნობილი ვიყავი დიდად.

თუ ვინმეს ჰქონდა სასმელი ჩვენში,  
ჩვენ ერთად ვსვამდით მათრობელ სითხეს,  
და რა დღეს ნადავლს ვიგდებდით ხელში,  
ძმურადვე ვყოფდით ნაშოვარს მყისვე.  
კუნძულებს შორის ვმალავდით გემებს  
და ცბიერ მდევრებს ვუგებდით მახეს...  
ნიჩბების მოსმას ვალევიდით ხელებს  
და ოფლის ღვარი გვდიოდა სახეს.

ბევრი მოშურნე ავსული მოვსრეთ,  
მფარველ ღმერთებს კი ვლოცავდით გზნებით,  
ანძებზე ვფენდით დაცხრილულ დროშებს  
და ისევ ისე გვეძახდა გზები.  
როგორც ზღვის ტალღა ფოლადის ღუზას  
უშიშრად უშენს, თეთროვან ისრებს,  
ასევე მედგრად და რისხვად მუდამ  
მივისწრაფოდით ისევ და ისევ.

ხან ვიცილებდით მუზარადს, დაშნას,  
რადგან დუქნებში გვქონია შფოთი,  
დღეს ჩვენი შეხლის სურათი სად ჩანს —  
ტრიალი დანის, ქუხილი თოფის.  
ჰოი, უდაბნოს ანკარა წყაროვ!  
ო, ჰურის ყუის ბოლო ნამცეცო!  
ჰოი, მიმინოს ყივილო ავო!  
ჰოი, სიკვდილო, ელვის დამცემო!

როგორც ქალწული ოცნებობს საქმროს,  
ქვრივნი წარსულზე დარდობენ როგორც:  
ტუსადი იმ ცას, რომელიც დათმო,  
ნატრობს და წყევლის ბორკილის მომგონს.  
მეც ასე ვდარდობ, მსახური ზღვისა —  
გარდასულ ღელვებს, ტბებსა და სამხრეთს,  
აღმებს დაცხრილულს, რომლებმაც გვიხსნა,  
ჩემს სიჭაბუკეს — ტკბილ-მწარე ნაღველს.

— ოჰ, გთხოვთ გაუგოთ, გაუგოთ ამ მხცოვანმა ადამიანებმა ისევე, როგორც მე გავეუგე მას! ისმინეთ, რას ამბობს შემდეგ:

ვიგონებ იმ ძველ დიდებას ახლა,  
დავკარგე ბევრი და ვფიქრობ ასე:  
რა უსახელოდ დღეები გაქრა.  
დაცლის მაგივრად დავღვარე თასი.  
ვერაგ ზეციურ მბრძანებლის ძალით  
შავი წილხვედრი ჩემს სულში დადის,  
მოხეტიალე დიეგოს ვალდეს,  
ვარ ადმირალი უმაღლეს რანგის.

— მისმინეთ, ჩემო მეურვენო! — წამოიძახა დიკმა და გრძნობამორეული სახე აუჭარხლდა. — ნუ დაგავიწყდებათ, ჯერ ჩემი წყურვილი დამცხრალი არ არის. არა და არა. მთელი სხეულით ვიწვი, მაგრამ თავს ვიკავებ; არ გეგონოთ, ცივისსხლიანი არსება ვიყო, რადგან თავი კარგად მიჭირავს, და როგორც უნივერსიტეტში მოსწავლე მორჩილ ვაჟს შეეფერება, ქებას ვიმსახურებ. მეც ხომ ახალგაზრდა ვარ, სიცოცხლითა და რკინისებური ჯან-ღონით აღსავსე. მაგრამ ნუ შიშობთ, შეცდომას არ ჩავიდენ, ჩემი თავის ალაგმვა ძალიან კარგად შემიძლია, პირველივე დაგებულ ანკესზე არ წამოვეგები. მაგრამ მაინც ვემზადები... ჩემს წილს არავის არაფერს დავუთმობ ამქვეყნად, ჩემი ფიალიდან ერთ წვეთსაც ვერ გადავღვრი, ბოლომდე სწრაფად უნდა შევსვა. სრულიადაც არ ვაპირებ უქმად დაკარგული სიჭაბუკე დიეგო ვალდესივით დავიტირო:

რომ ძველებურად ისევ ისე დაქროლოს ქარმა,  
ძველებურადვე დაიქუხოს, აქაფდეს ტალღა,  
გული ზვიადი ვერ დათრგუნოს ავდარმა დიდმა,  
იყოს ხალისი, მეგობრებთან ვმღეროდეთ მარად.

ჰოი, უდაბნოს ანკარა წყაროვ!  
ო, პურის ყუის ბოლო ნამცეცო!  
ჰოი, მიმინოს ბოროტო თვალო!  
ჰოი, სიკვდილო, ელვის დამცემო!<sup>1</sup> (1 ლექსები თარგმნილია გრიგოლ  
ჯულუხიძის მიერ)

მისმინეთ, ჩემო მეურვენო! იცით თუ არა, რას ნიშნავს მტერთან შებმა, როცა სისხლი გიდულს, როცა მტერს ყბას გვერდზე მოუქცევ და უსულო გვამივით დედამიწაზე დაანარცხებ? აი, რა განცდები მამოძრავებს. აი, რა მინდა. მინდა გამოვცადო, რა არის სიყვარული, კოცნა, რისკი. თავაშვებულობის ყოველგვარი სიტკბო მხოლოდ და მხოლოდ სიჭაბუკეში მსურს ვიგემო. ასევე გულით მწაღია ბედნიერება და თავაწყვეტილი თარეშიც ჭაბუკობის ჟამს გამოვცადო, მაგრამ არა ახლა. ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი ვარ. ამჟამად უნივერსიტეტში ვსწავლობ და მხოლოდ ფეხბურთს ვთამაშობ, მაგრამ იმ წუთისათვის ვემზადები, როდესაც ნავარდის სრული უფლებით აღვიჭურვები და აი მაშინ კი ყოველივეს ვიგემებ! დარწმუნებული ბრძანებოდეთ, არ შევ-

ცდები! მარცხი არ მომივა! გთხოვთ ირწმუნოთ, რომ ამჟამად ყოველთვის მშვიდად როდი მძინავს ღამით!

— ეს რას ნიშნავს? — შიშით წამოიძახა მისტერ კროკეტმა.

— სწორედ მაგას მოგახსენებდით, რომ თავი კიდევ კარგად მიჭირავს, ჯერ კიდევ არ ამიწყვეტია, მაგრამ, როცა ავიშვებ. მერე მერიდეთ...

— და ამას მხოლოდ მაშინ აპირებთ, როცა უნივერსიტეტს დაასრულებთ?

გამოცანად ქცეულმა ჭაბუკმა თავი გააქნია.

— უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთი წლით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შევალ. როგორც იცით, ცხენი მყავს — ეს კი თავისთავად სოფლის მეურნეობაა. ძალიან მსურს რაიმე ახალი შევქმნა. მამაჩემს მხოლოდ ფულის მოხვეჭა აინტერესებდა, მაგრამ არაფერი შეუქმნია, თქვენც ასევე იქცევით. თქვენ ახალი ქვეყანა დაიპყარით და მხოლოდ ფულის დაგროვებას მიჰყავით ხელი იმ მეზღვაურებივით, ხელუხლებელ ქვიშრობს რომ წააწყდებიან და თვითნაბად ოქროს ხავსის ქვემოდან იღებენ.

— ჩემო ბიჭუნო, კალიფორნიულ სოფლის მეურნეობაში მე ცოტაოდენი გამოცდილება გამაჩნია, — წარმოთქვა განაწყენებულმა მისტერ კროკეტმა.

— დიახ, დარწმუნებული ვარ, გამოცდილება გექნებათ, მაგრამ შექმნით კი არაფერი შეგიქმნიათ.

— თქვენ... აბა სინამდვილეს სად გავექცევით, ფაქტი ფაქტად რჩება. თქვენ... უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გაკეთების მაგიერ ანგრევდით. ბედი გწყალობდათ, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ფერმერები იყავით. მაგრამ რა გააკეთეთ? მდინარე საკრამენტოს დიდებული ველების ორმოცი ათას აკრ ყველაზე უკეთეს მიწას დაეპატრონეთ და წლიდან წლამდე მხოლოდ ხორბალი მოგყავდათ. მრავალმინდვრიანობასა და თესლბრუნვაზე წარმოდგენაც კი არ გქონდათ. მოყვანილ ჩალას წვავდით, შავმიწა ნიადაგი გამოფიტეთ. თქვენ მიწას ოთხი დუიმის სიღრმეზე ხნავდით და ცემენტივით გაქვავებულ მარღვიან ქვედაფენებს ხელუხლებელს ტოვებდით. თქვენ მიწის ოთხი დუიმის სიღრმის ფენა მთლიანად გამოფიტეთ და ახლა სათესლე მოსავალსაც ვეღარ ღებულობთ მისგან.

დიახ, თქვენ გაკეთების მაგიერ ანადგურებდით. ასე იქცეოდა მამაჩემი, ასევე იქცეოდით თქვენ ყველა: მე კი მამაჩემის დანატოვარ მემკვიდრეობას გამოვიყენებ და მხოლოდ შევქმნი. ხორბლის თესვით მთლად გამოფიტულ მიწას შევისყიდდი. მისი შესყიდვა ძალიან იაფად შეიძლება. მიწას, როგორც საჭიროა, დავამუშავებ, ორპირად მოვხნავ და გაცილებით მეტს მივიღებ, ვიდრე თქვენ — როდესაც პირველი მოსავალი მოიყვანეთ.

დამამთავრებელი კურსის ბოლო ახლოვდებოდა. მისტერ კროკეტმა დამინებულ მეურვეებს დიკის მუქარა კვლავ შეახსენა — დიკი თავაწყვეტილ თარეშს აპირებსო.

— დიახ, სულ მალე, როგორც კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს დავამთავრებ, — შეესიტყვა დიკი, — მიწას, საქონელს და ინვენტარს შევისყიდდი და შევქმნი საშვილიშვილო მამულებს, ნამდვილ დიდებულ სამფლობელოებს, მერე კი გზას გავუდგები და თავაწყვეტილი ვითარებებ, როგორც მინდა.

— მაინც დასაწყისისათვის რა ფართობის მამულის შესყიდვა გაქვთ განზრახული? — ჰკითხა მისტერ დევიდსონმა.

— შესაძლებელია, ორმოცდაათი ათასი აკრი, ან სულაც ხუთასი ათასი. ვნახოთ, როგორ წავა საქმე. ეს გარემოებაზეა დამოკიდებული. ძალიან დიდი სარგებლობა და ხეირი მინდა ვნახო. ხალხს ჯერ არც დაუწყია კალიფორნიაში დასახლება. მი-

წას, რომელიც ახლა ათ დოლარად იყიდება, თხუთმეტი წლის შემდეგ ორმოცდაათ დოლარად შეისყიდიან: ხოლო ის მიწა, რომელსაც ახლა მე ორმოცდაათ დოლარად შევიძენ, იმ დროისათვის ხუთასი ელირება.

— ნახევარი მილიონი აკრი ათ დოლარობაზე ეს ხუთი მილიონია, — შემფოთებით წამოიძახა მისტერ კროკეტმა.

— მაგრამ ორმოცდაათად კი უკვე ოცდახუთი მილიონია, — გაიცინა დიკმა.

მეურვეებს გულში არ სჯეროდათ, რომ დიკი სულ მალე თავის მუქარას ასრულებდა და თავაწყვეტილ ნავარდს დაიწყებდა. შესაძლებლად მიაჩნდათ ამ დიდი სიმდიდრის ნაწილი სასოფლო-სამეურნეო სიახლეთა შემოტანაზე დაეხარჯა. ის კი, რომ ამდენი წლის თავშეკავების შემდეგ, განცხრომისა და თავდავიწყების მორევში ჩადირულიყო, სრულიად წარმოუდგენლად ესახებოდათ.

დიკმა უნივერსიტეტის კურსი ყოველგვარი წარჩინების გარეშე დაასრულა და დიპლომი მიიღო. ის ერთი ოცდარვათაგანი იყო ჯგუფში. საუნივერსიტეტო სამყარო სწავლის პერიოდში არაფრით განუცვიფრებია. მისი მთავარი დამსახურება ის თავდაჭერა გახლდათ, რომლის შემწეობითაც მშვენიერთა სქესის, აურაცხელი ულამაზესი გოგონებისა და მათი დედების მაცდუნებელ ალყას უძლებდა და ის დიდი გამარჯვება სტენფორდელებთან, რასაც დიკმა მის მიერ უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ ფეხბურთელთა გუნდს ერთადერთხელ მიაღწევინა მთელი ხუთი წლის მანძილზე. ეს ამბავი იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ჯერ კიდევ არაფერი სმენოდათ უდიდესი თანხით დაინტერესებულ დაქირავებულ ფეხბურთელებზე და მხოლოდ საუკეთესო მოთამაშეებს აფასებდნენ. ამიტომაც, როგორც ყოველი მოთამაშისათვის, ისე დიკისათვის პირველ რიგში გუნდის ინტერესი იდგა და ყოველივე მას ეწირებოდა. ასე რომ, მაღლიერების<sup>1</sup> (1 ეროვნული დღესასწაული აშშ-ში, რომელსაც ნოემბრის ბოლო ხუთშაბათს დღესასწაულობენ.) დღეს ოქროსფერი ბაფთებით მკერდდამშვენებული, ცისფერსამოსიანი ჭაბუკები მედიდურად დაჰქროდნენ მარკეტის ქუჩაზე სან-ფრანცისკოში და მათზე გაცილებით ძლიერ სტენფორდელებზე სასახლო გამარჯვებას ზეიმობდნენ.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამამთავრებელ კურსზე დიკი ლექციებს არ ესწრებოდა, მხოლოდ ლაბორატორიული სამუშაოებით იყო გატაცებული. ლექტორებს ამჯერად შინ იწვევდა, თან მათთან ერთად კალიფორნიაში მოგზაურობდა, რასაც განსაცვიფრებლად დიდი თანხა დაახარჯა.

აგრონომიულ ქიმიკში მსოფლიო ავტორიტეტად აღიარებული სწავლული ჟაკ რიბოტი წლის განმავლობაში საფრანგეთში ორი ათას დოლარად კითხულობდა ლექციებს, მაგრამ მალე ცდუნებამ სძლია და კალიფორნიის უნივერსიტეტში გადავიდა ექვსი ათასი დოლარის შეთავაზების გამო: შემდეგ ჰავაის კუნძულებზე გაემგზავრა, რადგან შაქრის პლანტაციის მფლობელნი ათი ათას დოლარს სთავაზობდნენ წლიურად; დაბოლოს, დიკ ფორესტის მიწვევა მიიღო, რომელიც თხუთმეტი ათას დოლარს გადაუხდიდა წელიწადში. ამ თანხასთან ერთად რიბოტს კალიფორნიის სასიამოვნო კლიმატიც იზიდავდა. შეთანხმება მათ შორის ხუთი წლის ვადით დაიდო.

შემრწუნებულმა კროკეტმა, სლოკუმმა და დევიდსონმა შიშით აღაპყრეს ხელეზი. იფიქრეს, ალბათ, სწორედ ეს არის, დიკის თავაწყვეტილობა იწყებაო, მაგრამ ეს მხოლოდ განვლილის გამეორება გახლდათ ფლანგვის სფეროში. დიკმა სასწაულებრივი თანხის შეთავაზებით გადაიბირა მესაქონლეობის საუკეთესო სპეციალისტი, რომელმაც სახელმწიფო სამსახურს მიანება თავი. ასევე წაართვა ნებრასკის შტატის უნივერსიტეტს უდიდესი სწავლული მერძევეობის საქმეში, დაბოლოს, კალიფორნიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დეკანიც ხელმოცარული დატოვა, როდესაც

იქიდან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის უდიდესი სპეციალისტი და ჯადოქარი ნირდენჰამერი წაიყვანა.

— იაფია, მერწმუნეთ იაფი, — უხსნიდა დიკი თავის მეურვეებს. — ნუთუ თქვენ უფრო მეტად არ შეშფოთდებოდით, რომ ეს თანხა პროფესორებში კი არა, სადოლე ცხენებსა და მსახიობ ქალებში გამეფლანგა. მთელი უბედურება ის გახლავთ, ბატონებო, რომ თქვენ არ გასურთ იცოდეთ, რამდენად სარფიანია სხვისი აზროვნების შესყიდვა. მე კი ძალიან კარგად მესმის და ვხვდები. ეს ჩემი სპეციალობაა. ყოველივე ამით დიდ თანხას ამოვიგებ და იქ, სადაც თქვენ ერთი თავთავი ძლივს მოგყავთ, მე ათს მოვიყვან იმ კურთხეულ მიწაზე, რომელიც თქვენ ასე გამოფიტეთ.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელი გახლდათ მეურვეთათვის, რომ ის თავაწყვეტილ ნავარდს მიჰყოფდა ხელს, სახიფათო საქმიანობაში ჩაებმებოდა ან ქალების ალერსსა თუ მამაკაცების ყბების ლეწვას დაიწყებდა.

— ერთი წელი კიდევ... — აფრთხილებდა იგი მეურვეებს. თვითონ კი აგრონომიული ქიმიის, ნიადაგმცოდნეობისა თუ ფერმერული მეურნეობის წიგნებში ჩაფლული თავისი ძვირადღირებული სახელოვანი ამალით მთელ კალიფორნიაში მოგზაურობდა.

მის მეურვეებს მხოლოდ ის აშფოთებდათ, რომ, როდესაც დიკი სრულწლოვანებას მიაღწევდა და თვითონ დაიწყებდა მამის მემკვიდრეობის პატრონობას, მამისეული მილიონები სწრაფად შემოადნებოდა ხელში, რადგან სასოფლო-სამეურნეო საქმეში ყოველგვარ სიახლესა და წამოწყებას მეთაურობდა.

სწორედ იმ დღეს, როდესაც დიკს ოცდაერთი წელი შეუსრულდა, თვალუწვდენელი რანჩოს ნასყიდობის სიგელი დაიდო: მამული მდინარე საკრამენტოდან მთების მწვერვალებამდე იყო გაშლილი და ირგვლივ მიდამოს რკალივით ერტყმოდა.

— საოცრად ძვირია, — წარმოთქვა მისტერ კროკეტმა.

— პირიქით, ძალიან იაფია, — შეესიტყვა დიკი. — თქვენ უნდა გენახათ, რა ცნობები მივიღე ნიადაგის ხარისხზე! წყაროებზე! საჭიროდ მიმაჩნია, ახლა ჩემი სიმღერა მოგასმენინოთ. გთხოვთ, მისმინოთ, ჩემო მეურვენო. სიმღერაცა და მომღერალიც თავად გახლავართ.

დიკმა უცნაური, გამყივანი ხმით დაიწყო, ისე, როგორც ჩრდილო-ამერიკელი ინდიელები, ესკიმოსები თუ მონღოლები მღერაინ ხოლმე:

ჰუ-ტიმ იუ-კიმ კაი-ო-დი!  
უი-ჰი იენ-ნინგ კოი-ო-დი!  
ლო-ჰი ნან-ნინგ კოი ო-დი!  
იო-ჰო ნიან-ნი-ძელუდომ-იო!  
ნაი, იოჰო ნაინიმ!

— მუსიკა საკუთარია, — ხმადაბლა, მორცხვად ჩაილაპარაკა მან. — ასე ვმღერი და, მგონია, რომ ეს სიმღერა სწორედ ასე უნდა ჟღერდეს. ამქვეყნად ადამიანი არ მეგულდება, რომელსაც მოესმინოს, როგორ სრულდება იგი. ნიშინამებმა ის მაიდუფელთაგან გადმოიღეს, მაიდუმელებმა კი — კანკაულებისაგან, რომელთაც შექმნეს ეს სიმღერა. არც ერთი ეს ტომი ამქვეყნად აღარ არსებობს. მათი სამფლობელოები კი დარჩა. თქვენ, დიდი შემოსავლის წყურვილით აგზნებულმა მეურვეებმა, მიწათმოქმედების მტაცებლური სისტემით გამოფიტეთ ისინი. ეს სიმღერა ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის სანაპიროს გეოგრაფიულ-გეოლოგიურ მიმომხილველის ეთნოლოგიური ცნობარის მესამე ტომში ვიპოვე. ზეცით მოვლენილმა ბელადმა, რო-

მელსაც, სახელად მეწამულისფერი ღრუბელი ერქვა, სამყაროს დაარსების პირველ განთიადზე ეს სიმღერა ვარსკვლავებსა და მთის ყვავილთ მიუძღვნა. ახლა კი თქვენ ინგლისურად გიმღერებთ მას.

დიკმა კვლავ ინდიელთა მსგავსი გამყვიანით დაიწყო: ხმა გაზაფხულის დამატყვევებელი სითბოთი და სიხარულით იყო აღსავსე და ბგერების გამარჯვების ზარივით რეკდა. სიმღერის დროს დიკი თემოებზე ხელებს იტყაპუნებდა და ტაქტისა და მახვილის გასაძლიერებლად ფეხებს იატაკზე მთელი ძალით ურტყამდა. დიკი მღეროდა:

ზეციდან ცვივა რკო უთვალავი,  
ფართო ველებზე ვრგავ მოკლე ნერგებს!  
პატარა რკოებს ვრგავ ფართო ველზე  
დიდონ რკოებსაც ვრგავ ტრამალებზე!  
დაუსაბამოდ, და ვიყრი ყლორტებს!

დიკ ფორესტის სახელს სულ უფრო ხშირად ახსენებდნენ გაზეთებში. მალე მთელ კალიფორნიაში საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება გახდა. პირველი ადამიანი, რომელმაც ერთ ბუღაში ხუთი ათასი გინეა გადაიხადა. მისმა საქვეყნოდ განთქმულმა მესაქონლეობის სპეციალისტმა ეს შესანიშნავი პირუტყვი ინგლისელ როტმილდებს ფორესტის ფერმისათვის დიდი მოხერხებით გამოაცალა ხელიდან. პირუტყვს მალე «ფორესტის ახირება» შეარქვეს.

— დაე იცინონ. — ეუბნებოდა ფორესტი თავის მეურვეებს. — შაირის ჯიშის ორმოცი სანაშენო დედაპირუტყვი შევიძინე. პირველივე წელს ეს ბუღა თავისი ფასის ნახევარს დამიბრუნებს. ის მომავალ თაობათა უბადლო წინაპარი იქნება. მხოლოდ ამ ჯიშის ნაშიერთა ხბოებით გავამდიდრებთ ჩვენს მეურნეობას. კალიფორნიელები ამ ხბოებს ხელიდან გამომტაცებენ და სულზე სამ, ან უფრო მეტ, ხუთი ათას დოლარს მომცემენ.

თავისი სრულწლოვანების პირველ თვეებში დიკ ფორესტმა უამრავი ამგვარი უგუნური საქციელი ჩაიდინა, მაგრამ ყველაზე დიდი უგუნურება მაინც ის გახლდათ, რომ კაცმა, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა მოწყობაში მილიონები დააბანდა, უეცრად მთელი ეს საქმე სპეციალისტებს მიანდო, მითითება მისცა დადგენილი გეგმის მიხედვით ემოქმედნათ, ურთიერთშორის კონტროლიც დაუწესა, რომ თავს ძალიან არავის გასვლოდა, მერე ბილეთი იყიდა და თავაწყვეტილი ნავარდისათვის კუნძულ ტაიტისაკენ გაემურა.

შემთხვევით, დროდადრო თუ მოაღწევდა მისი ამბავი მეურვეებამდე. უეცრად ოთხაფრიანი გემის მფლობელი შეიქნა, რომელზედაც ინგლისის დროშა ფრიალებდა და ნიუკასლიდან ქვანახშირი მოჰქონდა. მეურვეებმა ეს ამბავი არამცთუ გაიგეს, გემის შესასყიდი ფასიც თვითონ გადაიხადეს. მალე გემის მფლობელის გვარი გაზეთებშიც გამოქვეყნდა, რადგან მან დიდი სამგზავრო გემის «არიონის» მგზავრები ამ გემის დაღუპვის დროს სიკვდილს გადაარჩინა. ამის გარდა, სადაზღვევო თანხაც მიიღეს, როდესაც ფორესტის ეს საკუთარი გემი კუნძულ ფიჯის მისადგომებთან გააფთრებული გრიგალის დროს მეზღვაურთა თითქმის მთელი შემადგენლობით დაიღუპა.

1896 წელს დიკ ფორესტი კლონდაიკშია: 1897 წელს კამჩატკაზე, სადაც სურავანდით დაავადდა. მერე მოულოდნელად ამერიკული დროშით ფილიპინის კუნძულებს მიადგა. უეცრად, როგორ და რატომ — არავინ უწყობდა, იგი ძველი სავაჭ-

რო გემის მფლობელი და კაპიტანი შეიქნა, რომელზედაც ლოიდებმა კარგა ხნის წინათ აიღეს ხელი. ახლა გემი სიამის დროშით ცურავდა.

მეურვეებსა და ფორესტს შორის დროდადრო იმართებოდა საქმიანი მიმოწერა. დიკი იწერებოდა ზღაპრული ნავსადგურებიდან და ზღვის ულამაზესი სანაპიროებიდან. ერთხელ, ვაშინგტონზე ზეგავლენის მოსახდენად, მათ შტატის მთავრობასთან შუამდგომლობაც კი დასჭირდათ, რათა რაღაც არეულ, საიდუმლო პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით დაკავებული დიკ ფორესტი რუსეთიდან გამოეხსნათ.

ამ ამბის გამო პრესაში ერთი სიტყვაც არავის დასცდენია, მაგრამ ევროპის სახელმწიფოთა სამინისტროებში კი ფარული ნიშნის მოგება და ღვარძლით სახსე სიამოვნება გამოიწვია.

შემთხვევით გაიგეს, დაჭრილი ფორესტი მეიფკინში წევსო, შემდეგ გუაქილში ყვითელი ციებ-ცხელება შეეყარაო, მერე ნიუ-იორკში გაასამართლეს მეზღვაურებისადმი ღია ზღვაში არაადამიანური მოპყრობის გამოო... გაზეთებში სამჯერ გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების ცნობა. ერთხელ, თითქოს მექსიკაში ბრძოლის დროს გარდაცვლილიყო. ორჯერ კი ვენესუელაში სიკვდილით დაესაჯათ. ყველა ამ ცრუ, გამონაგონი ამბების და ენით აღუწერელი მღელვარების შემდეგ მეურვეებმა გადაწყვიტეს მეტად აღარ შემოფოთებულყვნენ. ამიტომ იყო რომ დამშვიდებულნი შეხვდნენ იმ ამბავს, თითქოს დიკმა ყვითელი ზღვა გადაცურა და ჩინურ ნავში ბერი-ბერისაგან გარდაიცვალაო; შემდეგ ასეთი ხმაც გავრცელდა — რუსეთის სამხედრო ტყვეებთან ერთად იაპონელებს მუკდენტან ტყვედ ჩაუვარდა ხელში და ახლა იაპონიის სამხედრო საპყრობილეში იმყოფებაო.

ერთი დიდი შემოფოთება და გულის ნერვული შეტევაც მეურვეებს მაშინ გადახდათ, როდესაც მთელი დედამიწა მოვლილი დავაჟკაცებული დიკი, თავისი მუქარის შესაბამისად, შინ მეუღლით დაბრუნდა. დიკს მაშინ ოცდაათი წელი შეუსრულდა და, როგორც თვითონ თქვა, რამდენიმე წლის წინათ დაეწერა ჯვარი. გამოირკვა, რომ სამივე მეურვე ადრევე კარგად იცნობდა დიკის მეუღლის მამას. მისტერ სლოკუმმა მის მამასთან ერთად, იმ დიდი კატასტროფის დროს, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერცხლის მონეტის ხმარება გააუქმა, საქვეყნოდ ცნობილ ლოს კოკოსის მღაროების მშენებლობის საქმეში მთელი თავისი ქონება დააბანდა და რვაასი ათასი იზარალა. მისტერ დევიდსონმა კი ამაღორის მიდამოებში ამჟამად დამშრალი «უკანასკნელი რისკის» სახელით ცნობილ ადამიანთა მკვდრეთით აღმდგენი მდინარის კალაპოტიდან ერთი მილიონი მოგება ამოიღო, მაშინ, როდესაც დიკის სიმამრმა ამ საქმიდან რვა მილიონის მიღება შეძლო. მისტერ კროკეტმა კი, ჯერ ისევ ადრეული ჭაბუკობის ჟამს მასთან ერთად «ამოფხიკა» მდინარე მერსედესის ფსკერი. მერე, როდესაც დიკის მეუღლის მშობლებმა სტოკტონში ჯვარი დაიწერეს, მათი მეჯვარეც გახლდათ; გრანტეს პასში კი მასთან და ლეიტენანტ უ. ს. გრანტთან<sup>1</sup> (1<sup>ს</sup>ულის გრანტი — (1822—1885) სამოქალაქო ომის დროს ჩრდილოელთა მთავარსარდალი. (1861—1865) ომის წარმატებით დასრულების შემდეგ არჩეული იქნა აშშ-ის პრეზიდენტად (1869—1877).) პოკერს თამაშობდა. ეს ახალგაზრდა ლეიტენანტი, რომელსაც მთელი დასავლეთი იცნობდა, შესანიშნავად ებრძოდა ინდიელებს, მაგრამ პოკერს ძალიან ცუდად თამაშობდა.

დიკმა სწორედ მათთვის ესოდენ ახლობელი ადამიანის, ფილიპ დესტენის ქალიშვილი შეირთო ცოლად. აქ უკვე ზედმეტი იყო ბედნიერება ესურვებინათ ვაჟისათვის. პირიქით, საჭიროება მოითხოვდა დაემტკიცებინათ, რომ მას კიდევ არ ესმის, რა ბედი ეწია. ამიტომაც მეურვეებმა ყველა აქამდე ჩადენილი ცოდვა და თავაწყვეტილი ნავარდი აპატიეს. არჩევანი ფრიად მოუწონეს, გონიერ საქციელად ჩაუთვალეს.

ის კი არა, გენიალურ ნაბიჯადაც მიიჩნის. პაოლა დესტენი! ფილიპ დესტენის ქალიშვილი! დესტენტა სისხლი! დესტენტა და ფორესტა ურღვევი კავშირი! ამან გამოისყიდა ყველაფერი. და აი, სამი ხანშიშესული ადამიანი, ადრეული სიჭაბუკისა თუ ახალგაზრდობის წლებში ფილიპ დესტენსა და რიჩარდ ფორესტს რომ მეგობრობდნენ, ახლა დიკს ცოტა არ იყოს მკაცრი ტონით ესაუბრებოდნენ. შთააგონებდნენ იმ დიდ ბედნიერებას, რაც დიკს ხვდა წილად ამ უმვირფასესი საუნჯის ცოლად შერთვით, ახსენებდნენ იმ ვალდებულებებს, რასაც ასეთი ქორწინება ითხოვდა და, საერთოდ, ყველა იმ ტრადიციას, რომლებიც ფორესტა და დესტენტა საგვარეულოებს გააჩნდათ. ამ თემაზე ისე ხშირად მსჯელობდნენ, რომ, ბოლოს და ბოლოს, დიკმა საუბარი შეაწყვეტინა. სიცილი დაიწყო და განაცხადა: თქვენი მსჯელობა უმიზნო ან მეოცნებე ევგენიკით<sup>2</sup> (² ევგენიკა — კაცთმოდულე, მოძღვრება ადამიანის მოდგმის, მისი მემკვიდრული ბუნების გუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ.) გონდაზნეული ადამიანის ნაუბარს ჰგავსო. რა თქმა უნდა, დიკის აზრი სრული ჭეშმარიტება გახლდათ, თუმცა ასეთი განცხადება მეურვეთათვის არავითარი სიამოვნების მომტანი არ შეიძლება ყოფილიყო.

საკმარისი აღმოჩნდა დესტენტა შთამომავალზე ჯვარის დაწერა, რომ მეურვეებმა დიკს დიდი სახლის მშენებლობის გეგმაც და ყველა მასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვაც მოუწონეს. მათ მხოლოდ პაოლა დესტენის წყალობით ცნეს დიკ ფორესტის მიერ დახარჯული თანხა გონივრულად და მიზანშეწონილად, რადგანაც «ჰარვესტის ჯგუფის» მალაროები ისევე იწყებდა აყვავებას. მათ თანხმობა გამოთქვეს, დიკს საყვარელი საქმიანობისათვის მოეკიდა ხელი, თუმცა იცოდნენ, რომ ეს უდიდეს ხარჯებს მოითხოვდა.

მრავალი დათმობის მიუხედავად, მისტერ სლოკუმმა თავი მაინც ვერ შეიკავა და განაცხადა: — ოცდახუთი ათასად მუშა ცხენის ყიდვა დიდ უგუნურებად მიმაჩნია. მუშა პირუტყვი მაინც მუშა პირუტყვია და მეტი არაფერი: ასეთი თანხა მესმის — დოლის ჯიშთან ულაცში გადაიხადოს კაცმა...

## თავი მეშვიდე

დიკი ღორის ჭირის შესახებ აიოვას შტატში გამოცემულ ბროშურას ათვალთვრებდა, უეცრად სასახლის ერთ-ერთი შორეული კუთხის ღია სარკმლიდან საოცრად ტკბილი ხმა შემოესმა. ეს ხმა იმ ახლადგადვიძებულ არსებას ეკუთვნოდა, რომლის მოღიმარი სურათი ხის ჩარჩოდან გადმოჰყურებდა დიკის საწოლს. ეს საწოლი ოთახი ქალმა სულ რამდენიმე საათის წინ დატოვა. იატაკზე ვარდისფერი, სიფრიფანა მაქმანის ჩაჩი დავარდნოდა, მზრუნველმა მსახურმა რომ შეინახა.

დიკს ხმა გარკვევით ესმოდა, ქალი მოჟღერტულე ფრინველივით სიმღერით იღვიძებდა. იგი მღეროდა, ხან ერთი, ხან მეორე ფანჯრიდან ესმოდა დიკს ეს წკრიალა, საოცრად სუფთა და შესანიშნავი ბგერები. ექოს გამოსცემდა სასახლის ეს უგრძელესი ფლიგელი, რომელიც ამ უმშვენიერესი არსების საკუთრებას წარმოადგენდა. მერე სიმღერა სასახლის პირდაპირ, ბაღში, შუა ეზოდან მოესმა, მაგრამ იგი უცებ შეწყდა, ეტყობა ქალი შოტლანდიურ პატარა ლეკვს ტუქსავდა, ალბათ, მადააღმრული პაწაწინა პირუტყვი ხარბი თვალთ მარაოსავით კუდგაშლილ, ბრტყელფარფლიან, მეწამულისფრად დაწინწკლულ თევზებს მისჩერებოდა, რომლებიც აუზის გამჭვირვალე წყალში დროდადრო ელვისებურად გამოკრთებოდნენ ხოლმე.

დიკ ფორესტს სიხარულის უცნაური განცდა ეუფლებოდა მუდამ, როცა მეუღლის ხმა ჩაესმოდა. ამ განუსაზღვრელ სიამეს ყოველდღიურად ახლებურად განიც-

დიდა. დიკი მასზე ბევრად ადრე იღვიძებდა, მაგრამ დიდი სახლი კვლავ მძინარე ექვნივობდა, ვიდრე ბალიდან მის მშვენიერ ხმას არ მოჰკრავდა ყურს.

თუმცა ასეთი დიდი სიამოვნება მოჰგვარა მეუღლის ხმის გაგონებამ, მაგრამ დიკი, ჩვეულებისამებრ, უმაღლვე საქმეში ჩაეფლო და პაოლაზე ფიქრი შეწყვიტა. მან კვლავ ჩაჰკიდა თავი და აიოვას შტატში ღორის ჭირის გავრცელების ციფრობრივ მონაცემებს მთელი გულისყურით ჩაუკვირდა.

— დილა მშვიდობისა, მხიარულო ჭაბუკო! — შემოესმა დიკს მუსიკასავით მომაჯადოებელი, სმენის დამატყვევებელი ხმა და დილის კიმონოში გამოკვალთული, ტანკენარი, სიცოცხლის მგზნებარებით აღვსილი პაოლა თითქოს შემოფრთხილდა, ორივე ხელი კისერზე რკალივით შემოაჭდო და დიკის ვაჟური მოკრძალებით შეთავაზებულ მუხლზე ჩამოჯდა. დიკმა მეუღლე მკერდზე ფრთხილად მიიკრა, გულწრფელად გამოხატა, თუ რა განუსაზღვრელი გრძნობით შესტრფოდა, რაოდენ სწყყროდა მასთან ყოფნა, მისი სიახლოვე, თუმცა წამით მაინც დააყოვნა პროფესორ კენილის მიერ ღორის ჭირის თაობაზე გამოტანილი დასკვნებისათვის მხერის მოშორება. ეს პროფესორი იმჟამად საიმონ ჯონსის ფერმაში, აიოვას შტატში, მუშაობდა.

— ღმერთო ჩემო, — წარმოთქვა ნაწყენი კილოთი პაოლამ, — რა დიდად გწყალობთ ბედი. განგების ძალას მოჭარბებული ბედნიერებით აღუვსიხართ! მეუღლე თავისი ფეხით გეახლათ, სერ, თქვენი საოცნებო ბიჭი, თქვენი «პატარა ამაყი მთვარე». თქვენ კი არც კი იწუხებთ თავს უთხრათ: «დილა მშვიდობისა, ძვირფასო ბიჭუნო, მშვიდი და ტკბილი ძილი თუ გქონდა წუხელ?»

დიკმა პროფესორ კენილის გამოანგარიშებულ ციფრობრივ სვეტებს თვალი მოაშორა. მეუღლე გულში მთელი გრძნობით ჩაიკრა და კოცნით გული იჯერა, მაგრამ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ბროშურისათვის მაინც არ მოუცილებია.

პაოლას საყვედურების შემდეგ დიკს აღარაფერი უკითხავს, თუმცა აპირებდა გამოეკითხა, ტკბილად ეძინა თუ არა მას შემდეგ, რაც მაქმანის საღამური, პირისფერი ჩაჩი მის საწოლთან დარჩა! მერე ბროშურა დახურა, თუმცა საჩვენებელი თითი წიგნიდან არ ამოუღია და ასე ორივე ხელით მოეხვია პაოლას.

— ოჰ, — წამოიძახა პაოლამ. — ოჰ! ოჰ! გესმის?

ღია სარკმლიდან მწყერთა ღულუნა გადაძახილი მოისმოდა.

ეს მელოდიური მომაჯადოებელი ბგერები სიხარულით ადავსებდა პაოლას არსებას და ათრთოლებული ეკვროდა დიკს.

— როჭოების ტიხტიხი იწყება, ფრინველები ერთურთს უხმობენ, — წარმოთქვა დიკმა.

— გაზაფხული ახლოვდება! — წამოიძახა სიხარულით პაოლამ.

— კარგი ამინდის ნიშანიც არის.

— სიყვარულისაც!

— ჰო, ჩიტებიც დაიწყებენ ბუდეების შენებასა და კვერცხების დებას, — გაიცინა დიკმა. — არასოდეს ასე არ მიგრძენია სამყაროს უხვი ნაყოფიერება, როგორც ამ დილით. ლედი აილტონმა თერთმეტი გოჭი მოიგო. ანგორის თხებიც დღეს ჩამორეკეს მთიდან, დოლობის დროა. ნეტავი ერთხელ მაინც გაჩვენა ისინი! ანდა ეს გარეული იადონები ჩვენს ბაღში რომ სტვენენ, ვინ იცის, რამდენ ხანს უნდებიან გულის სწორის ამორჩევასა თუ ახალი ოჯახების შექმნას. გეგონება, თითქოს ვიღაც სხვა, თავისუფალი სიყვარულის მოტრფიალე ცდილობდეს მათი მშვიდი ქორწინების თანამედროვე თეორიებით დარღვევას. მიკვირს, მათი ხმამაღალი კამათი ძილს რომ არ გირღვევდა. გესმის? კვლავ დაიწყეს... ნეტავ რას გამოხატავენ — ურთიერთ თანაგრძნობასა და შეთანხმებას თუ განხეთქილებისა და განშორების საშიშროებას?

კვლავ გაისმა იადონთა მთრთოლვარე, უნაზესი გალობა, მაგრამ როგორღაც აღელვებული და გულგამგმირავ სტვენაში გარდამავალი. პაოლა და დიკი მოჯადოებულივით უსმენდნენ მათ, რომ უეცრად ამ პაწაწინა ოქროსფერ მიჯნურთა გალობა ველური მგზნებარებით აღვსილმა, თავაწყვეტილი ტრფიალებით სავსე, მაგრამ საოცრად მჭექარე ხმამ დაფარა. ეს ხმა სწორისადმი უსაზღვრო ლტოლვით, ძლიერებითა და მოძალადეობით ანცვიფრებდა ადამიანს.

პაოლამ და დიკმა ცნობისმოყვარე, დაძაბული მზერა მინის კარს იქით, საძინებელი აივნის თეჯირის პირდაპირ, იასამნის ხეივანში გამავალ ფართო ბილიკს მიაპყრეს. სუნთქვაშეკრულნი, ჯიშინი ულაცის გამოჩენას ელოდნენ, გრძნობადაუმცხრალი რომ ჭიხვინებდა და გულის სწორს თავგამეტებით უხმობდა. ულაცი ჯერ არ ჩანდა, მაგრამ გრძნობამორეულმა საყვირის მაგვარი მჭექარე ხმით კვლავ დაიჭიხვინა და დიკმა პაოლას უთხრა:

— ახლა, ჩემო ამაყო მთვარევ, მე გიმღერებ. ეს სიმღერა მე არ შემეძინია, იგი ჩვენი მთიელის სიმღერაა. აბა, ისმინე, ვის უხმობს იგი ამ ჭიხვინით! გესმის? იცი, იგი რას ამბობს?

— «ყური მომაპყარ! მე ეროსი ვარ, ამქვეყნად მავალი და ფეხქვეშ ვთელავ მოლით დაფარულ ბორცვებს, ჩემი ხმა სწვდება უკიდევანო მდელოებს შორეულ საძოვრებზე. გიჟმაჟ ფაშატებს ჩაესმით ეს ხმა და უმალვე ყალყზე დგებიან, სხეული უთრთით, რადგან ჩემს ხმას კარგად ცნობენ. ხავერდოვანი ბალახი უფრო და უფრო ხშირდება და სიმაღლეში მატულობს. დედამიწა ნოყიერდება. ხეები სასიცოცხლო წვენივით ივსებიან. ეს გაზაფხულია, ჩემი გაზაფხული. მე კი მეფე ვარ ჩემი გაზაფხულის საუფლოში. ფაშატებს ახსოვთ ჩემი ხმა, რადგან ეს ხმა მათ დაბადებამდე მათი დედების სისხლში ცოცხლობდა... ყური მომაპყარ! მე ეროსი ვარ, ფეხქვეშ ვთელავ მოლით დაფარულ ბორცვებს. მდელოები კი, როგორც მაცნენი, ერთურთს გადასცემენ ჩემი მოსვლის მაუწყებელ მგრვინავ ჭიხვინს».

პაოლა მჭიდროდ ეკვროდა მეუღლეს. მთრთოლვარე ტუჩებით დიკის შუბლს ეამბორა. დიკმა ძლიერი მკლავები შემოხვია და უფრო მაგრად ჩაიკრა გულში. ორივენი იასამნებს შორის გამავალ ბილიკს გაჰყურებდნენ, რომელზედაც უცებ, როგორც დიდებული შესანიშნავი მოჩვენება, მთის ამაყი ულაცი გამოჩნდა. თვითონ მხედარი კი სასაცილოდ პაწაწინა ჩანდა. ულაცს თვალები ველური ცეცხლივით ავსებოდა და ლურჯად უბრწყინავდა, როგორც ჯიშინი ულაცებს სჩვევიათ. მთრთოლვარე ლაშქრით თეთრი რძისფერი ქაფით ჰქონდა დაფარული, რაც მის გრძნობამორეულ და აღტყინებულ განწყობას მოწმობდა. ჯაგრისით დავარცხნილი ბრწყინავი ბალნით დაფარული მუხლები უცახცახებდა. თავს ხან ჩაჰკიდებდა, ხან კი ცისკენ აღაპყრობდა მზერას და საოცრად ძლიერი, გულგამგმირავი, მბრძანებლური ჭიხვინით უხმობდა გულის სწორს გაშლილ სივრცეში.

და როგორც ექო, პასუხად შორიდან ტკბილხმოვანი, ხმადაბალი ჭიხვინი მოისმა.

— ეს ფოთერინგტონის პრინცესა გამოეპასუხა, — საამოდ წაიჩურჩულა პაოლამ.

მთიელმა (როგორადაც ისინი უხმობდნენ ულაცს) კვლავ ზეცა შეძრა გულის სწორის მომხმობი ჭიხვინით, დიკმა კი, თითქოს იმეორებსო, სიმღერა დაიწყო:

— ყური მომაპყარ! მე ეროსი ვარ! და ფეხქვეშ ვთელავ მოლით დაფარულ ბორცვებს...

უცებ დიკის მკლავებში მოქცეული ქალის გულს ამ დიდებული პირუტყვის მიმართ ეჭვიანობის ბასრი ისარი შეეხო. პაოლამ იცოდა, რა ძვირად უღირდა დიკს ეს

მშვენიერი ქმნილება. მაგრამ ეჭვიანობის ნაპერწკალი უმაღვე გაქრა და დანაშაულის გრძნობით აღვსილმა მხიარულად წამოიძახა:

— ახლა, ჩემო მეწამულო ღრუბელო, რკოზე მიმდერე!

დიკი კვლავ ბროშურას მიბრუნებოდა. პაოლას დაბნეული მზერა შეავლო, მაგრამ უცებ გამოერკვა და მხიარული მგზნებარებით განაგრძო:

ზეციდან ცვივა რკო უთვალავი!

პატარა რკოებს ვრგავ ფართო ველზე!

დიდრონ ნერგებსაც ვრგავ ტრამალებზე!

მე თვითონ რკო ვარ რუხი მუხების და ვიყრი ყლორტებს

დაუსაბამოდ, და ვიყრი ყლორტებს...

სანამ დიკი მღეროდა, პაოლა უფრო და უფრო ეკვროდა მეუღლეს, მაგრამ სიმღერა დაამთავრა თუ არა, დიკის ხელის მოუთმენელი მოძრაობა იგრძნო, რომელშიც კვლავ ის ბროშურა ეჭირა, მის სწრაფ მზერასაც მოჰკრა თვალი, საწერ მაგიდაზე საათის ციფერბლატს რომ შეავლო. საათი 11-სა და 25 წუთს აჩვენებდა. პაოლა კვლავ შეეცადა დიკი შეეჩერებინა, მის სიტყვებში ისევ მორიდებული საყვედური გაისმა.

— ძალიან უცნაური, განსაცვიფრებელი ადამიანი ხარ, ჩემო მეწამულო ღრუბელო! — წარმოთქვა მან წყნარად. — ხანდახან მეჩვენება, რომ ნამდვილი მეწამული ღრუბელი ხარ, რგავ მუხის ნერგებს და ქება-დიდებას უმღერი შრომის პირველყოფილ სიხარულს. ხანდახან კი სრულიად თანამედროვე პიროვნებად წარმომიდგები, უკანასკნელ სიტყვად ორფეხიანთა სამეფოში, მამაკაცად, რომლისთვისაც სტატისტიკური ცხრილები ნამდვილი ტროას ომია, სინჯარებით და კანქვეშ შესასხურებელი ნემსებით გლადიატორივით რომ ეომება უამრავ ფარულ ბაქტერიას. არის ისეთი წუთებიც, როდესაც ვფიქრობ, რომ სათვალე უნდა გეკეთოს, მელოტი იყო და...

— ასე რომ, შენი აზრით, მე, დაჩაჩანაკებულს, ქალის ალერსისა და გულში ჩაკვრის უფლებაც აღარ მაქვს, არა? — დაასრულა დიკმა და კვლავ უფრო მეტი მგზნებარებით მიიზიდა პაოლა თავისაკენ. — რომ მე მხოლოდ და მხოლოდ ერთი გამოჩერჩეტებული ნასწავლი პირუტყვი ვარ და მეტი არაფერი. არ ღირს ვარ მერქვას «მეწამული ფაფუკი ღრუბელი». მომისმინე, პაოლა, მე ახალი გეგმა მაქვს. რამდენიმე დღის მერე...

მაგრამ დიკმა თავისი გეგმის გამხელა ვერ მოასწრო, რომ უეცრად ზურგს უკან თავშეკავებული ხველება გაისმა. ორივემ ერთდროულად მოიხედა და კანცელარიის მდივანი ბონზრაიტი დაინახა, რომელსაც ერთი შეკვრა ყვითელი ქაღალდები ეჭირა. ხელში.

— ოთხი დეკემბა, — შემცბარი ხმით წარმოთქვა მან. — მისტერ ბლეიკის აზრით, ორი მათგანი მეტად მნიშვნელოვანი იყო.

პაოლა ნელ-ნელა ჩამოცოცდა მეუღლის მუხლიდან. იგრძნო, რომ დიკი კვლავ განშორდა მას და ისევ სტატისტიკურ ცხრილებს, ქაღალდებს, ზედნადებებს, მდივნებსა და მმართველებს დაუბრუნდა.

— პაოლა! — გასძახა დიკმა უკვე კარებთან მისულ პაოლას. — მსახურ ბიჭს ახალი სახელი ო-ჰო დავარქვი. როგორ მოგწონს?

— მალე, ალბათ, ფრინველთა სახელებს შეარქმევ ამ ბიჭებს.

პაოლას პასუხში უცნაური ნალველი შეიმჩნეოდა, მაგრამ მისმა მშვენიერმა დიმილმა ყოველივე დაფარა:

— სამაგიეროდ, ამას ვერ შევბედავ ჩემს სანაშენო პირუტყვს, — განაცხადა მან ამაყად, თუმცა თვალების ეშმაკური ელვარება მეტყველებდა, რომ ხუმრობდა.

— მაგას არ ვგულისხმობ, — გამოეპასუხა პაოლა. — ვფიქრობ, მეტყველების ამოუწურავი მარაგი არ გაგაჩნია. ალბათ, ყველაფერს დაუძახებ ო-ბელ, ო-ჰელ, და ო-ჯანდაბამდე გზაც გქონიას. ეს «ო», შენი ენობრივი მარაგის სისუსტეა. ყველა სახელი სიტყვა «წითლით» უნდა დაგეწყო, მაშინ დაუძახებდი: წითელი ხარი, წითელი ცხენი, წითელი ძაღლი, წითელი ბაყაყი და ყველაფერი, ყველაფერი წითელი.

პაოლამ მხიარულად გადაიკისკისა. დიკიც გულიანად ხარხარებდა. მალე პაოლა თვალს მოეფარა. ერთი წამიც და ფორესტმა დეპეშა გაშალა და საქმეს შეუდგა. იგი ახლა თითო ორას ორმოცდაათ დოლარად ღირებულ სამასი სანაშენო, ერთ და ორწლიანი მოზვრების გაგზავნასთან დაკავშირებული ამბების მოგვარებაზე ფიქრობდა. და მაინც, საქმეში ასე თავჩარგულს, უსაზღვრო სიამოვნებას ჰგვრიდა პაოლას ხმა. ქალი ბადის გავლით სიმღერით ბრუნდებოდა უკან საკუთრად მისთვის გამოყოფილ, სასახლის გრძელ ფლიგელში. დიკმა ვერ შენიშნა, რომ მის ხმაში ძველებური მხიარულება ისე ძალუმად აღარ იგრძნობოდა.

## თავი მერვე

პაოლას ოთახიდან გასვლისთანავე დიკმა ზუსტად ხუთ წუთში ოთხივე დეპეშა გადაიკითხა და აიდაპოდან ჩამოსულ საქონლის შემსყიდველ თეიერისა და «მესაქონლეთა გაზეთის» კორესპონდენტ ნეისმითის თანხლებით მანქანაში ჩაჯდა. თვალუწვდენელ ფარეხთან მეცხვარეობის საქმეთა გამგებელი უორდმენიც შემოუერთდათ. ფარეხში რამდენიმე ათასი შროპშირის ჯიშის ვერძი შეეღალათ გასასინჯად.

ფორესტი დუმდა. — ასეთი საქონლის პატრონს რაღა ლაპარაკი მჭირდებაო, თეიერი კი განაწყენდა, რადგან, მისი აზრით, ათობით ვაგონი ასე ძვირად ღირებული ვერძის შესყიდვის დროს მოლაპარაკების გამართვა ურიგო ამბავი არ იქნებოდა.

— ცხვრები თვითონ ლაპარაკობენ თავიანთ თავზე, — დაამშვიდა დიკმა და ნეისმითისაკენ შეტრიალდა, რათა საგაზეთო წერილისთვის ზოგიერთი საჭირო ცნობები მიეწოდებინა. კერძოდ, როგორ უნდა მოემრავლებინათ შროპშირული ჯიში კალიფორნიასა და ამერიკის ჩრდილო-დასავლეთში.

— ვფიქრობ, ვერძების ამორჩევისათვის თავის შეწუხება სრულიად ზედმეტია, — ახლა უკვე თეიერს მიუბრუნდა დიკი. — ყველა კარგია, ის კი არა, საუკეთესო. შეგიძლიათ, ერთი კვირა არჩიოთ ეს თქვენი ათი ვაგონი, მაგრამ დამერწმუნეთ, სრულიად ისეთივე იქნება, როგორც განურჩევლად, ერთიმეორეზე მიყოლებით შეძენილი.

ფორესტის მშვიდმა გულდაჯერებულობამ, რომ გარიგება უკვე დამთავრდა, თან იმ აშკარა ფაქტმა, რომ ასეთი ღირებული ჯიშის ცხვარი მთელ სიცოცხლეში მართლაც არსად ენახა, ათი ვაგონის მაგიერ თეიერს ოცის შესყიდვა გადააწყვეტინა.

დიდ სახლში დაბრუნდნენ თუ არა, თეიერმა ნეისმითთან ცხვრის თვალთვლების გამო შეწყვეტილი ბილიარდის თამაში განაგრძო და დაუფარავად უთხრა:

— ფორესტთან პირველად ვარ. იგი სასწაულმოქმედი, ნამდვილი ჯადოქარი ყოფილა. აღმოსავლეთის შტატებში ხშირად ვყიდულობ პირუტყვს, გადამყავს კიდევ, მაგრამ ამ შროპშირის ჯიშის ვერძებმა პირდაპირ დამატყვევეს. შენიშნეთ, რომ შეკვეთა გავაორმაგე? ჩემს კლიენტებს აიდაპოში ნამდვილად გააგიჟებს მათი ნახვა. მართალი გითხრათ, მითხრეს, მხოლოდ ექვსი ვაგონი მეყიდა და ორიც თუ მაინცდამაინც ჩემი თვალსაზრისით მიმემატებინა. მაგრამ თუ მათ დანახვაზე თითოეული მყიდვე-

ლი შეკვეთას არ გააორმაგებს, ხოლო დარჩენილზე თავ-პირის მტვრევა არ ატყდება, მაშინ მე პირუტყვის შერჩევისა და ცნობისა არაფერი მცოდნია. საქონელი შესანიშნავია. თუ ამ ვერძებმა აიდაპოში გადატრიალება არ მოახდინეს, მაშინ მე დიდვაჭარი არა ვყოფილვარ და დიკ ფორესტი კი საქონლის ახალი ჯიშების შემქმნელი სასწაულმოქმედი.

როდესაც დიკის მიერ კორეიდან ჩამოტანილ ბრინჯაოს გონგს საუზმეზე მოსახმობად ჩამოჰკრეს (მას კი მხოლოდ მაშინ აახმოვანებდნენ, როდესაც დარწმუნებული იყვნენ, პაოლას არ ეძინა), დიკ ფორესტი დიდ ეზოში გამოვიდა და ოქროსფერი თევზებით სავსე შადრევნის ირგვლივ შეკრებილ ახალგაზრდებს შეუერთდა. ბერტ უენრაიტი მორჩილად ასრულებდა საკუთარი დის — რიტას, პაოლას და მისი დების ერნესტინასა და ლიუტის განკარგულებებს. ხოლიხით ცდილობდა აუზში უჩვეულოდ ლამაზი, ოქროსფერი ყვავილის მაგვარი თევზი დაეჭირა. პაოლას აჯადოებდა მისი ზომა, შეფერილობა, ფარფლები. ამიტომაც გადაწყვიტა სასახლის შიდა, საკუთარ საიდუმლო ბაღში განსაკუთრებულ აუზში განცალკევებით მოეთავსებინა.

მხიარულ სიცილში, წამომახილებსა და ჟრიამულში, როგორც იქნა, უჩვეულო მოზრდილი თევზი დაატყვევეს, ქილაში ჩასვეს და იტალიელ მეზადეს გადასცეს.

— აბა ერთი რას გვიბრძანებ თავის გასამართლებლად? — გამომწვევად შეეკითხა ერნესტინა შემოერთებულ დიკს.

— არაფერს, — მიუგო დიკმა ნაღვლიანად. — მამული ცარიელდება, ხვალ სამასი შესანიშნავი მოზვერი მიჰყავთ სამხრეთ ამერიკაში. თეიერმა კი, აი, გუშინ საღამოს ხომ ნახეთ, ოცი ვაგონი ვერძი შეისყიდა. ერთი რამ შემძლია გითხრათ: აიდაპოსა და ჩილეს გულით ვულოცავ ასეთ დიდ შენაძენს.

— შენც მეტი რკო თესე ამქვეყნად, — გაიცინა პაოლამ.

პაოლას ორივე დისთვის ხელი გადაეხვია და მათ შუა იდგა. სამივენი უნატიფესი ხელოვნებით ნაჩუქურთმევ, მოლიმარე გამოსახულებებსა ჰგვანდნენ.

— ოჰ, დიკ, გვიმღერე შენი შესანიშნავი სიმღერა რკოზე, — შეევედრა ლიუტი. დიკმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— მე ახალი, გაცილებით უკეთესი სიმღერა ვისწავლე, მხოლოდ იგი ღვთაებრივ ხმაზე სრულდება. მასთან რა სახსენებელია მეწამული ფერის ღრუბელი და მისი სიმღერა! უსმინეთ! ნიუ-იორკის უღარიბესი უბნიდან პატარა გოგონა თავის საკვირაო სკოლასთან ერთად მოგზაურობს და პირველად მოხვდება ქალაქგარეთ. სულ პაწაწინა, მიაქციეთ ყურადღება, როგორ ტიკტიკებს:

გუბულაში დაცულავენ ოქლოსფერი თევზები,  
ხის ტოტებზე ზივზივებენ კიოტები დამფრთხალი;  
ლა ძალაა ამაქვეყნად მათი სულის ჩამდგმელი?  
ვინ მოხატა ჩიტუნების გადაშლილი გულმკელი?  
ღმელთმა, ღმელთმა, მხოლოდ ღმელთმა შექმნა ესე ყოველი.

— მოპარულია, — განაცხადა ერნესტინამ, როგორც კი სიცილი შეწყდა.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა დიკი, — მე ეს გაზეთ «ფერმერსა და მესაქონლეში» ვნახე. ამ გაზეთმა იგი «მელორეთა» ჟურნალიდან გადმოიბეჭდა. მან კი, ეტყობა, «დასავლელი იურისტიდან» აიღო, ამ უკანასკნელმა, ალბათ, ჟურნალ «საზოგადოების ხმიდან» გადმოიწერა, «საზოგადოების ხმამ» კი თვით პატარა გოგონასაგან, ან, უფრო სწორად, მისი მასწავლებლისაგან გაიგონა.

ბრინჯაოს გონგმა მეორედ აუწყათ საუზმის დრო. პაოლამ ცალი ხელი დიკს გადახვია, ცალი კი რიტას და სახლისაკენ გაემართა. ბერტი ერნესტინასა და ლიუტთან ერთად მათ უკან მიჰყვებოდა და გოგონებს გზა-გზა ტანგოს ახალ პას აჩვენებდა.

— კიდევ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ, თეიერ, — უთხრა დიკმა ხმადაბლა, როდესაც ქალთა საზოგადოებისაგან თავი გაითავისუფლა და სასადილო დარბაზის კიბეზე მომლოდინე თეიერსა და ნეისმითს შემოხვდა.

— სანამ წახვალთ, თვალი გადაავლეთ მერინოსებსაც. ნამდვილად შემძლია მათი სიკარგით ვიამაყო. ჩვენს ამერიკელ მეცხვარეებსაც არ აწყენდათ მათი გაცნობა. რა თქმა უნდა, პირველად შემოყვანილი ჯიშებით დავიწყე, მაგრამ ახლა საკუთარი შესანიშნავი კალიფორნიული ჯიში მივიღე. ფრანგები, დარწმუნებული ვარ, აღტაცებას ვერ დაფარავენ, წაიყვანეთ თქვენი საბარგო მატარებლით ერთი ხუთი ცალი მაინც. დაე, თქვენი აიდაპოელი ცხვრის ჯიშების გამომყვანი ფერმერები დატკბნენ მათი ყურებით.

ისინი გრძელ მაგიდას შემოუსხდნენ, რომლის გაშლაც, მგონი, დაუსრულებლად შეიძლებოდა. გრძელი და საკმაოდ დაბალი სასადილო ოთახი მექსიკელ მიწათმფლობელ მეფეთა ძველი კალიფორნიული სტილის უბადლო განმეორება გახლდათ. იატაკად დიდი ყავისფერი ოთხკუთხედი მუხის ფიცრები ეგო: ჭერის განივი კოჭები და კედლები შეეთეთრებინათ. უზარმაზარი, სრულიად სადა ბუხარი უბრალოების სიმბოლოდ გამოდგებოდა. ღრმა ამბრაზურებიანი ფანჯრებიდან ხეები და ყვავილები მოჩანდა. მთელ დარბაზს სისუფთავის, სისადავისა და სიახლის ელფერი დაჰკრავდა.

კედლებზე ზეთის საღებავებით შესრულებული რამდენიმე სურათი ეკიდა. თვალსაჩინო ადგილი ქსავიე მარტინესის სურათისათვის დაეთმოთ. სურათი ნაღვლიან, ბინდისფერ ტონებში მექსიკურ პეიზაჟს ასახავდა: პირველყოფილ ხის კავში შემბმული უღელი ხარით პეონს კვალი გაჰყავდა უსასრულო, იდუმალ სევდის აღმძვრელ ტრამალზე. იქვე, კედლებზე, ძველი მექსიკურ-კალიფორნიული ცხოვრების ამსახველი უფრო ნათელი ფერის საღებავებით შესრულებული სხვა სურათებიც ეკიდა: რეიმერსის პასტელური ფერწერის ნიმუში: მწუხრის ბინდში გახვეული ევკალიპტები და მათ მიღმა დაისის სხივებით გაცისკროვნებული მთის მწვერვალები, პეტერსის «მთვარის სხივი», გრიფინის «ზაფხულის დღე», რომლის წინა ხედზე ოქროსფერი ნაყანევი მოჩანდა, შორეთში კი — საოცრად მკრთალი, მთვლემარე ნაკვერცხლისფერი სხივებით მოვარაყებული ბორცვების სილუეტები, ვარდისფერ ბურუსში ჩანთქმული მოწითალო-მოყავისფრო ხეობები.

— არ შემძლია, რომ არ გამოგიტყდეთ, — თითქმის ჩურჩულით მიმართა თეიერმა მის გვერდით მჯდომ ნეისმითს, — აი, უმდიდრესი მასალა, თუ თქვენ მართლა აპირებთ დიდ სახლზე დაწეროთ რაიმე. მე მსახურთა სასადილო ვნახე; თუ მეზაღვებს, მძლოლებსა და დღიურ მუშებს ჩავთვლით, იქ დაახლოებით ორმოცი სული ჭამს პურს. ეს ხომ ნამდვილი სასტუმროა. ყველაფერი ამის გაძლოლისათვის სისტემა და თავია საჭირო. მერწმუნეთ, ეს ჩინელი ო-ჯოი პირდაპირ სასწაულმოქმედი ჯადოქარია. მოურავია თუ მთელი ამ სახლის გამგებელი, ვერ გეტყვით, თუმცა, რაც გნებავთ, ის უწოდეთ მის თანამდებობას. მთავარი ის არის, რომ აქ ყოველივე როგორღაც უნაკლოდ, თადარიგინად, მშვიდად და დაუბრკოლებლივ კეთდება.

— სასწაულმოქმედი და ჯადოქარი თავად ფორესტია, — დაემოწმა ნეისმითი. — მას ძალა და უნარი შესწევს, ისეთივე ჭკვიანი ხალხი შეარჩიოს, როგორც თავად არის. ნათელი გონების პატრონია. იგი ჯარის სარდლობას და მთავრობის მეთაურობასაც შეძლებს... ათ სამარენიან ცირკსაც კი თავისუფლად მოუვლის.

— ოჰ, ეს ნამდვილად ქათინაურია, — გულიანად გადაიხარხარა თეიერმა.

— ჰო, მართლა, კინალამ გადამავიწყდა, — მიმართა დიკმა მაგიდის მეორე მხარეს მჯდარ მეუღლეს. — ეს-ეს არის დეპეშა მივიღე, ხვალ დილით გრეჰემი ჩამოდის. ო-ჯოის გადაეცი, საყარაულო კომპში შეურჩიოს ადგილი მოსასვენებლად, იქ მეტი ხალვათობა და სიმყუდროვია. იქნებ ჩვენმა სტუმარმა ამჟამად მაინც შეასრულოს თავისი მუქარა და წიგნზე მუშაობა დაიწყოს.

— გრეჰემი, გრეჰემი... — ეტყობა, იხსენებდა პაოლა და ხმამაღლა იმეორებდა მის სახელს. — ვიცნობ თუ არა?

— დიახ, ორი წლის წინათ შევხვდით სანტ-იაგოს კაფე «ვენერაში». ჩვენთან ერთად ისადილა.

— საზღვაო ოფიცერი, არა?

დიკმა თავი გააქნია.

— სამოქალაქო. ნუთუ არ გახსოვს, მაღალი, ქერა ყმაწვილი კაცი? მთელი ნახევარი საათი მუსიკაზე საუბრობდით. ჩვენ კი იმ დროს კაპიტანი ჯოისი ზომიერადსული მგზნებარებით გვიმტკიცებდა, შეერთებული შტატები მექსიკას ჯავშნიანი მუშტით უნდა გაუსწორდესო.

— ახლა, მგონი, ნამდვილად გამახსენდა, — ყოყმანით წარმოთქვა პაოლამ, — სადღაც, სამხრეთ აფრიკაში გაიცანი, არა? თუ ფილიპინის კუნძულებზე?

— დიახ, სამხრეთ აფრიკაში. ივენ გრეჰემი. მეორედ ყვითელ ზღვაში, სპეციალურ გემ «ტაიმსზე» ვიყავით ერთად. მერე ჩვენი გზები რამდენჯერმე გადაიკვეთა, მაგრამ ერთხელაც ვეღარ შევხვდით ერთმანეთს. იმ ღამეს კაფე «ვენერაში» აღმოვაჩინე შემთხვევით.

— მახსოვს, ერთხელ ბორა-ბორადან ორი დღით ადრე გამგზავრებულიყო აღმოსავლეთისაკენ, ვიდრე სამოაში მიმავალმა ჩემმა გემმა სწორედ იქ ჩაუშვა ღუზა. მეორედ აპიადან მისთვის ამერიკის კონსულის წერილის გადასაცემად წავედი, ის კი იქ სწორედ ერთი დღის მერე ჩავიდა თურმე, ასევე სამი დღით ავცდით ლეფუკაშიც, მე მაშინ ზღვებზე «გარეული იხვით» დავნავარდობდი, ის კი სუვადან მომავალი სტუმრად იმყოფებოდა ბრიტანეთის კრეისერზე. ბრიტანეთის უმაღლესი სარდლობის სამხრეთის ზღვების საზღვაო კომისარმა სერ ევერანდ იმთურნმა კიდევ რამდენიმე წერილი გადმომცა გრეჰემისათვის. აქაც ავცდი, ნავსადგურ რეზოლუშენში, ვილაში და ახალ ჰებრაიდებზე. ისინი კრეისერით გასართობად მოგზაურობდნენ, ჩვენ კი არქიპელაგ სანტაკრუსზე. კრეისერთან თითქოს ნამდვილი დამალობანა გვქონდა გამართული. იგივე განმეორდა სოლომონის კუნძულებთან. ერთხელ, საღამოთი, ლანგა-ლანგას მახლობლად, კრეისერმა სროლა აუტეხა კაციჭამიათა რამდენიმე სოფელს და დილით გზას გაუდგა. მე იქ მხოლოდ ნასადილევს ჩავედი. ასე რომ, წერილები ხელში პირადად ვერ გადავეცი. ჰოდა, აი, როგორც გითხარი, მეორედ ორი წლის შემდეგ კაფეში შევხვდით.

— მაინც ვინ არის ასეთი, და რა წიგნი უნდა დაწეროს? — იკითხა პაოლამ.

— ეჰ, როგორ დავიწყო, არ ვიცი, თუ ამჟამინდელი ვითარებით განვსჯით, ის, რა თქმა უნდა, შედარებით გაკოტრებული კაცია. — შედარებით, მას წლიურად რამდენიმე ათასის შემოსავალი მაინც აქვს, მაგრამ მამამ რაც დაუტოვა, უცებ ხელსა და თვალს შუა გაუქრა, თუმცა მას კი არ გაუფლანგავს სულელურად, არამედ მაშინ, «ჩუმი პანიკის» დროს განიავდა. ხომ იცი, რამდენი იმსხვერპლა ამ ამბავმა რამდენიმე წლის წინათ. ყველაფერი დაკარგა, მაგრამ სრულიად არ ნანობს.

გრეჰემი ძველი, საუკეთესო მოდგმის შთამომავალია, წმინდა სისხლის ამერიკელი, იელის უნივერსიტეტი დაამთავრა. წიგნი კი, რომელიც განზრახული აქვს და-

წეროს, დარწმუნებულია, დიდ წარმატებას მოუტანს. წიგნში სამხრეთ-ამერიკის დასავლეთ სანაპიროებიდან — აღმოსავლეთამდე თავის შარშანდელ მოგზაურობას აღწერს. ეს, უმთავრესად, უცნობი მხარეა. ბრაზილიის მთავრობამ საკუთარი ინიციატივით ამ ქვეყნის სრულიად გამოუკვლეველ ადგილებზე ცნობების მიწოდებისათვის ათი ათასი დოლარი ჰონორარი შესთავაზა. ოჰ, გრეჰემი... იგი იშვიათი პიროვნებაა: ნამდვილი ვაჟკაცია. ისეთი, ნდობა რომ თავისუფლად შეიძლება. ნეტავი იცოდე, როგორი კაცია: დიდსულოვანი, ძლიერი, უბრალო, წმინდა სულის, ყველგან ნამყოფი, ყველაფრის მნახველი, ყველაფრის მცოდნე. ამასთანავე ისეთი გულწრფელი, ადამიანს თვალში მუდამ პირდაპირ შეჰყურებს. დიახ, ერთი სიტყვით, ნამდვილი ადამიანი და მამაკაცი.

ერნესტინამ გამომწვევი, გამაგულისებელი გამომეტყველებით ტაში შემოჰკრა, ბერტ უენრაიტს გადახედა და წამოიძახა:

— და ის ხვალ ჩამოდის?

დიკმა საყვედურით თავი გააქნია.

— ოჰ, არა, ერნესტინა, ერთი წუთითაც თავს ნუ შეიწუხებ და გულში ნურაფერს გაივლებ. ბევრმა შენმა მსგავსმა ულამაზესმა გოგონამ განიზრახა მისი სულის დაპატრონება, მაგრამ, ჩვენ შორის დარჩეს, მე, რა თქმა უნდა, მესმის მათი და არც ვადანაშაულებ. გრეჰემს ისეთი უჩვეულო ალღო აღმოაჩნდა და ამასთანავე ისეთი სწრაფი, მოქნილი და გრძელი ფეხები აქვს, რომ ვერავინ შეძლო მისი კუთხეში მიმწყვდევა, სადაც განიარაღებულსა და ძალაგამოცლილს შეიძლება საბედისწერო სიტყვა «დიახ» დასცდენოდა, რომ მერე უკვე ტყვედ ჩავარდნილი, ხელფეხშეკრული, საქვეყნოდ დაღდასმული და ჯვარდაწერილი გამორკვეულიყო. ამიტომაც შენი ნაჩქარევი განზრახვა დაივიწყე, ერნესტინა, შეინარჩუნე ეგ ნეტარი ახალგაზრდული წლები, იყავი ამ ოქროს ხანის თაყვანისმცემელი. იგემე უძვირფასესი, შეუდარებელი ასაკის ნუგზარი ხილი, ამასთანავე ისე დაიჭირე თავი, თითქოს იგი სრულიად არ გაინტერესებს. გრეჰემს კი თავი ანებე, ის თითქმის ჩემი ტოლია. ისიც, სწორედ ჩემსავით, ადამიანის ფეხდაუდგამი გზებით დაეხეტებოდა ამქვეყნად; ყოველივე მოინახულა, თან განსაცდელის ჟამს დროზე თავის დაღწევის უტყუარი ალღოც აქვს. ბევრი ჭირი გადახდენია, ამქვეყნიური მავთულხლართები და ჯოჯოხეთური წამება არ დაჰკლებია. იგი მორჩილია და მშვიდი, მაგრამ მოუხელთებელი, ამასთანავე სრულიად არ აინტერესებს ახალგაზრდა გოგონები. რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ მის პიროვნებაში ეჭვი შეიტანოთ, სიმბდალე და მერყეობა დასწამოთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ის ამ ცხოვრებისაგან ნაწრთობი ქვა და რკინაა, თუმცა ჭარმაგობაში ახლად ფეხშედგმული და ბრძენზე ბრძენი ვაჟკაცი.

### თავი მეცხრე

— სად არის ჩემი შარვლიანი ბიჭი? — გაიძახოდა დიკი და მხედრული ნაბიჯითა და დეზების წკარუნით მთელ დიდ სახლს უვლიდა. დიახ, ყველამ უწყოდა, რომ ის მხოლოდ პატარა დიასახლისს დაეძებდა.

ბოლოს სასახლის იმ კარებთან მივიდა, რომელიც პაოლას ფლიგელში გადიოდა.

თუმცა პანელით მოპირკეთებულ მძიმე კარს, რომელიც ასევე პანელიან კედელში იყო ჩატანებული, სახელური არ ჰქონდა, მაგრამ დიკმა მისი საიდუმლო გასაღები, რაღა თქმა უნდა, კარგად იცოდა. რომელიღაც მალულ ზამბარას ხელი შეახო თუ არა, კარი ფართოდ გაიღო.

— სად არის ჩემი შარვლიანი ბიჭი? — კვლავ ხმამაღლა დაიძახა დიკმა და ფართო დერეფანს დეზების წკარუნით გაუყვა.

პირველად სააბაზანოში შეიხედა. რომაულ სტილზე ნაგებ აუზსა და ზურმუხტისფერ საფეხურებს მოავლო მზერა; მერე საგარდერობოსა და ბუდუარშიც შეიჭვრიტა, მაგრამ პაოლა ვერსად აღმოაჩინა. ბოლოს ფართო კიბით მაღლა სართულისაკენ გაემურა, სადაც მეუღლის საყვარელი მოსასვენებელი დივანი იდგა. დივანი საძინებელი ოთახის ფანჯრის ამბრაზურაში მოეთავსებინათ, რომელსაც პაოლა «ჯულიეტას კოშკს» ეძახდა. დიკს სიამით გააჟრჟოლა ქალის დამამშვენებელ მაქმანის ჰაეროვან, გამჭვირვალე თეთრეულის დანახვაზე, რომელსაც მისი მეუღლე ასე თვალსაჩინოდ მიმოყრიდა ხოლმე, მათი ჭვრეტა განსაკუთრებულ შინაგან, იღუმალ სიამეს განაცდევინებდა მუდამ. ერთი წუთით დიკი მოლბერტის წინ შედგა და ჩანახატს გადახედა, განცვიფრებისაგან კინაღამ წამოიყვირა, მაგრამ უმაღვე სახეზე კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა. მოუქნელი, კოჭმაღალი კვიცის ნაუცბადევი ჩანახატი იყო, რომელიც სასოწარკვეთილი ჭიხვინით დედას უხმობდა.

— სად არის, ბოლოს და ბოლოს, ჩემი შარვლიანი ბიჭი? — კვლავ შესძახა საწოლი ოთახის ვერანდის კარებთან მისულმა დიკმა. იქ მხოლოდ ჩინელი მსახური აღმოჩნდა, დაახლოებით ოცდაათი წლის, მორცხვი, თავდაჭერილი ქალი, რომელსაც ჩვეულებად ქცეოდა განცვიფრების ნიშნად წარბების მაღლა აზიდვა. მსახურმა თავი მორცხვად დახარა და დიკს შეძრწუნებულმა, დაბნეულად გაუღიმა, რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ მის თვალეზში გამოკრთა.

ეს პაოლას მოახლე ო-დიე გახლდათ. დიკმა მას მრავალი წლის წინათ შეარქვა ეს სახელი, რადგან გრძელი წარბების ერთთავად მაღლა აწევის გამო ამ ქალის სახე მუდმივ გაოცებას გამოხატავდა. ქალი თითქოს მუდამ საკუთარი სახის გამომეტყველებას იმეორებდა: ო-დიე დიკმა ყვითელი ზღვის სანაპიროს, მეთევზეთა ერთ-ერთი სოფლიდან თითქმის ბავშვი მოუყვანა პაოლას. ოდიეს დაქვრივებული დედა ძლივს შოულობდა საარსებო საშუალებას. მეთევზეთათვის ბადეებს ქსოვდა და თუ წელიწადი მოსავლიანი იყო, ოთხ დოლარამდეც ადიოდა. ოდიე პაოლასთან იმ დროს მოიყვანეს, როდესაც პაოლა სამაფრიანი ნავით, რომელსაც სახელად «თავდავიწყება» ერქვა, მელანქოლიის გასაქარვებლად შორეულ ზღვებში დაცურავდა. მაშინ ო-ჯოი ჯერ კიდევ იუნგად იყო გემზე, თუმცა შემდეგ იმდენი უნარი და საქმისადმი სიყვარული გამოიჩინა, რომ რამდენიმე წელიწადში დიდი სახლის მოურავად იქცა.

— არ იცი, სად წავიდა შენი ქალბატონი, ოდიე? — შეეკითხა დიკი.

შემკრთალმა ოდიემ უკან დაიხია, დაუძლეველი სიმორცხვითა და მოკრძალებით შებოჭილმა.

დიკმა შეიცადა.

— შესაძლებელია, ახალგაზრდა ქალბატონებთან გავიდა, არ ვიცი, — ენის ბორძიკით ძლივს ამოთქვა მოახლემ.

დიკს პირისფარეში შეებრალა, მაშინვე კარისაკენ შეტრიალდა და იქაურობას განშორდა.

— სად არის ჩემი ბიჭი, ნეტავ? — წამოიძახა შემოსასვლელ კართან მისულმა დიკმა სწორედ მაშინ, როდესაც იასამნის გადახრილ რტოებს შორის გზაზე ღიმიუბინი გამოჩნდა.

— მე მოგიკვდე, თუ ვიცოდე, — უპასუხა მანქანიდან მაღალმა ქერა, ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ბაცი ფერის საზაფხულო კოსტიუმი ეცვა. რამდენიმე წამიცა და დიკ ფორესტი და ივენ გრეჰემი ხელს სიხარულით ართმევდნენ ერთიმეორეს.

ო-მაისა და ო-ჰოს ხელბარგი აჰქონდათ სასახლეში. დიკმა სტუმარი მისთვის განსაკუთრებით გამზადებულ ეგრეთ წოდებულ «კოშკამდე» მიაცილა.

— ჩვენს სახლში გამეფებულ წესებს უნდა მიეჩვიო, გრეჰემ, — უხსნიდა დიკი. — აქ ცხოვრება წუთებისა და საათების მიხედვით გვაქვს აწყობილი. ორი წუთის შემდეგ რომ მოსულიყავი, ჩინელი მსახურების გარდა ვეღარავის ნახავდი. მე ცხენით გასეირნებას ვაპირებდი, პაოლა კი — მისის ფორესტი სადღაც თვალსა და ხელს შუა გაქრა.

დიკ ფორესტი და გრეჰემი თითქმის ერთი სიმაღლისა ჩანდნენ. იქნებ, გრეჰემი ერთი დუიმით მაღალიც იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, მხრები და მკერდი ოდნავ ვიწრო უჩანდა.

თმა შედარებით ღია ფერისა ჰქონდა, თვალები ორივეს თითქმის ერთნაირი, ნაცრისფერი, თითქოს უფრო ზღვისფერიც კი. სახეზე ორივეს ჯანსაღი, ბრინჯაოსფერი გადაჰკრავდა, გრეჰემს სახის ნაკვეთები ბევრად უფრო დიდი და გამოკვეთილი ჰქონდა, ვიდრე ფორესტს. თვალის ჭრილი უფრო მოგრძო, ნუშისებრი, მძიმე ქუთუთოებით შემოფარგლული. ცხვირიც უფრო სწორი და ფართო, ტუჩები ოდნავ ხორცსავსე და სისხლისფრად მოელვარე.

დიკ ფორესტს ღია წაბლისფერი თმა ჰქონდა, გრეჰემს კი, ალბათ, ოქროსფერი. მაგრამ ეს შესანიშნავი ფერის თმა მზეზე ისე გამოხუნებოდა, რომ ახლა ქვიშისფერი დასდებოდა; ყვრიმალის ძვლები ორივეს შესამჩნევად გამოჰკვეთოდა, თუმცა ლოყის ფოსო ფორესტს უფრო მკვეთრად ემჩნეოდა. ორივეს ფართონესტოიანი ცხვირი ჰქონდა, ხოლო საოცრად გამოკვეთილი ბაგენი — დიაცურად ლამაზი, მაგრამ ფარული მგზნებარება, სიმკაცრე და ძლიერი ნებისყოფა მაინც იგრძნობოდა მათ ძლიერსა და მტკიცე ნიკაპებში.

ოდნავ მეტი სიმაღლე, შედარებით ვიწრო მკერდი და მხრები გრეჰემის ტანსა და მოძრაობას იმ პროპორციულობას და მოქნილობას ჰმატებდა, რაც დიკ ფორესტის აღნაგობას აკლდა. საკუთარი გარეგნობის უამრავ თავისებურებათა გამო თითოეული მათგანი ცალკე ბევრად უკეთესი ჩანდა. გრეჰემის ნათელი ფერი, სხეულის საოცარი სისხარტე და ის ფარული მომხიბვლელობა, რომელიც მხოლოდ მის კუთვნილებას წარმოადგენდა, ზღაპრულ უფლისწულს ამგვანებდა. ფორესტი გრეჰემზე უფრო ძლიერი და შეუპოვარი ვაჟკაცი ჩანდა, მტრისათვის უფრო საშიში და დაუნდობელი კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა.

საუბრის დროს ფორესტმა მაჯის საათის ციფერბლატს სწრაფად დახედა.

— თორმეტის ნახევარია, — წარმოთქვა დიკმა. — გრეჰემ, ახლა მე გამომყევი, სულ ერთია, პირველის ნახევარზე ადრე მაინც არ ვსაუზნობთ! მთელი პარტია, დაახლოებით სამასამდე ხარი უნდა გავგზავნო, რითაც, მართალი გითხრა, ნამდვილად ვამაყობ. ძალიან მინდა, ერთი თვალი გადაავლო. თუმცა ცხენით მგზავრობისათვის არა ხარ გამოწყობილი, მაგრამ არა უშავს რა. ო-ჰო, ჩემი კრავები მოართვით სტუმარს! შენ კი, ო-ჯოი, განკარგულება გაეცი, ალტადენა შეუკაზმონ, რომელი უნაგირი გირჩევნია, გრეჰემ?

— ჩემთვის სულ ერთია, დიკ!

— ინგლისური, ავსტრალიური, მექსიკური თუ შოტლანდიური? — დაჟინებით ჩაეკითხა დიკი.

— მაშინ შოტლანდიური, თუ ძნელი არ იქნება თქვენთვის, — წარმოთქვა ბოლოს გრეჰემმა.

ცხენები გზის პირას შეაყენეს, რადგან მთელ ნახირს უნდა ჩაეველო. ეს საუცხოო პირუტყვი უკვე იწყებდა თავის შორეულ მოგზაურობას ჩილესაკენ. ორთავე ყურადღებით მისჩერებოდა, ვიდრე საქონელი მოსახვევში თვალს არ მიეფარა.

— ახლა ვხედავ, რა დიდმნიშვნელოვან საქმეს აკეთებ! — წამოიძახა გრეჰემმა და თვალები გაუბრწყინდა. — ჩემს ჭაბუკობაში, არგენტინაში ყოფნისას, მესაქონლეობით ვიყავი გატაცებული. მე რომ ასეთი ჯიშის ხარებით დამეწყო, შესაძლებელია, არც გავკოტრებულიყავი.

— მაგრამ მაშინ არც იონჯა იყო და არც არტეზიული ჭები, — წარმოთქვა დიკმა და შეეცადა, მეგობარი დაემშვიდებინა. შორტკორნები კი იქაურ პირობებს ვერ გაუძლებდნენ. გვალვას მხოლოდ წვრილფეხა პირუტყვი იტანს. საერთოდ ისინი ძალიან ამტანნი არიან. მაგრამ ამასთანავე წონაში მსუბუქნი. მაცივრიანი გემები ჯერ კიდევ გამოგონებული არ იყო, რამაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა მესაქონლეობაში.

— გარდა ამისა, მე ხომ სრულიად გამოუცდელი ბიჭი ვიყავი, — დაუმატა გრეჰემმა. — თუმცა ამას ყოველთვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ერთმა გერმანელმა ჩემთან ერთად ჩემი თანხის მეათედით დაიწყო იგივე საქმიანობა. წარმოიდგინე, ყოველნაირ პირობებს გაუძლო. შეხვდა, რა თქმა უნდა, მოუსავლიანი წლებიც, გვალვაცა და სხვა მრავალი რამ, მაგრამ ახლა მილიონერია, მისი შემოსავალი შვიდ რიცხვიან თანხას შეადგენს.

ისინი სასახლისაკენ შებრუნდნენ. დიკმა კვლავ დახედა საათს.

— ჯერ კიდევ დიდი დრო გვაქვს. \_ თქვა მან. — ძალიან მიხარია, ეს ერთწლიანი მოხვერები რომ ნახე. იცი, იმ გერმანელმა რატომ გაუძლო ყველაფერს? იმიტომ, რომ სხვა გზა არა ჰქონდა. შენ კი მამის მემკვიდრეობა ხელუხლებლად გელოდა და ამქვეყნად ხეტიალი მოისურვე. დარწმუნებული ვარ, მოგზაურობის დაწყების მიზეზი მარტო ფეხის ქავილი არ იყო, ხასიათის მთავარი სისუტე სწორედ ის გახლდათ, რომ ამ მოულოდნელი ქავილის დასაშოშმინებლად თქვენ სახსრები გაგაჩნდათ....

— აი, იქ, — დიკმა მარჯვნივ, იასამნის ბუჩქებით დაფარულ შემოგარენისაკენ გაიშვირა ხელი, — თევზის საშენი გუბურებია, რამდენიც გინდა, იმდენ კალმახს, ქორჭილასა და ზღვის ხატაურას დაიჭერ. ყველას თავისი ოჩხი აქვს, ხედავ, როგორი ხელმოჭერილი კაცი ვარ. მიყვარს, როცა ჩემს სამფლობელოში შრომის ქარცეცხლი ანთია. მგონი, რვასაათიან სამუშაო დღეს აწესებენ, იქნებ, ეს სამართლიანიც არის, მაგრამ წყალს კი ოცდაოთხ საათს ვამუშავებ. წყალი თავის საქმეს ჯერ კიდევ მთებში იწყებს, მერე მოედინება და მთის მდელოებს რწყავს. დაბლობებში დაშვებული რამდენიმე მილს გადის და კრისტალურად იწმინდება. მისი წყალვარდნილი კი მთელი ამ უზარმაზარი სამფლობელოსათვის საჭირო ენერჯის ნახევარს იძლევა და მთლიანად გვაკმაყოფილებს სინათლით. შემდეგ განტოტებული მდინარე არხებით გუბურებისაკენ მიედინება, იქიდან გამოსული კი რამდენიმე მილის მანძილზე იონჯით დაფარულ ველებს რწყავს. მერე საკრამენტოს გაღმა-გამოდმა ჭალებში რომ იფანტებოდეს, მერწმუნე, კიდევ გამოვიყენებდი სარწყავად.

— ოჰ, ჩემო კარგო, — სიცილით წარმოთქვა გრეჰემმა, — შეგეძლო მთელი პოემა მიგეძღვნა წყლის მიერ ჩადენილ სასწაულთათვის. მართალი გითხრათ. ცეცხლთაყვანისმცემლებს შევხვედრივარ, მაგრამ პირველად ვხედავ წყალთაყვანისმცემელს, თანაც უდაბნოში, ქვიშაზე კი არ ცხოვრობთ, არამედ წყალუხვ მიწაზე. მაპატიეთ ეს უხეირო კალამბური.....

გრეჰემს ჯერ კიდევ სიტყვა არ დაესრულებინა, რომ მარცხენა მხრიდან, სულ ახლოს, ქვაფენილზე ფლოქვების თქარათქური გაისმა, რასაც გამაყრუებელი წყლის უცაბედი დგაფუნი, წამოძახილები და ქალის მომაჯადოებელი სიცილი მოჰყვა. მალე სიცილი შეწყდა და ახლა შიშის მომგვრელი კივილია გაისმოდა დროგამომშვებით. მერე ისეთი ფრუტუნის და ფართხალის ხმა დაერთო, თითქოს რაღაც საოცარი ურჩხული იხრჩობოდა. დიკმა უცებ თავი დახარა და ცხენი აიძულა იასამნის ბუჩქებს

შორის გამხტარიყო, გრეკემის ალტადენაც მაშინვე მის ნაკვალევს მიჰყვა. მხედრები კამკაშა მზის სხივებით განათებულ ფართო მდელოზე გავიდნენ. გრეკემის თვალწინ სრულიად მოულოდნელი არაჩვეულებრივი სურათი გადაიშალა.

ფართოდ რტოებგამლილი ხეებით შემოფარგლულ მდელოს შუაგულში ბეტონით ნაშენი ოთხკუთხა აუზი იყო მოთავსებული. მისი ერთი ბოლო, საიდანაც წყალი შემოდის, ფართო და დამრეცი მოჩანდა. მასზე მდორედ მოედინებოდა მზის სხივებზე ათასფრად მოციმციმე ნაკადი. გვერდითა კედლები ფრიალოდ ეშვებოდა, მეორე ბოლოც დამრეცი ჰქონდა, წყლის შესაკავებლად ოდნავ დაღარული. აი, სწორედ იქ, თითქოს მწუხარებისაგან გაშემებული და შიშით შეძრწუნებული დათვის ტყავის შარვლიანი ჭაბუკი მხედარი შენიშნეს. ის შემფოთებული და მღელვარებისაგან ალექილი ცხენზე ხან დაიხრებოდა, ხან ისევ წელში სწორდებოდა სწრაფად და სასოწარკვეთილი ვედრებით დაბნეულად წამოიძახებდა ხოლმე: «ოჰ, ღმერთო!» «ოჰ, ღმერთო!» პირველი წამოძახილი მწუხარებისაგან ცივ გაკვივლებას ჰგავდა, მერე კი სასოწარკვეთილებისაგან ხმას თითქოს სულმთლად გამოეცალა ძალა და მიწყდა.

მის პირდაპირ, იქითა ბოლოში კი წყალში ფეხჩაშვებული, შიშისაგან მთლად გაფითრებული, საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი სამი ფერია იჯდა.

აუზის შუაგულში უშველებული წაბლისფერი ულაცო მოჩანდა, სველი ბალანი საოცრად უბზინავდა. ყალყზე მდგარი წინა ფეხებით ფლოქვებს წყალს გამმაგებით ურტყამდა. მზის სხივებზე ელვარებდნენ მისი სველი, ვერცხლისფერი ნალები, ულაცო მჯდარი თეთრ სამოსელში გამოწყობილი მხედარი თავს ძლივს იმაგრებდა უბელო ცხენზე. გრეკემს იგი ერთი შეხედვით ჯერ თვალწარმტაცი სილამაზის ჭაბუკად ეჩვენა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ულაცო უცებ წყალში ჩაყვინთა და თავისი უძლიერესი ფლოქვების ცემით ისევ ამოიძარტა, გრეკემი მიხვდა, რომ მასზე ჭაბუკი კი არა, თეთრ საცურაო კოსტიუმში გამოკვალთული ქალი იჯდა. მხედარს თეთრი აბრეშუმის სამოსი ისე შემოტმასნოდა, მარმარილოს ქანდაკება გეგონებოდათ. ზურგიც მარმარად უქათქათებდა და მხოლოდ ნაზი, მაგრამ მეტად ძლიერი კუნთების მოძრაობით ჭიმავდა მოლაპლაპე სტავრას. ჩანდა, როგორ იდრიკებოდა და იშლებოდა თითოეული კუნთი მშვენიერი აბრეშუმის ქვეშ ზედმეტი ძალდატანებისაგან, რომ ქურანის სველ ზურგზე როგორმე დამაგრებულიყო და წყალში არ ჩაყურყუმელავებულიყო. საოცრად მოხდენილი და მოქნილი ხელებით სველ, გრძელ ფაფარში ჩაფრენოდა ულაცს. ქალის თეთრი მომრგვალებული მუხლები სველ სტავრასავით მოლაპლაპე ულაცის გავაზე სრიალებდნენ, ხოლო ფეხის უმშვენიერეს თეთრ თითებს ცხოველის რბილ ფერდებს თავგამეტებით უჭერდა და გულმოდგინედ ცდილობდა, როგორმე მის ნეკნებს დაყრდნობოდა.

ერთ წამში, არა, ერთ წამზე უმაღლეს გრეკემმა აღიქვა, რომ თეთრი, ზღაპრული ჩვენება ნამდვილად ქალი იყო და განაცვიფრა მისი სხეულის მინიატურულობამ და სინაზემ, რომელიც გლადიატორული ძალით იბრძოდა. ქალი დრეზდენული ფაიფურის ქანდაკებას უფრო ჰგავდა, მსუბუქსა და მყიფეს, რომელიც რაღაც შემთხვევით, მაგიური ძალით წყალში დასახრჩობად განწირული გოლიათი ცხოველის ზურგზე მოხვედრილიყო. ამ ურჩხულთან შედარებით იგი, მართლაც, ისეთი პატარა მოჩანდა, როგორც ზღაპრული ფერია. ულაცის ზურგიდან გადმოსრიალების შიშით ქალი ღაწვით მიეკრა ცხოველის თალივით აზნექილ კისერს. მისი ჩამოშლილი, სველი, მოელვარე წაბლისფერი თმა ულაცის შავ ფაფარს შეერია, მაგრამ გრეკემი ყველაზე მეტად მისმა სახემ განაცვიფრა. ეს თითქოს მოზარდი ჭაბუკის სახე იყო, თან ქალის სერიოზული იერიც ჰქონდა. საფრთხესთან თავგანწირული თამაშით აღვზნებული და თვითკმაყოფილი. ეს გახლდათ ფრიად თანამედროვე თეთრი ქალის სახე, თუმცა

გრეკემს ის უფრო წარმართთა ნამდვილ ნაშიერს აგონებდა. ასეთ ასულებსა და ასეთ საქციელს აბა სად შეხვდებით მეოცე საუკუნეში? ეს სურათი თითქოს ძველი საბერძნეთის ცხოვრებიდან იყო ამოგლეჯილი. თან «ათას ერთი ღამის» ზღაპრების ილუსტრაციებსაც მიაგავდა. თითქოს საცაა მღვრიე მორევიდან ჭინკები ამოყვინთავენ ან მტრედისფერი ციდან ზღაპრული უფლისწულები მოფრინდებიან ფრთოსანი გველეშაპებით მამაცი მხედარი ქალის გადასარჩენად.

ულაყი კვლავ აიზიდა, მერე ისევ ჩაყვინთა წყალში და კინაღამ ზურგით ამოტრიალდა. მალე ეს შესანიშნავი პირუტყვი და საოცარი მხედარი ქალი წყალმა შთანთქა. ერთი წუთის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ულაყის თავი და ჰაერში ტორები შემართა. წყალს კვლავ დასცა ტორები და უშველებელი წრეები მოხაზა. მხედარი ისევ იჯდა და ცხენის კუნთოვან ზურგს მთელი ძალით ეკვროდა. გრეკემს გული კინაღამ საგულედან ამოუვარდა, როდესაც წარმოიდგინა, რა მოხდებოდა პირუტყვი რომ წყალში გადაბრუნებულიყო. ტორის ერთ ძლიერ დარტყმას შეეძლო სამუდამოდ ჩაექრო სიცოცხლის ცეცხლი, რომელიც ამ უმშვენიერეს, თვალისადადამბრმავებელი სილამაზის, თეთრად მოელვარე ქალში გიზგიზებდა.

— კისერზე გადააჯექი! — შესძახა დიკმა... — ხელი ფაფარში ჩაავლე და კისერზე მოაჯექ, სანამ გამოცურავს!

ქალმა დაუჯერა: თავს მხოლოდ სასწაულით თუ იმაგრებდა, სრიალა კისრის კუნთებს ძალდატანებით ეკვროდა, მერე ელვისებური სისწრაფით თვალის დახამხამებაში გადაიტყორცნა მთელი სხეული ქურანის კისერზე, ერთი ხელი ფაფარს ჩაჰკიდა, მეორეთი კი ულაყის ყურებს შუა მოკლედ შეჭრილ ბალანს მთელი ძალით ჩაეჭიდა და კისერზე გაწვა. როცა პირუტყვმა სიმძიმე ზურგიდან მოიშორა, წელში გაიმართა, ტორები დაუშვა და ქალიც ისევ პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. ერთი ხელი ისევ ფაფარში ჩაეკიდა ქურანისათვის, მეორე კი წამიერად მაღლა აღმართა და მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით ფორესტს დაუქნია. ამ ღიმილის ნამდვილ არსს დიკ ფორესტი თუ ჩაწვდებოდა მხოლოდ. გრეკემმა შენიშნა, რომ, უზომო განსაცდელის მიუხედავად, ქალი ისე მშვიდი და აუღელვებელი ჩანდა, რომ სტუმარიც კი შენიშნა, რომლის ცხენიც ფორესტის ცხენის გვერდით იდგა. გარდა ამისა, გრეკემმა მგრძნობიარე მამაკაცის ალლოთი ისიც იგრძნო, რომ ამ თავის მოტრიალებასა და ხელის დაქნევაში მარტო ხიფათით გამოწვეული მედიდურობა არ შეიმჩნეოდა. ამ უმშვენიერეს არსებას მხატვრის წინათგრძნობამ თუ უკარნახა, რომ მისი ასეთი ქცევა მთელი ამ სურათის აუცილებელი და დამასრულებელი ესთეტიკური ბრწყინვალე ნაწილი იყო. ეს გახლდათ მამაცი ადამიანური სისხლისა და ხორცის დაუფარავი სიხარული და თვით იმ დაუცხრომელი სიცოცხლის სწრაფვა, რომელსაც ეს თვალწარმტაცი არსება განასახიერებდა.

— ყველა ქალს როდი შეუძლია ასეთი განსაცდელის გამლება, — წარმოთქვა დიკმა მშვიდად და თან თვალს არ აშორებდა «მთიელს», რომელმაც, როგორც იყო, ჰორიზონტალური მდგომარეობა შეინარჩუნა და ახლა აუზის ნაკლებად ღრმა კიდისკენ ცურვით მიიწევდა. მერე აუზის დაღარულ ფერდობზე აფორთხება იწყო ლოდინისაგან შემფოთებული და თავგზააზნეული კოვბოის შესახვედრად.

ბიჭმა ცხენს სწრაფად ამოსდო ლაგამი, მაგრამ პაოლა ცხენიდან არ ჩამოსულა. წინ გადმოიხარა, ლაგამის თასმები კოვბოის მბრძანებლურად ჩამოართვა, ცხენი უცებ ფორესტისკენ შემოაბრუნა და მიესალმა.

— ახლა კი გთხოვთ, დაგვტოვოთ, ეს ქალთა სამფლობელოა, უცხო პირთათვის აქ ყოფნა სასტიკად აკრძალულია, — წარმოთქვა მან.

დიკმა გაიცინა, თავი მორჩილად დახარა და კვლავ იასამნის ბუჩქების გადავლით გრეჭემთან ერთად გაუჩინარდა.

— ვინ... ვინ არის? — იკითხა გრეჭემმა.

— პაოლა, — მისის ფორესტი, — გოგონად დაბადებული ბიჭი. ერთთავად ბავშვი და ასევე მომაჯადოებელი ქალი, ვარდისფრად მოციმციმე თავნება ნისლი....

— შიშით სული კინაღამ ამომხდა, — წარმოთქვა გრეჭემმა. — ხშირად მართავენ შენთან ასეთ სანახაობებს?

— ასეთი რამ მხოლოდ პირველად ვიხილე, — უპასუხა ფორესტმა, — მართალია, იგი ამ «მთიელზე» ჯდებოდა ხოლმე და აუზის დამრეც ფერდობზე, როგორც ციგაზე, ისე მიცურავდა, მაგრამ კვიცი ხომ ორი ათას ორმოც გირვანქას იწონის.

— საკუთარი სიცოცხლეც საფრთხეში ჩააგდო და ეს მშვენიერი პირუტყვიც გასწირა, — შენიშნა გრეჭემმა.

— და მერე იცი, ეს კვიცი ოცდაათი ათას დოლარად არის შეფასებული..... — გაიღიმა დიკმა. — ეს თანხა ჯერ კიდევ შარშან, ცხენსაშენთა ერთ-ერთმა კავშირმა შემომთავაზა, როცა «მთიელმა» სილამაზესა და ფეხმარდობაში მთელი წყნარი ოკეანის სანაპიროს ყველა ჯილდო დაისაკუთრა. ჩვენი ჯვრისწერის შემდეგ პაოლა ყოველდღიურად ასეთ საფრთხეს ეთამაშება. წარმოიდგინე, ყოველი ასეთი შემთხვევა რომ ოცდაათი ათასი მიჯდებოდეს, გაკოტრება არ ამცდებოდა, ალბათ, მაგრამ ჯერ მარცხი არ განუცდია.

— ახლა ძალიან დიდი საფრთხის წინაშე იდგა: ხომ შეიძლებოდა, ულაცი ზურგით გადაყირავებულიყო.

— და, აი, ხომ ხედავ, არ გადაყირავდა, — მიუგო დიკმა მშვიდად, — პაოლას ბედი სწყალობს, გეგონება, შელოცვილიაო. ერთხელ ჩემთან ერთად საარტილერიო ცეცხლში მოხვდა და ნაწყენიც კი დარჩა, რომ ნამსხვრევებმა კანი არსად გაუკაწრა, სიკვდილსა და დაჭრაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ჩვენგან ოთხი მილით დაშორებული ოთხი ბატარეა გვიშენდა, ჩვენ კი გორაკის მოტიტვლებულ თხემზე ნახევარი მილი უნდა გვევლო თავშესაფრამდე. მე გულიც მომივიდა, თითქოს განგებ ითრევდა ფეხს, წარმოიდგინე, გამომიტყდა კიდევ, რომ ეს მართლა ასე იყო. აი, უკვე თორმეტი წელია, ჯვარი დავიწერეთ და ხშირად მეჩვენება, რომ კარგად არ ვიცნობ, არც სხვა ვინმე იცნობს, თვითონაც არ იცნობს საკუთარ თავს: ხომ ხდება ხოლმე, სარკეში იყურები და ფიქრობ, ეს ვინ ეშმაკი მიყურებს იქიდანო. სხვათა შორის მე და პაოლას ცხოვრებაში ასეთი ჯადოსნური ფორმულა გვაქვს: «თუ რაიმე გულით გწადია, უკან ნუ დაიხევ, სულ ერთია, როგორ შეისყიდი, დოლარებით თუ საკუთარი სიცოცხლის ფასად». ასე ვცხოვრობთ დღემდე. ეს არის, ალბათ, ჩვენი ბედისწერა და ჩვენი ცხოვრების თავი და ბოლო. უნდა გითხრათ, რომ ბედს ჯერ ჩვენთვის არასოდეს უღალატია.

## თავი მეათე

სასადილო ოთახში მხოლოდ მამაკაცებმა ისაუბრეს. ქალთა საზოგადოება კი, როგორც ფორესტმა განაცხადა, ცალკე გაატარებდა დროს.

— ვფიქრობ, დღის ოთხ საათამდე ვერც ერთ მათგანს ვერ იხილავთ, — უთხრა გრეჭემს დიკმა. — ოთხზე კი პაოლას ერთ-ერთ დას, ერნესტინას ჩოგბურთი უნდა ვეთამაშო, დამუქრებულია, უნდა მომიგოს.

საუზმის დროს, რომელსაც მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ, გრეჭემი მესაქონლეობისა და პირუტყვის საუკეთესო ჯიშების შერჩევის თაობაზე გამართულ საუ-

ბარში ჩაერთა. ბევრი ახალი შეიტყო და საკუთარი გამოცდილებაც გაუზიარა სხვებს, მაგრამ ქათქათა, ენით აღუწერელი ულამაზესი ჩვენება, მოცურავე ულაცის სველ, მუქწაბლისფერ ზურგს რომ გაჰკვროდა, გონებიდან არ შორდებოდა. შემდეგაც, როდესაც ჯილდომილებულ მერინოსებსა თუ ბერკშირის ნეზებს ათვალაიერებდა, ეს ჩვენება განუწყვეტლივ, თითქოს ცეცხლს უკიდებდა მის ქუთუთოებს. ოთხ საათზე, როცა ერნესტინასთან ჩოგბურთის თამაში დაიწყო, რამდენჯერმე ააცილა მხოლოდ იმიტომ, რომ გაფრენილ ბურთს უცებ იგივე სურათი ფარავდა... თვალიდან არ შორდებოდა დიდებული ბედაურის ზურგზე გაწოლილი მარმარილოსავით თეთრად მოქათქათე მშვენიერი ქალის ხატება.

თუმცა კალიფორნია გრეჰემის სამშობლო არ იყო, მაგრამ კარგად იცნობდა მის ადათ-წესებს. ამიტომ სრულიად არ განცვიფრებულა, როდესაც ქალები, რომლებიც დღისით საბანაო კოსტიუმებში იხილა, სადილად სადამოს სამოსში გამოწყობილნი გამოცხადდნენ. მამაკაცები კი ჩვეულებრივ ჩაცმულ-დახურულნი იყვნენ. გრეჰემმა მათ მიჰბაძა, მიუხედავად დიდი სახლის დიდებულებისა და მისი მაღალი არისტოკრატიული წეს-ჩვეულებებისა, მეტად უბრალოდ, მაგრამ მოხდენილად ჩაიცვა.

პირველსა და მეორე გონგის ხმაზე სტუმრებმა დიდ სასადილო ოთახში მოიყარეს თავი. მეორე გონგზე ფორესტიც გამოჩნდა და კოქტეილი მოითხოვა. გრეჰემი მოუთმენლად მოელოდა იმის გამოჩენას, ვისი ხატებაც დილიდან თვალთაგან არ მოშორებია. თან მოლოდინის გაცრუებისათვისაც შეამზადა თავი. რამდენი საუცხოო ათლეტი და სპორტსმენი აღარ მოსწონებია ჩვეულებრივ ტანსაცმელში. ამიტომაც გრეჰემი არაჩვეულებრივს აღარაფერს მოელოდა მისი დამატყვევებელი თეთრი აბრეშუმის შესანიშნავ კოსტიუმში გამოწყობილი ზღაპრული ფერიის თანამედროვე ქალის ტანსაცმელში ხილვისას.

მაგრამ არა, გრეჰემს სუნთქვა შეეკრა და ძლივსღა ამოითქვა სული, როდესაც ოთახში პაოლა გამოჩნდა. ერთი წამით ქალი თითქოს კარის ზღურბლზე შედგა და მკრთალი სინათლით განათებული საოცრად გამოიკვეთა შავ ფონზე. განცვიფრებისაგან გრეჰემს ბაგე გაეპო, მისმა ზებუნებრივმა სილამაზემ გააშეშა. აოცებდა, როგორ იქცა წყლის ალი, პატარა ფერია, ულამაზეს ქალად. მის წინ ახლა ფერია, ბავშვი და ცხენზე ამხედრებული ულამაზესი ჭაბუკი კი არ იდგა, არამედ მაღალი საზოგადოების თავნება, დიდებული გარეგნობის ქალი, რომელსაც თავი ისე ეჭირა, როგორც სწორედ ასეთ პატარა, ტანკენარ, ჰაეროვან ქმნილებებს სჩვევიათ ხოლმე.

სინამდვილეში, უფრო მაღალი იყო, ვიდრე წყალში მოეჩვენა გრეჰემს, მაგრამ სადამურ შესანიშნავ სამოსშიაც ისევე ატყვევებდა მხილველს თავისი განუმეორებელი აღნაგობითა და საოცრად დახვეწილი ზომიერებით. გრეჰემმა მისი შემოსვლისთანავე შენიშნა წაბლისფერი თმის საოცარი ბრწყინვალება, რომელიც ოქროსფერში გადადიოდა და მაღლა გვირგვინად ადგა თავზე. მის თვალს ასევე არ გამოჰპარვია მკვრივი კანის საოცრად დაწმენდილი ფერი და ბრწყინვალება. გედივით ყარყარა ყელი, თითქოს სამღერლად რომ შეექმნათ და უჩვეულო მოხდენილობით გადადიოდა თვალისდამაბრმაველ, მიმზიდველ სავსე მკერდში. დაბოლოს, მისი სამოსი: მქრქალი ცისფერი კაბა, შუასაუკუნეობრივი თარგის თვალწარმტაცი ნიმუში, — ტანზე შემოკვალთული კაბის ფართო სახელოები დაბლა ნაკეცებად ეშვებოდა, ხოლო გარშემოვლებულ ოქრომკედით ნაქარგ არშიაზე უამრავი ძვირფასი თვალი ციმციმებდა.

პაოლამ ღიმილი შეაგება სტუმართა მისალმებას, რამაც გრეჰემს ის ღიმილი მოაგონა, დილით ქურანზე ჯდომისას რომ შენიშნა ქალის სახეზე. პაოლა მაგიდას უახლოვდებოდა. გრეჰემმა ვერ შეძლო იმ აღტაცების დაფარვა, რაც იმ შეუდარებელ-

მა, გრაციულმა მოძრაობამ მოჰგვარა, რითაც პაოლას ჩამოსხმული მუხლები კაბის მძიმე ნაკვეცებს მიაჩნებოდა. ეს ხომ ის მოხდენილად მომრგვალებული მუხლები იყო, მაშინ ისე ძლიერად რომ უჭერდა პირუტყვის დაკუნთულ ფერდებს... გრეკემმა ისიც შენიშნა, რომ ქალს კორსეტი არ ეცვა და არცა სჭირდებოდა. მთელი იმ დროის მანძილზე, ვიდრე ამ უზარმაზარ დარბაზს ჩაივლიდა და მაგიდასთან მივიდოდა, გრეკე-მი თვალწინ ორ არსებას ხედავდა: ერთს — მაღალი საზოგადოების დიდებულ მანდილოსანს, ამ დიდი სახლის დიასახლისს და მეორეს — უმშვენიერეს არსებას, მხედარი ქალის მომაჯადოებელ ქანდაკებას, თუმცა ახლა იგი ოქროსფერ არშიამოვლებულ ცისფერ სამოსელში გამოწყობილიყო, მაგრამ ტანსაცმლის გამოცვლა გრეკემს ამ სურათს ვერ ავიწყებდა.

და აი, ახლა, ის აქ იყო... მათ შორის. გრეკემის ხელი წამიერად შეეხო მის ხელს, როდესაც ფორესტმა გასაცნობად გრეკემი წარუდგინა. პაოლამ ისეთი თბილი, მღერადი და გულისმიერი ხმით წარმოთქვა «კეთილი იყოს თქვენი მობრძანება», რომელიც მხოლოდ ამ ყელსა და მის თვალწარმტაც მაღალ მკერდს შეეძლო ამოეთქვა.

მერე კი პაოლას პირდაპირ მჯდარი გრეკემი თავისდაუნებურად ფარულად მხოლოდ მას უთვალთვალებდა. გრეკემი მონაწილეობას იღებდა საერთო ოხუნჯობასა და მხიარულ საუბარში, მაგრამ მისი თვალთა ისარი და აზრი ერთთავად დიასახლისს შთაენთქა.

არცთუ ისე ხშირად შეხვედროდა გრეკემს ასეთ უცნაურ და ჭრელ საზოგადოებაში მაგიდასთან ჯდომა: ცხვრის შემსყიდველი ვაჭარი და «მესაქონლეთა გაზეთის» კორესპონდენტი ჯერ ისევ აქ იყვნენ. სწორედ სადილობის წინ სამი მანქანით, სტუმრად თორმეტკაციანი ჯგუფი ეწვიათ. ქალიშვილები, ქალები, მამაკაცები სტუმრები გვიანამდე აპირებდნენ დარჩენას, რომ შემდეგ მთვარიან ღამით ცხენებით უკან დაბრუნებულიყვნენ.

გრეკემმა მათი სახელები ვერ დაიხსომა, მაგრამ საუბრიდან შეიტყო, რომ ოცდაათი მილი გამოევლოთ, ველზე გაშლილ ქალაქ უინკენბერგიდან ჩამოსულიყვნენ. ისინი, ალბათ, ადგილობრივი ბანკის მოხელენი, ექიმები და მდიდარი ფერმერები იყვნენ. ყველანი მეტისმეტად მხიარულნი და სიცოცხლით სავსენი ჩანდნენ. ოხუნჯობითა და ახალ-ახალი ანეკდოტებით ერთობდნენ გარშემო მყოფთ, მოდური ჟარგონით გატაცებით რომ ყვებოდნენ.

— ახლა ვრწმუნდები, — მიმართა გრეკემმა პაოლას, — თუ თქვენი სახლი ყოველთვის ასეთ სტუმართმოყვარე ქარვასლას წარმოადგენს, ამაო იქნება შევეცადო როგორმე დავიხსომო იმ პირთა სახეები და სახელები, რომელთაც აქ გავიცნობ.

— რა თქმა უნდა, მესმის თქვენი, — გაიცინა პასუხად პაოლამ, — მაგრამ ესენი ხომ ჩვენი მეზობლები არიან. მათ ყოველ წუთს შეუძლიათ მოგვინახულონ. აი, მისის უოტსონი, დიკის გვერდით რომ ზის, ძველ მიწათმფლობელ არისტოკრატთა შთამომავალია. მისი პაპა, გვარად უიკენი, სიერიდან მოვიდა 1846 წელს. უიკენბერგი მის პატივსაცემად ეწოდა ამ ქალაქს. ის მშვენიერი შავთვალა გოგონა კი მისი ქალიშვილია...

პაოლა ორიოდ სიტყვით უხასიათებდა და აცნობდა გრეკემს თითოეულ სტუმარს, გრეკემი კი ამ დროს მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გამოეცნო ამ მომაჯადოებელი არსების შინაგანი ბუნება, ამიტომაც თითქმის ნახევარიც არ ესმოდა, რასაც პაოლა ეუბნებოდა. ჯერ იფიქრა, მისი ძირითადი მომხიბვლელობა ბუნებრივობააო, ცოტა ხნის მერე დარწმუნდა, რომ მხოლოდ სიცოცხლის ტრფიალი და მხიარულება აჯადოებდა მასში ადამიანს, მაგრამ საბოლოოდ ვერც ერთმა დასკვნამ ვერ დააკმაყოფილა. არა, — ფიქრობდა გრეკემი... მის შინაგან არსს ვერ ჩავწვდიო... — და

უცებ თითქოს რაღაცამ გონება გაუნათა: სიამაყე, დიახ, მთავარი მის თვისებებში სიამაყე იყო. სწორდ სიამაყე მოჩანდა მის თვალებში, თავის მიხრა-მოხრაში, თმის უნაზეს ხვეულებშიც კი, მგრძნობიარე ცხვირის მოცახცახე ნესტოებში და მთრთოლვარე ბაგეზე, დაქანებულ მრგვალ პაწია ნიკაპზე, შესანიშნავი მოყვანილობის მომცრო, ძლიერ ხელებში, რომელთა უნაზეს, ქათქათა კანის ქვეშ მკრთალად მოჩანდა ცისფერი მარღვები. ასეთი ხელები ხომ მხოლოდ პიანისტ ქალებს აქვთ ხოლმე. დიახ, სიამაყე! თითოეულ ნერვსა და ხაზში მხოლოდ სიამაყე გამოსჭვიოდა, დაუთრგუნველი, მწველი სიამაყე...

პაოლას შეეძლო ყოფილიყო მხიარული, სრულიად ბუნებრივი, ქალური კდემამოსილებით აღვსილი ან სულაც ჭაბუკური სიანციით მოუღლელი, მაგრამ სიამაყე კი ყოველთვის თან ახლდა, მთრთოლავი, ძვალ-რბილში გამჯდარი და აღმოუფხვრელი. თითქოს მხოლოდ ამ გრძნობისაგან ყოფილიყოს მთელი მისი არსება ნაშენი. პაოლა გულწრფელი, პირდაპირი, პატიოსანი, გულდია, ცრურწმენისაგან თავისუფალი დემოკრატი ქალი გახლდათ. მაგრამ — არავითარ შემთხვევაში უნებისყოფო და სათამაშო ტიკინა. წამიერად მასში თითქოს ფოლადის ბრწყინვალეობა გაიელვებდა ხოლმე, — შესანიშნავი ლითონის ციალი და ქვეყნად მავალი, ზებუნებრივი ძალის შთაბეჭდილებას ახდენდა მისი ყველაზე მეტად ნატიფი და თავდაჭერილი ფორმა. ამიტომაც გრეჭემი ახლა საკუთარ წარმოსახვაში პაოლას ხატებას ადარებდა ვერცხლის სიმს, უნაზესს და უსათუთეს ტყავს, აბრეშუმისებურ სიფრიფანა ბადეს, რომელსაც ქალწულთა მოთინათე თმებისაგან ქსოვენ მარკიზის კუნძულებზე. ამგავსებდა მოელვარე სადაფის ნიჟარებს, ზოლიანი თინუსების მისატყუებლად რომ აასხამენ ხოლმე. ხანაც ესკიმოსთა საზღვაო ხელშუბის სპილოს ძვლის ბუნკად ესახებოდა.

— კეთილი, არონ, — მოისმა დიკ ფორესტის ხმამაღალი, მაგრამ მშვიდი ხმა მაგიდის მეორე ბოლოდან. — აი, ფილიპ ბრუკსის ერთი ნაწარმოები და შეგიძლიათ თქვენ გონებას თავსატეხი მასალა არ მოაკლოთ. ბრუკსი ერთგან ამბობს: «ჭეშმარიტად დიდი ადამიანი ყოველთვის გრძნობს, რომ მისი სიცოცხლე მის ერს ეკუთვნის და რაც მას ღმერთმა უწყალობა, საკუთრად მის კუთვნილებას კი არ წარმოადგენს, არამედ მისი საშუალებით მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა».

— ასე რომ, ახლა ღმერთიც გწამთ, არა? — გამოეპასუხა კეთილი ღიმილით ის, ვისაც ფორესტმა არონი უწოდა. ის სუსტი, მოგრძო სახის ფერმკრთალი, შავგვრემანი მამაკაცი იყო, რომელსაც კუპრივით შავი გრძელი წვერი და მოციმციმე თვალები ჰქონდა.

— გინდა ჩამომახრჩონ, რაც არ ვიცი, არ ვიცი, — უპასუხა დიკმა, — სულ ერთია, თუ გინდ ქარაგმულად მიიღეთ, გნებავთ, მორალი უწოდეთ, გნებავთ, სიკეთე ან სულაც — ევოლუცია.

— დიდ ადამიანად ქცევისათვის ლოგიკის კანონებით აზროვნება სრულიადაც არ არის საჭირო, — საუბარში ჩაერია წყნარი, მოგრძო სახის სახელოებგაცრეცილი ირლანდიელი. — პირიქით, ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც ლოგიკურად აზროვნებდა ცხოვრებასა და სამყაროზე, დიდ ადამიანად ვერ იქცა.

— სრული ჭეშმარიტებაა, ტერენს! — ტაში შემოჰკრა დიკმა.

— მთავარი ის გახლავთ, თუ როგორ გვესმის ამ საკითხის არსი, მეტი გარკვეულობაა საჭირო, — აპათიური კილოთი წარმოთქვა ერთ-ერთმა სტუმართაგანმა, რომელიც ცხადად ჩანდა, ინდოელი უნდა ყოფილიყო და საუბრის დროს გასაოცრად ნაზი წვრილძვლიანი თითებით პურს ანამცეცებდა. — საინტერესოა, მაინც რას ვგულისხმობთ სიტყვა «დიდში»?

— იქნებ, სილამაზეს? — მშვიდად იკითხა საოცრად მწუხარე გამომეტყველების ახალგაზრდამ, რომელსაც გრძელი თმა ულაზათოდ გაშლიდა.

უცებ ერნესტინა ადგილიდან წამოიჭრა, მაგიდას დაეყრდნო, ორატორი პოზა მიიღო, წინ გადმოიხარა და მოჩვენებითი გაცხარებით წარმოთქვა:

— კვლავ თავისას განაგრძობენ! ათასჯერ დააყენებენ შემოქმედს თავდაყირა! თეოდორ! — მიმართა მან ახალგაზრდა პოეტს. — რა დაგემართათ, რა საცოდაობაა? ხმა ამოიღეთ, შეკაზმეთ თქვენი ფეხმარდი რაში აიონი, იქნებ, სხვებზე სწრაფად მან მიგაქროლოთ დანიშნულ ადგილზე.

გაისმა ხმამაღალი სიცილი, საბრალო, სახელაწილი და დარცხვენილი პოეტი ნელ-ნელა უკან იხევდა და რატომღაც საკუთარ ნაჭუჭში დამალვას ცდილობდა.

ერნესტინა კი შავწვერიანს მიუბრუნდა:

— აბა, არონ, ხომ შენიშნეთ, რომ გუნებაზე არ არის. დაიწყეთ. თქვენ ხომ კარგად უწყით, რაც საჭიროა: როგორ მოსწრებულად გამოხატა საკუთარი აზრი ბერგსონმა, მისთვის დამახასიათებელი სისხარტითა და უზუსტესი ფილოსოფიური განსაზღვრებით, ფართო ინტელექტუალურ მსოფლმხედველობასთან უწყვეტ კავშირში რომ წარმოგვიდგინა...

კვლავ გაისმა გამაყრუებელი ხარხარი, რომელმაც ერნესტინას სიტყვის დასასრული და შავწვერიანის საპასუხო გახუმრება დაფარა.

— ჩვენი ფილოსოფოსები, როგორც ჩანს, დღეს პაექრობას ვერ შეძლებენ, — ხმადაბლა გადაულაპარაკა პაოლამ გრეჭემს.

— ფილოსოფოსები? — განცვიფრდა გრეჭემი. — განა ესენი უინკენბერგელი სტუმრები არ არიან? ვინ არიან, ან რას წარმოადგენენ? არაფერი მესმის, გთხოვთ გარკვევით ამიხსნათ.

— ესენი... — გაუბედავად დაიწყო პაოლამ. — ესენი, აქ, ჩვენს მამულში ცხოვრობენ და საკუთარ თავს «ჯუნგლის ფრინველებს» უწოდებენ. აქედან რამდენიმე მილის დაშორებით მათ საკუთარი კარავი აქვთ, არაფერს საქმიანობენ, მხოლოდ კითხულობენ და კამათობენ. დაგენადლევებით, რომ მათ დაახლოებით ორმოცდაათი წიგნი მაინც აღმოაჩნდებათ ისეთი, რომელიც ჯერ დიკის ბიბლიოთეკის კატალოგშიც არ გატარებულა. ისინი ფლობენ ჩვენს ბიბლიოთეკას. დღეა თუ ღამე, წიგნებითა და ახალი ჟურნალებით სავსე ხელებით შედიან და გადიან. დიკი გვარწმუნებს, რომ ამათი წყალობით მხოლოდ მას აქვს მთელი წყნარი ოკეანის სანაპიროზე თანამედროვე ფილოსოფიური ლიტერატურის მთლიანი კრებული, ისინი თითქოს მისთვის ამუშავებენ მთელ ამ მასალას. ეს დიკს ძალიან ართობს და დროის დიდ ეკონომიასაც ეწევა, ის ხომ კოლოსალურ შრომას ართმევს თავს ყოველდღიურად... ..

— როგორც მიგიხვდით, დიკი არჩენს და მზრუნველობს მათზე, არა? — იკითხა გრეჭემმა და ფარული სიამოვნების თრთოლვა უვლიდა მთელს სხეულში, რადგან საშუალება ჰქონდა პაოლას ცისფერ თვალებში ღრმად ჩაეხედნა, ასე ჯიქურ რომ შეკყურებდნენ მას.

უსმენდა მის პასუხს, ქალის მუქი გრძელი წამწამები უცნაურად ბზინავდა (შესაძლებელია, ეს მოციმციმე სხივთა არილიც იყო). მერე მზერა ასევე მუქი ფერის წარბებმა მოსტაცეს. თან ისეთი საოცარი მშვენების, თითქოს კალმით დაუხატავთო, მათაც იგივე ბრწყინვალეობა გადაჰკრავდა. ზემოთ, გვირგვინით მოხვეულ, მოყავისფრო ოქროსფრად დაფერილ თმას კი სრულიად ცხადად ემჩნეოდა ეს საოცარი ბზინვარება. ყოველთვის, როცა სახეზე საამური ღიმილი ეფინებოდა, როცა კიაფობდნენ მისი თვალები და ელვარე სხივს აფრქვევდნენ კბილები, გრეჭემი უსაზღვროდ იხიბლებოდა და მღელვარებისაგან თავბრუ ესხმოდა. ეს არ იყო ის თავშეკავებული, ძნე-

ლად გამოსაცნობი ღიმილი, რომელიც მას უამრავ ქალში შეენიშნა. როდესაც პაოლა იღიმებოდა, იღიმებოდა სრულიად ბუნებრივად, გულწრფელად და გულუხვად. ამ ღიმილში მთელი მისი არსების სიდიადე და ყველა ის აზრი ჩანდა, რომელიც მის ულამაზეს თავში იმალებოდა.

— დიახ, — განაგრძობდა პაოლა, — სანამ აქ არიან, ლუკმაპურზე ზრუნვა არა სჭირდებათ. დიკი მეტისმეტად გულკეთილია, თუმცა, ვფიქრობ, უგუნურებაა, ადამიანებში ასეთი მცონარობა წაახალისო. თუ თქვენ კარგად არ გაერკვევით ყველა საკითხში, ბოლომდე არ ჩასწვდებით ჩვენი ცხოვრების შინაგან არსს, აქ ბევრი რამ ფრიად უცნაურად მოგეჩვენებათ. ესენი კი... ესენი თითქმის მემკვიდრეობით გვერგო, და, რა თქმა უნდა, ჩვენთან დარჩებიან, სანამ არ დავიხოცებით და მიწას არ მიგვაბარებენ, ან ჩვენ არ დავმარხავთ მათ. დროგამოშვებით ერთ-ერთი მათგანი სადღაც გადაიკარგება ხოლმე, როგორც კატებს სჩვევიათ. მერე დიკს დიდი შრომა და თანხა სჭირდება გაქცეულთა მოსაძებნად და დასაბრუნებლად. ტერენს მაკფეინი ანარქისტ-ეპიკურელია. თუ გნებავთ იცოდეთ, რას ნიშნავს ყოველივე ეს, ახლავე მოგახსენებთ. ის ბუზსაც არა კლავს. ერთი ჩემი ნაჩუქარი კატა ჰყავს — ნამდვილი ირანული ჯიშის — მთლად ცისფერი. ტერენსი გულმოდგინედ აცლის კატას რწყილებს, მაგრამ ისე, ღმერთმა დაიფაროს, რაიმე ზიანი მიაყენოს, წამლის შუშაში ათავსებს და მერე, როცა ხალხისაგან თავგაბეზრებული და დაქანცული ბუნებას მიაშურებს, თითო-თითოდ გამოუშვებს შუშიდან შუაგულ ტყეში.

შარშან მას ერთი აზრი აეკვიატა: ანბანის წარმოშობის საკითხებით დაინტერესდა და ეგვიპტეში გაემგზავრა ისე, რომ ჯიბეში გროშიც არ ებადა. როგორც ჩანს, სურდა ანბანის სამშობლოში პირველწყაროსათვის მიეგნო და ამ გზით კოსმოსის ამომხსნელი ფორმულა ეპოვა. დენვერამდე როგორც იყო მიაღწია და მ. ი. მ.-ს<sup>1</sup> (1 მ. ი. მ. (მსოფლიოს ინდუსტრიული მუშების) — აშშ-ში 1905 წელს ჩამოყალიბებული პროფესიული ორგანიზაცია. ერთ დროს რევოლუციური ლოზუნგებით გამოდიოდა.) მიერ ქუჩაში მოწყობილ დემონსტრაციას შეუერთდა. ეს დემონსტრაცია სიტყვის თავისუფლებას თუ რაღაც ამის მსგავსს მოითხოვდა და ტერენსი ციხეში მოხვდა. დიკს ვექილის დაქირავება მოუხდა, მრავალნაირი ჯარიმა გადაიხადა. ერთი სიტყვით, დიდი ენერჯია დახარჯა, რომ როგორმე გაეთავისუფლებინა და შინ დაებრუნებინა.

ეს წვეროსანი კი არონ ჰენკოკია. ტერენსის მსგავსად, ისიც არავითარ შემთხვევაში შრომას არ აპირებს, სამხრეთელია. ჩემ წინაპართ არასოდეს უმუშავიათო — სიამაყით აცხადებს. განა ამქვეყნად ცოტა სულელია გლეხური შრომის მოყვარული, უშრომლად გაძლება რომ არ ძალუძთო. ახლა არ იკითხავთ, წვერს რატომ ატარებს? გაპარსვა, მისი აზრით, ფუჭი შრომაა და ამიტომაც უზნეო საქციელიც. მახსოვს, როგორ დაგვესხა თავს მე და დიკს მეღბურნში... ვიღაც შმაგი, ბრინჯაოსფერი ველური მამაკაცი, პირდაპირ ავსტრალიის უღრანი ბარდნარიდან გამოსული. იგი იქ თითქოს დამოუკიდებელ ძიებას ეწეოდა ანთროპოლოგიასა თუ ფოლკლორში. დიკს ის ოდესღაც პარიზში ყოფნისას გაუცვნია. დიკმა დაარწმუნა, თუ ამერიკაში დაბრუნდებოდა, ლუკმაპურითა და თავშესაფრით უზრუნველყოფდა. და აი, როგორც ხედავთ, ისიც აქ გახლავთ.

— პოეტი? — იკითხა პაოლასთან საუბრისა და მისი საამო ღიმილის ცქერის გახანგრძლივებით გახარებულმა გრეჰემმა.

— ოჰ! თეო? ანუ თეოდორ მელკენი, თუმცა, ჩვენ ყველა მას ლეოს ვეძახით. შრომას ესეც ძალიან გაურბის და თავს არიდებს. იგი ძველი კალიფორნიული გვარის შთამომავალია. მისი მშობლები უმდიდრესი ხალხია. მაგრამ როდესაც ის თხუთმეტი წლის გახდა, ბიჭს განუდგნენ, მანაც უარი განაცხადა მათ ახლობლობაზე. ოჯახის

უფროსები მას სულელად თვლიან. ის კი აცხადებს, რომ მისი მშობლები ყველას გააგიჟებენ ამქვეყნად. მართალი მოგახსენოთ, როცა კი წერს, მართლაც, შესანიშნავ ლექსებს ქმნის, მაგრამ თვითონ მას ტერენსთან და არონთან ერთად ტყეში განცალკევებით ცხოვრება და ოცნება ურჩევნია. ჩამოსულ ებრაელებს სან-ფრანცისკოში კერძო გაკვეთილებს აძლევდა, როდესაც ტერენსმა და არონმა გამოიძახეს, თუ პირდაპირ დატყვევებული ჩამოიყვანეს, — ეს უკვე კარგად არ არის ცნობილი ჩემთვის. ორი წელია, რაც ჩვენთან არის და ამ ხნის მანძილზე საკმაოდ მოიკეთა. დიკი ძალიან გულუხვია და აურაცხელ გამზადებულ სურსათ-სანოვარებს უგზავნის: მათ ურჩევნიათ იკამათონ, იკითხონ და იოცნებონ, ვიდრე ამზადონ. ცხელი და გემრიელი საჭმელი მხოლოდ მაშინ ეღირსებათ ხოლმე, როცა ასე მოულოდნელად, როგორც დღეს, სადილად თავს დაგვესხმებიან და დანაყრდებიან.

— ეს ინდოელი ვიღაა?

— ის დარ-ჰიალია, აქ მათი მოწვევით ჩამოვიდა, ისევე, როგორც თავის დროზე არონმა მოიწვია ტერენსი, ხოლო მერე არონმა და ტერენსმა — ლეო. დიკი ფიქრობს, მოკლე ხანში მათ რიცხვს კიდევ სამი უნდა დაემატოსო. მაშინ დიკს საკუთარ მფლობელობაში, «შვიდი ბრძენი» ეყოლება «მადრონოს ჭალებიდან». საქმე ის გახლავთ, რომ მათი ბანაკი, სწორედ იქ, მადრონოს ხეებქვეშაა გაშლილი. მადრონო იქაური მარწყვია. მათი საცხოვრებელი ადგილი ნამდვილი წალკოტია. ეს უმშვენიერესი ხეობაა, უამრავი წყაროთი... ოჰ, თუმცა მე თქვენ ინდოელის შესახებ გიყვებოდით. ის თავისებური რევოლუციონერია. ჩვენს უნივერსიტეტში, საფრანგეთში, იტალიასა და შვეიცარიაში სწავლობდა. ინდოეთში პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. მერე სამშობლოდან გამოიქცა. ახლა ორ იდეას ემსახურება: პირველი — ახალი სინთეტიკური ფილოსოფია, მეორე — ინდოეთის გათავისუფლება ინგლისის ტირანიისაგან. იგი ინდივიდუალური ტერორისა და მასების ამბოხების მომხრეა, მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ ამას ქადაგებს. აი, ამიტომაც აქ, კალიფორნიაში, მისი გაზეთი «კადარი» თუ «ბადარი», კარგად არ ვიცი, აიკრძალა და შტატიდანაც კინაღამ გაამძევეს. ახლა მთლიანად ფილოსოფიაშია ჩაფლული და საკუთარი სისტემის ფორმულირებას ეძებს.

ის და არონი დაუსრულებლად კამათობენ, თანაც მხოლოდ ფილოსოფიურ საკითხებზე. აი, უკვე, — ამოოხვრით წარმოთქვა პაოლამ, მაგრამ მაშინვე თვალწარმტაცმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, — ახლა, მგონი, უკვე ყველაფერი გაიმბეთ და თითოეული მათგანი გაგაცანით. თუ უფრო ახლოს გაიცნობთ ჩვენს ბრძენ სტუმრებს, განსაკუთრებით, თუ თავიანთ საზოგადოებაში შეხვდებით, მიინდა გაგაფრთხილოთ, რომ დარ-ჰიალი სრულიად არ სვამს, მუდამ ფხიზელია. თეოდორ მელკენი ხანდახან გადაჰკრავს ხოლმე, როდესაც პოეტური ექსტაზი მოედამება, მაგრამ დასათრობად კოქტეილიც ჰყოფნის; არონ ჰენკონკი სასმელების დიდი მცოდნეა, ტერენს მაკფეინს კი, პირიქით, ღვინისა არა გაეგება რა. როდესაც ყველა ასი კაციდან ოთხმოცდაცხრამეტი სიმთვრალისაგან მაგიდის ქვეშ დაბობლავს, მას, ჩვეულებისამებრ, შეუძლია გარკვევით და თანმიმდევრობით ეპიკურეული ანარქიზმი იქადაგოს.

სადილობის დროს გრეკემმა შენიშნა, რომ «ბრძენი» სტუმრები სახლის პატრონს სახელით მიმართავდნენ, პაოლას კი მისის ფორესტად უხმობდნენ, თუმცა თვითონ პაოლა მათ სახელებით მიმართავდა, რაც სრულიად ბუნებრივად ჩანდა. ეს ადამიანები ამ მზის ქვეშეთში არაფერს ყურადღების ღირსად არ რაცხდნენ და მათ შორის თვით შრომასაც უპატივცემულოდ ეკიდებოდნენ, მაგრამ ჩანდა, რომ ქვეცნობიერად გრძნობდნენ და ამჩნევდნენ იმ განსაკუთრებულ და დიად ღირსებებს, რომელიც დიკის მეუღლეს გააჩნდა.

ეს ყოველივე იმდენ მოკრძალებას ბადებდა ამ გაველურებულ მამაკაცებში, რომ ერთხელაც არ მიუმართავთ პაოლასათვის მხოლოდ სახელით. ივენ გრეჰემი მალე დარწმუნდა, რომ მისის ფორესტს, მართლაც, განსაკუთრებული თავდაჭერის უნარი ჰქონდა და ყოვლად ძალდაუტანებელი დემოკრატიზმი ამ ქალში სრულიად ბუნებრივ, მიუწვდომელ სამეფო გვარეულობის დიდებული ასულის ქცევებს ერწყმოდა.

იგივე განმეორდა სადილის შემდეგ დიდ სასტუმრო ოთახში. პაოლა ძალიან თამამად იქცეოდა, ეტყობა, ეს მასში განსაკუთრებულ სიამეს იწვევდა, მაგრამ არავინ განცვიფრებულა: სწამდათ, რომ ასე იყო საჭირო. სანამ ყველა სტუმარი თავის ადგილს მონახავდა ამ დიდ დარბაზში, პაოლა ხან აქ გაჩნდებოდა და ხან იქ. თავისი გადამდები მხიარულებით და განსაკუთრებული სიხალისით ყველას აჭარბებდა. სასტუმრო დარბაზის ერთი კუთხიდან მეორემდე ზარივით რეკდა მისი სიცილი, სწორედ ეს სიცილი აჯადოებდა ივენ გრეჰემს ასე დაუსრულებლად. მასში ხომ თითოეული ნერვის თრთოლა იგრძნობოდა. ეს იყო ყურთასმენის დამატყვევებელი ხმა. სრულიად განსხვავებული ყველა იმ ხმათაგან, რომელიც მას ოდესმე რომელიმე ქალისაგან მოესმინა. ეს სიცილი გახლდათ მიზეზი, რამაც გრეჰემს თავგზა აუბნია და ახალგაზრდა მისტერ უომბოლდის საუბარს თავი და ბოლო ვერ გაუგო. უომბოლდი უმტკიცებდა, რომ კალიფორნიაში იაპონელების გამაძევებელი კანონი კი არ იყო საჭირო, არამედ ორასი ათასი იაპონელი ყულის ჩამოყვანა და რვა საათიანი სამუშაო დღის გაუქმება სოფლის მეურნეობაში მომუშავეთათვის. როგორც გრეჰემი მიხვდა, ეს ახალგაზრდა უინკენებსგელი დიდ მემამულეთა ნამდვილი შთამომავალი იყო და იმით ამაყოფდა, რომ დროის გავლენის შესაბამისად მემამულე მხოლოდ სახელად არ იყო. როიალთან ედი მეზონის გარშემო ახალგაზრდა ქალიშვილები შეკრებილიყვნენ. ისმოდა სინკოპური მუსიკა და მოდური სიმღერები. ტერენსმა, მაკ-ფეინმა და არონ ჰენკონკმა ფუტურისტულ მუსიკაზე ცხარე კამათი გამართეს. გრეჰემი დარ-ჰიალმა გამოიხსნა უომბოლდის ხელიდან, რომელიც კვლავ იაპონიის საკითხზე მსჯელობდა. «აზია აზიელებს, კალიფორნია კი კალიფორნიელებს», — ლოზუნგით ისროლა დარ-ჰიალმა.

უცებ პაოლამ კაბის კალთები აიკეცა და დარბაზი სწრაფად გადაჭრა. მერე ჯგუფად მდგარი სტუმრების გარშემო რამდენიმე წრე შემოხაზა, რომ დიკს ხელში არ ჩავარდნოდა, მაგრამ დიკმა სწორედ მაშინ დაატყვევა, როდესაც უომბოლდის გარშემო შეკრებილი სტუმრების უკან თავის შეფარებას ცდილობდა.

— ბოროტი ქმნილება! — წამოიძახა დიკმა მოჩვენებითი რისხვით. ერთი წამის მერე კი მასთან ერთად დარ-ჰიალს სთხოვდა ტანგო ეცეკვა.

ბოლოს დარ-ჰიალიც დათანხმდა. უცებ დაივიწყა აზია და აზიელები და ხელეზისა და ფეხების საოცარი ხლართვით ტანგოსმაგვარი ცეკვა შეასრულა, რასაც თვითონ მან «თანამედროვე ცეკვების ცინიკური აპოთეოზი» უწოდა.

— ახლა კი, მეწამულო ღრუბელო, უმღერე შენს სტუმარს, მისტერ გრეჰემს, სიმღერა რკოზე, — უბრძანა პაოლამ დიკს.

ფორესტს ჯერ ისევ მაგრად ჰქონდა შემოხვეული პაოლას წელზე ხელი, რათა მუქარით გაცხადებული სასჯელის სისრულეში მოყვანა აეცდინა, როცა პაოლას ბრძანება გაისმა. დიკმა სახე მოლუმა და თავი უარის ნიშნად მკაცრად გაიქნია.

— სიმღერა რკოზე! — წამოიძახა ერნესტინამ როიალის მეორე მხრიდან. ედი მეზონმა და დანარჩენმა ქალიშვილებმაც მხარი აუბეს ერნესტინას მოთხოვნას.

— ოჰ, დიკ, ძალიან გთხოვ, იმღერე! — შესთხოვდა პაოლა მეუღლეს. — მისტერ გრეჰემს ჯერ ხომ არ მოუსმენია ეს სიმღერა.

დიკმა კვლავ თავი გააქნია უარის ნიშნად.

— მაშინ ოქროს თევზზე უმღერე.

— მე ვუმღერებ ჩვენს მთიელ ულაცზე, — ჯიქურ განაცხადა დიკმა და თვალეში მზაკვრული ნაპერწკლები აუკიაფდა. ფეხები ისე დააბაკუნა, მიწაზე ტორების ცემას ჰგავდა. თითქოს ყალყზეც შედგა და დაიჭიხვინაო, საკმაოდ კარგად გამოაჯავრა ადგზნებულ ულაცს. მერე არარსებული ფაფარი შეარხია და დაიწყო: «მისმინეთ! მე ეროსი ვარ! ფეხით ვთქერავ მაღალ გორაკებს!..»

— არა, რკოს სიმღერა! — მშვიდად შეაწყვეტინა პაოლამ. ქალის ხმაში ფოლადის წკრიალი გაისმა.

დიკმა სიმღერა შეწყვიტა, მაგრამ თავი მაინც მოუთვინიერებელი კვიცივით გაიქნია.

— კეთილი, მე ახალი სიმღერა ვიცი, — მხიარულად განაცხადა დიკმა. — ის მე და შენზეა, პაოლა. ნიშინამებმა მასწავლეს.

— ნიშინამები კალიფორნიის პირვანდელი მცხოვრებთა ტომია, ამჟამად გადაშენებული, — უცებ გადაულაპარაკა გრეჰემს მისკენ თავშებურუნებულმა პაოლამ.

დიკმა ექვსი ნაბიჯი ისე გადადგა, რომ მუხლი არ ჩაუხრია, როგორც საერთოდ ინდიელები ცეკვავენ, მერე ბარძაყებზე ხელების ცემას მოჰყვა, თან მეუღლესაც არ უშვებდა.

— «მე აი-კუტი ვარ, პირველი ადამიანი ნიშინამელთა ტომიდან, აი-კუტი შემოკლებულად ადამია. მამაჩემი კოიოტი იყო, დედა კი — მთვარე. იო-ტო-ტო-ვი ჩემი მეუღლეა, პირველი ქალი ნიშინამელთა ტომიდან. მამამისი კალია იყო, დედა კი — მრგვალკუდა ველური კატა. ჩემი მშობლების შემდეგ ისინი იყვნენ ყველაზე კარგი მშობლები ამქვეყნად. კოიოტი ბრძენზე ბრძენია, მთვარე კი — უმველესი, მაგრამ არავის კარგი არაფერი სმენია კალიასა და ველურ კატაზე. ნიშინამელნი მართალნი არიან, როდესაც ამბობენ: იქნებ ყველა ქალის დედა ამქვეყნად ველური კატა იყო. პატარა, ჭკვიანი, სევდიანი და ეშმაკი ჭრელკუდა კატა».

აქ სიმღერა პირველყოფილ ქალსა და მამაკაცზე უცებ შეწყდა, რადგან ქალებმა გულისწყრომა ვერ დაფარეს, მამაკაცებმა კი აღტაცების შემახილები.

— «იო-ტო-ტო-ვი შემოკლებით ევაა, — კვლავ განაგრძო სიმღერა დიკმა და ველურობის გამოსახატავად უხეშად ჩაიკრა პაოლა გულში. — იო-ტო-ტო-ვი პაწაწინაა, მაგრამ ამისათვის ნუ გაკიცხავთ, დამნაშავენი კალია და ველური კატა არიან. მე აი-კუტი, პირველი მამაკაცი ვარ; ნუ გამკიცხავთ ჩემი მდარე გემოვნებისათვის, მე პირველი მამაკაცი ვარ და მხოლოდ ის შევნიშნე ამქვეყნად, მით უფრო, როცა არჩევანი არ შეიძლება, რაც არის, იმით უნდა დაკმაყოფილდე. ასე დაემართა ადამს, როდესაც ევა აირჩია. იო-ტო-ტო-ვი ერთადერთი ქალი იყო ჩემთვის ამქვეყნად შობილი და მეც იო-ტო-ტო-ვი ავირჩიე».

ივენ გრეჰემი უსმენდა ამ სიმღერას და თვალს არ აშორებდა ფორესტის ხელს, მთელი ძალით პაოლასთვის რომ მოეხვია. საოცარი მწვავე ტკივილი იგრძნო გულში. მისი ბუნებისათვის სრულიად უცხო, დაუპატიჟებელი ფიქრი მოეძალა. თითქოს განაწყენდა კიდეც, მაგრამ ყოველივე მყისვე ჩაიხშო: — «ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული დიკი, მეტად ბედნიერ ვარსკვლავზე».

— მე აი-კუტი ვარ, — მღეროდა დიკი. — ეს ჩემი მეუღლეა, იგი ციური ნამია, თაფლის წვეთი. წელან ვიცრუე: მისი დედა და მამა კალია და ველური კატა კი არ იყვნენ, სიერა-აისი და აღმოსავლეთიდან მოვარდნილი მთის ქარი... ისინი ერთერთს გზნებით ეტრფოდნენ და ჰაერისა და დედამიწის მთელი სიტკბოებით ივსებოდნენ, სანამ მათი საკუთარი სიყვარულის თხელი ნისლიდან მარადმწვანე ბუჩქის, მანზანის-

ტას ფოთლებზე თაფლის ნამმა არ ჩამოწვეთა. ეს მათი დაუცხრომელი სიყვარულის ნაყოფი იყო.

იო-ტო-ტო-ვი ხომ თაფლის ნამია, ჩემი უტკბესი ნამი. აბა ყური დაუგდეთ ჩემს სიმღერას! მე აი-კუტი ვარ! იო-ტო-ტო-ვი ჩემი მეუღლეა, ჩემი მოღულუნე მწყერი, დე-დამიწის სინოყვირითა და თბილი წვიმით მთვრალი ჩემი ფურირემი, იგი ვარ-სკვლავთა ნაზი სხივებისა და აისის პირველი ელვარების პირმშოა.

ფორესტმა დაამთავრა იმპროვიზირება და ბუნებრივი ხმით განაგრძო: — და აი, თუ კიდევ ფიქრობთ, რომ ენატკბილი მოხუცი, ცისფერთვალეა სოლომონი, ჩემ-ზე უკეთ თხზავდა სიმღერებს, მაშინ დაუყოვნებლივ მოაწერეთ ხელი ჩემს «ქებათა-ქების» გამოცემას.

### თავი მეთერთმეტე

მისის მეზონმა პირველმა სთხოვა პაოლას, რაიმე დაუკარითო. ტერენს მაკფე-ინმა და არონ ჰენკონკმა როიალის გარშემო შეჯგუფებულ სინკოპური მუსიკით გატა-ცებულ ახალგაზრდებს სასწრაფოდ დააცლევინეს იქაურობთ და სახელაღწილი და დარცხვენილი თეოდორ მილკენი პაოლას მოსაწვევად გაგზავნეს.

— მუხლმოდრეკილი გვედრებით, ამ წარმართის გასათვითცნობიერებლად «ფიქრები წყალზე» შეასრულოთ, — შემოესმა გრეჭემს ტერენსის ხმა.

— მერე კი, თუ შეიძლება, «სელისფერ დალალიანი ასული» მოგვასმენინოთ, — მორიდებით ითხოვა წარმართად წოდებულმა ჰენკონკმა. — ახლა ჩემი მსოფლმხედ-ველობა ბრწყინვალედ დადასტურდება. ეს ველური კელტი მუსიკის იდიოტურ თუ სატანურ თეორიას ქადაგებს, რომელიც მხოლოდ გამოქვამულის მკვიდრს თუ გაიტა-ცებს. მისი გონშეშლილობა ისე შორს მიდის, წარმოიდგინეთ, გამბედაობა ჰყოფნის თავის თავს ზეთანამედროვე უწოდოს.

— ოჰ, დებიუსი! — გაიცინა პაოლამ. — კვლავ ამაზე დაობთ, არა? კეთილი, ვეცდები, იქამდეც მივიდე, მაგრამ არ ვიცი, რით დავიწყო.

დარ-ჰიალი სამ ბრძენს შეუერთდა, რომლებიც პაოლას დიდ საკონცერტო რო-იალთან სკამზე, მოწიწებით სვამდნენ. თუმცა ამ ფართო, შესანიშნავ დარბაზში ეს დიდებული ინსტრუმენტი არცთუ ისე დიდი ჩანდა. პაოლა როიალთან დაჯდა თუ არა, სამივე ბრძენი ფილოსოფოსი ფეხაკრეფით იქაურობას გამორდა და, როგორც ჩანს, იმ ადგილებისაკენ გაეშურა, მუსიკის უკეთ მოსასმენად რომ ჰქონდათ შერჩეუ-ლი. ჭაბუკი პოეტი ფუმფულა დათვის ტყავზე პაოლასაგან ორმოცი ნაბიჯის დაშო-რებით პირქვე დაწვა და ორივე ხელის მოგრძო თითები თმაში ღრმად შეიცურა. ტე-რენსი და არონი ფანჯარასთან მიდგმულ, რბილი ბალიშებით სავსე ფართო, ინ-გლისურ ტახტზე ისეთნაირად მოეწყვნენ, რომ პაოლას მიერ ნაწარმოების შესრულე-ბისას საკუთარი შეხედულების დადასტურების ნიშნად ერთმანეთისათვის იდაყვები გაეკრათ.

ქალიშვილები დარბაზის სხვადასხვა კუთხეში თაიგულებივით მოჩანდნენ. ზოგი ფართო დივანზე მოკალათებულიყო, ზოგიც უძვირფასესი ხის, კოას ღრმა სა-ვარძლებსა თუ მის სახელურებზე ჩამომჯდარიყო.

ივენ გრეჭემმა წამოდგომა დააპირა, რათა როიალთან მისულიყო და პაოლა-სათვის ნოტები გადაეშალა, მაგრამ დროზე შენიშნა, რომ დარ-ჰიალს ეს ადგილი ად-რევე დაესაკუთრებინა.

გრეჭემი აუჩქარებლად, განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ათვალეირებ-და დარბაზს. საკონცერტო როიალი დარბაზის ბოლოში მეტი ხმიანობის გამოსაცემად

დაბალ, თაღის ფორმის შემადღებულ ადგილას იდგა. ხმაური და მხიარულება უცებ შეწყდა: ჩანდა, დიდი სახლის პატარა დიასახლისი ისეთივე ყურადღებას ითხოვდა, როგორსაც აღიარებული შემსრულებელნი ითხოვენ ხოლმე. გრეკემი გუნებაში დარწმუნებული იყო, განსაკუთრებულს ვერაფერს მოისმენდა.

გრეკემის გვერდით მჯდარი ერნესტინა მისკენ გადაიხარა და ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— როცა უნდა, ყველაფერს აღწევს. თუმცა, თითქმის სრულიად არ ვარჯიშობს... პაოლა ლემეტიცკისა და მაღამ კარენოს მოწაფე იყო და ჯერ კიდევ მათი შესრულების სტილი აქვს შერჩენილი. თანაც ქალურად კი არ უკრავს. აი, მოუსმინეთ!

ივენ გრეკემი ჯერ ისევ სკეპტიკურად იყო განწყობილი, თუმცა პაოლას თითები სრულიად დამაჯერებლად შეეხო კლავიშებს და შესანიშნავმა პასაჟებმა და აკორდებმა ყურთასმენა დაიპყრეს. შესრულების სიწმინდის საწინააღმდეგო უკვე არაფერი გააჩნდა; რამდენჯერ მოუსმენია ბრწყინვალე საშემსრულებლო ტექნიკის მქონე, მაგრამ მუსიკალურ გამომსახველობას მოკლებულ პიანისტისათვის. გრეკემი ყველაფრის მოსმენას ელოდა, მხოლოდ რახმანინოვის ძლივამოსილი პრელუდიის შესრულებას კი არა, რომელსაც, მისი აზრით, კარგად მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ.

პაოლა პირველი ორი ტაქტიდანვე დიდოსტატის გამოცდილი ხელითა და მამაკაცური ძალით დაეუფლა როიალს. ეს ზეაღსვლას ჰგავდა. როიალის აჟღერებულ სიმებს ორივე ხელით ჯადოსნური ძალით ეხებოდა და ძლივამოსილ, დაუცხრომელ ძალასა და სიმტკიცეს ავლენდა, მერე კი, როგორც მხოლოდ მამაკაცები იქცევიან, გადაცურდა თუ გადაინაცვლა, — გრეკემმა ვერ შეძლო უფრო სწორი განსაზღვრება მოენახა ამ წარმოუდგენელი გადასვლისათვის, — დიდი დამაჯერებლობითა და აღუწერელი სინაზით შესრულებულ ანდანტეში.

პაოლა მშვიდად და დიდი შემართებით განაგრძობდა დაკვრას. ასეთი შესრულება მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო ესოდენ ნაზი და ჰაეროვანი არსებისაგან; გრეკემი განცვიფრებული გაჰყურებდა ნახევრად მოხუჭული ქუთუთოებიდან უზარმაზარ როიალს. პაოლა მას ისევე დაუფლებოდა, როგორც საკუთარ თავს და კომპოზიტორის დიდ შთანაფიქრს. გრეკემი გულში გამოტყდა, პაოლას ყოველი აკორდი წმინდა, საოცრად მკვეთრი და სულის დამატყვევებელი ძლიერი ძალით გაისმოდა. პრელუდია უკვე მინელეზულ აკორდებში თანდათანობით ინთქმებოდა, თუმცა ჯერ ისევ მოისმოდა ძლიერების შორეული გამოძახილი და მდუმარე სივრცეში უსასრულოდ ჟღერდა.

მაშინ, როცა აღტაცებული არონი და ტერენსი ჩურჩულით დაობდნენ, დარ-ჰიალი კი პაოლასათვის გაფაციცებით ახალ, სანოტო ფურცლებს ეძებდა, პაოლამ მშვენიერი თვალეხი წამით დიკს შეანათა. დიკმა ელექტროლილაკებს მიაშურა და ერთი მეორის მიყოლებით ჰერქვეშა მრგვალი, დიდი ელექტრონათურები გამორთო. ბოლოს პაოლა სრულიად უცხო, უნაზესი ფერების ოაზისის შუაგულში აღმოჩნდა, რომელშიაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი თმის ოქროსფერი ბზინვარება და ოქრომკედლით ნაქარგი კაბა.

გრეკემი მაღალ დარბაზს აკვირდებოდა, მოლაციცე ჩრდილთა მოძრაობა კიდევ უფრო მაღალს რომ აჩენდა. დარბაზის სიგრძე, დაახლოებით, ოთხმოც ფუტს აღწევდა, სიმაღლე კი ორსართულ-ნახევარს. ნაჩუქურთმევ ხის ჰერთან ქანდარასავით მრგვალი აივანი მიეშენებინათ. მის მოაჯირზე ოკასაკასა და ეკვატორიდან ჩამოტანილი გარეულ ცხოველთა ტყავებით და მცენარეული საღებავით შეფერადებული, შინ ნაქსოვ-ნაქარგი გადასაფარებლები გადმოეფინათ: გრეკემი მიხვდა, რომ ეს დიდებ-

ული დარბაზი შუასაუკუნეობრივი ციხე-კოშკის საზეიმო დარბაზებს მიაგავდა და გული დაწყდა, რომ მის შუაგულში გრძელი მაგიდა არ იდგა კალის ჭურჭლითა და ვერცხლის დიდი სამარილით გაწყობილი, არც მაგიდის ქვეშ უღრენდნენ ერთმანეთს გადაყრილი ძვლებისათვის უშველებელი ნაგაზები.

მერე, როცა პაოლამ დებიუსი შეასრულა, რათა ტერენსისა და არონისათვის ახალი დავის საშუალება მიეცა, გრეჰემმა დრო იხელთა და სულ რაღაც რამდენიმე მღელვარე წუთი პაოლასთან მუსიკაზე საუბარში გაატარა. პაოლამ მუსიკის ფილოსოფიის ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, რომ გრეჰემმა თავისდა უნებურად საკუთარი საყვარელი თეორიის ქადაგებას მიჰყო ხელი.

— ამგვარად, თითქმის სამი ათასი წელი დასჭირდა, რომ მუსიკას ჭეშმარიტი გავლენა მოეხდინა დასავლელი კაცის გონებაზე. დებიუსი ბევრად უფრო ღრმად, ვიდრე რომელიმე მისი წინამორბედთაგანი, ახალ იდეათა ჩასახვის დიად პრობლემებს ჩასწვდა საგანთა ჭეშმარიტი არსის იმ გარკვეულობით, რომელიც ჯერ კიდევ პითაგორას დროს შეინიშნებოდა. — დაასრულა გრეჰემმა.

პაოლამ გრეჰემს მოკლე ფილოსოფიური დასკვნები შეაწყვეტინა და არონსა და ტერენსს მოუხმო, რომელთაც ფანჯარასთან ხელჩართული ბრძოლა გაემართათ.

— მე არ მწამს თქვენი, არონ, მე არ მწამს თქვენი! — კვლავ განაგრძობდა ტერენსი. — შეეცადეთ, მონახოთ ბერგსონის უკეთესი დასკვნები მუსიკაზე, ვიდრე ეს ბუნდოვნად ცნობილ მის «სიცილის ფილოსოფიაშია».

— ოჰ, მომისმინეთ! — წამოიძახა პაოლამ და თვალები საოცრად აუკიაფდა. — ახალი წინასწარმეტყველი შემოგვემატა. მისტერ გრეჰემს მოუსმინეთ! ვფიქრობ, შეუძლია შეგებათ და თანაც ხმალდახმალ. ორივეს ერთად, თუმცა ერთში გეთანხმებათ, რომ მუსიკა სისხლის, ფოლადისა და ყოველდღიურ საზრუნავისგან თავდასაღწევად დიდებული თავშესაფარია, რადგან სუსტი, ფრიად მგრძნობიარე და ამაღლებული სულის ადამიანები მძიმე, უხეშ ამქვეყნიურ ყოფას გაურბიან და რიტმისა და ხმოვანების ზემგრძნობიარე სამყაროს ირჩევენ...

— ატავიზმია! — ჩაიფრუტუნა არონ ჰენკონკმა. — გამოქვაბულის მკვიდრნი, ნახევრად მაიმუნები, ჯერ ისევ ჭაობებში მოხეტიალე ტერენსის წინაპარნიც ამასვე სჩადიოდნენ.

— მომითმინეთ, — განაცხადა პაოლამ. — ასეთი დასკვნა მისტერ გრეჰემმა საკუთარი განცხადებისა და აზროვნების შედეგად გამოიტანა. ამასთანავე, იგი ძირფესვიანად განსხვავდება თქვენი მსოფლმხედველობისაგან, არონ. იგი პატერის აზრს ეყრდნობოდა. «ყოველგვარი ხელოვნება მუსიკისაკენ ილტვის და მასში სახიერდება...»

— ეს ყოველივე პრეისტორიულ ხანასა და მიკროორგანულ ქიმიას განეკუთვნება, — კვლავ ჩაერია საუბარში არონი. — ხალხური სიმღერების და სინკოპური რიტმების შექმნა უჯრედთა უბრალო ზემოქმედებაა მზის სხივის სინათლის ტალღებზე. ტერენსი ჯადოსნურ რკალში ექცევა, საკუთარ ჭკუაგადასულ დასკვნებს თავისივე ცინიზმით ამართლებს. ახლა გთხოვთ მომისმინოთ...

— მოითმინეთ, — შეაჩერა იგი პაოლამ. — მისტერ გრეჰემი აცხადებს, რომ ინგლისურმა პურიტანიზმმა მარწუხები შემოუჭირა ნამდვილ მუსიკას მთელი საუკუნეების განმავლობაში...

— მართალია, — დაეთანხმა ტერენსი.

— და რომ ინგლისი მუსიკით ესთეტიკური სიამოვნების განცდას მხოლოდ მილტონისა და შელის რიტმებით დაუბრუნდა...

— რომელიც მეტაფიზიკოსი იყო, — შეაწყვეტინა ქალს არონმა.

— ლირიკოს-მეტაფიზიკოსი, — იმწამსვე შეაშველა ტერენსმა.

— ეს კი ნამდვილად უნდა აღიაროთ, არონ!

— სვინბორნზე რაღას იტყვით? — იკითხა არონმა. — ჩანდა, ძველ სადავო თემას უბრუნდებოდა.

— არონი გვარწმუნებს, რომ ოფენბახი არტურ სულივენის წინამორბედიყო, — გამომწვევად წამოიძახა პაოლამ. — ხოლო ობერი ოფენბახისა, ვაგნერს კი... ჰკითხეთ ერთი, ჰკითხეთ, რას ფიქრობს ვაგნერზე...

პაოლა უცებ განშორდა მათ და გრეჰემი ბედის ანაბარა მიატოვა. ის კი თვალს ვერ აშორებდა ქალის მშვენიერი სხეულის დახვეწილ მოძრაობას, თავისი შესანიშნავი კაბის მძიმე ნაკეცებს, სიარულისას რომ ჰარმონიულად არხევდა. პაოლამ მთელი დარბაზი გადაჭრა და მისის მეზონთან მივიდა, რათა მისთვის ბრიჯის თამაშისას პარტნიორობა გაეწია. გრეჰემი კი ნამძალადევი ისმენდა ტერენსის დაუსრულებელ მსჯელობას ფილოსოფიის საკითხებზე.:

— დადგენილია, რომ მუსიკა იყო ის დიდი შთამაგონებელი ძალა და აღმაფრთოვანებელი სული, რამაც ბერძნული ხელოვნება წარმოშვა...

მოგვიანებით, როცა თავდავიწყებამდე მისული ორი ბრძენი ფილოსოფოსი კვლავ ცხარე კამათში ჩაეფლო, ვინ უფრო ღრმად ჩასწვდა და დაასურათა ინტელექტის სიდიადე, ბერლიოზმა თუ ბეთჰოვენმაო — გრეჰემი სწორედ მაშინ გაეცალა მათ. მას მხოლოდ ერთი სურვილი ამოდრავებდა, საუბარი კვლავ დიასახლისთან გაება, მაგრამ პაოლა განმარტოებით მდგარ დიდ სავარძელში მოკალათებულ ორ ახალგაზრდა ქალიშვილს მიუჯდა და ბავშვური სიანციით აღვსილი საიდუმლოდ ჩურჩულებდა და გულიანად კისკისებდა. გრეჰემი ძალაუნებურად იმ ჯგუფს შეუერთდა, სადაც დიკ ფორესტი, მისტერ უომბოლდი, დარ-ჰიალი და «მესაქონლეთა გაზეთის» კორესპონდენტი საუბრობდნენ.

— მეტად სამწუხაროა, რომ ჩვენთან ერთად წამოსვლა არ შეგიძლიათ, — ეუბნებოდა დიკი კორესპონდენტს: — ეს მხოლოდ ერთ დღეს წაგართმევთ, თანაც, ხვალვე წაგიყვანდით.

— მეც ძალიან ვწუხვარ, მართალი მოგახსენოთ, — უპასუხა კორესპონდენტმა, — მაგრამ დროზე უნდა ვიყო სანტა როსაში, ბერბანკი მთელი დილის დათმობას დამპირდა, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ეს რასაც ნიშნავს... მეორე მხრივ კი, რა თქმა უნდა, ჩვენი გაზეთისათვის მეტად სასარგებლო იქნებოდა თქვენს პირად გამოცდილებაზე მქონოდა მასალა. ხომ არ შეგეძლოთ, სულ მოკლედ გადმოგეცათ საჭირო ცნობები... სულ მოკლედ? ალბათ, მისტერ გრეჰემსაც ძალიან დააინტერესებს ეს ყოველივე.

— ისევ წყლის სამუშაოებზეა საუბარი? — იკითხა გრეჰემმა.

— არა, მეტად უცნაური და ახირებული იდეაა. უიმედო, უღარიბეს ფერმერთა გამდიდრება გვაქვს მხედველობაში. — უპასუხა უომბოლდმა ფორესტის მაგიერ. — მე კი ვამტკიცებ, თუ დღეს რომელიმე ფერმერს მიწა აკლია, ეს მხოლოდ მისი, როგორც ფერმერის, უვარგისობის შედეგია.

— პირიქით, — შეეპასუხა დარ-ჰიალი და თავისი მშვენიერი აზიური ხელები მეტი დამაჯერებლობისათვის მაღლა აიქნია... — დიახ, ნამდვილად პირიქით ხდება, დრო შეიცვალა. წარმატება დიდი ხანია აღარ არის დამოკიდებული კაპიტალზე. ეს დიდებული ექსპერიმენტი გახლავთ. უდავოდ გმირული ცდაა და აი, თქვენ ნახავთ, რა წარმატებებიც მოჰყვება ყოველივე ამას.

— რა მოხდა, დიკ? — იკითხა დაინტერესებულმა გრეჰემმა. — აგვიხსენით, თუ შეიძლება!

— არაფერი განსაკუთრებული, ერთი თავშესაქცევი წამოწყებაა, — გულგრილად უპასუხა ფორესტმა. — შესაძლებელია, ამ საქმიდან არც არაფერი გამოვიდეს, მაგრამ მე მაინც გულს არ ვიტეხ...

— ოჰ, კარგი თავშესაქცევა! — წამოიძახა უომბოლდმა, — ხუთი ათასი აკრი საუკეთესო მიწა ყველაზე მოსავლიან ადგილზე სურს დაურიგოს იმათ, ვისაც ამქვეყნად ბედი არ უღიმის: — დაამუშავეთ და უპატრონეთო. თან ხელფასსაც აძლევს და საკვებსაც.

— საკვები, რომელსაც მხოლოდ იმავე მიწაზე მოიყვანენ, — შეაწყვეტინა დიკმა. — როგორც ჩანს, საჭიროა განგიმარტოთ საქმის ვითარება, ეს ხუთი ათასი აკრი მიწა, რომელიც მე ამ საქმისათვის გამოვყავი, ჩემს მამულსა და მდინარე საკრამენტოს ველებს შორის მდებარეობს.

— აბა, წარმოიდგინეთ, თქვენთვის ესოდენ საჭირო რამდენი იონჯა მოგივიდოდათ... — შეაწყვეტინა უომბოლდმა.

— შარშან ჩემმა მიწახაპია მანქანებმა ორჯერ მეტი მიწა ამოაშრეს, — განაგრძო დიკმა. — დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი დასავლეთი და, საერთოდ, მთელი სამყარო უფრო ინტენსიური მეურნეობის გზას დაადგება და მე მსურს ერთი პირველთაგანი ვიყო ამ გზის გაკაფვაში. ეს ხუთი ათასი აკრი ოც-ოც აკრად დავეყავი და იმედი მაქვს, რომ თითოეული ასეთი მამული არა მხოლოდ ერთ ოჯახს გამოკვებავს, არამედ ექვს პროცენტ წმინდა შემოსავალსაც მოგვცემს.

— ეს ნიშნავს, როდესაც ეს ადგილები დარიგდება, — დაიწყო გამოანგარიშება კორესპონდენტმა, — ორას ორმოცდაათმა ოჯახმა უნდა მიიღოს მიწა. თითოეულ ოჯახში, დაახლოებით, ხუთი სული რომ ვიანგარიშოთ, ეს უკვე ათას ორას ორმოცდაათ სულს უდრის.

— არა, სულ ასე არ არის საქმე, — წარმოთქვა დიკმა. — ყველა ადგილი უკვე დაკავებულია, ჩვენ მხოლოდ ათას ასი ადამიანი გვყავს, მაგრამ იმედს მომავალზე ვამყარებთ... რა თქმა უნდა, მომავლის დიდი იმედი გვაქვს, — კეთილი ღიმილით დაასრულა მან. — რამდენიმე მოსავლიანი წელი და თითოეულ ოჯახში უკვე ექვსი სული მაინც იქნება.

— მაგრამ ვინ იგულისხმება სიტყვა «ჩვენში?» — იკითხა გრეჰემმა.

— მე მყავს სასოფლო-სამეურნეო ექსპერტებისაგან შემდგარი კომიტეტი. ყველა მათგანი ჩემი თანამშრომელია, პროფესორ ლიების გარდა, რომელიც ფეოდალურმა მთავრობამ დროებით დამითმო. საქმე ის გახლავთ, რომ თითოეული ფერმა საკუთარი რისკის მიხედვით იმუშავებს თანახმად იმ მეცნიერული მეთოდებისა, რომელსაც ჩვენი ინსტრუქცია ითვალისწინებს. მიწა ამ ადგილებში თითქმის ერთნაირი და საუკეთესოა. მუშაობის ნაყოფი გარკვეული დროის შემდეგ უსათუოდ გამოჩნდება. მერე, როცა ამ ორას ორმოცდაათ ნაკვეთზე მიღწეულ შედეგებს შევადარებთ, ის ფერმერი, რომელიც საშუალო დონესაც ვერ მიაღწევს, თავისი გონებაჩლუნგობისა თუ სიზარმაცის გამო, ვალდებული იქნება ნაკვეთი დაუყოვნებლივ დატოვოს.

— პირობები მეტად ხელსაყრელია. ფერმერი, რომელიც ასეთ ნაკვეთს მიიღებს, არაფერს ზარალობს: ის მხოლოდ მოსავალს აიღებს თავისი წილი მიწიდან და საკუთარ თავს და ოჯახს გამოკვებავს; გარდა ამისა, წელიწადში მიიღებს ათას დოლარს ნაღდ ანგარიშზე, ამიტომ, სულ ერთია, წელი მოსავლიანი შეხვდება თუ მოუსავლიანი, თვითონ საზრიანი გამოდგება თუ თავქარიანი, ასი დოლარით თვეში უზრუნველყოფილი იქნება. უქნარებსა და უგუნურებს თავისივე ჭკვიანი და შრომისმოყვარე მეზობლები შეავიწროებენ. აი, ასეთი გახლავთ ჩემი გეგმა. ვფიქრობ, ეს ნათელი დადასტურება იქნება ყველა იმ უპირატესობისა, რაც, საერთოდ, ინტენსიურ მეურნეობას

ახასიათებს. ამასთანავე ხალხი უზრუნველყოფილი იქნება არა მხოლოდ ხელფასით. მე, როგორც მეპატრონეს, ჩამერიცხება შემოსავლის ექვსი პროცენტი, მაგრამ თუ შემოსავალი მეტი აღმოჩნდა, მაშინ ყოველივე თვით ფერმერს რჩება.

— ამიტომაც ყოველი ოდნავ საქმიანი ფერმერი დღე-ღამეს გაასწორებს, რათა დიდი შემოსავალი ჰქონდეს და ეს სრულიად გასაგებია, — წარმოთქვა გაზეთის კორესპონდენტმა. — ან რატომაც არა, ასი დოლარი გზაზე როდი ყრია. შეერთებულ შტატებში საშუალო შეძლების ფერმერი თვით საკუთარ მიწაზეც კი ვერ ახერხებს ორმოცდაათი დოლარის გამომუშავებას, თანაც თუ ამას სამეველეო და პირადი შრომის გადასახადს გამოვაკლებთ. რა თქმა უნდა, გამრჯე ადამიანი ასეთ საქმეს მთელი ენერგიით მოჰკიდებს ხელს და შეეცდება მისი ოჯახის წევრებიც ასე მოიქცნენ.

— მთელი ჩემი შეგნებით მაგ წინადადებას ვეწინააღმდეგები, — განაცხადა ტერენს მაკფენმა და მოსაუბრეთ მიუახლოვდა. — ყველგან მხოლოდ ერთი გაისმის: სამუშაო, შრომა... მე კი, მართალი მოგახსენოთ, ცეცხლი მეკიდება, როდესაც წარმოვიდგენ, რომ თითოეულმა ფერმერმა ამ ოც აკრ მიწაზე დილიდან საღამომდე ილაჯი უნდა გაიწყვიტოს, მუშაობით ზურგი გადაიტყოს. თანაც რისთვის მერე? ნუთუ ლუკმა პური და ხორცი, ან თუნდაც ცოტაოდენი ტკბილეული მთელი ჩვენი ცხოვრების აზრი და არსებობის მიზანია? ადამიანი, სულ ერთია, უნდა განშორდეს ამ ქვეყანას და ისევე უნდა ამოსძვრეს სული, როგორც მუშა ცხენს, რომელმაც დაბადებიდან შრომის მეტი არა უწყოდა რა! მაინც რას მიაღწია ასეთმა კაცმა? თავი პურით, ხორცითა და ჯემით უზრუნველყო? და ეს არის ყოველივე? მუცელი როგორმე ამოივსოს და თავი ჭერს შეაფაროს? მერე მისი სხეული ხომ მაინც გაიხრწნება ბნელსა და ნესტიან სამარეში!

— მაგრამ ვერც თქვენ გადაურჩებით სიკვდილის ბასრ ბრჭყალებს, ტერენს, — შენიშნა დიკ ფორესტმა.

— სამაგიეროდ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მე მოხეტიალე კაცის დიდებულ ცხოვრებას ვეწევი, — სწრაფადვე მიუგო ტერენსმა. — ჩემი ცხოვრება მართლაც ფრიად საინტერესოა: ვარსკვლავებთან, ყვავილებთან, მწვანე ხეების ჩრდილქვეშ განმარტოებით გატარებული წამები, სადაც მსუბუქი ნიავი ჩურჩულით ეტრფილება მოხატულ მდელოს და მისი ამბორით წელში იხრებიან ტანკენარი ბალახები! ან კიდევ ჩემი წიგნები! ჩემი საყვარელი ფილოსოფოსები და მათი ფიქრები! სილამაზე, მუსიკა, ყველანაირი ხელოვნებით მოგვრილი სიხარული. რას ბრძანებთ? როდესაც მე ბნელეთს დავინთქმები, მეცოდინება, რომ ნამდვილად კარგად ვიცხოვრე და ცხოვრებას წარვტაცე ყოველივე, რაც მსურდა, ან რისი მოცემაც შეეძლო. მაგრამ ეს ორფეხა სასაპალნე ცხოველები, ეს ოცაკრიანი მუშა პირუტყვები, განთიადიდან დაღამებამდე ოფლს ღვრიან მიწაში, ბეჭებზე პერანგი ათასჯერ დაუსველდებათ და მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტაოდენი პურითა და ხორცით მუცლები ამოივსონ და ჭერიდან წყალი არ ჩაუვიდეთ, მოამრავლებენ ახალ თაობებს, რომ მათ შემდეგ ასევე პირუტყვულად განაგრძონ. იმავე ხორცითა და პურით ამოივსონ მუცელი, ისევე იდინონ ოფლი ბეჭებზე და საიქიოსაც ისე გაემგზავრონ, რომ მხოლოდ ხორცის, პურის და, შესაძლებელია, მურაბის გემო გასინჯონ.

— მაგრამ ვინმემ ხომ უნდა იშრომოს, რომ თქვენ ასეთი დოკლაპიური უქნარობა შეძლოთ? — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა უომბოლდმა.

— დიახ, ეს ჭეშმარიტება გახლავთ. მეტისმეტად საწყენია, მაგრამ მაინც ჭეშმარიტებაა. — წარბშევრული დაეთანხმა ტერენსი. მერე უცებ სახე გაუნათდა. — მე დიდ მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ ქვეყნად ეს მომუშავე პირუტყვი გააჩინა. ერთნი გუთანს აღმა-დაღმა დაათრევენ მინდვრებზე, მეორენი — თვალდავსებული თხუნე-

ლები, მთელ ცხოვრებას მაღაროებში ატარებენ ქვანახშირისა და ოქროს ძებნაში. მადლობას მოვახსენებ განგებას იმის გამოც, რომ ქვეყნად გონებაგამოფიტული გლეხი გააჩინა, თორემ ასეთი ფაფუკი ხელები ხომ აღარ მექნებოდა. იმისათვისაც ვმადლობ ღმერთს, რომ ისეთი დიდებული ძალითა და ღონით სავსე გონიერი ჭაბუკი მოუვლინა დედამიწას, როგორც დიკ ფორესტია. იგი წყალობასა და სიკეთეს არ იშურებს ჩემთვის: იძენს ახალ წიგნებს და უსასყიდლოდ მთავაზობს; საკუთარ სუფრასთან ადგილი მიმიჩინა, რომელიც ორფეხა პირუტყვის ნაშრომი სურსათ-სანოვაგითაა სავსე, ასევე მუშა პირუტყვის ნაგებ საკუთარ კერასთან, უფლებას მაძლევს, გავთბე. რა თქმა უნდა, დიდ მადლობას ვწირავ იმ კარავისათვის, ტყეში, მადრონოს ხეებქვეშ რომ დაგვიდგა, სადაც შრომას არ ძალუძს, თავისი საზარელი დინგი ძალით შემოეყოს...

ივენ გრეჰემი კარგა ხანს არ დაწოლილა იმ ღამეს. დიდმა სახლმა და მისმა დისახლისმა უნებურად შეუშფოთეს სული; სანახევროდ გახდილი, საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი, ჩიბუხს ეწეოდა და წარმოსახვაში მხოლოდ პაოლას სჭვრეტდა. რამდენი საოცრება იხილა იმ ერთი დღის განმავლობაში. ამ მშვენიერმა ქალმა მის თვალწინ სულ სხვადასხვანაირი სახით ჩაიქროლა და მრავალნაირი გუნებ-განწყობილება გამოამჟღავნა. ჯერ მუსიკაზე საუბრითა და უნაკლო შესრულებით მოხიბლა, მერე გონებამახვილურად ჩაება კამათში ფილოსოფოსებთან. ბოლოს მოულოდნელად განერიდა, რომ ბრიჯის თამაშით გართულიყო. ან ფეხმოკეცილი როგორც იჯდა სავარძელში ისეთივე ქალწულური იერთა და სიანცით მოუღლეელი, როგორც მის გვერდით მსხდომი ნორჩი ასულნი. ან თუნდაც როგორი ფოლადისებური წკრიალი ისმოდა უარის გამოძხატველ, სმენის დამატყვევებელ მის ხმაში, როდესაც დიკმა სხვა სიმღერის შესრულება დააპირა; რა უშიშრად იჯდა წყალში დასახრჩობად განწირულ ულაყზე, ხოლო, რამდენიმე საათის შემდეგ, მეუღლის სტუმრების წინაშე როგორ თავდაჭერით შემოვიდა სასადილო ოთახში, თავისი ჩაცმულობითა და ჰაეროვნებით ზღაპრული მეფის ასულის მგვანი.

დიდმა სახლმა თავისი საკვირველებითა და უცნაურობებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მეტად განაცვიფრა გრეჰემი, მაგრამ მის წარმოსახვაში ყველაზე მეტი ადგილი მაინც მის დიასახლისს ეკუთვნოდა. ნათლად აგონდებოდა დარ-ჰილის შესანიშნავი ხელების ქნევა, არონ ჰენკონკის ყორნისფერი ქილვაშები, ბერგსონის დოგმების თავგამოდებული ქადაგება, ტერენს მაკფეინის სახელოებმოცვეთილი პალტო, ღმერთს მადლობას იმის გამო რომ სწირავდა, ორფეხა მუშა პირუტყვი შესაძლებლობას აძლევდა უქნარობასა და მცონარობაში ეტარებინა დღენი, მჯდარიყო დიკ ფორესტის გაშლილ სუფრასთან, ან მის მამულში, მადრონის ხეებს ქვეშ და დაუსრულებლად ეოცნება.

გრეჰემმა ჩიბუხი დაბერტყა, თვალი შესანიშნავ, ძველებურ ყაიდაზე ნაშენ ოთახს მოავლო, რომელიც თანამედროვე კომფორტის მიხედვით, უნაკლოდ იყო მოწყობილი. სინათლე ჩააქრო და გრილი გადასაფარებლის ქვეშ ზეწარზე გაწვა. თუმცა ძილი მაინც არ ეკარებოდა. თან დაუსრულებლად პაოლა ფორესტის სულში ჩამწვდომი კისკისი ჩაესმოდა. მისი ხატება კვლავ ვერცხლის, ფოლადისა და ძალის განსახიერებად ქვეულიყო. სიბნელეში თვალწინ ედგა, თუ როგორ აჭქონდათ მალა, მართლაც, განუმეორებელი პლასტიკური მოძრაობით მის ჩამოსხმულ მუხლებს სამოსის მძიმე ნაკეცი. გრეჰემს არ ძალუძდა ამ ნათელი ჩვენებისაგან თავის დაღწევა, უფრო მეტიც, სრულიად შეუძლებლად წარმოუდგა თვალიდან მისი განშორება. ეს სინათლის სხივისა და ფერებისაგან ჩამოქნილი მოძრავი ჩვენება თითქოს გიზგიზებდა და დაუსრულებლად მის წინ ტრიალებდა. გრეჰემი თუმცა გრძნობდა მის მოჩვე-

ნებითობას, რომ ეს ყოველივე მხოლოდ სუბიექტური წარმოსახვა იყო, მაგრამ მოჩვენება მაცდუნებელი რეალურობით კვლავ და კვლავ მის წინ ისვეტებოდა.

ისევ ეჩვენებოდა ულაცი და მხედარი, ხან თითქოს უძირო წყალში ინთქმებოდნენ, ხანაც კვლავ მაღლა იმართებოდნენ. წყლის ქაფში გამოკრთოდა ულაცი ნალების ელვარება. ქალის სახეს სრულიად გარკვევით ჭკვრეტდა. პაოლა იცინოდა, მისი ოქროს ბრწყინვალეობით დაფერილი თმა ულაცი მოშავო ფაფარში გადაწულიყო.

კვლავ ჩაესმოდა პრელუდიის პირველი აკორდები და იგივე ხელები, რომლებიც გამძვინვარებულ პირუტყვს ასე იმორჩილებდნენ, ახლა როიალს დაუფლებოდნენ და მთელი სიცხადით გადმოსცემდნენ რახმანინოვის მუსიკის უნაზეს, სმენის დამატყვევებელ ჰარმონიას.

ბოლოს, უკვე ძილმორეული გრეჰემის ფიქრი იმასდა უტრიალებდა, თუ როგორია ადამიანის განვითარების ის შესანიშნავი და იდუმალი კანონი, რომელმაც ევოლუციის მწვერვალზე, პირველყოფილი მტვრისა და ლამისაგან ქალის სულისა და ხორცის უმშვენიერესი ხატება შექმნა. დიახ, სულისა და ხორცის, რაც ასე დიდებულადაა განსულიერებული მდედრობით სქესში.

### თავი მეორემეტე

მეორე დღეს გრეჰემი დიდ სახლში გამეფებულ წეს-ჩვეულებების გაცნობას განაგრძობდა. ო-დაიმ ბევრი რამ წინააღმდეგე აცნობა, ხოლო სტუმრისაგან შეიტყო, რომ ადრე დილით, მხოლოდ, ერთი ფინჯანი ყავა უნდა აეტანა საძინებელ ოთახში და მერე საერთო მაგიდასთან ისაუზმებდა. ო-დაიმ გააფრთხილა გრეჰემი, რომ დიდ სახლში საუზმისათვის დადგენილი დრო არ არსებობდა. საუზმობდნენ, ვისაც რა დროს სურდა, დილის შვიდიდან ცხრა საათამდე; თუ მას ცხენი, მანქანა ან სხვა რაიმე დასჭირდებოდა, ან თუ ცურვას მოისურვებდა, საჭირო იყო მხოლოდ განეცხადებინა.

სასაუზმე ოთახში გრეჰემი რვის ნახევარზე ჩავიდა. იქ გაზეთის კორესპონდენტი და აიდაპოელი საქონლის შემსყიდველნი დაუხვდნენ. მათ უკვე ესაუზმათ და ჩქარობდნენ ფერმის მანქანისათვის მიესწროთ. სურდათ დილის მატარებელს ელდორადოდან სან-ფრანცისკოში გაჰყოლოდნენ. გრეჰემი სუფრას მარტოდმარტო მიუჯდა. მეტად თავაზიანმა ჩინელმა მსახურმა საუზმის საკუთარი გემოვნებით შეკვვითა შესთავაზა. სურვილი დაუყოვნებლივ შეუსრულა და ყინულივით ცივი გრეიპ-ფრუტის ხერესი მოართვა, თან თავმომწონედ ისიც დაურთო, რომ ეს ყოველივე საკუთარ მამულში მოჰყავდათ. გრეჰემმა ნაირ-ნაირ რჩეულ კერძზე უარი განაცხადა, არც ფაფეული ინება და არც ბოსტნეული. მხოლოდ თოხლოდ მოხარშული კვერცხები და ლორი მოითხოვა; უცებ დარბაზში ბერტ უეინრაიტი შემოიჭრა. გრეჰემს ჭაბუკი მეტად დაბნეული ეჩვენა და გუმანმაც არ უმტყუნა: ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ჰაეროვან ქუდსა და თვალწარმტაც დილის კაბაში გამოწყობილი ერნესტინა დესტენი გამოჩნდა. გოგონა ძალზე განცვიფრდა, როცა სასაუზმე დარბაზში ამდენი ადრე ადგომის მოყვარული იხილა.

ის იყო საუზმე დაამთავრეს და წამოდგნენ, რომ ოთახში ლიუტ დესტენი და რიტა უენრაიტი შემოვიდნენ. ბილიარდის თამაშის დროს გრეჰემმა ბერტისაგან შეიტყო, რომ დიკ ფორესტი ყველასთან ერთად არასოდეს საუზმობდა. მისი თქმით, ალიონზე გაღვიძებული დიკი, დიდხანს საწოლში მუშაობდა, ექვს საათზე ყავას სვამდა და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოჩნდებოდა ხოლმე სტუმართა წინაშე პირველის ნახევარზე დანიშნული მეორე საუზმის წინ.

რაც შეეხება პაოლას, განაგრძობდა თხოვრებას ბერტი, მას ცუდად სძინავს, გვიან დგება და სასახლის იმ ნაწილში ცხოვრობს, სადაც მხოლოდ უსახელო კარის გაღლით მოხვდებით. ეს სასახლის უდიდესი და ულამაზესი ფრთედია; საკუთარი ედემის ბალით, რომელიც მე თვითონ მხოლოდ ერთხელ ვნახეო; პაოლაც, დაახლოებით, პირველის ნახევარზე, მეორე საუზმისათვის ჩამოდის დარბაზში. თუმცა ყოველთვის ვერც მას შეხვდებით...

— პაოლა მეტად ჯანმრთელი და ძლიერი არსებაა, — წარმოთქვა ბოლოს ბერტმა, — მაგრამ უძილობა დაბადებით დაჰყოლია. ჩვილიც კი ვერ იძინებდა თურმე, მაგრამ ამას არავითარი ზიანი არ მოუტანია მისი ჯანმრთელობისათვის, დიდი ნებისყოფა გააჩნია და საკუთარ თავსაც კარგად ფლობს. ნერვები, რა თქმა უნდა, ერთთავად დამაბული აქვს. ასეთი მწარე უძილობის დროს შეშფოთებისა და სასოწარკვეთის მაგივრად საკუთარ თავს აიძულებს, რომ დაისვენოს და, მართლაც, ისვენებს. ასეთ ღამეებს საკუთარ «თეთრ ღამეებს» უწოდებს. პაოლა ხშირად ალიონზე იძინებს, ხან დილის ცხრა-ათ საათზეც კი, მერე შესაძლებელია, თორმეტი საათი გადაბმულად ეძინოს და სადილად სიცოცხლით სავსე და სრულიად მხიარული ჩამოვიდეს.

— ეს, ალბათ, მართლა თანდაყოლილი იქნება, — შენიშნა გრეკემმა.

ბერტმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ათასი ქალიდან ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი უდავოდ საშინელ გუნებაზე იქნებოდა, მაგრამ პაოლა საკუთარი თავის ბატონ-პატრონია. არის შემთხვევები, როდესაც სრულიად უძილო დგება, მაგრამ ღამის უძილობას სხვა დროს ინაზღაურებს ნერვული სისტემის დაუზიანებლად.

კიდევ ბევრი რამ უამბო ბერტმა ამ სახლის მშვენიერ დიასახლისზე. გრეკემი მიხვდა, რომ, პაოლასთან დიდი ხნის ნაცნობობის მიუხედავად, ჭაბუკი მეტად მოკრძალებით და პატივისცემით იხსენიებდა.

— არ შემხვედრია ადამიანი, ვისაც სხვისი დამორჩილების ისეთი უნარი ჰქონდეს, როგორც პაოლას, — ისევ დასძინა ბერტმა. — თუ მოინდომებს, ვინც უნდა იყოს იგი, ქალი, მამაკაცი, მსახური ან სხვა ვინმე, ყველას ატყვევებს. ასაკის, სქესის თუ მდგომარეობის მიუხედავად. საჭიროა მხოლოდ მბრძანებლური ტონით დაილაპარაკოს, ყველა მაშინვე ქედს იხრის მის წინაშე. არ ვიცი, რით აღწევს ყოველივე ამას. შეიძლება, მის თვალეში კრთის რაიმე ჯადოსნური სხივი, ან ბაგეზე ესახება ასეთი გამომეტყველება, არ ვიცი, მართალი მოგახსენოთ, მაგრამ ყველა ყურმოჭრილ მონად იქცევა მის წინ და ამასთანავე ყველა სიამოვნებით ემორჩილება.

— დიახ, — დაეთანხმა გრეკემი, — მასში არის რაღაც განსაკუთრებული.

— სწორედ ეგ! — გაუბრწყინდა სახე ჭაბუკს. — მართლაც, არის რაღაც განსაკუთრებული, საჭიროა მხოლოდ მოისურვოს! ის კი არა, რატომღაც შიშნარევი მოწიწების გრძნობა იპყრობს ადამიანს, ვერ მიმხვდარხარ კი, რატომ. შესაძლოა, ასეთი თავდაჭერა უძილო ღამეების დროს გამოიმუშავა, როცა მისი ნებისყოფა გამუდმებით დამაბულია სიმშვიდისა და ხალისის შესანარჩუნებლად. აი, წუხელ, ალბათ, თვალის არ მოუხუჭავს გუშინდელი ამბების შემდეგ: მღელვარება, სტუმრები, დასახრჩობად განწირულ ულაცზე ჯდომა და სხვა მრავალი. თუმცა დიკი ამბობს, ის, რაც სხვა ქალებს ძილს დაუფრთხობდა, მასზე პირიქით, დამამშვიდებლად მოქმედებსო. შეუძლია ეძინოს, როგორც ჩვილ ყრმას ქალაქის დაბომბვისა თუ გემის ჩაძირვის დროს. ერთი სიტყვით, დიდი საოცარი ქმნილებაა. აბა ერთი ინგლისური წესით ბილიარდი ითამაშეთ მასთან და მაშინ ნახავთ...

ცოტა ხნის შემდეგ გრეკემი და ბერტი ნორჩ ასულებს იმ დარბაზში შეხვდნენ, სადაც ისინი, ჩვეულებრივ, დილის საათებს ატარებდნენ ხოლმე.

თუმცა არც მოდური სიმღერები აკლდათ, არც ცეკვა და არც სასიამოვნო მას-  
ლაათი, მაგრამ გრეჰემი მაინც დიდ სულიერ სიმარტოვეს გრძნობდა. რაღაც საოცარი  
სევდა შემოაწვა გულზე, დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა, რომ სადმე დიასახლისი-  
სათვის მოეკრა თვალი. თავისდა უნებურად ღია კარისაკენ ფარულად იჭვრიტებოდა,  
იქნებ, რაიმე ახალ, უცხო ტანსაცმელში გამოწყობილი, უჩვეულო განწყობილებით  
აღსავსე პაოლა მოულოდნელად გამოჩნდესო.

უფრო მოგვიანებით გრეჰემმა ალტადენას მხედრობა ისურვა, ბერტი კი შესა-  
ნიშნავ ფაშატ მოლის მოაჯდა და მთელი ორი საათი მამულს ათვალთვლებდნენ. ინახ-  
ულეს რძის მეურნეობა და ძლივს მოასწრეს ჩოგბურთის მოედანზე დროით დაბ-  
რუნება, სადაც ერნესტინა ელოდებოდათ.

გრეჰემი მოუთმენლად ესწრაფოდა საუზმის დაწყებას და არცთუ მხოლოდ  
იმიტომ, რომ ორი საათის მგზავრობის შემდეგ მადა აღეძრა. გრეჰემს პაოლას ნახვის  
უძმაფრესი სურვილი დაუფლებოდა. წარმოიდგინეთ, რა განუზომელი სევდა შემო-  
აწვა გულზე, როდესაც დიასახლისი საუზმეზე არ გამოცხადდა.

— კვლავ დაიწყო «თეთრი ღამეები», — განუცხადა დიკმა სტუმარს და მხო-  
ლოდ რამდენიმე სიტყვა დაუმატა ბერტის მონათხრობს იმაზე, რომ პაოლას თანდა-  
ყოლილი უძილობა სჭირდა.

— წარმოიდგინეთ, რამდენიმე წლის ჯვარდაწერილნი ვიყავით, როდესაც პირ-  
ველად ვნახე მძინარი. ვიცოდი, რა თქმა უნდა, რომელიღაც საათებში რომ ეძინა, მაგ-  
რამ ნახვით არ მენახა. ერთხელ სამი დღე-ღამის განმავლობაში არ მოუხუჭავს თვალი,  
მაგრამ მაინც მხიარული და ალერსიანი იყო. ბოლოს, ძალ-ღონე გამოეცალა და ჩაეძი-  
ნა. ეს ამბავი კაროლინას კუნძულებთან მოხდა. ჩვენს იახტას მეჩქმა გზა გადაუღობა;  
მთელი იქაური მოსახლეობა გვეხმარებოდა იახტის ადგილიდან დამკვრამი. საქმე სა-  
შიშროება კი არ გახლდათ, ჩვენ არავითარი განსაცდელი არ გველოდა, არამედ დაუ-  
სრულებელი ხმაური და მღელვარება. პაოლას ყოველივე ეს საოცარი უშუალოდით  
გადაჰქონდა და საქმითაც ფრიად გართული იყო. როდესაც ყოველივე დამთავრდა,  
აი, მხოლოდ მაშინ ვიხილე პირველად, როგორ ჩაეძინა.

დილით დიდ სახლს ახალი სტუმარი ეწვია, ვინმე დონალდ უეირი. გრეჰემი  
მას საუზმეზე შეხვდა. ჩანდა, უეირი კარგად იცნობდა ყველას და დიდი სახლის ხში-  
რი სტუმარიც იყო; გრეჰემმა საუბრიდან ისიც შეიტყო, რომ მთელი წყნარი ოკეანის  
სანაპიროზე ის ცნობილ მევიოლინედ ითვლებოდა, თუმცა ჯერ სრულიად ახალგაზ-  
რდა იყო.

— უეირი თავდავიწყებით ეტრფის პაოლას, — განუცხადა ერნესტინამ გრე-  
ჰემს, როდესაც სასადილო დარბაზიდან გამოდიოდნენ.

გრეჰემმა განცვიფრებით აზიდა წარბები.

— მაგრამ პაოლა ყურადღებასაც არ აქცევს, — გადაიკისკისა ერნესტინამ. — ასე  
ემართება ყველა აქ ჩამოსულ მამაკაცს. პაოლა შეჩვეულია ამას. საოცრად თბილ გან-  
წყობილებას ამჟღავნებს ყველას მიმართ და სრულიად ვერ ამჩნევს მათ მგზნებარე  
განცდებს. პაოლა სიამოვნებით ატარებს დროს მათ საზოგადოებაში, მერე კი დაუ-  
სრულებლად იცინის მათზე და დიკსაც ართობს. ერთი კვირაც არ გაივლის, თქვენც  
იგივე დაგემართებათ; და თუ ასე არ მოხდა, ყველანი დიდად განცვიფრებულნი დაგ-  
რჩებით. თქვენ წარმოიდგინეთ, დიკიც განაწყენდება. მისი აზრით, ეს ამბავი გარ-  
დაუვალია. თუ მოსიყვარულე ქმარი ამაცობს საკუთარი მეუღლით, მიჩვეულია თავი-  
სი მეუღლისადმი სხვათა თავდავიწყებულ ტრფიალსა და თავყანისცემას, უყურად-  
ღებობის შემთხვევაში შეურაცხყოფილი და განაწყენებულიც კი აღმოჩნდება.

— რა გაეწყობა. — ამოიოხრა გრეკემმა, — თუ თქვენთან ასეა მიღებული, მეც ეგ ბედი მომეღოს, ალბათ. მალე მეც თავდავიწყებამდე შემიყვარდება. მართალია, დიდი საშინელებაა სწორედ ისევე მოიქცე, როგორც ყველა სხვა, მაგრამ რადგან აქ ასეთი წესი ყოფილა გამეფებული, სად გავექცევი. ეს არის და ეს. თუმცა ვატყობ, ეს მეტად ძნელი იქნება, რადგან გარშემო იმდენი მზეთუნახავი ნორჩი ასულია...

გრეკემის ნუშისებრ, ნაცრისფერ თვალებში თვალთმაქცურმა სხივმა გაიელვა. თვალთა სხივის ესოდენ უჩვეულო კიაფმა იმდენად იმოქმედა ერნესტინაზე, რომ განცვიფრებული დიდხანს ჩასცქეროდა თვალებში და მხოლოდ მაშინ განარიდა მზერა, როდესაც შეიცნო, რას სჩადიოდა და ღაწვნიც უმაღვე შეეფაკლა.

— ის პატარა ლეო, ყრმა პოეტი, გუშინ მწუხრის ჟამს რომ გაიცანით, თავდავიწყებამდე შეყვარებული, — მღელვარებისა და საკუთარი უხერხულობის დასაფარავად წამოიწყო ერნესტინამ. — თავად მოვისმინე, როგორ აჯავრებდა არონ ჰენკონკი სონეტების რაღაც ციკლისათვის. რა თქმა უნდა, ძნელი არ არის მიხვდე, ვინ შთააგონა მათი შექმნა. ახლა ირლანდიელ ტერნესს არ იკითხავთ. რა კრძალვით, რა სათუთად ეტრფის მას! საკუთარ თავს ვერაფერს უხერხებენ, ამიტომაც ვერც დაადანაშაულებთ...

— რა თქმა უნდა, პაოლა უდავოდ იმსახურებს თავყვანისცემას, — წარმოთქვა გრეკემმა, თუმცა გულში ნაწყენიც დარჩა, რომ ეს თავქარიანი, ალფაბეტის წარმოშობის დადგენაზე სულელურად მეოცნებე ირლანდიელი მანიაკი, ეს ანარქისტი — ეპიკურელი, რომელსაც თავი იმით მოჰქონდა, რომ უქნარა და სამადლოდ სარჩენი იყო, თურმე მგზნებარებითა და თავდავიწყებით ეთაყვანებოდა პატარა დიასახლისის. — დიახ, ის უცილოდ იმსახურებს ყველა მამაკაცის თავყვანისცემას, — წარმოთქვა გრეკემმა მშვიდად. — მე თუმცა ძალიან ცოტა ხანს ვნახე, მაგრამ გეთანხმებით, უდავოდ, შესანიშნავი, მომაჯადოებელი ქმნილებაა.

— ის ხომ ჩემი ნახევარდაა, — აუხსნა ერნესტინამ, — მაგრამ ვერ იტყვით, რომ ჩვენი ერთი წვეთი სისხლი მაინც გვაქვს საერთო. პაოლა სულ სხვაა. ის ყველა დესტენისაგან განსხვავდება, საერთოდ ყველა ქალიშვილისაგან, ვისაც კი ვიცნობ. თუმც ძალიან ახალგაზრდა აღარ არის, უკვე ოცდათვრამეტი წლისაა...

— ფისო, ფისუნია! — ჩურჩულით წარმოთქვა გრეკემმა.

პირმშვენიერმა ქერა ქალიშვილმა განცვიფრებით გადახედა გრეკემს, საოცრად გაოგნებულმა და შემკრთალმა მისი უადგილო წამომახილით.

— დიახ, ფისუნია, — გაიმეორა გრეკემმა მოჩვენებითი დაცინვით.

— ოჰ! — წამოიმახა გოგონამ. — მე მაგ აზრით სრულიად არ მითქვამს... ჩვენ ყველა ფრიად გულახდილნი ვართ ურთიერთის მიმართ. საერთოდ არაფერს ვუმალავთ ერთმანეთს. ყველამ კარგად იცის რამდენი წლისაა პაოლა. არც თვითონ მალავს. მე კი თვრამეტი წლისა ვარ. აი, ხედავთ?.. ახლა თქვენი დაეჭვების საპასუხოდ გვითხარით, თავად რამდენი წლისა ბრძანდებით?

— რამდენისაც დიკია, — უმაღვე მიუგო გრეკემმა.

— დიკი ორმოცისაა, — გამარჯვებულის იერით გაიცინა ქალიშვილმა. — მობრძანდებით საცურაოდ? წყალი, ალბათ, ძალიან ცივია.

გრეკემმა უარის ნიშნად თავი გაიქნია:

— მე დიკთან ერთად ცხენით მივემგზავრები.

ერნესტინას სახეზე წყენა გამოეხატა თვრამეტი წლის გოგონას მთელი ბავშვური მიაბიტობით:

— ალბათ, საკუთარ მარადმწვანე საძოვრებს, გადახნული მთის ფერდებს, ან სარწყავი სისტემის რამე ახალ საიდუმლოებას გიჩვენებთ.

— როგორც მახსოვს, მგონი, ხუთი საათისათვის დანიშნული ცურვაც ახსენა. ერნესტინას სიხარულით სახე გაუბრწყინდა.

— მაშინ საცურაო აუზთან შეხვედებით. ალბათ, ასე მოითათობირეს, პაოლასაც ხუთისათვის უნდოდა საცურაოდ წასვლა.

ერთმანეთს გრძელი თალის ქვეშ განშორდნენ. ის იყო გრეკემი საცხენოსნო ტან-საცმლის ჩასაცმელად კომპისაკენ გაემურა, რომ ერნესტინამ მიამახა:

— მისტერ გრეკემ!

გრეკემი მორჩილად მოტრიალდა.

— მართლა სავალდებულო კი არ არის პაოლას თავდავიწყებულ მიჯნურად იქცეთ, მე ეს ისე, უბრალოდ ვთქვი.

— ყოველნაირად მოვერიდები, გავფრთხილდები, — უპასუხა გრეკემმა სერიოზულად, თუმცა მაცდუნებელმა ღიმილმა კვლავ აუკიაფა თვალები.

მაგრამ თავის ოთახისკენ მიმავალი გრეკემი იძულებული გახდა, საკუთარ თავს გამოსტეხოდა, რომ პაოლა ფორესტის სასწაულებრივი მიმზიდველობა მასაც შეეხო და ჯადოსნური მარწუხივით გულზე უჭერდა. ვერც ის დაუმალა თავს, რომ ცხენებით გასეირნება პაოლასთან ერჩია დიდი ხნის ერთგულ მეგობარ დიკ ფორესტთან სეირნობას.

უზარმაზარი, ფართოდ გაშლილი ბერმუხებისაკენ მიმავალი გრეკემის ოცნებით აღსავსე თვალები მხოლოდ პაოლას დაემებდნენ. საჩრდილობელში მდგარმა რამდენიმე შეკაზმულმა ცხენმა გულში იმედის ნაპერწკალი გაულვივა, თუმცა დიკი და გრეკემი მაინც მარტო გაუდგნენ გზას. ფორესტმა გრეკემს პაოლას ცხენი აჩვენა მხოლოდ. ეს იყო ფიცხი, ფეხმარდი, შინ გამოზრდილი წაბლა ულაცო. ცხენს ავსტრალიური მომცრო უნაგირი, ფოლადის უზანგები, ორმაგი ალვირის თასმები და მოელვარე ლაგამი ამშვენებდა.

— არ ვიცი, დღეს რას აპირებს პაოლა, — წარმოთქვა დიკმა. — ჯერ კიდევ არ გამოსულა საწოლი ოთახიდან, მაგრამ საცურაოდ უთუოდ მოვა, იქ შევხვდებით, ალბათ.

გრეკემმა ამ გასეირნებით მართლაც სიამოვნება განიცადა, თუმცა რამდენჯერმე დაიჭირა საკუთარი თავი მაჯის საათს რომ დაჰყურებდა, ხუთ საათამდე დარჩენილი დროის დასადგენად.

დოლი ახლოვდებოდა. დიკი და გრეკემი მინდორს მინდორზე გადადიოდნენ, დროგამოშვებით ხან ერთი, ხან მეორე ცხენებიდან ხტებოდა შროპშირული თუ რამბულეტ-მერინოსის ჯიშის უმშვენიერესი ნერბების ფეხზე წამოსაყენებლად. ფართო ზურგებზე წაწოლილი, ზეცისკენ ფეხებაშვერილი ეს საცოდავი ცხოველები სხვის დაუხმარებლად ფეხზე ვეღარ დგებოდნენ.

— ნამდვილად ძალიან ბევრი ვიშრომე, რომ ამერიკული მერინოსი გამომეყვანა, — ყვებოდა დიკი. — ამ ჯიშს უკვე ძლიერი ფეხები აქვს, ფართო ზურგი და საკმაოდ მაგარი კისერი, თანაც საოცრად ამტანია, ევროპიდან შემოყვანილ ჯიშებს ამტანობა აკლიათ. ისინი მეტისმეტად ნებიერნი და სათუთნი არიან.

— ძალიან დიდ საქმეს აკეთებთ, ძალიან დიდს, — განაცხადა გრეკემმა. — თუნდაც მარტო ცხვრის გაგზავნა აიდაჰოში თავისთავად ყოველივეს მეტყველებს.

თვალეზგაბრწყინებულმა დიკმა მაშინვე მიუგო:

— განა მარტო აიდაჰოში! იქნებ, არც დამიჯეროთ, ან თავის ქებად ჩამითვალთ, მაგრამ მიჩიგანისა და ოჰაიოს აურაცხელი ფარები ჩემი კალიფორნიული რამბულეტის ვერძთა შთამომავალნი არიან, აი, თუნდაც ავსტრალია! თორმეტი წლის წინათ ჩვენთან ჩამოსულ ავსტრალიურ ცხვრის ფართა მფლობელს სამი ყოჩი მივყიდე,

თითოეული სამას დოლარად. როდესაც ადგილზე ჩაიყვანა და სხვებს აჩვენა, მაშინვე თითოეული სამი ათას დოლარად გაყიდა. თვითონ მან კი მთელი ვაგონი შემომიკვეთა. ვფიქრობ, ავსტრალიას ამით დიდი სარგებლობა მოვუტანე და არა ზიანი. იქ თურმე ასე ამბობენ ახლა: იონჯის, არტეზიული ჭების, მაცივრიანი გემებისა და ფორესტის ცხვრების წყალობით მეცხვარეობა და მატყლის წარმოება სამჯერ გაიზარდაო.

უკან დაბრუნებისას შემთხვევით ცხენების ფერმის მმართველ მენდენჰოლს გადაეყარნენ. მენდენჰოლმა ისინი სადღაც გზაზე თვალუწვდენელი სამოვრებისაკენ წაიყვანა, სადაც ტყით დაფარული ხეობები და ადგილ-ადგილ, ჯგუფ-ჯგუფად მდგარი მუხები მოჩანდა. მენდენჰოლმა ერთწლიანი შაირული ჯიშის კვიცების რემა აჩვენა, რომელთაც მეორე დღეს მირიმარ-ჰილსის მთის სამოვრებზე აგზავნიდნენ დაზამთრებამდე; ამ ძვალმსხვილ, ბანჯგვლიან და ხნოვანებასთან შედარებით საკმაოდ მოზრდილ ორასიოდე კვიცს ბალნის ცვენა უკვე დაწყებოდა.

— ჩვენ მარტო სამოვრების ამარად კი არა გვყავს ეს ცხენები, — აუხსნა ფორესტმა გრეჰემს, — მისტერ მენდენჰოლი დიდ ყურადღებას აქცევს, რომ დამატებით ნოყიერი საკვებიც მიიღონ. იქ, მთებში, სადაც ახლა წავლენ, ხორბლის მარცვალი მიეცემათ. ამის გამო ყოველდღე ერთ ადგილზე მოიყრიან თავს, ამრიგად, სრულიად ადვილად, განსაკუთრებულ სიძნელეთა გარეშე ხერხდება მათი მეთვალყურეობაცა და შემოწმებაც. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად მარტო ორგონაში ორმოცდაათამდე ორი წლის ულაცს ვგზავნი, ისინი თითქმის სულ ერთნაირები არიან. უკითხავად და უნახავად ყიდულობენ მათ. როგორც კი გაიგებენ, რომ ჩემი რემიდან არიან.

— ალბათ, ძალიან მკაცრი შერჩევით გამოგყავთ? — წამოიწყო გრეჰემმა.

— რა თქმა უნდა, უვარგისი სან-ფრანცისკოს ქუჩებშიაც შეგიძლიათ უამრავი ნახოთ, — უპასუხა დიკმა. — ესენი საფორნე ცხენებია.

— დივერსის და ლოს-ანჯელესის ქუჩებშიც, — დაუმატა მენდენჰოლმა. — ორი წლის წინ, როდესაც საქონლის ჭირი დაიწყო, ჩვენ ოცი ვაგონი ოთხწლიანი იაბო მხოლოდ ჩიკაგოში გავაგზავნეთ და სამუალოდ თითოეულში ათას შვიდასი დოლარი მივიღეთ. უფრო მომცრო ტანისანი ათას ექვსას დოლარად გაიყიდა. მაგრამ გვყავდა ისეთებიც, რომლებშიაც ათას ცხრაასი მოგვცეს. ღმერთო ჩემო, რა ფასი ჰქონდა ცხენებს იმ წელიწადს! პირდაპირ ცა გაგვეხსნა!

ის იყო მენდენჰოლი განშორდათ, რომ წვივმაღალ, ფაფარაშლილ მშვენიერ ულაცზე მჯდარი მხედარი გამოჩნდა. დიკმა ახალმოსული გრეჰემს წარუდგინა: — მისტერ ჰენესი, ჩემი მეურნეობის მთავარი ვეტერინარი.

— შევიტყვე, მისის ფორესტი კვიცებს ათვალეიერებსო, — მიმართა მან დიკს, — და აი, გეახელით, რომ მოყვითალო-მიხაკისფერი ტაიჭი ვაჩვენო, რომელსაც ქურციკს ვეძახით. ერთ კვირაში უნაგირს დავადგამთ და მისის ფორესტს უკვე შეეძლება მასზე უშიშრად ჯდომა. დღეისათვის რომელი ცხენი აირჩია?

— ფოპი, — უპასუხა დიკმა, თუმცა აშკარად იცოდა, როგორი უკმაყოფილო იქნებოდა ვეტერინარი. მისტერ ჰენესიმ საყვედურით გადაიქნია თავი.

— არავინ დამარწმუნოს, რომ ამქვეყნად ქალებისათვის ულაცი კვიცით სიარული საფრთხილო არ იყოს, — თავისთვის ჩაიბუტბუტა მან. — თანაც ფოპი მეტად საშიშია. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ საოცარ სიფიცხესთან ერთად, მეტად ცბიერი და ვერაგია; მისის ფორესტი მხოლოდ მაშინ უნდა შეჯდეს, თუ ლაგამს ამოსდებენ, მაგრამ არ ვიცი, ვინ შეძლებს მის დაჭედვას.

— ოჰ, ნუ წუხხართ, — უპასუხა დიკმა. — მას ლაგამი აქვს და ისიც რა ლაგამი! პაოლას კი ძალიან კარგად შეუძლია მისი მოთვინიერება.

— დიახ, თუ ერთ მშვენიერ დღეს არ დაამარცხა, — წაიბუზღუნა ჰენესიმ. — რა შვებით ამოვისუნთქავდი, მისის ფორესტს რომ მთის ქურციკი მოსწონებოდა. აი, ის კი ნამდვილად ქალის შესაფერი ტაიჭია! იცით, ბატონებო, უსაზღვროდ დიდი მგზნებარებაა ამ ცხოველში. არავითარი ვერაგობა არ იმალება. შესანიშნავი ფაშატია, შესანიშნავი... ანცია, მაგრამ ეს დიდ ნაკლად არ ჩაითვლება, მოთვინიერდება, დამშვიდება, ჭირვეულობას მოიშლის; მეტად ცქვიტი, მაგრამ ადვილად დასამორჩილებელი გახდება; დარწმუნებული ვარ, არასოდეს ჯაგლაგად არ გადაიქცევა.

— მოდი, ჩვენც იქ წავიდეთ, — შესთავაზა დიკმა გრეჰემს. — მისის ფორესტს ცუდ დღეში ჩააგდებს ფოპი, თუ ამ «მუძუმწოვარა» კვიცებში გაატარა. ეს ხომ პაოლას სამფლობელოა, მისი ბურთი და მოედანი, — განუმარტა მან გრეჰემს. — ყველა სამგზავრო და საჯდომად გაწვრთნილი ცხენი პაოლას გამგებლობაშია. წარმოიდგინეთ, შესანიშნავ შედეგებსაც აღწევს, მაგრამ რა გზით, მე თვითონ ვერ გამიგია. ეს იმას ჰგავს, პატარა, გამოუცდელი გოგონა რომ ქიმიურ ლაბორატორიაში შეიპაროს და ფეთქებადი ნივთიერებების შეზავებით ალაღბედზე ისეთი ძლიერი შენაერთები მიიღოს, რომ გამოცდილი მხცოვანი ქიმიკოსების ნაშრომები გაახუნოს.

სამივე მამაკაცმა მთავარი გზიდან გვერდითა ბილიკზე გადაუხვია. ნახევარი მილი გაიარეს, ტყით დაფარულ, მოჩხრიალე ნაკადულით ახმაურებულ ხეობას შემოუარეს და დამრეც ფერდობზე გავიდნენ. მათ წინ თვალუწვდენელი, მწვანედ მობიბინე სამოვრები გადაიშალა. პირველი, რაც გრეჰემმა შორიდანვე შენიშნა, ეს აურაცხელი, ერთწლიანი და ორწლიანი კვიცები იყვნენ, ცნობისმოყვარეობით რომ შეჯგუფულიყვნენ წმინდასისხლიან მოოქროსფრო ფოპის გარშემო, რომელზედაც ყელმოღერებული პაოლა იჯდა. გამძვინვარებული ფოპი ყალყზე დგებოდა, ტორებს ჰაერში იქნევდა და გულგამგმირავად ჭიხვინებდა..

მხედრებმა თავიანთი ცხენები შეაყენეს და ლოდინი დაუწყეს, რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას.

— უეჭველია, ცუდი ამბავი შეგვემთხვევა, აგზნებული ულაცი მისის ფორესტს ბურთივით გადმოისვრის დაბლა, — გაჯავრებით ჩაიბუზღუნა ვეტერინარმა. — ფოპის ნდობა არ შეიძლება!

მაგრამ ამ დროს პაოლამ, რომელსაც მოახლოებული მხედრები არც შეუნიშნავს, ცივად და მბრძანებლურად რაღაც ხმამაღლა დაუკვილა პირუტყვს. მერე ნამდვილი მხედრის ოსტატობით ფოპის აბრეშუმით პრიალა ფერდებს ბასრი დეხები მთელი ძალ-ღონით შემოჰკრა. ფოპიმ წინა ფეხები დაუშვა და კბილთა ღრჭენით ერთ ადგილზე მოუსვენრად აწრიალდა.

— განა შეიძლება ასე თავის განწირვა? — ტკბილად შეესიტყვა დიკი მეუღლეს და თავისი თანამგზავრებითურთ პაოლას მიუახლოვდა.

— დიახ, მე შემძლია ფოპის დამორჩილება... — ჩაილაპარაკა პაოლამ. ფოპიმ კი ყურები ცქვიტა და თვალეზი ბოროტად დააკვესა, თან ისე ახლოს იდგა გრეჰემთან, ფეხზე უკბენდა კიდეც, პაოლას რომ არ მოესწრო, აღვირით დროზე თავი არ მოეგრიხა და დეხები კვლავ მაგრად არ შემოეკრა ფერდებზე.

ფოპი შეკრთა, დაიჭიხვინა და წუთით დაწყნარდა.

— ძველთაძველი თამაშია. — თეთრკანიანი ადამიანის თამაში! — გაიცინა დიკმა. — პაოლას ულაცი არ ეშინია და პირუტყვმაც კარგად იცის ეს. როცა ულაცი ცბიერებას იჩენს და შმაგდება, პაოლაც ორმაგად უხდის; ულაცი განრისხების პასუხად ისიც სასტიკად ექცევა.

სანამ ისინი პირუტყვის საქციელს აკვირდებოდნენ, სამჯერ მაინც გადაწყვიტეს შემოებრუნებინათ ცხენები და პაოლას მიშველებოდნენ, თუ მისის ფორესტი გასაჭირში აღმოჩნდებოდა. ფოპი კვლავ ყალყზე შედგომას ცდილობდა. პაოლამ სამჯერვე, მეტად ფრთხილად, მაგრამ მთელი ძალ-ღონის დამაბვით დაიჭირა ლაგამი ხელში და ნეკნებზე მაგრად შემოჰკრა დეზები. როგორც იქნა, ოფლსა და ქაფში გაღვრილი კბილებმოდრჭიალე, დაღლილი ფოპი დამორჩილდა და ადგილზე გაქვავდა.

— ასე იქცეოდა ყოველთვის თეთრკანიანი ადამიანი! — დინჯად განაგრძობდა დიკი, მაშინ როცა მეტად აღელვებული და უკიდურესობამდე აღფრთოვანებული გრეჰემი ამ ჰაეროვან მომთვინიერებელს ხარბად შეჰყურებდა. — თეთრკანიანები ველურებს ეომებოდნენ და თავისი მრისხანებით აჯობეს კიდევ. ვფიქრობ, თეთრკანიანის შეუპოვრობამ, მარცვა-გლეჯამ, ყოველი სახის ახლებურმა წამებამ და კაციჭამიაობამ უკან ჩამოიტოვა ველურები. სინამდვილეში, ამქვეყნად თეთრკანიანებმა მეტი ადამიანი შეჭამეს, ვიდრე კაციჭამიებმა.

— სადამო მშვიდობისა, — მიესალმა პაოლა მოსულთ. — ვფიქრობ, ფოპი უკვე დამშვიდებულია. კარგი იქნებოდა, კვიცები დაგვეთვალიერებინა. ფრთხილად, მისტერ გრეჰემ, ფოპის კბილებს მოერიდეთ, ძალიან უყვარს კბენა, შორს იარეთ თქვენი ცხენით, თუ გინდათ, რომ ფეხები სიბერემდე გემსახუროთ.

როდესაც ფოპის ხრიკები დასრულდა, კვიცები უცებ ადგილს მოსწყდნენ, თითქოს რაღაცამ დააშინაო, დაოთხილნი, ქარივით შეიჭრნენ მწვანით დაფარულ ველებზე. მაგრამ მათდა განსაცვიფრებლად კვლავ შეჯგუფდნენ და მალევე უკან გამობრუნდნენ; მერე ერთი, განსაკუთრებით ანცი წაბლისფერი ფაშატის მეთაურობით რკალად ჩამწკრივდნენ მხედრების წინ და დაუოკებელი ცნობისმოყვარეობით აღვსილებმა ყურები ცქვიტეს.

გრეჰემი პირველად ვერც ამჩნევდა კვიცებს: ის მხოლოდ ახალ როლში მოვლენილ მისის ფორესტს შეჰყურებდა.

— ნუთუ მის ცვალებადობას არა აქვს დასასრული? — ეკითხებოდა თავის თავს და ოფლში გაღვრილ, ქალის მიერ დამორჩილებულ შესანიშნავ პირუტყვს შეჰყურებდა. თვით «მთიელიც» კი, მიუხედავად თავისი გოლიათურობისა, უფრო უწყინარი და გახედნილი ჩანდა ამ ჭიხვინით ქვეყნის შემძრავ, კბენია და მუდამ ყალყზე შედგარ ურა კვიცთან შედარებით. ის ახლაც გამუდმებით ცდილობდა მხედარი გადმოეგდო. ფოპი თავისი საშინელი ვერაგობით წმინდა სისხლის ოჩანთა პირწავარდნილი ნაშიერი იყო.

— იმას შეხედე ერთი, — ჩურჩულით უთხრა პაოლამ დიკს, რათა წაბლისფერი, ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი ფაშატი არ დაეფრთხო. — რა მშვენიერებაა! აი, რისთვის ვიღვწოდი. — მერე პაოლა ივენს მიუბრუნდა: — ამათში ყოველთვის იპოვის კაცი რაიმე ნაკლს თუ ზადს, სრულყოფილება თითქმის შეუძლებელია! ეს კი ნამდვილი სრულყოფილი ქმნილებაა. უყურეთ ერთი. უკეთესს, საქვოა რომ მივაღწიო: მაგის მამა რემის ბელადია. უთუოდ გეცოდინებათ, თუ საერთოდ, ჩვენს პრიზიორთა შესახებ რამე გსმენიათ, მაშინაც კი, როდესაც დაბერდა, ექვსი ათასად გაყიდეს. ჩვენ იგი დროებით გვყავდა. ეს იმ სეზონის მისი ერთადერთი ნაშიერია, მაგრამ ერთი შეხედეთ! ამ წაბლას თავისი მამის მკერდი და ფილტვები გამოჰყვა. მე უამრავი ფაშატი მყავდა მისთვის განსაკუთრებით შერჩეული, მაგრამ მაინც შინაბერა ფაშატი ვარჩიე, რომელსაც არც ერთი ულაცი მანამდე ახლოს არ გაუკარებია, დიახ, იგი მხოლოდ მისთვის იყო გაჩენილი. ეს იმ შინაბერა ფაშატის პირველი კვიცია: მაშინ სწორედ თვრამეტი წლისა შესრულდა, როდესაც ეს კვიცი დაიბადა. ვიცოდი, რომ ასეთი იქნებოდა.

საკმარისი იყო მისი მშობლები დაენახა ადამიანს და მათ ნაშიერს მხოლოდ ასეთს წარმოიდგენდა.

— თუმცა დედა წმინდა სისხლისა არ იყო, — ჩაურთო დიკმა.

— სამაგიეროდ, მორგანთა ჯიშის უამრავი წინაპარი ჰყავდა, — მცისვე დაუმატა პაოლამ. — მთელს ზურგზე მუსტანგივით ზოლი გასდევს, სახელად «ფერიას» დავარქმევთ, თუმცა საჯიშეთა წიგნში მაინც არ შევიტანთ; ეს იქნება ჩემი პირველი წუნდაუდებელი საჯდომი ცხენი და დარწმუნებული ვარ, ჩემი ოცნებაც ფრთებს შეისხამს.

— ამ ოცნებას ოთხი ფეხი უჩანს, — ღრმააზროვნად ჩაურთო მისტერ ჰენესიმ.

— და ხუთიდან შვიდამდე სხვადასხვა ალური, — მოსწრებულად დაუმატა გრეჰემმა.

— მე სრულიადაც არ მომწონს ეს კენტუკური ნაირ-ნაირი ალურიანი ცხენები, თავიანთი მოუქნელი მოძრაობებით, — სწრაფად შეესიტყვა პაოლა. — ისინი მხოლოდ ბაღებსა და სწორ ადგილებზე თუ გამოდგებიან, კალიფორნიის საშინელ გზებზე, მის მთის ბილიკებზე სასიარულოდ მე მჭირდება მხოლოდ ფეხმარდი ჩორთითა თუ ნავარდით მოსიარულე მოქნილი ცხენი, მოკლე ექნება სავალი თუ საკმაოდ გრძელი მანძილი, ეს გააჩნია ადგილს და ჭენების ხასიათს. მე ვერ გეტყვით, ეს განსაკუთრებული სიარულია-მეთქი, მაგრამ ეს არის მსუბუქი, მშვიდი ჭენება განსაკუთრებით ძნელად სავალი გზების პირობებში.

— ულამაზესი ქმნილებაა! — წამოიძახა დიკმა და თვალანთებული მიაჩერდა უმშვენიერეს წაბლისფერ ფაშატს, რომელმაც გაბედა და დაოკებულ ფოქს მოუახლოვდა, მერე სულ ახლოს დაუდგა და თავისი მოცახცახე ათრთოლებული ნესტოებით ყნოსვა დაუწყო.

— მერჩია, ჩემი საკუთარი ცხენები მთლად წმინდა სისხლისანი არ ყოფილიყვნენ, — დანანებით განაცხადა პაოლამ.

— მორბენალი ცხენები კარგია ცხენთსარბიელზე ჯირითისათვის, მაგრამ ადამიანის მოსახმარად ის ზედმეტად გაწვრთნილია.

— აი, დიდებული დაწყვილების შედეგი, — შენიშნა მისტერ ჰენესიმ და «ფერიაზე» მიუთითა. — ფეხმარდობისათვის ტანი შედარებით მოკლე აქვს, ზომიერი ნაბიჯისათვის კი საკმაოდ გრძელი. უნდა გამოგიტყდეთ, შეჯვარებისა არა მჯერა რა, მაგრამ თქვენ, მართლაც, შესანიშნავი ქმნილების მიღება შეძელით.

— ქალიშვილობაში ცხენები არა მყავდა, — მიმართა პაოლამ გრეჰემს, — ახლა კი შემძლია მყავდეს არა მარტო რამდენიც მინდა, არამედ შემძლია შეჯვარების შედეგად ჩემი სურვილის მიხედვით სულ ახალ-ახალი ჯიშები მივიღო. ეს იმდენად დიდებული საქმეა, რომ ხანდახან არც კი მჯერა. ხშირად მოვქრივარ აქეთ, რათა შევხედო და დავრწმუნდე, რომ ეს ყოველივე სინამდვილეა და არა სიზმარი.

პაოლა დიკ ფორესტისაკენ შეტრიალდა და მადლიერებით სავსე მზერა შეავლო. გრეჰემმა შენიშნა მათი ერთმანეთს მიჩერებული ხანგრძლივი მზერა. მისთვის ცხადი შეიქნა, რა დიდ სიამაყეს ანიჭებდა დიკს მეუღლის აღტაცება, როგორ აჯადოებდა ქალის ახალგაზრდული ადფრთოვანება და სიხარული.

«რა ბედნიერია, ეშმაკმა დალაზვროს», — გაიფიქრა გრეჰემმა, არცთუ იმიტომ, რომ დიკს ასეთი მდიდარი სამფლობელო გააჩნდა და საქმეებიც სულ კარგად მიუდიოდა. არა — მხოლოდ იმიტომ, რომ ფორესტს ეკუთვნოდა ეს განსაცვიფრებელი არსება, რომელიც ასე დაუფარავად, გულდია და მადლიერი ღიმილით ჩასცქეროდა მეუღლეს თვალებში.

გრეკემს თითქმის აღარ სჯეროდა, უკვე ექვევებოდა ერნესტინას ნათქვამი, — პაოლა ოცდათვრამეტი წლისააო. ქალი კვიცებს მოუბრუნდა, მხედრის შოლტი მალა აღმართა და გაზაფხულის მზით შეფერილ ფაშატებს დაუქნია.

— დიკ, შეხედე ერთი მის სწორ გავას, სანავარდო ფეხებსა და საოლავს, — თქვა ქალმა და შოლტის წვერი შავი კვიცისაკენ გაიშვირა. მერე გრეკემს მიუბრუნდა და განაგრძო: — სრულიად განსხვავებულია, ფერიას სულ სხვა ნაკვეთები აქვს და ფეხებიც უფრო გრძელი, არა? მაგრამ სწორედ ისეთია, როგორც გულით მინდოდა. — პაოლამ გაიცინა, თუმცა ფარული სინანული მაინც იგრძნობოდა. — დედა უჩვეულო, ღია წაბლისფერი ჯიშის ფაშატი იყო. ახლადმოჭრილ ოცდოლარიან მონეტასავით ლაპლაპა. ძალიან მინდოდა მისი ფერის ცხენი მყოლოდა სამოგზაუროდ. ვერ დავიქადნებ, რომ შედეგი მთლად სრულყოფილია. თუმცა შესანიშნავი მონავარდე წაბლა ცხენი იზრდება. სამაგიეროდ, აი ის არის ჩემი ჯილდო. ხედავთ შავრა კვიცს? მე მის ღვიძლ მმასაც გიჩვენებთ, მაგრამ, სავალალოდ, ის ასეთი ბრწყინვალე შავი არ არის. წაბლა ულაცია. რაზედაც ძალიან მწყდება გული.

მერე პაოლამ წაბლა ულაცებისკენ მიიხედა, იქვე, მათ გვერდით რომ მოვდნენ ბალახს.

— ეს ორი კვიცი გუი დილონის ნაშიერია, ალბათ, იცით, ლოუ დილონის ძმის. დედები სხვადასხვა ჰყავთ და ცოტათი განსხვავდებიან კიდეც ერთმანეთისაგან ფერით, მაგრამ ნამდვილად შესანიშნავი წყვილია. მათ ისეთივე ფეხები გამოჰყვათ, როგორც გუი დილონს — მათ მამას ამშვენებდა ერთ დროს.

პაოლამ დამორჩილებული და დათრგუნვილი ფოპი მოატრიალა და კვიცები რომ არ დაეფრთხო, რემას ფრთხილად შემოუარა, მაგრამ კვიცების ერთი ნაწილი მაინც დაფრთხა.

— ერთი ამათ დამიხედე! — წამოიძახა პაოლამ. — ის ხუთეული მთლად უჯიშოა. ხედავთ, სირბილისას ტლინკებს როგორ ჰყრიან.

— სრულიად დარწმუნებული ვარ, შენი ფეხმარდი იაბოები გამოფენაზე ჯილდოებს დაიმსახურებენ, — მიმართა დიკმა მეუღლეს და კვლავ მადლიერი და კმაყოფილი ღიმილი დაიმსახურა. გრეკემს კი გულში მწარედ გაჰკრა.

— ორი, აი, იქ, შუაში რომ მოვს, უფრო მოზრდილი ფაშატებიდან უნდა შევარჩიოთ. შეხედე იმ ერთს, მარცხნივ რომ ჩანს, სულ ნაბოლარა. სამიც შუა ნაწილში შეიძლება აღმოვაჩინოთ და იქიდან შევარჩევთ ერთს წინამძღოლად. მამა ერთი ჰყავდათ, დედა კი ხუთივეს სხვადასხვა. ამიტომაც ფერით ოდნავ განსხვავებულნი მოჩანან, მაგრამ ამ ხუთიდან კარგი ოთხეულის შერჩევა შეიძლება. თანაც ყველანი ერთი ხნოვანების არიან. უდავოდ ბედის გაღიმებაა, არა?

პაოლა მისტერ ჰენესისაკენ შებრუნდა: — როგორც ვამჩნევ, ჩვენ შეგვიძლია, პოლოს სათამაშო პონებად გავყიდოთ ორწლიანებთან ერთად. ნებას გამლევთ, შეარჩიოთ.

— თუ მისტერ მენდენჰოლი ლურჯა იაბოში ათას ხუთასს ვერ აიღებს, ეს მხოლოდ იმის გამო თუ მოხდება, რომ პოლო მოდიდან გამოდის, — გატაცებით წარმოთქვა ვეტერინარმა, — მე თვალყურს ვადევნებდი მათ. აი, შეხედეთ იმ ღია წაბლისფერ კვიცს, ხომ გახსოვთ მაგისი გაქეცილი ზურგი? დააცადეთ კიდეც ერთი წელი და ნახავთ, რა დადგება მისგან! უყურე, მოტრიალდა! თითქოს ძროხის ტყავი ჰქონდეს გადაკრული. წმინდა ვერცხლის დოლარიანივით აბზინდება! ერთი წლის შემდეგ პირდაპირ საერთაშორისო გამოფენაზე გასაგზავნი იქნება. ხომ გახსოვთ, თავიდანვე მქონდა მაგის იმედი. უეჭველია, დიდ მეტოქეობას გაუწევს იმ ბენგალიური ჯიშის ჯაგლაგებს. როგორც კი წამოიზრდება, მაშინვე აღმოსავლეთში გაგზავნეთ.

პაოლა თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა და მისტერ ჰენესის საუბარს დაძაბული ყურადღებით უსმენდა. მისი მზერა სავსე იყო სინაზით, რასაც ამ მშვენიერი, სიცოცხლით სავსე მოზარდი პირუტყვების ცქერა ჰგვრიდა, რომელთა სიცოცხლეზე პასუხისმგებელი თვითონვე იყო.

— მეტისმეტად მძიმეა, — გამოუტყდა პაოლა გრეჰემს, — როდესაც ასეთი სილამაზის პირუტყვს ჰყიდი და იცი, რომ მაშინვე სამუშაოდ გაიყვანენ.

მისი მთელი ყურადღება პირუტყვს შთაენთქა, ძალდაუტანებლად ლაპარაკობდა, სრულიად არ ცდილობდა მსმენელზე შთაბეჭდილება მოეხდინა და საკუთარი განცდები ქალური სიკველუცის დასამშვენებლად გამოეყენებინა. პაოლა ყოველივე იმდენად ბუნებრივი იყო, რომ დიკმაც თავი ვერ შეიკავა და სტუმრის წინაშე მეუღლეს ქება-დიდება შეასხა.

— შეიძლება, მე ცხენთა ჯიშების გამოყვანის შესახებ მთელი ბიბლიოთეკაც კი გადავატრიალო, თავი ვიმტვირო, იმდენი ვისწავლო და ვიცოდვილო მენდელის კანონთა დაუფლებაზე, მაგრამ, სულ ერთია, ამ საკითხში მასთან შედარებით მაინც უვიცი ვრჩები. პაოლა ყოველივეს განსაცვიფრებელი ალღოთი და მიხვედრილობით ახერხებს. კანონთა შესწავლა არა სჭირდება, უიმათოდაც კარგად ესმის ყოველივე. რაღაც წინასწარი გრძნობით მოქმედებს, თითქოს ვინმეს გრძნეული ხელი ეშველებოდეს ამ საქმეში. საკმარისია, ფაშატების რემას თვალი გადაავლოს, ცოტა ხანს დაკვირვებით უყუროს და უკვე ნათელია მისთვის, რა უნდა გააკეთოს. პაოლა ყოველთვის იმ შედეგს იღებს, რასაც ესწრაფვის... ფერის გარდა, — ხომ მართალს ვამბობ, პოლი? — გასაგულისებად შეეკითხა იგი მეუღლეს.

პაოლამ გაიცინა. მისმა კბილებმა მარგალიტისფრად გაიელვეს. მათ სიცილს მისტერ ჰენესიც შეუერთდა. დიკმა კი განაგრძო:

— შეხედეთ აი იმ კვიცს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ პაოლა შეცდა: კარგად დააკვირდით ერთი! მან ბებერი წმინდა სისხლის ფაშატი, რომელსაც უკვე უვარგისად ვთვლიდით, გამოფენაზე გასაგზავნად სანიმუშო ულაცთან შეაჯვარა, მათი შთამომავალი ისევ წმინდა სისხლის ფაშატს შეუჯვარა. ამ შეჯვარების შედეგად დაიბადა ფაშატი, რომელიც კვლავ პირველ სანიმუშო ულაცთან შეაჯვარეს. მთელი ჩვენი თეორიები თავდაყირა დააყენა და მიიღო... არა, ერთი შეხედეთ, რა შესანიშნავი პონია პოლოსათვის. ერთი კი უდავოდ უნდა ვაღიაროთ: არავითარ ქალურ სისუსტეს და მგრძნობიარობას არ იჩენს, მტკიცე გადაწყვეტილებას ისევე სწრაფად იღებს, როგორც მამაკაცი, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უარყოფს ყოველივე უსარგებლოს და ირჩევს, რაც საჭიროა. მაგრამ აი, ფერის საიდუმლოებისათვის კი ჯერ არ მიუგნია. აქ უკვე გენიალობა ღალატობს. ხომ მართალი ვარ, პაოლა? ვფიქრობ, ჯერ კიდევ ბევრი დაკვირვება დაგჭირდება, სანამ საკუთარ სამოგზაურო ცხენს მიიღებდე, იმ დრომდე კი დადით და ფადით უნდა დაკმაყოფილდე. მართლა, როგორ გრძნობს თავს დადი?

— თანდათანობით გამოკეთდა მისტერ ჰენესის დიდი მზრუნველობის წყალობით! — უპასუხა პაოლამ.

— სერიოზული არაფერია, — შენიშნა ვეტერინარმა. — კვების საქმე იყო ცუდად. ახალი მეჯინიბე შემინდა და ხმაური ატეხა.

## თავი მეცამეტე

სამოვრებიდან ვიდრე საცურაო აუზამდე მივიდოდნენ, საუბარში გართული გრეჰემი და პაოლა გვერდიგვერდ მიდიდოდნენ. გრეჰემის ცხენი მხოლოდ იმ მანძილ-

ზე უახლოვდებოდა ფოპის, რის საშუალებასაც მისი ვერაგობა იძლეოდა. წინმაგალი დიკი და ჰენესი კი ფერმის საქმეებზე საუბრობდნენ.

— მთელი ჩემი სიცოცხლე უძილობა მაწამებდა. — უყვებოდა პაოლა და თან ცხენს ფერდებზე დეზებს უხახუნებდა, რათა აგზნებულ ულაცს რამე ახალი ხრიკი ან ოინი არ მოეგონებინა, — მაგრამ, წარმოიდგინეთ, ვაიძულე საკუთარი თავი ამ უჩვეულო სნეულებას არ დამორჩილებოდა, გავლენა არ მოეხდინა ჩემს ნერვულ სისტემასა და განწყობაზე; ჯერ კიდევ ბავშვობაში მივეჩვიე, თავი დამეხსნა მისგან და სიამე თვით მასშივე მეპოვნა. დამემონებინა ჩემი მომშთობი მტერი, რომელიც კარგად ვუწყობდი, მთელი ცხოვრების მანძილზე არ მიმატოვებდა. აი, ეს გახლდათ ხსნის ერთადერთი გზა. ალბათ, გქონიათ ასეთი შემთხვევა, რა თქმა უნდა, გექნებოდათ... იქნებ, სწავლობდით კიდევ, თუ როგორ უნდა გამკლავებოდით აბობოქრებულ ზვირთებს, როგორ უნდა ჩაგეყვინათ, რათა ძალაგამოცლილი სხეული გამძვინვარებული ტალღებისაგან გეხსნათ.

— დიახ, არასოდეს შევბმე ვარ ძალდაძალ, უდრტვინველად დავმორჩილები ვარ მის ძალას, — უპასუხა გრეკემმა და თვალანთებული მიაჩერდა მის ვარდისფრად შეფაკლულ სახეს, რომელზედაც ულაცთან დაუსრულებელი წინააღმდეგობისა და ბრძოლის გამო მარგალიტებივით ბრწყინავდა ოფლის ძლივს შესამჩნევი წინწკლები. ოცდათვრამეტი? ნუთუ ერნესტინამ იცრუა? პაოლა ფორესტი ოცდარვა წლისასაც არა ჰგავს. სახის კანი მთლად სათუთი აქვს, ქალიშვილური სინაზით აღსავსე, მკრთალი და მკვრივი.

— დიახ, სწორედ შეუბრძოლებლად, — განაგრძო პაოლამ, — უნდა ჩაჰყვეს და ამოჰყვეს ტალღას ადამიანი, მის რიტმულ მოძრაობას დამორჩილებული, რათა ჰაერის ჩასუნთქვა კვლავ შეძლოს. დიკმა მასწავლა, როგორ უნდა მოვიქცე ასეთ შემთხვევაში. სწორედ ასევეა უძილობის დროსაც. თუ მღელვარების ან რაიმე მოულოდნელი შემთხვევის გამო, რამაც ჩემი ნერვული სისტემის შემფოთება გამოიწვია, ძილის სამეფოს ვერ შევალწიე, მაშინ მთელი არსებით განცდილ შთაბეჭდილებათა მორევში გადავეშვები ხოლმე. ასეთ შემთხვევაში უფრო სწრაფად ვაღწევ თავს მის აბობოქრებულ ტალღებს. მერე კი თავდავიწყების დინებას მივენდობი ხოლმე. ამიტომაც ვაიძულე ჩემს თავს სულ სხვადასხვანაირად გადავიტანო წარმოსახვით შექმნილი ვითარება, რაც უფლებას არ მაძლევს, თავდავიწყებამ მშთანთქოს.

— აიღეთ გუშინდელი ამბავი, მე და ჩემს დასახრჩობად განწირულ ულაცს რომ შეგვემთხვა. წუხელ ხელახლა ისეთივე მღელვარებით გადავიტანე ყოველივე, როგორც სინამდვილეში. თითქოს შორს მდგომი, დიდხანს მაყურებლის თვალით ვაკვირდებოდი ყოველივეს; შემდეგ გონების თვალით წარმოვიდგინე ყოველი წვრილმანი; მერე თქვენი და კოვბოს თვალით ვუმზერდი და ბოლოს, რაც მთავარია, ჩემი მეუღლის შემფოთებული განცდებით აღვსილი შევყურებდი. წარმოსახვითი სურათიც კი შევქმენი და განა ერთი, რამდენიმე სურათი, მრავალნაირი თვალთახედვითა და კუთხით მივუდექი; ბოლოს ეს ნაირ-ნაირი სურათები ოცნებით კედელზე ჩამოვკიდე და თვალთახედვა დავუწყე, თითქოს სულ პირველად ვხედავდი. სხვადასხვა დამთვალეიერებელთა თვალთაც გავსინჯე: პირველად ვითომ შინაბერა ათვალეიერებდა და მის თვალსაზრისს ვამოწმებდი, მერე პედანტი ყმაწვილი, შემდეგ მოსწავლე გოგონა და ბოლოს რამდენიმე ათეული წლის წინათ მცხოვრები ბრძენი ჭაბუკი. კარგა ხნის მერე მუსიკაზე გადავიტანე, როიალზე ვასრულებდი და ისიც კი წარმოვიდგინე, როგორ უნდა გახშიანებულიყო დიდ ორკესტრთან ერთად ან სასულე ინსტრუმენტებზე. დასასრულს სიმღერით შევასრულე როგორც ბალადა, ელეგია თუ სატირა და ამასობაში ჩამეძინა კიდევ. ასე დაქანცულს კარგა ხანს მეძინა. მხოლოდ მა-

შინ მივხვდი, რომ მეძინა, როდესაც შუადღისას თვალი გავახილე საათმა ექვსჯერ ჩამორეკა. ექვსი საათი განუწყვეტელი ძილი ეს ჩემთვის დიდი ჯილდოა.

ის იყო პაოლამ ამბავი დაასრულა, რომ მისტერ ჰენესიმ გზიდან გადაუხვია და ბილიკით გასწია. ფორესტმა მეუღლეს დაუცადა და მეორე მხრიდან ამოუდგა.

— გინდათ სანამძლეო დავდოთ, ივენ? — ჰკითხა მან.

— რაზე, ხომ უნდა ვიცოდე წინასწარ, — უპასუხა ივენმა.

— სიგარებზე... მე დაგენამღვევებით, რომ ათი წუთის განმავლობაში თქვენ ვერ დაეწევით ცურვაში პაოლას ჩვენს აუზში. არა, თუნდაც ხუთი წუთი იყოს. თუმცა, როგორც მახსოვს, შესანიშნავ მოცურავე იყავით.

— ოჰ, დიკ, ძალიან გთხოვ! მეტი საშუალება მიეცი გამარჯვებისათვის, — გულწრფელად შესთხოვა პაოლამ მეუღლეს.

— ათი წუთი, ვფიქრობ, ბევრია, მეტისმეტად შეაწუხებს.

— მაგრამ შენ ხომ არ იცნობ მას, როგორც მოცურავეს, — გამოეპასუხა დიკი. — თანაც არაფრად თვლი ჩემს სიგარებს. ივენი შესანიშნავად ცურავს. მან კანაკებსაც აჯობა. ისინი დაიხრჩვენ მასთან ერთად ცურვის დროს. იცი, ეს რას ნიშნავს?

— შესაძლებელია, კიდევაც გადავიფიქრო მასთან გაჯიბრება, მაშინ რაღა ვქნა, ვიდრე მე გამოვერკვეოდე, ცურვას დავიწყებდე, ერთი ხელის მოსმით მთელი აუზი გადაცუროს და დამამარცხოს. მიამბე ერთი მისი ცხოვრებისა და წარმატებების შესახებ.

— კეთილი, მე მხოლოდ ერთ ამბავს მოგიყვები: ეს შემთხვევა ჯერ კიდევ ახსოვთ მარკიზის კუნძულებზე. ამ კუნძულებზე 1892 წელს ორმოცდახუთი საათი დიდი გრიგალი მძვინვარებდა და ივენმაც დაახლოებით ორმოცი მილი გადასცურა; მხოლოდ მან და კიდევ ერთმა სხვამ მიაღწიეს ნაპირამდე. დანარჩენები კანაკები იყვნენ. ის ერთადერთი თეთრკანიანი იყო მათ შორის. მხოლოდ მან გაუძლო წყალს, დანარჩენი ყველა დაიხრჩო.

— მგონი, მითხარი, მასთან ერთად ერთი სხვაც გადარჩაო? — გააწყვეტინა პაოლამ.

— დიახ, და ის ერთი, ქალი იყო, — უპასუხა დიკმა. — კანაკები დაიხრჩვენ.

— მაშასადამე, ქალი თერთკანიანი იყო, არა? — ჩაეძია პაოლა.

გრეჰემმა ქალს სწრაფი მზერა შეავლო. თუმცა პაოლამ ეს კითხვა მეუღლეს მისცა, მაგრამ თავი გრეჰემის მხარეს მოაბრუნა და მისი ცნობისმოყვარეობით აღვსილი თვალები გრეჰემის ჯიქურ მზირალ თვალებს წააწყდა.

გრეჰემმა გაუძლო ამ მზერას და ასევე ჯიქურ უპასუხა:

— ისიც კანაკა იყო.

— თუ გნებავთ, უფრო სწორად იცოდეთ, — დედოფალი, — ჩაერია დიკი, — უძველეს, ადგილობრივ ბელადთა შთამომავალი, მეფის ასული. კუნძულ ჰუაჰოას დედოფალი.

— მეფურმა სისხლმა თუ უშველა, არ დამხრჩვალიყო, როდესაც ყველა კანაკა დაიხრჩო. თუ თქვენ უშველეთ? — იკითხა პაოლამ.

— ვფიქრობ, ორივე ძალიან ვეხმარებოდით ერთმანეთს, განსაკუთრებით ბოლოს. — გამოეხმაურა გრეჰემი. — დროდადრო გონებას ვკარგავდით, ხან ის, ხან მე. მხოლოდ მზის ჩასვლისას მივადექით მიწას, უფრო სწორად, ხელშეუხებელ კედელს, რომელზედაც იმსხვრეოდა ცადაზიდული აბობოქრებული ზვირთები. მან წყალში ხელი ჩამკიდა და დიდხანს მარხევდა, რომ გონზე მოვსულიყავი. საქმე ის გახლდათ, რომ მე იქ ვაპირებდი ზღვიდან გამოსვლას. ეს კი გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდა.

მან როგორღაც მანიშნა, რომ იცოდა, სად ვიმყოფებოდით, რომ დინება დასავლეთის მიმართულებით, ნაპირის გასწვრივ მიემართებოდა და ორი საათის შემდეგ ისეთ ადგილს მიგვიტანდა, სადაც ნაპირზე გამოსვლა შეგვეძლებოდა. გეფიცებით, მე ამ ორი საათის განმავლობაში ან მეძინა ან, უბრალოდ, უგონოდ ვიყავი და, როცა დროდადრო გონზე მოვდიოდი, აღარ მესმოდა გამძვინვარებულ ტალღათა ხმაური. ვხედავდი, რომ ისიც იმავე მდგომარეობაში იყო, როგორშიაც მე რამდენიმე ხნის წინ. ამიტომ ახლა მე ვუახლოვდებოდი და ქალს წყალში ვანჯღრევდი, რომ გონზე მომეყვანა. გავიდა კიდევ სამი საათი, სანამ ნაპირს მივადწევდით; იქვე დავიძინეთ, სადაც გამოვედით წყლიდან. მეორე დღის მზის მცხუნვარე სხივებმა გაგვალვძია. მერე ველურ ბანანებში შევიძალეთ, იქვე მახლობლად რომ აეყარათ ტანი. სასმელი წყალი ვიპოვეთ, დავეწაფეთ და კვლავ დავიძინეთ. როდესაც მეორედ გამოგვეღვიძა, უკვე დაღამებულიყო, კვლავ წყალი დავლიე და ისევ ჩამეძინა. დილამდე აღარ გამღვიძებია. მას ისევ ეძინა, როცა ქურციკებზე მონადირე კანაკებმა გვიპოვეს.

— სანამღეოს ვდებ, თუ მართლა კანაკების მთელი ჯგუფი დაიღუპა, მაშინ ის უფრო სარწმუნოა, რომ თქვენ ეხმარებოდით მას და არა ის თქვენ, — შენიშნა დიკმა.

— მთელი თავისი სიცოცხლე ის ქალი თქვენი მადლობელი უნდა იყოს, — წარმოთქვა პაოლამ და გამომწვევად შეხედა გრეკემს. — გთხოვთ, ნურც იმაში დამარწმუნებთ, რომ ახალგაზრდა და ლამაზი არ იყო. ალბათ, მოოქროსფრო-ყავისფერკანიანი ნამდვილი ქალღმერთი იყო.

— დიახ, დედა ჰუაჰოას დედოფალი ჰყავდა, — უპასუხა გრეკემმა, — მამა კი ინგლისელი, მაღალი წრის შთამომავალი, სწავლული ელინისტი. იმ დროისათვის ისინი უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ. ნომარე ითვლებოდა კუნძულის დედოფლად და ნამდვილად ახალგაზრდა და ლამაზი გახლდათ. შეიძლება ითქვას, ულამაზესი ქალი ქალთა შორის ამქვეყნად. მამის წყალობით მკრთალი ოქროსფერი დაჰყოლოდა და არა მოოქროსფრო-ყავისფერი. თუმცა ეს ამბავი, ალბათ, თქვენ ბევრჯერ გსმენიათ...

გრეკემმა კითხვის გამომსახველი გამომეტყველებით შეხედა დიკს, მაგრამ მან თავი გაიქნია.

ტანაყრილი ხეების მხრიდან ყვირილის, სიცილისა და წყლის დგაფუნის ხმა შემოესმათ. ისინი აუხს უახლოვდებოდნენ.

— თქვენ ეს ამბავი ოდესმე ბოლომდე უნდა მიაშბოთ, — სთხოვა პაოლამ გრეკემს.

— დიკმა ძალიან კარგად იცის ყოველივე, ვერ გამიგია, რისთვის დამალა. პაოლამ მხრები აიჩეჩა:

— შესაძლოა, გამუდმებული მოუცლელობის გამო, ან, უბრალოდ, შემთხვევა არ მიეცა.

— წარმოიდგინეთ, ამ ამბავს დიდი გამოხმაურება ჰქონდა იმხანად, ვინაიდან მე მორგანტული შეუღლება მხვდა წილად. — გაიცინა გრეკემმა, — დიახ, მე ქენიბალის კუნძულთა მეფე გახლდით. ყოველ შემთხვევაში, ერთი სამოთხისებურად თვალწარმტაცი, პოლინეზიური კუნძულის პატრონი: «სად ტროპიკული ხეივნების ჩურჩულში იისფერი ტალღების ზვირთები ოჰალისფერ<sup>1</sup> (<sup>1</sup> ოჰალი — ცის დანაკი.) ნაპირს ელამუნება». — დაუდევარი, მამაკაცური ყრუ ხმით ჩაიდუდუნა გრეკემმა და ცხენიდან ჩამოხტა.

— «თეთრი ფარვანა ოდეს თრთოდა დაგრეხილ ვაზზე და ფუტკარი კი, სამყურაში ჩაძირული, ნექტარით ტკებოდა», — ღიღინითვე დაუმატა პაოლამ ლექსის მეორე სტრიქონი და სწრაფად ჩასცხო დეზები ულაცს გვერდებში. შმაგმა ულაცმა მხე-

დარ ქალს ფეხზე კინაღამ უკბინა. მერე პაოლა დიკს მოუბრუნდა, რომ ცხენიდან ჩამოსვლაში მიხმარებოდა და ეს ალქაჯი დაეხა.

— სიგარები?! მეც მივიღებ მონაწილეობას!..

— მეც მივიღებ მონაწილეობას. თქვენ ვერ დაიჭერთ! — ჩამოსმახა ბერტ უეინრაიტმა ორმოცი ფუტის სიმაღლის კოშკიდან. მომიცადეთ, ერთი წუთი! თქვენთან მოვდივარ!

უეინრაიტი, მართლაც, პროფესიული მცურავის ოსტატობით გადმოხტა კოშკიდან, რისთვისაც გოგონების აღტაცებული ტაში დაიმსახურა და მარჯვედ მიცურდა მათთან.

— შესანიშნავი ნახტომი იყო! ნამდვილი ოსტატი ყოფილხარ! — შეაქო გრეჰემმა, როდესაც ბერტი აუზიდან ამოვიდა.

ბერტმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამ ქებას არად აგდებდა და მაშინვე სანამძლეოზე ჩამოაგდო სიტყვა.

— არ ვიცი, როგორ ცურავთ, მისტერ გრეჰემ, — უთხრა მან ივენს, — მაგრამ დიკთან ერთად სიგარებზე სანამძლეოს მეც ვდებ.

— მეც, მეც, — ერთხმად წამოიძახეს ერნესტინამ, ლიუტმა და რიტამ.

— კანფეტებზე, ხელთათმანებზე, ერთი სიტყვით, რის გამეტებაც შეგიძლიათ, — დაუმატა ერნესტინამ.

— მაგრამ მე ხომ არ ვიცი, რა მიღწევები აქვს მისის ფორესტს, — შენიშნა გრეჰემმა სანამძლეოს დადებისას, — მხოლოდ იცოდეთ, თუ ხუთი წუთის განმავლობაში...

— ათის, — წარმოთქვა პაოლამ, — დავიწყებთ აუზის იქით მხრიდან. შევთანხმდით? თუ ხელს შემახებთ, უკვე ჩემს დამარცხებად ჩაითვლება. ესე იგი, დამიჭირეთ.

გრეჰემმა იდუმალი აღტაცებით შეათვალიერა პაოლა. მას ამჯერად თეთრი საცურაო კოსტიუმი აღარ ეცვა, რასაც, ეტყობა, მხოლოდ ქალთა საზოგადოებაში იცვამდა; ახლა სრულიად ახალ, მოდურ, უმშვენიერეს საცურაო კოსტიუმში გამოკვალთულიყო. აბრეშუმის კოსტიუმი მოლურჯო-ზურმუხტისფრად ბზინავდა. ეს ფერი დაჰკრავდა სწორედ აუზის მოლივლივე წყალსაც. მოკლე ქვედატანი მუხლებამდე ვერც სწვდებოდა, რომელთა თვალისდამაბრმავებელმა სიმრგვალემ გრეჰემს შეხედვისთანავე თავგზა დაუბნია და თვალის გასწორება უმძიმდა. ფეხებზე პაოლას ამავე ფერის წინდები და ერთმანეთში გახლართული ბაფთებით გაკრული პაწაწინა საცურაო ფეხსაცმელები ეცვა. თავზე მხიარული ფერის საცურაო ქუდი ეხურა, ისეთივე ლალი და თვალწარმტაცი, როგორც თვითონ პატრონი, რომელიც ხუთი წუთის ნაცვლად ათ წუთს ითხოვდა შეჯიბრებისათვის.

რიტა უენრაიტმა საათი აიღო ხელში. გრეჰემი აუზის ბოლოსაკენ გაემურა, რომელსაც ას ოთხმოცდაათი ფუტის სიგრძე მაინც ექნებოდა.

— პაოლა, იცოდე, გაბედულად იმოქმედე, თორემ დაგიჭერენ და დამარცხდები, — გააფრთხილა დიკმა. — ივენ გრეჰემი კაცივით კი არა, თევზივით ცურავს.

— დარწმუნებული ვარ, პაოლა გაიმარჯვებს, — განაცხადა პაოლასათვის თავდადებულმა ბერტმა... — სანამძლეოს ვდებ, უკეთესად ყვინთავს.

— ტყუილად ფიქრობ ასე, — უპასუხა დიკმა. — მე ჰუაჰოაში ის კლდე მინახავს, საიდანაც გრეჰემი ზღვაში ეშვებოდა. იგი მაშინ იქ ცხოვრობდა და დედოფალი ნომარეც უკვე გარდაცვლილი იყო. სულ რაღაც ოცდაორი წლის თუ იქნებოდა, ჯერ ისევ ჭაბუკი და არ შეეძლო ამ ცდუნებისათვის გაეძლო. ივენი პაუ-ვის როკის უმაღ-

ლესი წერტილიდან ხტებოდა, რომლის სიმაღლე ას ოცდარვა ფუტს აღწევს. თან შეუძლებელი იყო ტექნიკური წესების დაცვით გადმოხტომა, რადგან გზად ორი შვერილი ელოებოდა. მაღალი შვერილი გარდაუვალი წინაღობა გახლდათ თვით ყველაზე მოქნილი და მოხერხებული კანაკისათვის, იმაზე მაღალი ადგილიდან ხომ საერთოდ არავინ ხტებოდა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, გრეკემი გადმოხტა და ახალი რეკორდი დაამყარა. ეს რეკორდი მუდამ ეხსომებათ, სანამ ჰუაჰოაზე ერთი კანაკა მაინც ცხოვრობს... მოემზადე, რიტა! როგორც კი ეს წუთი გათავდება...

— ჩემი აზრით, უხერხულია ასეთი სახელოვანი მოცურავის გათამაშება, — განაცხადა პაოლამ და ნიშნის მომლოდინე აუზის ბოლოში მდგარ გრეკემს გახედა.

— შეუძლია მანამდე დაგიჭიროს, სანამ იმ ხრიკს გამოიყენებ, — გააფრთხილა დიკმა და შემდეგ ოდნავ შესამჩნევი შიშნარევი ხმით ბერტს მიმართა: — ყველაფერი რიგზეა იქ? თუ ასე არ არის, პაოლას მოუხდება ხუთი საშინელი წამის გატარება, ვიდრე იქიდან გამოვიდოდეს.

— ყველაფერი რიგზეა, — დაარწმუნა ბერტმა. — მე თვითონ შევამოწმე, მილი გაწმენდილია და ჰაერიც საკმარისია შიგ.

— მოემზადეთ! — წამოიძახა რიტამ. — დაიწყეთ!

გრეკემი კოშკურისაკენ გაქანდა, რომელზედაც უკვე არბოდა პაოლა. ის უკვე სულ მაღლა იყო, როდესაც გრეკემმა კიბის დაბლა საფეხურები აათავა. როდესაც გრეკემმა ნახევარი კიბე აირბინა, პაოლა დაემუქრა, რომ წყალში გადაეშვებოდა და სთხოვა მაღლა ასასვლელად აღარ გარჯილიყო. გრეკემი უნდა ასულიყო მოედანზე და ოცი ფუტის სიმაღლიდან გადამხტარიყო წყალში. პაოლა მაღლიდან დაჰყურებდა, კისკისებდა და თითქოს წყალში გადახტომას ჯერ კიდევ არ აპირებდა.

— დრო მიქრის, ძვირფასი წუთები გადის, — განაცხადა ერნესტინამ.

გაფრთხილების მიუხედავად, გრეკემი კვლავ მაღლა არბოდა, თუმცა პაოლა ქვედა მოედანზე შეჩერდით, სთხოვდა, თან ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს უკვე უნდა გადამხტარიყო, გრეკემი კი დროს არ კარგავდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, მეორე მოედანზე ასვლა, პაოლა კი უკვე მზად იყო გადასახტომად. უკან მოხედვის დროც აღარ დარჩა, გრეკემმა ნაბიჯს უმატა, იმედი ჰქონდა გადახტომამდე მიუსწრებდა. პაოლა მიხვდა, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და გადახტა. თავი უკან გადახარა, ხელები მკერდთან ახლოს მიიტანა, მერე ერთმანეთზე მიკრული ფეხები გაჭიმა, თანაც ისე, რომ სხეული ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ეშვებოდა.

— ოჰ, პირდაპირ ანეტა კელერმანია! — გაისმა ბერტ უეინრაიტის აღტაცებული წამოძახილი.

გრეკემი ერთი წამით შედგა, სურდა პაოლას ნახტომის მზერით დამტკბარიყო. წყლიდან რამდენიმე ფუტის დაშორებით პაოლამ თავი დახარა, ხელები წინ გაიშვირა, მერე თავქვე თალივით შემოირკალა, სხეულის მდგომარეობა შეცვალა და ჩვეული კუთხით წყალში ჩაეშვა.

სწორედ მაშინ, როდესაც პაოლამ ჩაყვინთა და წყალში გაუჩინარდა, გრეკემმა ოცდაათი ფუტის სიმაღლე ბაქანს მიაღწია და ლოდინი დაიწყო. ამ სიმაღლიდან გრეკემი გარკვევით ხედავდა მის სხეულს წყალში. ქალი უსწრაფესი მოძრაობით მიაპობდა წყალს აუზის იქითა ნაპირისაკენ. გრეკემი სწორედ ამ წუთის დადგომას ელოდა და გადახტა კიდევ. იგი დარწმუნებული იყო, რომ პაოლას დაეწეოდა. მისი ძლიერი, უშორესი ნახტომი საშუალებას მისცემდა ოცი ფუტის იქით ჩაშვებულიყო, ვიდრე პაოლა ჩაეშვა...

როგორც კი გრეკემი ზვირთებში გაეხვია, დიკმა აუზში ორი სიპი ქვა ჩაუშვა და ერთმანეთს მძლავრად შემოჰკრა. ეს იყო მაუწყებელი ნიშანი, რომ პაოლას მიმარ-

თულება შეეცვალა და მაშინვე უკან გამობრუნებულიყო. გრეჰემსაც გარკვევით შემოესმა ეს ხმა და განცვიფრდა. უმაღლვე ზედაპირზე ამოვიდა და თვალის დახამხამებაში ისევ სოლივით ჩაიჭრა წყალში. მერე თავბრუდამხვევი სისწრაფით აუზის უშორესი ნაპირისაკენ გაემართა. ნაპირთან მისულმა ისევ ამოჰყო თავი და ზედაპირი შეათვალიერა. გოგონების ტაშის ცემამ და შეძახილებმა მოპირდაპირე მხარეს გაახედა, სადაც პაოლა წყლიდან მშვიდად ამოდიოდა.

გრეჰემი კვლავ დიდი სისწრაფით გადაეშვა წყალში. პაოლა კი ამ დროს კომპურისაკენ მიქროდა, მაგრამ გრეჰემის დიდმა ამტანობამ და შესანიშნავად დაყენებულმა სუნთქვამ თავისი გაიტანა, გრეჰემმა მიუსწრო და პაოლა აიძულა ოცი ფუტის სიმაღლიდან თვალის უსწრაფესად წყალში გადაშვებულიყო. ერთი წამის დაკარგვაც არ შეიძლებოდა, რომ პაოლას ჰაერში პირვანდელი მდგომარეობა მიეღო ან წყალში გედივით ყელმოღერებულს მთელი აუზი გადაეცურა: დაუყოვნებლივ გადაიხარა, გადამწყვეტი ყვინთვისათვის მოემზადა და აუზის დასავლეთ ნაპირისაკენ კუთხურით დაეშვა. ამჟამად ორივენი თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ. გრეჰემი გრძნობდა, ზედაპირზედაც და წყლის ქვეშაც, რომ პაოლა იქვე, მის გვერდით ცურავდა, მაგრამ უცებ მუქმა ჩრდილმა შთანთქა, მზე უკვე სადაისო სხივებს აფრქვევდა და წყალი ისე საოცრად ჩამუქებულიყო, რომ ძალიან ჭირდა შიგ გარკვევით რამე დაენახა.

აუზის კედელს შეეხო თუ არა, გრეჰემი წამოიმართა. მიმოიხედა. პაოლა არსად ჩანდა. ზედაპირზე ამოვიდა და შეიცადა, მზად იყო თვალის მოკვრისთანავე კვლავ ჩაეყვინთა, მაგრამ პაოლას კვალიც არსად ჩანდა.

— შვიდი წუთი! — წამოიმახა რიტამ. — შვიდნახევარი! რვა წუთი! რვა ნახევარი! — პაოლა კვლავ არსად ჩანდა. გრეჰემმა მღელვარება დაიოკა, რადგან სხვათა სახეზე შემფოთება ვერ შენიშნა.

— როგორც ჩანს, ვაგებ, — განაცხადა მან, როდესაც რიტამ ცხრა წუთი გამოაცხადა. — პაოლა ამდენი ხანია, წყალშია, მაგრამ თქვენ ყველა ისე მშვიდად გამოიყურებით, რომ მეც აღარ ვშიშობ, თუმცა ერთი წუთი კიდევ დარჩა. იქნებ, არ წავაგო... — განაცხადა მან სწრაფად და აუზში შევიდა.

საკმაოდ ღრმად ჩაყვინთა. პირაღმა ამობრუნდა და ხელით აუზის კედელს დაუწყო სინჯვა. სწორედ შუა ადგილას, ზედაპირიდან დაახლოებით ათი ფუტის სიღრმეზე, კედელში რაღაც ხვრელს წააწყდა. მისი კიდეების ხელით კარგად მოსინჯვის შემდეგ დარწმუნდა, რომ ბადითაც არ იყო გამოცალკევებული და შიგ გაბედულად შეცურდა. მაშინვე იგრძნო, რომ ასე ზედაპირზე ასვლა შეიძლებოდა. უკუნეთ სიბნელეში შეცურებული ხელების ცეცებით მაღლა მიიწევდა, თუმცა წყალს ოდნავადაც არ ადგაფუნებდა.

მოულოდნელად გრეჰემის ხელის თითები ვიდაცის მეტად სათუთსა და გრილ მკლავს შეეხო. უცნობის ხელი შეკრთა და შიშით შემფოთებულმა ცივი ხმით შეჰკვივლა. გრეჰემი ახლა უფრო მაგრად ჩაეჭიდა ამ ხელს და სიცილი აუტყდა. პაოლამაც გადაიკისკისა. გრეჰემს კი უეცრად ეს სტრიქონები გაახსენდა:

და შემომესმა რა სიცილი წყვდიადში მისი,  
თავდავიწყებით შემიყვარდა ასული მაშინ.

— ოჰ, როგორ შემაშინეთ, — წარმოთქვა პაოლამ. — თქვენ ისე უხმოდ მოცურავდით, მე კი ოცნებაში ჩაფლული აქედან ათასი მილის მოშორებით დავეპროდი...

— რაზე ოცნებობდით? — იკითხა გრეჰემმა.

— მართალი მოგახსენოთ, ჩემი ფიქრი ერთ კაზას უტრიალებდა: აბრეშუმისებრი, ღვინისფრად მოლივლივე ხავერდი, ორი სწორი, სრულიად სადა ხაზი, ოქროს სირმა და ზონარები. მხოლოდ ერთადერთი სამკაული დაამშვენებდა ასეთ კაზას — მოციაგე ლალისთვლიანი ბეჭედი, რომელიც დიკმა მაშინ მაჩუქა როცა საკუთარი იახტით ვმოგზაურობდით. იახტას სახელად ერქვა «დაივიწყე ყოველი».

— განა არის რამ ამქვეყნად ისეთი, თქვენ რომ არ შეგეძლოთ? — სიცილით ჰკითხა გრეჰემმა.

პაოლამაც გაიცინა. მათი მხიარული სიცილის ხმა გამოძახილის გამომწვევ, დახშულ ღრმულში, რომელიც მხოლოდ სიცარიელისა და წყვილიადით იყო გარემოცული, საოცარ ბგერებად ახმიანდა და სადღაც შორს გამოსცა ექო.

— ვინ გაგიმჟღავნათ საიდუმლო მილის არსებობა? — იკითხა პაოლამ.

— არავინ. მაგრამ როდესაც ორი წუთი გავიდა და წყლის ზედაპირზე აღარ გამოჩნდით, მივხვდი, რომ აქ რაღაც თვალთმაქცობა იმალეობდა და მიეზა დავიწყე.

— ეს დიკის გამოგონებაა, მოგვიანებით ჩააშენებინა მილი აუზში: ძალიან უყვარს ასეთი ოინები. ოჰ, ვერ აგიწერთ, რა სიხარულს განიცდიდა, როდესაც მოხუცი მანდილოსნები გვესტუმრებოდნენ და შიშით ისტერიკამდე მიჰყავდა. აუზში საცურაოდ მათ შვილებთან ან შვილიშვილებთან ჩადიოდა და იქ მათთან ერთად იმალეობდა. მაგრამ როდესაც ერთი თუ ორი ქალი შიშით კინალამ ხელში შემოაკვდა, გადაწყვიტა, ეს საქმე საბოლოოდ ჩემთვის მოენდო, რომ საცდუნებლად ისეთი ძლიერი და გამოცდილი ადამიანები შემერჩია როგორც, მაგალითად, თქვენ ბრძანდებით. ერთი ასეთი შემთხვევაც მოხდა: სტუმრად გვეწვია ერნესტინას ერთი მეგობარი, სტუდენტი გოგონა, მის კოგლენი. დიკმა ისე მოახერხა, რომ გოგონა სწორედ მილის შესასვლელთან გააჩერა. თვითონ კომპურიდან წყალში გადაეშვა და მისი მეორე ბოლოდან ისევ გოგონას მახლობლად მიცურდა. გავიდა რამდენიმე წუთი, გოგონას შიშით თავზარი დაეცა, ეგონა, დიკი ჩაიძირაო, სწორედ ამ დროს დიკი მილიდან ისეთი შემზარავი, ჯოჯოხეთური ხმით გაეხმიანა, რომ მის კოგლენს მართლაც შეუწუხდა გული.

— ძალიან სუსტი ნერვების ყოფილა თქვენი სტუმარი, — შენიშნა გრეჰემმა, თან დაუოკებელი სურვილი სწავდა ყვინთვაში გაჯიბრებოდა პაოლა ფორესტს, ეხილა, თუ როგორ მოიკრებდა მთელ ძალ-ღონეს, რათა არ ჩამორჩენოდა.

— მაგრამ ამ გოგონას დადანაშაულებაც არ შეიძლება, — უპასუხა პაოლამ, — იგი სულ მთლად ბავშვი, თვრამეტი წლისა იყო მხოლოდ და როგორც ამ ასაკის ქალწულთ სჩვევიათ, დიკი მაშინვე მის საოცნებო ხატებად იქცა. გოგონა უნებურად ეტრფოდა მას. დიკს კი გართობისა და თამაშის დროს მთლად ჰაბუკური აღტყინება ეუფლება და ამიტომაც არ სჯერათ, რომ მათ წინაშე ცხოვრებისაგან ნაცადი, ჰაბუკობის ხანას გადაცილებული, შრომის, ფიქრისა და ჯაფის ქარცეცხლში გამოვლილი მოწიფული ვაჟკაცი დგას. ყველაზე უხერხული და თითქმის შემამფოთებელი სწორედ ის იყო, რომ სრულიად ნორჩმა გოგონამ, როგორც კი თვალი გაახილა, გონს მოსვლამდე, საკუთარი გულის ფარული საიდუმლო გამოამჟღავნა. დიკს თვალს ვერ გაუსწორებდით, ისე შეეცვალა სახე, როდესაც ქალწული მრავლისმეტყველად აჩურჩულდა...

— თქვენ რა, ღამის გათევას მანდ აპირებთ? — ჩაესმათ ამ დროს მილში ბერტ უეინრაიტის ხმა. ძახილი იმდენად ახლოს გაისმა, თითქოს მეგაფონით ჩაჰყვიროდნენ ზევიდან.

— ღმერთო ჩემო! — ამოიოხრა გრეჰემმა და პაოლას ხელი გაუშვა, რომელსაც შეკრთომის დროს უნებურად ჩაჰკიდა. — აი, მართლაც რომ შევშინდი. საზღაური გადახდილია იმ პატარა გოგონასათვის. მე კარგად ვიწვნიე, რაც ყოფილა ეს თქვენი საცურაო მილი.

— დროა, ქვეყნიერებას დავუბრუნდეთ, — წარმოთქვა პაოლამ, — არ შეიძლება ითქვას, რომ ამქვეყნად საუბრისათვის ეს ყველაზე მყუდრო და მოხერხებული ადგილი იყოს. პირველი მე წავიდე?

— რა თქმა უნდა, მე კი მარჯვენა მხრიდან გამოგყვებით. სამწუხაროა, რომ წყალი ფოსფორესცენციული არ არის, თორემ თქვენს მოქათქათე ტურფა ნაკვალევს გამოგყვებოდი, როგორც ის ჭაბუკი... გახსოვთ, ბაირონი რომ ამბობს:

გრეჰემმა წყვდიადში ჯერ პაოლას გამამხნევებელი სიცილი გაიგონა, შემდეგ კი სიტყვები:

— მაშ ასე, წავედი.

თუმცა ირგვლივ სინათლის ერთი სხივიც არსად გამოკრთოდა, მაგრამ მსუბუქი დგაფუნის გაგონებისას გრეჰემი მიხვდა, რომ პაოლა თავით გადაეშვა წყალში. იგი წარმოსახვით ხედავდა, რა ლამაზად მიაპობდა ზვირთებს წინ, თუმცა ცურვისას ქალები არცთუ მაინცდამაინც გრაციოზულები არიან.

— ვილაცამ საიდუმლო გაგიმჟღავნათ, არა? — იკითხა ბერტმა, როგორც კი გრეჰემი წყლის ზედაპირზე გამოჩნდა და აუზიდან ამოვიდა.

— აჰ, თქვენ ის თავზეხელაღებული პიროვნება ბრძანდებით, წყალში ქვებს რომ ერთმანეთს ურტყამდა, არა? — თავის მხრივ შეესიტყვა გრეჰემი. — მე რომ წამეგო, არავითარ შემთხვევაში არ დაგთანხმდებოდით, აუცილებლად გავაპროტესტებდი ამ საქმეს. ეს არ იყო პატიოსანი თამაში. აქ შეთქმულებაა. რაღა თქმა უნდა, დაკვირვებული ექსპერტი ამ ბოროტმოქმედებას გამოარკვევდა და სარჩელსაც აღვძრავდი...

— მაგრამ თქვენ ხომ მოიგეთ? — წამოიძახა ერნესტინამ.

— უდავოდ, ამიტომაც არ ვაპირებ სასამართლოში შევიტანო საჩივარი არც თქვენზე და არც იმ თქვენ ოინბაზთა ბანდაზე, თუ ახლავე მოაწყობთ ანგარიშსწორებას. ჰო, მართლა, თქვენ ვალდებული ხართ ერთი ყუთი სიგარა...

— ერთი სიგარა, სერ.

— არა, მთელი ყუთი, ყუთი!

— დაჭეროზანა ვითამაშოთ! დაჭეროზანა! — უეცრად წამოიძახა პაოლამ. — დაჭეროზანა! თქვენ იჭერთ!

პაოლამ სიტყვებს საქმე ზედ მიაყოლა, გრეჰემს მხარზე ხელი დაჰკრა და წყალში გადაეშვა. გრეჰემმა ვერ მოასწრო წყალში გადაჰყოლოდა, რადგან ბერტმა მოულოდნელად ხელი ჩაჰკიდა და ტრიალი დაუწყო. ბოლოს ბერტსაც ხელი დაჰკრეს და სანამ დიკი თავს უშველიდა, ისიც ზედ მიაყოლეს. ახლა ყველა უნდა ჩაბმულიყო თამაშში. დიკი მეუღლეს დაედევნა და აუზის მთელ სიგრძეზე გასდია. ბერტი და გრეჰემი ცდილობდნენ გზა გადაეჭრათ მისთვის. გოგონები კი ორმოცდაათი ფუტის სიმაღლე კომპურაზე აცვივდნენ და თვალწარმტაცად გამწკრივდნენ.

## თავი მეოთხმეტე

არცთუ ცუდად მოცურავე დონალდ უეირმა აუზში შეჯიბრებას თავი განაჩინდა. სამაგიეროდ, სადილობის შემდეგ, თითქოსდა გრეჰემის გასაჯავრებლად, პაოლას ყურადღება მთლიანად დაისაკუთრა. მევიოლინემ ქალი როიალს მიაჯაჰვა. როგორც ეს დიდ სახლში ჩვეულებრივ ხდებოდა, ამჯერადაც სტუმართა ახალი წყება ეწვიათ: მოსულთა შორის იყვნენ: ვექილი ადოლფ ვეილი, რომელიც დიკს ერთ მეტად მნიშვნელოვან სასარჩელო საქმეზე, კერძოდ, წყლის მოხმარების საკითხზე უნდა მოლაპარაკებოდა; დიკ ფორესტის ოქროს საბადოების «ჰარვესტის ჯგუფის» მმართველი ჯე-

რემი ბრექსტონი, რომელიც მექსიკიდან ახლად ჩამოსული იყო, დაბეჯითებით ირწმუნებოდა, საბადოები დაუღწევლ მარაგს შეიცავენო; მოწითალოთმიანი ირლანდიელი, თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების კრიტიკოსი, ედვინ ო'ჰეი და გაზეთ «სან-ფრანცისკოს ახალი ამბების» გამომცემელი და მფლობელი, დიკის უნივერსიტეტის დროინდელი მეგობარი ჩონსი ბიშოპი.

დიკმა სტუმრების ერთი ნაწილი ბანქოს სათამაშოდ მიიწვია. მოთამაშეებს საოცარი აზარტი დაეუფლათ, თუმცა წასაგები თანხის ყველაზე მაღალი ოდენობა ათ ცენტს არ აღემატებოდა; ხოლო ბანქოს დამრიგებელს, უკიდურეს შემთხვევაში, ათ წუთში შეეძლო წაეგო ან მოეგო ოთხმოცდაათი ცენტი. მოთამაშენი ოთახის შორეულ ბოლოში, დიდ მაგიდას შემოსხდომოდნენ, საიდანაც დროდადრო ხმამაღალი შემახილები მოისმოდა: ერთნი მოითხოვდნენ ხურდა ფულის სესხებას, მეორენი კი — მსხვილი ფულის გადახურდავებას.

ცხრა კაცი თამაშობდა და მაგიდასთან მეტისმეტი სივიწროვე იგრძნობოდა. ამ უჩვეულო აზარტით მოთამაშეთა შორის გრეკემი უფრო ერნესტინას უწყობდა ბანქოს, ვიდრე თვითონ თამაშობდა, თან მთელი ამ დროის განმავლობაში ოთახის იმ კუთხისაკენ იყურებოდა, სადაც განმარტოებული მევიოლინე და პაოლა ფორესტი ბეთჰოვენის სონატასა და დელიბის ბალეტებიდან ნაწყვეტებს ასრულებდნენ. ჯერემი ბრექსტონი მოითხოვდა მოგება ოც ცენტამდე გაეზარდათ, დიკ ფორესტს კი, რომელსაც ამ თამაშში ბედი არ სწყალობდა, ოთხი დოლარისა და სამოცი ცენტის წაგება მაინც მოეხერხებინა,

თან შესაბრალისი გამომეტყველებით სტუმრებს ევედრებოდა, ბანკი დაეშალათ, რომ დილით ბინის დალაგებისა და განათებისათვის საჭირო თანხა მაინც შერჩენოდა ხელთ რომელიმე მათგანს. გრეკემმა უკანასკნელი ხურდა ფული წააგო და ერნესტინას განუცხადა, ოთახის მეორე მხარეს მივეშურებო «ბედის გამოსაცვლელად».

— ხომ გიწინასწარმეტყველეთ და, მგონი, აგიხდათ კიდეც... — ხმადაბლა შენიშნა ერნესტინამ.

— რა მიწინასწარმეტყველეთ? — შეეკითხა გრეკემი.

ერნესტინამ მრავალმნიშვნელოვნად პაოლასაკენ გაიხედა.

— თუ ასეა, მით უფრო უნდა გავწიო იქით, — უპასუხა გრეკემმა.

— არ შეგიძლიათ გამოწვევაზე უარი განაცხადოთ? — ოდნავ გესლიანად გადაუკრა გოგონამ.

— ეს რომ გამოწვევად მიმეღო, ამას ვერც გავბედავდი.

— მაშ, ყოველივე ეს გამოწვევად ჩათვალეთ! — განაცხადა ქალიშვილმა.

გრეკემმა თავი გაიქნია.

— გულში ადრევე მქონდა გადაწყვეტილი იქ მივსულიყავი და მევიოლინეს შეუწელებელ წინსვლას წინაღვდგომოდი. თქვენ გამოწვევას უკვე არ ძალუძს უკან დამახევინოს და შემაჩეროს. გარდა ამისა, მისტერ ო'ჰეი ელოდება თქვენი ბანქოს ჩავლას.

ერნესტინამ სწრაფად დაყარა ათი ცენტი, თუმცა არც კი იცოდა, წააგო თუ მოიგო, ისეთი მღელვარებით დაუწყო ოთახის მეორე ბოლოსაკენ მიმავალ გრეკემს თვალთვალი. ქალი კარგად გრძნობდა, რომ ბერტიმ დაიჭირა მისი ფარული მზერა და დამაბულად ადევნებდა თვალს. არც ერნესტინას, არც ბერტს და არც რომელიმე მოთამაშეს არ შეეძლოთ შეენიშნათ, რომ არც დიკ ფორესტის დაკვირვებულ თვალთა მზერას, უჩვეულო მხიარულებისაგან ცეცხლის ნაპერწკლები რომ უციმციმებდა თვა-

ლებში და ათასგვარ სახუმაროს იგონებდა, საკუთარი სტუმრების გასამხიარულებლად, ამ სცენის არც ერთი წვრილმანი შეუმჩნეველი არ დარჩენია.

ერნესტინა პაოლაზე ოდნავ მაღალი, უმშვენიერესი ქერა ქალიშვილი, ახლად-გაშლილ ყვავილს წააგავდა. ასაკში შესვლისას, ალბათ, ხორცს შეისხამდა და მეტადაც დამშვენდებოდა. მის უნაზეს კანს ისეთი ვარდისფერი გადაჰკრავდა, რომელიც მხოლოდ თვრამეტი წლის ასაკში შეგიძლიათ იხილოთ ასულთა სახეზე. თითების, ხელისგულების, მკლავების, ყელისა და ღაწვების მკრთალი ვარდისფერი კანი გამჭვირვალე გეგონებოდათ. დიკის თვალს არ გამოჰპარვია, როგორ შეცვალა ეს უნაზესი ფერი სიწითლემ, როგორ უცნაურად აეტკრიცა ღაწვნი, როდესაც ოთახის უშორესი კუთხისაკენ მიმავალ გრეჰემს თვალს ადევნებდა. დიკმა შენიშნა, როგორი სისწრაფით აინთო მის არსებაში რაღაც ოცნება თუ იდუმალი ზრახვა, მაგრამ — სახელდობრ რა ფიქრმა შესძრა ქალწულის არსება, მისი განჭვრეტა მის გულთამხილაობას აღემატებოდა.

ერნესტინამ თვალი ვერ მოსწყვიტა ამ მაღალ, შესანიშნავი მოყვანილობის მამაკაცს. გრეჰემს მაღლა, ამაყად ეჭირა თავი. დროდადრო მისი მზისაგან ფერშეცვლილი თმა ოქროსფრად ელვარებდა და წელში გამართული, ოთახში უფლისწულივით მიაბიჯებდა. ქალწულმა თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, როგორ დაეუფლა მთელ მის არსებას და განსაკუთრებით თითებს რაღაც დაუოკებელი, ტკივილამდე მისული გრძნობა ამ რბილი აბრეშუმით მზინავი თმის მოალერსებისა.

პაოლა ამ დროს მევიოლინეს ეკამათებოდა და საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა იმხანად გაზეთში მოთავსებულ ო'პეის უკანასკნელ კრიტიკულ შენიშვნებზე, სადაც ის ჰაროლდ ბაუერს აკრიტიკებდა, მაგრამ მისკენ მომავალი გრეჰემი მაინც შენიშნა. მასში განსაკუთრებულ სიამესა და აღტაცებას იწვევდა ეს უნაკლო, ვაჟკაცური, მტკიცე ნაბიჯი, მედიდური თავდაჭერა და საოცარი ფერის ტალღებად უკან გადავარცხნილი თმა, მზით გარუჯული სახე, შესანიშნავი შუბლი და ნუშისებრი ჭრილიდან მზირალი მონაცრისფრო თვალები, რომელთაც ოდნავ დაშვებული ქუთუთოები ფარავდნენ. ეს თვალები ბიჭური რისხვით აღსავსენი ეჩვენებოდა პაოლას, თუმცა ეს რისხვა მასთან ღიმილით მისალმებისთანავე უქრებოდა. მის შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, პაოლას არაერთხელ შეუნიშნავს ეს ღიმილი: ამ ღიმილში იყო რაღაც ენით გამოუთქმელი მომხიბვლელობა — მეგობრული, გამოუცნობი ალერსით სავსე. როდესაც ამგვარად იღიმებოდა, მისი თვალები საოცარი ვაჟკაცური ცეცხლით კიაფობდნენ და ბაგეთა კუთხეებშიც იდუმალი, ღიმილის გამომსახველი, თვალის დამატყვევებელი ნაკეცები უჩნდებოდა. წარმოუდგენელი იყო ამ ღიმილზე არ გეჰასუხათ და პაოლამ ახლაც უხმოდ გაუღიმა, თუმცა ისევ გამოთქვამდა თავის გულისწყრომას ოპეის შეუწყნარებელი რეცენზიის გამო ჰაროლდ ბაუერის მუსიკაზე. შემდეგ, ალბათ, უეირის თხოვნით პაოლამ რამდენიმე უნგრული საცეკვაო შეასრულა და კვლავ გრეჰემის აღტაცება გამოიწვია. გრეჰემი სარკმლის ნიშში იჯდა და პაპიროსს ეწეოდა.

გრეჰემს ანცვიფრებდა ქალის მრავალსახეობა, აღტაცებას ჰგვრიდა მისი მოგრძო, თლილი თითები, რომლებითაც ხან ველურ პირუტყვს ათვინიერებდა, ხან წყალქვეშა სივრცეს სერავდა, ხან გედის ფრთებივით აფარფატებდა ჰაერში... როდესაც ორმოცი ფუტის სიმაღლის კომპურიდან დაბლა, წყლის ზედაპირისაკენ ეშვებოდა და, ბოლოს, თავზე გვირგვინით იწყობდა, რომ ყვინთვის დროს წყლის სიმძიმისაგან დაეცვა.

თავაზიანობის გამო მან მხოლოდ რამდენიმე წუთი დაყო პაოლას მახლობლად, მერე ისევ მოთამაშეებს დაუბრუნდა და მათი აღტაცება გამოიწვია, რადგან ათ-

ცენტრანებს დაუსრულებლად აგებდა ამაყ და მეტისმეტად ბედნიერი გამომეტყველების მქონე მექსიკელ ოქროს საბადოების მმართველთან. თან შესანიშნავად ბაძავდა მუნწი ებრაელის უკიდურეს შემფოთებას.

გვიან, როდესაც ხუთეულის საბედისწერო თამაში დასრულდა, ბერტმა და ლიუტ დესტენმა თითქმის ჩაუშალეს პაოლას ადაჟიო ბეთჰოვენის «პათეტიკური სონატიდან», რადგან ამ შესანიშნავ მელიოდიაზე საოცრად გროტესკულ ფოქსტროტს ასრულებდნენ, რასაც დიკმა მაშინვე უწოდა: «სიყვარული ბუქსირზე». წყვილმა ცეკვა მანამ არ შეწყვიტა, ვიდრე პაოლამ არ გადაიკისკისა და დაკვრას თავი არ მიაწება.

კვლავ ახალ ჯგუფებად დაიყვნენ. ბრიჯის მაგიდას ვეილი, რიტა, ბიშოპი და დიკი შემოუსხდნენ. დონალდ უეირს პაოლას დასაკუთრების უფლება ახალგაზრდობამ ჩამოართვა, რომელთაც ჯერემი ბრექსტონი მეთაურობდა. გრეკემი და ო'ჰეი კი უზარმაზარი სარკმლის ნიშაში განმარტოვდნენ და კვლავ კრიტიკაზე განაგრძეს საუბარი.

ახალგაზრდობამ პაოლას აკომპანიმენტით რამდენიმე ჰავაიური სიმღერა შეასრულა, მერე პაოლამ კვლავ განაგრძო დაკვრა და ორი თუ სამი გერმანული სატრფიალო სიმღერა იმღერა. ჩანდა, მღეროდა იქვე შემოჯარული ახალგაზრდობისათვის და არა მთელი საზოგადოებისათვის. გრეკემს თითქოს ესიამოვნა კიდევ, რომ ამ უნაკლო არსებაში რაღაც არასრულყოფილება აღმოაჩინა: შესაძლოა, ბრწყინვალე პიანისტია, უბადლოა, როგორც მხედარი, თვალწარმტაცია, როგორც მოცურავე და მყვინთავი, მაგრამ, მიუხედავად თავისი გედივით მოღერილი, უმშვენიერესი ყელისა, დიდი მომღერალი მაინც არ არის. მაგრამ გრეკემს ამ დასკვნის შეცვლა სწრაფადვე მოუხდა. პაოლა სწორედ რომ მომღერალი აღმოჩნდა — ნამდვილი მომღერალი. მართალია, ხმა არცთუ ისე ძლიერი და ბრწყინვალე ჰქონდა, მაგრამ საოცრად მოქნილი და დახვეწილი. ისეთივე გულშემძრავი მთრთოლავი ხმოვანებით, რითაც ასე იხიბლებოდნენ მისი უჩვეულო სიცილის დროს. და თუ ამ ხმას ძლიერება აკლდა, სამაგიეროდ, ბგერის დახვეწილობა და სიზუსტე მატებდა მომხიბვლელობას. ეს გახლდათ გრძნობიერი გემოვნებით, ნატიფად დახვეწილი, გულისხმიერებით აღსავსე ხმა, მაგრამ ბგერის ძალა — არცთუ ძალიან ძლიერი, საშუალო, მაგრამ მშვენიერი.

დიახ, ტემბრი არცთუ ძლიერი. ეს ხომ ქალის უნაზესი ხმაა და სქესის მთლიანი ბუნების გადმოცემით ხმიანობს. მასში ამქვეყნიური დაუოკებელი მგზნებარება და ვნებაა ამეტყველებული, თუმც ყოველივე უძლეველი ადამიანური ნებისყოფითაა დათრგუნული. ასეთი გახლდათ იმჯერად გრეკემის თვალსაზრისი. ვაჟი ალაფროთოვანა მომღერლის გემოვნებამ. ჩანდა, პაოლას საკუთარი ხმის აკვარგი მშვენივრად ესმოდა, ყოველგვარი ძალდატანებისა და ხელოვნურობის გარეშე განსაკუთრებულ ოსტატობას ავლენდა.

და იმ დროს, როდესაც გრეკემი თანამედროვე ოპერის მდგომარეობის შესახებ ო'ჰეის მჭევრმეტყველურ ლექციას გონებაგაფანტული უსმენდა, თავს ეკითხებოდა: ფლობდა თუ არა პაოლა ფორესტი უფრო ღრმა სულიერ გრძნობებსა და ქალური გზნების ისეთივე სრულყოფილებას, როგორც ამას ხელოვნებაში ახერხებდა. ეს კითხვა უბრალო ცნობისმოყვარეობამ გამიჩინაო, არწმუნებდა საკუთარ თავს გრეკემი, მაგრამ ეს მხოლოდ ცნობისმოყვარეობა არ გახლდათ. გრეკემის ცნობიერებაში რაღაც სრულიად სხვა ხდებოდა, გამოუცნობი და ღრმა, მთელი მისი სულიერი, შინაგანი და ფიზიკური ძალის შემძრავი, რაღაც უფრო სტიქიური, უხსოვარი დროიდან მამაკაცთა არსებაში დავანებული.

საკუთარ კითხვაზე პასუხის მიღების სურვილმა საგონებელში ჩააგდო გრეკემი. ფიქრიანი თვალებით კარგა ხანს შეჰყურებდა ამ მაღალ, ძელურჭერიან დიდებულ

დარბაზს, მაღლით გადმოკიდებულ მშვენიერ აივანს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოტანილი უძვირფასესი ნადავლით იყო მორთული. დიდხანს ფიქრობდა თვით დიკ ფორესტზეც. ყველა ამ განუსაზღვრელი სიმდიდრის ბატონ-პატრონსა და მფლობელზე; ამ თვალწარმტაცი, უნაკლო ქალის მეუღლეზე. იგი ახლა ისევე გატაცებით, მთელი არსებით თამაშობდა ბრიჯს, როგორც მუშაობის დროს სჩვეოდა და გულიანად ხარხარებდა რიტაზე, რომელსაც თამაშის დროს ეშმაკობაში იჭერდა. გრეჭემს გამბედაობა ჰყოფნიდა, თავი არ აერიდებინა საბოლოო უმკაცრესი განაჩენისათვის... ყველა ამ მეტად რთული, გამომწვევი კითხვებისა და აბსტრაქტული განსჯის მიღმა იდგა ცოცხალი ქალი — პაოლა ფორესტი: თვალწარმტაცი, უჩვეულოდ მომხიბლავი არსება, ქალური სულისა და ბუნების ნამდვილი განსახიერება. იმ წუთიდან, როდესაც პირველად იხილა დასახრჩობად განწირულ ულაცზე მჯდარი ეს საოცარი ქმნილება, როცა განცვიფრდა ქალის გონებამახვილობითა და მოქნილობით, ალბათ, სწორედ იმ წუთიდან მოექცა მისი დაუმორჩილებელი, მამაკაცური წარმოსახვა ამ ჯადოსნურ რკალში. ის ხომ ახალბედა არ გახლდათ, მისი დამოკიდებულება ამ სქესის მიმართ მხოლოდ ერთს მოწმობდა: გრეჭემი უბრალოდ გადაღლილი ჩანდა ამ არსებათა ერთფეროვანი ბუნებით. გამორჩეულ ქალთან შეხვედრა კი იმას ჰგავდა, მოულოდნელად გეპოვა დიდი მარგალიტი ტბაში, რომელიც მის მაძიებელ უამრავ თაობას დიდი ხანია მიეტოვებინა.

— ფრიად მოხარული ვარ, რომ კვლავ ცოცხალს გხედავთ, — ცოტა ხნის შემდეგ სიცილით შეესიტყვა პაოლა გრეჭემს.

ის და ლიუტი უკვე დასადინებლად მიეშურებოდნენ. ამასობაში შედგა ბრიჯის მოთამაშეთა ახალი ჯგუფი: ერნესტინა, ბერტი, ჯერემი ბრექსტონი და გრეჭემი. ო'ჰეი და ბიშოპი უკვე დიდი ხანია შაშს თამაშობდნენ.

— ჩვენი ირლანდიელი ნამდვილად მომხიბვლელია, მაგრამ არ შეიძლება ეს იყოს მისი ხერხი, — განაგრძობდა პაოლა.

— და ამ ხერხში, ალბათ, მუსიკა იგულისხმება? — წარმოთქვა გრეჭემმა.

— როცა საქმე მუსიკას ეხება, ის სრულიად აუტანელია, — შენიშნა ლიუტმა. — ეს ერთადერთი რამ არის, რაშიც არაფერი გაეგება. მას შეუძლია ადამიანი ჭკუიდან შეშალოს.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, — წარმოთქვა პაოლამ გულიანი სიცილით.

— დამშვიდდით, თქვენ ყველას ერთად მოგიზღავენ სამაგიეროს. დიკმა ეს არის წამწურჩულა, ხვალ საღამოსათვის ფილოსოფოსები მოიწვიეო. იმათ კი, ხომ მოგეხსენებათ, როგორ უყვართ საუბარი მუსიკის შესახებ! მუსიკალური ხელოვნების კრიტიკოსი მათ ნამდვილ ნადავლად და საკუთარ მსხვერპლად მიაჩნიათ.

— ტერენსმა ერთხელ ისიც კი თქვა, ასეთ ფრინველზე ნადირობა წელიწადის არც ერთ დროს აკრძალული არ არისო. რა თქმა უნდა, მუსიკის კრიტიკოსს გულისხმობდა უცილოდ, — დაუმატა ლიუტმა.

— ტერენსი და არონი მაგას, ალბათ, გამოათრობენ კიდევ, — განაცხადა პაოლამ და თავისი უარყოფითი დამოკიდებულება კრიტიკოსის მიმართ მხიარული, მრავალმნიშვნელოვანი სიცილით გამოხატა და განაგრძო: — რომ აღარაფერი ვთქვათ დარ-ჰიალსა და ხელოვნების საკითხების მის ცინიკურ თეორიაზე, რომელსაც, რა თქმა უნდა, ყველაფრის გასამართლებლად საუბარში ეშმაკურად მთლიანად მუსიკას დაუკავშირებს. თავად საკუთარი ცინიკური თეორიისა არაფერი სწამს და მის მიმართ ისევე არასერიოზულად არის განწყობილი, როგორც — თუ გახსოვთ, ცეკვის მიმართაც, მაგრამ ეს უბრალოდ მისი მხიარულების ერთი დამახასიათებელი მხარეა. ის

ისეთი ღრმა და მოაზროვნე ფილოსოფოსია, რომ ხანდახან საჭიროა ასე მხიარული ხუმრობის ნებაც მისცეს საკუთარ თავს.

— მაგრამ თუ ო'ჰეი კვლავ შეეხმება ტერენსს, — წინასწარმეტყველურად განაცხადა ლიუტმა, — მაშინ მე უკვე წინასწარ ვხედავ, ხელჩაკიდებული როგორ ჩაჰყავს იგი ტერენსს დაბლა, საბილიარდოში და იქ, ერთმანეთში არეულ-დარეული მაგარი სასმელით როგორ უმტკიცებს საკუთარ დებულებებს.

— რის შედეგადაც, ალბათ, ო'ჰეი მეორე დღეს ავად გახდება. — კვლავ წინანდებური დაცინვით და სიცილით წარმოთქვა პაოლამ.

— გადავცემ, რომ სწორედ ასე მოიქცეს, — წამოიძახა ლიუტმა.

— ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ, ყველანი, უგუნურნი ვართ, — მიმართა პაოლამ გრეჰემს. — საერთოდ, ჩვენთან, სახლში, ასეთი მხიარულების სულია გამეფებული. დიკს ასე მოსწონს. ერთთავად თვითონ იგონებს ხოლმე ათასგვარ ხუმრობას. ეს არის მისი დასვენების საშუალება. ალბათ, სწორედ მან უჩურჩულა ლიუტს, ტერენსმა ო'ჰეი ბარში ჩაიყვანოსო.

— არა, დამალვა რა საჭიროა, — ღრმააზროვნად გამოეპასუხა ლიუტი. — ეს აზრი მარტო მე არ მეკუთვნის, რა თქმა უნდა.

სწორედ ამ დროს მათ ერნესტინა მიუახლოვდა და გრეჰემს მიმართა:

— ყველა თქვენ გიცდით. ბანქო უკვე დაარიგეს, თქვენ ჩემი პარტნიორი ხართ. თან პაოლაც დაძინებას აპირებს, გამოვემშვიდობოთ და ძილი ნებისა ვუსურვოთ.

პაოლა ფორესტი დასაძინებლად დარბაზიდან სრულ ათზე გავიდა. პირველ საათამდე ბრიჯის თამაში არ შეწყვეტილა. დიკმა ერნესტინას ხელი გადახვია, გრეჰემში კომკის გადასახვევამდე მიაცილა, ღამე მშვიდობისა უსურვა და ახლა თავისი უმშვენიერესი ცოლისდის გასაცილებლად შემობრუნდა.

— ერთი წამით, ერნესტინა, — წარმოთქვა დიკმა გამომშვიდობების დროს და ალერსით ჩახედა გოგონას მოკიაფე ნაცრისფერ თვალებში, თუმცა მისი ხმა მეტად სერიოზულად და გამაფრთხილებლად გაისმა:

— ვითომ კიდევ ჩავიდინე რამე? — სიცილით ჩაიბუტბუტა ერნესტინამ.

— ჯერჯერობით არაფერი, გიჯობს, არც დაიწყო, თორემ პატარა გული დაგეჩაგრება. შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ. აბა რა არის თვრამეტი წელი მეტისმეტად მომხიბლავი და უმშვენიერესი ქალიშვილისათვის, რომელმაც თუ მოინდომა, ყველა მამაკაცი მისი მუხლმოდრეკილი თაყვანისმცემელი იქნება. მაგრამ ივენ გრეჰემი ყველას არა ჰგავს.

— ოჰ, თუ შეიძლება... ასეთი მზრუნველობა არა მჭირდება, პატარა აღარა ვარ! — ჩაიბუტბუტა გოგონამ და უცაბედი მღელვარებისაგან წამოენთო.

— და მაინც უნდა მომისმინო. ყველა ნორჩი ქალწულის ცხოვრებაში დგება ისეთი დრო, როდესაც სიყვარულის მაცნე ფუტკარი ხმამაღლა, გაბმულად დაბზუის თავს უცოდველ სიყვარულზე. აი, სწორედ აქ არის საჭირო წინდახედულება, რომ შეცდომა არ დაუშვა ცხოვრებაში და ის არ აქციო გულის მიჯნურად, ვისი სიყვარულიც არ შეიძლება. ჯერ შენ ივენ გრეჰემი კიდევ არ გიყვარს, შენი ერთადერთი ამოცანაა, რომ იგი არ შეგიყვარდეს. ის შენთვის არ არის დაბადებული და, საერთოდაც, არც ერთი ნორჩი არსებისათვის. გრეჰემის სიჭაბუკემ კარგა ხანია განვლო. მან ბევრი რამ გამოსცადა ამქვეყნად და, რა თქმა უნდა, ფიქრიც კი გადაავიწყდა რომანტიკულ სიყვარულსა და ნორჩ ასულებზე. ათჯერ ამდენიც რომ იცხოვრო, იმას ვერასოდეს ჩაწვდები, რაც მისთვის დიდი ხანია ცნობილია. და თუ ოდესმე ის კვლავ იპოვის გულისწორს...

— კვლავ? — შეაწყვეტინა ერნესტინამ.

— ჰო, ჩემო მშვენიერო, ის უკვე თხუთმეტი წელია, რაც დაქვრივდა.

— მერე რა მოხდა? — გამომწვევად იკითხა გოგონამ.

— ის რომ, — განაგრძო დიკმა, — გრეჰემმა უკვე დაასრულა ჭაბუკური რომანი, თანაც რა განსაცვიფრებელი რომანი! და რადგან ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში არავინ შეურთავს, ნიშნავს, რომ...

— დაკარგულს ვერ ივიწყებს? — კვლავ შეაწყვეტინა ერნესტინამ. — მაგრამ ეს ჯერ კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ...

— დიახ, ეს იმას ნიშნავს, რომ მან გამოსცადა სიჭაბუკის წლებში თავდავიწყებამდე მისული გატაცება და განუმეორებელი სიყვარული, — დაჟინებით იმეორებდა დიკი, — თუ ყურადღებით დააკვირდები, უეჭველად მიხვდები, რომ იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდა უკვე ცხოვრებაში გამოცდილ, უმშვენიერესსა და გონიერ ქალებს. ეს ლამაზმანები უთუოდ შეეცდებოდნენ, თავგზა აებნიათ მისთვის და მისი ნებისყოფა როგორმე გაეტეხათ, მაგრამ, როგორც ატყობ, ჯერ არც ერთ მათგანს არ გაუღიმა ბედმა. რაც შეეხება ნორჩ ასულთ, კარგად მოგეხსენება, რა მრავლად არიან ისინი ამქვეყნად და როგორ გუნდ-გუნდად დასდევენ ასეთ მამაკაცს. კარგად დაუფიქრდი ყოველივე ამას და თავს გაუფრთხილდი. თუ შენს გულს ნებას არ დართავ, მისი სათაყვანო სიყვარულით აღინთოს, საოცარ განსაცდელს, გულგატეხილობასა და უდიდეს წამებას ააცილებ მომავალში.

დიკმა ერნესტინას ხელი მკლავზე მოჰკიდა, მერე მხარზე მოხვია და გულში ჩაიკრა. რამდენიმე წამს ორივენი დუმდნენ. დიკი ცდილობდა გამოეცნო, რას გრძნობდა ერნესტინას ნორჩი გული.

— იცი, ჩემო მშვენიერო, ჩვენ უკვე გულარძნილნი, მრავალჭირნახული ბერიკაცები ვართ, — დაიწყო მან, ნახევრად საბოდიშო, ნახევრად ხუმრობის ტონით.

მაგრამ ერნესტინამ თითქოს გამომწვევი მიუკარებლობით შეათამამა მხრები და წამოიძახა:

— დიახ, მე სწორედ ისინი მიმაჩნია ყურადღების ღირსად! ჩემი ასაკის ახალგაზრდა ჭაბუკები თითქმის მთლად ბავშვები და ყოვლად უინტერესონი არიან. თავისი საქციელით კვიცებსა ჰგვანან: მხოლოდ სირბილი, ცეკვა, სიმღერა და მხიარულება რომ შეუძლიათ და მეტი არაფერი აინტერესებთ ამქვეყნად. სერიოზულობისა და სიღინჯის ნატამალი არ გააჩნიათ. მათ შორის ერთსაც ვერ გამოარჩევ — ძნელად შესაცნობ პიროვნებად ჩათვალო. ოჰ, ისინი... მათში იოტის ოდენა სიბრძნესაც ვერ აღმოაჩენთ, ვერც ძალას და უნარიანობას. ერთი სიტყვით, ნამდვილ მამაკაცურ თვისებებს საერთოდ სრულიად მოკლებულნი არიან.

— ეს ყოველივე გასაგებია, — წაიჩურჩულა დიკმა, — მაგრამ უმორჩილესად გთხოვ, ამ საქმის მეორე მხარესაც დაკვირვებით შეხედო... თქვენც, ნორჩნო ასულნო, ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენთ ჩვენი ასაკის მამაკაცებზე. ისინიც თავის მხრივ, მხოლოდ სათამაშოს ხედავენ თქვენში; გართობას ეძიებენ; მხოლოდ ერთხანს თვალს აამებენ და თქვენი ანცობით სიამოვნებენ, მაგრამ არა გულისწორს, ტოლსა და მეგობარს, ვისაც შეგიძლია ყოველივე ნამდვილად გაუზიარო. ცხოვრებას დიდი გამოცდილება სჭირდება. ცხოვრების შესწავლა და შეცნობაა საჭირო. მომწიფებულმა ბანოვანებმა ბევრი რამ ისწავლეს... ზოგიერთებმა მაინც. მაგრამ შენ, ჩემო პაწაწავ, ვითომ მოასწარი რამის შეცნობა?

— მიაბზე, — მოუთმენლად შეაწყვეტინა ღრმად დასევდიანებულმა ერნესტინამ. — ამ თხუთმეტი წლის წინანდელი მისი ჭაბუკობის საოცარი რომანის ამბავი.

— თხუთმეტი? — სწრაფად გაიმეორა დიკმა და, თითქოს რაღაცას იგონებდნო, წამით დადუმდა. — არა, თვრამეტი წლის წინათ მოხდა ეს ამბავი, სამი წლის ჯვარ-

დაწერილნი იყვნენ, ქალი რომ გარდაიცვალა. სწორედ მაშინ დაიწერეს ჯვარი, შენ რომ ტირილით ამ ქვეყანას მოვევლინე. ჯვარი ინგლისის პასტორმა დასწერა. აბა გამოითვალე...

— დიახ, დიახ... შემდეგ? — მოუთმენლად ეხვეწებოდა და აჩქარებდა ერნესტინა დიკს.

— როგორი მეუღლე ჰყავდა?

— ენით აუწერელი სილამაზის. შავგვრემანი, მაგრამ მის დაწმენდილ უნაზეს კანს ოქროსფერი ნათელი დასთამაშებდა. დიახ, რაღაც უჩვეულო ოქროსფერში იყო დაფერილი მთელი არსება. შერეული სისხლის პოლინეზიელი დედოფალი გახლდათ. იმ კუნძულს დედამისი განაგებდა. მამა ოქსფორდში განათლება მიღებული სწავლული ინგლისელი ჯენტლმენი იყო. ამ უტურფეს ქმნილებას სახელად ნომარეს უხმობდნენ. დაბადებიდან ველურთა კუნძულ ჰუაპოას დედოფლად ითვლებოდა. ჭაბუკი გრეჰემი მის ველურობას არად აგდებდა. არც მათ ქორწინებაში გარეულა არავითარი სულმდაბლობა. გრეჰემი ხომ ვინმე უგრომო, გაქნილი ავანტიურისტი არ ყოფილა. ასულმა მზითვად მთელი კუნძული და ორმოცი ათასი ქვეშევრდომი მოიყოლა. გრეჰემმა კი თავისი ქონების უდიდესი ნაწილი, აურაცხელი თანხა შესძინა ამ საოცნებო სამკვიდროს და ისეთი სასახლე ააგო, როგორც არასოდეს ყოფილა და არც იქნება, ალბათ, სამხრეთის ზღვების რომელიმე კუნძულზე. ეს იყო იმ კუნძულისათვის დამახასიათებელი დიდებული შენობა, ხელით ნათალი მთელ-მთელი მორები ქოქოსის ბოჭკოსაგან ნაგრები ბაგირით იყო შეკრული. სახურავად ჩალა ჰქონდა და სხვა ყველაფერიც ადგილობრივ არქიტექტურისათვის დამახასიათებელ სტილზე იყო ჩაფიქრებული. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სასახლე მიწიდან ამოზრდილიყო მხრებგამოილ ხესავით და ფესვებიც მასში ღრმად გაედგა. სასახლე კუნძულის განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა, თუმცა იგი გრეჰემის მიერ ნიუ-იორკიდან მოწვეულმა არქიტექტორმა ჰოპკინსმა ააგო.

ცხოვრობდნენ და მერე როგორ! საკუთარი სამეფო იახტა ჰქონდათ, მთებში — აგარაკი, მოცურავე დასასვენებელი ვილა — ესეც მთელი სასახლე გახლდათ. თავად ვყოფილვარ იქ, შესანიშნავ ნადიმებს აწყობდნენ. თუმცა ეს უფრო გვიან, მას შემდეგ იყო. ნომარე გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების მერე გრეჰემი უკვალოდ გადაიკარგა, არავინ უწყოდა — სად. კუნძულს ნომარეს შორეული ნათესავი განაგებდა.

— თუ გახსოვს, უკვე გითხარი, რომ გრეჰემი უფრო მეტად ველური ჩანდა, ვიდრე ნომარე იყო-მეთქი. მხოლოდ ოქროს სერვიზიდან მიირთმევდნენ..... განა ყველაფრის ჩამოთვლა შეიძლება! ის ხომ მთლად უასაკო ჭაბუკი იყო მაშინ, დედოფალიც სრულიად ნორჩი, ნახევრად ინგლისელი, ნახევრად პოლინეზიელი, მაგრამ ნამდვილად სადედოფლოდ მოვლენილი არსება. ორი ხალხის ორი უმშვენიერესი ყვავილი შეერთდა, ორი თვალწარმტაცი ბავშვი, — ჯადოსნური ზღაპრის გმირები და ნამდვილ ზღაპრულ განცხრომასაც მიეცნენ... და აი... ჩემო გოგონი, წლები გავიდა და ივენ გრეჰემის სიჭაბუკეც დიდი ხანია დამთავრდა. იმისათვის, რომ ახლა კვლავ დაისაკუთროს ვინმემ, თავბრუ დაახვიოს და მოხიბლოს, განსაკუთრებული ქალია საჭირო. ამასთანავე, გრეჰემმა ყოველივე დაკარგა და მთლად გაღარიბდა, თუმცა თვით არაფერი გაუფლანგავს. აი, ასეთი უცნაური და უბედური ბედი ეწია ცხოვრებაში.

— როგორც ჩანს, პაოლა უფრო მოეწონება, — წარმოთქვა ფიქრიანად ერნესტინამ.

— დიახ, ნამდვილად, — დაეთანხმა დიკი. — პაოლა ან ვინმე სხვა მისი მსგავსი ქალი ათასჯერ უფრო მიმზიდველი იქნება მისთვის, ვიდრე შენნაირი ყველა ულამა-

ზესი ნორჩი ასული ერთად შეკრებილი. ჩვენ, უფროს თაობას, როგორც მოგეხსენება, ჩვენი საკუთარი იდეალი გაგვაჩნია.

— მე კი რას მიბრძანებთ, ჩემს ტოლ ჭაბუკებზე შევაჩერო არჩევანი? — ამოიოხრა ერნესტინამ.

— ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, — ჩაიცინა დიკმა. — მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ თანდათანობით შენც წამოიზრდები და ისეთი შესანიშნავი და მოწიფული ქალი დადგები, თავისუფლად შეგეძლება სიყვარულში ისეთ კაცს გაეჯიბრო, როგორც ივენ გრეჰემია.

— მაგრამ მაშინ ხომ დიდი ხნის ჯვარდაწერილი ვიქნები, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ერნესტინამ.

— მით უკეთესი შენთვის, ჩემო ძვირფასო. ახლა კი დამე მშვიდობისა. ხომ არ მიჯავრდები?

ერნესტინას შესაბრალოსი ღიმილი აღებეჭდა სახეზე, თავი გაიქნია და დიკს საკოცნელად ტუჩები გაუშვირა. განშორებისას კი მაინც უთხრა: — არ გიჯავრდები, მაგრამ ერთი თხოვნა შემისრულე, გზა მასწავლე, რითაც ოდესმე მაინც დავიპყრობ ისეთი ბერიკაცების გულს, როგორც შენ და გრეჰემი ხართ.

დიკ ფორესტმა გზა-გზა ელექტრონათურები გამორთო და ბიბლიოთეკისაკენ გაემართა. მერე მექანიკისა და ფიზიკის ცნობარების შერჩევისას ცოლისდასთან საუბარი მოაგონდა და თვითკმაყოფილი იღიმებოდა. დარწმუნებული იყო, გრეჰემის შესახებ სწორედ დროზე მისცა გაფრთხილება ერნესტინას. მაგრამ საკუთარ სამუშაო ოთახში წიგნების ჩამოსაღებად კიბეზე ასვლის დროს ერნესტინას ერთი ნათქვამი გაახსენდა და კედელს მიეყრდნო: «პაოლა უფრო მოეწონება».

— ოჰ, შე სულელი პირუტყვი! — შეესიტყვა საკუთარ თავს. ხმამაღლა გადაიხარხარა და ზევით ავიდა, — თორმეტი წლის ჯვარდაწერილი მაინც არ ვიყო!

ერნესტინას სიტყვები დიკს იმ წუთებამდე არ მოჰგონებია, სანამ დასაძინებლად არ დაწვა. ვიდრე მისთვის საინტერესო საკითხს — ელექტრობის პრაქტიკულ გამოყენებას ჩაუფიქრებოდა და ბარომეტრსა და თერმომეტრს გადახედავდა. მერე მზერა სასახლის იმ ჩაბნელებულ ფლიგელისაკენ გაექცა, სადაც პაოლა ეგულებოდა. უნდოდა სცოდნოდა, ეძინა თუ არა პაოლას. მერე ისევ ერნესტინას ნათქვამი მოაგონდა. კვლავ საკუთარ თავს სულელი პირუტყვი უწოდა და სიგარეტს მოუკიდა. შერჩეულ წიგნებს თვალი გადაავლო და საჭირო გვერდებს შორის ასანთის ღერები ჩააწყო.

### თავი მეთხუთმეტე

საათმა რა ხანია დარეკა ათი. გრეჰემი მოუსვენრად მიმოდიოდა და მხოლოდ იმაზელა ფიქრობდა, გამოდიოდა თუ არა პაოლა ფორესტი შუადღემდე საკუთარი სამყოფელიდან. ამ ფიქრით გაოგნებული, თავისდა შეუმჩნევლად მუსიკის ოთახში აღმოჩნდა. თუმცა გრეჰემი ამ სახლის უკვე რამდენიმე დღის სტუმარი გახლდათ, მაგრამ სახლი იმდენად დიდი იყო, რომ მხოლოდ პირველად მოხვდა მუსიკისათვის განკუთვნილ ოთახში. ეს იყო განსაცვიფრებელი სილამაზის მაღალჭერიანი ოთახი, დაახლოებით ოცდათხუთმეტი-სამოც ფუტზე. უზადოდ ნათალ, მოჩუქურთმებულ კოჭებს შორის დატანებული ნარინჯისფერმინებიანი სარკმლებიდან მოწითალო-ოქროსფერი სხივი იჭრებოდა და მეტად ლბილ მოკიაფე სხივთა ტბაში ხვევდა ოთახს. როგორც კედლების, ისე ავეჯის ფერში მეწამული ფერი სჭარბობდა და ისე გეჩვენე-

ბოდათ, თითქოს ყოველი კუნჭული იდუმალი, ტკბილხმოვანი მუსიკის გამოძახილით ცოცხლობდა.

გრეკემი აპათიური განწყობილებით შეჰყურებდა კეითის სურათს. ამ მხატვრისათვის ჩვეულებრივ, დამახასიათებელ კონტრასტულ ფერებს, მზის სხივებით გაცისკროვნებულ სივრცეს და აისის მაუწყებელი მუქი ფერის ჩრდილებში მოქცეულ ცხვრებს, რომ უეცრად თვალი მოჰკრა იქითა კარში შემოსულ პაოლას. მისმა დანახვამ გრეკემს შესანიშნავი სურათის ხილვის შთაბეჭდილება შეუქმნა და თითქოს სუნთქვა შეეკრა. პაოლას თეთრი სამოსი ეცვა და სრულიად ნორჩი იერი ჰქონდა. ლერწამივით ტანადერილი უფრო მაღალიც მოჩანდა. სწორი, უჩვეულოდ სადა და თითქმის უფორმო სამოსის — ჰოლოკუს წყალობით. გრეკემს ჰოლოკუ მის შემქმნელ ქვეყანაში, ჰავაის კუნძულებზე ენახა. იქ ეს სამოსი უსახურ ქალსაც კი მომხიბლავ არსებად აქცევდა, მშვენიერთ ხომ განსაცვიფრებელ სილამაზეს ჰმატებდა.

მათ ერთმანეთს ღიმილით გახედეს. ოთახის შორეულ კუთხიდანაც კი გრეკემმა მისი ტანის რხევაში, თავის დაჭერაში და თვალთა ალერსიან მზერაში რაღაც მეტად ახლობლური, მეგობრული შენიშნა. თითქოს მისი მთრთოლვარე ბაგე ამბობდა: «გამარჯობათ, ჩემო მეგობარო!» ყოველ შემთხვევაში, გრეკემის ოცნებამ ასე წარმოიდგინა.

— თქვენ ამ ოთახის მშენებლობისას ერთი შეცდომა მოგსვლიათ, — წარმოთქვა გრეკემმა სრულიად მშვიდად პაოლას მოახლოებისთანავე.

— რა გაქვთ მხედველობაში, მაინც?

— ის გაცილებით გრძელი უნდა იყოს, დიახ, ორჯერ გრძელი.

— რატომ? — იკითხა ქალმა და გაცეცხებით გააქნია თავი.

თაყვანისცემით აღვსილი გრეკემი კი პაოლას ქალწულებრივად ავარდისფერებულ ღაწვებს აკვირდებოდა, არაფრით რომ არ უთანხმდებოდა მის ოცდათვრამეტ წელს.

— იმიტომ რომ, — უპასუხა ვაჟმა, — თქვენ მოგიწევდათ ორჯერ მეტი მანძილის გამოვლა და მეც შესაძლებლობა მექნებოდა უფრო დიდხანს განმეცადა თქვენი ხილვით მონიჭებული სიამე. მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ჰოლოკუ ყველაზე ლამაზი სამოსელია, რაც ამქვეყნად ოდესმე ქალთათვის შეუქმნიათ-მეთქი.

— მაშ მთავარი ჰოლოკუ ყოფილა და არა მისი პატრონი, — შეესიტყვა პაოლა. — როგორც ვხედავ, თქვენც ისეთივე ხართ, როგორც დიკი. ქათინაური უგრძესი თოკით გიპყრიათ ხელთ. საკმარისია ჩვენ, საბრალო არსებანი, ანკესზე წამოვეგოთ, რომ თოკს უკანვე გასწევთ და ქათინაურიც ქრება. ახლა კი, ნება მიბოძეთ, მე თვით დაგათვალიერებინოთ ოთახი, — სწრაფად განაგრძო ქალმა, — თითქოს სურდა წინასწარ აეკრძალა მისი მოსალოდნელი უარი... — დიკმა სრული უფლება მომანიჭა, როგორც მსურდა, ისე მოვქცეულიყავი. აქ ყოველივე მე თვითონ შევარჩიე. ასე წარმოიდგინეთ, პროპორციებიც კი.

— სურათები?

— ჩემი შერჩეულია. — თავი დაუქნია პაოლამ. — მართალი მოგახსენოთ, ძალიან მიყვარს თითოეული მათგანი. თუმცა დიკი ვერემჩაგინის სურათზე მედავებოდა. ძალიან მოეწონა მილეტის ორივე სურათი, კოროტის სურათიც, აი, იქით რომ ჰკიდია და, რა თქმა უნდა, იზაბეი... დიკი მუსიკის ოთახში ვერემჩაგინის რომელიმე სურათის დაკიდების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ არა ამ სურათისა, იგი ჩვენს, ადგილობრივ ხელოვანთ ექომაგება. ჩვენი მხატვრების ნამუშევრები სხვა ქვეყნის მხატვრებთან შედარებით უფრო მეტი უნდა გამოვფინოთო. სურს, უფრო მეტად ვისწავლოთ საკუთარ ნიჭიერ ხელოვანთა ფასი. დიახ, ვისწავლოთ.

— მე კარგად არ ვიცნობ წყნარი ოკეანის სანაპიროს ხელოვანთა ნაშრომებს, — წარმოთქვა გრეჰემმა. — დიდი სურვილი მაქვს, ვიცოდე რამე მათზე... მაჩვენეთ, თუ შეიძლება. რა თქმა უნდა, ეს კეითია, ალბათ, მაგრამ ვისია ეს მეორე სურათი მის გვერდით, რა მშვენიერება!

— ვინმე მეკომასის, — უპასუხა პაოლამ. გრეჰემი ის იყო მხატვრობაზე სასიამოვნო საუბარში პაოლასთან ნახევარი საათის გატარებას მაინც აპირებდა, რომ დარბაზში დონალდ უეირი შემოვიდა. მას სახეზე შემოფოთება ემჩნეოდა, მაგრამ პატარა დიასახლისის დანახვისთანავე თვალებში სიხარულის ნაპერწკლები აუელვარდა.

დონალდს ილლიის ქვეშ ვიოლინო მოუჩანდა; საქმიანი კაცის ნაბიჯებით როიალისაკენ გაემართა და ნოტების განლაგებას მიჰყო ხელი.

— საუზმემდე ვიმუშავებთ, — მიუბრუნდა პაოლა გრეჰემს. — დონალდი ფიცით მიმტკიცებს, რომ მეტისმეტად ჩამოვრჩი; ვფიქრობ, ნაწილობრივ მართალიც არის. საუზმის დროს შევხვდებით, ალბათ. თუ გნებავთ, აქ დარჩით, მაგრამ წინასწარ გაფრთხილებთ, რომ ეს ნამდვილი მუშაობა იქნება, ცურვას კი მხოლოდ ნაშუადღევს ვაპირებთ. სრულ ოთხ საათზე აუზთან შევიკრიბებით, ასე დაიბარა დიკმა. იმასაც დაგვპირდა, რაღაც ახალი სიმღერა ვიცი და გიმღერებთო... რა დროა, მისტერ უეირ?

— თერთმეტს თხუთმეტი წუთი უკლია, — უპასუხა მუსიკოსმა გაღიზიანებული კილოთი.

— თქვენ ადრე მოხვედით, შეხვედრა თერთმეტზე იყო დანიშნული, თერთმეტამდე კი ლოდინი მოგიხდებოდა, სერ. დიკი უნდა ვნახო. ჯერ არ მიწახვას.

პაოლამ კარგად უწყობდა, როგორ ჰქონდა დრო განაწილებული მის მეუღლეს. შენიშვნების წიგნაკის ბოლო ფურცელი რაღაც იეროგლიფებით იყო აჭრელებული, რომელსაც ერთთავად ღამე საკითხავ მაგიდაზე ხედავდა. ეს წიგნაკი პაოლას ყოველთვის ახსენებდა, რომ დიკი ექვსსა და ოცდაათ წუთზე შეექცეოდა ყავას. პაოლას შეეძლო, თუ დიკი ცხენით არ გაისეირნებდა, წიგნების ან საბეჭდი ქაღალდების თვალიერებაში გართულისათვის ლოგინში მიესწრო რვა საათსა და ორმოცდახუთ წუთამდე. ცხრიდან ათამდე იგი არავის იღებდა, ამ დროს ბლეიკს წერილებს კარნახობდა: არც ათიდან თერთმეტამდე შეიძლებოდა მისი ნახვა, რადგან საუბარი ჰქონდა მმართველებსა და ეკონომ ქალებთან. თითოეული მათგანის მიერ წარმოთქმულ სიტყვას მისი საკუთარი თანაშემწე და მდივანი — ბონბრაიტი სასამართლო საქმეების მსგავსად ინიშნავდა...

თერთმეტ საათზე, თუ სასწრაფო დეპეშები ან რაიმე გადაუდებელი საქმეები არ ჰქონდა მოსაგვარებელი, პაოლას შეეძლო მეუღლე მარტო ენახა. თუმცა იმ დროსაც ყოველთვის რაიმე საქმით იყო გართული. პაოლამ სამდივნოს ჩაუარა და საბეჭდი მანქანის კაკუნს შემოესმა. მიხვდა, რომ დიკი უკვე მარტო იყო. ბიბლიოთეკაში ბონბრაიტი შემოხვდა, მესაქონლეობის ფერმის მმართველი მენსონისათვის რაღაც წიგნს დაეძებდა. მენსონი მის მამულში შორტჰორნის ჯიშის პირუტყვის მოშენებასა და მოვლას ხელმძღვანელობდა. ცხადი იყო, დიკს მამულის გამგებელ თავკაცებთან მოლაპარაკება უკვე დამთავრებული ჰქონდა.

ქალმა ერთ-ერთ ღილაკს ხელი შეახო, რამდენიმე წიგნის თარო შემოტრიალდა და საიდუმლო ასასვლელი დახვეული რკინის კიბე გამოჩნდა. კიბე პირდაპირ დიკის სამუშაო ოთახისკენ მიემართებოდა. ფარული ზამბარის მორჩილი თაროები ისევ თავისუფლად შემობრუნდნენ და პაოლა სრულიად უხმაუროდ მეუღლის ოთახში გაჩნდა. მას ჯერემი ბრექსტონის ხმა შემოესმა და სახეზე წამით უსიამო ჩრდილმა გადაურბინა. ჯერ პაოლა არავის შეემჩნია, არც თვითონ დაუნახავს ვინმე და ყოყმანით შეჩერდა.

— თუ წავლევავთ, წავლევოთ მთლიანად, — მოისმა მაღაროების გამგებლის სიტყვები. — ცხადია, განსაზღვრული თანხის საფასურად ამოტუმბვა მოხერხდება. ემბაკმა დალახვროს, უბრალოდ სირცხვილია, წავლევოთ ძველი მაღარო ჰარვესტი!

— მაგრამ, უკანასკნელი წლის გაანგარიშებების მიხედვით, ჩვენ მხოლოდ ზარალით ვმუშაობთ, — შემოესმა პაოლას დიკის ხმა. — ყველა ჩვენ გვძარცვავს — ჰუერტას<sup>1</sup> (<sup>1</sup> ჰუერტა ვიქტორიანო (1864—1916) — გენერალი, რომელმაც 1913 წელს კონტრრევოლუციური გადატრიალება მოახდინა მექსიკაში.) ბანდის თავზეხელაღებული ვიგინდარები, თუ ცხენიპარია პეონები. აქეთ კიდევ უსაშველო გადასახადები, ბანდიტები, მეამბოხე მუშები, ფედერალისტები. შესაძლებელი იყო მოგვეთმინა ყოველივე, კეთილ დასასრულს მაინც ვხედავდეთ, მაგრამ არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ ეს არეულობა ათი, ოცი წელი არ გაგრძელდება.

— და მაინც დაფიქრდით, ძველი მაღაროს წალეკვა მეტისმეტად დასანანია! — კვლავ შეესიტყვა მმართველი.

— თქვენ არ უნდა დაივიწყოთ ვილა, (№ ვილა (1877—1923) მექსიკელი გლეხების პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელი.) — წარმოთქვა დიკმა გესლიანი სიცილით, რომლის შხამიც პაოლას მახვილ სმენას არ გამოჰპარვია. — ვილამ ხომ განაცხადა, თუ გავიმარჯვებ, მიწას მთლიანად პეონებს გადავცემო. უნდა ვიგულისხმობთ შემდეგი ლოგიკური ნაბიჯი. რა თქმა უნდა, მაღაროები იქნება. როგორ ფიქრობთ, ზედმეტი რამდენი გადავუხადეთ შარშან კონსტიტუციონალისტებს?

— ას ოცი ათასზე მეტი, — მყისვე უპასუხა ბრექსტონმა. — თუ იმ ორმოცდაათ ათას ოქროს ზოდს არ ჩავთვლით, რომელიც ტორენას უკან დახვევისას ჩავუთვალეთ. მან მერე თავისი არმია გვაიმასზე გადასხა, თავად კი ნადავლითურთ ევროპას მიაშურა. მე ხომ ყოველივე ამას წერილობით გატყობინებდით...

— ჩემო ჯერემი, თუ ჩვენ მუშაობას განვაგრძობთ, ისინი გამოძალვას თავს არ დაანებებენ. ჰოდა, საკმარისია! ჩემი აზრით, უმჯობესია, წაილეკოს... თუ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ დიდი დოვლათი და სიმდიდრე ამ უსაქმურებზე უკეთ, ისიც უნდა ვუჩვენოთ, რომ ასევე იოლად ძალგვიძს მისი განადგურებაც.

— აი, სწორედ ამას ვეუბნები მათაც. ისინი კი — ილიმებიან და ერთთავად ამას იმეორებენ: თუ უკიდურესი საჭიროება მოითხოვს, ასეთი ნებაყოფლობითი მსხვერპლი ფრიად მნიშვნელოვანი იქნება რევოლუციური ხელმძღვანელობისათვისო — რაშიაც საკუთარ თავს გულისხმობენ. მათი ბელადები თავიანთთვის, რა თქმა უნდა, ერთ პესოსაც არ დააკარებენ ხელს. ღმერთო ჩემო! მე ხომ ყველაფერი მოვაგონე, რაც ჩვენ მათ გავუკეთეთ. ხუთი ათას პეონს მუდმივი სამუშაო მივეცი: ხელფასი გაუზარდეთ ათიდან — ას ათ სენტავომდე დღეში. ვუჩვენე პეონები, ათ სენტავოდ რომ მუშაობდნენ, როდესაც ჩვენ ისინი დავიქირავეთ; ახლა კი დღეში ყოველი მათგანი ხუთ პესოს იღებს, მაგრამ რა გამოვიდა. კვლავ ძველებურად ილიმებიან და, როგორც სჩვევიათ, გამაღიზიანებლად იქნევენ ხელეებს, რომ როგორმე ნებაყოფლობითი შესაწირავი გამომძალონ რევოლუციის წმიდათაწმიდა საქმისათვის. ღმერთმანი, მოხუცი დიასი თუმცა ყაჩაღი იყო, მაგრამ წესიერი ყაჩაღი მაინც იყო. მე არანზოს ვუთხარი: «ჩვენ რომ სამუშაოზე ხელი ავიღოთ, ხუთი ათასი მექსიკელი უმუშევარი დარჩება და საინტერესოა მათ სად წაიყვანთ-მეთქი?» არანზომ გაიღიმა და წინასწარ გაზეპირებული ფრაზა მომახალა: «სად წავიყვანთ? იარაღს მივცემთ ხელში და მექსიკის დედაქალაქისაკენ, მეხიკოსაკენ წარვუძღვებითო».

პაოლამ ნათლად წარმოიდგინა, როგორ ზიზღით შეარხევდა დიკი მხრებს ამ პასუხის გაცემისას:

— საქმე ის არის, რომ ოქრო იქ ჯერ კიდევ არის და მარტო ჩვენ შეგვიძლია მისი ამოღება. მექსიკელებს ამის მიხვედრილობა და გონი არა აქვთ. მათთვის მხოლოდ ერთია მთავარი, როგორმე იარაღი იგდონ ხელთ და ჩვენ სულით ხორცამდე გვძარცვონ. ჯერემი, ჩვენ მხოლოდ ერთი დაგვრჩენია: ერთი წლის განმავლობაში ხელი ავიღოთ ყოველგვარ სამუშაოებზე, გავუშვათ მუშები, მხოლოდ ტექნიკოსები დავტოვოთ და წყალი ამოვტუმბოთ.

— ვცდილობდი ეს ყოველივე არანზოსათვის შთამეგონებინა, — ბოხი ხმით ჩაიდუდუნა ჯერემი ბრექსტონმა — და იცით, რა მიპასუხა? თუ ჩვენ პეონებს გავათავისუფლებთ სამუშაოდან, მაშინ ისინი ინჟინრებს აიძულებენ, ხელი აიღონ სამუშაოზე. და, საერთოდ, ემბაკსაც წაუღია მთელი ჩვენი მალაროო. არა, ეს უკანასკნელი სიტყვები, რა თქმა უნდა, არ წარმოუთქვამს, მაგრამ ისე უცნაურად გაიღიმა, რომ ის დიმილი ყველაფერს ნიშნავდა. თავად სიამოვნებით წავაწყვეტიდი იმ ყვითელ კისერს, მაგრამ ვიცი, რომ ხვალ მეორე მაჯლაჯუნა გამოცხადდება და უფრო მეტს მოგვთხოვს. ასე რომ, არანზომ მიიღო, რაც სურდა, მაგრამ დამატებით... ვიდრე თავის მემბოხე მოძმეებს შეუერთდებოდა, ბრძანება გასცა, სამასი ჩვენი ჯორი გაეტაცათ. ეს ხომ ოცდაათი ათასი დოლარი ზარალია და, რაც მთავარია, ეს ყოველივე მას შემდეგ, როცა თავი მოვუქონე! ოჰ, ეს ყვითელი თაღლითი!

— ვინ არის ახლა ჩვენი საბადოების მემბოხეთა წინამძღოლი? — შემოესმა პაოლას მეუღლის კითხვა და ხმაში ის უეცარი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მკაცრი ბგერები გაისმა, რომელიც, მისი აზრით, ამ არეული საქმის უთავბოლოდ აბურღული ძაფის სათავის მიგნებასა და სამოქმედოდ გამზადებას ნიშნავდა.

— რაულ ბენა.

— რა ჩინი აქვს?

— პოლკოვნიკია. სამოცდაათ კაცამდე ჰყავს. ყველა მათხოვარი და გარეწარი.

— მანამ რა საქმიანობას ეწეოდა?

— მწყემსი გახლდათ.

— კეთილი, — განაგრძო დიკმა. ისევ ისეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მკვახე ხმით. — თქვენ მოგიხდებათ ერთი როლის გათამაშება: მემბოხეთა მხარე უნდა დაიჭიროთ. პატრიოტობა დაიჩემეთ. რაც შეიძლება სწრაფად გაემურეთ უკან, როგორმე რაულ ბენა მოთაფლეთ, ის თქვენს საქციელს კბილს მოუსინჯავს. რა თქმა უნდა, კარგად მოუსინჯავს და ყოველივეს მიხვდება, თუ არადა, მაშინ ნამდვილი მექსიკელი არც ყოფილა. დიახ, ნამდვილად უნდა ითვალთმაქცოთ და დაარწმუნოთ, რომ გენერლად აქცევთ, რომ მეორე ვილად გახდით.

— ღმერთო დიდებულო! მაგრამ როგორ, როგორ უნდა მოვახერხო ეს?

— ჩააყენეთ ხუთათასიანი არმიის სათავეში, ჩვენი ხალხი კი გაუშვით, დაე მათგან მოხალისეთა არმია შექმნას. ჩვენ არავითარი საფრთხე არ მოგველის, რადგან ჰუერტას საქმე ცუდად მიდის. დაარწმუნეთ, რომ ნამდვილი პატრიოტი ხართ, ყველას შაშხანები დაურიგეთ: ჩვენ უკანასკნელად გავიკრავთ ჯიბეზე ხელს: თქვენ კი, თქვენ პატრიოტიზმს გამოიჩენთ. დაპირდით თითოეულ მათგანს მაღალ ხელფასს. როდესაც ომი დასრულდება და უკან დაბრუნდებიან, თქვენც ლოცვა-კურთხევით გაისტუმრეთ რაულ ბენასთან. დატოვეთ იმდენი ხალხი, რამდენიც წყლის ამოსატუმბად იქნება საჭირო. და თუ ჩვენ, ერთ ან ორ წელიწადს უარს ვიტყვით მოგებაზე, არც არავითარ ზარალს არ ვნახავთ. შესაძლებელია, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ძველი საბადოს წალეკვაც აღარ დაგვჭირდეს.

პაოლა ხვეული კიბით მუსიკალური ოთახისაკენ დაემხრა, თან გუნებაში ეღიმებოდა: რა მარჯვედ მოიფიქრა დიკმა ყოველივე. ქალი შემფოთებული იყო არა იმ გა-

რემოებით, რაც ძველ ჰარვესტის საბადოებში ხდებოდა, — მათი ჯვრისწერის შემდეგ მან ეს საბადოები მამისაგან მზითვად მიიღო და მას შემდეგ იქ სულ ასეთი არეულობა მეფობდა, — არამედ იმით, რომ ამ დილით მათი შეხვედრა არ მოხდა. მაგრამ როდესაც როიალთან მოთმინებით მომლოდინე გრეჰემი იხილა, მისი უგუნებობა მსწრაფლ გაქრა. პაოლას შემოსვლისთანავე გრეჰემმა წასვლა დააპირა.

— ნუ გაიქცევით, — შეაჩერა პაოლამ. — დარჩით და ჩვენ დამაბულ შრომას უყურეთ. შესაძლებელია, ამან მაინც გადაგაწყვეტინოთ თქვენი წიგნის წერა, რომლის შესახებაც დიკისაგან ბევრი რამ მსმენია.

## თავი მეთექვსმეტე

საუზმეზე დიკს გადატანილი მღელვარების ნიშანწყალიც კი აღარ ემჩნეოდა, თითქოს ჯერემი ბრექსტონს ჰარვესტის საბადოების დაუღვეველ შემოსავლის წყაროდ გადაქცევის ამბავი მოეტანოს. ადოლფ უეილი დილის მატარებლით წასულიყო. დიკთან შესათანხმებელი საქმე, როგორც ჩანდა, ალიონზევე მოაგვარა. გრეჰემმა ისიც შენიშნა, რომ მაგიდას ახლა ჩვეულებრივზე მეტი სტუმარი უჯდა. ერთი ვიღაც შუახნის დარბაისელი, სათვალღიანი, ტანსრული ლედის გარდა, რომელსაც მისის ტიულის უხმობდნენ, სამი უცხო სტუმარიც იყო: შტატის ვეტერინარი — მისტერ გელჰასი, წყნარი ოკეანის სანაპიროზე საკმაოდ ცნობილი პორტრეტისტი — მისტერ დიკონი და წყნარი ოკეანის გემის კაპიტანი მისტერ ლესტერი, რომელიც ოცი წლის წინათ დიკთან იახტაზე მსახურობდა კაპიტნად და ნავიგაციის საქმეს ასწავლიდა.

საუზმე მთავრდებოდა, ბრექსტონი უკვე საათს დაჰყურებდა, როდესაც დიკმა მიმართა:

— ჯერემი, მინდა რაღაც გაჩვენოთ. ჩვენ ახლავე გავემგზავრებით, ნუ წუხხართ, მატარებელს მაინც მიუსწრებთ.

— მოდი, ჩვენც თან გავყვით, — შემოიტანა წინადადება პაოლამ. — ცნობის-მოყვარეობა მკლავს, დიკი ამას რა ხანია საიდუმლოდ ინახავს.

დიკმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მეუღლის ნებართვის შემდეგ პაოლამ ბრძანება გასცა, მანქანები სასწრაფოდ გამოეყვანათ და ცხენებიც შეეკაზმათ.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს? — იკითხა გრეჰემმა, როდესაც პაოლამ ყველა განკარგულების გაცემა დაამთავრა.

— ოჰ, დიკის ერთი ახალი აჩემებაა. ის ხომ ყოველთვის რაიმეთია გატაცებული; ესეც მისი ახალი აღმოჩენა გახლავთ. გვეფიცება, ეს ამბავი მთელ რევოლუციას მოახდენს მიწათმფლობელობაში, განსაკუთრებით წვრილ მიწათმფლობელობაში. ვიცი, რაც არის მისი მთავარი აზრი, თუმცა განხორციელებული ჯერ არ მინახავს. ერთი კვირის წინათ უკვე მზად იყო, მაგრამ დაყოვნება მოხდა ერთი გვარლისა თუ რაღაც ამის მსგავსის გამო.

— თუ საქმე კარგად აეწყო, ჩემი გამოგონება ბილიონებს მოიტანს, — ღიმილით წარმოთქვა დიკმა, რომელიც მაგიდის მოპირდაპირე მხარეს იჯდა. — ბილიონები მთელი მსოფლიოს ფერმერებს და რამდენიმე პროცენტი მე..... ვიმეორებ... თუ საქმე აეწყო.

— მაინც რა არის ეს, — იკითხა ო'ჰეიმ, — მუსიკა ბოსლებში ძროხებთან, რომ სიამოვნებით გაიღონ რძე?

— ყოველ ფერმერს შეეძლება მშვიდად იჯდეს საკუთარი ჭიშკრის წინ, — განუმარტა დიკმა. — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიღებას იმაზე დიდი შრომა აღარ დასჭირდება, ვიდრე საკვების ლაბორატორიულად დამზადებას. თუმცა, დაიცა-

დეთ, სანამ საკუთარი თვალით იხილავდეთ ყოველივეს. თუ საქმე კარგად აეწყო, მთელი ჩემი ძველი გატაცება, ცხენების მოშენება, წარსულს ჩაბარდება, რადგან ეს გამოგონება თავისთავად შეცვლის ერთი ცხენის მუშაობას ყოველ ათ აკრიან მეურნეობაში.

სტუმართა მთელმა კრებულმა, ვინ მანქანებით, ვინ ცხენებით, დაახლოებით ერთი მილი გაიარა დიკის დიდებული სასახლიდან და ერთ შემოდობილ მინდორს მიადგა, რომელშიაც, დიკის სიტყვით, სრული ათი აკრის ფართობი იყო მოქცეული.

— აი, ეს გახლავთ ფერმა, — წარმოთქვა დიკმა. — აქ მხოლოდ ერთი კაცია, ის თავის ჭიშკართან ზის და ცხენიც კი არა ჰყავს. თუ შეიძლება, წარმოიდგინეთ ისიც და მისი ჭიშკარიც.

მინდვრის შუაგულში სულ მცირე ოცი ფუტის სიმაღლის მსხვილი ფოლადის სვეტი იყო აღმართული, ბაგირებით დაბლა დედამიწაზე დამაგრებული. მაღლა, სვეტის წვერში დოლის მსგავსი გორგოლაჭიდან მინდვრის უკიდურეს შორეულ წერტილამდე გადაჭიმული იყო წვრილი გვარლი, რომელიც ბენზინით მომუშავე ტრაქტორის საჭეზე იყო მიმაგრებული. ტრაქტორის გარშემო ორი მექანიკოსი ტრიალებდა, რომელთაც დიკის ბრძანებისთანავე ძრავა ჩართეს.

— აი, აქ გახლავთ ჭიშკარი, — წარმოთქვა დიკმა. — წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ მომავალი ფერმერები ვართ, ჩრდილში ვსხედვართ და დილის გაზეთს ვკითხულობთ. მინდორში კი კაცისა და ცხენის გარეშე მიმდინარეობს ხვნა.

დოლმა თვითონ, ყოველგვარი მართვის გარეშე დაიწყო ტრიალი და კაბელის დახვევა. ტრაქტორმა იმ რადიუსით, რა სიგრძისაც გვარლი იყო, რომელიც მას ფოლადის ანძაზე დამაგრებულ დოლთან აერთებდა, მიდამო გადასერა და უკან ღრმა ხნული დატოვა.

— როგორც ხედავთ, არავითარი ცხენი, მძლოლი თუ მხვნილი საჭირო არ არის: უბრალოდ, ფერმერი ამუშავებს ტრაქტორს და მეტი არაფერი, — კვლავ განაგრძობდა დიკი. მანქანა კი ყავისფერი მიწის ბელტებს ერთმანეთზე აწყობდა. წრიული ხნული შუაგულისაკენ მოისწრაფოდა. — ხვნა, თესვა, მიწის გადაბრუნება, მიწის გაპატივება, დამუშავება თუ მოსავლის აღება ისე იქნება შესაძლებელი, რომ თქვენივე ჭიშკარს არ გასცდებით. იქ კი, სადაც ელექტროსადგური ენერჯიას მისცემს მანქანას, ფერმერსა თუ მის მეუღლეს მხოლოდ ის დარჩენიათ, ღილაკს შეახონ ხელი. ფერმერს შეუძლია თავის გაზეთს დაუბრუნდეს, მისი მეუღლე კი ღვეზელის ცხოვას.

— ამ საქმის საბოლოო სრულყოფისათვის ერთი რამ კიდევ უნდა გაკეთდეს, — წარმოთქვა გრეკემმა. — ასეთი წესით ხვნა მთელ ამ ეზო-გარემოს ოთხკუთხედის ფორმას მისცემს.

— დიახ, — დაეთანხმა მისტერ გელჰასი. — ასეთი წესით დამუშავების დროს მინდვრის ერთი ნაწილი დასამუშავებელი რჩება.

გრეკემის სახე მოწმობდა, რომ თავისთვის რაღაცას ანგარიშობდა, ძალიან სწრაფად, სულ რაღაც ერთ წუთში ყველაფერი გამოითვალა და ხმამაღლა განაცხადა: — ყოველ ათ აკრზე სამი აკრი დაუმუშავებელი იქნება.

— არანაკლებ, — დაეთანხმა დიკი, — მაგრამ ფერმერს ხომ უნდა ჰქონდეს სადმე ამ ათ აკრ მიწაზე ეზო-კარი, ესე იგი, სახლი, ბედელი, საქათმე თუ სხვა რამ საყოფაცხოვრებო ნაგებობა. რა მოხდება, ვითომ, ნუ გაყვება ტრადიციულ ჩვეულებას, მაინცდამაინც, ადგილ-მამულის შუაგულში ჰქონდეს სახლი. გაანაწილოს ეს ყველაფერი იმ განაპირა სამ აკრზე. დაე, ხილი, საჩრდილობელი ხეები თუ კენკრა განაპირა ადგილებზე დარგოს. იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ძველი ჩვეულების მიხედვით მამ-

ულის შუა ადგილას სახლის დადგმას უამრავი ნაკლი ჰქონდა: უნდა ეხნათ მრავალ უთანასწორო სწორკუთხედად ქცეული ფართობი.

მისტერ გელჰასმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

— სრული ჭეშმარიტებაა, აბა იანგარიშეთ — გზა სახლიდან შარაგზამდე. ან თუ კიდევ სავალი გზა ექნებათ, კიდევ იკარგება მიწის ნაწილი... ყოველივე ეს იმ ათი აკრის ფართობს არათანაბარ სწორკუთხედად ჰყოფს და დამუშავებას აძნელებს.

— რა იქნებოდა, ნაოსნობაც ასეთი ავტომატური იყოს, — შენიშნა კაპიტანმა ლესტერმა.

— ან პორტრეტების ხატვა, — სიცილით წარმოთქვა რიტა უეინრაიტმა და მისტერ დიკონს ეშმაკურად გადახედა.

— ან მუსიკალური კრიტიკა, — დაუმატა ლიუტმა ისე, რომ არავისათვის შეუხედავს.

— ან კიდევ იმის ცოდნა, როგორ უნდა იქცე ამქვეყნად ყველაზე მომხიბლავ ქალად, — გამომწვევად ჩაურთო ო'ჰეიმ.

— მაინც რა ჯდება ასეთი დანადგარის შექმნა? — იკითხა ჯერემი ბრექსტონმა.

— ამჟამად ჩვენ იგი, მისგან მიღებული სარგებლობის ჩათვლით, ხუთასი დოლარი გვიჯდება. ხოლო თუ ის მოხმარების საგნად იქცევა და მისი სერიული გამოშვება დაიწყება, შესაძლებელია, სამას დოლარზე მეტი არ დაჯდეს. ვთქვათ, ხუთასიც. თუ თხუთმეტ პროცენტს ვალის დასაფარავს გამოვაკლებთ, ის ფერმერს მხოლოდ სამოცდაათი დოლარი დაუჯდება წელიწადში. რომელ ორას დოლარად ღირებული ათი აკრის მფლობელ ფერმერს შეუძლია სამოცდაათ დოლარად ცხენი მთელ წელიწადს შეინახოს. გარდა ამისა, ტრაქტორი ამსუბუქებს შრომას საკუთარსაც და დაქირავებულსაც. ყველაზე მცირე გასამრჯელოს გაღების დროსაც კი ორას დოლარ შემოსავალს მაინც იძლევა წელიწადში.

— მაინც რა მართავს მას? — იკითხა რიტამ.

— აი, ეს, ანმაზე დადგმული დოლი, მის მექანიზმში რადიუსის ყოველგვარი ცვლილება გათვალისწინებული და გამოანგარიშებულია. აბა წარმოიდგინეთ, რა რთული გამოთვლები დასჭირდებოდა? იგი თავისი ღერძის გარშემო ტრიალებს, გვარლი დოლს ეხვევა, მოკლდება და ტრაქტორს თანდათანობით შუაგულისაკენ ეწევა.

— მისი საყოველთაო გამოყენების საქმეში მრავალნაირ წინააღმდეგობას თვით წვრილ ფერმერთა შორის წააწყდებით, — წარმოთქვა გელჰასმა.

დიკმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

— ორმოცამდე საწინააღმდეგო აზრი უკვე ჩაწერილი მაქვს და მათი კლასიფიკაციაც მოვახდინე, ამდენივე საწინააღმდეგო აზრია თვით მანქანის მისამართით. თუ ეს ყოველივე სარგებლიანი გამოგონება გამოდგა, ვფიქრობ, მაინც დიდი დრო დასჭირდება მის სრულყოფასა და საყოველთაო გამოყენებას.

გრეჰემის ყურადღება გაორებული იყო. ის ხან მომუშავე ტრაქტორს აკვირდებოდა, ხან კი მალულად პაოლა ფორესტს უმზერდა, თავის ცხენიანად თვალწარმტაც სურათს რომ წააგავდა. პაოლა პირველად იჯდა ამ უმშვენიერეს პირუტყვზე. მას ფონს ემახდნენ და საკუთრად მისთვის გახედნა ჰენესიმ. გრეჰემს ეღიმებოდა, გულში საოცრად მოსწონდა მისი ქალური მიხვედრილობა: ეტყობა, ადრევე შეაკვირნა ამ ჯიშნიანი პირუტყვის შესაფერი ახალი საცხენოსნო სამოსი, ან უბრალოდ თავის სამოსთა შორის ყველაზე შესაფერი ამოირჩია. შედეგი კი, მართლაც რომ განუმეორებელი აღმოჩნდა.

ცხელი დღე იყო და ჩვეულებრივი ამაზონური სამოსის მაგიერ პაოლას სინგურისფერი, მზისფერში გარდამავალი თეთრსაყელოიანი კოფთა ეცვა. ქვემოთ განიერი მოკლე ქვედატანი მუხლებამდე სწვდებოდა. მუხლებიდან პაწაწინა ნათელი ფერის დეზებიან ფეხსაცმელებამდე კი საცხენოსნო მჭიდროდ შემოკვალთული შარვალის მოუჩანდა. ქვედატანი და შარვალის ოქროსფრად მოლაპლაპე ხავერდისა ეცვა და მისი ცხენის ფერს საოცრად ერწყმოდა. რბილი, თეთრი ხელთათმანები თითქოს საყელოს სიქათქათეში ეცილებოდა. პაოლა თავშიშველი იყო, თმა ყურებზე გადაევარცხნა და ულამაზეს გრაგნილად მოეხვია კეფაზე.

— არ ვიცი, მაინც როგორ ახერხებთ კანის ასეთი უზადო ფერის შენარჩუნებას ამ თაკარა მზის ქვეშ? — გაუბედავი ალერსით შეჰკადრა გრეჰემმა.

— ალბათ იმიტომ, რომ მზეს არ ვუფიცხებ სახეს, — გაიღიმა პაოლამ და მისმა მწყობრად მიჯრილმა კბილებმა მარგალიტისფრად გაიელვეს. — წელიწადში მხოლოდ რამდენჯერმე გამოვდივარ მზეზე თავდაუხურავად. ძალიან მიყვარს, როდესაც მზე თმას გადაახუნებს და ოქროსფერ ბზინვარებას შემატებს, მაგრამ მეტისმეტ გაშავებას ვერიდები.

ცხენმა ანცობა დაიწყო: მსუბუქმა ნიავმა პაოლას ქვედატანი შეარხია და შარვალში მჭიდროდ გამოკვალთული მუხლი გამოუჩნდა. გრეჰემმა ახალ ინგლისურ უნაგირს მიკრულ მუხლისთავს შეხედა. უნაგირს ცხენისა და მხედრის სამოსის შესაფერი ღია ფერის ღორის რბილი ტყავი ჰქონდა გადაკრული. მის თვალწინ კვლავ აღდგა ნანახი სურათი: ეს მრგვალი, თეთრი მუხლი როგორ ეკვროდა დასახრჩობად განწირული ცხენის ფერდს.

ტრაქტორის მაგნეტომ არასწორად დაიწყო მუშაობა და ნახევრად მოხნულ მინდორზე მექანიკოსები გამოჩნდნენ შესაკეთებლად. რადგან დიკი ადგილზე რჩებოდა საკუთარი გამოგონების მოსაწესრიგებლად, მთელმა კრებულმა პაოლას მეთაურობით გზად, საცურაო აუზამდე პირუტყვთა სანაშენო ადგილების დათვალიერება გადაწყვიტა. მეღორეობის ფერმის მმართველმა მისტერ კრეილინმა მათ დედალორი ლედი აილტონი უჩვენა: ყველა მოიხიბლა ჩასუქებული თერთმეტი გოჭით და დიდი ქება-დიდებაც შეასხეს. თვითონ მისტერ კრეილინი თავშეუკავებლად ასხამდა ხობას და ნაზი, ბალღური მიამიტობით იმეორებდა: «ამდენ გოჭში არც ერთი არ არის პატარა, არც ერთი».

ამის შემდეგ მათ სხვა, მართლაც, შესანიშნავი საჯიშე დედალორები დაათვალიერეს, ყველაზე უკეთესებად რომ ითვლებოდნენ მთელ იმ მხარეში. ბერკშირისა და დიუროკ-ჯერსეის, ოკეანისგაღმელი საუკეთესო სისხლისა და ხორცის ნაშიერნი. პირუტყვთა დათვალიერება მანამდე გაგრძელდა, ვიდრე თვალი არ აუჭრელდათ. ნახეს ახალმოგებული თიკნები და ბატკნები, მოშინაურებული ირმები, კურდღლები და საუკეთესო ჯიშის ცხვარი. პაოლამ მესაქონლეებს ტელეფონით ადრევე აცნობა, მოვდივართო. მისტერ მეზონს, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებლობა მიეცა მეფედ წოდებულ პოლოს სილამაზით თავი გამოეჩინა: მნახველებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს მეფე პოლოს თემოგანიერ და რქამოკლე შორტჰორნთა ჰარამხანა. მათი დიდი აღტაცება გამოიწვია აგრეთვე ამავე ჯიშის რამდენიმე სხვა მეფური სისხლის ბულებმა, რომლებიც მეფე პოლოს დიდად არ ჩამოუვარდებოდნენ. ჯერსეის ჯიშის პირუტყვთა მომშენებლებმა — პარკმენმა და მისმა თანაშემწეებმა მათ სენსაციური პირუტყვები უჩვენეს: დრაკონი, ოქროს ჯოლი, ფაუნტინ პოიალი, ოქსფორდელი კარნაკი, ზღაპრული ჭაბუკი და ცისფერბაფთიანი კიდევ ბევრი სხვაც. ესენი საქვეყნოდ ცნობილი ჯიშების შთამომავალნი იყვნენ და ამასთანავე სრული თანასწორნი იმათი, როგორებიც იყვნენ: სახელოვანი ვარდების დედოფალი, საიმედო ბანოვანი,

სტენდბიეს დემი, ჯოლის ოქროს ლასი, ოლგას სიამაყე და გერტი მეიტლენდსელი, ცისფერბაფთიანთა და ცისფერსისხლიანთა ჯერსეის მეფური ჯიშის ტოლნი პირუტყვთა შორის. შემდეგ მისტერ მენდჰოლმა სტუმრები საუკეთესო ცხენების რემის სანახავად მიიწვია, რომელთაც სათავეში «მთიელი» ულაცი ედგა. ნახეს უამრავი შესანიშნავი ფაშატი ფოთერინგტონის პრინცესას მეთაურობით, თავისი ზარის ხმასავით წკრიალა ჭიხვინით რომ გამოირჩეოდა. სტუმრებს აჩვენეს აგრეთვე პრინცესას მშობელი ბებერი ბესი, რომელსაც ახლა მხოლოდ მსუბუქი სამუშაოს შესასრულებლად იყენებდნენ. აჩვენეს იმიტომ, რომ სტუმრებს შეძლებოდათ შეეფასებინათ, რა ჯიშს განეკუთვნებოდა ისეთი ცნობილი პირუტყვი, როგორც ფოთერინგტონის პრინცესა იყო.

დონალდ უეირი ცურვით დიდად არ იყო გატაცებული და ოთხი საათისათვის ერთ-ერთი მანქანით დიდ სახლში დაბრუნდა. გელჰასი მენდელჰოლთან ერთად დარჩა, ცხენთა სანაშენო ჯიშებზე მოსალაპარაკებლად. დიკი სტუმრებს საცურაო აუზთან უცდიდა და გოგონებმა მისვლისთანავე მოსთხოვეს ახალი სიმღერის შესრულება.

— ეს სიმღერა სულ მთლად ახალი არ არის, — აუხსნა დიკმა, — და მისი მონაცრისფრო თვალები ეშმაკურად აკიაფდნენ. — თქვენ წარმოიდგინეთ, არც ჩემი სიმღერაა. მე ჯერ დაბადებული არ ვიყავი, ამ სიმღერას იაპონიაში რომ მღეროდნენ. ალბათ, დიდი ხნით უფრო ადრე, ვიდრე კოლუმბი ამერიკას აღმოაჩენდა. ეს სიმღერა შეჯიბრება-დუეტია, თანაც ფანტის თამაშით სრულდება. პაოლამ უნდა იმღეროს ჩემთან ერთად, ყველას გასწავლით! პაოლა, შენ აქ დაჯექი, თქვენ კი გარშემო შემოუსხედით.

საცხენოსნო ტანსაცმელში გამოწყობილი პაოლა წრის შუაგულში, მეუღლის პირისპირ დაჯდა და დიკის მიერ ნაჩვენებ მოძრაობებს იმეორებდა: ხელისგულებს მუხლებზე ირტყამდა, მერე ხელისგულებით ტაშს შემოჰკრავდა და დიკის ხელისგულებს შეეხებოდა, ისე, ბავშვები რომ «ცხელი ფაფის» თამაშის დროს აკეთებენ. დიკმა სიმღერა წამოიწყა. მოკლე მოტივს პაოლამ სწრაფად შეუწყო ხმა, მასთან ერთად მღეროდა და ტაქტს ხელის დარტყმას აყოლებდა. მელოდია აღმოსავლურ ყაიდაზე ჟღერდა, გაჭიანურებულად და მონოტონურად, მაგრამ მასში იყო რაღაც საოცრად ამგზნები და მსმენელთათვის წარმტაცი:

ჯონგ-კინა, ჯონგ-კინა,  
ჯონგ-კინა, კინა-კინა,  
იო-კო-ჰამ-ა, ნა-გა-საკ-ი,  
კობე-მარ-ო-ჰოი!!!

უკანასკნელ მარცვალს, ჰოის, დიკი საოცრად სწრაფად წამოიძახებდა ხოლმე, მთელი ერთი ოქტავით ხმამაღლა, თან პაოლასა და დიკს ერთმანეთისათვის ხან მჯიღები, ხან კი გაშლილი ხელისგულები უნდა მიერთყათ. თამაშში მთავარი ის იყო, რომ პაოლას დიკის ქესტი უნდა გაემეორებინა «ჰოის» წამოძახებისთანავე, რაც პაოლას პირველად კარგად გამოუდიოდა, მუშტად შეკრული ხელები ერთმანეთისას მიარტყეს. შემდეგ დიკმა ქუდი მოიხადა და ლიუტს მუხლებზე დაუდო.

— ჩემი ფანტია, — წარმოთქვა მან. — მოდი, პაოლა, კიდევ ვსინჯოთ. — კვლავ გაისმა სიმღერა და ხელისგულების ტკაცანი.

ჯონგ-კინა, ჯონგ-კინა,

ჯონგ-კინა, კინა-კინა,  
იო-კო-ჰამ-ა, ნა-გა-საკ-ი,  
კობე-მარ-ო-ჰოი!!!

ამჟამად «ჰოის» დაძახებისას პაოლას ხელები დამუჭული აღმოჩნდა, დიკისა კი გაშლილი.

— ფანტი! ფანტი! — წამოიყვირეს გოგონებმა.

პაოლამ საკუთარ სამოსს მღელვარებით გადაავლო თვალი და იკითხა:

— რა უნდა მოგცეთ?

— თმის სარჭი, — წამოეშველა დიკი და კუს ბაკნის სარჭი ლიუტის კალთაში დიკის ქუდს მიემატა.

— რა საწყენია! — წამოიძახა პაოლამ, როდესაც მისი უკანასკნელი სარჭიც იმავე გზით წავიდა. შვიდჯერ წააგო. დიკმა კი მხოლოდ ერთხელ. — ვერ გამიგია, რატომ ვარ ასეთი მოუხერხებელი და უგუნური. შენ კი — ძალიან გონიერი და მაცდური. ვერაფრით ვერ ვახერხებ შენი ჩანაფიქრის გამოცნობას.

თამაში განახლდა, კვლავ ამღერდნენ. პაოლამ ისევ წააგო და, მიუხედავად მისი ტიულის გამაფრთხილებელი წამოძახილისა: «პაოლა». მან ერთი დეზი მოიხსნა, თანაც განაცხადა, ფეხსაცმელებსაც წავიდრობ, თუ მეორე დეზიც წავაგეო. ახლა სამჯერ ზედიზედ დიკმა წააგო და მაჯის საათი და დეზები დატოვა ფანტში.

— ჯონგ-კინა, ჯონგ-კინა... — კვლავ დაიწყეს მისი ტიულის შეგონების მიუხედავად.

— პაოლა, საკმარისია, შეწყვიტე თამაში! თქვენ კი, დიკ, როგორ არ გრცხვენიათ!

მაგრამ დიკმა მოზეიმე იერით დროზე წამოიყვირა: «ჰოი!» და კვლავ მოიგო. მეორე საერთო სიცილში პაოლას ერთი ფეხსაცმელი გაადრო და ლიუტისაკენ ისროლა.

— არა უშავს რა, მამიდა მართა, — ამშვიდებდა პაოლა მისი ტიულის, — მისტერ უიერი აქ არ არის, ის არის ერთადერთი ადამიანი, ვისაც ეს ამბავი თავზარს დასცემდა. განვაგრძოთ, დიკ! ყოველთვის შენ ვერ გაიმარჯვებ!

— ჯონგ-კინა, ჯონგ-კინა, — თვითონ მიუმღერა პაოლამ მეუღლეს.

ნელა იწყებდნენ, უცებ ტემპს უმატებდნენ და ბოლო სიტყვებს ისეთი სისწრაფით წარმოთქვამდნენ, რომ სული უგუბდებოდათ. ხელისგულების ტკაცანი კი თითქოს შეუწყვეტლად ისმოდა. მოძრაობისა, აზარტისა თუ მზის მცხუნვარებისგან პაოლას მოღიმარე სახე ატმის ყვავილისფრად ატკრეცოდა.

ივენ გრეჰემი მდუმარედ აკვირდებოდა თამაშს და საოცრად აღშფოთებული, განაწყენებული და თითქმის შეურაცხყოფილიც ჩანდა. მისთვის რა ხანია ნაცნობი იყო ჯონგ-კინას თამაში. კარგად ახსოვდა, როგორ თამაშობდნენ მას გეიშები ნიჰონის ჩაიხანებში. მიუხედავად ზნეობრივი სიწმინდის თაყვანისცემისა, რომელიც ამ დიდებულ სახლში და მის მფლობელებში იყო გაბატონებული, იგი მაინც ძალიან ადელდა, როცა პაოლამ ასეთ თამაშში მონაწილეობა მიიღო. გრეჰემი იმას ვერ მიხვდა, რომ პაოლას ადგილას ლიუტს, რიტას ან ერნესტინას რომ ეთამაშნათ, თვითონაც დიდი ცნობისმოყვარეობით შეხედავდა, სადამდე მიიყვანდა მონაწილეებს ეს აზარტული თამაში. მხოლოდ მოგვიანებით შეიცნო გრეჰემმა, რომ ასე შეშფოთებული მხოლოდ პაოლას თამაშში მონაწილეობით იყო. ამ მშვენიერ არსებას, ეტყობა, უკვე მის სულში მეტი ადგილი ეჭირა, ვიდრე თვით ჰქონდა შეცნობილი ან დასაშვებად მიაჩნდა.

ამასობაში ფანტში დაგროვილ ნივთებს დიკის პორტსიგარი და საასანთე, პაოლას მეორე ფეხსაცმელი, ქამარი, ქინძისთავი და საქორწინო ბეჭედი მიემატა. მისი

ტიულის სახე ნაძალადევ, შეუპოვარ მორჩილებას გამოხატავდა და გაქვავებული, დადუმებული შეჰყურებდა ყოველივეს.

— ჯონგ-კინა, ჯონგ-კინა, — მხიარულად განაგრძობდა პაოლა.

გრეჰემმა ყური მოჰკრა, ერნესტინამ რომ გადაულაპარაკა ბერტს:

— არ ვიცი, ახლა რაღა უნდა ჩააგდოს ფანტში.

— ოჰ, ხომ იცნობთ, რა ხასიათი აქვს, — შემოესმა ბერტის პასუხი, — არაფერს დაერიდება, თუ თამაშის დროს ერთს აიწყვეტს, ახლა, როგორც ჩანს, უკვე წრეს გადასულია.

— ჰოი! — წამოიყვირეს პაოლამ და დიკმა ერთხმად და ხელები წინ გამოსწიეს.

მაგრამ დიკს ხელები დამუშტული ჰქონდა, პაოლას კი გაშლილი. გრეჰემმა შენიშნა, როგორ აკვირდებოდა პაოლა საკუთარ თავს და გაფაციცებით ეძებდა, რა მიეცა ფანტში ჩასაგდებად.

— აბა, ლედი გოდივა! (N<sup>ა</sup>ლედი გოდივა — შუა საუკუნეების ინგლისური ლეგენდის გმირი. საკუთარი მეუღლის, გავლენიანი გრაფის ბრძანებით, ცხენით მთლად შიშველმა შემოიარა მთელი ქალაქი. მხოლოდ ასეთი მსხვერპლის ფასად ინება გრაფმა შეემსუბუქებინა ხალხისათვის აუტანელი გადასახადი. ამ სიუჟეტზეა დაწერილი ტენისონის პოემა.) — ბრძანა დიკმა: — უკვე იმდერე, იცეკვე, ახლა ფლეიტაზე დამკვრელს გადაუხადე საზღაური!

— გონი დაკარგა ამ კაცმა, უცილოდ, — გაიფიქრა გრეჰემმა. — განა შეიძლება ასეთი მეუღლის პატრონი ასე მოიქცეს?

— კეთილი, — ამოიოხრა პაოლამ და მისი თითები კოფთის ღილებს შეეხო გასახსნელად. — თუ ასეა, დაე, ასე იყოს!

გრეჰემმა ძლივს დაიოკა აღშფოთება; შეტრიალდა, ცდილობდა მისკენ აღარ გამოეხედა. საოცარი დუმილი გამეფდა. გრეჰემმა იცოდა, როგორ ელოდა ყველა, რას ჩაიდენდა პაოლა. უეცრად ერნესტინას კისკისი გაისმა: მერე ყველა ერთად ახარხარდა და ბერტმაც წამოიძახა: «თქვენ შეთანხმებულხართ!» ყოველივე ამან აიძულა გრეჰემი შემობრუნებულიყო. სწრაფად მიმოიხედა. პატარა დიასახლისის კოფთა აღარ ეცვა, წელს ზემოთ საცურაო კოსტიუმი მოუჩანდა. ჩანდა, პაოლას საცურაო კოსტიუმი ადრევე ჩაეცვა ქვეშ, სანამ ცხენებით სასეირნოდ გაემგზავრებოდნენ.

— ახლა შენ მოდი ჩემთან, ლიუტ, — განაცხადა დიკმა, — მაგრამ ლიუტი არ აპირებდა ჯონგ-კინას თამაშს და გოგონებს გასახდელ კაბინაში შეუძღვა.

გრეჰემი კვლავ აღტაცებით ადევნებდა თვალს, როგორ ავიდა პაოლა ორმოცი ფუტის სიმაღლის ბაქანზე. ქალმა განუმეორებელი ოსტატობით და იშვიათი მოქნილობით მერცხლისებურად შეინავარდა ჰაერში და წყალში ჩაყვინთა. გრეჰემს ისევ შემოესმა ბერტ უეინრაიტის აღტაცებული შეძახილი: «ნამდვილი ანეტ კელერმანია». პაოლას ოინებით ჯერ კიდევ გაჯავრებული გრეჰემი კვლავ პატარა დიასახლისზე, ყველასათვის განსაცვიფრებელ ამ უმშვენიერეს ქმნილებაზე ფიქრს მიეცა. ფიქრობდა იმაზე, თუ რატომ იყო პაოლა ფორესტი ასეთი განსაკუთრებული და საოცარი არსება. აუზის მეორე მხრისაკენ წყალქვეშ ცურვით მიმავალი, თვალგახელილი ივენი ახლა იმაზედა ფიქრობდა, რომ არსებითად პაოლას წარსულზე სრულიად არაფერი იცოდა. იცოდა მხოლოდ, რომ დიკ ფორესტის მეუღლე იყო, ეს იყო და ეს. სად დაიბადა, როგორ ცხოვრობდა, როგორი წარსული ჰქონდა, გრეჰემმა არაფერი უწყოდა. ისიც გაახსენდა, ერნესტინამ რომ უთხრა, მე და ლიუტი პაოლას ნახევარძებნი ვართო. ყოველ შემთხვევაში, ეს ძალიან მცირე ცნობა იყო მისთვის.

წყლის ფსკერი გაბაცდა და გრეჰემი მიხვდა, რომ აუზის კიდეს უახლოვდებოდა. უეცრად წყალში ერთმანეთზე გადახლართული ფეხები დაინახა. ერთმანეთს შებ-

მოდნენ დიკი და ბერტი. უკან გატრიალდა, რამდენიმე ფუტი კიდევ გაცურა, თუმცა წყლის ზედაპირზე არ ამოსულა.

ფიქრებში წასულს ახლა მისის ტიული გაახსენდა, რომელსაც პაოლა მამიდა მართას ემახდა. ნეტავი მართლა მაგისი მამიდაა თუ პაოლა ზრდილობის გამო მიმართავს ასე? იქნებ, ერნესტინას და ლიუტის დეიდაა?

ნაპირზე ამოყვინთვისთანავე გრეჰემი კატათაგვობანას სათამაშოდ მიიწვიეს. ამ მეტად სხარტი და გამაცოცხლებელი თამაშის დროს, რომელიც დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა, გრეჰემმა არაერთხელ შენიშნა ის სიმსუბუქე, მოქნილობა და სწრაფი გააზრების უნარი, რასაც რგოლიდან თავის დაღწევისას პაოლა ამჟღავნებდა. ბოლოს დაღლილი მოთაამაშეების წრე დაიშალა, აუზის მთელი სიგრძე ქოშინით გადაცურეს, ნაპირზე ამოვიდნენ და მისის ტიულის გარშემო მზეს მიეფიცხნენ.

მალე ისევ ხუმრობა და გართობა განაგრძეს. პაოლა ჯიუტად შეეკამათა მისის ტიულის და აშკარა უაზრობას ამტკიცებდა.

— არა, მამიდა მართა, ის, რომ ცურვა არ იცით და არასოდეს გისწავლიათ, არ ნიშნავს, ასეთი პოზიცია გეჭიროთ. აი, მე ნამდვილი მოცურავე გახლავართ და გარწმუნებთ, რომ ჩავყვინთავ აუზში და ასე ათ წუთს გავჩერდები.

— სისულელეა, ჩემო ბავშვო, — შეეპასუხა მისის ტიული. — მამაშენს, როდესაც იგი ჭაბუკი იყო და ბევრად ახალგაზრდა, ვიდრე შენ ხარ ახლა, შეეძლო ყველა მოცურავეზე დიდხანს დარჩენილიყო წყალში. და მაინც, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ სამ წუთსა და ორმოც წამს შეეძლო წყალქვეშ ყოფნა. მე ძალიან კარგად ვიცი, რადგან თვით მეჭირა საათი და წუთებს ვითვლიდი, როდესაც ის ჰარი სელბის დაენამლევა და აჯობა კიდევ.

— ოჰ, ვიცი, კარგად ვიცი, რა კაციც იყო მამაჩემი, — გამოეპასუხა პაოლა, — მაგრამ დრონი იცვლებიან. ახლა ჩემი საყვარელი მამა რომ კვლავ ჭაბუკი იყოს და წყალში იმდენხანს გაჩერება სცადოს, რამდენ ხანსაც მე, ვერ გაუძლებდა, ნამდვილად ვიცი. ათი წუთი? რა არის ათი წუთი. რა თქმა უნდა, ათ წუთს მე შემიძლია წყალქვეშ თავისუფლად გავძლო და გავძლებ კიდევ. თქვენ კი აიღეთ, მამიდა მართა, საათი და თვალი ადევნეთ. ეს ისევე ადვილია, როგორც...

— როგორც ოჩხით თევზის ჭერა, — უკარნახა დიკმა.

პაოლა კომპურის ყველაზე მაღალ ბაქანზე ავიდა.

— დრო დაინიშნეთ, როდესაც გადავხტები! — შესძახა მან.

— ერთნახევარი ბრუნის გააკეთე ჰაერში, — დაუძახა დიკმა.

პაოლამ თავი დაუქნია, გაიღიმა და ისე მოაჩვენა, თითქოს რაც შეიძლება მეტი ჰაერის ჩასუნთქვას აპირებდა. გრეჰემი აღტაცებით შეჰყურებდა. თვითონ შესანიშნავი მოცურავე გახლდათ, მაგრამ იშვიათად შეხვედროდა ქალი, ისიც არაპროფესიული მოცურავე, ერთნახევარ ბრუნს დათანხმებოდა. სველი ზურმუხტისფერი აბრეშუმის საცურაო კოსტიუმი მჭიდროდ შემოკვალთოდა ტანზე და მის სწორ, პროპორციულ ნაკვთთა სიმშვენიერეს და უზადო აღნაგობას აამკარავებდა. პაოლა თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ფილტვების ყოველი დუიმი ჰაერით აივსო. ფეხი ფეხს მიატყუპა, გასწორდა, ტრამპლინმა თითქოს ოდნავ უბიძგაო და დაბლა დაეშვა. პაოლამ ჰაერში სხეული ბურთივით შეკრა, ამოტრიალდა, მერე კვლავ გასწორდა, მიიღო თავდაპირველი, იდეალურად სწორი მდგომარეობა და თითქმის უხმაუროდ შეეხო წყალს. «ფოლადის სოლი უფრო მეტ ხმაურს გამოსცემდა». — გაიფიქრა გრეჰემმა.

— ოჰ, მე რომ ასეთი ყვინთვა ვიცოდე! — ოხვრით წამოიძახა ერნესტინამ, — მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება. დიკის აზრით, აქ საქმე რიტმშია, ყველა მოძრაობის

ერთმანეთთან შეთანხმებაში. აი, რატომ ყვინთავს პაოლა ასე ჩინებულად. მას დროის შესანიშნავი შეგრძნების უნარიც აქვს...

— საქმე მართო რიტმი როდია, მთავარი სიძნელე მოძრაობისათვის სხეულის თავისუფალ მიშვებაშია, — წარმოთქვა გრეჰემმა.

— მაგრამ გააზრებულ მიშვებაში, — შენიშნა დიკმა.

— კუნთების მოდუნების ცოდნაში, — დაუმატა გრეჰემმა, — თვით პროფესიულ მოცურავესაც გაუჭირდებოდა ჰაერში ერთნახევარი ბრუნის გაკეთება.

— ამით მე უფრო ვამაყოფ, ვიდრე თვითონ, — წარმოთქვა დიკმა. — საქმე ის გახლავთ, რომ ყვინთვა მე ვასწავლე, მაგრამ თვითონ ძალიან მოხერხებული და მოსაზრებელია. ძალდაუტანებლადაც შეძლო ყოველივეს ათვისება. მოძრაობის შესანიშნავი კოორდინაცია აქვს, ნებისყოფის სიძლიერისა და დროის გრძნობის უნართან შეერთებული. ასე რომ, მის პირველივე ცდას დიდი წარმატება მოჰყვა.

— პაოლა საოცრად ყოჩაღია, — ამაყად წარმოთქვა მისის ტიულიმ და მზერა საათის წამზომიდან აუზის წყნარ ზედაპირზე გადაიტანა. — ქალები, საერთოდ, მამაკაცებზე ცუდად ცურავენ. პაოლა კი გამონაკლისია... სამი წუთი და ორმოცი წამი... მამას უკვე აჯობა.

— მაგრამ ხუთ წუთს ვერ გაძლებს, ათ წუთს ხომ მით უმეტეს... — შუბლშეკვრით განაცხადა დიკმა. — ფილტვები დაუსკდება.

ოთხი წუთის შემდეგ, მისის ტიულის შეშფოთება დაეტყო, ხან ერთს შეხედავდა და ხან მეორეს. კაპიტანი ლესტერი, რომელმაც აუზის საიდუმლოება არ იცოდა, წყევლა-კრულვით ფეხზე წამოიჭრა და აუზში გადაეშვა.

— რაღაც მოხდა, — წარმოთქვა მისის ტიულიმ ნაძალადევი სიმშვიდით.

— შეიძლება რამე დაიზიანა ჩაყვინთვის დროს? სასწრაფოდ მოძებნეთ, აბა ჩქარა, ვაჟკაცებო.

გრეჰემი, ბერტი და დიკი წყალქვეშ ხელის ჩამორთმევით და სიცილით შეეგებნენ ერთმანეთს. მერე დიკმა ანიშნა და აუზის მოზნელებული ადგილისაკენ, ნიშისკენ გასწიეს, სადაც პაოლა წყალში ფეხზე მდგომი ნახეს. ერთხანს ოთხივენი ჩურჩულებდნენ და იცინოდნენ.

— გვინდოდა დავრწმუნებულიყავით, ხომ არაფერი დაგემართა, — აუხსნა დიკმა. — ახლა კი დროა, უკან წავიდეთ... პირველად შენ, ბერტ, მე ივენს გამოვყვები.

სამივემ ერთიმეორეზე მიყოლებით გამოსცურა წყლის უკუნი და ზედაპირზე ამოვიდა.

მისის ტიული ფეხზე წამოჭრილიყო და აუზის კიდესთან იდგა.

— დიკ, თუ ეს ისევ თქვენი ახალი ოინია... — დაიწყო მან. — მაგრამ დიკმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია ქალის სიტყვებს და არაბუნებრივი სიმშვიდითა და საკმაოდ ხმამაღლა, ისე რომ მისის ტიულის კარგად გაეგონა, წარმოთქვა:

— მეტად გულისხმიერად უნდა ვიმოქმედოთ, მეგობრებო! — მიმართა მან თავის თანამგზავრებს. — ბერტ და ივენ, უნდა გამომყვეთ, აუზის ამ ბოლოდან დავიწყებთ. ყველანი ერთად გავცურავთ ერთმანეთისგან დაახლოებით ხუთი ფუტის მანძილის დაშორებით და ფსკერს შევამოწმებთ. მერე უკან გამოვბრუნდებით და კვლავ იმასვე გავიმეორებთ.

— თავს ნუ შეიწუხებთ, ჯენტლმენებო, — დაუძახა მათ მისის ტიულიმ და უეცრად გაიცინა. — თქვენ კი, დიკ, ერთი ამოდით, ყური უნდა აგიწიოთ.

— გოგონებო, მისის ტიულის მიხედვით, — დაუყვირა დიკმა ქალიშვილებს, — მგონი, ისტერიკა დაემართა.

— ჯერ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე დამემართება, — კვლავ გაიცინა მისის ტიულიმ.

— ეშმაკმა დალახვროს, ქალბატონო, რა არის აქ სასაცილო!

სუნთქვაშეკრული კაპიტანი ლესტერი წყლიდან ამოიჭრა და კვლავ მოსაძებნად მოემზადა.

— მამიდა მართა, თქვენ იცით, რა ამბავია? — ჰკითხა დიკმა, როცა მამაცმა კაპიტანმა წყალში კვლავ ჩაყვინთა და ჩაიმაღა.

მისის ტიულიმ თავი დააქნია.

— მხოლოდ გაჩუმდით, დიკ, ერთი ხომ გაასულელე, ეს ყოველივე ელსი კოგლენის დედამ მიაძხო, ჰონოლულუზე, შარშან.

ის იყო მეთერთმეტე წუთი დადგა, რომ ზედაპირზე პაოლას მოდიმარი სახე გამოჩნდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს დაქანცულობისაგან ძლივს სუნთქავდა. მერე ნელა ამოზობლდა ნაპირზე და მამიდის გვერდით სილაზე დაეშვა. კაპიტანი ლესტერი კი უშედეგო ძიებით ნამდვილად ღონემიხდილი, დიდი ყურადღებით ათვალთვლებდა პაოლას სახეს. მერე მახლობელ სვეტთან მივიდა და სამჯერ მიარტყა ზედ თავი.

— ვფიქრობ, ათი წუთი ჯერ კიდევ არ გასულა, — წარმოთქვა პაოლამ, — მაგრამ, ალბათ, ბევრიც არა აკლია რა. ხომ მართალია, მამიდა მართა?

— შენ წყლის ქვეშ თითქმის არა ყოფილხარ, — უპასუხა მისის ტიულიმ. — თუ გასურს იცოდე ჩემი აზრი, განცვიფრებულიც ვარ, სველს რომ გხედავ. დიახ, დიახ, ბუნებრივად ისუნთქე, ჩემო ბავშვო. საჭირო არ არის კომედიის გათამაშება. მახსოვს, ახალგაზრდობაში ინდოეთში ვმოგზაურობდი. ინდოეთი ჯადოქრობით (ფაკირების სკოლით) იყო განთქმული. ისინიც ღრმა ჭების ფსკერზე ეშვებოდნენ და იქ შენზე მეტხანს რჩებოდნენ. დიახ, სწორედ შენზე მეტხანს.

— თქვენ უთუოდ იცოდით ყოველივე! — წამოიძახა პაოლამ.

— მაგრამ შენ ხომ არ იცოდი, რომ მე ვიცოდი, — შეესიტყვა მამიდა, — შენი საქციელი პირდაპირ დანაშაულებრივია, როგორ გაბედე ჩემი ასაკისა და გულის პატრონის წინაშე...

— თქვენისთანა საოცრად გულწრფელი და ალღოს ძნელად ამღები ადამიანის წინაშე, არა? — დაუმატა პაოლამ.

— მართალი მოგახსენოთ, ძალიან მინდა ყური აგიწიოთ.

— მე კი მინდა მოგეხვიო, თუმცა სრულიად სველი ვარ, — გაიცინა პასუხად პაოლამ. — ყოველ შემთხვევაში, კაპიტან ლესტერს ძალიან ავუბნიეთ თავგზა, არა, ბატონო კაპიტანო?

— მაგას ნულა მელაპარაკებით, — პირქუშად წარმოთქვა ძველმა მეზღვაურმა, — აღარ მცალია, შურისძიების გეგმას ვადგენ. რაც შეგეხებათ პირადად თქვენ, მისტერ დიკ ფორესტ, ჯერ კიდევ არ ვუწყი, რას მოვიმოქმედებ: არ ვიცი, თქვენი მესაქონლეობის ფერმა ავაფეთქო და მუხლის მყესები გადავუჭრა იმ ულამაზეს ულაცს, რომლისთვისაც «მთიელი» შეგირქმევიათ. იმდენად გულმოსული ვარ, ალბათ, ერთსაც ჩავიდენ და მეორესაც. ამჟამად კი თქვენს ფაშატზე ამოვიყრი ჯავრს.

დიკი მიუკარებელ თავნება ფაშატზე იჯდა, პაოლა კი ფონზე და ასე ერთმანეთის გვერდიგვერდ სახლისაკენ მიეშურებოდნენ.

— როგორ მოგწონს გრეჰემი? — ჰკითხა დიკმა.

— შესანიშნავია, — უპასუხა პაოლამ. — როგორღაც შენ გამსგავსებ, დიკ. ყველაფერში ისეთივე სრულყოფილია, როგორც შენ. აშკარად ემჩნევა მთელი მსოფლიო, ყველა ზღვა და ოკეანე რომ გადაუსერავს. ისევე უყვარს წიგნები, როგორც შენ და, საერთოდ, ყველაფერში გგავს. გარდა ამისა, მხატვარიც არის. ერთი სიტყვით, სულ ერთ-

თიანად კარგია. უყვარს ხუმრობა, ნამდვილად შესანიშნავი კაცია. შეგინიშნავს მისი ღიმილი? გაძლება შეუძლებელია, გინდა ამ მომაჯადოებელ ღიმილს შენც უსათუოდ ღიმილითვე უპასუხო.

— დიახ, მაგრამ ღრმა ნაოჭებისა და იარების კვალიც ხომ შესამჩნევია, — შენიშნა დიკმა.

— განსაკუთრებით თვალის უპეებში, სიცილის დროს, იმასაც ვერ იტყვი, დადლილობის კვალიაო. ვფიქრობ, დასაბამიდან დღემდე საუკუნეებით მომდინარე გადაუწყვეტელი კითხვებია: რატომ? რისთვის? ღირს თუ არა? რის გულისთვის უნდა ჩაიდინო ეს ყოველივე?

კავალკადის ბოლოში მომავალი ერნესტინა და გრეჰემიც საუბრობდნენ.

— დიკი სულაც არ არის მარტივი პიროვნება, პირიქით, ძალზე რთული კაცია, — ამტკიცებდა ერნესტინა. — თქვენ კარგად არ იცნობთ მას. მე, რა თქმა უნდა, შედარებით ნაკლებად ვიცნობ, აი, პაოლა იცნობს შესანიშნავად. მის სულში შეჭრა კი ძალიან ცოტას თუ შეუძლია. ნამდვილი ფილოსოფოსია. თავი ისე უჭირავს, როგორც ნამდვილ სტოიკოსს ან ინგლისელს შეჰფერის. თან ისეთი მსახიობური ნიჭი აქვს, შეუძლია მთელი ქვეყნიერება ცდუნების ბურანში გაახვიოს.

მუხების ქვეშ, საბმურებთან ჩამოხტნენ ცხენებიდან. მთელმა საზოგადოებამ იქ მოიყარა თავი. პაოლას ცრემლები სცვიოდა, ისე გულიანად კისკისებდა:

— განაგრძე, განაგრძე! — აქეზებდა მეუღლეს, — კიდევ, კიდევ!

— მარწმუნებს, მალე სიტყვები არ გეყოფა, ყველა მოსამსახურე ბიჭსა და გოგოს თუ ასე შენებურად მონათლავო, — განმარტა დიკმა.

— იცით, სულ მცირე ორმოცი სახელი მაინც შემომთავაზა წუთნახევარში. ახა, კიდევ გაიმეორე, დიკ, კიდევ!

— მაშ ასე, — განაგრძო დიკმა წამდერებით. — ჩვენ გვეყოლება ო-სინ, ო-პშო, ო-სინგ, ო-სენგ, ო-ლასტ, ო-ლისტ, ო-პინგ, ო-პონგ, ო-მორ, ო-მოუსტ, ო-ნოტ და ო-ნიტ.

სახლისკენ მიმავალი დიკი ღიღინით განაგრძობდა ამ უცხო და უცნაურ სიტყვათა იმპროვიზირებას.

## თავი მეჩვიდმეტე

მთელი მომდევნო ერთი კვირა გრეჰემი საოცრად შეშფოთებული და გაღიზიანებული იყო. სულს უწუხებდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრი. საკუთარი გულისთქმა ხან ამ დიდებული სახლის, იქაურობის დაუყოვნებლივ დატოვებასა და პირველივე მატარებლით გაცლას კარნახობდა, ხანაც იგივე გულისთქმა პაოლას კვლავ ხილვასა და რაც შეიძლება მასთან დიდხანს ყოფნას სთხოვდა. ამ ფიქრთა ჭიდილში მიქროდნენ დღეები. გრეჰემი იშვიათად ერეოდა პაოლას საზოგადოებაში. ახლა უფრო იშვიათად ხედავდა, ვიდრე სტუმრობის პირველ დღეებში.

მთელი ის ხუთი დღე, ვიდრე ჭაბუკი მევიოლინე იქ იყო, პაოლას არ მოშორებია. გრეჰემი არცთუ იშვიათად ესწრებოდა მათ კონცერტებს მუსიკის ოთახში, თუმცა ნახევარსაათობით უყურადღებოდ მიტოვებული მოწყენილი იჯდა და თვალყურს ადევნებდა მათ მუშაობას.

მუსიკით გატაცებულებს ხშირად ავიწყდებოდათ გრეჰემის ოთახში ყოფნა. წამიერი შესვენების დროს კი შუბლზე ოფლს იწმენდნენ და კარგი მეგობრებით სიცილითა და მასლაათით ერთობოდნენ. ჭაბუკი მუსიკოსი თითქმის ავადმყოფური გატაცებითა და მგზნებარებით, ფარულად ემიჯნურებოდა პაოლას. გრეჰემი ყოველთვის თვალნათლივ ამჩნევდა, თუმცა მძიმე ტკივილს მხოლოდ პაოლას ადტაცებულ

თვალთა ელვარება ჰგვრიდა, რომლითაც ქალი უეირს ასაჩუქრებდა რომელიმე ნაწარმოების კარგად შესრულებისათვის. გრეჰემი ტყუილად იმშვიდებდა თავს, რომ ეს პაოლას მხრით წმინდა გონებრივი გატაცება იყო, ჭაბუკი მუსიკოსის უბადლო ხელოვნებით აღფრთოვანება და მეტი არაფერი. გრეჰემი ჭეშმარიტი მამაკაცი გახლდათ და მათი მეგობრული დამოკიდებულებაც კი ისეთ ღრმა ტკივილს ჰგვრიდა, რომ მუსიკის ოთახში გაძლება აღარ შეეძლო.

ერთხელ შემთხვევით მუსიკის ოთახში გრეჰემს სწორედ იმ დროს მოუხდა შესვლა, როდესაც პაოლამ და უეირმა გამომშვიდობებისას უკანასკნელად შეასრულეს შუმანის ერთ-ერთი სიმღერა. პაოლა მეოცნებე თვალებით ჯერ ისევ როიალთან იჯდა და სადღაც შორს იყურებოდა. უეირმა სწორედ იმ დღეს დატოვა დიდი სახლი. პაოლამ ისე შეხედა გრეჰემს, იფიქრებდით, ვერ იცნოო, შემდეგ, თითქოს გონს მოეგო, რამდენიმე არაფრისმთქმელი სიტყვა ჩაილაპარაკა და დარბაზი დატოვა. მიუხედავად აუტანელი განცდისა და შეურაცხყოფის გრძნობისა, გრეჰემი შეეცადა პაოლას ხასიათის ასეთი უცნაური განწყობილება მუსიკის გავლენისა და მისი გამოძახილისათვის მიეწერა, ჯერაც რომ ზარივით რეკდა პაოლას გულში. თუმცა ქალები, მართლაც, მეტად უცნაური არსებანი არიან, — ფიქრობდა გრეჰემი, — შეუძლიათ სრულიად ამოუხსნელ მისწრაფებებს დაემონონ. ხომ შეიძლებოდა ამ უნიჭიერეს ჭაბუკს თავისი უბადლო ხელოვნებით გაეტაცნა და მოეჯადოებინა იგი, როგორც ქალი?

უეირის წასვლის შემდეგ პაოლა დიდ, უსახელურო კარს იქით, საკუთარ სამყოფელში ჩაიკეტა და თითქმის აღარ გამოდიოდა. ეს ამბავი იმ ოჯახში არავის გაკვირვებია. გრეჰემიც დარწმუნდა, რომ მის ასეთ ქცევაში განსაკუთრებული არაფერი იყო.

— პაოლა ხშირად კმაყოფილებასა და სიამოვნებას მარტოობაში პოულობს, — აუხსნა გრეჰემს ერნესტინამ. — აქვს ისეთი წუთებიც, როდესაც ყველას ნახვას ეკრძალების, ასეთ დროს მხოლოდ დიკს აქვს უფლება მოინახულოს იგი.

— რაც არცთუ ისე სასიამოვნო რამ არის საზოგადოების სხვა წევრებისათვის, — გაიღიმა გრეჰემმა.

— მაგრამ გაცილებით უკეთესია, როდესაც მერე საზოგადოებას უბრუნდება.

სტუმართა მოზღვავება დიდ სახლში თანდათან შემცირდა. მართალია, ხანდახან მეგობრული ვიზიტით თუ რაიმე საქმეზე კვლავ მოდიოდნენ, მაგრამ სტუმრების მოსვლა ყოველდღიურად კლებულობდა. ო-ჯაისა და სხვა ჩინელ მსახიობთა წყალობით მთელ სახლში საოცარი წესრიგი და თადარიგიანობა სუფევდა. მასპინძელს სტუმრების გასართობად დროის დახარჯვაც არ უხდებოდა. ხშირად სტუმრები თვითონვე უძღვებოდნენ საკუთარ თავს და ერთმანეთსაც ართობდნენ. დიკი საუზმემდე ვერ იცლიდა. თავისი აღთქმის ერთგული პაოლა კი მხოლოდ სადილობისას თუ გამოჩნდებოდა ხოლმე.

— ესაა დასვენებით მკურნალობა, — სიცილით უთხრა ნაშუადღევს დიკმა გრეჰემს და კრივში საასპარეზოდ გამოიწვია, ან იქნებ სულაც რაპირებით ან კეტებით ბრძოლაში გავეჯიბროთო.

— ახლა კი დროა, ხელი მოჰკიდო წიგნზე მუშაობას, — განუცხადა დიკმა რაუნდებს შორის ერთ-ერთი შესვენებისას. — მე ერთი იმათგანი ვარ, ვინც მოუთმენლად ელის შენი წიგნის გამოცემას და ღრმად მწამს, რომ მალეც იქნება. გუშინ სწორედ ჰეგლისაგან წერილი მივიღე: მეკითხება, ბევრი აქვს თუ არა დაწერილიო.

ჰოდა აი, გრეჰემი კომპში ჩაიკეტა, ჩანიშნული მასალები და სურათები გადასინჯა, გეგმა შეადგინა, სამუშაოდან თავს აღარ იღებდა; პირველ თავებზე მუშაობა დიდი მონდომებით დაიწყო. ამ ამბავმა იმდენად შთანთქა, რომ პაოლათი გატაცება,

იქნებ, კიდევაც გაქრობოდა, ყოველდღიურად სადილზე შეხვედრა რომ არა. თუმცა, ვიდრე ერნესტინა და ლიუტი სანტა-ბარბარაში გაემგზავრებოდნენ, კვლავ გრძელდებოდა ერთობლივი ცურვა. ხან მანქანებითა და ცხენებითაც სეირნობდნენ. მირიმარის ბორცვებზე ეწყობოდა შეჯიბრება მოტორბოლაში. რამდენიმე მოგზაურობა ანსელმოს მთებშიც მოეწყო. ზოგიერთ გასეირნებაში დიკიც მონაწილეობდა. დადიოდნენ მიწახაპია მანქანებისა და მიწის სამუშაოების დასათვალიერებლად, საკრამენტოს ველზე რომ მოაწყო ამ განსაცვიფრებელი გონების პატრონმა კაცმა. დიდი ინტერესით შეჰყურებდნენ ლიტლ კოიოტზე კაშხალის მშენებლობას. ინტერესით ეცნობოდნენ აგრეთვე ლოს-კვატოს ხეობაში დაწყებულ მშენებლობას, სადაც დიკმა ფერმერთა კოლონია მოაწყო ხუთასი აკრის ფართობზე და თითოეულ ფერმერს ოცი აკრი მამული უსასყიდლოდ გადასცა. ახლა ყოველ ღონეს ხმარობდა, დაახლოებით ორას-ორმოცდაათი ფერმერისა და მათი ოჯახებისათვის ყოველგვარი საშუალება მიეცა და იქ საფუძვლიანად დაესახლებინა.

გრეჰემმა იცოდა, ქურციკზე ამხედრებული პაოლა ხშირად მარტოდმარტო დიდხანს რომ სეირნობდა. ერთხელ ცხენების საბმურთან შეხვდა კიდევ.

— ნეტა თუ გაწუხებთ, რომ თქვენი ფაშატი სხვებთან ერთად სიარულს გადაეჩვევა, — ჰკითხა გრეჰემმა სიცილით.

პაოლამ გადაიკისკისა და თავი გაიქნია.

— მაშინ, ერთხელ მაინც დამრთეთ ნება ერთ-ერთი ასეთი სეირნობისას დაგემგზავროთ, — გულწრფელად და საკმაოდ გაბედულად გამოუტყდა გრეჰემი.

— აი, ლიუტი, ერნესტინა, ბერტი, რამდენიც გნებავთ, იმდენი თანამგზავრი შეგიძლიათ ამოირჩიოთ.

— ეს ჩემთვის სრულიად უცნობი ადგილებია, — დაჟინებით განაგრძობდა გრეჰემი. — ყველაზე კარგად ადგილმდებარეობას მხოლოდ იმათგან გაიცნობ, ვინც მას ყველაზე უკეთ იცნობს. მე უკვე ვიხილე იგი ლიუტის, ერნესტინას და სხვების თვალით, მაგრამ ძალიან ბევრი რამ დამრჩა სანახავი და მხოლოდ თქვენი თვალით მსურს ვიხილო.

— საინტერესო თეორიაა, — წარმოთქვა პაოლამ, — რაღაც გეოგრაფიული ვამპირიზმის მსგავსი...

— მაგრამ ვამპირიზმის მავნე შედეგებისაგან თავისუფალი, — სწრაფად მიუგო გრეჰემმა.

პაოლას პასუხმა დაიგვიანა. მან გულწრფელად და პირდაპირ შეხედა გრეჰემს თვალებში; გრეჰემი მიხვდა, პაოლა წონიდა და აკვირდებოდა თითოეულ სიტყვას.

— ეს ჯერ კიდევ საკითხავია! — წარმოთქვა მან ბოლოს. გრეჰემის ფიქრი ამ ოთხ სიტყვას ჩაეჭიდა და ცდილობდა მათი იდუმალი მნიშვნელობა ამოეხსნა.

— ასე მგონია, ძალიან ბევრი რამ გვაქვს სათქმელი, — კვლავ დაჟინებით განაგრძობდა გრეჰემი. — ბევრი... დიახ, რაც ერთმანეთისათვის უნდა გვეთქვა.

— დიახ, ვხვდები, — უპასუხა პაოლამ წყნარად და კვლავ შეხედა თავისი გულწრფელი პირდაპირი გამომეტყველებით.

«ხვდება», — გაიფიქრა გრეჰემმა და ეს აზრი ცეცხლივით შემოენთო მთელ სხეულზე, მაგრამ ენა ვერ დაძრა საპასუხოდ რაიმე წარმოეთქვა. ვერ მოახერხა განრიდებოდა მარღვებში სისხლის გამყინავ, იმ გამომწვევ სიცილს, რომლითაც სახლისკენ მიმავალი პაოლა გაუმასპინძლდა.

ფორესტების სახლი თანდათანობით ცარიელდებოდა. პაოლას მამიდა, მისის ტიული, რამდენიმე დღის შემდეგ გაემგზავრა (გრეჰემი მისგან ელოდა პაოლას ამბების გაგებას), თუმცა იმასაც ამბობდნენ, მერე უფრო დიდი ხნით ჩამოვა, მაგრამ ევ-

როპიდან სულ ცოტა ხნის წინათ დაბრუნებულ ქალს, როგორც თვით აცხადებდა, უამრავი სავალდებულო ვიზიტი ჰქონდა მოსალევი, მხოლოდ მერე თუ იფიქრებდა საკუთარ სიამოვნებაზე.

კრიტიკოს ო'ჰეის გადაწყვეტილი ჰქონდა, რამდენიმე დღე დარჩენა, რათა ცოტა მოსულიერებულოცო იმ მარცხის შემდეგ, ფილოსოფოსებმა რომ განაცდევინეს. მთელი ეს ამბავი და მისი მთავარი იდეა დიკის შთანაფიქრი გახლდათ. ბრძოლა სალამოს ადრიანად გაჩაღდა: ერნესტინას თითქოსდა შემთხვევითმა შენიშვნამ არონ ჰენკონკს საშუალება მისცა ო'ჰეის ღრმა რწმენის საწინააღმდეგო პირველი ყუმბარა ესროლა. ხოლო მისმა მგზნებარე და მოუთმენელმა თანამოაზრემ დარ-ჰიალმა გვერდიდან მოუარა და მუსიკის საკუთარი ცინიკური თეორიიდან სტუმარს კრიტიკის ცეცხლი ზურგიდან გაუხსნა. ბრძოლა იმდენხანს გაგრძელდა, ვიდრე დახელოვნებულ მოკამათეთა დარტყმებით გაოგნებული ფიცხი ირლანდიელი იძულებული არ გახდა ტერენს მაკფეინის თავაზიანი მიწვევა მიეღო, რათა დასამშვიდებლად და სულის მოსათქმელად მასთან ერთად საბილიარდოში ჩასულიყო და იქ სრულიად წყნარად, ყინულზე ჩაციებულ სოდიან ვისკიზე გადაეყოლებინა გული. სურდა, ამ ბარბაროსთა ბრბოს განშორებოდა და მხოლოდ ორს ერთურთის პირისპირ შეძლებოდა მუსიკაზე გულახდილი საუბარი. მხოლოდ ღამის ორ საათზე სახეშეცვლილი, ველურივით თვალანთებული და ღვინით უჩვეულოდ დაბანგული ო'ჰეი ჯერ ისევ მტკიცე ნაბიჯით მავალმა ტერენსმა საწოლში ჩააწვინა.

— ეს არაფერი, — უთხრა ერნესტინამ ო'ჰეის მეორე დღეს და თვალეზი ისევ ეშმაკურად აუციმციმდა, ო'ჰეისთვის ცხადი შეიქნა მისი მონაწილეობა ამ შეთქმულებაში და მთელი ამ ამბის ასავალ-დასავალი. — ასეც იყო მოსალოდნელი ამ ჩვენი ვაი-ფილოსოფოსებისაგან, მათი გადამკიდე წმინდანიც კი გამოთვრება.

— ვფიქრობდი, ტერენსთან არავითარი საფრთხე არ ელის-მეთქი, — წარმოთქვა დიკმა ოდნავი ირონიით. — თქვენ ხომ ორივე ირლანდიელები ხართ. ის კი მთლიანად გადამავიწყდა, რომ ტერენსი ამ საქმეში ასე გამოწრთობილი პიროვნებაა. იცით, თქვენ რომ ტერენსი გამოგემშვიდობათ, ჩემთან შემოვიდა სალაყბოდ. ჯერ ისევ ფხიზელი იყო, კლდესავით იდგა. ისე, სრულიად სხვათა შორის აღნიშნა, რამდენიმე ჭიქა გადავკარიეთო. ასე რომ, ვერასოდეს ვიფიქრებდი... თუ თქვენ ასე შეგაცდენდათ და გაგაბრიყვებდათ...

როდესაც ერნესტინა და ლიუტი სანტა-ბარბარაში გაემგზავრნენ, ბერტ უენრაიტსა და მის დასაც გაახსენდათ საკრამენტოში კარგა ხნის მიტოვებული საკუთარი კერა. მართალია, დიდ სახლს იმ დღესვე ეწვია რამდენიმე მხატვარი, რომელთაც პაოლა მფარველობდა, მაგრამ სტუმრები დილიდან საღამომდე არსად ჩანდნენ. ეტყობოდა, მთელ დღეებს სერებსა და ბორცვებზე ხეტიალში ატარებდნენ. ხან მეეტლეს მიჰყავდა შორს მთელი დღეობით, ხანაც გრძელ ჩიბუხებს საბილიარდოში აბოლებდნენ.

თავისუფლად და სრულიად მშვიდად მიედინებოდა ცხოვრება დიდ სახლში. დიკი თავაულებლად შრომობდა. გრეჰემიც საკუთარ შემოქმედებაში ჩაფლულიყო. პაოლა კვლავ განმარტოებით ატარებდა დღეებს საკუთარ სამყოფელში. «მადრონის ქალებიდან» ფილოსოფოსნი დროდადრო ცხადდებოდნენ დიდ სახლში სადილად და, თუ პაოლა არ უკრავდა, საღამოებს საუბარში ატარებდნენ. საკრამენტოდან, უეკენ-ბერგიდან და სხვა მახლობელი ქალაქებიდან კი ხშირად სრულიად მოულოდნელი სტუმრები გამოჩნდებოდნენ, მაგრამ ო-დაი და სხვა მსახური ბიჭები არასოდეს იბნეოდნენ. გრეჰემს საკუთარი თვალით უნახავს, დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ, აურაცხელ სტუმრებს როგორ უმასპინძლებოდნენ შესანიშნავი სადილით.

თუმცა იშვიათად, მაგრამ ხდებოდა ისიც, რომ მხოლოდ პაოლა, დიკი და გრეპემი აღმოჩნდებოდნენ ხოლმე სუფრის გარშემო. ნასადილევს, ვიდრე მოსასვენებლად გავიდოდნენ, მამაკაცები მთელ საათს საუბრობდნენ. პაოლა კი ამ დროს მეტად საამო მუსიკას უკრავდა თავისთვის და დარბაზსაც მათზე ადრე სტოვებდა.

ერთ მთვარიან საღამოს სრულიად მოულოდნელად დიდ სახლს უოსტონები, მეზონები და უომბოლდები ესტუმრნენ. მაშინვე ბრიჯის თამაში გაჩაღდა. სტუმრები რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ. გრეპემი ვერც ერთ კრებულს ვერ შეუერთდა. პაოლა განმარტოებით როიალთან იჯდა. მის ნახვას მოწყურებული გრეპემი პაოლას მიუახლოვდა და თვალეში წამიერად გამომკრთალი სიამის სხივის გაელვებას მოჰკრა თვალი, მაგრამ იგი ასევე სწრაფად ჩაქრა. პაოლა როგორღაც შეირხა, თითქოს მის შესახვედრად წამოდგომას აპირებო. გრეპემის დაკვირვებულ თვალს არც ეს გამოჰკარვია, ისევე, როგორც ნებისყოფის ის წამიერი დამაბვა, როცა პაოლამ აიძულა, საკუთარი თავი ადგილზე მშვიდად დარჩენილიყო.

და აი, მის წინ ისეთივე თვალწარმტაცი ქმნილება იდგა, როგორის ხილვასაც იყო ჩვეული, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბევრჯერ ჰქონდა კი მისი ხილვის ბედნიერება? — ფიქრობდა გრეპემი და უაზროდ ალაპარაკებული პაოლასთან ერთად გროვად დაყრილ სანოტო ალბომებს ათვალთვრებდა. გრეპემმა ჯერ ერთი, მერე მეორე რომანსისათვის ხმის შეწყობა სცადა. მისი მაღალი ბარიტონი ისე საამოდ ერწყმოდა პაოლას ლბილსა და თბილ სოპრანოს, რომ ბრიჯის აზარტულმა მოთამაშეებმა რამდენჯერმე იყვირეს — «ბის».

— დიახ, — წარმოთქვა პაოლამ ერთ-ერთი შესვენების დროს, — სევდამ უსამველოდ დამრია ხელი, როგორ მინდა დიკთან ერთად ქვეყნიერების სანახავად ახალი მოგზაურობის დაწყება. აი, ხვალვე რომ შეიძლებოდეს გამგზავრება, ერთი წამით არ დავაყოვნებდი, მაგრამ დიკი საკუთარი საქმეებითაა გართული; სრულიად მოუცლელია: თავის ცდებსა და გამოგონებებზე მუშაობს თავაულებლად. როგორ გგონიათ, რით არის ახლა ასე გატაცებული? ძველი წამოწყებანი აღარ აკმაყოფილებს. განზრახული აქვს მთელი გადატრიალება მოახდინოს ადემიციემობის სფეროში. ყოველ შემთხვევაში, კალიფორნიასა და წყნარი ოკეანის სანაპიროებზე მაინც. სურს აიძულოს შემსყიდველები, აქ, თავის მამულში ეახლონ.

— ისინი ხომ ისედაც დაუსრულებლად მოდიან, — შეესიტყვა გრეპემი. — პირველი ადამიანი, რომელსაც აქ შევხვდი, აიდაპოელი საქონლის შემსყიდველი გახლდათ.

— დიახ, მაგრამ დიკს სურს, ეს წესად იქცეს, რომ შემსყიდველნი ჯგუფებად მოედინებოდნენ ერთ გარკვეულ დროს და ეს იყოს არა უბრალო შესყიდვა, არამედ დიდი ინტერესის გამომწვევი აუქციონი, — ნამდვილი, ყოველწლიური აღმოსავლური ბაზარი, რომელიც სულ ცოტა — სამ დღეს გასტანს და სადაც მხოლოდ დიკ ფორესტის საკუთარი ნაწარმი გაიყიდება. ახლა თითქმის ყოველ დილით მას მისტერ ეგერი და მისტერ პიტსი უსხედან სამუშაო მაგიდასთან. მისტერ ეგერი მისი სავაჭრო რწმუნებულია, ხოლო მისტერ პიტსი მსხვილფეხა საქონლის გამოფენის მომწყობი აგენტი.

პაოლამ ამოიოხრა, თითებმა კი კლავიშები აახმიანეს.

— ოჰ, ნეტავ შესაძლებელი იყოს ტიმბუქტუს, მოკპოსა და ჯერიჩოში მოგზაურობა და მათი კვლავ ხილვა.

— გნებავთ დამარწმუნოთ, რომ მოკპოში ხართ ნამყოფი? — გაიცინა გრეპემმა. პაოლამ თავი დაიქნია.

— ღმერთმანი, ვიყავით — მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს, თუ ვცრუობდე. დიახ, ძალიან დიდი ხნის წინათ, დიკთან ერთად მისი საკუთარი იახტით ვიმოგზაურე ამ მხარეში. შეიძლება ითქვას, თავლობის თვე მოკპოში გავატარეთ.

გრეკემი ისმენდა შორეულ მოგონებებს მოკპოზე და თან იმის გამოცნობას ცდილობდა: თავისი მეუღლის ასე ხშირი ხსენება წინასწარ ხომ არ იყო მოფიქრებული.

— მე კი მეგონა, ამ დიდებულ მამულს სამოთხედ თვლიდით, — შეესიტყვა გრეკემი.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — არწმუნებდა პაოლა, თუმცა რაღაც ფარული შემფოთების კვალი მაინც იგრძნობოდა.

— არ ვიცი, რა მემართება ამ ბოლო ხანებში, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ აუცილებელია ჩემთვის გამგზავრება და აქაურობის განშორება. ალბათ, გაზაფხულის მძლეთამძლე ძალის ზემოქმედებას უნდა მიეწეროს ყოველივე... იქნებ, სულაც წითელკანიანთა ღმერთები გვაჯადოებენ მრავალგზის ნაცადი სამკურნალო წვეთებით... ოჰ, დიკი რომ ასე თავდავიწყებით არ შრომობდეს და ამ საოცარი გეგმებითა და პროექტებით არ იყოს ასე მოუცლელი... იცით, მთელი ამ დროის მანძილზე, რაც ჯვარი დავიწერეთ, ჩემი ერთადერთი უდიდესი და საშიში მეტოქე მიწაა. დიკი მყარი ბუნების ადამიანია და მისი პირველი სიყვარულის საგანიც, როგორც ვამჩნევ, მხოლოდ ეს მამულია. აქ ყოველივე მისმა საკუთარმა ხელმა და გონებამ შექმნა დიდი ხნით ადრე, სანამ მე გამიცნობდა და ამქვეყნად ჩემი არსებობის შესახებ რამეს შეიტყობდა.

— თუ შეიძლება, აი, ეს დუეტი ვცადოთ, — უცებ წარმოთქვა გრეკემმა და მის წინ პიუპიტრზე ნოტები გადაშალა.

— ოჰ, არა, ეს ხომ «ბოშათა ბილიკია», — უარი განაცხადა პაოლამ. — უფუნებობა უფრო მომეძალეება, — მაგრამ პირველი სტროფი თავისდაუნებურად მაინც ჩაილილინა:

შორეთში გაჰყევით ბოშურ პატერანს,  
იქ, სად მზე ჩადის, კრთის დასავლეთი,  
მიენდე შენ ნავს, იცუროს უგზოდ,  
მხარე ყოველი ერთია, ერთი.

— ნეტავი რას ნიშნავს ბოშური პატერანი? — იკითხა პაოლამ უცებ და სიმღერა შეწყვიტა. — ყოველთვის მეგონა, რომ ის არის კილოკავი, ბოშური კილოკავი, აი, ფრანგულის მსგავსი. ჰოდა, წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, როგორ უნდა გაჰყოლოდა სიტყვას ადამიანი ამქვეყნად სახეტილოდ, რაღაც ფილოლოგიური ექსკურსიის მსგავსად.

— სინამდვილეში პატერანი მართლაც კუთხური სიტყვაა, — უპასუხა გრეკემმა, — და ყოველთვის ერთსა და იმავე აზრს აღნიშნავდა და აღნიშნავს «ეს გზა მე უკვე გამივლია», ესე იგი გავლილი გზა. პატერანი ორი წნელია ერთმანეთზე გადახლართული, იდუმალი გრძნობისათვის განკუთვნილი და გზაზე დატოვებული. ორივე წნელი სხვადასხვა ჯიშის ხეზე ან ბუჩქზე უნდა მოიჭრას აუცილებლად. აქ, თქვენს მამულში, პატერანი შეიძლება მანსანიტისა და მადრონის წნელების გადაჯვარედინებით შევქმნათ: მუხისა და ნაძვის, წიფლისა და თხმელის, წითელი ხისა და დაფნის, სელშავასა და იასამნის. ამ ნიშანს ბოშები ერთურთს უტოვებენ გზაჯვარედინებზე: მეგობარი — მეგობარს, მიჯნური — მიჯნურს. — ახლა გრეკემმა წამოილილინა:

შენ ისევ ამ გზას უნდა გამოჰყვე,  
ზღვის ნაცნობ ბილიკს, გული როს გიგრძნობს;  
სამყარო ფეხით რომ შეაჯერო,  
წნულს იპოვი და უკან მოგიხმობს.

პაოლა თავის ქნევით აჰყვა ტაქტს, შემდეგ სევდით აღსავსე მზერა დარბაზს მოავლო და ბრიჯის მოთამაშეებზე შეაჩერა, მაგრამ უმაღლვე გამოერკვა დამაბნეველი ოცნებისაგან და მოულოდნელად განაცხადა:

— ღმერთმა უწყის, ყოველ ჩვენგანში რამდენი რამ არის ბოშური. ჩემში ვიცი, აურაცხელია. ჩემი მეუღლის ბუკოლიკური<sup>1</sup> (1 ბუკოლიკა — მწყემსური ცხოვრების ამსახველი პოეზია (ანტიკური).) მიდრეკილების მიუხედავად, დიკი, შეიძლება ითქვას, დაბადებით ბოშაა. ხოლო თუ იმის მიხედვით განვსჯით, რაც მან თქვენზე მიამბო, იგივე ბუნება თქვენს არსებაშიაც მეტისმეტად არის ფესვგადგმული

— არსებითად ნამდვილი ბოშა სწორედ თეთრკანიანი ადამიანია. უფრო სწორად რომ ვთქვათ: ბოშათა მეუფე, — შენიშნა გრეკემმა. — ის გაცილებით გაბედული, მამაცი და თავმეუკავებელი მოხეტიალეა და, რა თქმა უნდა, შედარებით ნაკლებად აღჭურვილი ამ საქმისათვის, ვიდრე რომელიმე ბოშა. ბოშები ჩვენ მიერ გაკვალულ გზებზე დადიან და არა — პირიქით. მათ არავითარი წვლილი არ მიუძღვით თეთრკანიანთათვის გზის გაკაფვაში. უმორჩილესად გთხოვთ, შევასრულოთ ეს სიმღერა...

ამ მეტად მხიარული, თავაწყვეტილი სიმღერის გაბედული სიტყვების წარმოთქმისას გრეკემი თვალმოუშორებლად, მოჯადოებულებით უმზერდა პაოლას და აკვირვებდა პაოლაცა და საკუთარი თავიც. განა მისი ადგილი აქ იყო, ამ ქალის გვერდით, მისი მეუღლის ჭერქვეშ? მაინც რატომ ხდებოდა ასე? ის ხომ დიდი ხნის წინათ უნდა გასცლოდა აქაურობას. ამდენი წლის შემდეგ მხოლოდ ახლა შეიცნო საკუთარი თავი. ეს იყო რაღაც დიდი და საბედისწერო უგუნურება. სწრაფად, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გაეცალოს აქაურობას. გრძნობის ტყვეობა მას წინათაც განეცადა, ერთგვარი მოჯადოება თუ გონის დაკარგვა, მაგრამ ისევ მალე ახერხებდა თავდახსნას. «ნუთუ ძალა არ შემწევს, წლებმა მომტეხეს და დამაუძღურეს? — ეკითხებოდა გრეკემი საკუთარ თავს. — ან, იქნებ, ეს განუსჯელობა ყველაზე ძლიერია, რაც კი ოდესმე აქამდე თავს გადამხდენია. ეს ყოველივე მის სულში ყველა იმ უძვირფასესი განცდების ხელყოფასა და გაცამტვერებას მეტყველებდა, ყველაფრის, რასაც ასე თავგამეტებით და მოკრძალებით ელოლიაგებოდა საკუთარი სულის უღრმეს კუნჭულებში. გრეკემს ხომ არასოდეს უღალატია მათთვის.

ამჟამად კი თავი ველარაფრით იხსნა ტყვეობიდან. იდგა პაოლას გვერდით, უმზერდა მისი წაბლისფერი თმის შესანიშნავ გვირგვინს, ოქროსფრად მოელვარე, ნაპერწკლებივით აციმციმიბუღულ, ყურებთან დაშვებულ მომაჯადოებელ კულულებს.

მღეროდა გრეკემი ამ ღვთაებრივ ქმნილებასთან ერთად და ეს საოცარი სიმღერა მთელ მის არსებას ცეცხლივით შემონთებოდა. ალბათ, ეს ცეცხლი პაოლასაც თუ მოედო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. მისი შინაგანი ბუნებისა და გრძნობების ქალმა სრულიად უნებურად გასცა თავი.

«პაოლა ჯადოქარია და ხმაც მომაჯადოებელი მიუცია ბუნებას». — ფიქრობდა გრეკემი. უსმენდა ამ ქალურ, ჰაეროვან მრავალმეტყველ ხმას, რომელიც არაფრით ჰგავდა სხვა ქალთა ხმას მთელ ქვეყნიერებაზე. გრძნობდა, როგორ ძალუმად ეღვრებოდა სულში. დიახ, ის გრძნობდა და თითქოს ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი უგუნურება პაოლასაც გადასდებოდა, რომ იმ წუთს ორივენი მხოლოდ ერთი და იმა-

ვე განცდით იყვნენ შეპყრობილნი. დიახ, ეს გახლდათ ქალისა და მამაკაცის შეხვედრა.

არა მარტო გრეკემი, ორივე იდუმალი მღელვარებით ასრულებდა სიმღერას. დიახ, უეჭველია, ეს აზრი, რაც უფრო ღრმად იჭრებოდა მის არსებაში, თითქოს გონს აცლიდა და ათრობდა კიდეც. როდესაც უკანასკნელ სტროფს მიაღწიეს და შერწყმულმა ხმებმა უფრო და უფრო მეტი მთრთოლვარება გამოსცეს. გრეკემის ხმაში განსაკუთრებული სითბო და მგზნებარება გაისმა.

როდესაც უკანასკნელი ბგერაც მიწყდა, გრეკემმა შეხედა პაოლას და მისი მზერის მოლოდინში გაირინდა. პაოლა მცირე ხანს გაუნძრევლად იჯდა და კლავიშებს დაჰყურებდა, მერე, როდესაც მისკენ თავი მოაბრუნა, გრეკემმა დიდი სახლის პატარა დიასახლისის სრულიად ჩვეულებრივი გამომეტყველება შენიშნა. პაოლას ბაგეზე ეშმაკური ღიმილი უთრთოდა, ხოლო თვალებში დაუცხრომელ სიანცეს დაესადგურებინა:

— წავიდეთ, დიკი აგებს და გავახელოთ, ჯერ არ მახსოვს, ბანქოს თამაშის დროს გული მოსვლოდეს, მაგრამ, როცა აგებს, საოცრად განიცდის და გუნება უფუჭდება. თამაში კი ძალიან უყვარს, — ამბობდა გრეკემის წინ მიმავალი პაოლა და სათამაშო მაგიდისაკენ მიეშურებოდა. — ეს დიკის დასვენების ერთ-ერთი საშუალებაა და, მართლაც, ისვენებს. წელიწადში ერთხელ ან ორჯერ პოკერს თამაშობს და, თუ საშუალება აქვს, გარიჟრაჟამდე თავს არ ანებებს.

#### თავი მეთვრამეტე

იმ დღის შემდეგ, როცა პაოლამ და გრეკემმა ბოშური სიმღერა ერთად შეასრულეს, პაოლამ საკუთარ სამყოფელში განმარტოებას თავი მიანება. ახლა გრეკემს უკვე უჭირდა გამოკეტილი კოშკის ერთ-ერთ ოთახში გულდამშვიდებით მუშაობა, რადგან მთელი დილა სიმღერის ნაწყვეტები თუ საოპერო არიები ჩაესმოდა სასახლის იმ ნაწილიდან, რომელიც პაოლასათვის იყო განკუთვნილი. ხან პაოლას სიცილი იპყრობდა ყურადღებას, ხან ძაღლების დატუქსვის ხმაც ესმოდა დიდი ეზოდან, ხოლო მუსიკის ოთახიდან ხომ საათობით მოისმოდა როიალის ყრუ ბგერები. პაოლა ახლა იქ კარგახნობით რჩებოდა. გრეკემი, დიკის მსგავსად, დილის საათებში ამჯობინებდა მუშაობას და მეორე საუზმემდე პაოლას ძალიან იშვიათად ხვდებოდა.

პაოლამ განაცხადა, ჩემი უძილო ღამეები დამთავრდა და ახლა მზად ვარ, ყოველნაირი გართობისა და სეირნობისათვის, რასაც კი დიკი შემომთავაზებსო. თანაც გამომწვევად დაემუქრა, თუ თვითონ დიკი არ მიიღებდა მონაწილეობას, მაშინ აურაცხელ სტუმარს მოიწვევდა სასახლეში და უჩვენებდა, რას ნიშნავს ნამდვილი მხიარულება და დროსტარება. სწორედ ამ დროს, რამდენიმე დღის მოგზაურობის შემდეგ, კვლავ დაბრუნდა მისის ტიული. პაოლამ ისევ განაახლა მაღალი, ორთვალი ეტლით მოგზაურობა, ეტლში უმშვენიერესი, მაგრამ მეტად თავნება, ჭირველი ცხენები დადი და ფადი იყვნენ შებმულნი. თავისი ასაკისა და სიმსუქნის მიუხედავად, მისის ტიულის ამ ეტლით მგზავრობა სულაც არ აშინებდა, როცა სადავეები პაოლას ეპყრა ხელთ.

— ასეთ ნდობას პაოლას გარდა ვერც ერთ ქალს ვერ გამოვუცხადებდი, — ეუბნებოდა მისის ტიული გრეკემს. — პაოლა ერთადერთია, ვისი ეტლითაც მოგზაურობა თავისუფლად შემიძლია. მან ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა მიუდგეს და მოეპყრას ცხენებს. ბავშვობაში პაოლა პირდაპირ ეთაყვანებოდა ცხენებს, საკვირველია, ცირკის ცხენების მწვრთნელი ან მოჯირითე რომ არ გამოვიდა.

კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ შეიტყო პაოლაზე გრეჰემმა მის მამიდასთან საუბრისას. მისის ტიული დაუსრულებლად უყვებოდა საკუთარი ძმის, ფილიპ დესტენის, პაოლას მამის ამბებს. ფილიპი ბევრად უფროსი ყოფილა მისის ტიულზე და გოგონას ძმა თურმე საოცნებო უფლისწულად ჰყავდა წარმოდგენილი. ფილიპ დესტენის, ამ მეტად კეთილშობილი და დიდბუნებოვანი კაცის საქციელი და ცხოვრების ნირი მდაბიო ადამიანებს არ ესმოდათ და უგუნურებას მიაწერდნენ. იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე, მართლაც, იჩენდა უგუნურებას, მაგრამ ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა მისი ქცევა მუდამ რაინდული ყოფილიყო და უამრავ კეთილ საქმეს აკეთებდა ადამიანთათვის. ამ თვისებათა წყალობით ფილიპმა არაერთხელ შეიძინა აურაცხელი სიმდიდრე და უდიდესი შემოსავლის პატრონიც გახდა, მაგრამ ასევე იოლად კარგავდა ყოველივეს. განსაკუთრებით ორმოცდაცხრა წელს დაზარალდა, როდესაც ადამიანებს საყოველთაოდ ცნობილი ოქროს ციებ-ცხელება მოედო. თვითონ შთამომავლობით ახალი ინგლისის კოლონიისტთა პირველ ოჯახს ეკუთვნოდა, თუმცა მისი წინაპარი ფრანგი ყოფილა და გემის დაღუპვის შედეგად მეინის სანაპიროსთან, იქვე დასახლებულა მემამულე მეზღვაურთა შორის.

— ყოველ თაობაში მხოლოდ ერთხელ თუ განმეორდება ის ფრანგი დესტენი, — დაბეჯითებით ეუბნებოდა მისის ტიული გრეჰემს. — ფილიპი იყო თავისი თაობის სწორედ ის ერთადერთი შთამომავალი. მომდევნო თაობაში კი პაოლა, რომელსაც მამის ყველა თვისება გადმოეცა. მართალია, ერნესტინა და ლიუტი მამით მისი დები არიან, მაგრამ მათში თითქოს დესტენების გვარის არც ერთი წვეთი სისხლი არ ურევია. მე მგონია, სწორედ ამიტომ არ იქცა იგი მოჯირითედ. მისი სული საფრანგეთისკენ ისწრაფოდა: წინაპრის სისხლი უხმობდა იქ.

პაოლას საფრანგეთში ცხოვრების შესახებაც ბევრი რამ მოისმინა გრეჰემმა. ფილიპ დესტენი სწორედ იმ დროს გარდაიცვალა, როდესაც მისი ბედის ვარსკვლავი ჩაესვენა. პაწაწინა ერნესტინა და ლიუტი დეიდებმა წაიყვანეს. ამ ბავშვებს განსაკუთრებით არაფრით შეუწუხებიათ ახალი აღმზრდელები, პაოლა კი, რომელიც მისის ტიულის ერგო საპატრონოდ, არც ისე ადვილი მოსავლელი აღმოჩნდა და ეს ყველაფერი მხოლოდ იმ დიდი წინაპრის, ფილიპ დესტენის წყალობით.

— ო, ის ახალი ინგლისის ნამდვილი შვილია... — არწმუნებდა მისის ტიული გრეჰემს, — ყველაფერში, რაც ადამიანურ სინდისს, პატიოსნებას და პირდაპირობას შეეხება, ადამიანი, ვისზე დაყრდნობაც თავისუფლად შეგიძლიათ, ვისი მუდმივი იმედიც უნდა გქონდეთ და ვის ერთგულებასაც მუდმივ მიენდობით. ბავშვობაშიც არ შეეძლო ტყუილი ეთქვა. მხოლოდ სხვათა დასახსნელად თუ იცრუებდა. ასეთ დროს მის არსებაში ყველა ახალინგლისელი წინაპარი დუმდა. პაოლა ისევე ჩინებულად ცრუობდა, როგორც მამამისი. ფილიპ დესტენიც ასეთივე გაბედული და მომხიბვლელი იყო. მანაც ასეთივე მომჯადოებელი და გადამდები სიცილი იცოდა და სიცოცხლის ისეთივე მგზნებარე უნარი გააჩნდა. ამ მხიარულებასა და ჭაბუკურ სიფიცხესთან ერთად, უკიდურესი ღმობიერება და შემწყნარებლობაც შეეძლო. მისდამი გულგრილობა შეუძლებელი რამ იყო. ადამიანები, ჩვეულებრივ, ან მისი თავგანწირული მეგობრები ხდებოდნენ, ან უკიდურესობამდე შეიძულებდნენ. მასთან ურთიერთობა დიდ სიყვარულს იწვევდა ან ასეთივე ძალის სიძულვილს. პაოლა ამ შემთხვევაში მისგან სრულიად განსხვავდება. ალბათ, იმიტომ, რომ ქალია და მამაკაცის მსგავსად, ქარის წისქვილებთან შებმის სურვილი არა აქვს. არ ვიცი ამქვეყნად ჰყავს თუ არა თუნდაც ერთი მტერი. ყველას უყვარს, თუმცა, შეიძლება, ბედის მაძიებელი ისეთი ქალებიც არსებობენ, მისი კარგი მეუღლე რომ შურთ.

სწორედ ამ დროს მისის ტიულისთან საუბარში გართულ გრეჰემს ღია სარკმლიდან პაოლას სიმღერა შემოესმა. პაოლა, ეტყობა, დაბლა თაღებქვეშ მღეროდა. ეს სიმღერაც იმ თბილი და მთრთოლვარე ბგერებით იყო აღსავსე, რომლის დავიწყებაც გრეჰემს უკვე აღარ შეეძლო.

ბოლოს პაოლას კისკისი შემოესმათ. ამ ხმაზე მისის ტიულიმაც გაიღიმა და გრეჰემს თავი მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია.

— სწორედ ისე იცინის, როგორც ფილიპ დესტენი, — ჩაილაპარაკა მან. — სწორედ ისევე, როგორც ოდესღაც იმ ფრანგი წინაპრის დიდებები, მამიდები და პაპიდები იცინოდნენ. იგი გემის დაღუპვის შემდეგ პენობსკოტში მოიყვანეს, შინ ნაქსოვი სამოსი ჩააცვეს და საკრებულოში გაგზავნეს. ხომ შეგინიშნავთ, როდესაც პაოლა იცინის, ყველას ერთი სურვილი იპყრობს, აუცილებლად შეხედოს და თვითონაც ასევე გულიანად გაიცინოს. ფილიპის სიცილიც სწორედ ასეთივე განწყობილებას იწვევდა ხალხში.

პაოლას ყოველთვის იტაცებდა მუსიკა, ფერწერა თუ მხატვრობა. პატარაობისას ყველგან მის ნახატებსა და ნაძერწებს წააწყდებოდი. ხატავდა ქალღმერთებს, დაფაზე, მიწაზე. აკეთებდა და ათასგვარ ფიგურებს, რითაც კი მოახერხებდა — თიხისგან, სილისგან.

მას ყველა და ყველაფერი უყვარდა, სამაგიეროდ, თვითონაც ყველას საყვარელ არსებად იქცა... — განაგრძობდა მისის ტიული. — პაოლას არასოდეს უგრძვნია პირუტყვის შიში. მათ რაღაც განსაკუთრებული მოწიწებითაც კი ეპყრობოდა. ეს დიდი მგრძნობელობა დაბადებითვე დაჰყვა. ყოველგვარი სილამაზე მასში მუდამ განსაკუთრებულ მოკრძალებას იწვევს. დიახ, ის ყოველთვის ეთაყვანება და ადიდებს ადამიანს, ვინც სილამაზის უნაკლო ხატებას წარმოსახავს, ამადლებული სულიერი თვისებები გააჩნია, ან რაიმე თვალწარმტაცს ჰქმნის ამქვეყნად. ალბათ, ვერასოდეს ვერც შეძლებს თავისი ტრფიალი გაინელოს შესანიშნავი როიალის, თვალწარმტაცი სურათის, ულამაზესი ჯიშისანი ცხენის თუ მომჯადოებელი პეიზაჟის ხილვისას.

პაოლა თავად ესწრაფოდა მშვენიერების შექმნას, მაგრამ ვერ გადაწყვიტა, რა აერჩია: მუსიკა თუ ფერწერა. ბოსტონში მუსიკას ყველაზე რჩეულ მასწავლებლებთან სწავლობდა და გაცხოველებული მუშაობის პერიოდში უცებ ფერწერას უბრუნდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ძერწვა იტაცებდა.

პაოლა თავის თავში უდიდეს სიყვარულსა და სწრაფვას გრძნობდა მშვენიერებისადმი და ვეღარ გაერკვა, არ იცოდა, რომლისაკენ უფრო უწევდა გული: ან გააჩნდა თუ არა დიდი ნიჭი და ნამდვილი მონაცემები რომელიმე ამ დიდი ხელოვნების დარგისადმი. სწორედ ამ დროს სრულყოფილი დავსვენების მიზნით ვაიძულე, დროებით ყველაფერზე ხელი აეღო და ერთი წლით საზღვარგარეთ წავიყვანე. იქ კი ცეკვის საოცარი ნიჭი გამოამჟღავნა, მაგრამ მუსიკისა და ფერწერისათვის არც აქ უღალატია და დიდი გატაცებით შრომობდა. არა, ეს არ გახლდათ დაუფიქრებლობა თუ თავქარიანობა. მთელი უბედურება ის არის, რომ მას მრავალმხრივი ნიჭი დაჰყვა...

— მეტად მრავალმხრივი ნიჭით დაუჯილდოებია ბუნებას, — დაუმატა გრეჰემმა.

— დიახ, გეთანხმებით, — თავი დაუქნია მისის ტიულიმ. — მაგრამ ნიჭიერებასა და ნამდვილ ტალანტს შორის დიდი მანძილია მაინც. კიდევაც რომ მომკლათ, მაინც ვერ გეტყვით, გააჩნია თუ არა ხელოვნების რომელიმე დარგისადმი ნამდვილი მოწოდება. მის ხელს ჯერ კიდევ ისეთი არაფერი შეუქმნია მის სათაყვანებელ ხელოვნებაშიც.

— მან შექმნა საკუთარი თავი, — დაუმატა გრეჰემმა.

— დიახ, თვითონ ჭეშმარიტად უმშვენიერესი არსებაა, — აღტაცებით და სიცილით გამოეპასუხა მისის ტიული. — იგი არაჩვეულებრივი ქალია, თანაც წმინდაზე წმინდა და მეტად ბუნებრივი. ბოლოს და ბოლოს, ან რად სჭირდება მთელი ეს შემოქმედება. მე პირადად მისი ერთი რომელიმე უგუნური ანცობა მირჩევნია ყოველივეს... დიახ, მიაძხეს, საცურაო აუზში ულაცით... წარმოიდგინეთ, ყველა სურათს, რაც არ უნდა შესანიშნავი შექმნას, ასეთი ლამაზი ცხოვრებისეული სურათი მირჩევნია. გამოგიტყდებით, პაოლას თვითონ მეც დიდხანს ვერ გავუგე. დიკი მას «მუდმივ ბავშვს» უწოდებს. მაგრამ, ღმერთო დიდებულო, როდესაც საჭიროა, როგორი დიდებულებით შეიმოსება ხოლმე. მე, პირიქით, «ხანდაზმული ბავშვი» შევარქვი. უდიდესი ბედნიერება, რაც მას ამქვეყნად წილად ერგო, ეს დიკია. თითქოს სწორედ მას შემდეგ შეიცნო პაოლამ საკუთარი თავი. ეს ამბავი კი ასე მოხდა...

მისის ტიული ჰყვებოდა, როგორ მოგზაურობდნენ იმ წელს ევროპაში. პაოლა პარიზში ფერწერას სწავლობდა თურმე და, ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მისულა, რომ წარმატების მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ შრომით შეიძლებოდა. მისის ტიულის მდიდრული ცხოვრება და თავსაყრელი ფული კი ხელს უბორკავდა ამ საქმეში.

— პაოლამ თავისი გაიტანა, — ამოიოხრა მისის ტიულიმ, — მაიძულა შინ გავბრუნებულიყავი. საკუთარ მეტად მცირე შემოსავალზე დარჩა და ლათინურ კვარტალში ორ ამერიკელ ქალიშვილთან ერთად სრულიად დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. აქ შეხვდა ის დიკს... დიკიც ხომ, თავის მხრივ, იშვიათი მოვლენაა საერთოდ. ვერაფრით ვერ გამოიცნობთ, რას საქმიანობდა მაშინ. ერთი ფრანგული კაბარე გაეხსნა. არა, ისეთი მოდური დუქანი კი არა, ახლა რომ შეხვდებით ხოლმე, ნამდვილად სტუდენტური, უცნაური ახალგაზრდობის შესაკრები ადგილი. დიკი ახალი დაბრუნებული იყო თავისი საოცარი თავგადასავლებით სავსე მოგზაურობიდან და, როგორც მაშინ ამბობდა, სურდა ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებზე ზრუნვა თავიდან ამოეგდო, ცხოვრებას ჩაჰკვირვებოდა და მასზე ემსჯელა.

ერთხელ პაოლამ იმ კაბარეში წამიყვანა. ისინი წინა დღეს დანიშნულიყვნენ. მერე დიკი შინ მეწვია. ერთი სიტყვით, ყოველივე ისე მოხდა, როგორც წესი და რიგია. მე პირადად ვიცნობდი მის მამას, რიჩარდ ფორესტს, ასევე ბევრი მსმენოდა მის შვილზედაც. უკეთესს პაოლა ვერასოდეს შეხვდებოდა. გარდა ამისა, ყოველივე მეტად რომანტიკულად ხდებოდა. პაოლამ დიკი პირველად მაშინ ნახა, როდესაც სტენფორდის გუნდს კალიფორნიის სტუდენტთა გუნდი ეჯიბრებოდა. დიკი ამ გუნდის კაპიტანი იყო, და გამარჯვებაც მოიპოვა. მეორედ კი თავის სამხატვრო სახელოსნოში შეხვდა, რომელიც ორ ამერიკელ გოგონასთან ერთად ჰქონდა დაქირავებული. პაოლას წარმოდგენაც არ ჰქონდა, დიკი მილიონერი იყო თუ კაბარეს ღარიბი მფლობელი. მისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. პაოლა, საერთოდ, ყველაფერს მუდამ საკუთარ გულს ეკითხებოდა. წარმოიდგინეთ მდგომარეობა: ვერავინ შეძლო სიყვარულის ბადეში გაეხვია დიკი. პაოლას კი უბრალოდ ქათინაურებით გართობაც არ უყვარდა, არავის იკარებდა. როგორც ჩანს, ერთმანეთს უმაღვე გაუგეს, რადგან ერთი კვირის თავზე ყოველივე უკვე გადაწყვეტილი იყო. ყოველ შემთხვევაში, დიკმა მაინც მორიდებულად მთხოვა ჯვრისწერაზე თანხმობა, თითქოს ჩემს სიტყვას რაიმე ფასი და მნიშვნელობა ჰქონდა.

ახლა მის სტუდენტურ კაბარეს დავუბრუნდეთ. ეს იყო ფილოსოფოსთა საკრებულო. ლათინური კვარტალის შუაგულში, ერთ-ერთი სარდაფის პატარა ოთახში მაგიდა იდგა. აბა წარმოიდგინეთ, რა დაწესებულება უნდა ყოფილიყო! ეს იყო ფიცრის დიდი, მრგვალი მაგიდა, რომელზედაც მუშამბაც კი არ ეფარა და ღვინის ლაქე-

ბით იყო აჭრელებული. იქ შეკრებილი ფილოსოფოსები ღვინის ჭიქებს ერთმანეთს უჭახუნებდნენ და ღვინოსაც ერთთავად ზედვე ღვრიდნენ. ამ მაგიდის გარშემო ოცდაათი კაცი თავისუფლად ჯდებოდა. ქალებს დასწრების ნება არ ჰქონდათ. ჩემთვის და პაოლასათვის გამონაკლისი დაუშვეს. თქვენ აქ, მგონი, არონ ჰენკონკი გაიცანით, არა? ის სწორედ იმ ფილოსოფოსთა წრიდან გახლავთ და დღემდე თავი იმით მოაქვს, რომ მას ყველაზე მეტი თანხა მართებს დიკის, ვიდრე რომელიმე მის კლიენტთაგანს. იქ სწორედ ასეთი დამთხვეული ახალგაზრდა მოაზროვნენი იყრიდნენ თავს, მაგიდაზე არახუნებდნენ და ფილოსოფიაზე მსჯელობდნენ ევროპის თითქმის ყველა ენაზე. დიკს ყოველთვის ჰქონდა ფილოსოფიისაკენ ლტოლვა.

მთელი ეს სიამოვნება პაოლამ ჩაუშალა. როგორც კი ჯვარი დაიწერეს, დიკმა საკუთარი იახტა გამართა, სახელად «დაივიწყე ყოველი» შეარქვა და ეს დალოცვილი წყვილი სამოგზაუროდ გაეშურა. გადაწყვიტეს, თაფლობის თვე ბორდოსა და ჰონკონგს შორის მოგზაურობაში გაეტარებინათ.

— კაბარე დაიხურა და ფილოსოფოსნი უსახლკაროდ დარჩნენ. ალბათ, კამათისათვის საკრებულო ადგილიც კი აღარსად ჰქონდათ..... — შენიშნა გრეჰემმა.

მისის ტიულის გულიანად გაეცინა და თავი გაიქნია.

— ოჰ, არა... დიკმა უზრუნველყო კაბარეს არსებობა, — წარმოთქვა მან, თან ხელს გულზე იდებდა, ცდილობდა, სული მოეთქვა. — სამუდამოდ უზრუნველყო თუ დროებით, ამას ვერ გეტყვით, არ ვიცი, მაგრამ ერთ თვეში იგი პოლიციამ დახურა, რადგან ექვი ჰქონდათ, ანარქისტთა კლუბად იქცაო.

გრეჰემმა თუმცა პაოლას მრავალმხრივი ინტერესებისა და ნიჭის შესახებ უკვე ყოველივე იცოდა, მაგრამ მაინც განცვიფრდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად განმარტოებული, ხელსაქმით გართული პაოლა იხილა; ქალი გულდასმით ქარგავდა.

— ძალიან მიყვარს ქარგვა, — აუხსნა პაოლამ, — არავითარ ნაყიდ, ძვირფას ნახელავს არ შევადარებ საკუთარი ხელით ნამუშევარს. ეს ჩემი საკუთარი სურათების მიხედვითაა შექმნილი და ძალიან მიყვარს მათი ამოქარგვა. დიკს ერთ დროს გული მოსდიოდა ჩემს ქარგვაზე. ხომ მოგეხსენებათ, მას ყველაფერში საზრიანობა უყვარს. ვერ იტანს, როდესაც ადამიანი ენერგიას უმიზნოდ ხარჯავს. მისი აზრით, კერვა და ქარგვა დროის უქმად ხარჯვაა. გლეხის ქალებს იმავე საქმის გაკეთება გროშის ფასად შეუძლიათო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, შევძელი დამერწმუნებინა, მართალი რომ ვიყავი.

ეს ისეთივე სიამოვნებაა, როგორც როიალზე დაკვრა. რა თქმა უნდა, შემძლია რომელიმე მუსიკალური ნაწარმოების უკეთესი შესრულებით მოსმენა, მაგრამ რად ღირს, როიალს რომ მიუჯდები და თავად შეასრულებ მას. რაოდენ სიამეს ანიჭებს იგი ადამიანს. ეჯიბრები ვინმეს, იზიარებ მის შთაგონებას, თუ საკუთარით აღინთები, სულ ერთია: ერთიცა და მეორეც სულს აამებს და შემოქმედების სიხარულს გგვრის.

აიღეთ თუნდაც, შროშანების არშიის ეს ვიწრო ზოლი, მეორეს ასეთს ვერსად ნახავთ; აზრიც საკუთარია და შესრულებაც. წარმოიდგინეთ ის დიდი სიამოვნება, რადგან მე ვაძლევ ამ იდეას ფორმასაც და სიცოცხლესაც. მართალია, სავაჭროებში შეხვდებით უფრო საინტერესო შთანაფიქრსა და მაღალ ოსტატურ შესრულებასაც, მაგრამ ეს იგივე არ არის. ეს ჩემია. ჯერ მოხატულობას წარმოვიდგენ გონებაში, მერე კი ხორცს ვასხამ. ვინ გაბედავს და იტყვის ამის შემდეგ, ქარგვა ხელოვნება არ არისო?

პაოლა გაჩუმდა და ღიმილმორეული, მოციმციმე თვალებით შესცქეროდა გრეჰემს.

— დიახ, ვის შეუძლია თქვას, რომ მშვენიერ ქმნილებათა სამოსი თუ მორ-  
თულობა ღირსეული, მიმზიდველი და სიამის მომნიჭებელი ხელოვნება არ არის, —  
დაეთანხმა გრეჭემი.

— განსაკუთრებული პატივისცემით ვეპყრობი საუკეთესო მოდელების შემ-  
ქმნელთ და მკერავებს, — სრულიად სერიოზულად უპასუხა პაოლამ. — ისინი ნამ-  
დვილი მხატვრები და ამავე დროს მეტად სასარგებლო საქმის შემოქმედნი არიან. რო-  
გორც ასეთ შემთხვევაში დიკი იტყოდა, მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მსოფ-  
ლიოს ეკონომიკაში.

ერთხელ გრეჭემი ბიბლიოთეკაში ანდების შესახებ ცნობებს დაეძებდა, რომ  
უეცრად მაგიდაზე ჭიკარტებით დამაგრებულ სახაზავ ქაღალდზე მოხდენილად დახ-  
რილი დიასახლისი შენიშნა. მის ირგვლივ არქიტექტურული პროექტებით სავსე  
უზარმაზარი საქაღალდეები ელაგა. პაოლა მადრონოს ჭაღელ ფილოსოფოსთათვის  
ხის ბუნგალოს გეგმას ხაზავდა.

— პირდაპირ თავსატეხი ამბავია, — ამოიოხრა მან. — დიკი მარწმუნებს, თუ  
საცხოვრებელ ბინას ვაშენებთ, ბარემ შვიდი კაცისთვის ავაშენოთო. ჯერჯერობით  
მხოლოდ ოთხი გვყავს, დიკს სურს სამიც მოიწვიოს. მისი აზრით, საჭირო არ არის  
შხაპი, აბაზანა და სხვა ამდაგვარი კეთილმოწყობა. ჩვენი ფილოსოფოსები, საერთოდ,  
დაბანა-დასუფთავებაზე უარს აცხადებენო, მხოლოდ ერთს კი დაბეჯითებით მოით-  
ხოვს: სამზარეულო თითოეულისათვის ცალ-ცალკე მოეწყოს. დაიდგას შვიდი ღუმე-  
ლი, რადგან სწორედ ასეთი საგნების გამო დაუსრულებლად დაობენო.

— მგონი, ვოლტერი სულაც მეფეს ედავებოდა სანთლის ნამწვავებზე? — იკით-  
ხა პაოლას ძალდაუტანებელი, მოხდენილი პოზით მოხიბლულმა გრეჭემმა. შეუძლე-  
ბელი, წარმოდგენელი იყო პაოლასთვის ოცდათვრამეტი წელი მიგეცათ. იგი  
რთული ამოცანის გადასაწყვეტად ჩაფიქრებულ, დაწვებატკრეცილ მოსწავლე გოგო-  
ნას უფრო წააგავდა. გრეჭემს უეცრად მისის ტიულის ნათქვამი გაახსენდა, პაოლას  
ხანდაზმულ ბავშვს ვეძახითო.

გაოგნებული გრეჭემი ფიქრს მისცემოდა: ნუთუ ეს ის ქმნილებაა, ვინაც ბერ-  
მუხების ქვეშ, ცხენების საბმულთან მხოლოდ ორი წინადადებით მიახვედრა: შექმნი-  
ლი მდგომარეობის საბედისწერო მნიშვნელობას გარკვევით ვხვდებითო.

«ვხვდებითო» — წარმოთქვა მაშინ მან. რას გულისხმობდა ნეტავი? შესაძლებე-  
ლია, ეს ყოველივე თავისდაუნებურად დასცდა მის ბაგეს.

იქნებ, ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა არც კი მისცა. მაგრამ რო-  
გორ თრთოდა და მთელი არსებით მისკენ ისწრაფვოდა, ბოშურ სიმღერას რომ ას-  
რულებდნენ. ეს ხომ ძალიან კარგად იგრძნო მაშინ და ახლაც ახსოვს. თუმცა არც იმის  
დავიწყება შეიძლება, რა გატაცებით უსმენდა დონალდ უეირის დაკვრას. ამ აზრის  
გაელვებისთანავე გრეჭემს მყისვე გულმა უკარნახა, რომ მევიოლინესთან პაოლას და-  
მოკიდებულება სულ სხვა იყო და ამ ფიქრმა ღიმილიც მოჰგვარა.

— რატომ იღიმებით? — ჰკითხა პაოლამ. — ღმერთმაც ხომ იცის, მე არქიტექ-  
ტორი არა ვარ, მაგრამ ფრიად საინტერესო იქნებოდა, ერთი მენახა — თქვენ როგორ  
აუგებდით ამ შვიდ ფილოსოფოსს საცხოვრებელ ბინას და თან დიკის ყველა უგუნურ  
მოთხოვნას გაითვალისწინებდით!

კომპში დაბრუნებულ გრეჭემს წინ ანდების შესახებ გადაუშლელი წიგნი ედო  
და ტუჩს იკვნიტდა. — არა, არა, ქალობაში შესული ჯერ კიდევ არ არის, — ფიქრობდა  
გრძნობას აყოლილი გრეჭემი. — ჯერ ისევ სრულიად ცვალებადი თვისებების ბავ-  
შვია... ან... იქნებ... ეს უჩვეულო ბუნებრიობა მოჩვენებითი გულუბრყვილობაა? ესმის

თუ არა ნამდვილად, რა მოხდა? უნდა ესმოდეს, რა თქმა უნდა, სხვანაირად წარმოუდგენელია. იცნობს ცხოვრებას, იცნობს ადამიანებს, ძალიან გონიერია. მის ნაცრისფერ თვალთა ყოველი გამოხედვა თავდაჭერილობასა და დიდ შინაგან ადამიანურ ძალაზე მეტყველებს. დიახ, სწორედ რომ შინაგან ძალაზე! — გრეკემს გაახსენდა გაცნობის პირველი საღამო. გაახსენდა, დროდადრო მისგან კეთილშობილი ლითონის თვალისმომჭრელი ბრწყინვალეობა რომ გამოკრთოდა. ისიც გაახსენდა, ამ ძალას მაშინ სპილოს ძვალს, მარგალიტის ჩუქურთმიან ნიჟარას თუ ქალწულთა თმის ბადეს ადარებდა.

ახლა კი ბერმუხებქვეშ მოკლე ფრაზებით საუბრისას თუ ბოშური სიმღერის შემდეგ, როგორც კი ერთმანეთს თვალს გაუსწორებდნენ, ორივენი ერთურობის თვალელებში გაუმხელებელ საიდუმლოს კითხულობდნენ.

ტყუილად ეძებდა იმ დღეს გრეკემი მის წინ გადაშლილ წიგნებში საჭირო ცნობებს. მერე შეეცადა, უწიგნოდ განეგრძო წერა, მაგრამ ერთი სიტყვის დაწერაც ვერ მოახერხა... თავგზისამზნევემა შეშფოთებამ შეიპყრო იგი. მატარებელთა მიმოსვლის განრიგი მოძებნა და გასვლის საათს აკვირდებოდა. მერე წიგნი შორს მოისროლა. სასახლის შიდა ტელეფონის ყურმილს დასწვდა და საჯინიბოში დარეკა, ალტადენა შემიკაზმეთო.

კალიფორნიული ადრეული ზაფხულის შესანიშნავი დილა იყო. მთვლემარე მინდვრებში ნიავიც კი არ იძვროდა. მხოლოდ მწყრის ქვითქვითი და ტოროლების წკრიალა გალობა გაისმოდა. ჰაერი იასამნის სურნელებით ადვსილიყო და, როცა გრეკემმა ამ სურნელების მფრქვევ ბუჩქნარს ჩაუარა, «მთიელის» ძახილი და ფოთერინგტონის პრინცესას საპასუხო ზარისებური ხვიხვინი შემოესმა.

რატომ ვარ აქ, თან ისევ დიკ ფორესტის ცხენს მივაგეღვებ? — ჩაეკითხა გრეკემი საკუთარ თავს, რატომ არ მივქრი ახლა სადგურისაკენ, რათა განრიგში ამოკითხული პირველივე მატარებლით სადმე, აქედან შორს, გავემგზავრო. რას ნიშნავს ეს წარმოუდგენელი სისუსტე? აღარც რაიმეს გადაწყვეტა შემომღია, აღარც მოქმედება; თითქოს ხელ-ფეხი შებორკილი მქონდეს. გრეკემმა მწარედ იგრძნო, რომ ეს ყოველივე სრულიად ახალი იყო მის ცხოვრებაში; მაგრამ ეს ფიქრი თითქოს ცეცხლის ალივით შემოენთო მთელ სხეულზე — მას მხოლოდ ერთი სიცოცხლე ერგო ამქვეყნად და მთელი დედამიწის ზურგზეც ასეთი მხოლოდ ერთი ქალი არსებობდა.

გრეკემმა ცხენი გზის კიდისკენ გადაიყვანა, რომ ანგორული ჯიშის ფარისთვის გზა დაეთმო. ასობით დედა პირუტყვს ბასკი მწყემსები ნელა მიერეკებოდნენ და ხშირად ასვენებდნენ, რადგან თითოეულს პაწაწინა თიკანი მისდევდა გვერდით. საჩეხის შიგნით უამრავი ფაშატი და ახალშობილი მშვენიერი კვიცები შენიშნა. უეცრად გამაფრთხილებელი ძახილიც შემოესმა. ცხენი სწრაფად გვერდით გადაიყვანა, რომ ერთწლიან ოცდაათამდე ულაცო რემას არ შეფეთებოდა, რომლებსაც სადღაც მიერეკებოდნენ. მათი აგზნება მამულის სხვა ბინადართაც გადასდებოდათ. მთელ სივრცეს მხოლოდ მათი გამყინავი, გულისსწორის მომხმობი, გამომწვევი და საპასუხო ხმობის გამაყრუებელი ძახილი ავსებდა... ამდენი მეტოქის ხმითა და მგზნებარებით შეშფოთებული «მთიელი» აქეთ-იქით აწყდებოდა, სადგომში ყველაფერს ბდღვნიდა და დროგამომწვევით ისეთი ხმამაღალი გამომწვევი ხმით ჭიხვინებდა, თითქოს სურდა სამყაროსათვის ემცნო, რომ ყველაზე ძლიერ და შესანიშნავ ულაცად შობილიყო დედამიწის ზურგზე.

გრეკემს მოულოდნელად დაუდგარზე ამხედრებული დიკ ფორესტი მოუახლოვდა. სიამოვნებისაგან სახე უბრწყინავდა, რადგან მის საყვარელ პირუტყვთა შორის გზნების ასეთი თავბრუდამხვევი ქარიშხალი ატეხილიყო.

— ბუნება ეძახით! ბუნება! — თითქმის ღიღინით წარმოთქვა მან, გრეკემს მიესალმა და ცხენი შეაჩერა, თუმცა ამას შეჩერებას ვერ დაარქმევდით. ალისფერი, უმშვენიერესი ფაშატი ერთ ადგილას ვერ ისვენებდა და, თითქოს ცეკვავსო, ფეხებს ათამაშებდა. დაუდევარი ხან პატრონის ფეხისაკენ იგრებდა კისერს და ხან გრეკემისაკენ, მაგრამ წარუმატებლობით გადარეული წინა ფეხებს მიწაზე გამეტებით სცემდა და გაავებული ყალყზე დგებოდა.

— ეს გასახედნი ცხენები მეტისმეტად აავებენ «მთიელს», — წარმოთქვა დიკმა ღიმილით. — თქვენ მოგისმენიათ მისი სიმღერა? — «ყური დამიგდეთ, მე ეროსი ვარ, დავქრი ბორცვებზე და ჩემი ხმით ვაყრუებ უსაზღვრო მდელოებს. ფაშატებს ესმით ჩემი ხმა საძოვრებზე და თრთიან თავდავიწყებით, რადგან კარგად მიცნობენ უკვე. დედამიწა ნოყიერია და ხეთა რტონი ივსებიან უტკბესი წვენიით. გაზაფხულია. ჩემი გაზაფხული. მეფეთ მეფე ვარ გაზაფხულის ამ საუფლოსა და ტურფა წალკოტში, ფაშატებს ახსოვთ ჩემი ძლიერი ხმა. ეს ხმა ცოცხლობდა მათი დედების სისხლში. ყური დამიგდეთ, მე ეროსი ვარ, დავქრი ბორცვებზე და როგორც მაცნენი, მინდვრები გადასცემენ ჩემი ხმის ექოს, რითაც აცნობენ ჩემ მოახლოებას გრძნეულ ფაშატებს».

### თავი მეცხრამეტე

მისის ტიულის გამგზავრების შემდეგ პაოლამ მართლაც შეასრულა მუქარა, სასახლე მალე სტუმრებით აივსო. ჩანდა, ყველა გაახსენდა, ვინც მის დაპატიჟებასა და მოწვევას ელოდა. ღიმილიანი მამულიდან რვა კილომეტრით დაშორებულ სადგურში უხვდებოდა სტუმრებს და იშვიათად მოდიოდა ცარიელი. სტუმართა შორის შეხვდებოდათ მომღერლებს, მუსიკოსებს და, საერთოდ, ყოველი ჯურის მსახიობს. თვალს მოგტაცებდათ ქორფა ასულთა კრებული, ჭაბუკთა უცილობელი თანხლებით. დიდი სახლის ყველა ოთახი და დერეფანი მათ დედებს, დეიდებსა და მოხუც ნათესავებს აევსოთ. გასეირნებისა და ქალაქგარეთ გამართული ნადიმების დროს კი ყველა მანქანა მხოლოდ სტუმრებს ეკავათ.

გრეკემი საკუთარ თავს ეკითხებოდა: პაოლამ ეს სტუმრები ირგვლივ განზრახ ხომ არ შემოიკრიბაო. თვითონ მან კი გადაჭრით უარყო, გვერდზე გადასდო წიგნზე მუშაობა და ცურვით გატაცებულ ახალგაზრდობას შეუერთდა, საუზმემდე რომ ვერ თმობდნენ ამ დიდ სიამოვნებას; მონაწილეობდა ცხენით სეირნობაში. ათვალეირებდა ახლომახლო მიდამოებს, არ იკლებდა არც ერთ სხვა გართობას, რომელიც იმართებოდა სასახლის შიგნით თუ გარეთ.

ყველა ადრე დგებოდა და გვიან წვებოდა. დიკმა, რომელიც საერთოდ არ ცვლიდა საკუთარი ცხოვრების წესს და სტუმრებთან შუადღემდე არ გამოდიოდა, ერთხელ საბილიარდოში მთელი ღამე პოკერის თამაშში გაათენა. თამაშში გრეკემიც მონაწილეობდა და განსაკუთრებულ ბედნიერებად ჩათვალა, როდესაც ალიონზე, უძილო ღამის შემდეგ მოთამაშეებს მოულოდნელად პაოლა გამოეცხადათ. მასაც თეთრად გაეთია ღამე, თუმცა მის უმშვენიერეს სახის ფერსა და განწყობაზე უძილობას ვერავითარი კვალი ვერ დაემჩნია. გრეკემი ცდილობდა, როგორმე იმდენი ნებისყოფა და ძალა გამოეჩინა, პაოლასათვის ყოველ წამს არ ემზირა, როდესაც იგი ოქროსფერ შუშხუნა სასმელს აზავებდა და ფერმიხდილ, ქანცგაწყვეტილ, თვალეზმობლეს მითამაშეებს სთავაზობდა გამოსაფხიზლებლად. ბოლოს აიძულა კიდეც ბანქოს თამაშში მიეტოვებინათ და მუშაობის განახლების თუ სხვა ახალი თავშესაქცევის დაწყებამდე ცივი შხაპი მიეღოთ.

პაოლა ახლა არასდროს რჩებოდა მარტო. გრეკემს მხოლოდ ისღა დარჩენოდა, იმ ჯგუფს შეერთებოდა, რომელიც მის გარშემო ტრიალებდა. თუმცა დიდი სახლის თვალუწვდენელ საცეკვაო დარბაზში ტანგოსა და ფოქსტროტს დაუსრულებლად ცეკვავდნენ, პაოლა იშვიათად თუ იცეკვებდა და ისიც მხოლოდ ჭაბუკებთან. ერთხელ როგორღაც, მოწყალება მოილო და გრეკემს ძველებური ვალსის ცეკვა შესთავაზა.

— შეხეთ, თქვენი წინაპარნი ადამისდროინდელ ცეკვას ასრულებენ, — განუცხადა ახალგაზრდობას პაოლამ დაცინვით, როგორც კი პირველი ნაბიჯი გადადგა, რომ მხოლოდ მასა და გრეკემს დარჩენოდათ საკუთრად საცეკვაო მოედანი.

როგორც კი პირველი წრის შემოვლა დამთავრდა, მოცეკვავეებმა იგრძნეს, რა ჩინებულად შეეწყვნენ ურთიერთს. პაოლა თავისი განსაკუთრებული გულისხმიერებით და მგრძნობელობით, რამაც იგი ასეთ აკომპანიატორად და მოჯირითედ აქცია, უდრტვინველად დაემორჩილა გრეკემის ზეკაცურ ძალას. ორივე თითქოს ერთი მანქანის შეთანხმებულ რთულ მექანიზმად გადაიქცა, უზადოდ მოძრაობდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც ყოველი ნაბიჯი აბსოლუტური ჰარმონიულობით შეერწყა ერთმანეთს, გრეკემმა სცადა რიტმული პაუზების დაცვით რამდენიმე მეტად ძნელი ფიგურული ილეთი შეესრულებინა. მართალია, მათი ფეხი იატაკს არ ასცილებია, მაგრამ ვალსის რიტმზე მოსრიალე ეს წყვილი მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა და აღფრთოვანებულმა დიკმა წამოიძახა:

— შეხედეთ, მართლაც რომ ფრენენ, ფრენენ!

«სალომეას ვალსის» წყნარ ბგერებს მინდობილი მოცეკვავენი რიტმულად ანელებდნენ მოძრაობას. უკანასკნელი აკორდის ჩაკვდომისთანავე ისინიც სულგანაბულნი შეჩერდნენ.

ორივე დუმდა. ერთმანეთისათვის არც კი შეუხედავთ, ისე დატოვეს საცეკვაო მოედანი. სწორედ ამ დროს დიკის ხმა გაისმა:

— ეჰ, თქვენ, რძეშეუშრობელო ბალებო! ხედავთ, ჩვენ, «ბებრები», როგორ ვცეკვავთ? იცოდეთ, ახალი ცეკვების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს... ისინი მშვენიერი და მომხიბვლელია, მაგრამ, ვფიქრობ, არც თქვენ გაწყენდათ ვალსის ცეკვაში გაწაფვა. თორემ თქვენი შესრულებით ეს ცეკვა მეტად სამარცხვინო გამოდის. ჩვენ, ძველი თაობის ადამიანებმაც ვიცით ისეთი რამ, რის ცოდნაც, ვფიქრობ, თქვენთვისაც აუცილებელია.

— მაინც რას გულისხმობთ? — იკითხა ერთმა გოგონამ.

— კეთილი, ახლავე მოგახსენებთ. ჩვენი ახალგაზრდობა ხომ ბენზინის სუნითაა გაჟღენთილი და ეს აშმორებული სუნი განუშორებლად თან სდევს. ვთქვათ, ეს კიდევ არაფერი...

მოულოდნელი აღშფოთებით გამოწვეულმა საწინააღმდეგო წამოძახილებმა წუთით შეძრა ირგვლივ ყველაფერი და დიკის ხმა ჩაახშო.

— ვიცი, ამ სუნს ვერც მე გავექცევი, მაგრამ თქვენ უღალატეთ მგზავრობისა და მართვის ძველ კეთილ საშუალებებს. თქვენ შორის ვერც ერთი ქალიშვილი პაოლას ფეხით სიარულშიც კი ვერ გაუტოლდება. არც ჭაბუკი მოიძებნება ისეთი, რომელიც მე და გრეკემს შემოგვბედავს გაჯიბრებას. დარწმუნებული ვარ, ფეხები ისე მოექცევა, საავადმყოფოში მისატანი გახდება. დიახ, ვიცი, თქვენ ყოველნაირი მანქანის მართვის ოსტატნი ბრძანდებით, მაგრამ ნამდვილ ცხენზე ჯდომა არც ერთს არ ძალგიძთ. ხოლო წყვილცხენიანი ეტლის მართვა ხომ თქვენთვის ნამდვილი სასწაულია! მაინც რამდენ ჯანღონით აღსავსე, გაბედულ ჭაბუკს შეუძლია ზღვის მყუდრო უბეში, რომ

ოსტატურად მართავენ მოტორიან ნავებს, სხვის დაუხმარებლად ხელი მოჰკიდოს ძველებურ სანდალსა თუ კარჭაპს და მამაკაცურად გაინავარდოს ღია ზღვაში.

— მაგრამ, განა სულ ერთი არ არის, ჩვენ მაინც ვაღწევთ იქამდე, სადაც მისვლა გვსურს, — წარმოთქვა იმავე ქალიშვილმა.

— არ უარვყოფ, — უპასუხა დიკმა, — მაგრამ თქვენ ამას ყოველთვის ისე მოხდენილად ვერ ახერხებთ. აი, თუნდაც ასეთი სანახაობა, რომელიც ყოველი თქვენგანისათვის მიუღწეველია: პაოლას ხელთ უპყრია ოთხი ველური, ცეცხლისებური მგზნებარების მფრქვევი დაუოკებელი ცხენის სადავე, ფეხით მუხრუჭს არეგულირებს და მთის დამრეც ბილიკებზე მიქრის!

ზაფხულის ერთ ცხელ დილას, დიდი ეზოს მარმარილოს თაღებქვეშ საგრილობელში განმარტოებით მჯდარი გრეკემი ჟურნალს ათვალიერებდა, წამით თავი ასწია და რამდენიმე სტუმარი შენიშნა; მათ შორის პაოლაც იყო. მცირე საუბრის შემდეგ ჟურნალის კითხვამ კვლავ ისე გაიტაცა, რომ გარშემო მყოფნი სრულიად გადაავიწყდა. ირგვლივ სამარისებური მდუმარება გამეფდა, რამაც გრეკემი კვლავ გამოაფხიზლა. მათი სიცილის ხმა ახლა შორიდანღა აღწევდა. მაგრამ პაოლა! გრეკემი მისმა სახემ და თვალთა მეტყველებამ გააოცა; ეს იყო მისკენ მიპყრობილი მზერა, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნოდა; ამ მზერაში იგრძნო ეჭვი, საგონებელში ჩავარდნა, შემადრწუნებელი შიშიც კი. და აი, თვით იმ ერთ წამში შეძლო გრეკემმა ეგრძნო, რომ ეს გამჭოლი, გულთამხილავი მზერა რაღაც იდუმალს ეძიებდა და ჩაჰკითხავდა. ეს იმ ადამიანის თვალთა მეტყველება იყო, რომელმაც ეს-ეს არის საკუთარი ბედის მაუწყებელი წიგნის ფურცელი გადაშალა, მერე წამწამები შეარხია, დახარა, დაწვნი აეტიკრიცა და სახეზე ისეთი ალმური წაეკიდა, რომ საეჭვო აღარაფერი იყო, ბაგე უთრთოდა; ორჯერ შეეცადა რამე ეთქვა, მაგრამ ანაზღეულად გაოგნებულმა, ჩანდა, აზრის მოკრება ვერ შეძლო.

ისევ გრეკემმა იხსნა ამ საოცრად დამაბული, მძიმე მდგომარეობიდან. მან მშვიდად შენიშნა:

— იცით, ახლა დე ვრიეს ნაშრომს ვათვალიერებდი, სადაც ოუთერ ბერბანკის დიდებულ ნაშრომს ასხამს ხოტბას და აზრი დამებადა, დიკი შინაურ პირუტყვთა სამყაროში სწორედ ისეთივე როლს ასრულებს, როგორსაც ბერბანკი ადამიანთათვის სასარგებლო მცენარეთა ჯიშების შექმნის და გაუმჯობესების საქმეში-მეთქი. თქვენ ხომ სრულიად ახალ სიცოცხლეს ჰქმნით თქვენს მამულში არსებული ცოცხალი მატერიიდან, ფრიად სასარგებლო და უმშვენიერეს ფორმებს!

პაოლამ ამ დროს მოასწრო თავის დამორჩილება, გაიცინა და ქათინაურიც შესაფერისი თავდაჭერილობით მოისმინა.

გრეკემმა კვლავ სერიოზული კილოთი განაგრძო:

— როცა თქვენს ასეთ დიდ მიღწევებს ვხედავ და უკან ვიყურები, საოცრად მენანება უქმად გატარებული ჭაბუკური წლები და დაუსრულებლად მხოლოდ ის მალეღვებს, რატომ მეც არ შევქმენი რაიმე ამქვეყნად. წარმოიდგინეთ, საოცრად მშურს თქვენი, ორივესი.

— ჩვენ, მართლაც, პასუხისმგებელი ვართ მრავალი მშვენიერი არსების ამქვეყნად მოვლენაში, — წარმოთქვა პაოლამ. — გული საგულეში აღარ ეტევა, როდესაც ამ საპასუხისმგებლო საქმეს ჩავუფიქრდები ხოლმე.

— დიახ, თქვენ ახალშობილთა ჭემმარტად უზარმაზარი სამეფო შექმენით. — გაიღიმა გრეკემმა. — სიცოცხლის წარმოქმნასა და მის უხვ ნაყოფიერებას ასე არასოდეს უმოქმედია ჩემზე. აჰ, თქვენს მამულში, ყოველივე ხარობს და მრავლდება.

— ოჰ, იცით, — შეაწყვეტინა უეცრად გაელვებული აზრით აღფრთოვანებულმა პაოლამ, — მე თქვენ ჩემს ოქროს თევზებს გიჩვენებთ. მე მათ ვამრავლებ და, წარმოიდგინეთ, კომერციული თვალსაზრისით. სანფრანცისკოელ დიდ ვაჭრებს ვამარაგებ ყველაზე იშვიათი ჯიშებით და, წარმოიდგინეთ, ნიუ-იორკშიაც ვგზავნი. მთავარი ამ საქმეში ის გახლავთ, როგორც დიკის სამემოსავლო წიგნებიდან ჩანს, რომ ეს საქმე დიდ შემოსავალს მამლევს. დიკი მეტად მკაცრი აღმრიცხველია. ჩვენს მამულში ერთი ჩაქუჩი თუ ცხენის ნალის დასაჭედი ლურსმანიც კი არ მოიძებნება, რომ სააღრიცხვო წიგნში არ იყოს გატარებული. აი, რატომ სჭირდება მას ამდენი მოანგარიშე და ეკონომისტი. იგი გამოთვლისას ითვალისწინებს ცხენის შეუძლოდ ყოფნასა და ოდნავ კოჭლობასაც კი; ამგვარად, აურაცხელი ციფრების საფუძველზე მან შეძლო საფორნე ცხენის სამუშაო საათის ღირებულება ცენტის ერთი მეათასედის სიზუსტით გამოეანგარიშებინა.

— დიახ, მაგრამ თქვენ ხომ ოქროს თევზებზე მიაბზობდით? — გაახსენა მეუღლის ასე დაუსრულებელი ხსენებითა და შექებით გაღიზიანებულმა გრეკემმა.

— დიახ, დიკი ავალებს საუკეთესო ბუღალტრებს ასეთივე სიზუსტით გამოიანგარიშონ ჩემი საკუთარი შემოსავალი, რასაც თევზის გაყიდვით ვღებულობ. სახლში თუ მამულში მათზე დახარჯულ თითოეულ სამუშაო საათზე დგება განსხვავებული ფორმის ანგარიში. მასში აღნუსხულია, ასე წარმოიდგინეთ, საფოსტო მარკებსა და ყოველგვარ საწერ მასალაზე დახარჯული თანხაც კი. მე, რა თქმა უნდა, მევალება პროცენტი გადავიხადო შენობასა და ინვენტარზე. დიკი წყლის ფულის გადახდევინებასაც არ ივიწყებს. თითქოს მე სახლის მფლობელი ვიყო, თვითონ კი — წყალმმართველობის საზოგადოების წარმომადგენელი. ამგვარად, სარგებელიდან ხან ათი პროცენტი მექვითება, ხან ოცდაათიც კი. დიკი დამცინის და მარწმუნებს, რომ თუ მთელ ჯამს მმართველის, ესე იგი, ჩემი გასამრჯელო თანხაც გამოაკლდება, აღმოჩნდება, რომ ძალიან მცირე მოგებას ვღებულობ, ან შეიძლება სულაც ვზარალობ, რადგან ჩემი შემოსავლით შეუძლებელია ისეთი გამოცდილი მოურავის დაქირავება, როგორც დიკია. აი, რატომ უმართლებს დიკს ყოველი საწარმო. ცდები, რა თქმა უნდა, არ შედის ანგარიშში, მაგრამ, იგი, ჩვეულებრივ, არაფერს არ იწყებს ისე, ვიდრე საბოლოოდ არ გამოარკვევს ყოველ დეტალს, ყოველ წვრილმანს და არ გაიგებს, რა დაუჯდება ეს ყოველივე.

— დიკი თავისთავში მეტად დარწმუნებულია, — შენიშნა გრეკემმა.

— მე არ მინახავს ადამიანი ასე თავის თავში დარწმუნებული, — მგზნებარედ შეაწყვეტინა პაოლამ, — მაგრამ არც არავინ შემხვედრია, ვისაც ასეთი თვითრწმენის მეტი უფლება ჰქონდეს, ვიდრე დიკს. მას კარგად ვიცნობ, ის გენიოსია, მაგრამ არა ამ სიტყვის პირდაპირი, არამედ პარადოქსული მნიშვნელობით. გენიოსი იმიტომ, რომ მისი ზომიერება ნორმასთან ძალიან ახლოა. მისი ეს თვისება კი ყოველგვარ გენილობასთან შეუთავსებელია. ასეთი ადამიანები იშვიათად გვხვდებიან და ისინი უფრო დიდ პიროვნებებად მიმაჩნია, ვიდრე გენიოსები. ჩემი აზრით, ასეთი იყო აბრაამ ლინკოლნი.

— უნდა გამოგიტყდეთ, მე მთლად არ მესმის თქვენი, — წარმოთქვა გრეკემმა.

— ოჰ, მე სრულიადაც არ მინდა იმის თქმა, რომ დიკი ისეთივე დიდი პიროვნებაა, როგორც ლინკოლნი, — სწრაფად მიუგო პაოლამ. — დიკი შესანიშნავი, ყველასაგან განსხვავებული ადამიანია, მაგრამ ლინკოლნის ბუმბერაზულ დიდებულებასთან შედარება არ მქონია მხედველობაში. მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ მათ ერთმანეთს გაწონასწორებული ზომიერება ამსგავსებთ.

— აი, მეც გენიალურ ქმნილებათა რიცხვს მივეკუთვნები, ალბათ, რადგან ყოველივეს ვაღწევ, მაგრამ არ ვიცი, როგორ. უბრალოდ ვაკეთებ და მეტი არაფერი. ასე მივალწი გარკვეულ შედეგებს მუსიკაში, ყვინთვაში. გინდ მომკალით, არ შემიძლია ავიხსნათ, როგორ ხდება ყვინთვა, წყალში ხტომა ან ჰაერში ერთნახევარი ბრუნა.

დიკი, პირიქით, არაფრის გაკეთებას ხელს ისე არ მოჰკიდებს, თუ წინასწარ გარკვეული არა აქვს, რა უნდა გააკეთოს და რა მოჰყვება ყოველივე ამას.

ის ყველაფერს გააზრებულად, მშვიდად და დიდი შორსმჭვრეტელობით აკეთებს. ეს ადამიანი თვითონ თავისთავად და, საერთოდ, ყოველმხრივ საოცრებაა. თუმცა არც ერთ დარგში არავითარი განსაცვიფრებელი რამ არ მოუხდენია. ოჰ, მე კარგად ვიცი მას. იგი ათლეტური სპორტის აბსოლუტური ჩემპიონი არასოდეს არ ყოფილა. არავითარი რეკორდი არ დაუმყარებია, მაგრამ საშუალოდ არასოდეს ითვლებოდა. ასეთია ყველა დარგში, ინტელექტუალურშიაც და სულიერშიც. ის თითქოს სრულიად ერთნაირი რგოლებისაგან გამოკვერილი ჯაჭვია, რომელთა შორის უმძიმესა და უმსუბუქესს ვერ გაარჩევთ.

— ვფიქრობ, მსგავსების თვალსაზრისით მე თქვენთან უფრო მეტი საერთო აღმომაჩნდება, — უცრად ჩაურთო გრეჰემმა, — მეც სრულიად უბრალო, ჩვეულებრივ გენიათა რიცხვს მივეკუთვნები. დროდადრო მეც აღმანთებენ ხოლმე სრულიად მოულოდნელი საქმენი. ზოგჯერ კი მუხლს ვიყრი იდუმალების წინაშე.

— დიკს კი საოცრად სძულს ყოველივე, რაც იდუმალებით არის მოცული. ყოველ შემთხვევაში, თავს ისე გვიჩვენებს, რომ სძულს. მას არ აკმაყოფილებს მარტო იმის ცოდნა — როგორ, იგი დაუსრულებლად ეძიებს იმასაც — რატომ არის ასე და არა სხვაგვარად. იდუმალება აღიზიანებს მის სულს. ის ისე მოქმედებს მასზე, როგორც უკუნეთიდან ბრძოლის ველზე შემოჭრილ ხარზე მგზნებარების ამშლელი წითელი ფერი. მას სურს, უმაღვე გადააცილოს იდუმალებას საფარველი, გააშიშვლოს ამ გამოცანის არსი, ჩასწვდეს მის სიღრმეში, გაარკვიოს, როგორ და რისთვის ხდება ყოველივე, რომ იდუმალება იდუმალებად არ დარჩეს, არამედ იქცეს ნათელ სინამდვილედ, რათა განაზოგადოს და მეცნიერულად, თვალსაჩინოდ ამოხსნას.

სამი მთავარი მოქმედი პირის მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა, მაგრამ ძალიან ბევრი რამ მათთვის ჯერ კიდევ იდუმალების სქელ საფარქვეშ იყო მოქცეული. გრეჰემმა არ უწყოდა, რა დაუცხრომელი, შეუპოვარი ძალის დახარჯვა სჭირდებოდა პაოლას მეუღლესთან ძველებური სიახლოვის შესანარჩუნებლად. დიკი, თავის მხრივ, ერთ წამს ვერ იცლიდა აურაცხელი ცდებისა და პროექტების გადამკვიდე. ის სულ იშვიათადღა ჩნდებოდა სტუმართა წინაშე. მართალია, მეორე საუბრეს არასოდეს აკლდებოდა, მაგრამ სტუმრებთან ერთად სადამოობით ძალიან იშვიათად სეირნობდა. პაოლა გუმანით ხვდებოდა: აურაცხელი დამიფრული დეპეშები მექსიკიდან იმას მოწმობდა, რომ «ჰარვესტის ოქროს საბადოების» საქმე მეტად გართულდა. ქალი იმასაც ხვდებოდა, დიკთან მოსათათბირებლად სრულიად შეუფერებელ დროს რომ ჩამოდიოდნენ მექსიკაში უცხოური კაპიტალის მფლობელი აგენტები და წარმომადგენლები. თუმცა დიკი თვითონ ხშირად უჩიოდა მომსვლელთ. დიდ დროს მართმევენ, სულის ამოთქმის საშუალებას არ მამლევენო, მაგრამ გადაკვრითაც კი არასოდეს უხსენებია მათი სტუმრობის მიზეზი.

— ვერ წარმოიდგენ, რარიგად ვწუხვარ, რომ ყოველთვის ასე მოუცლელი ხარ, — ოხვრით წარმოთქვა დიკის ძლიერ მკლავებში მოქცეულმა და მისივე მუხლებზე მოკალათებულმა პაოლამ, როცა, როგორც იქნა, ერთ უნეტარეს დილას მეუღლე საკუთარ ოთახში მარტოდმარტო აღმოაჩინა.

პაოლას შესვლამ ხელი შეუშალა დიკს წერილის კარნახში დიქტოფონზე, თან მალევე ბონბრაიტის მორიდებული ხველა შემოესმა, რომელიც უამრავი დეპეშით ხელში ოთახში შემოვიდა.

— გამომყვები, დიკ, სასაიროდ ამ საღამოს? დადის და ფადის შევამევიენებ ეტლში. მხოლოდ ჩვენ ორნი წავიდეთ, ხალხს გავშორდეთ, — ემუდარებოდა პაოლა მეუღლეს.

დიკმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და გაიღიმა.

— საუზმეზე მეტად საინტერესო ხალხს ნახავ, — განუცხადა დიკმა. — სხვები-სათვის ამის ცოდნა, რა თქმა უნდა, საჭირო არ არის, მაგრამ შენ კი ყოველივეს გეტყვი. — დიკმა ხმა დაუწია. ბონბრაიტს თავი დაეხარა და ღრმად ჩაფლულიყო კართოტეკებში. — პირველ ყოვლისა, მრავლად იქნებიან «ტემპიკოს» სახელწოდებით ცნობილ ნავთობის სარეწებიდან, იქნება «ნასისკოს» მმართველი თვით სემიუელსი, პირსონ-ბრუკსის სული და გული — უიშარი, — ეს ის ჭაბუკია, რომელიც აღმოსავლეთ სანაპიროების რკინიგზების შესყიდვას ხელმძღვანელობდა; უთუოდ იქნება ტიუანა სენტრალიც, «ნასისკოსთან» შებმას და მის ცარიელ-ტარიელზე დატოვებას რომ ცდილობდნენ. სტუმართა შორის იქნება აგრეთვე ჰიუსკუკუმის ბელადად აღიარებული მათიუსონი, ატლანტის ოკეანის მთელ სანაპიროებზე პალმერსტონის ინტერესთა უდიდესი დამცველი. ხომ გახსოვს, ეს ინგლისური ფირმა რა გამმვინვარებული ებრძოდა «ნასისკოს» და პირსონ ბრუკსებს. ერთი სიტყვით, დიდი თავყრილობა იქნება. ეს ყოველივე ნათლად გვიჩვენებს, რომ მექსიკაში საქმე მეტად ცუდად მიდის, რადგან ყველას გადაავიწყდა ძველი შუღლი და მტრობა და ახლა შესათანხმებლად იყრიან თავს.

ისინი, როგორც მოგეხსენება, ნავთობის ბატონ-პატრონნი არიან. მეც, ასე ვთქვათ, მნიშვნელოვან პირად მთვლიან, რადგან სურთ ჩემი ინტერესები მათ ინტერესებს უთანხმდებოდეს. ნავთობი და მალარობი. დიახ, იგრძნობა, დიდი ამბებია მოსალოდნელი. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და რამე ვიღონოთ ან გუდა-ნაბადი ავიკრათ და მექსიკას გავეცალოთ. გამოგიტყდები, მას შემდეგ, რაც სამი წლის წინათ, იმ საოცრად დამაბულ ვითარებაში ზურგი მაქციეს, მეც, ჩემი მხრივ, გავნაწყენდი და მათკენ აღარ გამიხედავს. იქნებ, სწორედ ამიტომ მეახლნენ ახლა თავად.

თუმცა დიკი მთელი ამ დროის მანძილზე პაოლას მხოლოდ ეფერებ-ეალერსებოდა, მაგრამ პაოლას გამოცდილმა თვალმა მაინც შენიშნა, როგორი მოუთმენელი მზერა შეავლო მან დიქტოფონზე დაუმთავრებელ წერილს.

— ამგვარად, — დაასკვნა დიკმა და ისევ ჩაიკრა პაოლა გულში, თითქოს ამით აგრძნობინა, დრო ამოიწურა და უნდა წახვიდეო, — შუადღემდე მათთან ვიქნები. სადილობამდე აღარავინ დარჩება, ადრევე გაუდგებიან გზას.

პაოლა ქმრის მუხლებიდან ჩამოცურდა, საოცარი მკვეთრი მოძრაობით მისი მკლავებიდან თავი გაითავისუფლა, წელში გასწორდა და დიკის წინ კელაპტარივით აღიმართა. თვალები უკიაფებდა, სახეზე კი უჩვეულოდ მიხდოდა ფერი. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაიმე ფრიად მნიშვნელოვანი თუ საბედისწერო უნდა აცნობოსო. სწორედ ამ დროს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. დიკმა ყურმილი აიღო. პაოლამ თავი დახარა და ჩუმად ამოიოხრა. ოთახიდან გასვლისას კი გაიგონა, როგორი სისწრაფით მიუახლოვდა ბონბრაიტი დიკის მაგიდას. ხელში უამრავი დეპეშა ეჭირა. ისიც კარგად გაიგონა, რა თემაზე დაიწყო მისმა მეუღლემ საუბარი ტელეფონით.

— არა! ეს შეუძლებელია! ჯერ ყოველივე შეასრულოს, თორემ საქმეზე მთლად ხელს ავაღებინებ. ეს ჯენტლმენური შეთანხმება სისულელეა და მეტი არაფერი. მხო-

ლოდ ასეთი ზეპირი შეთანხმება რომ გვექონოდა, უთანხმოებაც არ მოგვივიდოდა. ხომ მოგეხსენებათ, რა საინტერესო მიწერ-მოწერა მაქვს, რომელიც მას, ალბათ, სრულიად გადაავიწყდა... დიახ, დიახ... ყველა სასამართლო აღიარებს და იცნობს ამას. დაახლოებით ხუთი საათისათვის თქვენთან, დაწესებულებაში გამოგიგზავნით მთელ შეკვრა საბუთებს. მას კი ჩემ მაგიერ გადაეცით, თუ ამ ოინბაზობას და ხრიკებს არ მოიშლის, სულ ნაცარტუტად ვაქცევ. ამიერიდან მე თვითონ მოვკიდებ ხელს გემ-თმშენებლობის საქმეს და ისეთ კონკურენციას გავუწევ, რომ ერთი წლის შემდეგ მისი გემები სასამართლო აღმასრულებელთა ხელში აღმოჩნდება... ალო! მისმინეთ?... განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეთ იმ პუნქტს, რომელზედაც გელაპარაკებოდით... დარწმუნებული ვარ, რომ შტატთაშორისო სავაჭრო კომიტეტში მასზე უკვე ორი საქმეა შედგენილი...

არც გრეჭემს და არც თვით პაოლას არ წარმოედგინათ, რომ დიკი, ეს შესანიშნავი გონებაგამჭრიახი, დამკვირვებლის უტყუარი თვალით, განსაცვიფრებელი მიხვედრილობის უნარით დაჯილდოებული ადამიანი, რომელიც წინასწარმეტყველურად და უცდომლად ჭვრეტდა მომავალს და თვალისათვის სრულიად უხილავი ნიშნებისა და გადაკვრით ნათქვამი სიტყვების საფუძველზეც კი გამოჰქონდა უზუსტესი დასკვნები, ახლა უკვე გრძნობდა იმას, რაც ჯერ არ მომხდარიყო, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნდა თავს დასტყდომოდა. მას არ მოუსმენია პაოლას მიერ მუხების ქვეშ, ცხენსაბმურთან მოკლედ ნათქვამი სიტყვები, არ შეუნიშნავს მისი ცნობის მოყვარეობით აღვსილი მზერა, როცა თაღების ქვეშ გრეჭემს შემოხვდა. დიახ, დიკს სრულიად არაფერი გაუგონია, არც არაფერი დაუნახავს, მაგრამ ძალიან ბევრს გრძნობდა; თვით პაოლას მწვავე განცდებიც კი მან უფრო ადრე შეიგრძნო, ვიდრე თვით პაოლა ჩასწვდებოდა საკუთარი გულის დაუცხრომელ ძახილს.

ერთადერთი, რასაც შეეძლო შეემფოთებინა მისი სული, ეს ის საღამო იყო, როდესაც ბრიჯის თამაშში გართულმა დიკმა თვალის ერთი შევლებით შენიშნა, რა უცრად გაშორდნენ როიალს დუეტის შესრულების შემდეგ. დიკმა შენიშნა რაღაც უჩვეულო პაოლას მხიარულ, გრძნობით ატკრეცილ სახეზე, მას რომ გულდიად შესცინოდა და წაგების გამო აჯავრებდა. დიკიც ასეთივე მხიარული სიცილით შეჰყურებდა მეუღლეს. უცებ მზერა გრეჭემზე გადაიტანა, რომელიც იმ წამს პაოლას გვერდით იდგა და მის სახეზედაც მეტად უცნაური გამომეტყველება შენიშნა. «ძალიან დელავს, — უმაღვე გაიფიქრა დიკმა. — მაგრამ, რატომ? არის რამე საერთო მის სულიერ მღელვარებასა და იმ ამბავს შორის, რომ პაოლა ასე უცრად გაშორდა როიალს?» ეს ფიქრი გამუდმებით უტრიალებდა გონებაში, მაგრამ სტუმრების მახვილგონივრულ ხუმრობაზე იცინოდა, ურევდა ბანქოს, არიგებდა და ის ხელი მოიგო კიდეც.

თუმცა დიკი თავს არწმუნებდა, ეს ყოველივე მხოლოდ შეუსაბამობა და უაზრობა, უგუნური წარმოსახვა და გონების ამრევი ფიქრი, რომელიც არავითარ საფუძველს არ ეყრდნობაო, — არწმუნებდა საკუთარ თავს და თვითონვე ასკვნიდა ბრძნულად: უბრალოდ, ჩემი მეუღლეცა და მისი მეგობარიც განსაცვიფრებლად მომხიბვლელი ადამიანები არიანო... და მაინც ვერ შეძლო დიკმა გონებიდან ამოეგდო აზრი, თუ რისთვის შეწყვიტეს სიმღერა ასე უცრად იმ საღამოს, ან თვითონ მას რატომ მოეჩვენა, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა. რატომ იყო გრეჭემი ასე მეტისმეტად დამაბული.

იმ დილით ვერც ბონბრაიტი მიხვდა, დეპემის ტექსტს რომ იწერდა, რატომ მიიჭრებოდა ხოლმე მისი პატრონი ძალიძალ სარკმელთან ცხენის ფეხის ხმის გაგონებისთანავე.

ეს ახლა უკვე პირველი დილა აღარ იყო. ფანჯარასთან მისული დიკი თვალყურს ადევნებდა ცხენებზე ამხედრებული სტუმრების დაბრუნებას მუხების ქვეშ, ცხენსაბმურთან. დიახ, იცოდა იმ დილითაც, სანამ პირველ მხედრებს მოჰკრავდა თვალს, ვისაც იხილავდა იქ.

— «ბრექსტონს არავითარი საფრთხე არ მოეღოს, — განაგრძობდა დიკი კარნახს ჩვეული მშვიდი ტონით და თან თვალი იქით ეჭირა, საიდანაც მხედრები უნდა გამოჩენილიყვნენ. — თუ რაიმე მოხდა, მას შეუძლია მთები გადაიაროს და არიზონაში გადავიდეს. დაუყოვნებლივ მოინახულე კონორსი. ბრექსტონმა მას დაუტოვა ყველა ინსტრუქცია. კონორსი ხვალ ვაშინგტონში იქნება. გაიგეთ და მაცნობეთ ყველა ვითარების წვრილმანი. ხელმოწერა».

გზაზე ფონი და ალტადენაც გამოჩნდნენ. თავი თავს მიდებულები ცხენები გამალეებით მოქროდნენ. დიკს წინათგრძობამ არ უმტყუნა: სწორედ მათ მოჰკრა თვალი, ვისაც ელოდა. სიცილის, მხიარული წამომახილისა და ცხენების თქარათქურის ხმა, რომელიც მის ყურთასმენამდე აღწევდა, იმას მოწმობდა, რომ წინმავალ ორ მხედარს უკან მოჰყვებოდნენ დანარჩენები.

— მეორე დეპეშა თქვენ შეადგინეთ, მისტერ ბონბრაიტ, ჩვენი ჰარვესტის კოდით, — მშვიდად განაგრძობდა დიკი და სარკმლიდან შორს გასცქეროდა. თან იმაზე ფიქრობდა, რომ გრეკემი თუმცა ცუდი მხედარი არ იყო, მაგრამ არც შეუდარებელ ცხენოსნად ჩაითვლებოდა და ალტადენაზე მშვიდი ცხენი უნდა შეეთავაზებინა. — ეს დეპეშა ჯერემი ბრექსტონს გაუგზავნეთ, ერთდროულად ორივე ხაზით გადაეცით. იმეღია, ერთ-ერთი მაინც მიაღწევს დანიშნულების ადგილს.

## თავი მეოცე

დიდ სახლში სტუმართა მოზღვავებამ კვლავ იკლო. ადრე მოსული სტუმრებიც ნელ-ნელა გაიკრიფნენ და ახლა ხშირად საუზმეზე და სადილად მხოლოდ სამნი იხდნენ ხოლმე: პაოლა, დიკი და გრეკემი. მაგრამ საღამოობით, როდესაც მამაკაცებს დაწოლამდე კიდევ სურდათ თუნდაც ერთი საათი წამასლაათება, პაოლა უკვე აღარ უკრავდა როიალზე გულში ჩამწვდომ სიმღერებს: რაიმე ნატიფი ხელსაქმით ხელში, მოსაუბრეთ გვერდით მიუჯდებოდა და მათ საუბარს გატაცებით უსმენდა.

მეგობრებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო: ჭაბუკობის წლები თითქმის ერთნაირად გაატარეს და ახლა მათი შეხედულებები ცხოვრებაზე ბევრად არ განსხვავდებოდა. მათი ცხოვრებისეული ფილოსოფიაც უფრო მკაცრი და დახვეწილი გახლდათ, ვიდრე სენტიმენტალური. ორივე მამაკაცი ნამდვილი რეალისტი იყო.

— დიახ, რა თქმა უნდა, — სიცილით შეესიტყვებოდა ხოლმე პაოლა ორივეს, — ძალიან კარგად მესმის, რატომ გწყალობთ ცხოვრება ასე ძალიან. იმიტომ, რომ ორივემ დიდი ფიზიკური წრთობა გაიარეთ, ორივე მეტად ჯანმრთელნი და ამტანნი ხართ. თქვენ შეგიძლიათ ყოველივე დასძლიოთ და ყოველგვარ განსაცდელს გაუძლოთ. თქვენ გადაიტანეთ ის, რასაც თქვენზე სუსტებმა ვერ გაუძლეს და დაილუპნენ. აფრიკულმა ციებ-ცხელებამაც ვერ შეაკრთო თქვენი სხეული, მაშინ როცა ამ სენით დაავადებული უამრავი მეგობარი მიწას მიაბარეთ. ის უბედური ჭაბუკიც ხომ პნევმონიით დაავადდა ქრიპლ-კრიკზე და ისე გარდაიცვალა, მთებიდან დაბლობში ჩამოყვანაც ვერ მოასწარით. რატომ თქვენ არ გახდით ავად? იმიტომ, რომ სხვებზე უკეთესი იყავით? იმიტომ, რომ ყოველნაირ საფრთხეში თავს არ იგდებდით და თავშეკავებულ ცხოვრებას ეწეოდით? — პაოლამ თავი გაიქნია. — არა, ამიტომ არა. მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადეთ: მხედველობაში მაქვს ის

წრე და საზოგადოება, სადაც დაიბადეთ და, რაც მთავარია, ჯანმრთელობა, ორგანიზმის გამძლეობა, სიცოცხლისუნარიანობა და სხვა მრავალი. დიკმა გვიაქილში მართოდმართომ დაასაფლავა სამი შტურმანი და ორი ინჟინერი, ისინი ყვითელმა ციებცხელებამ იმსხვერპლა. მერე რატომ არ გავრცელდა ეს ბაქტერია და არ გამოასალმა წუთისოფელს დიკიც? სწორედ იგივე შეიძლება ითქვას თქვენზეც, ფართობეჭებიანო და მკერდმაგარო მისტერ გრეჰემ. აი, თქვენი უკანასკნელი მოგზაურობის დროს ჭაობში ფოტოგრაფი დაილუპა, თქვენ კი გადარჩით. როგორ მოხდა ეს, აბა, ერთი აგვიხსენით. გამოტყდით! რამდენს იწონიდა იგი, რა სიგანის მხრები ჰქონდა? როგორი ნესტოები? რა გამძლეობა?

— იგი ას ოცდათხუთმეტ ფუტს იწონიდა, — ნალვლიანად განუცხადა გრეჰემმა, — მაგრამ ძალიან ჯანმრთელი და ძლიერი ჩანდა. მე განცვიფრებული დავრჩი, როდესაც ჭაობში ამოტრიალდა და მხოლოდ მისი ფეხის თითებიღა შევნიშნე. — გრეჰემმა თავი ჩაღუნა. — მაგრამ ის ხომ იმის გამო არ ჩაფლულა ჭაობში, რომ მომცრო ტანადობის იყო და შედარებით ცოტას იწონიდა. პატარა ტანის ადამიანები უფრო ამტანნი არიან ასეთ ვითარებაში. მაგრამ თქვენ მაინც კარგად მიუთითეთ მთავარ მიზეზზე. იგი ფიზიკურად სუსტი აღმოჩნდა და წინააღმდეგობის გადალახვის დაუშრეტელი უნარი არ გააჩნდა... თქვენ კარგად გესმით, დიკ, რას ვგულისხმობ ამ სიტყვებში, არა?

— ეს კუნთებისა და გულის რაღაც განსაკუთრებული თვისებაა, რომელიც საშუალებას აძლევს კრივის ზოგიერთ ოსტატს ერთმანეთზე მიყოლებით 20—30—40 რაუნდი ჩაატაროს, — შენიშნა დიკმა. — სწორედ ახლახან სან-ფრანცისკოში ასობით ჭაბუკი ოცნებობდა რინგზე გამარჯვებას, მე თვალყურს ვადევნებდი, როგორ ცდიდნენ საკუთარ ძალებს. ყველა საუკეთესო აგებულების იყო. რა თქმა უნდა, ახალგაზრდები და ჯანმრთელები. ყველა შეუპოვრად მიისწრაფოდა გამარჯვებისაკენ. მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ათ რაუნდზე მეტს ვერ გაუძლო. იმიტომ კი არა, რომ აჯობეს. არა, უბრალოდ, გამძლეობა არ ჰყოფნიდათ. ეტყობა, მათი კუნთები და გული არ არის იმ პირველხარისხოვანი ორგანული ბოჭკოსი და ასეთ რთულსა და დამაბულ მოძრაობაში ათ რაუნდსაც ვერ უძლებს. ძალიან ბევრი მეოთხე რაუნდის შემდეგ სულს ვერ ითქვამდა. ორმოციდან ერთმაც ვერ გაუძლო ოც რაუნდს, თუმცა ბრძოლა სულ ერთ საათს გრძელდებოდა. ყოველი სამი წუთის დამაბული ბრძოლის შემდეგ ერთ წუთს ისვენებდნენ. ჭაბუკი, რომელსაც უნარი შესწევს ორმოც რაუნდს გაუძლოს, ისეთები, როგორიც არიან, მაგალითად, ნელსონი, ჰანსი და ვოლგასტი, ათი ათასში ერთი თუ ამოირჩევა.

— მიმიხვდით, რა მინდა გითხრათ? — განაგრძო პაოლამ. — აი, თქვენ ორნი ხართ. ორივე ორმოცს გადაცილებული. ორივე გამოუსწორებელი ცოდვილნი. ორივემ ცეცხლსა და წყალში გამოიარეთ. თქვენს გვერდით სხვებს ფეხი უცდებოდათ და ილუპებოდნენ. თქვენ ქვეყანა შემოიარეთ, გადალახეთ ზღვა და ხმელეთი. სიხარული და სიამეც უხვად იგემეთ...

— დიახ, სადავემიშვებულნი დავაქროლებდით, — გაიცინა გრეჰემმა.

— კარგადაც სვამდით, — დაუმატა პაოლამ, — მაგრამ ალკოჰოლს თქვენთვის გულ-ღვიძლი არ დაუწვავს. უძლეველნი აღმოჩნდით, იმ დროს, როდესაც სხვები მაგიდის ქვეშ ცვივოდნენ და საავადმყოფოებითა და საცხედრებით ამთავრებდნენ სიცოცხლეს. თქვენ კი სიმღერით აგრძელებდით გზას... თქვენს სახელოვან გზას. დარჩით უვნებელნი და ნალვინეზზე თავიც კი არ წამოგტკენიათ. ახლა თქვენს დასახულ მიზანს მიაღწიეთ და გამარჯვებულნი ხართ! თქვენი კუნთები სისხლით მდიდარი კუნთებია. თქვენი გული და ფილტვებიც ასევე სისხლჭარბია. ამიტომაც თქვენი ფი-

ლოსოფიაც ასეთივეა. ფოლადური შემართებისანი ხართ და რეალიზმსაც მისთვის ქადაგებთ. — პრაქტიკულ რეალიზმს. თქვენ სუსტთავიანებზე გაიკაფეთ სავალი გზა. არც იმათ ინდობთ, ვისაც ბედი ნაკლებად სწყალობს, რადგან არ შეუძლიათ სიტყვა შემოგბედონ, სამაგიერო გადაგიხადონ. ისინი ხომ პირველი შეტაკებისთანავე დაბლა ცვივიან, როგორც ის ჭაბუკები, ახლა დიკი რომ ლაპარაკობდა. ისინი ერთ რაუნდსაც ვერ გაუმლებდნენ, ღონეში თქვენ რომ დაგტოლებოდნენ.

დიკმა დამცინავად დაუსტვინა.

— აი, რატომ ქადაგებთ ძლიერთა სახარებას, — განაგრძობდა პაოლა. — აბა ერთი უძლურები იყოთ, თუ უძლურთა სახარებას არ იქადაგებდით, ერთ ყბაში რომ გაგარტყამდნენ, მეორეს მიუშვერდით. მაგრამ თქვენ ორივე კუნთმაგარი დევგმირები ხართ და თუ ვინმემ გარტყმა შემოგბედათ, დარწმუნებული ვარ, მეორეს არ მიუშვერთ.

— არა, — მშვიდად შეაწყვეტინა დიკმა, — ჩვენ მაშინვე დავიყვირებთ: თავი გააგდებინეთ და, რა თქმა უნდა, აღვასრულებთ კიდეც. ხედავ, როგორ რკალში მოგვამწყვდია, გრეჭემ? ადამიანთა მიერ შექმნილი ფილოსოფია, ისევე, როგორც რელიგია, სრულიად ისეთივეა, როგორც თვით მისი შემოქმედი ადამიანი. მასში ხომ შემოქმედის საკუთარი სახე და სურვილებია გაცხადებული.

მამაკაცებმა ქვეყნიერების საჭირობოროტო საკითხებზე განაგრძეს საუბარი, პაოლა კი კვლავ ქარგავდა, მაგრამ მის თვალთა წინაშე ამ ორი ტანადი მამაკაცის სახე იდგა. ის აღტაცებული იყო ორივეთი და თან გაოცებულიც, რატომ ვერ ნახულობდა საკუთარ სულში თვითდაჯერებულობასა და რწმენას, რაც მათთვის ასე უხვად ებოდებინა განგების ძალას. მხოლოდ გრძნობდა, რომ მათი შეხედულებანი და მტკიცე რწმენანი, რომელსაც ის დიდი ხანია დათანხმებოდა და მის საკუთრებად ქცეულიყო თითქოს, ახლა თანდათან ნისლით იბურებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ეს დაეჭვება ხმამაღლა წარმოთქვა:

— ყველაზე უცნაურად ის მეჩვენება, — განაცხადა მან დიკის მიერ გამოთქმული აზრის პასუხად, — რომ, რაც მეტს ფილოსოფოსობს ადამიანი ცხოვრებაზე, გაცილებით მით უფრო ნაკლებს აღწევს. გამუდმებული ფილოსოფიური ატმოსფერო განსაკუთრებით ქალს უბნევს თავგზას. როდესაც ადამიანს ყოველივესა და ყველაფერის საწინააღმდეგო მრავალნაირი მსჯელობა ესმის, არავითარი რწმენა აღარ გააჩნია და მეტად დაეჭვებულია. აი, მაგალითად, მენდენჰოლის მეუღლე, იგი ლუთერანია, მის სულში ეჭვის ნასახიც კი არ მოიძებნება, მისთვის ყოველივე ნათელია, ყოველივე თავის ადგილას მტკიცედ მყოფი და ურღვევი. ვარსკვლავთცვენასა და გამყინვარების პერიოდებზე არაფერი სმენია, და რომ იცოდეს კიდეც, ოდნავადაც ვერ შეუცვლიდა საკუთარ თვალსაზრისს იმაზე, როგორ უნდა ეჭიროს თავი ქალსა და მამაკაცს სააქაოს თუ საიქიოს.

თქვენ აქ ჭეშმარიტი რეალიზმის საოცრად რთულ თეორიებს გვიქადაგებთ. ტერენსი ბერძნულ ცეკვას ეპიკურეულ ანარქისტულ სტილზე ასრულებს. ჰენკონკი მოციმციმე ვუალს უფრიალებს ბერგსონელ მეტაფიზიკოსებს. ლეო მშვენიერების საკუთრებელის წინ დაჩოქილი ლოცულობს. დარ-ჰიალი საკუთარი სოფისტური პარადოქსებით დაუსრულებლად ტაკიმასხარაობს. თქვენ კი, რა თქმა უნდა, ტაშით აჯილდოებთ მის გონებამახვილობას. ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ ხელთ საბოლოოდ არც ერთი საფუძვლიანი ადამიანური განსჯა არ გვრჩება, რომელზედაც დაყრდნობა შეიძლებოდა. არაფერი სწორი არ არის, ყველაფერი უმართებულო და მცდარია. გრძნობთ, რომ იდეათა ოკეანეში უკომპასოდ, უაფროდ და ურუკოდ მისცურავთ. რა უნდა ქნას ადამიანი? თავი შეიკავოს თუ დინებას მიენდოს? მცდარი იქნება ეს ნაბი-

ჯი თუ სწორი? ავის მომასწავებელი თუ კარგის? მისის მენდენჰოლს ყველა კითხვაზე მზა პასუხი აქვს. ფილოსოფთ კი, — პაოლამ თავი გაიქნია, — არა, რა თქმა უნდა, არა აქვთ. ყოველივე, რაც მათ გააჩნიათ, ეს იდეებია და, პირველ ყოვლისა, ისინიც მსჯელობას იწყებენ. მსჯელობენ, მსჯელობენ და, მიუხედავად მათი დიდი ერუდიციისა, საბოლოო დასკვნა არასოდეს გამოუთქვამთ. ამ შემთხვევაში მეც მათებრ უუნარო ვარ. ვუსმენ, ვუსმენ, ვმსჯელობ, ვლაპარაკობ, როგორც აი, ახლა და არავითარი რწმენა არ გამაჩნია. თქვენ წარმოიდგინეთ, არც არავითარი საზომი.

— საზომი არსებობს, დიახ, არის, რა თქმა უნდა, — შეეპასუხა დიკი. — ძველი, მარადიული საზომი. ჭეშმარიტება ის არის, რაც ცხოვრებაში თავის თავს ამართლებს.

— ოჰ, აი, ისევ იწყებ შენი საყვარელი თეორიის ქადაგებას ფაქტიური მასალის გამოძახებით, — გაიღიმა პაოლამ. — დარ-ჰიალი კი მხოლოდ ჟესტიკულაციისა და სიტყვათა საოცარი თამაშით დაგიმტკიცებს, რომ ყოველი სინამდვილიდან აღებული ფაქტი ილუზიაა მხოლოდ. ტერენსის მტკიცებით, ყოველგვარი მიზანშეწონილობა სრულიად ზედმეტი, არარსებული და გაუგებარია ამქვეყნად. ჰენკონკის აზრით, ჩვენს ზემოთ არსებული ბერგსონის ცა სამყაროსათვის დამკვიდრებულ იმავე მიზანშეწონილობით ხასიათდება და რიყის ქვით არის მოკირწყლული. მაგრამ მათ ხომ შენთან შედარებით გაცილებით სრულყოფილად ჩამოყალიბებული მტკიცებანი გააჩნიათ: ლეო კი შეეცდება დაგვარწმუნოს, რომ სამყაროში ერთადერთი რამ არსებობს — სილამაზე, და ის, რა თქმა უნდა, რიყის ქვა კი არა, მბრწყინავი ოქროა მხოლოდ...

— მოდი, ჩემო მეწამულო ღრუბელო, ცხენებით გავისეირნოთ დღეს, — სთხოვა პაოლამ მეუღლეს. — თავი მიანებე ამ თავსატეხ საქმეებს, დაივიწყე მოსამართლენი, მადაროები, შინაური პირუტყვი.

— მეც ძალიან მიხდა, ჩემო პოლი, — უპასუხა დიკმა, — მაგრამ არ შემიძლია, მანქანით ბიუკეიში უნდა გავქანდე. ამ დილით, სწორედ საუზმის წინ, უორდი ჩამოვიდა. რაღაც დიდ დაბრკოლებას წაწყდომიან, ჩანს, კაშხალთან დაკავშირებით. ალბათ, დინამიტით ამდენი აფეთქების წყალობით ქვედა ფენა გაიბზარა. რაღა სარგებლობა გვექნება ამგვარი კაშხალისაგან, თუ წყალსაცავის ფსკერი წყალს ვედარ დაიჭერს?

ბიუკეიდან სამი საათის შემდეგ მობრუნებულმა დიკმა თვალი მოჰკრა ცხენებით გასასეირნებლად წყვილად მიმავალ პაოლასა და გრეჰემს.

უეინრაიტებისა და კოგლენების ოჯახს «რამენ რივერის» სანაპიროზე ერთი კვირის გატარება მოსურვებოდა და ორი მანქანით გზად ერთი დღით დიდ სახლში შეჩერდნენ. პაოლას ბევრი აღარ უფიქრია, ყველა სტუმარი ოთხცხენიან ეტლში ჩასვა და ლოს-ბანოს მთებში წაიყვანა. რადგანაც დილით გაემგზავრნენ, დიკს მათთან ერთად წასვლა არ შეეძლო, თუმცა მათ გასაცილებლად გამოსული მაინც მოწყდა ბლეიკთან მუშაობას. საკუთარი ხელით შეამოწმა ცხენთა აღკაზმულობა, სადავეები და ეტლი. ყველაფერი წესრიგში იყო, მხოლოდ ყველას თვითონ მიუჩინა ახალი ადგილი და დაჟინებით მოითხოვდა, გრეჰემი პაოლას გვერდით დამჯდარიყო კოფოზე.

— საჭიროა პაოლას გზადაგზა მამაკაცის ხელი მიეშველოს, — აუხსნა მან სტუმრებს. — არაერთხელ მინახავს, როგორ ზიანდება მუხრუჭი შუა დაღმართში, რაც მგზავრებს გვარიან უსიამოვნებას აყენებს. ყოფილა მსხვერპლის შემთხვევებიც. ახლა კი იმისათვის, რომ ნერვები დაგიწყნაროთ და იცოდეთ, რას წარმოადგენს პაოლა, ერთ სიმღერას გიმღერებთ:

რას აკეთებს პაოლა, რა ზრახვა აქვს ახალი?  
ორცხენიან ეტლს მართავს პაწაწინა მზექალი;  
ნუ იფიქრებთ, რომ მეტი არაფერი შეეძლოს,  
ოთხი ცხენის მართვაშიც ვერ უპოვით მალე ტოლს.

სტუმრებმა ხარხარი ატეხეს. პაოლამ მეჯინიბეებს, ცხენებს რომ აკავებდნენ, განთავისუფლება ანიშნა, თავად საიმედოდ ჩაჰკიდა სადავეებს ხელი, მარჯვედ გაასწორა და დაამოკლა.

ხუმრობითა და სიცილ-ხარხარით სტუმრები დიკს ემშვიდობებოდნენ. მშვენიერმა აისმა — კიდევ უფრო ზეაღმტაცი დღის მომასწავებელი რომ ჩანდა, გულთბილმა და თავაზიანმა მასპინძელმა, ასე დიდი პატივისცემით რომ გამოაცილა და ბედნიერი მგზავრობა უსურვა, ყველა იმდენად მოხიბლა, რომ ირგვლივ სხვა აღარაფერი შეეძლოთ შეემჩნიათ. არავინ უწყობდა, რომ პაოლას აღარ დაუფლებია მგზნებარე სიხარული, თუმცა ოთხი ისეთი ცხენის სადავე ეპყრა ხელთ, რაც სხვა დროს უდავოდ განუსაზღვრელ სიამეს მიანიჭებდა. ახლა მისთვის გამოუცნობ, ბუნდოვან სევდას დაერია ხელი. ერთი მთავარ მიზეზთაგანი ის გახლდათ, რომ დიკი მათთან ერთად არ მიდიოდა სამოგზაუროდ. სიხარულით გაბრწყინებული დიკის სახის დანახვაზე გრეჰემმა საოცარი სინდისის ქენჯნა იგრძნო. ერჩია, იმ წამებში იმ შეუდარებელი ქალის გვერდით ჯდომას მატარებლით ან გემით თუნდაც ქვეყნის დასასრულამდე ევლო.

მაგრამ დიკის სახეზე, როგორც კი მათ განშორდა და სახლისკენ შემობრუნდა, მხიარულება მსწრაფლ განქარდა. თერთმეტის რამდენიმე წუთზე კარნახი დაასრულა. ბლეიკი წამოდგა და წასასვლელად მოემზადა, თუმცა ყოყმანობდა და ოთახიდან არ გასულა, ბოლოს თითქოს დამნაშავის ტონით წარმოთქვა:

— მისტერ ფორესტ, თქვენ მთხოვეთ იმ წიგნის კორექტურის შესახებ შემეხსენებინა, შორტკორნებზე რომ დაწერეთ, გუშინ გამომცემელთაგან მეორე დეპეშა მივიღეთ, წიგნის დაბრუნებას ითხოვენ.

— ვეღარ მოვასწრებ, — უპასუხა დიკმა. — თუ შეიძლება, სტამბური შეცდომები გაასწორეთ, მერე მისტერ მენსონს გადაეცით, რომ ფაქტები შეამოწმოს; სთხოვეთ, დიდი სიფრთხილით გადასინჯოს «მეფე დევონის» გენეალოგია და გადაუგზავნეთ.

თერთმეტ საათამდე დიკი მმართველთა და ეკონომთა მიღებას განაგრძობდა. მხოლოდ თორმეტის თხუთმეტ წუთზე მოახერხა გამოფენის დირექტორის მისტერ პიტსისაგან თავის დაღწევა. პიტსი მის მამულში მოწყობილი ერთწლიანი შინაური პირუტყვის გასაყიდი კატალოგის მაკეტს ათვალთქმობდა. სწორედ ამ დროს მისტერ ბონბრაიტი გამოჩნდა და დიკს დეპეშები მოუტანა. დიკმა ვერც მოასწრო ყველა საქმის დასრულება, რომ საუზმის დროც დადგა.

სტუმრების გაცილების შემდეგ ახლავა დარჩა მარტო. საძინებელი ოთახის ვერანდაზე გავიდა და კედელზე დაკიდებულ თერთმეტისა და ბარომეტრს მიუახლოვდა, თუმცა მათ სულაც არ უყურებდა. იგი უცქერდა მოდიმარე გოგონას სახეს, ხის მრგვალ ჩარჩოში რომ მოჩანდა.

— პაოლა, პაოლა, — წარმოთქვა მან ხმამაღლა, — ნუთუ ამდენი წლის შემდეგ მეც განმაცვიფრებ და საკუთარ თავსაც. ნუთუ თავდავიწყებამდე მიხვალ? შენ ხომ უკვე დარბაისელი მანდილოსანი ხარ და არა ნორჩი ქალწული.

დიკმა კრაგები ჩაიცვა და დეზებიც შემოიჭირა, ნასაუზმევს ცხენით გასამგზავრებლად. მერე ფიქრმორეულმა კვლავ ასე მიმართა სურათს:

— რა გაეწყობა, მე პატიოსანი თამაშის მომხრე ვარ, — ჩაილაპარაკა ჩუმად, — წამიერი შეყოვნების შემდეგ კი, როდესაც უკვე წასასვლელად შემოტრიალდა, დაუმატა: — გადაშლილ ველზე... სრულიად ერთნაირ ვითარებაში...

— თუ აქედან მალე არ გავემგზავრე, — ხუმრობით უთხრა გრეკემმა დიკს იმავე დღეს, — თქვენს პანსიონერად ვიქცევი და მადრონოსჭალელ ფილოსოფოსებთან მომიწევს ცხოვრება.

სამივე კოქტიელს შეექცეოდა. სეირნობიდან დაბრუნებულ სტუმართაგან ჯერ კიდევ არავინ ჩანდა.

— ნეტავი ჩვენს ფილოსოფოსებს, ყველას ერთად, ერთი წიგნი მაინც დაეწერათ! — ამოიოხრა დიკმა. — ღმერთო დიდებულო, შენ გადმოგვხედე, განა აქ არ აპირებ დაამთავრო შენი წიგნის წერა? მე გაიძულე, დაგეწყო და მევე უნდა ვიზრუნო მის დასრულებაზე.

ის სტერეოტიპული, გულგრილ-თავაზიანი ფრაზები, რომელიც პაოლამ გრეკემის დასაპატიჟებლად გამოიყენა, დიკს უტკბეს მუსიკად ჩაესმა. გული საგულედან კინალამ ამოუვარდა სიხარულით. მიუხედავად ყველაფრისა, იქნებ, მართლა შეცდა? ნუთუ ორი ასეთი ადამიანი, როგორც გრეკემი და პაოლაა, ასეთი გამოცდილი, გონიერი, თან არცთუ ახალგაზრდები, შეძლებენ, ასე უგუნურად და უანგარიშოდ თავდავიწყებამდე მივიდნენ?

— მე ვსვამ წიგნის სადღეგრძელოს! — დიკმა სასმისი ასწია. — შემდეგ პაოლასაკენ შეტრიალდა და დაუმატა: — შესანიშნავი კოქტიელია, პოლი! შენ საოცარ წარმატებას მიაღწევ ხელოვნების ამ დარგშიც. ო-დაის კი ვერაფერი ასწავლე, შენი დამზადებული კოქტიელი ყოველთვის ჯაბნის მისას. თუ შეიძლება, კიდევ მოგვიტანეთ კოქტიელი...

## თავი ოცდამეერთე

გრეკემი წითელი ხით დაფარულ ხეობებში, გორაკებს შორის, მარტოდმარტო მიდიოდა ცხენით. თან თავის ახოვან, ჩათქვირებულ, ყორანივით შავ ბედაურს სელიმს ცდიდა. ეს ცხენი დიკმა ქარივით მსრბოლი, გაცილებით მსუბუქი ალტადენას მაგიერ აჩუქა. მიდიოდა მშვიდად, სწავლობდა ამ შესანიშნავი, თვინიერი, მაგრამ ამასთან მეტად ცბიერი პირუტყვის ზნეს; თან იმ ბოშური სიმღერის სიტყვებს ღლინებდა, პაოლასთან ერთად რომ მღეროდა და საკუთარ ფიქრთა სვლას მინებებოდა. აგონდებოდა ბუკოლიკურ შეყვარებულთა ამბავი, საკუთარ ინიციალებს რომ ამოჭრიდნენ ხოლმე ტყეში ხეებზე. პირველად დაუდევრად, თითქმის შემთხვევით მოჭრა წითელი ხისა და დაფნის რტოები, შემდეგ უზანგზე შედგა, რომ ხუთთითად დაკბილული, გრძელღერიანი გვიმრა მოეწყვიტა და რტოები ერთმანეთისათვის ჯვარით გადაეხა. მშვენიერი პატერანი გამოვიდა. გრეკემმა იგი გზაზე წინ გადაისროლა. მერე შენიშნა, რომ ცხენმა ისე გადააბიჯა, ოდნავადაც არ შეხებია. გრეკემმა უკან მოიხედა, ცდილობდა თვალი არ მოეშორებინა თავისი პატერანისათვის, ვიდრე ახალ მოსახვევს მიაღწევდა. კარგი ნიშანია, სელიმმაც კი არ მიაკარა ფეხი და გასათელად არ გაიმეტა!

თვალსაწიერზე ხუთი თითივით გაშლილი გვიმრა მოსდებოდა მთელ არემარეს. გზად მიმავალი დაფნისა და წითელი ხის რტოებს ძლივს არიდებდა თავს, თითქოს იწვევდნენ, დაწყებული საქმე განეგრძო. ჰოდა, ისიც დიდი მონდომებით აბამდა რტოებს ერთმანეთს და ყრიდა გზაზე.

ერთი საათის შემდეგ ხეობის ყველაზე მაღალ ადგილს, გადასასვლელს მიადგა. გაეგონა, იმ ადგილიდან გზა მეტად ძნელი სავალი ციცაბო არისო და უკან გამობრუნდა.

სელიმმა გამაფრთხილებლად დაიხვიხვინა. სულ ახლოს საპასუხო ხვიხვინი გაისმა. გზა ფართო და ადვილი სავალი ჩანდა. გრეკემმა სადავე მიუშვა და მხოლოდ მაშინ მოუდრიკა კისერი, როდესაც ფონზე ამხედრებულ პაოლას მიუახლოვდა და გაუპირისპირდა.

— ჰელოუ! — შესძახა გრეკემმა. — ჰელოუ! ჰელოუ!

პაოლამ ცხენი შეაჩერა. გრეკემი პაოლას გაუთანასწორდა.

— მე ეს წუთია გამოვბრუნდი, — წარმოთქვა პაოლამ, — თქვენ რატომ გამობრუნდით უკან? მეგონა, გადასასვლელით ლიტლ გრიზლისაკენ მიემართებოდით.

— იცოდით, რომ თქვენ წინ მივდიოდით? — ჰკითხა გრეკემმა და თაყვანისცემით შეავლო თვალი პაოლას წრფელ, ბიჭური პირდაპირობით აღსავსე მზერას.

— როგორ არ ვიცოდი. მეორე პატერანის ხილვის შემდეგ საეჭვოც აღარაფერი იყო.

— ოჰ, პატერანები სულ გადამავიწყდა. — გრეკემმა დამნაშავის ღიმილი ვერ დაფარა, — მაგრამ თქვენ რატომ მოისურვეთ უკან დაბრუნება?

პაოლამ პასუხი დაუგვიანა, სანამ ფონი და სელიმი გზაზე გარდიგარდმო დაცემულ თხმელას გადაახტებოდნენ, მერე პირდაპირ შეხედა თვალებში და განუცხადა:

— არ მინდოდა თქვენს კვალს გამოვყოლოდი და, საერთოდ, მეორე პატერანის ნახვისთანავე უკან დავბრუნდი.

გრეკემი მოულოდნელობამ დააბნია, შესაფერი პასუხი მაშინვე ვერ მოახერხა და უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ორივე ცხადად გრძნობდა ამ დუმილის უხერხულობის მიზეზს. გრძნობდნენ, რაზე უნდა ელაპარაკათ, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ.

— თქვენ ჩვეულებად გაქვთ პატერანების გზაზე მიმოზნევა? — იკითხა პაოლამ.

— ეს პირველად მოხდა ჩემს სიცოცხლეში, — უპასუხა გრეკემმა და თავი გაიქნია. — მაგრამ ირგვლივ იმდენი შესაფერი მასალა შევნიშნე, რომ პირდაპირ დანაშაულად მეჩვენა სხვაგვარად მოქცევა. თან ის ბოშური სიმღერაც განუყრელად თან მდევდა.

— დილიდან, გაღვიძებისთანავე მეც ეს სიმღერა ამყვა, — მიუგო პაოლამ და ველური ვაზის რტო აირიდა, რომ სახეში არ მოხვედროდა.

გრეკემი შეჰყურებდა მის პროფილს, ოქროსფრად მბრწყინავი წაბლისფერი თმის გვირგვინს, მის უმშვენიერეს ყელს და კვლავ განიცდიდა მრავალჯერ ნაგრძნობ, უჩვეულო სულიერ ტკივილსა და მისდამი დაუოკებელ სწრაფვას. პაოლას სიახლოვე სულს უშფოთებდა. აბრეშუმის ძნისფერად მოლაპლაპე საცხენოსნო კაბაში თუ აუზში მყვინთავ «მთიელზე» ამხედრებულს ხატავდა გონებაში. ყოველივე პაოლას უნაკლო ტანადობასა და საოცარ მოქნილობას აგონებდა, სულის მომშთობ მოჩვენებად რომ სდევდა მუდამ. ხან კი მის გონებას ცეცხლივით ედებოდა იმის გახსენება, როგორ გედივით ყელმოღერებული ეშვებოდა ორმოცი ფუტის სიმაღლიდან, ან მუქ ცისფერ, შუასაუკუნეობრივ სამოსში გამოკვალთული, ტანკენარი, ნარნარი რხევით რომ მიმოდიოდა. გრეკემს ჭკუაზე შლიდა პაოლას მუხლთა საოცარი მოძრაობა, განსაცვიფრებელი სილამაზით რომ არხევდნენ კაბის ნაკეცებს.

— ეს ყოველივე სისულელეა, — წარმოთქვა პაოლამ და გრეკემის წარმოსახვანიც განიფანტა.

— მადლობა უნდა შევწირო დმერთს, რომ ჯერ ერთხელაც არ გიხსენებიათ დიკი, — სწრაფად უპასუხა გრეკემმა.

— განა ასე გპულთ?

— გულწრფელი იყავით, — მკაცრად, თითქმის ბრძანებით განუცხადა გრეკემმა. — საქმე ის გახლავთ, რომ მე ძალიან მიყვარს ის, თორემ...

— მაინც რა? — იკითხა პაოლამ.

პაოლას ხმაში გამბედაობა ჟღერდა, მაგრამ გრეკემს არ უყურებდა, წინ ფონის აცქვეტილ ყურთათვის მიეპყრო მზერა.

— ვერ გამიგია, მაინც რადა ვარ ამდენ ხანს აქ? რა ხანია, უნდა გავცლოდი აქაურობას.

— რატომ? — ჰკითხა პაოლამ ისე, რომ ფონის ყურებისათვის თვალი არ მოუცილებია.

— გთხოვთ, გულწრფელი იყოთ, მხოლოდ გულწრფელი, — გამაფრთხილებელი ტონით ჩაილაპარაკა გრეკემმა. — ვფიქრობ, სათქმელს უსიტყვოდაც ვუგებთ ერთმანეთს.

პაოლა უცებ მისკენ შემობრუნდა და უსიტყვოდ თვალებში ჩახედა. გრეკემმა შენიშნა, როგორ ატკრეცოდა ღაწვნი. პაოლამ მათრახიანი ხელი სწრაფად ასწია, მაგრამ ხელი ჰაერშივე გაუშეშდა და ისევ დაუშვა. პაოლას თვალები კიაფობდნენ და ამ კიაფში გრეკემმა შიშნარევი სიხარული შენიშნა. დიახ, ის არ შემცდარა: მათში ნამდვილად ჩანდა სიხარულიცა და შიშიც. გრეკემი აჰყვა იმ განსაკუთრებულ გულისთქმას, რომლითაც მხოლოდ ზოგიერთი მამაკაცი დაუჯილდოებია ბუნებას, სადავე მეორე ხელში გადაიტანა, პაოლას მიუახლოვდა, ხელი მოხვია, მუხლი მუხლს ისე შეაწება, რომ ცხენები შეტორტმანდნენ; მიიზიდა და მამაკაცური ძალითა და მგზნებარე სურვილით ანთებული პაოლას ბაგეს დაეწაფა. დიახ, არ შემცდარა, იგი ქალის ნებას დაემორჩილა. სწრაფვა სწრაფვისა წილ, სითბო სითბოსა წილ და გრეკემმა ენით აღუწერელ მღელვარე წუთებშიც ცხადად იგრძნო, რომ სიამის თრთოლამ შესძრა ქალი, როცა მათი სუნთქვა გაერთიანდა.

წამიც და, პაოლამ თავი გაითავისუფლა. სიწითლემ გადაუარა, თვალები უცნაურად უბრწყინავდა, ლამის ნაპერწკლები სცვიოდა. მათრახი ასწია, თითქოს მისთვის უნდოდა დაერთყა, მაგრამ შემკრთალსა და დაფეთებულ ფონს გადაჰკრა. მერე ისევ სწრაფად და გამეტებით შემოუჭირა დეზები ცხენს ფერდებში, პირუტყვმა მწარედ დაიფრუტუნა და ფაშატს განშორდა.

გრეკემი კარგა ხანს უსმენდა ტყის ბილიკზე მიმავალი ცხენის ფეხის ხმას, თანდათანობით რომ წყდებოდა და ძლივსღა აღწევდა მის სმენამდე. თავბრუ ესხმოდა, სისხლი საფეთქლებში აწვებოდა და როდესაც ცხენის შორეული ფეხის ხმა სრულიად მიწყდა, უნაგირიდან გადმოხტა თუ გადმოვარდა და ხავსმოკიდებულ რიყის ქვაზე ჩამოჯდა. მომხდარმა ამბავმა უზომოდ შეაძრწუნა. ახლა გაცილებით მეტად იყო შემფოთებული, ვიდრე იმ გადამწყვეტ წუთამდე, სანამ პაოლას თავის ძლიერ მკლავებში მოიმწყვდევდა. რა გაეწყობა? სიკვდილის სწორი ბედი გადაწყდა. გრეკემი წამოვარდა და ისე ფიცხლად გასწორდა წელში, რომ სელიმი შეკრთა. სადავის სიგრძეზე უკან დაიხია და დაიფრუტუნა.

რაც მოხდა, ყოველივე სრულიად მოულოდნელად მოხდა, მაგრამ იგი გარდაუვალი გახლდათ. შეუძლებელი იყო ასე არ მომხდარიყო. გრეკემი წინასწარ განზრახული გეგმით არ მოქმედებდა, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ გამგზავრების უსასრულო გადადებასა და საკუთარ უმოქმედობაში ეს საბედისწერო ამბავი უნდა განეჭვრიტა. ახლა გამგზავრება ვეღარ უშველიდა. ახლა მთელი მისი მორჩილება ბედისადმი.

უფუნურება თუ სიხარული იმაში მდგომარეობდა, რომ ეჭვი აღარ აწამებდა. რა საჭიროა სიტყვა, როცა გრეჭემის ბაგე ჯერ ისევ თრთოდა იმის მოგონებით, რაც პაოლამ მხოლოდ ერთი შეხედვით აგრძნობინა. გრეჭემი კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა ღვთაებრივი სიამით შემძვრელ ამბორს, რომელსაც პაოლამ ასეთი მგზნებარებითა და სურვილით ანთებულმა უპასუხა. გრეჭემი ნეტარების ზღვაში ცურავდა.

მან სათუთად და უნაზესი ალერსით გადაისვა ხელი საკუთარ მუხლზე, რომელიც პაოლას მუხლს ეხებოდა და უზომო სიამით აღვესო გული იმ მოკრძალებითა და მორჩილებით, რომელიც მხოლოდ გულწრფელად შეყვარებული ადამიანისათვის არის გასაგები. გასაოცრად მხოლოდ ის ეჩვენებოდა, რომ ამ სრულქმნილ ქმნილებას უყვარდა იგი. პაოლა ხომ გამოუცდელი, კდემამოსილი ნორჩი ასული არ იყო. იგი საკმაოდ გამოცდილი, ცხოვრების დიდი სიბრძნით აღვსილი ქალი გახლდათ და კარგადაც უწყობდა, რა სურვილები და მიზნები გააჩნდა ამქვეყნად. მას ხომ სუნთქვა შეეკრა და გზნებით ანთებული წამით გაინაბა, როდესაც გრეჭემმა თავი ვერ შეიკავა, გულში ჩაიკრა და ძლიერი მკლავები მჭიდროდ შემოაჭდო. მისი ბაგენიც სიცოცხლის დაუსრულებელი გზნებით თრთოდნენ ვაჟკაცის ბაგეთა შეხებისას. გრეჭემმა უკვდავების მომნიჭებელი ის სანაცვლო სიტკბოება იგემა, რაც თვითონ ასე გულანთებით გადასცა ქალს. მას ფიქრადაც არ მოუვიდოდა, თუ ამდენი ხნის შემდეგ ასეთი დიდი განცდისა და გრძნობის გაცემა შეეძლებოდა.

გრეჭემი წამოდგა, ცხენზე შესაჯდომად მოემზადა, რომელიც ამ დროს მის მხარს ყნოსავდა, მაგრამ ჩაფიქრებული უეცრად შედგა.

ახლა გამგზავრებაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. ეს საკითხი უკვე გადაწყდა. მართალია, დიკს თავისი უფლებები გააჩნდა, მაგრამ უფლება ხომ პაოლასაც ჰქონდა. განა გაბედავს გრეჭემი წასვლას ყოველივე იმის შემდეგ, რაც მათ თავს დატრიალდა? ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ პაოლაც მასთან ერთად გაემგზავრება... ახლა გამგზავრება ეს იგივეა, რაც ფარულად კოცნა და უკვალოდ გაქრობა. რაც ქვეყნიერება არსებობს და ბუნებას საპირისპირო სქესთა ურთიერთობა დაუმკვიდრებია, მამაკაცებს ხშირად ერთი ქალი უყვართ ხოლმე. ასეთ სამკუთხედში ყოველთვის ღალატი ისადგურებს, მაგრამ, ცხადზე უცხადესია, მამაკაცის მიმართ ჩადენილი ღალატი გაცილებით მცირე დანაშაულია ქალის მიმართ ჩადენილ ღალატთან შედარებით.

«ჩვენ ხომ რეალური სამყაროს მკვიდრნი ვართ, — ფიქრობდა გრეჭემი და ნელა მიჰყავდა ქურანი სახლისაკენ. — პაოლა, დიკი და მე — ცოცხალი ადამიანები... ჩვენ ხომ შეგნებული რეალისტები ვართ და ცხოვრებისეულ ფაქტებს პირდაპირ შეეყურებთ თვალებში. ჩვენთან არაფერი ესაქმებათ არც ეკლესიას და არც კანონებს. არც არავითარ სხვა სიბრძნესა და დებულებებს. ჩვენ თვით უნდა გადავწყვიტოთ ყოველივე. რა თქმა უნდა, რომელიმე ჩვენგანს ეს ამბავი დიდ წამებას უქადის, მაგრამ მთელი ცხოვრება ხომ, საერთოდ, წამებაა. ცხოვრების ღრმა შინაარსიც ამ წამების შემცირებაში მდგომარეობს მხოლოდ. თვითონ დიკიც ამ შეხედულებათა დამცველია. ახალი არაფერი არ არის ამ სათაყვანო მზისქვეშეთში. აურაცხელი სამკუთხედები, აურაცხელი თაობანი ყოველთვის როგორღაც წყვეტდნენ ამ საკითხებს ამქვეყნად. მაშასადამე, ჩვენი ბედიც გადაწყდება. ყველა ადამიანური საქმე საბოლოოდ როგორღაც მაინც გადაწყდება...»

გრეჭემმა საღი აზრებით მოგვრილ განცდებს თავი აარიდა, ისევ სანეტარო, სულის მამებელ მოგონებებს დაუბრუნდა. ხელი კვლავ სათუთი ალერსით შეახო საკუთარ მუხლს და მისმა გაფიცებულმა ბაგეებმა კვლავ იგრძნეს პაოლას თბილი სუნთქვა, მისი ბაგეთა მთრთოლვარება. წამით ცხენიც კი შეაყენა, რომ საკუთარი მოხრილი მკლავისათვის შეეველო მზერა, რომელზედაც პაოლა გადაიწვინა.

გრეკემს პაოლა სადილობამდე აღარ უნახავს. ქალი კვლავ ისეთივე ჩანდა, როგორც ყოველთვის. გრეკემის გამჭვალავმა მზერამაც კი ვერ შენიშნა რამდენიმე საათის წინ მომხდარი უდიდესი ამბავის თუ მისით გამოწვეული უცაბედი აღშფოთების კვალი. არავითარი ნიშანი მის სახეზე... მაშინ კი როგორ აფორიაქდა, სახე გაუფითრდა, თვალები თითქოს ცეცხლის ნაპერწკლებს ისროდნენ; ხელიც კი შემართა მათრახის გადასაკრავად... ახლა ისევ ჩვეულებრივი, სათნოებით აღსავსე, დიდი სახლის პატარა დიასახლისი იხილა გრეკემმა. მაშინაც კი, როდესაც წამიერად, სრულიად შემთხვევით ერთმანეთს თვალნი მიაპყრეს, პაოლას ისეთი ნათელი და მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, რომ მათში არავითარი უხერხულობისა და იდუმალების კვალი არ შეინიშნებოდა. მდგომარეობას ისიც ამსუბუქებდა, რომ რამდენიმე ახალი სტუმარი სწევოდათ, დიკისა და პაოლას ახლო მეგობარი ქალები. სტუმრები ორ-სამ დღეს დარჩებოდნენ.

მეორე დილით გრეკემი პაოლას და მის სტუმრებს როიალთან, მუსიკის ოთახში შეხვდა.

— თქვენ არ მღერით, მისტერ გრეკემ? — ჰკითხა მას მისის ჰოფმანმა.

როგორც გრეკემმა შემდეგ შეიტყო, სტუმარი სან-ფრანცისკოში ქალთა ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორი იყო.

— ოჰ, შესანიშნავად! — მოგონილი თავგამოდებით წარმოთქვა გრეკემმა. — დამეთანხმებით, მისის ფორესტ? — გამომწვევად იკითხა მერე.

— დიახ, სრული ჭეშმარიტებაა, — გაიღიმა პაოლამ. — წარმოიდგინეთ, მისი დიდსულოვნება. ხმას თავისუფლად ამოსვლის საშუალებას უსპობს, რომ სრულიად არ დაახშოს ჩემი.

— მეტი აღარაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ჩვენი სიტყვების ჭეშმარიტება დავამტკიცოთ, — შეესიტყვა გრეკემი. — რამდენიმე დღის წინ ჩვენ შევასრულეთ დუეტი, რომელიც თითქმის ჩემი ხმისათვის შეუქმნიათ. — გრეკემმა გამომცდელი თვალით შეხედა მოლიმარ პაოლას. მერე კვლავ შემპარავი მზერა შეავლო, მაგრამ პასუხი არ მიუღია, სურდა თუ არა პაოლას სიმღერა. — ნოტები დარბაზშია. ახლავე მოვიტან... ამ სიმღერას «ბოშათა ბილიკით» ეწოდება, — მოესმა გრეკემს დარბაზისკენ მიმავალი პაოლას ხმა. — ბრწყინვალე და მიმზიდველი სიმღერაა.

ამჯერად უფრო თავდაჭერილად იმღერეს, ვიდრე პირველი შესრულებისას. მათი ხმები უკვე იმ მგზნებარებითა და მთრთოლვარებით აღარ იყო აღსავსე. მართალია, დუეტი უფრო ხმიერად და მეტი გაქანებით შეასრულეს, ისე, როგორც თვით კომპოზიტორს ჰქონდა გააზრებული, მაგრამ ნაკლებად იგრძნობოდა მათი საკუთარი გამომსახველობითი ინტერპრეტაცია; გრეკემის ფიქრი სიმღერისას მხოლოდ ერთს უტრიალებდა, და, დარწმუნებული იყო, პაოლაც ამასვე ფიქრობდა: მათი გულები ახლა სხვა დუეტს ასრულებდა, რომელზედაც ამ უცხო სტუმრებს ეჭვის მიტანაც კი არ შეეძლოთ. ისინი, აღტაცებულნი, მხოლოდ ტაშს უკრავდნენ.

— სანამღეოს ვდებ, რომ თქვენ ეს სიმღერა ასე კარგად არასოდეს შეგისრულებიათ, — შეესიტყვა გრეკემი პაოლას.

პაოლას ხმაში გრეკემმა ახალი ელფერი შენიშნა. ხმა უფრო სავსედ, უხვად და ხმიერად იღვრებოდა, როგორც ეს მის ულამაზეს ყელს შეჰფეროდა.

— ახლა კი, რადგან არ იცით, რას ნიშნავს სიტყვა პატერანი, მომისმინეთ და მე გაიმბობთ, — წარმოთქვა პაოლამ და სტუმრებს მიუბრუნდა...

— დიკ, ჩემო ძვირფასო ჭაბუკო, როგორც ჩანს, თქვენ კარლაილის თეორიის ამ-  
კარა მიმდევარი ყოფილხართ, — წარმოთქვა ტერენს მაკფეინმა მამაშვილური ტო-  
ნით.

პაოლა, დიკი, გრეჰემი და მადრონოსჭალელი ფილოსოფოსები მაგიდას შე-  
მოუსხდნენ.

— ვინმეს შეხედულებათა გარკვევა სრულიად არ ნიშნავს და არ ამტკიცებს  
ამას, — შენიშნა დიკმა. — ცხადია, ჩემი თვალსაზრისი კარლაილის შეხედულებებს  
ემთხვევა, მაგრამ ეს არაფრის დამადასტურებელი არ გახლავთ. გმირთა გაღმერთება  
ეს შესანიშნავი საქმეა. მე ვმსჯელობ არა როგორც უბრალო სქოლასტიკოსი, არამედ  
როგორც პირუტყვის მომშენებელი პრაქტიკოსი, რომელსაც ყოველდღიურად უხდება  
მენდელის მეთოდებით ხელმძღვანელობა.

— თქვენი თვალსაზრისით, მეც იმას უნდა დავეთანხმო, რომ ჰოტენტოტი ისე-  
თივე ადამიანია, როგორც თეთრკანიანი, — ჩაერია საუბარში ჰენკონკი.

— თქვენში ახლა უდავოდ სამხრეთი მეტყველებს, — შენიშნა ღიმილით დიკმა.  
— ეს ცრურწმენა თანდაყოლილი არ არის. იგი თქვენ ადრეულ ყრმობის წლებში შეი-  
სისხლხორცეთ და იმ საზოგადოების ნაყოფია, რომელშიაც აღიზარდეთ, თან საკმა-  
ოდ ფესვმაგარიც გახლავთ. ამიერიდან რამდენიც არ უნდა იფილოსოფოსოთ, თქვენ  
მათ ვერ გაუმკლავდებით. ვფიქრობ, ის ისევე აღმოუფხვრელია თქვენში, როგორც  
სპენსერზე მანჩესტერის სკოლის გავლენა.

— როგორ, ახლა თქვენ სპენსერსა და ჰოტენტოტებს ერთ დონეზე აყენებთ? —  
ჩაერია დარ-ჰიალი.

დიკმა თავი გაიქნია.

— ჰიალ, ნება მომეცით, გამოვთქვა ჩემი აზრი. ვფიქრობ, როგორმე მიგახვედ-  
რებთ. საშუალო დონის ჰოტენტოტი თუ მალანეზიელი არსებითად ბევრით არაფ-  
რით განსხვავდება ამავე დონის თეთრკანიანისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაში  
მდგომარეობს, რომ პროპორციულად საშუალო დონის ჰოტენტოტები და ზანგები გა-  
ცილებით მეტნი არიან, ვიდრე თეთრკანიანები, თეთრკანიანებში საშუალოზე მაღლა  
მდგომ ადამიანებს ვხვდებით. მე მათ ვუწოდებ გზის გამკაფავებს. მათ ბამავენ  
თავიანთი თანამემამულენი, საშუალო დონის ადამიანები. ხომ შეგინიშნავთ, რომ  
ეს პირველი გამკაფველნი არ ცვლიან საშუალო დონის ადამიანის ბუნებას და  
მათ ინტელექტს, მაგრამ ისინი შესანიშნავად აიარაღებენ უმწეოთ ცხოვრების პი-  
რობების შესაქმნელად, უდიდეს შესაძლებლობებს სთავაზობენ და ამასთანავე  
სწრაფ და ერთობლივ წინსვლას უადვილებენ.

— მიეცით ინდიელს თანამედროვე შაშხანა თავისი მშვილდ-ისრის მაგიერ  
და ის გაცილებით მეტ ნადირს დახოცავს. ინდიელი მონადირე თავისი ბუნებით  
ოდნავადაც არ გამოცვლილა, მაგრამ მისმა ხალხმა საშუალოზე მაღლა მდგომი შთა-  
მომავალი იმდენად ცოტა მისცა სამყაროს, რომ მათ ათასი თაობის შემდეგაც ვერ აღ-  
ჭურვეს იგი თანამედროვე შაშხანით.

— განაგრძეთ, დიკ, განავითარეთ თქვენი აზრი, — უეცრად გაამხნევა ტერენ-  
სმა. — მიგიხვდით, რაცა გაქვთ მხედველობაში. მალე არონს ფარ-ხმალს დააყრევი-  
ნებთ თავისი რასობრივი ცრურწმენებითა და იმ სულელური, ამო მოსაზრებით, რო-  
მელიც ერთი ხალხის უპირატესობას აღიარებს მეორის მიმართ.

— ეს საშუალოზე მაღლა მდგომი ხალხი, — განაგრძო დიკმა, — გზის გამკაფავ-  
ნი, გამომგონებლები, დიდი გეოგრაფები, აღმომჩენნი, აღმშენებელნი არიან. ეს, ეგ-  
რეთ წოდებული, დომინირებულ თვისებათა მქონე ხალხია. ის ხალხი, ვისაც ასეთი  
ადამიანები ცოტა ან სრულიად არა ჰყავს, დაბალი წარმოშობის, არასრულყოფილ რა-

სად იწოდება. ის ჯერ კიდევ მშვილდსა და ისარს ხმარობს და ცხოვრებისათვის შეუიარაღებელია. დავაკვირდეთ თეთრკანიანთა საშუალო დონის ადამიანს: ის ისეთივე ცხოველური სურვილების მქონეა, ისევე უგუნური, ტვინგაყინული და ინერტულია, ისევე ჩამორჩენილი და რეგრესულად მოაზროვნე, როგორც საშუალო დონის ველური. მაგრამ სხვაობა მაინც არის. საშუალო დონის თეთრკანიანი სწრაფად მიექანება წინ და მხოლოდ იმიტომ, რომ გამოჩენილ ადამიანთა დიდი რიცხვი მას ცხოვრებისათვის აიარაღებს, აძლევს მზამზარეულ ორგანიზაციასა და კანონებს.

რომელი დიდი ადამიანი, რომელი გმირი, გმირი იმ გაგებით, როგორზედაც ახლახან ვლაპარაკობდი, წარმოშვეს, ვთქვათ თუნდაც ჰოტენტოტებმა? ჰავაიელებს მხოლოდ ერთი კამეჰამეჰა ჰყავდათ, ამერიკელ ზანგებს კი ორი: ბუკერ ვოშინგტონი და დიუ ბოისი. და ისინიც სანახევროდ თეთრკანიანები იყვნენ.

პაოლას თავი ისე ეჭირა, თითქოს საუბარს დიდი ინტერესით უსმენდა და მოწყენილობას არ გრძნობდა, მაგრამ გრეჰემის დაკვირვებულ თვალს, რომელიც დიდი თანაგრძნობით შეჰყურებდა, არ გამოჰპარვია, რომ ქალი როგორღაც ჩაიფერფლა. ტერენსისა და ჰენკონკის ხმამაღალი საუბრის დროს პაოლამ ჩუმად გადაულაპარაკა გრეჰემს:

— სიტყვები, სიტყვები, სიტყვები! რა ბევრი და აურაცხელი ყოფილა ისინი ამქვეყნად! ვფიქრობ, დიკი მართალია, თუმცა ის, საერთოდ, ყოველთვის მართალია, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ და ვაღიარო ჩემი სისუსტე, რომ ვერასოდეს მოვახერხე დამეკავშირებინა სიტყვათა ეს განუსაზღვრელი ნიაღვარი ცხოვრებასთან, შემეგნო, როგორ უნდა მეცხოვრა, მცოდნოდა, რა გამეკეთებინა და რა არა. — პაოლა საუბრისას გრეჰემს თვალეში შეჰყურებდა და გრეჰემს ოდნავი ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ მისი სიტყვების იქით რაიმე ფარული აზრი იმალებოდა. — ვერ გამიგია, რა საერთო აქვთ ყველა ამ საშუალო დონეზე მაღლა მდგომ, გზის გამკაფავთა თეორიებს ჩემს საკუთარ ცხოვრებასთან. ყოველივე ეს არავითარ დახმარებას არ მიწევს, გავერკვე კარგსა და ავში. არც იმას მიმასწავლის, რა გზით უნდა ვიარო. აი, კვლავ დაიწყეს კამათი და, ალბათ, მთელი ღამე ასე გაგრძელდება...

— არა, მე ძალიან კარგად მესმის მათი კამათის აზრი... — სწრაფად დაუმატა პაოლამ, — მაგრამ ეს ჩემთვის სრულიად უსარგებლოა. სიტყვები, სიტყვები, სიტყვები! მე კი მსურს ვიცოდე, როგორ მოვიქცე, რა ვიღონო, რა გიყოთ ან თქვენ, ან დიკს...

მაგრამ იმ ღამეს დიკს მჭევრმეტყველების დემონი ჩასახლებოდა და ვიდრე გრეჰემი პაოლას უპასუხებდა, დიკმა რაღაც ზუსტი განმარტებანი სთხოვა სამხრეთ ამერიკელთა ტომების შესახებ, რომელთა შორისაც მას ოდესღაც ემოგზაურა. დიკისათვის რომ მოგესმინათ, ან მის სახეს დაკვირვებოდით, დარწმუნდებოდით, რომ ეს უბედნიერესი, უდარდელი და მხოლოდ კამათისათვის დაბადებული ადამიანი არისო. არც პაოლას, რომელიც აი, უკვე თორმეტი წელია დიკ ფორესტის მეუღლე იყო და არც გრეჰემს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ დიკის დაუდევარ, თითქოს შემთხვევით თვალთა მზერას მათი ხელების მოძრაობა და თვით სახის გამომეტყველების ცვლილებაც არ გამოჰპარვია.

— რას უნდა ნიშნავდეს ეს ყოველივე? — თავისთავს ეკითხებოდა დიკი. — პაოლა საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის. ის უკვე ყველას შესამჩნევად შფოთავს და ნერვიულობს. ეტყობა, ეს კამათი აღიზიანებს. გრეჰემი გაფითრებულია, დაბნეულობა ემჩნევა, აზრს ძნელად იკრებს. იმაზე არ ფიქრობს, რაზედაც ლაპარაკობს. რას ფიქრობს ნეტავ?

მჭევრმეტყველების დემონს კი, რომელიც დიკის ზურგს უკან ჩაცუცქულიყო და საკუთარი აზრების დამალვაში ეხმარებოდა, სულ უფრო და უფრო შორს შეჰყავდა მეცნიერული უმეცრების აბურდულ ხლართებში.

— პირველად ჩემს სიცოცხლეში ლამის შევიძულო ეს ოთხი ფილოსოფოსი, — ჩუმად ჩაულაპარაკა პაოლამ, როდესაც გრეჰემმა დიკს საჭირო ცნობები მიაწოდა.

დიკი გულგრილად განაგრძობდა საკუთარი თეზისების გაღრმავებასა და გაღვივებას. თითქოსდა საუბრით გატაცებულმა მაინც შენიშნა პაოლას გადაჩურჩულება. თუმც არც ერთ სიტყვას მის ყურამდე არ მიუღწევია, მაინც იგრძნო პაოლას ფარული შეშფოთება და გრეჰემის უსიტყვო თანაგრძნობა. გუნებაში იმაზე ფიქრობდა, ნეტავ პაოლამ გრეჰემს რა უჩურჩულაო, და ეს მაშინ, როდესაც მაგიდის გარშემო მსხდომთ თვითონ ხმამაღლა მიმართა:

— ფიშერიცა და სპეიზერიც, ორივენი თანახმანი არიან აღიარონ, რომ მოწინავე რასებთან შედარებით, როგორებიც არიან ფრანგები, ინგლისელები და გერმანელები, დაბალი წარმოშობის რასებს თითო-ოროლა გამოჩენილი ადამიანი თუ გააჩნიათ ქალთა სახით.

სტუმართაგან ვერავინ შენიშნა, დიკმა როგორ გადააგდო ანკესი და განგებ გადაიტანა კამათი სრულიად სხვა საკითხზე. ახლა ამ გზით დააპირა მისი წარმართვა. ვერ მიუხვდა ამას თვით ლეოც, ეს იყო უდიდესი ხელოვნება კამათის ახალი მიმართულებით წარმართვისა, რადგან მისი საკუთარი შეკითხვა, რომელმაც თემა შეცვალა და პასუხს ითხოვდა, მან კი არ დასვა, არამედ დიკმა ოსტატურად წარმოათქმევინა: რა დამოკიდებულება ჰქონდათ ან რა ადგილი ეჭირათ გზის გამკვლევათა საზოგადოების წარმომადგენელ ქალებს რასის ისტორიაში:

— ლეო, ჩემო ბიჭუნო, ქალებში წინმავალთა უპირატესი ნიშნები არ შეიმჩნევა, — უპასუხა მას ტერენსმა და მეზობლებს თვალი ჩაუკრა. — მდედრობითი სქესი კონსერვატორია. ქალები ტიპთა მდგრადობას გვინახავენ. ინახავენ და კვლავ წარმოშობენ. ამიტომაც ისინი პროგრესის მუდმივ ხელისშემშლელ ბორკილად ითვლებიან. ჩვენ რომ ამ სანეტარო დედათა ვაჟიშვილებად არ მოვვლენოდით ქვეყნიერებას, თითოეული ჩვენგანი გზის გამკვლევათა რაზმის აუცილებელი ნიშნების მატარებელი იქნებოდა. ჩემი აზრები მთლიანად ემთხვევა ჩვენს სახელოვან ჯიშთა შემქმნელსა და მენდელის მოძღვრების გამოცდილ მიმდევარს, რომელსაც ალაღბედზე წარმოთქმული ჩემი ზერელე აზრები ახლავე შეუძლია დაადასტუროს.

— მოდით, უპირველეს ყოვლისა, უმთავრეს საკითხს დავუბრუნდეთ და გავარკვიოთ, რაზე ვკამათობთ. რას წარმოადგენს ქალი საერთოდ? — წარმოთქვა დიკმა მოჩვენებითი სერიოზულობით.

— ძველი ბერძნები მდედრთა სქესის წარმოშობას ბუნებას მარცხად უთვლიდნენ და ფიქრობდნენ, ბუნებამ მამაკაცის სრულქმნის პროცესი ველარ დაასრულა და ქალი იშვაო, — წარმოთქვა დარ-ჰიალმა და ბაგე ირონიულმა ღიმილმა შეურხია.

ლეო შეურაცხყოფილი იყო: წამოენთო, თვალებში საოცარი ტკივილი აღებეჭდა, ბაგენი უთრთოდა. მერე დიკს მხარდაჭერის იმედით გადახედა.

— დიახ, ნახევარსქესი, — ჩაერია ჰენკონკი. — თითქოს მამა ღმერთმა ქალის შექმნისას შუა გზაზე შეაჩერა ხელი და ასე დარჩა ქალი ნახევარი, ასე ვთქვათ, დაუმთავრებელი სულით.

— არა, არა! — წამოიყვირა ჭაბუკმა ფილოსოფოსმა. — რა უფლება გაქვთ ასე იმსჯელოთ! დიკ, თქვენ ხომ კარგად უწყით ყოველივე, გთხოვთ, გააგებინოთ, უთხრათ რამე!

— სამწუხაროდ, არ შემიძლია! — უპასუხა დიკმა. — მსჯელობა სულელებზე ისეთივე ბუნდოვანებითაა მოცული, როგორც თვით სულელები. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ხშირად ვიზნევით და ვიკარგებით წყვილიადში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ექვი იელვებს ჩვენს არსებაში. თითქოს ჩვენთვის ნათელი იყოს, სად ვიმყოფებით, რას წარმოვადგენთ ან რა ხდება ჩვენ გარშემო და რა გვაკრავს ირგვლივ. ვის ეძახიან ამქვეყნად შეშლილს? იგი მხოლოდ ოდნავ ან ბევრად არის ჩვენზე გონშეშლილი. რას ნიშნავს გონებასუსტი? იდიოტი? დეფექტური ბავშვი? ცხენი? ძაღლი? კოლო? გომბეშო? ხის მღრღნელი? ლოკოკინა?.. ან რას წარმოადგენს თვით თქვენი პიროვნება, ლეო? აი, მაგალითად, როდესაც გძინავთ? როცა ზღვის ავადმყოფობა გჭირთ? როცა მთვრალი ხართ? როცა ვინმე გიყვართ? როცა მუცელი გტკივათ ან ფეხებგაშემშებული ხართ? როცა მოულოდნელი სიკვდილის შიშით შეძრწუნებულხართ? როდესაც ბრაზობთ? ან ქვეყნიერების სილამაზით აღფრთოვანებული ნეტარებას განიცდით? როცა ენით უთქმელ, ადამიანის არსებისათვის დაუჯერებელ საგნებზე ფიქრობთ?

მე ვაცხადებ, რომ თქვენ ფიქრობთ, დიახ ფიქრობთ საგანგებოდ. თქვენ რომ ნამდვილად ფიქრობდეთ, მაშინ ამქვეყნიური სილამაზე ენით აღუწერელ, გამოუთქმელ მშვენიებად არ წარმოგიდგებოდათ; თქვენ მას ცხადად დაინახავდით, ყველა არსებულ საგანსა და მოვლენას გარკვევით განჭვრეტდით და მის შესაფერ სიტყვებსაც იპოვიდით. თქვენი პიროვნებაც ისეთივე ნათელი, გამოკვეთილი და გარკვეული იქნებოდა, როგორც თქვენი აზრები და სიტყვები. ამგვარად, როდესაც, თქვენი წარმოდგენით, ყოფიერების მწვერვალზე დგახართ, მაშინ, ჩემო ლეო, მხოლოდ თქვენ შეგრძნებათა ორგანოში იძირებით, მიჰყვებით მის მშფოთვარე ფერხულს, მის თრთოლვასა და ხმიერებას ისე, რომ არ გესმით არც ერთი მოძრაობის არსი, ვერ ჩაწვდომიხართ ორგანის აზრს. თქვენ არ იცნობთ საკუთარ თავს. ასეთ წუთებში თქვენი სული, თქვენი პიროვნება სხვა არა არის რა, თუ არ იდუმალი ბუნდოვანება. შესაძლებელია, რომელიმე მამალი გომბეშოს არსებაშიც, როცა იგი ტბის პირად გამოძვრება და ბნელში ხრინწიანი ყიყინით თავის მეჭეჭებიან სატრფოს უხმობს, იღვიძებდეს რაღაც პიროვნული... ოჰ, არა, ლეო, პიროვნულობა, სული, — ეს მეტისმეტად განუსაზღვრელი ცნებებია და ჩვენი «პიროვნებისათვის», ვფიქრობ, სრულიად მიუღწეველი. არიან მამაკაცური გარეგნობის, მაგრამ ქალური სულის ადამიანები. ხანდახან კი ერთ ადამიანში რამდენიმე სული ბუდობს. არსებობენ ისეთი ორფეხნიც, რომელთა შესახებ მხოლოდ ერთს მოგახსენებდით: არც ერთია და არც მეორე. ჩვენ, როგორც პიროვნებები, როგორც სულელები — ჰაერში მორიალე ნისლის ნაფლეთებს თუ ღამის წყვილიადში ცის ტატნობზე უეცარ შორეულ გაელვებას ვემსგავსებით. ჩვენ გარშემო ყოველივე ბუნდოვანებასა თუ წყვილიადს მოუცავს და ჩვენც თითქოს ამ ნისლსა და ბურუსში დავაბოტებთ იდუმალების ამოსახსნელად.

— შესაძლებელია, ეს მისტიფიკაციაა და არა იდუმალეზა: ადამიანის მიერ მოგონილი მისტიფიკაცია, — წარმოთქვა პაოლამ.

— გესმით, ამას აცხადებს ჭეშმარიტი ქალი, ლეო კი ირწმუნება, მას სრულქმნილი სული აქვსო, — შენიშნა დიკმა. — მთავარი ის არის, ლეო, რომ სქესი და სული მჭიდროდ გადასწვდენია ურთიერთს და ჩვენ ძალიან ცოტა გაგვეგება როგორც ერთის, ისე მეორის...

— მაგრამ ქალები ხომ უმშვენიერესი არსებანი არიან, — ენის ბორძიკით წამოიძახა ჭაბუკმა.

— ოჰო, — ჩაერია ჰენკონკი და მისმა შავმა თვალებმა ვერაგულად გაიელვეს. — მაშასადამე, ლეო, თქვენ ქალსა და სილამაზეს აიგივებთ.

ახალგაზრდა პოეტმა ბაგე შეარხია, მაგრამ მხოლოდ თავი დააქნია.

— კეთილი, მოდი, გადავხედოთ, რას გვიჩვენებს ამ უკანასკნელი ათასი წლის მხატვრობა. განვიხილოთ ეკონომიურ პირობათა და პოლიტიკურ ინსტიტუტთა თვალსაზრისით და მაშინ, ადვილად შევნიშნავთ, როგორ ასახიერებდა მამაკაცი საკუთარ მიზანსწრაფვასა და იდეალებს ქალის არსებაში და, თავის მხრივ, ქალი როგორ...

— ლეოს ცდუნებას თავი დაანებეთ, — ჩაერია პაოლა, — იყავით გულწრფელნი და იქადაგეთ მხოლოდ ის, რაც იცით, ან რაც გწამთ.

— ოჰ, ქალები, — ეს უწმინდესი თემაა! — აღფრთოვანებით წამოიძახა დარ-ჰი-ალმა.

— აი, მაგალითად, მადონა, — ჩაერია გრეჰემი, რომ პაოლასათვის მხარი დაეჭირა.

— ან ნასწავლი ქალი... — დაუმატა ტერენსმა.

რომ დარ-ჰი-ალმა დასტურის ნიშნად თავი დაუკრა.

— ყველას ერთად ნუ შევეხებით, — წარმოთქვა ჰენკოკმა. — მოდი, პირველ რიგში დავადგინოთ, რა არის მადონას თაყვანისცემის მიზეზი თანამედროვე, ყოველნაირი ქალის თაყვანისცემისაგან განსხვავებით. ამ საკითხზე, რა თქმა უნდა, ლეოც მზად გახლავთ, ხელი მოგვიწეროს. მამაკაცი ზარმაცი და უხეშია. მას არ უყვარს, როდესაც თავს აბეზრებენ და მოთმინებიდან გამოჰყავთ. მას სიმშვიდე და დასვენება უყვარს. მას შემდეგ კი, რაც ადამიანთა მოდგმა არსებობს, ერთთავად მოუსვენარ, ნერვულ, გამაღიზიანებელ, ისტერიულ თანამგზავრთანაა დაკავშირებული და ამ თანამგზავრის სახელი, როგორც კარგად მოგეხსენებათ, ქალი გახლავთ. თანამგზავრი უცნაური ხასიათის პატრონია, ათასგვარი გუნებგანწყობა, ცრემლი, განაწყენება, პატივმოყვრული სურვილები, დაუოკებელი მშფოთვარება და აბსოლუტური მორალური უპასუხისმგებლობა. და მაინც, მამაკაცს მისი იავარქმნა არ ძალეღვა და არც ძალუძს. ქალი მისთვის გარდუვალი აუცილებლობა გახლავთ, თუმც ცხოვრებას უწამლავდა. რა უნდა ექნა?

— მას მხოლოდ ერთი გზა დარჩენოდა: მოხერხებულად და ეშმაკურად ეცდუნებინა, — ჩაერია ტერენსი.

— და აი, მამაკაცმა შექმნა მისი ღვთიური სახე, — განაგრძო ჰენკოკმა. — თაყვანი სცა მის დადებით მხარეებს და თავიდან განიშორა უარყოფითი, რათა ქალს მის ნერვებზე არ ემოქმედა და ზანტად ჩიბუხის გაბოლებასა და ვარსკვლავთ თვალიერებაში ხელი არ შეეშალა. როდესაც ჩვეულებრივი ქალი ცდილობდა, თავი მოეხერხებინა მისთვის, იგი საკუთარი გონებიდან დევნიდა მას და სრულყოფილ ქალად განსახებულს ამქვეყნად სიცოცხლის მშობელსა და უკვდავების შემნახველ ღვთიურ არსებას მიმართავდა. მაგრამ აი, დადგა რეფორმაციის ჟამი და მადონას თაყვანისცემაც შეწყდა. მამაკაცი კვლავ დაკავშირებული იყო საკუთარი სულიერი სიმშვიდის დამრღვევ ქმნილებასთან. მაშინ რაღა მოიმოქმედა?

— ოჰ, შე გაიძვერა! — ჩაიბუზღუნა ტერენსმა.

— და მან თქვა: — მე შენ გარდაგქმნი სიზმრად, ოცნებად — და გარდაქმნა კიდევ. მადონა მისი ღვთიური ჩვენება გახლდათ, როგორც უმაღლესი სახიერება ქალისა. ჰოდა აი, ახლა, მთელი ეს საოცნებო თვისებები მან მიწიერ ქალზე გადაიტანა და ისე გაიტენა თავი ამ ოცნებებით, რომ თვითონვე ირწმუნა მისი რეალობა, თანაც იმდენად, როგორც, მაგალითად... ლეომ...

— უცოლო კაცის კვალობაზე თქვენ განსაცვიფრებელი სიზუსტით იცნობთ ქალთა ყოველნაირ მავნე თვისებას, — შენიშნა დიკმა. — თუ ეს მხოლოდ თეორიებია? ტერენსმა გადაიხარხარა.

— დიკ, ძვირფასო, არონმა მხოლოდ ახლახან წაიკითხა ლაურა მარკოლმი. მას იმ თავისა და გვერდის ციტირება შეუძლია, სადაც სწორედ ამაზეა საუბარი.

— და ყველა ამ საუბრისა და კამათის მიუხედავად, სინამდვილეში ქალის კაბის კალთასაც არ შევხებივართ, — წარმოთქვა გრეჰემმა და პაოლასა და ლეოს მადლობის გამომეტყველებელი მზერა დაიმსახურა.

— მაგრამ სიყვარულიც ხომ არსებობს, — ცხარედ განაცხადა ლეომ. — სიყვარულზე კი ერთი სიტყვაც არავის დასცდენია.

— ქორწინების, განქორწინების, ერთგოლიანობის, მრავალგოლიანობისა და თავისუფალი სიყვარულის კანონებზე, — რიხიანად განაგრძობდა ჰენკონკი.

— ლეო, მითხარი ერთი, რატომ ხდება, რომ სიყვარულში ქალი მუდამ მდევარია? — იკითხა დარ-ჰიალმა.

— არავითარ შემთხვევაში, — დარწმუნებით გამოეხმაურა ჭაბუკი პოეტი. — ეს თქვენი ბერნარდ შოუს კიდევ ერთი უგუნური აზრია.

— ყოჩაღ, ლეო! — ტაში შემოჰკრა პაოლამ.

— მაშასადამე, ოსკარ უაილდი ცდებოდა, როდესაც ამბობდა: ქალთა თავდასხმა მოულოდნელია და გონებისათვის წარმოუდგენელი უცნაური დათმობითა და მორჩილებით იწყებაო? — იკითხა დარ-ჰიალმა.

— თქვენ რომ გისმინოთ კაცმა, — წამოიძახა აღშფოთებულმა ჭაბუკმა, — ქალი რაღაც ურჩხულისებურ მოჩვენებად და მტაცებელ ქმნილებად წარმოგვიდგება! — ჭაბუკი დიკისკენ შეტრიალდა, მერე კი პაოლას გახედა. მისი თვალები ამ შესანიშნავი არსებისადმი თაყვანისცემისა და უშრეტი გრძნობის ცეცხლით კიაფობდა: — განა ეს მტაცებელ ქმნილებად მოუვლინა განგებამ ქვეყნიერებას? — მოურიდებლად ჰკითხა დიკს.

— არა! — უარის ნიშნად თავი გაიქნია დაფიქრებულმა დიკმა და ხმაში ღმობიერება დაემჩნა, ალბათ, ჭაბუკის თვალებში ამოკითხულ გრძნობათა გამო.

— რა თქმა უნდა, არ ძალმიძს ქალი მტაცებელ ქმნილებად ვალიარო, მაგრამ, წარმოიდგინეთ, არც ის შემიძლია დავადასტურო, თითქოს თვითონ მტაცებლის ნადავლი გახლდეთ. ვერც იმას ვიტყვი, რომ ის მამაკაცისათვის დაუღწეველი სიამის წყაროა. მაგრამ ერთი კი ცხადია: მამაკაცს ცხოვრებაში აურაცხელ სიხარულს მხოლოდ ეს ქმნილება ანიჭებს.

— მაგრამ მასვე აიძულებს აურაცხელი სისულელეც ჩაიდინოს, — დაუმატა ჰენკონკმა.

— მინდა ერთი შეკითხვა მოგცე, — განაგრძო დარ-ჰიალმა, — მითხარი, ლეო, გეთაყვა, რატომ ხდება, რომ ქალს ის მამაკაცი უყვარს, რომელიც სცემს?

— და ის კი არა, ვინც ხელს არ აკარებს, არა? — გესლიანად ჩაურთო ლეომ.

— დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ.

— რა გაეწყობა, დარ, თქვენ ნაწილობრივ მართალი ბრძანდებით, მაგრამ ბევრ რამეში მაინც ცდებით. თქვენგან, ბატონებო, არცთუ ცოტა მსმენია ამ განსაზღვრების სიზუსტის თაობაზე. თქვენ ახლა მას მეტად თვალთმაქცურად აუარეთ გვერდი. მოდით, თქვენ მაგიერ ამას მე გავაკეთებ. მამაკაცი, რომელიც იკადრებს საყვარელი არსების ხელის შეხებას, ეს მდაბალი ქვევის ადამიანია მხოლოდ, ხოლო ქალი, რომელსაც ძალუძს ასეთ მამაკაცს ეთაყვანებოდეს, ასევე მდაბალ ქმნილებად მიმაჩნია. ნამდვილი მამაკაცი ხელს არ შეახებს თავის საყვარელ არსებას და არც ერთი სულით ამალღებული ქალი, — აქ ლეომ თავისდაუნებურად პაოლასაკენ გააპარა მზერა, — სიყვარულის ღირსად არ სცნობს მამაკაცს, რომელიც ხელს აიღებს მასზე.

— არა, ლეო, გარწმუნებ, არასოდეს, არასოდეს ხელი არ ამიღია პაოლაზე.

— ხედავთ, დარ, — წარმოთქვა ლეომ და სახეზე სიწითლის ალმურმა გადაჰკრა, — თქვენ შეცდით: პაოლას მაინც თავდავიწყებით უყვარს მეუღლე, თუმცა დიკს მასზე ხელი არასოდეს აუღია.

ამ უკანასკნელი სიტყვებით გამოწვეული კმაყოფილება და სიამოვნება ცხადად აღებეჭდა დიკს სახეზე და პაოლასაკენ შეტრიალდა, თითქოს ჭაბუკის აზრთა უსიტყვო დადასტურებას ელისო. ნამდვილად კი სურდა საკუთარი თვალთ ეხილა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვებმა პაოლაზე იმ სულიერ მდგომარეობაში ყოფნისას, რომლის იდუმალ განცდებს იგი უკვე ნათლად ხვდებოდა. სწორედ იმწამს პაოლას თვალეზში მართლაც აკიაფდა რაღაც ამოუცნობი შუქი, რის მნიშვნელობასაც მაშინ ვერ ჩაწვდა. გრეჰემის სახეზე კი არავითარი ცვლილება არ შეუნიშნავს. გრეჰემის თვალთა მხერვა მხოლოდ ინტერესს გამოხატავდა ყველა იმის მიმართ, რაც მის ირგვლივ ხდებოდა.

— დღეს ქალმა უცილოდ მიაგნო საკუთარ რაინდს, თავის წმინდა გიორგის, — წარმოთქვა გრეჰემმა ჭაბუკი პოეტის დასაცავად. — თანაც, ლეო, გვარიანი სირცხვილიც მაგემთ. მე აქ უძრავად ვზივარ, თქვენ კი სამ გოლიათ ურჩხულს შეებით.

— თანაც როგორ ურჩხულებს, — ჩაერია პაოლა, — თუ მათ ო'ჰკი დაუსრულებელი ღრეობის მორევში გადაისროლეს, თქვენ რაღას დაგმართებენ, ლეო?

— სიყვარულის ჭემმარიტ რაინდს ამქვეყნად არსებული ვერავითარი ურჩხული ვერ დააშინებს, — წარმოთქვა დიკმა. — ყველაზე უკეთესი ის არის, რომ ამ შემთხვევაში ურჩხულნი უფრო მართალნი არიან, ვიდრე თქვენ ფიქრობთ, თუმცა თქვენ, ლეო, მათთან შედარებით გაცილებით სწორი ბრძანდებით.

— აქ კეთილი ურჩხულიც გვირევი, ძვირფასო ჭაბუკო, — განაგრძო ტერენსმა. — ეს ურჩხული მზად გახლავთ, საკუთარ უღირს მეგობართ ჩამოსცილდეს და თქვენი მხარე დაიჭიროს. ესე იგი წმინდა ტერენსად იქცეს. ჰოდა, აი, წმინდა ტერენსს სურს მეტად გულახდილი და საინტერესო შეკითხვა მოგცეთ.

— მოდით, ჯერ ნება დავრთოთ ერთ ურჩხულს, კიდევ დაიღრიალოს, — შეაწყვეტინა ჰენკონკმა. — ლეო, უნაზესი და უწმინდესი სიყვარულის სახელით გევედრებით, გვამცნოთ: რატომ კლავს მამაკაცი ეჭვის გამო ქალს, რომელიც თავდავიწყებით უყვარს?

— იმიტომ, რომ სულიერი ტკივილების გაძლება არ ძალუძს, იმიტომ, რომ გონებას კარგავს, ჭკუაზე იშლება, — გაისმა პასუხად. — იმიტომ, რომ თავი ამქვეყნად უბედურად მიაჩნია, ისეთი მდაბალი ქცევის ქალის შეყვარებისათვის, რომელიც ასე აეჭვიანებს.

— მაგრამ გაფრთხილებთ, ლეო, — უპასუხა დიკმა, — სიყვარულმა გზის არევა იცის. თქვენ უფრო ამომწურავად უნდა გვიპასუხოთ.

— დიკი მართალია, — მხარი დაუჭირა ტერენსმა. — თუმცა, მე შენს მოსაზრებებს ხმალამოწვდილი ვიცავ, მაინც ვაცხადებ: სიყვარულში თვით მაღალი სულის ადამიანებიც კი ცდებიან, როდესაც «მწვანეთვალეზა ურჩხული» სამოქმედოდ გამოჩნდება. წარმოიდგინეთ, ყველაზე სრულქმნილი ქალი, როგორსაც კი თქვენი წარმოსახვა შექმნის, — მას უქრება იმ მამაკაცის სიყვარული, რომელიც არ შეურაცხყოფდა ცემით და უჩნდება დაუოკებელი გრძნობა მეორე სრულიად ასეთივე მამაკაცის მიმართ. ნუ დაივიწყებთ, რომ სამივე მაღალი სულისა და გრძნობის ადამიანია. ახლა ხმალმემართული აღსდექით და გული გაუპეთ ურჩხულს.

— პირველი მამაკაცი ქალს არ მოკლავს და არც შეურაცხყოფს, — დაბეჯითებით განაცხადა ლეომ, — წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ იქნებოდა ის ადამიანი,

როგორსაც თქვენ ხატავთ. მაშინ მაღალი სულისა კი არა, უმდაბლესი არსება იქნებოდა.

— თქვენი აზრით, გზიდან უნდა ჩამოეცალოს? — იკითხა დიკმა ისე, რომ არავისთვის შეუხედავს და სიგარა გააბოლა.

დასტურის ნიშნად ლეომ თავი დააქნია.

— დიახ, არა მარტო გზიდან ჩამოეცლება ქალს, შეუმსუბუქებს კიდეც მდგომარეობას და თბილად და სათუთადაც მოეპყრობა.

— სჯობს, ჩვენსავე მაგალითზე გადავწყვიტოთ ეს საკითხი, — განაგრძო ჰენკონკმა. — ვთქვათ, თქვენ შეგიყვარდათ მისის ფორესტი და მისის ფორესტმაც სიყვარულითვე გიპასუხათ. და აი, თქვენ დიდი ლიმუზინით აქაურობას გაცეალეთ...

— ოჰ, მე ამას არასოდეს ჩავიდენ, — წამოიძახა შემფოთებულმა ჭაბუკმა და სახეზე ნაკვერჩხლისფრად წამოენთო.

— იცით რა, ლეო, ეს ჩემთვის ვერაფერი თავმოსაწონი ამბავია, — წამქეზებლურად წამოიძახა პაოლამ.

— ლეო, ეს ხომ მხოლოდ წარმოსახვაა და მეტი არაფერი, — დაამშვიდა ისევ ჰენკონკმა.

ჭაბუკი ფილოსოფოსის შეხედვა საცოდაობა იყო სწორედ. ხმა უთრთოდა, მაგრამ დიკისაკენ გაბედულად შემოტრიალდა და წარმოთქვა:

— ამაზე დიკმა უნდა გასცეს პასუხი.

— დიახ, გიპასუხებთ, — განაცხადა დიკმა. — პაოლას მე არ მოვკლავდი, არც თქვენ, ჩემო ბიჭუნო, ეს არაკეთილსინდისიერი საქციელი იქნებოდა. რაც უნდა გულგანგმირული დავრჩენილიყავი, მაინც ასე გეტყოდით: გლოცავთ, ჩემო ბავშვებო-მეთქი.

— მაგრამ მაინც... — დიკი წამით შეჩერდა. ტუჩების კიდეებზე გაელვებული ღიმილი მოსალოდნელ ეშმაკობაზე მეტყველებდა. — იცით, გუნებაში მაინც რას გავიფიქრებდი, რომ ლეო სერიოზულ შეცდომას უშვებს, რადგან პაოლას სრულიად არ იცნობს-მეთქი.

— პაოლა ჭაბუკ პოეტს ვარსკვლავთმრიცხველობაში ხელს შეუშლიდა, — გაიღიმა ტერენსმა.

— არა, არა, ლეო, არასოდეს, სიტყვას გამძლევეთ! — წამოიძახა პაოლამ.

— თქვენ საკუთარ თავს იტყუებთ, მისის ფორესტ, — არწმუნებდა ტერენსი.

— პირველ ყოვლისა, თქვენ თავს ვერ შეიკავებდით ასეთი ცდუნებისაგან: გარდა ამისა, რამდენადაც ვიცი, ეს იქნებოდა თქვენი პირდაპირი მოვალეობა. საბოლოოდ კი, ნება მომეცით, ასე გამოვხატო ჩემი სათქმელი. მე დიდი გამოცდილება მაქვს ამ დარგში. ჭაბუკობის ჟამს, როდესაც თავდავიწყებით შეყვარებული გახლდით და გული მხოლოდ სიყვარულით მითრთოდა, ხოლო თვალთ ვარსკვლავებს ვეთაყვანებოდი, ყველაზე დიდ ბედნიერებად იმას ვთვლიდი, როცა ჩემი სატრფო თავისი უძლიერესი სიყვარულით შეძლებდა და ჩემს მზერას ვარსკვლავებს მოსწყვეტდა.

— ტერენს, ნუ ლაპარაკობთ ასე ზეაღმტაც ამბებზე, — წამოიძახა პაოლამ, — თორემ ლეოსთან და თქვენთან ერთად აქაურობას მივატოვებ და ლიმუზინით სადმე გადავიკარგები.

— დღე დაგვინიშნეთ, — თავაზიანად და მოწიწებით შეჰკადრა ტერენსმა.

— ოღონდ თქვენი სამოსელის გვერდით მცირეოდენი ადგილი სავარსკვლავთმრიცხველო წიგნებისათვის დაგვითმეთ, რომ მე და ლეომ თავისუფალ წუთებში მათი შესწავლა განვაგრძოთ.

ლეოს წინააღმდეგ ატეხილი ბრძოლა თანდათანობით დაცხრა. ახლა დარ-ჰი-ალმა და ჰენკონკმა ალყა დიკს შემოარტყეს.

— რას გულისხმობდით, როდესაც არაკეთილსინდისიერი საქციელი ახსენეთ? — ჰკითხა დარ-ჰიალმა.

— სწორედ იმას, რაც ლეომ თქვა, — უპასუხა დიკმა.

მან კარგად იგრძნო, რომ პაოლას შიში და შეშფოთება სადღაც გაქრა და ახლა დიდი სურვილითა და ცნობისმოყვარეობით უსმენდა მათ ნაუბარს.

— ჩემი ხასიათისა და შეხედულების მქონე მამაკაცისათვის ყველაზე დიდ სულიერ ტკივილად ის ითვლება, აკოცოს ისეთ ქალს, რომელიც მხოლოდ მორჩილების გამო აიტანდა ჩემს ამბორს.

— ვთქვით, ითვალთმაქცებდა წარსულისა თუ სიბრალულის გამო, რომ თქვენთვის გული არ ეტკინა, მაშინ? — დაიჟინა ჰენკონკმა.

— ამ თვალთმაქცობას უპატიებელ ცოდვად ჩავთვლიდი, — უპასუხა დიკმა. — აი, სწორედ ეს გახლავთ ქალის მხრივ არაკეთილსინდისიერი საქციელი. ასევე არაკეთილსინდისიერი, უმართებულო საქციელად მიმაჩნია, თუნდ ერთი წუთით, ზედმეტად დააკავო საყვარელი ქალი, რაც უნდა გატაცებით გიყვარდეს, თუ მას ამის სურვილი არ გააჩნია. ასეთი დამოკიდებულება ხომ არავითარ სიხარულს არ მომგვრიდა. ლეო მართალია. რომელიმე ლოთმა ხელოსანმა, იქნებ შეძლოს მუშტის წყალობით გვერდიდან არ მოიშოროს თავქერქეტა სატრფო, მაგრამ მაღალი სულის, დახვეწილი ბუნებისა და ხასიათის მამაკაცებს, რომელთაც რაღაც ინტელექტი მაინც მოეპოვებათ, არ ძალუბთ უხეში ხელით, ტლანქად შეეხონ სიყვარულს. მე, ისევე, როგორც ლეო ამბობდა, ყოველმხრივ შევუმსუბუქებდი ქალს მდგომარეობას, თან მეტად ფრთხილად და სათუთად მოვეპყრობოდი.

— სად წავა მაშინ ერთქორწინების ინსტინქტი, რომლითაც ასე მოაქვს თავი დასავლეთის ცივილიზაციას? — იკითხა დარ-ჰიალმა.

ჰენკონკმა კი დაუმატა:

— როგორც ჩანს, თქვენ თავისუფალ სიყვარულს ქადაგებთ, არა?

— სამწუხაროდ, შემიდლია მხოლოდ ერთი გაცვეთილი ფორმულით გიპასუხოთ: — სიყვარული თავისუფლების გარეშე არ არსებობს. გთხოვთ, ისიც არ დაივიწყოთ, რომ ჩვენ მხოლოდ უფრო მაღალი ტიპის ადამიანი გვყავს მხედველობაში. დაე, ძვირფასო დარ, ჩემმა ასეთმა მოსაზრებებმა გაგიწიოთ პასუხის მაგივრობა. სამყაროს დიდი უმრავლესობა ძველთაგანვე შრომისა და კანონიერების მონაა და მას უნდა დაემორჩილოს, რაც ერთქორწინების იდეასთან ან სულაც ქორწინების უფრო მკაცრ, მოუქნელ ფორმასთან არის დაკავშირებული. ის ჯერ კიდევ არ მომწიფებულა თავისუფალ ქორწინებამდე თუ თავისუფალ სიყვარულამდე. მისთვის სიყვარულის თავისუფლება, დარწმუნებული ბრძანებოდეთ, თავაშვებულობად გადაიქცევა. მხოლოდ ის ერები არ აღიგავენ დედამიწის პირისაგან და უმაღლესი განვითარების საფეხურს მიაღწიეს, სადაც რელიგიასა და სახელმწიფოებრივ კანონს წესრიგში მოკყავდა და აოკებდა ხალხის ინსტინქტებს.

— როგორც ჩანს, თქვენს პირად ცხოვრებაში საქორწინო კანონებს არავითარი ფასი არა აქვს და არცა გწამთ? — იკითხა დარ-ჰიალმა. — თუ ის მხოლოდ სხვებისათვის მიგაჩნიათ საჭიროდ?

— ყველასათვისაც საჭიროდ მიმაჩნია: ბავშვები, ოჯახი, კარიერა, საზოგადოება, სახელმწიფო — ყოველივე ამას ქორწინება ქმნის. დიახ, კანონიერი ქორწინება გარდაუვალია. მაგრამ ამავე ნიშან-თვისებათა გამო მწამს სწორედ განქორწინებაც. ყველა მამაკაცს, ისევე, როგორც ყველა ქალს, შეუძლია ამქვეყნად სიყვარული ერთხელ მეტა-

დაც იგემოს. ყოველ არსებაში შესაძლებელია, ძველი სიყვარული მოკვდეს და ახალი დაიბადოს. სახელმწიფო ვერ განაგებს სიყვარულის საკითხს, ისევე, როგორც მას ვერ იმორჩილებს ვერც მამაკაცი და ვერც ქალი. ადამიანს შეუყვარდა, მან იცის, რომ უყვარს და მეტი არაფერი. აი, ბატონებო, ჭეშმარიტად ამაღლებული, სულის შემამოფოთებელი სიყვარული! მაგრამ ამორალობას კი სახელმწიფომ ბრძოლა უნდა გამოუცხადოს.

— თქვენ იცავთ მეტად რთულ თავისუფალ სიყვარულს, — თავი გაიქნია ჰენკონკმა.

— სავსებით გეთანხმებით, მაგრამ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანიც ხომ თავისთავად მეტად რთული არსებაა.

— ხომ არიან იმდენად შეყვარებული მამაკაცები, რომელთათვისაც სატრფოს დაკარგვა სიკვდილს ნიშნავს? — მოულოდნელი გამბედაობით განაცხადა ლეომ. — ისინი ვერ გადაიტანენ სატრფოს გარდაცვალებას, მით უფრო, თუ ცოცხალია და სხვას გაუზიარა გრძნობა.

— რას ვიზამთ? დაიხოცნონ, როგორც იხოცებოდნენ წარსულში, ალბათ, ასეთია ქვეყნიერების განაჩენი, — შუბლშეკვრით უპასუხა დიკმა. — მათ სიკვდილში ვერავის დაადანაშაულებ. რას იზამ, ბუნებას ასეთი გავუჩენივართ, რომ ზოგჯერ გული გვიმტყუნებს და გზას ავცდებით ხოლმე.

— ჩემი გული არასოდეს აცდება სწორ გზას, — განაცხადა ლეომ ამაყად. ეჭვადაც არ მოსვლია, რომ მისი გულის საიდუმლო მაგიდის ირგვლივ მსხდომთათვის უკვე ცნობილი იყო. — ღრმად დარწმუნებული ვარ, ორჯერ სიყვარული არ შემემღლება.

— მჯერა, ჩემო კეთილო ჭაბუკო, — თანაგრძნობით უპასუხა ტერენსმა. — თქვენი ხმით ყველა ჭეშმარიტი შეყვარებული ლაპარაკობს. სიყვარულის სიხარული სწორედ მის აბსოლუტურობაშია... როგორც წერდა შელი... თუ კიტსი: «სიყვარული თავად — სასწაული და დაუშრეტელი ბედნიერებაა»... რა საბრალო, ფლეგმატურ შეყვარებულად წარმოგვიდგება ის, ვისაც დასაშვებად მიაჩნია, რომ ქვეყნად არსებობს ვინმე სხვა ქალი, თუნდაც ერთი მეათასედით უფრო ტკბილი, ლამაზი, მშვენიერი და ზეადმტაცი, ვიდრე მისი გულის საოცნებო სატრფო და რომ მას შეუძლია ოდესმე სხვა შეიყვაროს!

სასადილო ოთახიდან გადიოდნენ. დიკი დარ-ჰიალთან საუბარს განაგრძობდა, მაგრამ მხოლოდ ერთზე ფიქრობდა: სურდა გამოეცნო: როგორ მოიქცეოდა პაოლა, როდესაც საკუთარ სამყოფელისაკენ გასწევდა: მოისურვებდა თუ არა მის კოცნას გამომშვიდობებისას, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ყოველთვის, თუ დაკვრის დამთავრებისთანავე ფარულად შეეცდებოდა საკუთარი სამინებელი ფლიგელისაკენ წასვლას. პაოლა ამ დროს ჭაბუკი პოეტის ბოლო ხანს დაწერილ სონეტზე საუბრობდა, რომელიც ლეოს მისთვის განსახილველად მოეტანა, თუმცა ქალიც მხოლოდ იმავე ფიქრით იყო შემოფოთებული, შეეძლო თუ არა დიკის კოცნა გამომშვიდობებისას? და უცებ რაღაც მოუთმენლად მოუნდა მისი კოცნა და ალერსი, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რატომ?

თავი ოცდამესამე

ნასადილევს, იმავე საღამოს, ცოტა ხანს ისაუბრეს. პაოლა როიალთან იჯდა და მღეროდა. ტერენსმა უცებ შეწყვიტა ფილოსოფიური მსჯელობა სიყვარულზე და სმენად იქცა. უსმენდა ქალის სიმღერას, რომელშიაც თითქოს რაღაც ახალი იგრძნობოდა.

მერე ფეხაკრეფით დარბაზის მეორე ბოლოსაკენ გაემართა და ლეოს გვერდით დათვის ტყავზე წამოწვა. დარ-ჰიალმა და ჰენკონკმაც თავი ანებეს გაცხარებულ კამათს და ღრმა სავარძლებში ჩასხდნენ. გრეჰემსაც, ჩანდა, დიდად არ აინტერესებდა ჟურნალის უკანასკნელი ნომერი. დიკის მახვილ თვალს არც ის გამოჰპარვია, რომ გრეჰემს ჟურნალის ერთი ფურცელიც არ გადაუშლია. დიკს უნებური შინაგანი მღელვარება დაეუფლა. შენიშნა ის საოცარი ჟღერადობა და გრძნობიერება, რაც მეუღლის ხმაში გაისმა და სურდა, ამ იდუმალი განცდის მიზეზს როგორმე ჩასწვდომოდა.

პაოლამ სიმღერა დაასრულა თუ არა, სამივე ბრძენი ეახლა, დაუფარავად განუცხადეს, თუ რა დიადი, საოცარი ძალითა და მგზნებარებით დაუფლებოდა იგი სიმღერის განსაცვიფრებელ საიდუმლოებას. ლეო დუმდა, ხელები ნიკაპქვეშ ამოედო და გაუნძრევლად იწვა. სახე როგორღაც შეცვლოდა.

— ეს ყოველივე თქვენი მსჯელობათა შედეგია, — გაიცინა პაოლამ, — ამასთანავე იმ შესანიშნავი აზრების ზემოქმედება, რომელიც ლეომ, ტერენსმა და დიკმა შთამაგონეს.

ტერენსმა ლომის ფაფარივით მოშვებული, გრძელი, შეჭადარავებული თმა გაიქნია და წარმოთქვა:

— ალბათ, თქვენ ასე გწამთ, მაგრამ ეს უცილოდ გრძნობაა, ეს გულის ჭეშმარიტი ძახილია, — შეუსწორა მან. — დღეს თქვენი ხმით თვით სიყვარულმა ამოიდგა ბულბულის ენა. ჩემო უძვირფასესო ქალბატონო, მეც პირველად ვიგრძენი მთელი მისი ძალა. არასოდეს აღარ დაიჩვივლოთ, რომ თქვენ სუსტი ხმა გაქვთ. ის ახლა ყოველმხრივ დახვეწილი და სრულყოფილია, როგორც ბაგირი, ოქროს დიდი ბაგირი, რომლითაც არგონავტთა ხომალდებს ამაგრებდნენ სანეტარო კუნძულთა ნავსადგურებში.

— ამიტომ ახლა «გლორიას»<sup>1</sup> («გლორია» — ინგლისური სიმღერა «ქებათა-ქება») გიმღერებთ, — უპასუხა პაოლამ. — ვიდღესასწაულოთ ურჩხულთა სიკვდილი, რომელიც წმიდა ლეონმა, წმიდა ტერენსმა და წმიდა რიჩარდმა მოკლეს.

დიკს ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია ამ საუბრიდან, თუმცა მათ განერიდა, კამათს თავი აარიდა, კედელში ფარულად ჩასმულ კარადას მიუახლოვდა და შოტლანდიური სოდანარევი ვისკი დაისხა.

სანამ პაოლა «გლორიას» მღეროდა, დიკი ტახტისებურ დივანზე იჯდა და მოგონებებში ჩაფლული ვისკს ნელ-ნელა სვამდა. დღევანდელივით მან მხოლოდ ორჯერ იმღერა. ერთხელ პარიზში, სანამ დანიშნულები იყვნენ, მეორედ ქორწილის შემდეგ, თავლობის თვეში, მოგზაურობის დროს.

ცოტა ხნის შემდეგ მან გრეჰემსაც შესთავაზა ვისკი, თავისთვისაც დაისხა და მისთვისაც. როდესაც გრეჰემმა სმა დაამთავრა, პაოლას სთხოვა, შენ და ივენმა «ბოშათა ბილიკით» ერთად იმღერეთო.

პაოლამ თავი გაიქნია და გერმანული სიმღერა შეასრულა.

— განა ეს ნამდვილი, ცოცხალი ქმნილებაა? — წამოიძახა ლეომ სიმღერის შეწყვეტისთანავე. — ეს საშინელი ქალია! ლეო კი ჭეშმარიტი მიოჯნური. ქალმა ჭაბუკ პოეტს თუმცა გული გაუპო, მაგრამ ჭაბუკს მაინც უყვარს იგი. მას სხვისი სიყვარული აღარ ძალუძს, არ შეუძლია დაივიწყოს ტრფობა ამ უმშვენიერესი ქმნილებისა.

— ახლა, მეწამულისფერო ღრუბელო, რკოს სიმღერა მოგვასმენინე, — წარმოთქვა პაოლამ ღიმილით და მეუღლეს მიმართა: — დადგი სასმისი, ჰქმენ სიკეთე და იმღერე რკოზე.

დიკი ზანტად წამოდგა, თავი გაიქნია, თითქოს ფაფარი შეარხაო, და ფეხებიც რამდენჯერმე ისე დაჰკრა იატაკს, როგორც ეს «მთიელს» სჩვეოდა.

— დაე, ლეომ იგრძნოს, რომ ამ არემარეში სიყვარულის რაინდი და პოეტი ერთადერთი არ არის. ტერენს, უსმინეთ «მთიელის» სიმღერას, და თქვენც, სხვანო, საოცრებითა და ველური მგზნებარებით აღსავსე სიმღერას. «მთიელი» სატრფოსათვის არ ოხრავს, სრულიადაც არა, ის თავად არის სიყვარულად ქცეული. იგი ძახილია სატრფოს შესაყრელად აღტყინებული. უსმინეთ მას:

დიკმა კვლავ დაჰკრა ფეხები იატაკს, თავიც გაიქნია, თითქოს ფაფარი შეარხაო და მხიარული გაშმაგებით დაიქუხა. მისმა ჭიხვინმა შეძრა უზარმაზარი დარბაზი.

— მისმინეთ, მე ეროსი ვარ! მე ვთელავ ბორცვებს, თვალუწვდენელ ველებს სწვდება ჩემი ხმა. მდუმარე სამოვრებზე ახლად შეთქვირებულ ფაშატებს ესმით ჩემი ძახილი და თრთიან, რამეთუ მცნობენ უკვე. დედამიწა აღსავსეა სინოყვირით, ხოლო ხენი სასიცოცხლო წვენიტ. გაზაფხულია. გაზაფხული კი ჩემი კუთვნილებაა. მეფეთ მეფე ვარ ჩემს სამფლობელოში. ამ გაზაფხულზე ფაშატებს ახსოვთ ჩემი მგრვინავი ხმა. იგი ხომ მათი დედების სისხლშიც ცოცხლობდა. მისმინეთ, მე ეროსი ვარ! ვთქერავ ბორცვებს და თვალუწვდენი მინდვრებიც ჩემი მოახლოების ნიშნად ექოს მსგავსად იმეორებენ ამ ხმას, რაც ჩემს მოახლოებას ამცნობს მათ!..

მადრონოს ჭალებში მცხოვრებმა ფილოსოფოსებმა პირველად მოისმინეს დიკის ეს სიმღერა და აღტაცებული ტაშისცემა ასტეხეს. ჰენკონკის აზრით, ეს კამათისათვის ახალი, უჩვეულო მიზეზი იქნებოდა. და ის იყო, ბერგსონის იდეებიდან გამომდინარე სიყვარულის ახალი, ბიოლოგიური თეორიის საკითხებზე მსჯელობის დაწყებას აპირებდა, რომ ტერენსმა შეაჩერა, რადგან შენიშნა, ლეოს სახე საოცარმა ტკივილმა შესძრა.

— განაგრძეთ, ჩემო უძვირფასესო ქალბატონო, — შესთხოვა მან პაოლას, — და იმღერეთ სიყვარულზე, მხოლოდ სიყვარულზე. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, დედამიწის ამ უმშვენიერესი არსების, ქალის ხმა როგორ მეხმარება ვარსკვლავთმრიცხველობაში.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში ო-დაი შემოვიდა. პაოლას სიმღერის დამთავრებამდე შეიცადა, მერე გრეჰემს უხმოდ მიუახლოვდა და დეჰეშა გადასცა. დიკმა უკმაყოფილოდ შეიკრა წარბი და მსახურს გადახედა.

— მე მგონი, მეტად მნიშვნელოვანია, — თავი იმართლა მორიდებულად ჩინელმა.

— ვინ მიიღო? — იკითხა დიკმა.

— მე მივიღე, ბატონო, — უპასუხა მსახურმა. — ღამის მორიგე მოხელემ ელდორადოდან დარეკა, ამიხსნა, მეტად მნიშვნელოვანიაო და მეც მივიღე.

— დიახ, მართლაც ფრიად მნიშვნელოვანი ამბავია, — ჩაილაპარაკა გრეჰემმა, როგორც კი დეჰემის კითხვა დაამთავრა. — დიკ, იქნება კიდევ ამაღამ სან-ფრანცისკოსაკენ მიმავალი რომელიმე მატარებელი?

— ო-დაი, მობრუნდი ერთ წამს, — დაუძახა დიკმა მსახურს და საათს დახედა. — სან-ფრანცისკოსაკენ მიმავალი რომელი მატარებელი ჩერდება ელდორადოში?

— თერთმეტსა და ათ წუთზე გადის უკანასკნელი, — დაუყოვნებლივ უპასუხა მსახურმა. — დრო არცთუ ისე ბევრია საამისოდ, მძლოლი გამოვიძახო?

დიკმა თავი დაიქნია.

— აუცილებლად დღესვე უნდა გაემგზავროთ? — ჰკითხა დიკმა გრეკემს.  
— დიახ, აუცილებლად. ფრიად მნიშვნელოვანი ამბავია. მოვასწრებ გამგზავრებას?

დიკმა დასტურის ნიშნად ო-დაის თავი დაუქნია და გრეკემს მიმართა:

— რაც აუცილებელია, იმის ჩალაგებას კი მოასწრებთ. — მერე ო-დაის მიუბრუნდა და ჰკითხა: — ო-მაი ხომ ფეხზეა ისევ?

— დიახ, ბატონო.

— გაგზავნე ახლავე ზევით, მისტერ გრეკემს დაეხმაროს, მერე, როცა მანქანა მზად იქნება, გამაგებინეთ. ლიმუზინი არ არის საჭირო, სონდერსმა წაიყვანოს რომელიმე სხვა სწრაფი მანქანით.

— რა შესანიშნავი ვაჟკაცია... ტანადი, ძლიერი. — შენიშნა ტერენსმა, როდესაც გრეკემი დარბაზიდან გავიდა.

ყველამ დიკის გარშემო მოიყარა თავი. მხოლოდ პაოლა განაგრძობდა როიალთან ჯდომას და ჩუმად უსმენდა მათ.

— ეს კაცი იმ მცირერიცხოვანთა შორისაა, ვისთან ერთადაც ამ ქვეყნის დასასრულამდე შემოდგომა ვიარო, თვით ჯოჯოხეთშიც კი შევიდე ტყავის გამოსატანად. მის გვერდით ყოფნისას ყველაზე უიმედო საქმეზეც არ ავიღებდი ხელს, — წარმოთქვა დიკმა. — გრეკემი ხომალდ «ნედერმერზე» მსახურობდა, როდესაც გემი პანგოს სანაპიროებზე გაირიყა 1897 წლის დიდი გრიგალის დროს. პანგო, როგორც მოგეხსენებათ, დაუსახლებელი, ქვიშრობი კუნძულია, დაახლოებით თორმეტი ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, სადაც მხოლოდ ქოქოსის ტყე ხარობს. მგზავრთა შორის გემზე ორმოცი ქალი იყო, უმეტესად ინგლისელ ოფიცერთა ცოლები. გრეკემს იმხანად გველის ნაკბენისაგან ხელი ბარდაყის სიმსხოზე ჰქონდა გასიებული და საოცარი ტკივილები აწუხებდა.

ზღვა არ ცხრებოდა. ნავების გადაშვებას აზრი არ ჰქონდა, ძლიერმა ტალღებმა ორი კიდეც დაამსხვრია და ნაფოტებად აქცია, ორივეს ეკიპაჟი დაიღუპა. ოთხ მეზღვაურს უბრძანეს, საბაგირო თოკი ნაპირამდე მიეტანათ. მალე ოთხივე უკან დამხრჩვალნი ამოიტანეს გემზე. როდესაც უკანასკნელი დამხრჩვალნი ამოჰქონდათ, გრეკემმა, გასიებული ხელის მიუხედავად, ტანსაცმელი გაიძრო, ბაგირს ხელი მაგრად ჩაჰკიდა და ნაპირამდეც მიაღწია, თუმცა წყალმა ერთხელ ისეთი ძალით ამოისროლა, რომ მტკივანი ხელი და სამი ნეკნი გადაუტეხა, მაგრამ გრძნობის დაკარგვამდე თოკის დამაგრება მაინც შეძლო. ექვსი მეზღვაური თავის ნება-სურვილით ბაგირს დაეკიდა, თოკი მიჰქონდათ, მაგრამ მათგან მხოლოდ ოთხმა მიაღწია ნაპირს. იმ ორმოცი ქალიდან მხოლოდ ერთი გარდაიცვალა და ისიც შიშით. გულმა უმტყუნა.

ერთხელ, როგორღაც ამ ამბის თაობაზე ვკითხე, მაგრამ ის, როგორც ნამდვილი ინგლისელი, ჩემს შეკითხვას დუმილით შეხვდა. რაც მისგან შევიტყვე, მხოლოდ ის იყო, რომ მალე გამოკეთდა და ნაკბენს არავითარი ზადი არ დაუტოვებია. მისი აზრით, ასეთმა ძალდატანებითმა მოძრაობამ, ძვლის გადატეხამ და წყალმა შხამსაწინააღმდეგო შედეგი გამოიღო და ხელი სწორედ ამით განიკურნა.

ო-დაი და გრეკემი დარბაზში ერთმანეთის საპირისპირო მხრიდან შემოვიდნენ. დიკმა ცხადად შენიშნა, რომ შემოსვლისთანავე გრეკემმა კითხვის გამომხატველი მზერა შეავლო პაოლას.

— ყველაფერი მზად გახლავთ, ბატონო, — მოახსენა ო-დაიმ.

დიკს სურდა სტუმარი მანქანამდე მიეცილებინა, პაოლას კი, ჩანდა, დარბაზში დარჩენა ჰქონდა გადაწყვეტილი.

გრეკემი პაოლას მიუახლოვდა და გამოსამშვიდობებლად განკუთვნილი სინანულის გამომხატველი რამდენიმე სიტყვა ძლივს წარმოთქვა ჩურჩულით. პაოლა ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო, საოცრად აგზნებული ჩანდა ყოველივე იმის გამო, რაც დიკმა გრეკემის შესახებ უამბო. ახლა კი სიამით აღვსილი თვალს ადევნებდა ამ ღმერთების სადარი ვაჟკაცის ძალდაუტანებელ, ამაყ თავდაჭერას. დიკის დაუდევრად გადავარცხნილ ოქროსფრად მზინავ, ოდნავ სილისფერდაკრულ თმას. მიუხედავად წონისა და მხრების სიგანისა, თვალს ვერ სწყვეტდა მის სრულქმნილ, მსუბუქ, ჭაბუკურ აღნაგობას. პაოლას მზერა მასთან უკვე ახლოს მდგარი გრეკემის მოგრძო ნაცრისფერ თვალთა ელვარებას დაეტყვევებინა, რომელთა ოდნავ გამობერილი ქუთუთოები მათ პატრონს თითქმის ბიჭურ გამომეტყველებას აძლევდა. პაოლამ შეიცადა, ვიდრე ეს კუშტი, ბიჭური გამომეტყველება გაქრებოდა, ვიდრე იგი მისთვის ესოდენ ახლობელ და სასიამოვნო ღიმილით არ შეიცვლებოდა.

გრეკემმა სრულიად ჩვეულებრივი გამოსამშვიდობებელი სიტყვები წარმოთქვა. პაოლამაც საყოველთაოდ ცნობილი სინანულის გამომხატველი ფრაზები მოიშველია. თუმცა ხელის ჩამორთმევის დროს გრეკემის თვალეში განსაკუთრებულმა სხივთა კიაფმა დაატყვევა ქალი, რომელსაც თავისდა შეუცნობლად ელოდა და დაუყოვნებლივ საპასუხოდ აღენტო უმშვენიერესი თვალნი.

ასეთმა განცდამ შეძრა ქალის მთელი არსება, როდესაც წამიერად მათი ხელები ერთერთს შეეხო. ყოველივე წინასწარგანუზრახველად, სრულიად მოულოდნელად მოხდა. პაოლა როგორღაც თავისდაუნებურად პასუხობდა სულის შემძვრელ განცდას. დიახ, სწორედ ისევე, როგორც ივენმა რამდენიმე ხნის წინ იწინასწარმეტყველა: ასეთ შემთხვევაში სიტყვებს ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვსო.

როგორც კი მათი ხელები ერთერთს განშორდა, პაოლამ ფარულად გადახედა მეუღლეს, რადგან ამ თორმეტი წლის ცოლქმრული ურთიერთობის დროს დარწმუნდა, რომ დიკს ადამიანის სულის უსწრაფესი განჭვრეტის უნარი ჰქონდა, რომელიც მას თითქმის შემადრწუნებელ ზენაარულ ძალას ანიჭებდა. იგი არამცთუ იმჟამად, მომავალში მოსახდენ ამბავთა მსვლელობასაც წინასწარმეტყველებდა. დიახ, თვალისათვის უხილავი, რაღაც საოცარი ნიშნებით ახერხებდა და გამოჰქონდა აბსოლუტურად სწორი დასკვნები, რითაც არაერთხელ განუცვიფრებია ადამიანის ბუნებისათვის ასე უჩვეულო შორსმჭვრეტელობითა და შეუმცდარობით, მაგრამ დიკი ახლა ზურგით ედგა და ჰენკონკის შენიშვნაზე გულიანად ხარხარებდა: მან თავისი მოღიპარი მზერა მეუღლეს მხოლოდ მაშინ შეავლო, როდესაც გრეკემის გასაცილებლად დაიძრა.

— არა, — გაიფიქრა პაოლამ, — ცხადია, დიკმა ვერ შენიშნა, რაც მან და ივენმა ახლა ურთიერთს თვალთ უსიტყვოდ ამცნეს. იგი ხომ სულ რაღაც ერთ წამში მოხდა, მათი თითების დაუოკებელი წამიერი თრთოლვა. აბა, როგორ უნდა შეენიშნა, ეგრძნო ან თვალი მოეკრა? არა, რა თქმა უნდა, არა, მას არ ძალუძდა არც თვალთა სხივის ხილვა და არც ხელის შეხების დროს განცდილი გრძნობის მიკვლევა. გრეკემი დიკისაკენ ზურგმებრუნებული იდგა და პაოლას ეფარებოდა.

და მაინც საოცრად ინანა, რომ ასეთი გამომცდელი, ფარული მზერა შეჰკადრა დიკს. დამნაშავეს მწვავე სინანული იგრძნო და უმძიმესმა ტკივილმა გაჰკრა გულში, როცა თვალი გააყოლა გვერდიგვერდ მიმავალ მაღალ, უნაკლო ტანადობის, წარმოსადეგ, ქერა ვაჟკაცებს.

«მაინც რა დავაშავე?» — ეკითხებოდა ქალი საკუთარ თავს, — «რისთვის უნდა ვმაღავდე?» პაოლა იმდენად პატიოსანი იყო, რომ უკვე სიმართლის თვალეში ჩახედვისა ეშინოდა. საკუთარ თავს დაუფარავად გამოუტყდა, რომ ნამდვილად ჰქონდა

საიდუმლო, რომ თავისდაუნებურად მივიდა სიცრუის კარამდე. პაოლა შეცბა, სახე აეფაკლა.

— მე იქ ორი-სამი დღე დავრჩები... — უთხრა მანქანის კარებთან მდგარმა გრეჰემმა და დიკს დაემშვიდობა.

დიკი ხედავდა ივენის პირდაპირსა და მართალ მზერას, ხელის ჩამორთმევაში კი ადამიანური სიმტკიცე და გულითადობა შეიგრძნო. გრეჰემი კიდეც რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ თავი შეიკავა. დიკმა შენიშნა ეს. გრეჰემმა მხოლოდ ესლა თქვა:

— ვფიქრობ, როგორც კი დავბრუნდები, ალბათ, მართლა მომიწევს გასამგზავრებლად მომზადება.

— მერე წიგნის საქმე? — გაეპასუხა დიკი. თუმცა ფარულად საკუთარ თავს სწყევლიდა იმ სიხარულის გამო, რაც გრეჰემის სიტყვების გაგონებამ გამოიწვია.

— დიახ, სწორედ წიგნის გულისათვის, — უპასუხა გრეჰემმა. — ხომ უნდა დავამთავრო ოდესმე: მე, როგორც ჩანს, ისე შრომა, როგორც თქვენ შრომობთ, არ შემიძლია. თქვენი მამული თვალწარმტაცი და მაცდუნებელია. ვზივარ სამუშაო მაგიდასთან და ყურში კვლავ მომაჯადოებელი ტოროლების ხმა ჩამესმის. ამ ხმის გაგონებისთანავე ჩემს წარმოსახვაში საოცარი სილამაზის მდელოები, ტყით დაფარული ხეობები და ჩემი სელიმი ცოცხლდებიან. დაახლოებით ერთ საათს ვუძლებ ამ ცდუნებას და მერე ვრეკავ საჯინიბოში, სელიმი შემიკაზმეთ-მეთქი. ესეც რომ არა, ამგვარი სხვა მაცდუნებელი ბევრია.

გრეჰემმა ფეხი მანქანის მოძიგძიგე საფეხურზე შედგა და დიკს გადმოსძახა: — ნახვამდის, ბერიკაცო.

— ჩქარა დაბრუნდი და საქმეს შეუდექი, — გაეპასუხა დიკიც. — თუ სხვაგვარად არ შეგიძლია, ყოველდღიური სამუშაო განრიგი შევადგინოთ. დილიდანვე ოთახში გამოგკეტავთ, სანამ იმ დღისათვის განკუთვნილ სამუშაოს არ შეასრულებ. თუ არ იმუშავებ, მთელ დღეს გამოგკეტილ ოთახში დაგტოვებ. მე მოვაგვარებ ამ საქმეს, გაიძულე, რომ იმუშაო. სიგარეტები გაქვს? ასანთი?

— ყველაფერი მოვიმარაგე.

— აბა, გზას გაუდექი, სონდერს! — უბრძანა დიკმა მძღოლს. მანქანა განათებული ალაყაფის კარს განშორდა და წყვდიადში შთაინთქა.

როდესაც დიკი დაბრუნდა დარბაზში, პაოლა ფილოსოფოსების თხოვნით უკრავდა. დიკი დივანზე წამოწვა და კვლავ იმ ერთმა ფიქრმა გაიტაცა, როგორ მოიქცეოდა პაოლა გამომშვიდობებისას: აკოცებდა თუ არა, როგორც ეს თითქმის ყოველდღე ხდებოდა. რა თქმა უნდა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ამბავი ჩვეულებად ექცათ, სულაც არა. ხშირად დიკი მეუღლეს შუადღემდე ვერ ხვდებოდა, ხშირად სტუმართა თანდასწრებით უხდებოდა მასთან შეხვედრა; უმეტეს შემთხვევაში პაოლა სხვებისაგან შეუმჩნევლად ადრე მიდიოდა დასაძინებლად, მეუღლესაც კი ვერ ემშვიდობებოდა, რომ სტუმრებისათვის არ ეგრძნობინებინა, უკვე ძილის დროაო.

— არა, — დაასკვნა დიკმა, — გამომეშვიდობება და მაკოცებს. თუ არ მაკოცებს, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

თუმცა იგი მაინც მოუთმენლად ელოდა, რა მოხდებოდა.

პაოლა ხან უკრავდა, ხან ისევ სიმღერას განაგრძობდა. ამასობაში დიკს ჩაემინა. როდესაც თვალი გაახილა. დარბაზში სრულიად მარტოდმარტო იყო. პაოლასა და ბრძენ ფილოსოფოსებს უხმოდ, ფეხაკრეფით დაეტოვებინათ დარბაზი. დიკმა მაჯის საათს დახედა: პირველი საათი სრულდებოდა. პაოლა, ჩვეულებრივ, ძალიან დიდხანს უკრავდა ხოლმე. ახლაც დარბაზიდან ახალგასული ჩანდა. დიკი სწორედ იმან გამოაღვიძა, რომ დაკვრა შეწყდა და დარბაზში სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

დიკი განცვიფრებული დარჩა. ხშირად ხდებოდა სხვა დროსაც, დაკვრის დროს ჩასთვლემდა ხოლმე. პაოლა დაამთავრებდა თუ არა დაკვრას, დიკს კოცნით გააღვიძებდა და დასაძინებლად გაისტუმრებდა. დღეს კი რატომღაც ასე არ გააკეთა. იქნებ, ისევ დაბრუნდეს? დიკი კვლავ წამოწვა. თვლემდა და ელოდა, როდესაც მეორედ დახედა საათს, ისარი ორს უჩვენებდა. პაოლა არ დაბრუნებულა.

დიკი საძინებელი ოთახისაკენ გაეშურა, გზად სინათლეებს აქრობდა; უამრავი, ერთმანეთში გადახლართული უმნიშვნელო წვრილმანი ამბავი ეჭვს უღვიძებდა და უნებური დასკვნების გამოსატანად უბიძგებდა.

საკუთარ ვერანდაზე მისული იმ კედელთან შეჩერდა, სადაც თერმომეტრები და ბარომეტრები ეკიდა. ხის მრგვალი ჩარჩოდან პაოლას მოლიმარე სახე იცქირებოდა. კარგა ხანს იდგა სურათის წინ; დაიხარა კიდეც, თითქოს სახის თითოეულ ნაკვთს სწავლობსო.

— ოჰ, რას იზამ! — ჩურჩულით წარმოთქვა მან, — საბანი გადაიფარა, ბალიში ზურგს უკან ამოიღო და ხელი კორექტურისაკენ წაიღო. — რაც უნდა მოხდეს, უნდა ავიტანო, ალბათ, ცეცხლს უნდა გავეთამაშო.

მერე ალმაცერად ახედა სურათს.

— მაგრამ, პატარა ქმნილებავ, გირჩევ, არ გაბედო! — ამოიოხრა დიკმა.

### თავი ოცდამეოთხე

თითქოს საბედნიეროდ, დიდ სახლში უცხო აღარავინ იყო, თუ საუზმეზე ან სადილად შემთხვევით შემოსწრებულ სტუმარს არ ჩავთვლით. დიდი სახლი დაცარიელდა. როგორც პირველ, ისე მეორე დღეს დიკმა სამუშაო გადადო, უნდოდა თავისუფალი ყოფილიყო, იქნებ, პაოლას ცურვა ან ცხენით გასეირნება მოენდომებინა, მაგრამ ამაოდ.

დიკმა შენიშნა, პაოლა ახლა ყოველნაირად ირიდებდა კოცნას, ჩვეულ «მილი ნებისასაც» მეუღლეს თავისი საძინებელი ოთახის ვერანდიდან უსურვებდა ხოლმე. დილით პაოლას შესახვედრად დიკი, ჩვეულებრივ, თერთმეტი საათისათვის მოემზადა. მისტერ ეგერი და მისტერ პიტსი, რომლებიც მეტად მნიშვნელოვან საქმეზე გამოცხადდნენ მოახლოებულ სასაქონლო ბაზრობასთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტების მისაღებად, დიკმა სწორედ თერთმეტ საათზე გაათავისუფლა. პაოლა ამდგარი გახლდათ, — მისი სიმღერის ხმა დიდი ხანია მისწვდა დიკის სამყოფელს. დიკი მოუთმენლად ელოდა მეუღლის შემოსვლას; მაგიდასთან იჯდა და ვერაფერს აკეთებდა, თუმცა წინ მისი ხელმოწერის მომლოდინე წერილებით აზვინული უშველებელი ლანგარი ედგა. პაოლა დილით ყოველთვის ინახულებდა ხოლმე მეუღლეს და ამ ჩვეულებას უცვლელად იცავდა მუდამ. რა მომაჯადოებლად ეჩვენებოდა ახლა მისი ტკბილი შეძახილი: «დილა მშვიდობისა, მხიარულო ჭაბუკო!..» და, ჯერ ისევ დილის სამოსში გამოკვალთულს, მკლავებში მოიმწყვდევდა ხოლმე.

დიკს გაახსენდა, რომ ხშირად ისედაც მცირეხნიან სტუმრობას უკიდურესად კვეცდა. თვით მგზნებარე ალერსის დროსაც კი პაოლას აგრძნობინებდა, რომ მეტი დრო აღარ ჰქონდა. მაშინ პაოლას სახეზე ნაღველის უეცარი ჩრდილი გადაირბენდა და ოთახს დაუყოვნებლივ, უხმოდ ტოვებდა.

უკვე თორმეტის თხუთმეტი წუთი გახდა, პაოლა კი მაინც არ ჩანდა.

დიკმა ტელეფონის მილი აიღო და რძის ფერმას დაუკავშირდა, საიდანაც ქალეზის საუბრის ხმა მოესმა. მათ შორის პაოლას ხმა გაარჩია გარკვევით:

—... თავი დაანებეთ მაგ თქვენს მისტერ უეიდს; ბავშვები წამოიყვანეთ და რამდენიმე დღით მაინც ჩამოდით...

პაოლასაგან ასეთი მოპატიჟება დიკს ფრიად ეუცნაურა. როგორ უხაროდა ყოველთვის, როდესაც აღარავინ ჰყავდათ სტუმარი და ერთი ან ორი დღე საკუთარ სახლში ორნი რჩებოდნენ. ახლა კი მისის უეიდს ურჩევდა, საკრამენტოდან მასთან ჩამოსულიყო. იქნებ, აღარც სურდა მარტოდმარტო დარჩენილიყო მასთან და სტუმრებსაც ამიტომ იკრებდა.

დიკს გაეღიმა იმის გაფიქრებაზე, რომ სწორედ ახლა, როდესაც მეუღლე აღარ ეალერსებოდა და არც კოცნას უძღვნიდა დილდილობით, სწორედ ახლა გამხდარიყო ეს კოცნა სასურველი. იქნებ, საჭიროა მისი სამოგზაუროდ წაყვანა, — გაუელვა უცებ გონებაში. ვინ იცის, ეგებ ამან უშველოს ასეთ გამწვავებულ ურთიერთობას, გვერდიდან არ მოიცილებს, ეს კი, რა თქმა უნდა, კვლავ დაახლოებს მათ. განა არ შეიძლება სანადიროდ ალასკაში წასვლა? პაოლას ძალიან აინტერესებს ეს მხარე. ან იმ ადგილებისკენ გაემგზავრონ, ერთად რომ გადასცურეს, როცა საკუთარი იახტით სამხრეთის ზღვის სანაპიროები შემოიარეს. გემები მიმოდინა სან-ფრანცისკოსა და ტაიტს შორის. თორმეტი დღის შემდეგ პაპაეტის სანაპიროებზე იქნებიან უკვე. საინტერესოა, ლავაინას ისევ აქვს თუ არა თავისი სასტუმრო. აი, დიკმა უმაღლვე წარმოიდგინა, როგორ საუზმობს პაოლასთან ერთად სასტუმროს ვერანდაზე მანგოს ხეების ქვეშ.

დიკმა მაგიდას მუშტი დაჰკრა. არა, ღმერთმა დაიფაროს, ისე როგორ გამხდალდება, რომელიმე მამაკაცს მეუღლე განარიდოს, გაექცეს და დაემალოს! ან ის კი იქნება მართებული, განაშოროს მეუღლე იმას, ვისკენაც ქალი ისწრაფვის? თუმცა მან ჯერ კიდევ ნამდვილად არ იცის ისწრაფვის თუ არა პაოლა გრეჰემისაკენ, ან რა საზღვარს მიადწია ამ ურთიერთსწრაფვამ. შესაძლოა, ეს მხოლოდ გაზაფხულის თავბრუდახვევა იყოს, რომელიც მალევე ჰქრება. საუბედუროდ, ცხადად გრძნობდა იმასაც, რომ მათი თორმეტი წლის ქორწინების მანძილზე მეუღლის ხასიათში არასოდეს შეუნიშნავს გუნებაგანწყობილების შეცვლა გაზაფხულზე და არც ეჭვიანობის მიზეზი ჰქონია ოდესმე. პაოლა ძალიან მოსწონდათ მამაკაცებს, უამრავ ხალხს შეხვედრია, იღებდა მათ თავყვანისცემას, არც არშიყობას გაურბოდა, მაგრამ, მუდამ მშვიდი და ურყევი საკუთარი თავის წინაშე, დიკ ფორესტის ჭეშმარიტ მეუღლედ რჩებოდა.

— დილა მშვიდობისა, მხიარულო ჭაბუკო!

პაოლამ დარბაზში კარიდან შემოიჭვრიტა, თვალებსა და ბაგეზე ძალდაუტანებელი ღიმილი გადაშლოდა და ხელის თითებით ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა მეუღლეს.

დიკიც სრულიად ძალდაუტანებლად გამოეხმაურა, როგორც, საერთოდ, სჩვეოდა.

— დილა მშვიდობისა, ჩემო პაწაწინა ამაყო მთვარის სხივო! — ახლა ჩემთან შემოვა, — გაიფიქრა დიკმა, — გულში ჩავიკრავ და ამ გამოცდას კოცნით ავანაზღაურებინებ.

დიკმა მკლავები გაშალა, მაგრამ პაოლა ოთახში არ შესულა. მკერდზე გახსნილი კიბონო შეისწორა, მეორე ხელით გრძელი ქვედატანი ხელში აიკრიფა და თითქოს გასაფრენად ემზადებაო, დარბაზის სიღრმეს გახედა. დიკის მახვილ ყურს არავითარი ხმა არ მისწვდომია. პაოლამ განმეორებით გაუღიმა, კვლავ გაუგზავნა კოცნა და გაქრა. ათი წუთის შემდეგ ოთახში ბონბრაიტმა დეპეშები შეუტანა. დიკს არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა მისი მდივანი და მაგიდასთან ისევ ისე გაქვავებული იჯდა, როგორც ათი წუთის წინ.

პაოლა კი, ეტყობა, ბედნიერად გრძნობდა თავს. დიკმა თორმეტი წლის მანძილზე კარგად გაიცნო მეუღლე. იცოდა, როგორ გამოხატავდა თავის სულიერ განცდებს. არ შეეძლო არ მიმხვდარიყო, რატომ იყო ასე აღფრთოვანებული, ან რად გაისმოდა მისი სიმღერა მთელ სახლში ხან თაღებქვეშ და ხან ეზოში. დიკი საუზმემდე სამუშაო კაბინეტიდან არ გამოსულა. არც პაოლას გამოუვლია მასთან, როგორც ხანდახან იცოდა სასადილო ოთახისაკენ გზად გავლისას.

გაისმა ზარის ხმა. დიკმა პაოლას სიმღერა გაიგონა. ხმა თანდათან იკარგებოდა და დიკი მიხვდა, რომ ის სასადილო დარბაზისაკენ მიემართებოდა.

საუზმეზე ვიღაც შემთხვევითი სტუმარი, ეროვნული გვარდიის პოლკოვნიკი, ყოფილი კომისარი, ვინმე ჰარისონ სტოდარდი ეწვიათ. სტუმრის საყვარელ საქმიანობას ინდუსტრიასა და მისგან გამოწვეულ ძვრებზე საუბარი წარმოადგენდა. სადილის დამთავრებამდე დამქირავებელთა საპასუხისმგებლო აქტსა და სოფლის მეურნეობის ფერმერებზე მსჯელობდნენ. პაოლამ, როგორც იყო, მოახერხა წუთის შერჩევა, დიკს სიტყვა ჩამოუგდო, საღამო ხანს უიკენბერგში მეზონებთან ვაპირებ გასეირნებასო.

— არ ვიცი, როდის დავბრუნდები, მეზონების ამბავი კარგად მოგეხსენება, ამიტომ თქმასაც ვერ გიბედავ, ჩემთან ერთად წამოხვიდე, ისე კი ძალიან მინდოდა ერთად წავსულიყავით.

დიკმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— მაშინ, — განაგრძო პაოლამ, — თუ სონდერსი არ გჭირდება...

დიკმა თანხმობა განუცხადა:

— კეთილი, დღეს კალაჰანს მე დავიტოვებ, — უთხრა დიკმა და გონებაში მთელი დღის გეგმა მოხაზა. — ვერ გამიგია, რატომ მაინცდამაინც სონდერსი აირჩიე, კალაჰანი ხომ უკეთესი მძღოლია და უფრო საიმედოც? — შეესიტყვა მეუღლეს.

— შესაძლებელია, სწორედ ამის გამო, — უპასუხა პაოლამ ღიმილით. — უსაფრთხოება ხომ, პირველ ყოვლისა, ნელ მოქმედებაში მქლავნდება უმეტესად.

— რაც უნდა იყოს, სისწრაფეში მე პირადად კალაჰანს ვარჩევდი, — განაცხადა დიკმა.

— დღეს საით აპირებ გამგზავრებას? — იკითხა პაოლამ.

— მინდა პოლკოვნიკ სტოდარდს ჩემი სანიმუშო მეურნეობა დავათვალიერებინო, სადაც მხოლოდ ერთი მუშა შრომობს და არც ერთი ცხენი. ამასთანავე ვუჩვენებ ჩემს ახალ გამოგონებასაც, ავუხსნი, როგორ ხდება ხუთი აკრი ფართობის ავტომატური ხვნა. ჩვენ ბევრ გაუმჯობესებას მივაღწიეთ და უკვე მთელი კვირაა ვემზადები კვლავ გამოვცადო ახალი გამოგონება, მაგრამ დრო არ მქონდა. მერე კი, ვფიქრობ, პოლკოვნიკს ახალმოსახლეობა ვუჩვენო, იცი, ამ უკანასკნელ დღეებში ხუთი კაცი კიდევ მიემატა.

— ვფიქრობ, ყველა ადგილი უკვე შევსებულია, — წარმოთქვა პაოლამ.

— დიახ, სწორედ ასეა, — უპასუხა სახეგაბრწყინებულმა დიკმა.

— გამრავლებაც ამას ჰქვია. ყველაზე უიმედო ოჯახს ტყუპი ერთად შეეძინა.

— ბევრი ურწმუნო უიმედოდ იქნევს თავს თქვენს ცდასთან დაკავშირებით, მე კი ჯერ თავს ვიკავებ, სანამ საკუთარი თვალთ არ ვიხილავ ყოველივეს და თავად არ განვსჯი. ეს ყოველივე კი საანგარიშო წიგნებით უნდა დამიმტკიცოთ, — განაცხადა ფორესტის წინადადებით ფრიად მოხიბლულმა პოლკოვნიკმა სტოდარდმა.

მაგრამ დიკს თითქმის აღარ ესმოდა მისი, ისე იყო საკუთარ მოზღვავებულ ფიქრებში ჩაფლული. პაოლამ ისიც კი არ გაუმხილა, მისის უედი ბავშვებით რომ ჩამოდიოდა და, საერთოდ, სტუმრად რომ მოიწვია. დიკი ცდილობდა, პაოლას ასეთი საქციელი დანაშაულად არ ჩეთვალა მეუღლისათვის, რადგან ძალიან ხშირად, რო-

გორც თვითონ, ისე პაოლაც მხოლოდ მაშინ იგებდნენ სტუმრების მოსვლის ამბავს, როდესაც სტუმრები უკვე ეწვეოდნენ ხოლმე.

ცხადად ჩანდა, რომ დღეს მისის უედილი არ ჩამოდიოდა, თორემ პაოლა ოცდაათი მილის სიშორეზე სტუმრად არ გაემგზავრებოდა. ის, რომ მისგან გაქცევას ცდილობდა, ამის დაფარვა უკვე შეუძლებელი იყო. სწორედ მისგან გაქცევას! ჩანდა, მასთან პირისპირ დარჩენისა ეშინოდა, გაურბოდა იმ საფრთხეს, რაც ინტიმურ სიახლოვეს თავისთავად შეიძლება მოჰყოლოდა. ის ამბავი, რომ ამ მდგომარეობას სახიფათოდ თვლიდა, დიკის ყველაზე საშიშ შეხედულებას ადასტურებდა. ჩანდა, პაოლამ სადამოზედაც იფიქრა. სადილად, რა თქმა უნდა, დაბრუნებას ვერ მოასწრებს, ვერც სადილობის შემდეგ ჩამოვა. ანდა, შესაძლოა, უინკერბერგების მთელი ოჯახი თან წამოიყვანოს და ისეთ დროს დაბრუნდეს, რომ დიკს უკვე ეძინოს.

«დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია», — შუბლშეკვრით გაიფიქრა მან თავისთვის და რაღაც უპასუხა კიდეც პოლკოვნიკ სტოდარდს.

— ეს ცდა ქალაქზე შესანიშნავ შედეგებს გვპირდება, ამასთანავე მინიმუმამდეა დაყვანილი ადამიანის შრომა. სწორედ აი, ეს იწვევს ეჭვს და საფრთხესაც, — ადამიანის ბუნება. ერთადერთი სწორი გზა სიახლის პრაქტიკულად გამოცდაშია, დიახ, გამოცდაში, რასაც ვაკეთებ კიდეც.

— დიკის ცხოვრებაში რისკი უცხო რამ არ არის, — შენიშნა პაოლამ.

— მაგრამ აქ, რუკაზე ხუთი ათასი აკრია, მთელი მოქმედი კაპიტალი ორას ორმოცდაათი ფერმერისაა, თან თითოეულის ხელფასი ათასი დოლარია წელიწადში. რამდენიმე ასეთი ხელმოცარულობა და ჰარვესტის მაღაროებიც ამოშრება, — ჩაურთო პოლკოვნიკმა სტოდარდმა.

— ამოშრობა სწორედ რომ არ აწყენდა, — ხუმრობით ჩაილაპარაკა დიკმა.

პოლკოვნიკი სტოდარდი განცვიფრებისაგან სახტად დარჩა.

— დიახ, ნამდვილად, — განაგრძო დიკმა, — საწრეტის ჩადგმაა საჭირო. მაღაროებში წყალია მიშვებული მექსიკის პოლიტიკური მდგომარეობის გამო.

გრეჰემის გამგზავრების მეორე დილით, უფრო სწორად, იმ დღეს, როდესაც ივენი უკვე უნდა დაბრუნებულიყო, დიკი თერთმეტ საათზე გაემგზავრა სასეირნოდ, რაც პაოლასთან შეხვედრას და მწვავე გულისტკენას აშორებდა. კარგად იცოდა, მეუღლე დილას შორიდან მიესალმებოდა და კოცნასაც ასევე შორიდან გამოუგზავნიდა.

შინ მობრუნებულს გზად მსახური ბიჭი ა-ჰა შემოეყარა, რომელსაც ახლად მოჭრილი იასამნის რტოები ეჭირა. მსახური ბიჭი კოშკის ოთახისაკენ მიემშურებოდა, მაგრამ დიკმა საკუთარი თავის დასარწმუნებლად მაინც ჰკითხა:

— სად მიგაქვს, ა-ჰა, ეს რტოები?

— მისტერ გრეჰემის ოთახში, ის ხომ დღეს ბრუნდება.

«საინტერესოა, ვინ მოიფიქრა? — საგონებელს მიეცა დიკი. — ა-ჰამ, ო-დაიმ თუ პაოლამ?» — უეცრად გრეჰემის ნათქვამიც მოაგონდა, რამდენჯერ უთხრა: — განსაკუთრებით თქვენი იასამნები მომწონსო.

დიკი ბიბლიოთეკაში აღარ შესულა, თუმცა ასე ჰქონდა გააზრებული და იასამნის ბუჩქებისაკენ გაემართა, კოშკს რომ გარშემო ერტყა. გრეჰემის ოთახის ღია სარკმლიდან პაოლას ხმა შემოესმა. მხიარულად რაღაცას ღიღინებდა. დიკმა გულში მწვავე ტკივილი იგრძნო. ქვედა ტუჩზე მწარედ იკბინა და გზა განაგრძო.

«რამდენი ფრიად პატივსაცემი სტუმარი ქალი თუ მამაკაცი სწვევიათ და ამ ოთახში დაუბინავებიათ, მაგრამ პაოლას არც ერთი მათგანისათვის ოთახი ყვავილებით არ მოურთავს... — ფიქრობდა დიკი... — ამ საქმეს ხომ ყოველთვის თაიგულებს საქმის დიდოსტატი ო-დაი ხელმძღვანელობდა ჩვენს ოჯახში. ის თვითონ მიუჩენდა

ყვავილებს ადგილს ან საკუთარი გემოვნებით გაწვრთნილ სხვა ჩინელ მსახურს დაავალებდა».

დეპეშებს შორის, რომელიც ბონბრაიტმა შემოიტანა, გრეჰემის დეპეშაც აღმოჩნდა. დიკმა ორჯერ გადაიკითხა, თუმცა გრეჰემი უბრალოდ იუწყებოდა, — ჩამოსვლა გადაიდო.

დიკმა ჩვეულებას უღალატა და მეორე ზარის გაგონებამდე სასადილოსაკენ გაემურა. განსაკუთრებულ წყურვილს გრძნობდა და ო-დაის ოსტატურად შემზადებული კოქტეილის დალევა მოუნდა. სურდა როგორმე თავი გაემხნეებინა იასამნის რტოების შემთხვევითი ხილვის შემდეგ. მაგრამ პაოლას დაესწრო მისთვის. დიკი სწორედ მაშინ შევიდა სასადილო ოთახში, როცა პაოლამ ის იყო კოქტეილის ცარიელი ჭიქა ლანგარზე დადგა. პაოლა, საერთოდ, ძალიან იშვიათად ეკარებოდა სასმელს და ისიც მარტო.

«როგორც ჩანს, მასაც ესაჭიროება გამხნეება» ჩემთან შეხვედრისას, — გაიფიქრა დიკმა. ო-დაის კი თავი დაუქნია და საჩვენებელი თითით ერთი ანიშნა.

— აი, ხომ წაგასწარი დანაშაულზე, — მხიარულად გადაუკრა პაოლას. — ფარულად სვამ? ცუდი ნიშანია. იმ დღეს, როდესაც ჯვარს ვიწერდი და შენს გვერდით ვიდექი, არ მიფიქრია, გამოუსწორებელ მსმელს რომ ვირთავდი ცოლად.

პაოლამ ვერ მოასწრო პასუხის გაცემა, რომ ოთახში სწრაფი ნაბიჯით ახალგაზრდა ჭაბუკი შემოიჭრა. დიკი შემოსულს მშვიდად მიესალმა და მაშინვე კოქტეილი შესათავზა. დიკი ცდილობდა საკუთარი თავი დაერწმუნებინა: არა, მას მხოლოდ მოეჩვენა, რომ ჭაბუკი უინტერესის მოულოდნელმა შემოსვლამ საოცარი სიმშვიდე დაუბრუნა პაოლას. არასოდეს შეხვედრია პაოლა ასე თბილად ამ ჭაბუკს, თუმცა იგი ხშირი სტუმარი იყო მათი. ახლა, რა თქმა უნდა, სამივეს ერთად უნდა ესადილა.

მისტერ უინტერსმა სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი დაამთავრა, «წყნარი ოკეანის სანაპიროების სასოფლო-სამეურნეო პრესაში» თანამშრომლობდა და გაზეთებში თავისი სპეციალობის შესაფერის წერილებს აქვეყნებდა. ახლა კი, კალიფორნიის სათევზაო გუბურების შესახებ მასალის შესაგროვებლად ჩამოსულიყო. დიკი მას დიდად მფარველობდა და მიახლოებით წარმოდგენილი ჰქონდა, რა უნდა გაეკეთებინა იმ დღეს.

— ივენის დეპეშა მივიღე, — უთხრა მან პაოლას. — ზეგ ოთხი საათის მატარებლით დაბრუნდება.

— ოჰ, რა ფუჭად ჩაიარა ჩემმა შრომამ! — წამოიძახა მან. — იასამანი მთლად დაჭკნება მანამდე!

დიკმა სხეულში სიამოვნების თბილი ტალღის მოვარდნა იგრძნო. მან კვლავ იცნო თავისი გულწრფელი, პირდაპირი პაოლა. ეს ამბავი რაღაც უნდა დაჯდეს, ან, როგორც უნდა დამთავრდეს, დიკი დარწმუნებული იყო, პაოლა დაუფარავად, მდაბალი გრძნობების გარეშე იმოქმედებდა. ის ყოველთვის ასეთი ახსოვდა დიკს: მეტისმეტად წრფელი და წმინდა. ტყუილი მისთვის წარმოუდგენელი იყო.

დიკი კვლავ თამაშობდა საკუთარ როლს. საკმაოდ გულგრილი, თან თითქოს კითხვის გამოძხატველი მზერით შეჰყურებდა, სულში დაფარულ საიდუმლოს გამოცნობას ლამობდა.

— დიახ, გრეჰემის ოთახზე გიყვებოდი, — აუხსნა პაოლამ. — მსახურთ ვთხოვე, ერთი იღლია იასამანი ამოეტანათ. მე თვითონ ჩავაწყე ლარნაკებში. შენც ხომ კარგად იცი, როგორ უყვარს ივენს იასამანი.

საუზმის დროს პაოლას ერთი სიტყვაც არ დასცდენია მისის უეიდის ჩამოსვლის თაობაზე. დიკმაც დაასკვნა, ალბათ, დღეს არ ჩამოდისო. უეცრად პაოლამ, თითქოს შემთხვევით, ჰკითხა:

— ელოდები ვინმეს?

დიკმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და თავის მხრივ ჰკითხა:

— დღეს რას აპირებ?

— ჯერ არ მომიფიქრებია, — უპასუხა პაოლამ. — ყოველ შემთხვევაში, შენს იმედად ვერ ვიქნები: ვიცი, ახლა მისტერ უინტერს მთელ შენს ცოდნას გადასცემ, რაც კი რამ იცი თევზის ჯიშებზე.

— ოჰ, არა, — განაცხადა დიკმა, — არა, მე მას მისტერ ჰენლის გადავულოცავ, რომელსაც გუბურის ყოველი კალმახი და მათი ქვირითიც სათითაოდ დათვლილი აქვს. ყოველ მოზრდილ ქორჭილას საკუთარი სახელი შეარქვა. იცი, რას გეტყვი... — დიკი წამით შედგა, გეგონებოდათ, ფიქრებმა წაიღესო, მერე ერთბაშად სახე გაუნათდა, თითქოს უეცარმა აზრმა გაურბინაო: — ისეთი დღეა, მცონარობისაკენ იზიდავს ადამიანს. მოდი, თოფებს მოგვიდოთ ხელი და თრიაზე სანადიროდ გავეშუროთ. ამ რამდენიმე დღის წინ შევნიშნე, საოცრად გამრავლებულან ლიტელ მედოუს ზემო ბორცვებზე.

დიკმა შენიშნა მეუღლის თვალეში შიშის უეცარი გაელვება, მაგრამ იგი თვალისუსწრაფეს გაქრა. პაოლამ ტაში შემოჰკრა და სრულიად ბუნებრივი ხმით განაცხადა:

— ჩემთვის თოფს ნუ წამოიღებ...

— თუ წამოსვლა არ გინდა... — ალერსიანად უთხრა დიკმა.

— ოჰ, არა, წამოსვლა მინდა, მაგრამ სროლის განწყობილებაზე არა ვარ. ლე გალენის ბოლო წიგნს წამოვიღებ. სწორედ ახლახან მივიღეთ და ხმამაღლა წაგიკითხავ. გახსოვს, ამ უკანასკნელად რომ ვიყავით სანადიროდ, მაშინაც მის «ოქროსთმიანი ქალწულის ძებნას» გიკითხავდი.

## თავი ოცდამეხუთე

ფონსა და დაუდეგარზე ამხედრებული პაოლა და დიკი დიდი სახლის მთავარი შესასვლელიდან გამოვიდნენ. ცხენები მხოლოდ იმ მანძილზე უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, რამდენადაც ეს დაუდეგარის მშფოთვარე ბუნებისათვის იყო ასატანი. ვერაგი პირუტყვის შიშით საუბარიც ნაწყვეტ-ნაწყვეტი გამოსდიოდათ. ცხენს პაწაწინა, მშვენიერი ყურები დაეცქვიტა, კბილებს აღრჭენდა, პატრონის აღვირსა და დეზებს ნაკლებად ემორჩილებოდა, ცდილობდა მისთვის თავი წაერთმია და პაოლასათვის ეკბინა ფეხზე ან ფავნის სტავრასავით მოლაპლაპე ფერდს ჩაფრენოდა. ამ სურვილის აუსრულებლობის გამო დაუდეგარს თვალები ნაკვერცხლისფრად ენთებოდა, თეთრ გუგებში ჩამდგარი ცეცხლი მნელად უფერმკრთალდებოდა; ფაფარაყრილი თავს მაღლა სწევდა, ყოველ წამს ყალყზე შედგომას ლამობდა, ღვედისაგან დაბორკილი ვერ ისვენებდა, მედიდურობდა, გვერდულად ვილოდა, წრიალებდა და წაღმა-უკუღმა ბრუნავდა დაუსრულებლად.

— ამ წლის მეტად აღარ შევიწახავ, — წარმოთქვა დიკმა. — მოუთვინიერებელი პირუტყვია. ორი წლის წვრთნამ სრულიად უშედეგოდ ჩამიარა. კარგად მიცნობს. იცის ჩემი ხასიათი, იცის, რომ მისი პატრონი ვარ და უნდა დამემორჩილოს. მაგრამ არა, განუწყვეტლივ მხოლოდ ერთი იმედი ასულდგმულებს, რომ ოდესმე მოულოდ-

ნელად ისეთი წამი შეარჩიოს, როდესაც ფიქრით სულ სხვაგან ვიქნები. იმის შიშით, რომ ის წუთი არ გამორჩეს, მუდამ თავაწყვეტილია და ფხიზლობს.

— იქნებ, მართლა გიპოვნოს როდისმე ასეთი წამი, — ანაზღეულად წარმოთქვა პაოლამ.

— სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მასთან განშორება. ვერ ვიტყვი, მეტისმეტად დამქანცა-მეთქი, მაგრამ თუ ალბათობის თეორიას დავეყრდნობით, ადრე იქნება თუ გვიან, ერთხელაც გადმომავდებს. ვთქვათ, რომ ეს მილიონში ერთი შესაძლებლობა იყოს, მაგრამ, ღმერთმა უწყის, როდის და რა ვითარებაში დამატყდება თავს მისი მზაკვრობა...

— თვითონ ხარ საოცრება, ჩემო მეწამულისფერო ღრუბელო, — გაიღიმა პაოლამ.

— რატომ?

— შენ ხომ სტატისტიკური მონაცემებით, პროცენტებით და მიახლოებითი საშუალო რიცხვებით აზროვნებ. ახლა ვფიქრობ, როდესაც ჩვენ პირველად შევხვდით ერთმანეთს, რა განსაკუთრებული ფორმულა მომიყენე ნეტავი?

— ეშმაკმა დასწყევლოს, ამაზე მაშინ არ მიფიქრია, — ღიმილითვე შეაგება პასუხი დიკმა. — შენთან ყველა ციფრობრივი მონაცემი მიმტყუნებდა და ფარ-ხმალს დამაყრევინებდა. შენ არავითარი სტატისტიკური მონაცემები არ გეფარდება. მთელი ჩემი არსებით შევიგრძენი, რომ მდედრობითი სქესის საოცარ წარმომადგენელს შევხვდი. უმშვენიერესს, რომელიც კი ოდესმე შობილა ორფეხზე მოსიარულეთა შორის და ისე მომინდა მისი დაუფლება, როგორც სხვა არაფრისა მთელს ჩემს სიცოცხლეში. დიახ, მე მას უნდა დავვუფლებოდი.

— დაეუფლე კიდეც, — დაამთავრა პაოლამ მის მაგიერ, — მაგრამ მას შემდეგ, მეწამულისფერო ღრუბელო, ვინ იცის, რამდენი სტატისტიკური მონაცემი ააგე ჩემზე.

— რაღაც-რაღაცები კი, რა თქმა უნდა, — გამოტყდა დიკი. — მაგრამ იმედი მაქვს, უკანასკნელამდე არ მივალ...

დიკს «მთიელის» უჩვეულო ხვიხვინი შემოესმა და სიტყვა შუაზე გაწყვიტა. წამი და, ულაცოდ გამოჩნდა, მას კოვზოი მოაგელვებდა. დიკმა მხოლოდ წამით მიაპყრო აღტაცებული მზერა ამ სრულქმნილი, შესანიშნავი პირუტყვის უნაკლო ჭენებას.

— ახლავე უნდა გავშორდეთ აქაურობას, — წარმოთქვა დიკმა, — რადგან «მთიელმა» მათი დანახვისთანავე ჭენებას უმატა.

პაოლამ და დიკმა საკუთარ ფაშატებს დეზები ჰკრეს და იქაურობას სწრაფად განერიდნენ. კარგა ხანს ესმოდათ კოვზოის ხმა, ვნებამორეულ პირუტყვს რომ ამშვიდებდა, ესმოდათ «მთიელის» ძლიერი ფლოქვებისა და მხიარული ხვიხვინის ხმაც. დაუდევარი მას მაშინვე შეეხმინა, მის მაგალითს ფონმაც მიჰბაძა. ცხენთა აწრიალება «მთიელის» გაფიცების მაუწყებელი იყო.

მათ გზიდან გადაუხვიეს და დაახლოებით ხუთას მეტრზე ალური ჭენების შემდეგ შეჩერდნენ, იცდიდნენ, ვიდრე საშიშროება გაივლიდა.

— ავბედიტად ჯერ მაინც არავინ დაუშავებია, — წარმოთქვა პაოლამ, როდესაც კვლავ მთავარ გზას დაუბრუნდნენ.

— მხოლოდ მაშინ, ქაულის ფეხის თითები კინაღამ რომ წააწყვიტა. არ გახსოვს, ერთი თვე იწვა ლოგინში? — გაახსენა დიკმა და თავაწყვეტილ დაუდევარს თავი მოუგრინა, რომ სწორად ევლო გზაზე. დიკმა პაოლას თვალი შეავლო და მისი უცნაური გამომეტყველებით სავსე მზერა დაიჭირა.

ამ გამომეტყველებაში მან კითხვაც შენიშნა, სიყვარულიც და შიშიც. დიახ, შიში ან საოცარი ელდისმაგვარი მღელვარება და, რაც მთავარია, ეს გამომეტყველება ეძი-

ებდა, იკვლევდა და ცდიდა მის სულში მიუწვდომელს. «განა ტყუილად წარმოთქვა მისი ბუნებისათვის სრულიად უცხო აზრი, რომ მე სტატისტიკური მონაცემებით ვაზროვნებ?» — გაიფიქრა დიკმა.

მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერაფერი შენიშნაო. ბლოკნოტი ამოიღო; წყალსადინარ მილს გულისყურით გადახედა, რომელსაც ის-ის იყო ჩაუარეს და რაღაც ჩაინიშნა.

— ნამდვილად დავიწყებიათ, — წარმოთქვა მან. — ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ უნდა შეეკეთებინათ.

— მაინც რა ბედი ეწიათ ნევადიდან მოყვანილ მუსტანგებს? — უეცრად იკითხა პაოლამ.

პაოლას იმ ტვირთმზიდავი მუსტანგების ბედი აინტერესებდა, დიკმა ჩალის ფასად სასწრაფოდ რომ შეიძინა. როდესაც ნევადის საძოვრებზე ცუდი ამინდის გამო ბალახი გაქრა და ცხენის რემას შიმშილით სიკვდილი ელოდა, დიკმა რემა დასავლეთში გადაიყვანა, სადაც მაღალმთიან საძოვრებზე საუკეთესო ბალახი ღაღანებდა.

— მათი გახედნის დროა, — უპასუხა დიკმა. — ვფიქრობ, მეორე კვირას, ძველი წეს-ჩვეულების მიხედვით, კოვბოების შეჯიბრება მოვაწყობ. რას იტყვი ამაზე? შამფურებზე კარგად შემწვარი ღორის მწვადები მივართვათ და მთელი ამ მიდამოების მცხოვრებეთ ვუხმოთ.

— მერე შენ თვითონ აღარ მოხვალ, — შენიშნა პაოლამ.

— ერთი დღით როგორმე გადავდებ საქმეებს.

პაოლამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მერე გზის კიდისკენ მიდგნენ, რათა დისკოსებური კულტივატორებიანი სამი ტრაქტორი გაეტარებინათ.

— ამათ «როლინგ მედოუზე» ვაგზავნი, — აუხსნა დიკმა პაოლას, — შესაფერის ნიადაგზე ცხენებზე მეტად გამოსადეგია.

პაოლა და დიკი იმ მინდორს გასცდნენ, დიდი სახლი რომ იდგა, გადასერეს დათესილი ველები, ტყიანი წარაფები და შეუდგნენ აღმართს, რომელზედაც უამრავი საზიდრებით ქვაფენილების დასაგებად რიყის ქვა აჰქონდათ. შორიდან სამსხვრევი მანქანის რახრახი და ჭრიალი ისმოდა.

— რაც შეიძლება მეტად უნდა გადავღალო, — შენიშნა დიკმა და ლაგამი მოსწია, რადგან მისი ცხენის დახრჭენილი კბილები უკვე ფონის ნეკნებს მიახლოებოდა.

— პირდაპირ სამარცხვინოდ ვექცეოდი დადის და ფადის, — თქვა პაოლამ. — ძალიან ცუდად ვკვებავდი. თუმცა ისინი მაინც ისეთი დაუდგრომლები არიან.

დიკს ამ სიტყვებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუცია, რა იცოდა, რომ ორმოცდარვა საათის შემდეგ დიდი გულისტკივილით მოუხდებოდა ყოველივე ამის გახსენება.

მალე სამსხვრევი მანქანების ღრჭიალი შეწყდა. ისინი კვლავ აღმართს მიუყვებოდნენ, ტყე გადაჭრეს და არცთუ მაღალი უღელტეხილი გადაიარეს. ტანაყრილი მანსანიტები ჩამავალი მზის შუქზე მოწისფრად ელვარებდნენ, მადრონოს კი ვარდისფერი გადაჰკრავდა. ახლად დარგული ევკალიპტების მწკრივებს ჩაუარეს და «ლიტლ მედოუსაკენ» მიმავალი გზის მიმართულებით აიღეს გეზი, მაგრამ იქამდე აღარ მისულან, სწრაფად ჩამოხტნენ და ცხენები დააბეს. დიკმა შალითიდან ავტომატური თოფი ამოიღო და ორივემ გუბისპირა ჭალისაკენ გასწია, მერე ხეთა ჩრდილში ჩაიმუხლეს და თვალი ერთ-ერთი ბორცვის ფრიალო ფერდობს მიაპყრეს, რომელიც დაახლოებით ას ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე აღმართულიყო გუბურის გაღმა მხარეს.

— შეხედე, აი, იქ სამი თუ ოთხი კი არის... — ჩაიჩურჩულა პაოლამ. მისმა შორსმხედველმა თვალებმა ჯეჯილში შემალული რამდენიმე თრია გაარჩია.

ეს მშვენიერი ცხოველები, ცხოვრებით დაბრძენებული, გამოცდილი, განსაკუთრებულ სიფრთხილეს მიჩვეული არსებანი იყვნენ. მათ ადვილად შეეძლოთ გამოეცნოთ მოწამლული ხორბალი და თავი აერიდებინათ ხაფანგებისათვის, რომელსაც დიკი მავნებლებს უგებდა. ამ ბევრის მომსწრე თრიების თვალწინ ნაკლებად ფრთხილ ცხოველთა მთელი თაობები განადგურებულან, ამათ კი, ამ ფრიალო ბორცვებზე, კვლავ ახალ თაობათა მომრავლება შეეძლოთ.

დიკმა თოფში წვრილი ვაზნები ჩადო და ხმის სახშობს დახედა: პირქვე გაწვა; მთელ სიგრძეზე გაჭიმული, იდაყვებს დაეყრდნო და დაუმიზნა. გაისროლა, გასროლას ხმა არ მოჰყოლია, მხოლოდ მექანიზმის ჩხაკუნი გაისმა. როდესაც ტყვია გავარდა და ცარიელი ვაზნა უკან გადმოისროლა, მჭიდვე თავისთავად შეივსო და ჩახმახიც კვლავ ავტომატურად შემართა. უშველებელი, ნაცრისფერი თრია ჰაერში შეხტა, ამოკოტრიალდა და ყანაში გაუჩინარდა. დიკი ელოდა: თოფის ლულას ხან ერთ სოროს მიუშვერდა და ხან მეორეს, რომელთა გარშემო მოტიტვლებული მიწა ცხადყოფდა, რომ ყანა ამ ადგილებში მთლად გაეჩანაგებინათ. ამასობაში დაჭრილი თრია გამოჩნდა, შიშველ მიწაზე მოცოცავდა, ცდილობდა, როგორმე სოროში შემძვრალიყო. თოფმა კვლავ გაიჩხაკუნა, თრია ხელმეორედ ამოკოტრიალდა, გვერდზე დაეცა და აღარ განძრეულა.

პირველსავე გასროლის ხმაზე ყველა თრია, გარდა დაჭრილისა, სოროში შეიმალა. საჭირო იყო ლოდინი, ვიდრე მათ შიშს ძლიერი ცნობისმოყვარეობა დასძლევდა. მიწაზე გაწოლილი დიკი ფერდობებს მისჩერებოდა თრიების ცნობისმოყვარე სახეების მოლოდინში და საკუთარ თავს ეკითხებოდა: «ეტყოდა თუ არა პაოლა რამეს. ქალის არსებას უდავოდ ეძინევა მღელვარება, მაგრამ ისურვებს კი დიკს გაუზიაროს საკუთარი გულის ნადები? წინათ ყველაფერში გამოუტყდებოდა ხოლმე. ადრე თუ გვიან ყოველივეს დაწვრილებით მოუთხრობდა, მასთან ერთად სჯიდა, თუ რამე აწუხებდა, თუმცა წინათ ამგვარი სატანჯველი არასოდეს განუცდია, — ფიქრობდა დიკი თავისთვის. სწორედ ეს იყო ის ერთადერთი რამ, რასაც დიკს ვერ გაუმჟღავნებდა და რჩევას ვერ ჰკითხავდა. მეორე მხრივ, მან კარგად უწყოდა პაოლას დაბადებით თანდაყოლილი უცვლელი პირდაპირობისა და გულწრფელობის ამბავი. ჯვრისწერის დღიდან მოყოლებული დიკი აღტაცებული და ფრთაშესხმული იყო მეუღლის ხასიათის ამ დიდებული თვისებით. ნუთუ პაოლა ახლა უღალატებდა ამ თვისებას». — ასე ფიქრობდა მიწაზე გაწოლილი დიკი. პაოლა დუმდა, არ იძვროდა. უბრალო ჩქამიც კი არ ესმოდა. როდესაც დიკმა მისკენ გაიხედა, დაინახა, რომ პაოლა პირაღმა იწვა, თვალები მიელულა, ხოლო ხელები დაქანცულივით გაეშალა.

ბოლოს სოროდან გალეული, მიწისფერი პატარა თავი გამოჩნდა. რამდენიმე წუთს შეჩერდა. მერე, როცა ამ ნაცრისფერი თავის პატრონი დარწმუნდა, არავითარი საფრთხე არ მელისო, უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა და ირგვლივ გარემოს თვალიერება დაიწყო; ეტყობა, იმ ხმის მიზეზს ეძიებდა, ასე რომ შეაშფოთა. კვლავ გაისროლეს.

— მოხვდა? — იკითხა პაოლამ ისე, რომ თვალი არ გაუხელია.

— დიახ, რა მსუქანია მერე, რომ იცოდე, — უპასუხა დიკმა. — ალბათ, სოროში მთელი ერთი თაობის არსებობა შეეწყვიტე.

გავიდა ერთი საათი. შუადღის მზე საოცრად აცხუნებდა, მაგრამ ჩრდილში მაინც სასიამოვნო სიგრილე იყო. მსუბუქი ნიავი თავს ევლებოდა ახლად აბიბინებულ ჯეჯილს და ზემოდან გადმოშვერილი წითელი ხის რტოები ნაზად ირხეოდნენ. დიკმა მესამე თრიაც დაუმატა. გადამლილი წიგნი პაოლას გვერდით ედო, მაგრამ წაგიკითხავო, ერთხელაც არ შეუთავაზებია.

— ცუდად ხომ არ გრძნობ თავს? — როგორც იყო ჰკითხა დიკმა.

— არა, არაფერია, თავი მტკივა, ოდნავ ნევრალგიურ ტკივილს ვგრძნობ თავ-  
ლების გარშემო. ეს არის და ეს.

— ალბათ, ძალიან ბევრი ქარგვისაგან. — გამოაჯავრა დიკმა.

— არა, ასეთი არაფერი შემიცოდავს... — უპასუხა პაოლამ.

ყველაფერი სრულიად ბუნებრივი ჩანდა. დიკი სოროდან გამოსულ საოცრად  
დიდ თრიას უთვალთვალებდა, რომელსაც საშუალება მისცა, მოშიშვლებულ ბექობ-  
ზე გამოსულიყო და ჯეჯილისაკენ ექნა პირი, თან საკუთარ თავს ეუბნებოდა: «არა,  
ჩანს, არავითარი საუბარი ჩვენ შორის დღეს მოსალოდნელი არ არის და არც მოხერ-  
ხდება. რა თქმა უნდა, ვერც ძველებურად ერთმანეთის ალერსითა და კოცნით ვიჯე-  
რებთ გულს ამ ზურმუხტისფერ ბალახში ჩაფლულნი».

მიზანში ამოღებული მსხვერპლი კი უკვე ყანის პირს მიუახლოვდა. დიკმა ჩახ-  
მახი შეაყენა, გაისროლა; უსუსური ცხოველი მიწას დაენარცხა, მაგრამ ერთი წუთიც  
და, ისევ წამოხტა. მერე სწრაფად, მაგრამ როგორღაც არეული ნაბიჯით სოროსაკენ  
მოკურცხულა. ტკაც! ტკაც! ტკაც! ისმოდა მექანიზმის ხმა და გაქცეულ თრიას გარშემო  
მტვრის ბული ტრიალებდა. ცხადად ჩანდა, რომ საჩვენებელი თითი ძლივს ასწრებდა  
ჩახმახის შემართვას, გეგონებოდათ, ლულიდან ტყვიის შეუწყვეტელი ნაკადი მოედი-  
ნებო.

— ღმერთო ჩემო, რა ბათქაბუთქია... თითქოს მთელი არმია ისროდეს. მოხვდა?  
— თქვა პაოლამ, როცა დიკმა თითქმის ყველა ვაზნა დახარჯა.

— დიახ, თრიათა ნამდვილი პატრიარქია, ხბოების საკვების გამჩანაგებელი...  
მაგრამ ცხრა უკვამლო ვაზნის დაკარგვა, თუნდაც ასეთ დიდებულ თრიაზე, მაინც არ  
ღირდა. თავის დაოკება საჭირო. ვეცდები, სხვა დროს კარგად მოვიქცე.

მზე თანდათანობით ჩადიოდა. ფრთამალმა ნიავმაც შორეთს შეაფარა თავი.  
დიკმა ერთ თრიას კიდეც ესროლა და ახლა მოწყენილი უთვალთვალებდა ფრიალო  
ფერდობზე ახალი მსხვერპლის გამოჩენას. მან ყველაფერი იღონა, რომ პაოლას  
გულწრფელი საუბარი გამოეწვია. შეარჩია შესაფერისი დროცა და პირობებიც, მაგრამ  
ჩანდა, მდგომარეობა სწორედ ისე იყო გართულებული, როგორც თვით შიშობდა. იქ-  
ნებ უფრო უარესადაც, რადგან გრძნობდა, რომ მის ირგვლივ მთელი სამყარო შეირყა  
და თითქოს თავზე ემსხვრეოდა. ეტყობა, გზიდან გადაიჩეხა, დაიბნა. შეძრწუნდა...  
ნეტავ მის ადგილას ვინმე სხვა ქალი იყოს... მაგრამ ეს ხომ პაოლაა... ოჰ, რა რიგ სჯე-  
როდა მისი! ერთად გატარებულმა თორმეტმა წელმა განუმტკიცა ეს ურყევი რწმენა.

— ხუთი საათია, მზე გადაიწვერა, — წარმოთქვა დიკმა მშვიდად, წამოდგა და  
პაოლას მოსახმარებლად მოემზადა.

— რა კარგად დავისვენე, ნასიამოვნები ვარ, — თქვა ცხენებისაკენ მიმავალმა  
პაოლამ. — თვალები დავასვენე და ტკივილმაც მიკლო. კარგად მოვიქეცი, ხმამალლა  
რომ არ წაგიკითხე.

— თავკერძობას მოეშვი, — შემპარავი ხუმრობით შენიშნა დიკმა, თითქოს მათ  
შორის სრულიად არაფერი მომხდარიყოს.

— არ გაბედო და ცალი თვალითაც არ გადახედო ლე გალენს. მერე ერთად წა-  
ვიკითხავთ. მომეცი ხელი!.. პატოსანი სიტყვა? ძალიან გთხოვ, პოლი!

— ღმერთს გეფიცები, — მორჩილად დაეთანხმა პაოლა.

— თუ არადა, ვირებმა იცეკვონ ბებიაშენის საფლავზე...

— თუ არადა, ვირებმა იცეკვონ ბებიაჩემის საფლავზე, — მოზეიმე იერით გაი-  
მეორა პაოლამ.

გრეჭემის გამგზავრებიდან მესამე დღეს, დილით, პაოლამ დიკის ოთახში თერ-  
თმეტ საათზე შეიჭვრიტა და იქიდანვე შესძახა, დილა მშვიდობისა, მხიარულო ჭაბ-

უკოო. საქმეებში ჩაფლულ დიკს რძის ფერმის მმართველი უჯდა. ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე მანქანით მეზონების ოჯახი მთელი თავიანთი დაუდეგარი ახალგაზრდებით ეწვია. პაოლა, როგორც საუზმის დროს, ისე ნაშუადღევს მხოლოდ სტუმრებით იყო გართული. დიკს მხედველობიდან არ გამოჰპარვია, რომ მისმა მეუღლემ ადრევე იზრუნა და საღამოს სტუმრები ბრიჯის სათამაშოდ და საცეკვაოდ მიიწვია. ეტყობა, სურდა დიკთან პირისპირ არ დარჩენილიყო მარტო.

მეოთხე დღეს, როდესაც გრეჰემი უნდა ჩამოსულიყო, დიკი თერთმეტი საათისათვის მარტოდმარტო იჯდა საკუთარ ოთახში და საწერ მაგიდაზე დახრილი წერილებს აწერდა ხელს. თითის წვერებზე შემდგარი პაოლა ოთახში შეიპარა. დიკს თავი მაღლა არ აუღია, წერას განაგრძობდა, თუმცა მღელვარებით უგდებდა ყურს მისი კიმონოს შარიშურს. დიკმა იგრძნო, რომ პაოლა დაიხარა და გაინაბა: როდესაც პაოლა მის თმას ნაზად ეამბორა და ჩვეულებისამებრ წარმოთქვა, დილა მშვიდობისა, ჩემო მხიარულო ჭაბუკოო, დიკმა მოსახვევად მკლავები გაშალა, მაგრამ ქალი დაუსხლტა მკლავებს და ოთახიდან სიცილით გავარდა. პაოლას სახეზე უნეტარესი ბედნიერებისა და აღტაცების დანახვამ დიკი ისევე გააოცა, როგორც ახლახან განცდილმა იმედის გაცრუებამ... პაოლა საკუთარი გრძნობების დაფარვას ვერ ახერხებდა, თვალები უკიანფებდა და ბავშვური თავბრუდამხვევი მოუთმენლობა დაუფლებოდა. სწორედ იმ დღეს, ნაშუადღევს, მოელოდნენ გრეჰემს. დიკს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ეს ყველაფერი ერთმანეთისათვის არ დაეკავშირებინა და პაოლას აღტაცება ამით არ აეხსნა.

საუზმის დროს, რომელსაც დევისის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის სამი სტუდენტი ესწრებოდა, დიკს აღარ შეუმოწმებია, შეცვალა თუ არა პაოლამ გრეჰემის ოთახში იასამნის ძველი რტოები, სასწრაფოდ მოსაგვარებელი საქმეები გამოჩხრიკა, რადგან პაოლამ თითქოსდა გამოსაცდელად განაცხადა, — გრეჰემს ელდორადოს სადგურში უნდა დავხვდეთ.

— რით აპირებ გამგზავრებას? — იკითხა დიკმა.

— დადის და ფადის შევაბმევინებ, — უპასუხა პაოლამ. — ფეხები გაუშეშდათ საცოდავებს გარეთ გამოუსვლელივით. ჩემთვისაც საჭიროა ჰაერზე გავლა და თვალის გახელა. თუ შენ განავარდების წინააღმდეგი არა ხარ, ერთად წავიდეთ, სადაც ისურვებ, გრეჰემს კი მანქანა გავუგზავნოთ.

დიკი შეეცადა, თავი ისე დაეჭირა, თითქოს ქალის სახეზე ვერ შენიშნა პასუხის მოლოდინით აღძრული მღელვარება, მიიღებდა თუ უარყოფდა იგი ამ წინადადებას.

— საცოდავ დადის და ფადის კარგი დღე არ დაადგებათ, იმ გზებზე რომ ვატარო, — წარმოთქვა დიკმა სიცილით და მოგონილი გეგმაც გააცნო: — სადილობამდე ას ოცი მილის გავლა მომიწევს. რა თქმა უნდა, შეჯიბრებისათვის განკუთვნილი მანქანით უნდა წავიდე, სულ მტვერსა და ტალახში ამოვისვრები. მერე ჭაობიც უნდა გადავიარო, ამიტომაც არ მინდა ჩემთან ერთად წამოხვიდე. დადის და ფადის შენ დაგიტომობ და ელდორადოში გაემგზავრე.

პაოლამ ამოიოხრა. მაგრამ იგი ცუდი მსახიობი იყო: ამ ოხვრით თითქოს სინანულის გამოხატვა სურდა, მაგრამ დიკმა შენიშნა, რომ ქალს გულზე მოეშვა.

— შორს მიემგზავრები? — ჰკითხა პაოლამ მხიარულად; დიკმა კვლავ შენიშნა პაოლას თვალეზში ბედნიერების ნაპერწკლების ციმციმი და ატკრეცილი ღაწვები.

— ჯერ სანაპიროზე უნდა ჩავიდე, სადაც მიწახაპიებს ვამუშავებთ. კარლსონი რაღაც რჩევას მთხოვს, მერე კი საკრამენტოსაკენ გავემუშურები: გზად «თილ-სლოუს» მიდამოებს გადავხედავ და უინგ-ფო-უონგსაც მოვიინახულებ.

— თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ვინ არის ეს უინგ-ფო-უონგი? — იკითხა პაოლამ სიცილით. — მისი გულისათვის რომ ასე შორი გზა უნდა გაიარო?

— ფრიად მნიშვნელოვანი პიროვნებაა, ჩემო ძვირფასო. მისი ღირებულება და ახლოებით ორი მილიონია, რაც მხოლოდ კარტოფილითა და სატაცურით მოიხვეჭა დელტის საბოსტნე მდელოებზე. «თილ-სლოუში» იჯარით სამას აკრს ვაძლევ, — წარმოთქვა დიკმა. მერე სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის სტუდენტებს მიუბრუნდა და ახსნა-განმარტება მისცა: — ეს ადგილი საკრამენტოდან სულ მცირე მანძილით არის დაშორებული, მდინარის დასავლეთ ნაპირზე, იცოდეთ, რომ მალე მიწა საკმარისი არ იქნება. როდესაც მე ის შევისყიდე, მთლად ჭაობი იყო; ახლომახლო მიდამოების ძველმა მცხოვრებლებმა დამცინეს კიდევ. მაშინ თორმეტობდე სანადირო ნაკრძალიც შევისყიდე, საშუალოდ — თითოეული აკრი თვრამეტი დოლარი დამიჯდა და ეს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ.

თქვენ ხომ იცნობთ ამ მიუვალ ჭაობებს. ისინი მხოლოდ იხვევის მოსაშენებლად და საძოვრებად თუ გამოდგებოდა. ამოშრობისა და არხების გათხრის შედეგად თითოეული აკრი პირადად მე სამასი დოლარი დამიჯდა, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ახლა რა ფასად ვუთმობ იჯარით ათი წლის განმავლობაში მოხუც უინგ-ფო-უონგს? ორი ათას დოლარად თითოეულ აკრს. თვითონ რომ დამემუშავებინა, მგონი, მეტს ვერც მივიღებდი. ეს ჩინელები ბოსტნეულის მოყვანაში პირდაპირ სასწაულმოქმედნი არიან, მუშაობით კი მოუღლელები! რვა საათიანი სამუშაო დღე კი არა აქვთ, თვრამეტ საათს მუშაობენ. საქმე ის გახლავთ, რომ თითოეულ ყულს რაღაც მიკროსკოპიული წვლილი მაინც უდევს წარმოებაში. აი, როგორ აღწევს უინგ-ფო-უონგი, გვერდი აუაროს რვასაათიანი სამუშაო დღეს.

დიკი დღისით ორჯერ გააფრთხილეს, მანქანას გადაჭარბებული სიჩქარით მართავო, მესამედ ჩაიწერეს კიდევ. იგი მარტოდმარტო იჯდა მანქანაში, და თუმცა ასე დააგელვებდა, მაინც სრულიად დამშვიდებული იყო. საკუთარი მიზეზით უბედური შემთხვევის შესაძლებლობას გამორიცხავდა. უბედურება კი მას ყოველთვის გვერდს უვლიდა. დიკი დარწმუნებით ასრულებდა ყველა ურთულეს მოქმედებას, თითქოს კარის სახელური ან ფანქარი სჭეროდეს ხელში, ისე მართავდა მანქანას, რომელსაც უძლიერესი ძრავა ედგა და ხალხით მოზიმიზიმე, სასოფლო გზებზე უდიდესი სისწრაფით მიაქროლებდა. მაგრამ როგორც უნდა ექროლა მანქანას და რა სარფინადაც გარიგებოდა კარლსონსა და უინგ-ფო-უონგს, მის გონებაში მაინც არ ქრებოდა ფიქრი პაოლაზე, ფიქრი, რომელიც გამუდმებით, თავისდაუნებურად გულს უსერავდა და აწამებდა: პაოლამ ხომ ასე მოულოდნელად უღალატა საკუთარ ჩვეულებას და გრეკემის შესახვედრად გაემგზავრა. მერე ელდორადოდან წყვილად წამოვლენ და ასე ივლიან მის მამულამდე.

«ფუი», — წამოიძახა მან და მანქანის სვლას კვლავ უმატა. ახლა უკვე სამოცდაათ მილს გადიოდა საათში და თითქმის შეწყვიტა ყველაფერზე ფიქრი. გვერდი აუარა მარცხენა მხარეზე იმავე მიმართულებით მომავალ ერთცხენიან ეტლს, მერე მისკენ ქროლვით მომავალ პატარა მანქანას ცხვირწინ მოხერხებულად მარჯვნივ აუქცია გვერდი. ბოლოს ორმოცდაათი მილის სიჩქარით განაგრძო გზა და პირვანდელ ფიქრებს დაუბრუნდა.

«ოჰ, წარმომიდგენია, რა ფიქრები შემოეგზნებოდა ჩემს პატარა პაოლას, ვინმე მომხიბლავ გოგონასთან ერთად ასეთ დიდ მანძილზე რომ გამესეირნა».

ამ სურათის წარმოდგენამ დიკი გააცინა, რადგან ქორწინების პირველივე თვეების შემდეგ კარგად იგრძნო, როგორ ჩუმად, მაგრამ შემფოთებით ეჭვიანობდა პაოლა. სცენები, მართალია, არ გაუმართავს, შენიშვნა არ უკადრებია, არც გადაკრული სიტყვითა და შეკითხვებით მოუბეზრებია თავი, მაგრამ, როგორც კი დიკი სხვა ქალი-

სადმი ყურადღებას გამოიჩინდა, უკვე საექვო აღარ იყო პაოლას განაწყენება და გულისტკენა.

სიცილითვე გაიხსენა მისის დეკემენტან შეხვედრა. ეს სრულიად ახალგაზრდა, უმშვენიერესი, შავგვრემანი ქვრივი, პაოლას მეგობარი, დიდ სახლში სტუმრად ეწვიათ. რატომღაც პაოლამ ცხენით გასეირნებაზე უარი განაცხადა, მაგრამ როცა საუბრეზე მისის დეკემენტისა და დიკის შეთანხმებას მოჰკრა ყური, რომ მხოლოდ ორნი წავიდოდნენ ფილოსოფოსების სადგომი ღრანტეების გაღმა, წითელი ხეებით დაბურული ხეობებისაკენ, აზრი შეიცვალა. რამდენიმე წუთსაც არ გაეგლო მათი წასვლის შემდეგ, რომ პაოლა დაეწია და ერთი წამითაც არ მიუცია შესაძლებლობა, მარტო დარჩენილიყვნენ. დიკს მაშინაც ეცინებოდა გულში და პაოლას ეს ეჭვიანობა უზომო სიამოვნებას ჰგვრიდა, რადგან არც თვით მისის დეკემენტი და არც მასთან ერთად მარტო გასეირნება მისთვის არაფერს ნიშნავდა.

რადგან პაოლას ეს თვისება იცოდა, თავიდანვე შეეცადა, სხვა ქალთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღება არ გამოეჩინა და იმ დღიდან დიდ წინდახედულებას იჩინდა. პაოლას კი, პირიქით, სრულ თავისუფლებას ანიჭებდა, მის თაყვანისმცემელთ ხშირად ამხნეებდა კიდევ. ამაცობდა იმით, რომ პაოლას თავს ევლებოდნენ უკეთესთა შორის უკეთესი ახალგაზრდები, უხაროდა, რომ პაოლა სიამოვნებას პოულობდა მათთან საუბრისას. მიზეზიც ჰქონდა ასე ეფიქრა: ის ხომ ასე დამშვიდებული და ასე დარწმუნებული იყო პაოლას ბუნებასა და მაღალზნობრივ თვისებებში, მას უფრო მეტად სწამდა, ვიდრე პაოლას დიკისა. ამის არდანახვა შეუძლებელი იყო. თორმეტი წლის ცოლქმრობამ დიდად განამტკიცა მისდამი ნდობა და რწმენა. დიკს ისე აღარ ექვებოდა პაოლას ზნეობისა, როგორც დედამიწის ბრუნვა ღერძის გარშემო. ახლა კი რა გამოვიდა. თურმე არც ისე სანდო ყოფილა ეს ბრუნვა. იქნებ, დედამიწა მართლაც ბრტყელი გამოდგეს, როგორც ამას ჩვენი წინაპარნი ფიქრობდნენ.

დიკმა ხელთათმანი გადაიწია და მარცხენა მაჯაზე საათს დახედა. ხუთი წუთის შემდეგ გრეკემი ელდორადოს სადგურში მატარებლიდან გადმოვა. დიკმა ახლა დასავლეთისაკენ აიღო გეზი და საკრამენტოს მხრიდან სახლისაკენ გაქანდა. მანქანა გზას ხარბად ნთქავდა. დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ თვალი მოჰკრა მომავალ მატარებელს, რომელსაც გრეკემი უნდა მოჰყოლოდა. გასცდა თუ არა ელდორადოს, გზაზე დადის და ფადის წამოეწია. გრეკემი პაოლას გვერდით იჯდა. პაოლას სადავეები ეპყრა ხელთ და ცხენებს მიაგელვებდა.

დიკმა სვლა შეანელა, ეტლს სულ ახლოს ჩაუქროლა და გრეკემს მიესალმა, მერე მანქანა კვლავ გააქროლა და გადმოსძახა:

— იმეღია, მაპატიებთ, რომ მტვრის ბუღში გხვევთ: მინდა სადილობამდე ერთი ხელი მაინც მოგიგოთ ბილიარდში, თუ საერთოდ სახლს ოდესმე მოაღწევთ.

### თავი ოცდამეექვსე

— ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. ახლავე რაღაც უნდა ვიღონოთ.

ისინი მუსიკის ოთახში იყვნენ. პაოლა როიალს უჯდა და თავაწეული მისკენ დახრილ გრეკემს მისჩერებოდა.

— თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, — დაჟინებით მოითხოვდა გრეკემი.

ახლა, როცა იმაზე ბჭობდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, ვერც ერთი მათგანის სახეზე ბედნიერების ნატამალს ვერ შენიშნავდით იმ დიადი გრძნობის მოზღვავეების გამო, რაც ბედმა ასეთი საოცარი ძალით მოუვლინათ.

— მაგრამ არ მინდა აქედან წახვიდეთ. — მუდარით შესთხოვდა პაოლა. — მე თვითონ არ ვიცი, რა მინდა. უნდა მაპატიოთ, ნუ განაწყენდებით. მე საკუთარ თავზე არ ვფიქრობ, ჩემი დარდი არა მაქვს. მაგრამ მე ხომ უნდა ვიფიქრო დიკზე: ხომ უნდა ვიფიქრო თქვენზე. მე... მე ასეთ მდგომარეობაში ყოფნას შეჩვეული არა ვარ. — განაწამები ღიმილით დასძინა ბოლოს.

— მაგრამ ეს უნდა გადაწყდეს, ჩემო... დიკი ბრმა ხომ არ არის.

— მაინც რა უნდა დაენახა! განა იყო რამე? — პასუხს ითხოვდა პაოლა. — არაფერი, გარდა იმ ერთადერთი კოცნისა ხეობაში. ამის დანახვა კი მას არ შეეძლო. გაიხსენეთ, თუ კიდევ იყო რამე ისეთი? მე თქვენგან პასუხს ვითხოვ.

— ძალიან კი მინდოდა, მაგრამ... — ხუმრობით უპასუხა ივენმა. თუმცა იმწამსვე თავი შეიკავა და განაგრძო: — მე გონს ვკარგავ თქვენი სიყვარულით, უდიდესმა გრძნობამ ხელად მაქცია. დუმილი მიჯობს. ის კი ნამდვილად არ ვიცი, თქვენც ასევე გაწვალეხთ თუ არა ეს ყოვლისშემძლე ძალა? დიახ, არ ვიცი, გონს გაკარგვინებთ თუ არა ეს საოცარი გრძნობა, ან, საერთოდ, გიყვარვართ?

თითქოს უნებურად გრეჭემი საუბრისას კლავიშზე დაწყობილ პაოლას თითებს შეეხო. პაოლამ ხელი მშვიდად უკან გასწია.

— აი, ხომ ხედავთ, — დაიჩვილა გრეჭემმა, — თქვენ კი ჩემი დაბრუნება გასურდათ.

— დიახ, ძალიან მინდოდა თქვენი დაბრუნება, — გამოტყდა პაოლა და გრეჭემს თავისი წრფელი მზერა შეანათა. — დიახ, მინდოდა, მინდოდა... — გაიმეორა ჩუმად, თითქო საკუთარ თავს ესაუბრებო.

— მე კი დავიბენი, დარწმუნებული არა ვარ, — წამოიძახა გრეჭემმა მოუთმენლად, — ვითომ გიყვარვართ?

— დიახ, მიყვარხართ, ივენ, მაგრამ... — პაოლა დადუმდა. ფიქრებში წასული, თითქოს სამსჯავროს სასწორზე სწონიდა აზრთა დინებას.

— რას ნიშნავს ეს «მაგრამ»? — დაჟინებით ჩაეკითხა ივენი. — მითხარით, განაგრძეთ!

— მაგრამ მე დიკთან დიდი გრძნობა მაკავშირებს. ალბათ, უცნაურია, არა?

გრეჭემმა ღიმილს არ უპასუხა. პაოლამ მზერა ვერ მოაშორა ბიჭური სიჯიუტით ანთებულ თვალებს. გრეჭემს სურდა მაშინვე გაეცა პასუხი, სიტყვები ენის წვერზე ადგა, მაგრამ თავი შეიკავა. პაოლა შეეცადა, ამ სიტყვათა უთქმელ საიდუმლოს ზიარებოდა, მაგრამ ამაოდ. იმედი გაუცრუვდა, გული ეტკინა, რადგან ივენმა საბოლოოდ დუმილი ამჯობინა.

— როგორმე ყოველივე მოგვარდება, — დარწმუნებით განაცხადა პაოლამ ბოლოს. — გამოსავალი უნდა გამოინახოს... დიკის აზრით, ამქვეყნად ყველაფერი გვარდება ბოლოს და ბოლოს... ამქვეყნად ყოველივე იცვლება და, რაც არ იცვლება, მკვდარია... არც ერთ ჩვენგანზე, ვფიქრობ, ეს არ ითქმის.

— მე თქვენ არ გასაყვედურობთ დიკი რომ გიყვართ. დაე, გიყვარდეთ, — აჩქარებით უპასუხა ივენმა. — საერთოდ ვერც გამიგია, რა ნახეთ ჩემში ასეთი, რომ მას შემადარეთ და გამატოლეთ. ამას მთელი გულწრფელობით ვადიარებ. ჩემი აზრით, ის შესანიშნავი ვაჟკაცია, ისეთი კაცი, ვისაც დიდი გულის პატრონს უხმობენ.

პაოლამ ღიმილით დაასაჩუქრა ივენი და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— მაგრამ თუ თქვენ დიკის სიყვარულს გულიდან ვერ ამოიღებთ, რა შუაში ვარ მაშინ მე?

— თქვენც ისეთივე დიდი გრძნობით მიყვარხართ.

— ეს შეუძლებელია! — წამოიძახა გრეჰემმა, როიალს სწრაფად გაშორდა, ოთახში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ კეითის სურათის წინ ისე შედგა, თითქოს არასოდეს ენახა.

პაოლა იცდიდა, სახეზე მშვიდი ღიმილი ეხატებოდა და სიხარულით შეპყურებდა მის შემფოთებას.

— თქვენ არ ძალგიბთ გიყვარდეთ ორი მამაკაცი ერთდროულად, — მღელვარებით ამოთქვა გრეჰემმა.

— მაგრამ ეს ასეა. ორივე მიყვარხართ, ივენ, ძალიან მინდა გავერკვე როგორმე, მაგრამ ვერ გამიგია, ვინ უფრო ძალიან მიყვარს. დიკს დიდი ხანია ვიცნობ. თქვენ კი... თქვენ...

— მე შემთხვევითი ნაცნობი ვარ მხოლოდ. — მკაცრად შეაწყვეტინა გრეჰემმა და სწრაფი ნაბიჯით მისკენ გამობრუნდა.

— არა, არა, ივენ! თქვენ ჩემს საკუთარ არსებაში გამარკვიეთ და უფრო ღრმად ჩამახედეთ. ვგრძნობ, დიკზე ნაკლებად არ მიყვარხართ, თითქოს მეტადაც. მე... არ ვიცი...

პაოლამ თავი ჩალუნა და სახეზე ხელები აიფარა. ივენი ნაზად შეეხო მის მხარს. პაოლას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— იცოდეთ, ჩემთვის ეს ადვილი არ არის, — განაგრძობდა პაოლა. — აქ ყოველივე ისე გადაიხლართა, ისე გადაიხლართა, რომ ვერაფერს ვეღარ ვიგებ. თქვენ ხომ ამბობთ, დავიბენიო. იფიქრეთ, მე რა დამემართებოდა! თავგზა ამებნა. საერთოდ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. თქვენ... ოჰ, რა სათქმელია! თქვენ მამაკაცი ხართ, მამაკაცური გამოცდილებისა და ნამდვილი ვაჟური ბუნების მქონე. თქვენთვის ეს ყოველივე უბრალო ამბავია. თქვენ ხომ საერთოდ ასე სჯით: ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ... მე კი დავიბენი, ვერა და ვერ გავრკვეულვარ. ეს არეული მდგომარეობა მამრწუნებს. რა თქმა უნდა, არც მე გახლავართ გუმინდელი ბავშვი, მაგრამ სატრფიალო ხლართებიდან თავის დაღწევის არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია. არასოდეს მქონია რომანი. მხოლოდ ერთი მამაკაცი მიყვარდა უცვლელი, დიდი გრძნობით მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. ახლა კი თქვენ შემიყვარდით. თქვენ და თქვენდამი დიდმა სიყვარულმა დაანგრით ეს იდეალური ოჯახი, ივენ!

— ვიცი... — თქვა გრეჰემმა.

— ველარაფერი გამიგია, როგორ უნდა დავაღწიო თავი ამ ბურანს. ან, იქნებ, დრო არის საჭირო, რომ ყოველივე თავისთავად მოგვარდეს. ოჰ, ოღონდ დიკი არ ერიოს... — ქალს ხმა აუთრთოლდა და ჩაუწყდა.

ივენმა უნებურად მოხვია ხელი და მიიზიდა.

— არა, არა, ჯერ არა, — რბილად უთხრა პაოლამ და საკუთარ ხელში მოქცეულ ივენის ხელს წამით სათუთად მიუალერსა.

— თქვენი შეხებისთანავე ფიქრის უნარს ვკარგავ, — ვედრებით წარმოთქვა პაოლამ. — აი... არ შემიდლია...

— თუ ასეა, უნდა დაგტოვოთ, — წარმოთქვა გრეჰემმა მუქარით, თუმცა მუქარა აზრადაც არ ჰქონია.

პაოლამ უარის მაუწყებელი ჟესტით უპასუხა.

— ასეთ მდგომარეობაში ყოფნა შეუძლებელია, აუტანელია, — წარმოთქვა შემფოთებულმა ივენმა. — თავს არამზადად ვთვლი, თუმცა დარწმუნებული ვარ, არამზადად სრულიად არა ვარ. ტყუილი ხომ მთელი ჩემი არსებით მძულს. შემიდლია, მხოლოდ მაცდურთა წინაშე ვიცრუო, მაგრამ არა ისეთ ადამიანთან, როგორიც დიკია. ითვალთმაქცო იმ დიდბუნებოვანი კაცის, ამ დიდი გულის წინაშე! ასეთ დამამცირე-

ბელ ყოფას გაცილებით მირჩევნია პირდაპირ წავიდე და ვუთხრა: «დიკ, გატაცებით მიყვარს შენი მეუღლე, ისიც თანამიგრძნობს, რა აზრისა ხარ, რას გვიპირებ?»

— დიახ, წადით, — უცებ წამოეგზნო პაოლა.

გრეკემი გასწორდა და წასასვლელად მოემზადა.

— ავალ და თანაც ახლავე.

— არა, არა! — წამოიკვივლა უცაბედი საშიშროებით შეპყრობილმა პაოლამ. —

მაშინ თქვენ ხომ უნდა დატოვოთ დიდი სახლი. — მღელვარებისაგან ქალს თითქმის მთლიანად ჩაუწყდა ხმა. — მე არ ძალმიძს თქვენი გაშვება...

თუ დიკს პაოლას გრძნობებში კიდევ აეჭვებდა რამე, ახლა, გრეკემის დაბრუნების შემდეგ, ყოველივე გაქრა და აღარავითარი დამამტკიცებელი საბუთის ძიება აღარ იყო საჭირო; საკმარისი გახლდათ, პაოლასათვის მხოლოდ თვალი მოგეკრათ, ოდნავ დაკვირვებოდით, რომ შეგენიშნათ: საოცარი სასიცოცხლო ძალა აღენთო მთელ მის არსებაში, ქალი ვარდისფერი, უნაზესი ყვავილივით გადაიშალა. თითქოს გაზაფხულის მძლეთა მძლე ძალა მის სხეულში წვეთ-წვეთად ჩაღვრილიყო და კვირტივით აეფეთქებინა. ნიაღვარივით მოვარდნილი მისი კისკისი ნეტარების მწვერვალზე ასული ადამიანის სასიცოცხლო ბგერებად იღვრებოდა ირგვლივ. ხმაში ჯერაც უცნობი სითბო შეჰპარვოდა და მომჯადოებელი ჟღერადობით აღვესო. სიმღერა მაცდუნებელ ძალად ქცეოდა, რომელშიაც დაუცხრომელი მღელვარე ენერგია და მოქმედების წყურვილი ამეტყველებულიყო. ახლა პაოლა ალიონზე დგებოდა და ღამით გვიან იძინებდა. ეტყობა, განცდებს აყოლილი, თავს აღარ უფრთხილდებოდა. დღენიადაც, თითქოს თავდავიწყებით ეძალებოდა შუშხუნა სასმელს. დიკი საგონებელს მიეცა. ალბათ, ყოველივე ამას მხოლოდ იმის გამო სჩადის, რომ ძალა არ შესწევს საკუთარ ფიქრთ გაუმკლავდესო. იმასაც ამჩნევდა, რომ გახდა და ყოველდღე თანდათანობით სუსტდებოდა, მაგრამ დიკს არ შეეძლო საკუთარ თავს არ გამოსტეხოდა, რომ პაოლა უფრო და უფრო მეტად მშვენიდებოდა. ისედაც სათუთ და ნათელი სახის ფერს ახლა ბუნებრივი გამჭვირვალეობა და მომხიბვლელობა შემატებოდა.

დიდ სახლში კი ცხოვრება, ჩვეულებისამებრ, შეუფერხებლად, მხიარულად და უზრუნველად მიედინებოდა. დიკი ზოგჯერ საკუთარ თავს ეკითხებოდა, — რამდენ ხანს შეიძლება ასეთ მდგომარეობაში ყოფნაო? შიშს ჰგვრიდა იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე ყველაფერი შეიცვლებოდა. დიკი დარწმუნებული იყო, რომ მის გარდა დიდ სახლში ოდნავი ეჭვიც არავის ჰქონდა. მაგრამ როდემდის შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ასე? რა თქმა უნდა, დიდხანს არა. — პაოლა უნიათო მსახიობი გახლდათ, მაგრამ თუ იმდენ მაცდურებას მაინც შეძლებდა, რომ არაკეთილშობილური ქვენა გრძნობები როგორმე დაეფარა, ზეადმტაცი განცდებით გამოწვეული სულიერი ცვლილება დაემალა, რომელმაც ასე მოულოდნელად იფეთქა მის არსებაში, ვერ მოახერხებდა, ეს დედამიწის ზურგზე არც ერთ ქალს არ ძალუძს.

ფორესტი კარგად იცნობდა თავის აზიელ მსახურთ, მათ სასწაულებრივ შორსმჭვრეტელობას და გამჭირახოების უჩვეულო უნარს. ამასთანავე შემჩნეული ჰქონდა მათი თავდაჭერილობაც, მაგრამ ქალები! ისინი ხომ ვერაგი ბუნების კატებად გაუჩენია განგებას ამქვეყნად და ახლა, რომელი ქალიც უნდა მოხვედრილიყო სტუმრად მათ სახლში, თუნდაც ერთი დღით, ან ერთი საღამოთი, უძალვე ჩასწვდებოდა და ალღოს აუღებდა პაოლას განცდებს: გრეკემის ფიქრთა გამოცნობა თითქმის შეუძლებელი იყო. ქალი ქალს ხომ ყოველთვის აუღებს ალღოს. პაოლა ამ საკითხშიც ქალთაგან სრულიად განირჩეოდა. დიკს მასში წმინდა ქალური კატისებური ვერაგული ბუნება არასოდეს შეუნიშნავს. პაოლას არა სჩვეოდა სხვა მანდილოსანთა თვალთვა-

ლი, მათი ცოდვების საამკარაოზე გამოტანა, რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ შემთხვევებს, როცა საქმე მის მეუღლეს ეხებოდა. დიკს კვლავ გაელიმა მისი დეკემთან გაჩაღებული «რომანის» გახსენებისას, რაც მხოლოდ და მხოლოდ პაოლამ წარმოდგენით შექმნა.

ამ ფიქრებში ჩაფლული დიკი ხშირად ეკითხებოდა საკუთარ თავს: უწყის თუ არა პაოლამ, მისი გულის ფარულ საიდუმლოს რომ ვხვდებით?

პაოლაც ამასვე ეკითხებოდა საკუთარ თავს: ხვდებოდა თუ არა დიკი მის იდუმალ ზრახვათ, მაგრამ ამოდ, კარგა ხანს ვერ ამოიცნო მისი ფიქრთა დენა. პაოლა ძალიან დიდხანს ვერავითარ ცვლილებებს ვერ ამჩნევდა მეუღლის ხასიათში და საკუთრად მის მიმართ დამოკიდებულებაში. დიკი ჩვეულებრივ, დაუსაბამოდ, ანგარიშმიუცემლად მუშაობდა, თამაშობდა, ერთობოდა, დროდადრო საკუთარ სიმღერებსაც ასრულებდა და კვლავ უბედნიერესი, მხიარული ახალგაზრდა კაცის იერი ჰქონდა. პაოლას ხანდახან ისიც კი ეჩვენებოდა, რომ დიკი ბოლო ხანებში უფრო სათუთადაც ექცეოდა, მაგრამ თავს ირწმუნებდა, რომ ეს მხოლოდ საკუთარი წარმოსახვა და ზმანება იყო. ეჭვმა დიდხანს აღარ გასტანა. საღამოობით მაგიდასთან მისაღებ დარბაზში სტუმართა შორის თუ ბრიჯის თამაშის დროს პაოლა ხშირად აკვირდებოდა თავის სანახევროდ დახრილ წამწამებიდან დიკის სახესა და თვალთა გამომეტყველებას და რწმუნდებოდა, რომ დიკმა ყოველივე კარგად უწყოდა. დიკი არც დაეჭვებულა, რომ უთვალთვალდებდნენ. პაოლას გრეკემთან ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამ ამბავზე. განა საქმეს ამით რამე ეშველებოდა? შესაძლებელია, ამის გამგონე გრეკემს სასწრაფოდ დაეტოვებინა იქაურობა. პაოლა ხომ გულწრფელად გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ გრეკემის წასვლას ვერ აიტანდა. ბოლოს, როდესაც დარწმუნდა, რომ დიკმა ყოველივე იცოდა და მათ ფარულ გრძნობებს ხვდებოდა, პაოლა თითქოს გამძვინვარდა. განგებ უმატა ცეცხლთან თამაშს. «თუ დიკმა იცის და, რა თქმა უნდა, იცის, — ფიქრობდა ქალი, — მაშინ რატომ დუმს? ის ხომ ასე პირდაპირი იყო მუდამ?» პაოლას ვითარებაში გარკვევა სურდა და თან შიშით ძრწოდა. ბოლოს შიში გაქრა, დარჩა მხოლოდ იმედი, რომ, ბოლოს და ბოლოს, დიკი თავს ვეღარ შეიკავებდა. ის ხომ ამქვეყნად მხოლოდ სამოქმედოდ იყო დაბადებული. რა განსაცდელიც უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი, დიკს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა არ უჭირდა. პაოლა ყოველთვის ემორჩილებოდა მის მძლეთამძლე ნებას. გრეკემმა შექმნილ ვითარებას სამკუთხედი შეარქვა. რა თქმა უნდა, ისევ დიკს უნდა გადაეწყვიტა ეს ამოცანა, რადგან მას ყოველნაირი ამოცანის გადაწყვეტა და ამოხსნა ძალუბდა ამქვეყნად, მაგრამ რატომ აყოვნებდა?

მთელი ამ დროის მანძილზე პაოლა უკან მოუხედავად ემორჩილებოდა ცხოვრების თავნება, დაუცხრომელ, განუსჯელ მდინარებას. ცდილობდა არ ეგრძნო და არ გაეგონა საკუთარი მქენჯნელი სინდისის ხმა, რომელიც ერთგულებაში სდებდა ბრალს და უარს აცხადებდა, ღრმად ჩაფიქრებოდა საკუთარ თავს. ეჩვენებოდა თუ თავს ირწმუნებდა, რომ ცხოვრების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია და მარადიულ ნეტარებას ეწაფებოდა, ნამდვილი ცხოვრების სიტკბოს ფიალებს ცლიდა.

ზოგჯერ პაოლას საკუთარ ფიქრთა წადილის ჩაწვდომაც კი უძნელდებოდა. თუმცა სიამაყით იმსჭვალებოდა, ორი ასეთი ახალგაზრდა ვაჟკაცი რომ ფერხთა წინაშე ჰყავდა დაჩოქილი. სიამაყეს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მის სულში. ამაცობდა თავისი მრავალმხრივი განათლებით, შეუდარებელი გარეგნობით, მუსიკაში განსაცვიფრებელი დახელოვნებით და საუცხოო ცურვით. ეს ყოველივე მას სხვებისაგან განასხვავებდა, ენით აღუწერელი მშვენიერებით ცეკვავდა; ყველა სხვა ქალთაგან განსხვავებული სინატიფით ატარებდა თვალწარმტაც სამოსს, გედივით ყვინთავდა და შესანიშნავი გრაციოზული ხერხებით გაბედულად ცურავდა, რასაც იშვია-

თად თუ შეძლებდა რომელიმე ქალი ამქვეყნად: ანდა «მთიელზე» ამხედრებული როგორ შეცურდებოდა ხოლმე აუზში და ზეადამიანური ძალითა და მონდომებით გადასცურავდა ხოლმე ამ უზარმაზარ პირუტყვთან ერთად უსაზღვრო სივრცეს.

პაოლა მაშინაც განუზომელ სიამაყეს განიცდიდა, როდესაც ნაცრისფერთვალა, ქერა, შესანიშნავი ტანადობის ამ ორ ვაჟკაცს ერთად ხედავდა, რომელთა გარეგნობაშიაც საკუთრად თავისი, სწორუპოვარი ჯიშის განუმეორებელი სიდიადე მჟღავნდებოდა. პაოლა ერთთავად აღზნებული იყო, მაგრამ საქმე მხოლოდ ნერვულობა არ გახლდათ. თვითვე ხვდებოდა, როგორი სიმშვიდითა და ცნობისმოყვარეობით ადარებდა იგი ამ ორ მამაკაცს, არ უწყოდა, რომელი მათგანისათვის ცდილობდა ყოფილიყო უფრო მშვენიერი და ზომიერ მეტად მომხიბვლელი. ივენი უკვე ხელთა ჰყავდა და არც დიდი ხნის წინათ ტყვედქცეული დიკის გაშვება ეწადა.

იყო ერთგვარი სიმკაცრის ნიშნებიც პაოლას ამ უსაზღვრო სიამაყეში, რომ მის გამო და მისთვის იტანჯებოდა ორი ასეთი დიდებული ადამიანი; რომ ისინი მის სამუდამო კუთვნილებად ქცულიყვნენ; პაოლა საკუთარ თავს არ უმაღავდა, რომ, თუ დიკს ყოველივე ადრევე ჰქონდა შეტყობილი, წამებას ვერ აცდებოდა. აშკარა იყო, მისთვის აუტანელ ვაებას დაერია ხელი. პაოლა თავს ირწმუნებდა, რომ წარმოსახვის საოცარი უნარით აღიჭურვა, სატრფიალო საქმეში დიდი გამოცდილება შეიძინა და, ალბათ, ამის გამო გრეჰემისადმი უსაზღვრო ტრფობის მთავარი მიზეზი სრულიად ახალი, განუცდელი გრძნობა არ ეგონა... არც იმას იღებდა მხედველობაში, რომ გრეჰემი სრულიად სხვა მამაკაცი იყო და სხვა პიროვნებად წარმოუდგა დიკთან შედარებით. არ სურდა, ღრმად ჩაეხედა საკუთარ სულში და თავს გამოსტეხოდა, რა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მგზნებარე და დაუოკებელი ვნება. მაგრამ გულის სიღრმეში მაინც აღიარებდა, რომ ეს დიდი განუსჯელობა და უგუნურება იყო. იქნებ ყოველივე ამას საშინელი დასასრულიც მოჰყოლოდა რომელიმე მათგანისათვის, ან ყველასათვის ერთად, მაგრამ პაოლას მოსწონდა უფსკრულის ზემოთ ჯიუტად ფარფატი. თან თავს უმტკიცებდა, საერთოდ უფსკრულში გადაჩეხვის არავითარი საშიშროება არ არსებობსო. როდესაც პაოლა მარტო რჩებოდა და საკუთარ სახეს სარკეში შეჰყურებდა, თავს გადააქნევდა ხოლმე და დამცინავად წამოიძახებდა: «ოჰ, შე მტაცებელო, მტაცებელო!» მაგრამ, როცა ამბავთა მსვლელობას უფრო გულმოდგინედ უფიქრდებოდა, მზად იყო, გამომტყდარიყო, რომ ბერნარდ შოუ და მადრონოსჭაღელი ფილოსოფოსნი მართალნი იყვნენ, როდესაც ქალთა მტაცებლურ მიდრეკილებებს საქვეყნოდ ამხელდნენ. რა თქმა უნდა, არ ეთანხმებოდა დარ-ჰილის მტკიცებას: «ქალი ბუნების მარცხია, ის არასრულქმნილი მამაკაციაო». მაგრამ ხშირად აგონდებოდა ოსკარ უაილდის სიტყვებიც: «ქალი სწორედ მაშინ აღწევს გამარჯვებას, როდესაც მამაკაცისადმი მოულოდნელ მორჩილებას აცხადებსო». ნუთუ თვითონაც ამით დაატყვევა გრეჰემი? — ეკითხებოდა საკუთარ თავს. დიახ, სრულიად მოულოდნელი და უცხო იყო მისთვის ეს ყოველივე, მაგრამ დათმობაზე ნამდვილად წავიდა? ვითომ კვლავ ასევე განაგრძობს? გრეჰემს აქედან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. მასთან ერთად თუ უიმისოდ, მაინც წასვლა სურდა, მაგრამ პაოლა აკავებდა. როგორ, რა ხერხით? იღებდა ივენი უსიტყვო თანხმობას პაოლასაგან, რომ საბოლოო მორჩილებას განუცხადებდა? პაოლა ღიმილით იშორებდა ყველა ამდაგვარ ფიქრს და მოსაზრებებს მომავალზე, აწმყოს წუთიერი და მოულოდნელობით აღსავსე სიხარულით კმაყოფილდებოდა, ცდილობდა კენარი სხეული კიდეც უფრო მიმზიდველი გამოეჩინა, საკუთარი მომხიბვლელობა კი განუმეორებელ, საოცნებო ძალად ექცია, ბედნიერებად დაღვრილიყო, ეკიაფა და ყოველივე ეს მის ცხოვრებას ისე აღავსებდა, ისეთ სასიამოვნო თრთოლვას ჰგვრიდა, როგორც ზმანებაშიც კი ვერასოდეს წარმოედგინა.

## თავი ოცდამეშვიდე

როცა შეყვარებული ქალ-ვაჟი ასე ახლოს არის ერთმანეთთან, მათ არ ძალუძთ ურთიერთ შორის მანძილის უცვლელად შენარჩუნება. პაოლა და გრეკემი თანდათან შეუმჩნევლად უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ხანგრძლივი მზერა და მთრთოლვარე ხელთა შეხება უკვე ალერსმა შეცვალა. ბოლოს კი, გრძნობით გადახვეულებმა ურთიერთ ბაგე დიდხანს ვერ მოსწყვიტეს.

ამჯერად პაოლა არ აღშფოთებულა, მხოლოდ მბრძანებლურად განაცხადა:

— არა, თქვენ ვერსად ვერ წახვალთ!

— დარჩენა შეუძლებელია, — იმეორებდა გრეკემი, მგონი, მეათასედ. — რა თქმა უნდა, ბევრჯერ მიგემია კარს უკან ალერსი, კოცნა და სხვა ამდაგვარი სისულელე, — განაცხადა მან, — მაგრამ აქ თქვენ და დიკი ხართ.

— გარწმუნებთ, გრეკემ, ყოველივე მოგვარდება.

— გამომყევით თან და ჩვენ თვით მოვაგვარებთ ჩვენს საქმეს. გამომყევით!

პაოლამ უკან დაიხია.

— გახსოვთ, — დაჟინებით იმეორებდა გრეკემი, — რა განაცხადა დიკმა იმ საღამოს, როცა ლეო ურჩხულებს ებრძოდა? დიახ, დიკმა თქვა: თუნდაც პაოლა, ჩემი მეუღლე, ვინმესთან ერთად გაიქცეს, მე მაინც ასე ვიტყვი: «გლოცავთ, შვილნო ჩემო».

— და აი, სწორედ ამიტომ არის, ივენ, ასე ძნელი მისგან გაქცევა. თქვენი მოსწრებული თქმისა არ იყოს, ის ხომ ასე დიდბუნებოვანი, დიდი გულის ადამიანია. უსმინეთ! თვალყური ადევნეთ! იგი განსაკუთრებით თბილია და მზრუნველი, სწორედ ისეთი, როგორც იმ ღამეს თქვა, — გამორჩევით თბილია ჩემ მიმართ, გარდა ამისა... განა არ შეგიმჩნევიათ?..

— იცის რამე? გითხრათ რამე? — შეაწყვეტინა გრეკემმა.

— არაფერი უთქვამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იცის, ყოველ შემთხვევაში, ხვდება, თვალყური ადევნეთ! ვამჩნევ, არ სურს, მეტოქეობა გაგიწიოთ...

— მეტოქეობა?

— დიახ, სწორედ თქვენს მეტოქეობას არიდებს თავს. გახსოვთ გუშინდელი დღე, კოვბოების ჯირითი, მუსტანგებს რომ ხედნიდა, ჩვენი მოსვლის შემდეგ კი ცხენზე აღარ შემჯდარა. იგი ნამდვილად შესანიშნავი მხედარია. თქვენც ხომ სინჯეთ, მაგრამ გულწრფელად თუ ვიტყვი, დიკს ვერ გაუტოლდებით ამ საქმეში, თუმცა თქვენც კარგად იჯირითეთ. მან აღარ ისურვა თავისი უპირატესობა ეჩვენებინა. მართო ამ ამბავმაც კი ცხადი გახადა, რომ ყოველივეს ხვდება.

და კიდევ, ნუთუ არ შეგინიშნავთ, ამ ბოლო დროს აღარ გეკითხებათ, რას აკეთებთ, სად ატარებთ დროს? ჩვეულებრივ, ყველა სტუმარს რომ გამოკითხავს ხოლმე. ბილიარდს თქვენ მასზე უკეთესად თამაშობთ და იმიტომ გეთამაშებოდით. ფარიკაობასაც იმიტომ არ ერიდებთ, რომ აქაც თითქმის თანასწორნი ხართ, მაგრამ არც კრივში გიწვევთ და არც ჭიდაობაში.

— რა თქმა უნდა, აქ უცილობლად მაჯობებს ერთშიაც და მეორეშიც, — ჩაიბუტბუტა გრეკემმა.

თვალყური ადევნეთ და დარწმუნდებით, რომ მართალი ვარ. მე კი ისე მექცევა, როგორც ოჩან კვიცს. დაე, იანცოს, რამდენიც მოესურვებაო. ჩემს ნებაზე მიმიშვა, რაც მომესურვება, ის ვაკეთო. თვითონ კი, მერწმუნეთ, საქმეში არ ჩაერევა, მე კარგად ვიცნობ დიკს. დიკი საკუთარი კანონებით ცხოვრობს და შეუძლია ფილოსოფოსებს ნამდვილი გამოყენებითი, პრაქტიკული ფილოსოფია ასწავლოს.

— არა, არა, თუ შეიძლება მომისმინეთ, — სწრაფად განაგრძო პაოლამ, როდესაც შეამჩნია, რომ გრეჰემი მისი საუბრის შეწყვეტას ცდილობდა, — მეტიც მინდა გითხრათ: ბიბლიოთეკიდან მის სამუშაო ოთახში საიდუმლო კიბე ადის, რომლითაც მხოლოდ თვითონ, მისი პირადი მდივანი და მე ვსარგებლობთ. ვინც იმ კიბით ავა, წიგნებით, თაროებითა და კარადებით გარემოცულ მის სამუშაო ოთახში მოხვდება. ახლა პირდაპირ იქიდან მოვდივარ, მასთან მივდიოდი და სრულიად უცხო ხმა შემომესმა. გავიფიქრე, როგორც ყოველთვის, ალბათ, ახლაც მამულის საქმეებზე საუბრობენ და მალე წავლენ-მეთქი. ცოტა ხანს შევჩერდი, ლოდინი ვამჯობინე: საუბარი მართლაც, საქმეს შეეხებოდა, მაგრამ ისეთი საინტერესო იყო, ისეთი, რომ ჰენკონკი მას უთუოდ «სხივის მფენელს» შეარქმევდა. არ შემეძლო არ მესმინა. საუბარი, მართლაც რომ «სხივს ჰფენდა» დიკის შინაგან ბუნებას.

დიკი ერთი მუშის მეუღლეს ესაუბრებოდა. ქალი თავისი ოჯახის გასაჭირის მოგვარებას სთხოვდა... ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის მუშათა დასახლებებში. მე რომ ქალს შევხვედროდი, ვერ ვიცნობდი და, რა თქმა უნდა, არც მისი სახელი გამახსენდებოდა; ქალი დაწვრილებით ჰყვებოდა თავის სატკივარს. დიკმა კი შეაჩერა და ჰკითხა: «მთავარი ეს არ არის, საჭიროა, ვიცოდე, თქვენ თუ აძლევდით საბაბს, რომ სმიტი ასე მოგქცეოდათ?»

მისი გვარი სმიტი არ უნდა იყოს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. იგი უკვე რვა წელია ჩვენს მამულში ხელოსნად მუშაობს.

«ოჰ, არა, სერ, — შემომესმა ქალის პასუხი. — იგი ერთთავად გასაქანს არ მამლევდა. მე, რა თქმა უნდა, ვცდილობდი, როგორმე თავი ამერიდებინა. ჩემს მეუღლეს საშინელი ხასიათი აქვს, საოცარი გააფთრება იცის, ვერაფერი დააკავებს. ყველაზე მეტად იმის მეშინია — ადგილი არ დაკარგოს. ერთი წელია, რაც თქვენთან გადმოვიდა სამუშაოდ. ჯერ არაფერში შემჩნეული არ არის. მართალს მოგახსენებთ, არა? აქამდე მხოლოდ შემთხვევითი სამუშაო თუ გამოუჩნდებოდა და მეტისმეტადაც გვიჭირდა ცხოვრება. ბრალი არაფერში მიუძღვის. არ სვამს, მუდამ...»

«კეთილი, — შეაჩერა დიკმა. — არც მისი სამუშაო და არც მისი საქციელი აქ არაფერ შუაშია. ამგვარად, თქვენ ამტკიცებთ, რომ არასოდეს მიგიციათ სმიტისათვის გაარშიყების საბაბი, არა?»

საკუთარ საქციელში დარწმუნებული ქალი ათ წუთს მაინც ლაპარაკობდა. დაწვრილებით ჰყვებოდა, თუ როგორ დევნიდა და ავიწროებდა შეჩენილი მამაკაცი. ქალს საოცრად საამო ხმა ჰქონდა. მართალი გითხრათ, არის ხოლმე ისეთი ტკბილი, კრძალვით აღსავსე უნაზესი ქალური ხმა. დარწმუნებული ვარ, მისი პატრონი ფრიად მომხიბლავიც იყო.

ძლივს ვძლიე ცდუნებას, ისე მინდოდა სამუშაო ოთახში შემეხედა და ქალი დამენახა.

«მაშ, გუშინ დილით დაგატყდათ ეს უბედურება? — ჰკითხა დიკმა. — თქვენს მეუღლესა და სმიტის გარდა სხვებმაც გაიგეს ეს ამბავი? აი, ვთქვათ, ახლო მეზობლებმა?»

«დიახ, სერ, მას არავითარი უფლება არ ჰქონდა სამზარეულოში შემომვარდნოდა. ჩემი მეუღლე მისი ხელქვეითი არ არის, მომეხვია, კოცნა დამიპირა და სწორედ ამ დროს ჩემმა მეუღლემ შემოუხსწრო. ჩემი მეუღლე მეტად ფიცხია, მაგრამ ფიზიკურად არცთუ ისე ძლიერი გახლავთ, მისტერ სმიტი ორი იმხელაა. ჩემმა მეუღლემ დანას წამოავლო ხელი. სმიტი ხელებში ეცა და ერთმანეთს ეძგერნენ. გააფთრებით შებმულებმა მთელი სამზარეულო ამოატრიალეს. მეშინოდა, საქმე სიკვდილით არ დამთავრებულიყო. წივილ-კივილით ხალხს მოსაშველებლად ვუხმე. მეზობელ კოტე-

ჯებში უკვე კარგა ხანია გაეგონათ ჩხუბის ხმა, რადგან სამზარეულოში, ბოლოს მინა ჩალეწეს და ღუმელიც ამოაბრუნეს; ნაცრისა და კვამლის კორიანტელი ტრიალებდა, როდესაც მეზობლები ჩემს კივილზე შემოცვივდნენ და გააშველეს. მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია, რომ ასეთი დამცირება გადამეტანა. ახლა, მოგეხსენებათ, სერ, რა სალაპარაკო მასალა მიეცათ ქალებს...»

დიკმა კვლავ ჩააჩუმა ქალი, მაგრამ მთელი ხუთი წუთი თავიდან მაინც ვერ მოიცილა, ყველაზე მეტად იმის შიში აძრწუნებდა, მის მეუღლეს სამუშაო ადგილი არ დაეკარგა. როგორ მოველოდი დიკის პასუხს, მაგრამ, ეტყობა, დიკს ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ მიეღო. გავიფიქრე, ალბათ, ხელოსანს იხმობს-მეთქი და ასეც მოხდა. ოჰ, რომ იცოდეთ, რას გავიღებდი, ოღონდ ის კაცი დამენახა, მაგრამ მარტო საუბრის ხმა მესმოდა.

დიკი პირდაპირ საქმეზე გადავიდა. დაუშვებელი აურზაურისა და შეტაკების მთლიანი სურათი აღუწერა. სმიტი გამოტყდა, რომ, მართლაც, საშინელი აყალმაყალი ასტეხეს.

«ქალი აცხადებს, რომ არასოდეს ოდნავი საბაზიკ კი არ მოუცია თქვენთვის, ასე კადნიერად მოქცეოდით», — წარმოთქვა დიკმა.

«ცრუობს, მისტერ ფორესტ», — უპასუხა სმიტმა. — ისეთი თვალით გადახედავს მამაკაცს, რაც უთუოდ გამოწვევას ნიშნავს.....თავიდანვე ასეთი მრავალმეტყველი მზერით მიმასპინძლებოდა, მაგრამ გუშინ სამზარეულოში იმიტომ შევედი, რომ თვითონ მიხმო. არა, გამოხედვით კი არა, სიტყვით. არ ველოდით თუ მისი მეუღლე ასე ჩქარა დაბრუნდებოდა. თვალი მოჰკრა თუ არა ქმარს, სრულიად მოულოდნელად წინააღმდეგობა დამიწყო და ცემა-ტყეპაზე გადავიდა. ის იმ ტყუის, საბაბს არ ვაძლევდიო...»

«ამას თავი დავანებოთ, — შეაჩერა დიკმა, — ამ წვრილმანს მნიშვნელობა არა აქვს».

«ეს წვრილმანი სულაც არ გახლავთ, მისტერ ფორესტ, თავი ხომ უნდა ვიმართლო?» — თავისას გაიძახოდა სმიტი.

«არა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. თქვენ თავის გამართლებას ვერ შეძლებთ», — უპასუხა დიკმა. მე დიკის ხმაში მისთვის დამახასიათებელი ცივი, მკაცრი, პირუთვნელი და იურიდიულად სწორი ტონი შევნიშნე. სმიტმა, რასაკვირველია, ალღო ვერ აუღო და დიკმაც აუხსნა: «თქვენ იმაში ხართ დამნაშავე, მისტერ სმიტ, რომ ჩხუბი ასტეხეთ, ყოველგვარი უმსგავსობა ჩაიდინეთ და ქალებს სალაცხო, საჭორაო გაუჩინეთ. თქვენ დაარღვიეთ მშვიდობიანი ცხოვრება ჩემს მამულში, წესრიგი არ იცით. ეს კი ფრიად მნიშვნელოვანი ამბავია. თქვენ ხომ საერთო არევ-დარევა შეიტანეთ ჩვენს მშვიდობიან შრომაში».

მაგრამ სმიტი ვერც ახლა მიხვდა საქმის ვითარებას. იფიქრა, საზოგადოებრივი ზნეობის დარღვევაში მადანაშაულებენ, რადგან გათხოვილი, ოჯახის ქალი შევავიწროვეო. ცდილობდა, როგორმე დაემტკიცებინა, რომ თვითონ ქალი ახდენდა მასზე ზემოქმედებას და ათასგვარ თავდასაცავ ხერხს იყენებდა. «ბოლოს და ბოლოს, მისტერ ფორესტ, მამაკაცი მაინც მამაკაცია. გამოგიტყდებით, თავბრუ დამახვია და მეც გავსულელდი».

«მისტერ სმიტ, — წარმოთქვა დიკმა, — თქვენ ჩემთან მუშაობთ რვა წელია. აქედან ექვსი წელია უკვე ხელოსნად დაგნიშნეთ. ოსტატობას ვერ დაგიწუნებთ. მუშაობა, რა თქმა უნდა, იცით. თქვენს ზნეობასთანაც არავითარი საქმე არა მაქვს. გინდა მორმონი იყავით და გინდა თურქი, თქვენი პირადი ცხოვრება მე არ მეხება, სანამ ეს ხელს არ შეუშლის საერთო მუშაობის საქმეს ჩემს მამულში. ყოველ მეფორნეს შეუ-

ძლია შაბათობით გონების დაკარგვამდე სვას, თუნდაც ყოველი კვირის ბოლოს, ეს პირადად მისი საქმეა. მაგრამ თუ ორშაბათს ვერ გამოფხიზლდა და ჩემს ცხენებზე იყარა გულის ჯავრი, უდიერად მოექცა მათ, ცემა დაუწყო, ან დააშავა რამე, ხოლო ამან რამდენადმე მაინც შეამცირა ორშაბათისათვის გათვალისწინებული საქმიანობის ხარისხი და ოდენობა, იმ წუთიდან მისი ლოთობა უკვე ჩემს პირად საქმედ იქცევა და მაშინ ასეთ მეფორნეებს ჯანდაბის გზას გავუყენებ».

«თქვენ... თქვენ ხომ არ გინდათ თქვათ, მისტერ ფორესტ... — ენის ბორძიკით წარმოთქვა სმიტმა, — რომ მეც იქ, ჯანდაბაში გამგზავნით?»

«დიახ, სწორედ ასეა, თქვენ იმიტომ კი არ გიშვერთ ხელს იქით, რომ სხვის საკუთრებას შეეხეთ, ეს პირადად თქვენი და მისი საქმეა. არამედ იმიტომ, რომ ასეთი აურზაური ასტეხეთ ჩემს მამულში».

— და იცით, ივენ, — თქვა პაოლამ და თხრობა შეწყვიტა, — თუ მხოლოდ წმინდა ციფრობრივი მონაცემებით ვიტყვით, დიკს ძალუმს გაცილებით მეტ საყოფაცხოვრებო დრამას ჩასწვდეს ჩვენი საკუთარი მამულის შიგნით, ვიდრე ცხოვრების ორომტრიალში ჩაფლული დიდი ქალაქის მკვიდრი, საშუალო დონის ბელეტრისტი მწერალი. აი, თუნდაც მერძვევობის ფერმის ციფრობრივი მონაცემები. ყოველი მწველავისათვის არსებობს აღრიცხვა: ამა და ამ ძროხიდან ამდენი ლიტრი რძე დილით და ამდენი საღამოთი. დიკს არ სჭირდება პირადად იცნობდეს მწველავს. ვთქვათ, წველადობამ იკლო: «მისტერ პარკმენ, — გამოიძახებს დიკი მერძვევობის ფერმის მთავარ მმართველს და ჰკითხავს: ბარჩი პერატა ცოლიანია?»

«— დიახ, სერ».

«— ცოლთან უსიამოვნება აქვს?»

— «დიახ, სერ».

ან კიდევ «მისტერ პარკმენ, სიმპკინსი ჩვენი საუკეთესო მწველავი იყო, ახლა სხვებს ჩამორჩება, რა მოხდა?» პარკმენმა არ იცის. «გაიგეთ, თუ შეიძლება», — ავალეებს დიკი. «რალაც აწუხებს, სულიერი სიმშვიდე დაკარგა, მამაშვილურად მოელაპარაკეთ და შეიტყვეთ, რა ამბავია? როგორმე უნდა შევუმსუბუქოთ წუხილი». ჰოდა, მისტერ პარკმენიც იგებს საქმის ვითარებას. თურმე ნუ იტყვით, სიმპკინსის ვაჟს, სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტს, სწავლა მიუტოვებია, ღრეობისათვის მიუყვია ხელი, სიყალბისათვის ციხეშიც მოხვედრილა და სასამართლოს განაჩენის მოლოდინშია. დიკმა საქმე მაშინვე საკუთარ ვეჟილებს გადასცა. მათ საქმეები განიხილეს, სასჯელი შეუმსუბუქეს და ბიჭი თავდებით გაათავისუფლეს. სიმპკინსის მაჩვენებლებში კი კვლავ ძველი ციფრები აღდგა. მთავარი ის არის, რომ ჭაბუკი გამოსწორდა. დიკმა იგი საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ აიყვანა. ბიჭმა საინჟინრო ფაკულტეტი დაამთავრა და ახლა ისიც ჩვენთან მუშაობს ჭაობების ამომშრობაზე. თვეში დაახლოებით ას ორმოცდაათ დოლარს იღებს, დაოჯახდა და მომავალიც უზრუნველყოფილი აქვს. მამა კი ძროხების წველას განაგრძობს.

— თქვენ მართალი ხართ, — თანაგრძნობით ჩაიჩურჩულა გრეჰემმა. — ტყუილად კი არ შევარქვი «დიდი გული».

— მე მას ჩემს უძლეველ კლდეს ვუწოდებ. — გრძნობით წარმოთქვა პაოლამ. — ის ისეთი საიმედოა, მყარი და ყოველნაირი ქარიშხლის ამტანი! არა, თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ მას. იგი რწმენის კაცია, მკერდშემართული, ვერაფერი მოლუნავს, არასოდეს ფეხი არ დაუცდება, თითქოს ღმერთი სწყალობსო. დიახ, ღმერთი ყოველთვის წყალობდა, ცხოვრებას ჯერ არასოდეს წამოუჩოქებია... ჯერ კიდევ... დიახ, ჯერ კიდევ და მე... მე არ მინდოდა სწორედ ამის მოწმე გავმხდარიყავი. ეს გულს გამიპობდა

უთუოდ. — პაოლამ ხელი ივენის ხელს ოდნავ შეახო, მაგრამ ეს უნაზესი შეხება მხოლოდ თხოვნასა და ალერსს გამოხატავდა.

— მე ახლა მხოლოდ მისი ბედი მაძარდებს. აი, რატომ არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მე ხომ ჩემი გულისათვის არ ვაყოვნებ თუ ვყოყმანობ... მე რომ შემემდლოს ვუსაყვედურო რამე, ვთქვათ, არაკეთილშობილება, გონებაშეზღუდულობა ან სხვა ადამიანური სისუსტე, ან ერთი ნამცეცი უსამართლობა და უხამსობა! ცხოვრებას რომ ოდესმე მაინც წამოეჩოქებინა, რა ხანია თქვენ გვერდით ვიქნებოდი, მივატოვებდი, ჩემო ძვირფასო, და თუნდაც ქვეყნიერების კიდემდე ვივლიდი თქვენთან ერთად.

პაოლას თვალები უცებ ცრემლმა აუკიაფა. გრეკემი ხელის ალერსიანი შეხებით დააშოშმინა და საკუთარი თავის გასამხნეველად ისევ ძველი ამბის თხრობა განაგრძო:

«მისტერ სმიტ, თქვენს ფრჩხილდაც არა ღირს ამ ქალის მეუღლე, არც ჩემთვის და არც, საერთოდ, ამ ქვეყნისათვის. რა შეიძლება მასზე ითქვას? ბეჯითია. ცდილობს ყველაფერს ჩასწვდეს, მაგრამ გონიერი არ არის, არც ღონე და ძალა შესწევს. ერთი სიტყვით, საშუალო დონის მუშაა და მაინც იძულებული ვარ, თქვენ გაგათავისუფლოთ და არა ის. თუმცა მართალი გითხრათ, მეტისმეტად კი ვწუხვარ».

— რა თქმა უნდა, მან სხვაც ბევრი რამ თქვა, მაგრამ მე მხოლოდ მთავარი გადმოგეცით. ახლა შეგიძლიათ განსაჯოთ მისი სამართლიანობა და საკუთარი კანონმდებლობა, რომლის ერთგული რჩება მთელი თავისი ცხოვრებით. დიკი პიროვნებას აბსოლუტურ თავისუფლებას ანიჭებს. მისი აზრით, რასაც უნდა აკეთებდეს ადამიანი, არავის არ ეხება ამქვეყნად, სანამ იგი ადამიანთა იმ ჯგუფის ინტერესებს არ შელახავს, რომელთა შორისაც ცხოვრობს. დიკის აზრით, სმიტს უფლება აქვს, უყვარდეს ის ქალი და ქალმაც უთანაგრძნოს, რადგან ასე მოხდა. განა ერთხელ უთქვამს, სიყვარულს ძალით ვერავის მოახვევ და ვერც ვერავითარი ძალით შეაჩერებო. მე რომ თქვენ გამოგყვით ახლა, უდავოდ იტყვის: «დამილოცნიხართ, შვილნო ჩემნო». დიას, რადაც უნდა დაუჯდეს, ის მაინც ასე იტყვის, რადგან ფიქრობს, წარსული სიყვარულის უკან დაბრუნება შეუძლებელია. როგორც ხშირად უთქვამს ხოლმე, სიყვარულის თითოეული საათი მთელი სისავსით ნაზღაურდება. ორივე მხარე თავისას იღებს. სიყვარულში ანგარიშიანობა, მოთხოვნა და ვალი წარმოუდგენელია. სიყვარული ვედრებითა და თხოვნით, უბრალოდ, სასაცილოდ მიაჩნია.

— სრულიად ვეთანხმები, — განაცხადა გრეკემმა.

«შენ დამპირდი, რომ სიცოცხლის დასასრულამდე გეყვარებოდი», — აცხადებს შეურაცხყოფილი მხარე, თითქოს იგი მრავალდოლარიანი თამასუქი იყოს, წარდგენისთანავე რომ ამოიგება. დოლარები დოლარებია, მაგრამ სიყვარული ცოცხლობს ან კვდება და, თუ სიყვარული კვდება, მისი აღდგენა როგორღა მოხერხდება? ამ საკითხში ჩვენ ყველა ერთი აზრისანი ვართ და ყოველივე ნათელია. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და საკმარისია. რატომ უნდა ვიცადოთ თუნდაც ერთი ზედმეტი წუთი?

გრეკემი დაიხარა და ხელი კლავიშებზე დაწყო ბილ პაოლას თითებს შეახო. ჯერ მის თმას ეამბორა, შემდეგ ნელა თავისკენ შემოაბრუნა და ქალის გაპოზილ მორჩილ ბაგეს სულმოუთქმელად დაეწაფა.

— დიკს ისე არ ვუყვარვარ, როგორც თქვენ, — წარმოთქვა პაოლამ. — ასეთი გონდაკარგული მგზნებარებით არ მეტრფის. დიდი ხანია, მასთან ვარ და, ალბათ, შემეჩვია. სანამ თქვენ შეგხვდებოდით, ძალიან ხშირად, ხშირად ვფიქრობდი ამაზე და ვცდილობდი, გამომეცნო: ნეტა თავისი ძამული უფრო მეტად უყვარს თუ მე-მეთქი?..

— ეს ხომ სულ უბრალოდ გადაწყდება, — წარმოთქვა გრეკემმა. — საჭიროა მხოლოდ პატიოსნება! წავიდეთ, გავემგზავროთ! — გრეკემმა პაოლა ფეხზე წამოაყენა,

თითქოს ახლავე აპირებს გამგზავრებასო, მაგრამ პაოლამ უცებ უკან დაიხია. დაჯდა და ატკრეცილ სახეზე ხელები აიფარა.

— თქვენ არ გესმით ჩემი, ივენ... მე მიყვარს დიკი და ყოველთვის მიყვარება.

— მე? — იკითხა ეჭვით შემფოთებულმა გრეჰემმა.

— რა თქმა უნდა, — გაიღიმა პაოლამ. — თქვენ ერთადერთი მამაკაცი ხართ, დიკის გარდა, რომლის ათრთოლებული ბაგენიც ასეთი გრძნობით შემხებია და ან ვისთვისაც მე მიკოცნია. მომიტევეთ, მაგრამ არაფრის გადაწყვეტა არ ძალმიძს. იმ სამკუთხედს, როგორც თქვენ უწოდებთ ჩვენ დამოკიდებულებას, მე ვერ გადავწყვეტ. მე ამის ძალა არ შემწევს. გონების თვალთ მუდამ ერთმანეთს გადარებთ, გაფასებთ და გწონით. წარმოვიდგენ დიკთან ერთად განვლილ ცხოვრებას და გულს ვეკითხები... მაგრამ არ ვიცი, დიახ, არ ვიცი, რა უნდა გადავწყვიტო. თქვენ დიდი ადამიანი ხართ და დიდ გრძნობასაც მაზიარებთ, მაგრამ დიკი თქვენზე დიდებულია... თქვენ უფრო მიწიერი ხართ, არ ვიცი, როგორ გამოვთქვა, თითქოს უფრო ჰუმანურიც. ამიტომ მიპყრობს ასეთი თავბრუდამხვევი და უფრო ძლიერი სიყვარული თქვენდამი. თუ ვერ მივმხვდარვარ და ეს მხოლოდ მეჩვენება.

— მომითმინეთ, — წარმოთქვა პაოლამ და მისკენ საალერსოდ წამოწეული ხელები შეაჩერა, — ჯერ ყველაფერი არ მითქვამს. მე ვიხსენებ მთელს ჩემს წარსულ ცხოვრებას დიკთან. სრულიად ნათლად წარმომიდგენია, როგორია ის დღეს და როგორი იქნება ხვალ... მე არ შემიძლია იმის გაფიქრებაც კი, რომ ვიღაც შეიბრალებს ჩემს მეუღლეს... რომ თქვენც შეიბრალებთ მას. ან როგორ არ შეიბრალებთ, როცა გიცხადებთ, თქვენ უფრო მეტად მიყვარხართ-მეთქი... აი, რატომ არაფერში არა ვარ დარწმუნებული. რატომ მიმაქვს ყოველივე უკან, რასაც ვამბობ... და არაფერი არ ვიცი საერთოდ...

— დიახ, სირცხვილისაგან მოვკვდები, რომ ჩემ გამო ვინმემ დიკი შეიბრალოს! ჭეშმარიტებას მოგახსენებთ! ამაზე საშინელი რამ ვერ წარმომიდგენია! ეს ხომ მისი დამცირება იქნება. სხვისი შესაბრალისი იგი არასოდეს ყოფილა. დიკი ყოველთვის მხიარული, ბედნიერი, თავისთავში ღრმად დარწმუნებული, შეუვალი და გამარჯვებული იყო. მთავარი ის არის, რომ მას არასოდეს დაუმსახურებია სიბრალეულის ეს მდაბალი გრძნობა. ახლა ჩემი... და თქვენი მიზეზით, ივენ.

პაოლამ გრეჰემის ხელი უხეშად მოიცვალა.

— ...ყოველივე, რასაც ჩვენ ჩავდივართ, თითოეული თქვენი შეხება, სიბრალეულის აშკარა საბაბია. ნუთუ ვერ ამჩნევთ, რარიგ მაბნევს ეს ყველაფერი? გარდა ამისა... მეც მაქვს საკუთარი სიამაყე. თქვენ ამჩნევთ და ხედავთ, რომ მე არაკეთილსინდისიერად ვიქცევი მის მიმართ... თუნდაც ასეთ წვრილმანებშიაც, — პაოლამ კვლავ მოძებნა მისი ხელი და თითების ნაზი შეხებით ალერსი დაუწყო. — ეს კი შეურაცხყოფს ჩემს სიყვარულს თქვენდამი, ამცირებს მას. არ შეიძლება არ დავმცირდე თვითონ მეც თქვენს თვალში. მე ვცახცახებ იმის გახსენებაზე, რომ, აი, თუნდაც ეს, — პაოლამ ივენის ხელი ლოყაზე მიიდო, — თქვენ უფლებას გაძლევთ, შეიბრალოთ დიკი და გამკიცხოთ მე.

პაოლა აოკებდა გრეჰემის წყურვილს, მოფერებოდა მის უმშვენიერეს ღაწვს, მერე თითქოს თავისდაუნებურად ჩამოიცილა ლოყაზე მიდებული გრეჰემის ხელი, დიდხანს გრძნობამორეული აკვირდებოდა და ბოლოს ხელისგულზე ეამბორა მთელი გატაცებით. რამდენიმე წამიც და ივენმა ქალი მთელი ძალით მიიზიდა და თავდავიწყებით გულში ჩაიკრა...

— აი, ხედავთ, — წარმოთქვა პაოლამ ყვედრების ტონით, როცა გრეჰემის მკლავებს თავი დააღწია.

— მაინც რატომ მიყვებით ყოველივე ამას? — ჰკითხა ერთხელ გრეჰემმა, როცა სეირნობისას მათი ცხენები გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ. — რომ მოშორებით გყავდეთ? რომ ჩემგან თავი დაიკავათ, არა?

პაოლამ თავი დაუქნია და სწრაფად დაუმატა:

— არა, სულ ასე არ არის. კარგად უწყით, რომ თქვენი შორს ყოფნა დიდი ხნითა და დიდი მანძილით არ ძალმიძს. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ დიკი ერთთავად ჩემი ფიქრების მფლობელია. თორმეტი წელია, მხოლოდ მასზე ფიქრი და ოცნება განაგებდა ჩემს გონებას და ახლაც განუწყვეტლივ მასზე ვფიქრობ. აბა დაფიქრდით, რა მდგომარეობა შეიქნა! თქვენ დაშალეთ, დაარღვიეთ იდეალური ოჯახი!

— ვიცი, — უპასუხა გრეჰემმა. — დამანგრეველისა და დამრღვევის როლი სრულიად არ მხიბლავს. თქვენ მაიძულებთ, ეს როლი ვითამაშო. იმის მაგიერ, რომ დროზე გამომყოლოდით და გავცლოდით აქაურობას. რა ვქნა, რა ვიღონო? ყოველნაირად ვცდილობ, დაგივიწყოთ, არ ვიფიქრო თქვენზე. დღეს დილით ნახევარი თავი დავწერე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მხოლოდ უსარგებლო შრომა გავწიე. ყოველივე თავიდან იქნება დასაწერი, რადგან არ ძალმიძს, თქვენზე არ ვიფიქრო. აბა, რა სახსენებელია სამხრეთ ამერიკა და მისი ეთნოგრაფია თქვენთან შედარებით. როდესაც გვერდითა ხართ, ხელები და ბაგენი ჩემდაუნებურად თქვენს საამბორად მანამ მოიწევენ, ვიდრე გავიაზრებდე, რას ჩავდივარ. ღმერთია მოწამე, სურვილს არ ვეწინააღმდეგები. თქვენც გასურთ, ვატყობ, ასე მოვიქცე. ნუ, ნუ უარყოფთ ამას!

პაოლამ სადავე მოზიდა, რომ ცხენი გაექროლებინა, მანამ კი მაცდური ღიმილით დაუმატა: — დიახ, მსურს ასე მოიქცეთ, ჩემო ძვირფასო, ჩემი ოჯახური ბედნიერების დამანგრეველო!

პაოლა კიდევ მორჩილებდა და კიდევ ეურჩებოდა.

— მე მიყვარს ჩემი მეუღლე, არ დაგავიწყდეთ, — აფრთხილებდა იგი გრეჰემს, რომელიც იმავე წუთს ქალს თავის ძლიერ მკლავებში იქცევდა.

— ოჰ, მადლობა ღმერთს, ძლივს სამნი დავრჩით! — წამოიძახა პაოლამ. დიკს და გრეჰემს ხელი ჩაჰკიდა და დიდ ოთახში, დიკის საყვარელ დივანთან მიიყვანა. მოდი, დავსხდეთ და ერთმანეთს ვუამბოთ უძლეველ მეფეთა სიკვდილის სევდის აღმძვრელი ამბები. მოდით, ბატონებო, სახელგანთქმულნი დიდებულნი, და ვისაუბროთ არმაგედონელთა ბრძოლაზე, თუ როგორ ჩაესვენა უკანასკნელი დღის მზე.

პაოლას უჩვეულო სიხარული დაუფლებოდა. დიკმა განცვიფრებით შეხედა, როცა ქალმა სიგარას მოუკიდა. დიკს შეეძლო თითებზე ჩამოეთვალა თორმეტი წლის განმავლობაში ყველა შემთხვევა, როდესაც პაოლამ სიგარეტი მოსწია. რასაც, საერთოდ, მხოლოდ და მხოლოდ ზრდილობის გამო სჩადიოდა, რომელიმე პაპიროსის მწვეველი სტუმარი ქალისათვის პატივი რომ ეცა და ესამოვნებინა. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც დიკმა ყინულიანი სოდისა და ვისკის ნარევი ჩამოასხა თავისთვის და გრეჰემსაც შესთავაზა, პაოლამ კვლავ განაცვიფრა: დიახ, ქალმა ერთი ჭიქა ვისკიც მოითხოვა.

— იცოდე, ეს შოტლანდიურია, — გააფრთხილა დიკმა.

— ოჰ, არა უშავს, სულ ცოტა მაინც დამისხი, — დაჟინებით მოითხოვდა პაოლა. — მერე სამი კეთილი მეგობრის მსგავსად მოვყვეთ ცისა და ბარის ამბებს. საუბრის დასასრულს კი «ვალკირიების სიმღერას»<sup>1</sup> (1 ვალკირიები — უძველესი სკანდინავიური მითოლოგიით, მეზრძოლი ქალღმერთები, გმირთა დამხმარენი.) შევასრულებ.

პაოლა ჩვეულებრივზე მეტს ლაპარაკობდა: ყოველნაირად ცდილობდა მეუღლის ყველა ბრწყინვალე უნარი გამოეაშკარავებინა. დიკმა ეს შენიშნა, მაგრამ გადაწყვიტა ამჯერად მის საოცარ ნებას დამორჩილებოდა და ოქროსთმიან მზის სამსხვერპლოდ შეწირულთა თემაზე იმპროვიზირება დაიწყო.

«დიკის სრულყოფილების ჩვენება სურს», — გაიფიქრა გრეჰემმა. თუმცა, არა მგონი, პაოლას გაჯიბრება სდომებოდა. ქალი სიამით აღვსილი შეჰყურებდა ბუნების ამ ორ სრულყოფილ შვილს, მთელი არსებით რომ მას ეკუთვნოდნენ.

საუბარი ნადირობას შეეხებოდა, «ჰო, ნადირობისას ყვებიან, დიდი ნადირობისას, — გაიფიქრა პაოლამ, — მაგრამ განა ოდესმე რომელიმე პაწაწინა არსებას ხვდომია წილად ასეთი ჩინებული ნანადირევი ეგდო ხელთ, როგორც ესენი არიან?»

პაოლა დივანზე ფეხმოკეცილი იჯდა და კარგად ხედავდა ღრმა სავარძელში მოხერხებულად მჯდომ გრეჰემს, დიკი კი იქვე მასთან, ბალიშებს შორის, დივანზე, ნებიერად გაწოლილიყო. მამაკაცები საუბრობდნენ, პაოლა კი მზერას ხან ერთს მიაპყრობდა და ხან მეორეს. მერე, როდესაც მამაკაცები ცხოვრების ჭიდილსა და ბრძოლაზე, როგორც ჭეშმარიტ რეალისტებს სჩვევიათ, ცივად და საღად მსჯელობდნენ, პაოლას ფიქრებიც იმავე დინებით წარიმართა. მას ახლა უკვე სრულიად აუღელვებლად, სულის მომშთობი სიბრალულის გარეშე შეეძლო დიკისათვის ემზირა.

პაოლა ამაყობდა მეუღლით, — ანდა ამქვეყნად რომელი ქალი არ იამაყებდა ასეთი თვალტანადი, წარმოსადეგი, სრულქმნილი მამაკაცით, — მაგრამ სიბრალულით კი უკვე აღარ ებრალებოდა. ისინი მართალნი არიან, ცხოვრება — თამაშია. ცხოვრებისეულ მეტოქეობასა თუ ბრძოლაში მხოლოდ მოხერხებულნი, მხოლოდ ძლიერნი იმარჯვებენ. განა ორივეს ცოტაჯერ მოუხდა ასეთ ბრძოლებსა და პაექრობაში მონაწილეობა? მამ თვითონ რატომ არ უნდა ჩაებას ამ საერთო ფერხულში? და რაც უფრო დაკვირვებით შეჰყურებდა მოსაუბრეთ, მით უფრო მეტად გრძნობდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობას.

ისინი ხომ თავის დროზე განდევილი მეუღლები არა ყოფილან. რა თქმა უნდა, მაშინ სრულ თავისუფლებასაც ანიჭებდნენ საკუთარ თავს და მერე, როგორც მაცდუნებელი, იდუმალი ჩვენებანი, ისე შეიჭრნენ მის სულსა და არსებაში. მათ ხომ ისეთი დღეები და ღამეები აქვთ გატარებული, როგორც პაოლას მსგავს ქალებს სასტიკად ეკრძალებათ. რაც შეეხება პირადად დიკს, მას ამქვეყნად ხეტიალისას უამრავ ქალთან ჰქონია ურთიერთობა. პაოლასაც ბევრი ფარული მითქმა-მოთქმა სმენია. მამაკაცი მამაკაცად რჩება მუდამ. განსაკუთრებით ისეთნი, როგორც ეს ორნი არიან. ანაზდეულად პაოლას მთელ სხეულზე თითქოს ცეცხლი წაეკიდაო, ეჭვიანობის უსიამო გრძნობამ დარია ხელი იმ, შემთხვევით, უცნობ ქალთა გახსენებაზე და საშინლად აღშფოთდა.

«მათ ისე განვლეს წუთისოფელი, როგორც სურდათ», — მოაგონდა უცებ კიბლინგის ერთი სტრიქონი.

— სიბრალული? რატომ უნდა შეიბრალოს ისინი უფრო მეტად, ვიდრე მას შეიბრალებენ? მთელი ეს ამბავი იმდენად დიდი და სტიქიურია, რომ აქ სიბრალულისათვის ადგილი არ რჩება. სამივე გასაოცარ დიდ თამაშში მონაწილეობს და ერთ-ერთი უნდა დამარცხდეს. საკუთარი ოცნებით გატაცებული პაოლა უკვე ხატავდა თამაშის მოსალოდნელ დასასრულს. ჩვეულებრივ, მას შიშის ზარს სცემდა ასეთ დასასრულზე ფიქრი, მაგრამ ახლა ერთმა ჭიქა ვისკიმ შეჰმატა გამბედაობა და უცებ შემაძრწუნებელი დასასრული წარმოუდგა თვალწინ. ყველაფერს თითქოს ნისლით შებურულს ჰვრეტდა, მაგრამ რაოდენ შემაძრწუნებელი ჩანდა იგი...

გონს დიკის ხელმა მოიყვანა, მის თვალწინ რომ ატრიალებდა, თითქოს რაღაც მოჩვენებას არიდებო.

— ოცნებაში წახვედი თუ მოგელანდა რამე? — თითქოს გამოჯავრებით შეეკითხა დიკი და პაოლას მზერის დაჭერას შეეცადა.

დიკს თვალები უცინოდა, მაგრამ პაოლამ მაინც შენიშნა რაღაც ისეთი, რამაც აიძულა, გრძელი წამწამები მოკრძალებით დაბლა დაეხარა. დიკმა ყოველივე იცოდა, ამაში ეჭვის შეტანა უკვე შეუძლებელი იყო. პაოლა მიხვდა, რომ გონების თვალთ დიკს სინამდვილე განეჭვრიტა. დიახ, სწორედ ეს გახლდათ თვალის დახრის მიზეზი.

— «ცინტია, ცინტია მომელანდა!» — მხიარულად ჩაუმღერა პაოლამ, და როდესაც დიკმა შეწყვეტილი საუბარი განაგრძო, პაოლა დაუცლელ სასმისს მისწვდა და ერთი ყლუპი ვისკი მოსვა.

— დაე, რაც მოსახდენია მოხდეს, — ჩაილაპარაკა მან თავისთვის, — თამაში უსათუოდ უნდა დაასრულოს. თუმცა ეს წმინდა წყლის უგუნურებაა. მაგრამ ცხოვრება ეს ყოფილა. პაოლა კი ცხოვრობს. ასე სავსედ მას არასოდეს უცხოვრია. დიახ, ღირდა ჩიტი ბდღვნად, რა საზღაურიც არ უნდა გაიღოს შემდეგ. სიყვარული? განა მას ოდესმე ისეთი გრძნობით უყვარდა დიკი, როგორც ახლა გრეჰემი? იქნებ, მთელი ამ წლების განმავლობაში მხოლოდ ალერსსა და სითბოს მიიჩნევდა სიყვარულად. პაოლამ გრეჰემს შეხედა და თვალებში თითქოს ცეცხლის ნაპერწკლები აუკიაფდნენ: დიახ, გრეჰემმა დაიპყრო იგი ისეთნაირად, როგორადაც დიკმა ვერ შეძლო.

მაგრამ სასმელს სრულიად შეუჩვეველ პაოლას გული უჩვეულოდ უცემდა. დიკი თვალს არიდებდა, თითქოს შემთხვევით გადახედავდა ხოლმე, მაგრამ ცხადად გრძნობდა, რატომ უკიაფებდა თვალები, რატომ ვარვარებდა მისი ღაწვნი თუ ბაგენი.

დიკმა ნელ-ნელა ლაპარაკს უკლო და, თითქოს შეთანხმდნენო, საუბარიც შეწყდა.

მერე საათს დახედა, წამოდგა, დაამთქნარა და განაცხადა:

— ძილის დროა. თეთრკანიანი ბევრს ფიქრობს და ძილისათვის დრო ცოტა რჩება. რას იტყვი, ერთიც დამინებამდე გადავკრათ, ივენ?

გრეჰემმა თავი დაუქნია: ორივე გრძნობდა გამხნეების აუცილებლობას.

— თქვენ რას გვირბმანებთ, მისის ტოპერ, გეძინებათ, თუ თქვენც სასმელი გასურთ? — შეეკითხა დიკი მეუღლეს.

მაგრამ პაოლამ თავი გაუქნია; როიალს მიუახლოვდა და ნოტების ალაგება დაიწყო. მამაკაცებმა სასმელი მოიმზადეს.

გრეჰემმა როიალი დახურა. დიკი უკვე კართან იდგა. ხოლო როდესაც სამივემ დარბაზი დატოვა, იგი რამდენიმე ნაბიჯით წინ აღმოჩნდა. პაოლას თხოვნით გრეჰემი სინათლეებს აქრობდა ყველა ოთახში, რომელსაც კი გაივლიდნენ.

იმ ადგილას, სადაც გზები იყრებოდა და ივენი კომპისაკენ გასწევდა, დიკი შედგა. გრეჰემმა უკანასკნელი, ერთადერთი სინათლეც ჩააქრო.

— ოჰ, ეგ არ უნდა ჩაგექრო... სულელო, — შემოესმა დიკს პაოლას ხმა. — ეს ხომ მთელ ღამეს გვინთია.

დიკს მეტი აღარაფერი გაუგონია, სიბნელეში მღელვარებამ ისე დარია ხელი, სისხლი აუვარდა თავში. თავზედი დაიწყევლა, გაახსენდა, როგორ გადაეხვეოდა ხოლმე მეუღლეს ასეთ დროს და ახლა სრულიად ცხადად წარმოიდგინა, რაც მოხდა სიბნელეში, ვიდრე ნათურა კვლავ აინთებოდა.

როდესაც წამოეწივნენ, დიკს ძალა არ ეყო, მათთვის პირდაპირ შეეხედა. არ სურდა საკუთარი თვალთ ეხილა პაოლას მართლად მეტყველი თვალების დახრილ

წამწამთა ქვეშ შემალვა. ის განგებ აყოვნებდა სიგარეტის ანთებას, ხელში ჭმუჭნიდა და თავს იმტვრევდა სრულიად ჩვეულებრივი, გამოსამშვიდობებელი სიტყვების მოსანახად.

— როგორ მიდის წიგნის საქმე? რომელ თავს წერ ახლა? — დაადევნა კითხვა მიმავალ გრეჭემს და სწორედ ამ დროს პაოლას ხელის შეხებაც იგრძნო.

პაოლამ დიკს ხელი ჩაჰკიდა და მეუღლის ხელს თავის ნებაზე წინ და უკან აქნევდა. თან, თითქოს მიხტისო, ცელქ გოგონასავით დაუსრულებლად ტიტინებდა. დიკი ამ დროს იმაზელა ფიქრობდა, რა ხრიკს მიმართავდა პაოლა იმ ღამეს, გამოსამშვიდობებელი კოცნის ასაცდენად. იმ კოცნის, რომელსაც აი, უკვე რამდენი ხანია მოხერხებულად თავს არიდებდა.

ჩანდა, ვერ მოასწრო რაიმეს მოგონება, თუმცა ისინი უკვე იმ ადგილას იყვნენ, სადაც მათი გზები იყრებოდა. პაოლა კი მის ხელს კვლავ უჩვეულო ხალისით აქნევდა და რაღაც სახუმარო ამბებს ჰყვებოდა. ამასობაში დიკის სამუშაო ოთახს მიადგნენ. აქ დიკს გამძლეობამ უმტყუნა. მას აღარც ძალა შესწევდა და არც ნებისყოფა, რომ კვლავ დალოდებოდა, რა ახალ ფანდს მოიგონებდა მისი მეუღლე. ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს რაღაც მოაგონდაო: საწერ მაგიდამდე ხელჩაკიდებული მიიყვანა, იქვე, რომელიღაც წერილს წამოავლო ხელი და წარმოთქვა:

— ჩემს თავს სიტყვა მივეცი, დილით პასუხი პირველივე მანქანით გავაგზავნო. — მერე დიქტოფონის ღილაკს ხელი შეახო და კარნახი დაიწყო.

ერთი წუთი პაოლას კიდევ ეჭირა მისი ხელი. მერე დიკმა იგრძნო მისი თითების ისეთი შეხება, როგორც გამომშვიდობებისას სჩვეოდა ხოლმე და ჩურჩულიც გაიგონა:

— ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა, ჩემო პატარა, — უპასუხა დიკმა თავისდაუნებურად და თან კარნახი განაგრძო, თითქოს პაოლას ოთახიდან გასვლა ვერც შეამჩნიაო.

მუშაობდა მანამ, ვიდრე არ შეწყდა თავისი სამფლობელოსკენ მიმავალი პაოლას ფეხის ხმა.

თავი ოცდამერვე

მეორე დილით, როდესაც დიკი ბლეიკს წერილებზე პასუხს კარნახობდა, რამდენჯერმე ღამის შეწყვიტა კარნახი. ჯანდაბას მთელი ეს მიმოწერაო, — ფიქრობდა გუნებაში, — თან კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა ეს სიტყვები.

— ნახეთ ჰენესი და მენდენჰოლი, — მიმართა მან ბლეიკს. როდესაც ამ უკანასკნელმა ქაღალდები შეაგროვა და წასასვლელად წამოდგა. — ისინი ულაცებთან თავლაში იქნებიან და გადაეცით, ამ დილით საჭირო არ არის მათი მოსვლა, ხვალ გამოცხადდნენ ადრიანად.

სწორედ ამ დროს ბონზრაიტი გამოჩნდა დიკისა და საქმეთა მმართველის ერთსაათიანი საუბრის ჩასაწერად გამზადებული.

— იცით, კიდევ რა, — გასძახა დიკმა მიმავალ მისტერ ბლეიკს, — ჰკითხეთ ჰენესის, როგორ არის ბესი. გუშინდამ ძალიან ცუდად იყო საწყალი ბებერი ფაშატი, — აუხსნა დიკმა ბონზრაიტს.

— მისტერ ჰენლის სურს გნახოთ და დაუყოვნებლივ მოგელაპარაკოთ, მისტერ ფორესტ, — წარმოთქვა ბონზრაიტმა, მაგრამ როდესაც შენიშნა მისი პატრონის გაკვირვებით აზიდული წარბები, დაუმატა: — ეს ბიუკეის კაშხალს შეეხება. ამბობენ, იქ

რაც გეგმის მიხედვით ვერ კეთდებაო... როგორც ჩანს, დიდი შეცდომაა დაშვებული...

დიკი იძულებული გახდა, მთელი საათი მამულის საქმეზე ემსჯელა და ესაუბრა თავის მმართველებსა და ხელოსნებთან.

ცხვრის დაბანა-დასუფთავების საკითხზე უორდმენტან ცხარე კამათის დროს დიკი წამოდგა და ფანჯარას მიუახლოვდა. მისი ყურადღება წამომახილებმა, ცხენების ფლოქვთა თქარათქურმა და პაოლას კისკისმა მიიპყრო.

— გამოიყენეთ მონტანას მოხსენება, რომლის ასლსაც დღესვე გამოგიგზავნით, — განაგრძობდა დიკი და თან გარეთ იყურებოდა, — როგორც იქ გამოარკვიეს, ეს სამკურნალო საშუალება დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა. ის უფრო დამაწყნარებელია, ბაქტერიას კი ვერ სპობს. მისი ზემოქმედება მაინცდამაინც შედეგიანი არ არის.

ფანჯარას ოთხმა მხედარმა ჩაუქროლა. დიკმა თავის ორ ძველ მეგობარს შორის პაოლაც შენიშნა. ერთი მხატვარი მარტინესი იყო, მეორე კი მოქანდაკე ფროელინგი, დილის მატარებლით რომ ჩამოსულიყვნენ. პაოლა ორივეს მხიარულად ესაუბრებოდა, მეოთხე სელიმზე ამხედრებული გრეჰემი გახლდათ. იგი მათ ოდნავ ჩამორჩებოდა, მაგრამ დიკმა ცხადად იგრძნო, რომ მალე ისინი წყვილებად დაცალკევდებოდნენ.

საათმა ის იყო თერთმეტი დარეკა; გულჯავრიანი დიკი ადგილს ვერ პოულობდა, საოცარი უგუნებობა მოეძალა და სიგარეტით ხელში დიდ ეზოში ჩავიდა. ირგვლივ მიმოიხედა. ყველაფერი მოწმობდა, რომ პაოლას ოქროს თევზები სულ მთლად უმეთვალყუროდ იყვნენ დიდი ხანია მიტოვებული. ამ თევზების შემყურე დიკს სასახლის შიდა, პაოლას საკუთარი ეზო გაახსენდა, სადაც შადრევნის ქვეშ სხვა აუზი ჰქონდათ გამართული. იქ ხომ პაოლას ყველაზე იშვიათი და ულამაზესი თევზები ჰყავდა. გადაწყვიტა ისინიც მოენახულებინა და გზა განაგრძო. უსახელო კარებს საკუთარი გასაღებით აღებდა და ისეთ გზებსა და გასასვლელებს მიუყვებოდა, დიკის გარდა მხოლოდ პაოლასა და მისი პირისფარეშთათვის რომ იყო ცნობილი.

პაოლას ეს შიდა ეზო ფორესტის ერთ-ერთი შესანიშნავი საჩუქართაგანი გახლდათ ახალგაზრდა მეუღლისადმი უსაზღვრო სიყვარულის ნიშნად, რამაც პაოლას ერთ დროს უდიდესი სიხარული არგუნა. ეს ყოველივე მხოლოდ შეყვარებული კაცის გულუხვობითა და ასეთი მეფური შემოსავლის წყალობით შეიძლებოდა შექმნილიყო. დიკმა ყოველგვარი შესაძლებლობა შეუქმნა პაოლას, საკუთარი გემოვნებით მოეწყო ეზო. ამასთანავე, დაჟინებით მოითხოვდა, არავითარი ხარჯის წინაშე არ დაეხია, შეესრულებინა თავისი ყველა ახირებული თუ უცნაური სურვილი. დიკის უდიდეს სიამოვნებას იწვევდა თავის ყოფილ მეურვეთა უკმაყოფილება, პაოლას საბანკო წიგნაკზე აურაცხელი თანხის გაცემის გამო. პაოლას ეზოს არავითარი კავშირი არა ჰქონდა დიდი სახლის არქიტექტურულ გეგმასთან. ამ უზარმაზარი შენობის შიგნით შემალულს არ შეეძლო მისი გარე ხედი, ასამბლური მთლიანობა ან სილამაზე დაერღვია. ძალიან იშვიათად თუ ვინმეს ექნებოდა ბედნიერება, ეხილა ეს შესანიშნავი ადგილი. შიგ შესვლის უფლება მხოლოდ პაოლას დებს ჰქონდათ. ზოგჯერ, ისიც იშვიათად, ვინმე გამოჩენილ მხატვარ სტუმარს თუ გაუღიმებდა ბედი. გრეჰემს განაგონი ჰქონდა ამ ეზოს არსებობა, მაგრამ პაოლას მისთვისაც კი არ შეუთავაზებია მისი დათვალიერება.

ეზო მრგვალი იყო, პატარა, არ იგრძნობოდა სივრცის სიციველით შექმნილი სიცივე, როგორც ეს საერთო ეზოთა უმეტესობისთვის არის დამახასიათებელი. სახლი ფერადოვანი ბეტონით იყო ნაშენი. თვალი ისვენებდა რბილი ფერების მარმარილოს უზადო შერწყმით. ეზო ჩუქურთმიანი, თეთრი მარმარილოს თაღებით იყო შემორკალული, რომელთაც მქრქალი ზურმუხტისფერი გადაჰკრავდა მზის თვალისდა-

მაზრმავებელ სხივთა ციალის გასანელებლად. მარმარილოს მაღალ სვეტებს ბაცი წითელი ვარდის რტოები ეხვეოდა გარს და ბრტყელ, დაბალ სახურავზე იხლართებოდა. სახურავის კიდეები პირმლიმარ, სიცოცხლით აღსავსე უბედნიერეს ჩვილ ყრმათა გამოსახულებებით შეემკოთ, კბილდახრჭენილ მახინჯი ქიმერების მაგიერ; დიკი თაღებქვეშ ვარდისფერ მარმარილოს ფილაქანზე აუჩქარებლად მიმოდიოდა. მის სულში ნელ-ნელა იჭრებოდა ამ სწორუპოვარი ადგილის მშვენება და გულშემფოთებულს მაღამოდ ეცხებოდა და ამშვიდებდა.

ამ ადგილის სული და გული თვალწარმტაცი შადრევანი გახლდათ, რომელსაც სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებული, მაგრამ ერთმანეთს დაკავშირებული თეთრი მარმარილოთი ნაგები, ნიჟარასავით გამჭვირვალე აუზი ეკვროდა. თითოეულ მათგანს ვარდისფერი მარმარილოს ქანდაკებანი, უმშვენიერეს ყრმათა ნატურალური სიდიდის გამოსახულებანი შემოხვეოდნენ გარს... ზოგი ოდნავ დახრილი წყალში იყურებოდა, ერთი ხარბად იშვერდა ფუნჩულა ხელს ოქროს თევზებისაკენ; მეორე იწვა ზურგზე და ზეცას შესცინოდა; ერთ მათგანს ფაფუკი მსუქანი ფეხები განზე გაედგა და იზმორებოდა: ვინ წყალში ჩამდგარიყო, ვინ კი წითელსა და თეთრ ვარდებში თამაშობდა, მაგრამ ყოველი მათგანი, ასე თუ ისე, მაინც შადრევნის განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა; მარმარილოს ფერი ისე მარჯვედ იყო შერჩეული და ისე ბუნებრივად ნაქანდაკევი, რომ მთელი ანსამბლი ცხოვრებისეულ ჭეშმარიტ სურათს ქმნიდა.

დიკი ღიმილით შესცქეროდა ამ ვარდისფერ გამოსახულებათა მხიარულ თავყრილობას. ჩამქრალი სიგარეტის ნამწვი ისევ ხელში ეჭირა და მათ წინ გაუნძრევლად იდგა. «აი, რა იყო პაოლასათვის საჭირო, — გაიფიქრა მან, — ბავშვები, პატარები. მერე როგორი გატაცებით უყვარს ისინი! ეჰ, ბავშვები რომ ჰყოლოდა...» დიკმა მძიმედ ამოიოხრა, მერე სრულიად ახალმა ფიქრმა შეძრა მისი გონება და პაოლას საყვარელ ადგილს გახედა, თუმცა წინასწარ გული უგრძნობდა, რომ იქ ლამაზად მიმოზნეულ სახელსაქმო ნივთებსა და საკერავს ვერ იხილავდა. ბოლო დღეებში პაოლა ხელს არ აკარებდა ხელსაქმეს.

დიკმა აღარ ისურვა თაღების უკან პატარა გალერეაში შესვლა, სადაც მისი საყვარელი სურათები და გრავიურები ეკიდა. იქვე იყო ევროპის მუზეუმებში გამოფენილი მარმარილოსა და ბრინჯაოს ქანდაკებათა ასლები. დიკი კიბეს შეუყვავა და გამარჯვების ქალღმერთ ნიკეას თვალწარმტაც ქანდაკებას ჩაუარა, რომელიც კიბისავე ბაქანზე სწორედ იმ ადგილას იდგა, სადაც კიბე ორად იყოფოდა და ზევით მიემართებოდა, ერთი პირდაპირ პაოლას სამყოფელში შედიოდა, რომელსაც სასახლის მთელი ზედა სართულის ფრთედი ეკუთვნოდა. დიკი ფრთოსანი ქალღმერთის წინ წუთით შედგა და დაბლა, ამ ზღაპრული სილამაზის ეზოს გადახედა. მაღლიდან იგი ფერთა უჩვეულო შერწყმითა და გარეგნული ფორმით უძვირფასესსა და უმშვენიერეს თვალს წააგავდა. დიკი თავს გამოუტყდა, რომ ის აუარებელი თანხა, რაც ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად იყო საჭირო, თუმცა მან გაიღო, მაგრამ თვით ჩანაფიქრი პირადად პაოლას ეკუთვნოდა და მის საკუთარ შედეგს წარმოადგენდა. პაოლა ოცნებობდა ასეთი ზღაპრული მშვენების ეზოზე და დიკმა მისი ოცნება განახორციელა. ახლა კი, — განაგრძობდა ფიქრს დიკი, — იგი უკვე აღარაფერს წარმოადგენდა მისთვის და, ცხადად ჩანდა, სრულიად მიევიწყებინა კიდეც. დიკი კარგად იცნობდა პაოლას, ანგარება შორს იყო მის სათუთ სულთან და თუ თვითონ ვერ შეძლებდა პაოლას გრძნობათა მოთოკვას, ეს მაცდუნებელი სათამაშოები, რაოდენ ძვირფასიც უნდა ყოფილიყო, ვერასოდეს დააცხრობდა ამ მგრძნობიარე ამაყი სულის ძახილს.

დიკი უმიზნოდ დაეხეტებოდა პაოლას ოთახებში. გარკვევით თითქმის ვერაფერს ამჩნევდა, მაგრამ რაზედაც თვალს შეაჩერებდა, სიყვარულით ელოლიავებოდა

და დიდხანს თვალმოუშორებლად ათვალიერებდა. თითოეული ნივთი ან საგანი, რომელიც მის მეუღლეს ეკუთვნოდა, პატრონის საოცარ წესრიგიანობასა და განსაკუთრებულობაზე მეტყველებდა. მერე, როდესაც სააბაზანოში შეიხედა, მისმა მახვილმა მზერამ მაინც შენიშნა, რომ დაბალი, რომაული პირისფერი აბაზანის ონკანიდან წყალი მოჟონავდა და გუნებაში გადაწყვიტა, დღესვე ეხმო ოსტატისათვის.

დიკმა, ჩვეულებისამებრ, პაოლას მოღებრტსაც გადახედა, სრულიად არ მოელოდა ახალი ნამუშევრის ხილვას, მაგრამ მოტყუვდა. თვალწინ საკუთარი პორტრეტი აღმოჩნდა. დიკი კარგად იცნობდა პაოლას წერის მანერას, — პოზასა და მთავარ კონტურებს. იგი ყოველთვის ფოტოგრაფიული სურათიდან იღებდა, მერე კონტურს საკუთარი მეხსიერების საფუძველზე ავსებდა და ასრულებდა. ახლა, მართლაც, საუცხოო მომენტალური ფოტოსურათით ესარგებლა: დიკი ცხენზე იჯდა. ალბათ, მხოლოდ ერთადერთხელ და ისიც ერთი წუთით შეძლო მან «დაუდეგარის» მშვიდად გაჩერება. დიკს ხელში ქუდი უჭირავს, თმა ნიავს სასიამოვნოდ აუშლია, სახის გამომეტყველებაც სრულიად ბუნებრივი აქვს, ეტყობა, არ იცოდა, სურათს რომ უღებდნენ, თვალეზი პირდაპირ კამერისათვის მიუპყრია. არც ერთ ფოტოგრაფს არ შეეძლო ასეთი მსგავსებისათვის მიეღწია. პაოლას ფოტო გაუდიდებია და ახლა ისე ხატავდა. სურათი უკვე აღარ იყო ფოტოგრაფიული, დიკმა ცხადად შეიცნო პაოლას ხატვის დამახასიათებელი ნიშნები.

უცებ საოცრად შეკრთა და მეტისმეტი დაკვირვებით დაუწყო სურათს სინჯვა. განა ეს მისი თვალების ან სახის გამომეტყველება იყო? კვლავ ფოტოგრაფიულ პორტრეტს გადახედა, — აქ ისეთი არაფერი ჩანდა. დიკი გულგრილი გამომეტყველებით ერთ-ერთ სარკეს მიუახლოვდა და ფიქრი პაოლასა და გრეჰემზე გადაიტანა. მერე საკუთარ თავს დაკვირვებით დაუწყო თვალიერება. თვალეზიში სწორედ ის გამომეტყველება შენიშნა, რაც პაოლას ნახატ პორტრეტზე აღმოაჩინა. ვერ დაკმაყოფილდა, მოღებრტს დაუბრუნდა და კვლავ დაკვირვებით დაუწყო ცქერა, რომ საკუთარი თვალით ხილული კვლავ შეემოწმებინა. ჩაწვდა საიდუმლოს. პაოლამ იცოდა! დიახ, იცოდა, რომ დიკისთვის ყოველივე აშკარა იყო! ალბათ, სწორედ მის სახეზე ამოეკითხა ყველაფერი. მისი სულის ფარულ განცდებს ჩასწვდომოდა, გაეტაცნა, ჩასაფრებოდა და, როდესაც დიკის უნებურად ეს საოცარი გამომეტყველება სახეზე გამოჩნდა, ტილოზე გადაიტანა.

საგარდერობოდან პაოლას ჩინელი მოახლე ოი-ლი შემოვიდა. დიკმა დაკვირვებით დაუწყო თვალიერება. ქალმა ვერ შენიშნა პატრონი და სწორედ მისკენ მიემუხრებოდა; ღრმა ფიქრებში ჩამირულ ქალს თვალეზი დაბლა დაეხარა. დიკმა უსაზღვრო ნაღველი ამოიკითხა მის სახეზე. არც წარბები ჰქონდა აზიდული, ისე, როგორც სჩვეოდა და რის გამოც ეს სახელი შეარქვა დიკმა. ჩინელი ქალი საოცრად გულჩაკლული და შეძრწუნებული ჩანდა.

«როგორც ეტყობა, ყველას სახე იწყებს საიდუმლოს გამომჟღავნებას», — გაიფიქრა დიკმა.

— დილა მშვიდობისა, ოი-ლი, — შეეხმიანა დიკი.

ქალმა პასუხი არ დააყოვნა, თავი დაუკრა. მისკენ მიპყრობილ თვალეზიში დიკმა უსაზღვრო, ჟრუანტელისმომგვრელი თანაგრძნობა ამოიკითხა. უცხოთაგანს პირველს, ოი-ლის შეუტყვია ყოველივე. რას იზამ, ისიც ქალია და... მოახლეს ხომ ხშირად უხდებოდა მასთან ყოფნა, როდესაც პაოლა თავის ოთახში მარტო რჩებოდა და, რა თქმა უნდა, არც შეიძლებოდა საკუთარი დიასახლისის გულისთქმა არ ამოეცნო.

უცებ ოი-ლის ტუჩები აუცახცახდა, ათროლოებული ხელები ერთმანეთს გადააჭდო, ცდილობდა რაღაც ხმამაღლა ეთქვა:

— მისტერ ფორესტ, — დაიწყო მან ბოლოს, — თითქოს ვინმე ახრჩობსო, — შესაძლებელია, თქვენ მე სულელადაც კი ჩამთვალეთ, მაგრამ რაღაც უნდა მოგახსენოთ: თქვენ უაღრესად კეთილი პატრონი ბრძანდებით, დიდი დახმარება აღმოუჩინეთ ჩემს მოხუცებულ დედას. თქვენ ყოველთვის, ყოველთვის კეთილი იყავით ჩემ მიმართაც. — ქალს ენა დაება, გამშრალი ტუჩები დაისველა, მერე რამდენადაც შეძლო, თავს ძალა დაატანა, პატრონს პირდაპირ შეხედა და განაგრძო:

— მისის ფორესტი, მე ვფიქრობ... იგი...

მაგრამ დიკის სახემ უეცრად ისეთი მკაცრი გამომეტყველება მიიღო, რომ ქალს შერცხვა, დადუმდა, სახეზე კი ცეცხლი წაეკიდა. «ქალს თავისი სათქმელისა რცხვენია», — გაიფიქრა დიკმა გუნებაში.

— მშვენიერ სურათს ხატავს მისის ფორესტი, არა? — შენიშნა დიკმა, რომ პირისფარებისათვის გონს მოსვლის საშუალება მიეცა.

ჩინელმა ქალიშვილმა ამოიოხრა და, როდესაც დიკის პორტრეტს კვლავ მიაპყრო მზერა, მის თვალებში ისევ იმ საოცარმა თანაგრძნობამ გაიელვა.

მან კვლავ ამოიოხრა, მაგრამ დიკს არ შეეძლო არ შეენიშნა, ხმის ის უცაბედი სიცივე, რაც მის პასუხში იგრძნო:

— დიახ, მისის ფორესტი შესანიშნავ პორტრეტს ხატავს.

უცებ ქალი დაჟინებით მიაჩერდა დიკის სახეს, თითქოს მისი გამომეტყველების შესწავლა სურსო. მერე ისევ პორტრეტისკენ მიბრუნდა, თვალებზე მიათითა და წარმოთქვა:

— ეს კარგს არას უნდა ნიშნავდეს, არ მომწონს.

მისმა ხმამ თითქოს გაჰკვეთა ჰაერი და თვითონაც საოცრად შემფოთებული ჩანდა.

— კარგი არ არის! ცუდია! — თქვა უკვე შებრუნებულმა, ამჯერად უფრო ხმა-მალლა, უფრო ცივად და პაოლას საძინებელ ოთახში შეიმალა.

დიკი თავისდაუნებურად წელში გასწორდა, თითქოს მოემზადა, ვაჟკაცურად შებმოდა ყოველივეს, რაც სულ მალე თავს უნდა დასტეხოდა. რას იზამ, ეს დასასრულის დასაწყისია, ალბათ. ოი-ლიმ იცის ყოველივე, მალე სხვებიც შეიტყობენ, ყველა შეიტყობს. დიკს თითქოს უხაროდა კიდეც ეს ამბავი. უხაროდა, რომ მტანჯველი და სულისმაწამებელი ლოდინი დიდხანს არ გაგრძელდებოდა.

და მაინც ოთახიდან გასვლისას მხიარული სტვენა წამოიწყო, რათა მსახურ ქალს ეგრძნო, რომ, მისი პატრონის აზრით, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე იყო.

იმავე საღამოს, ფროილენგის, მარტინესის და გრეჰემის თანხლებით დიკი სასეირნოდ გაემგზავრა. პაოლა თავგზააზნეული მლოცველივით მეუღლის საკუთარ სამყოფელში მალულად შევიდა. ვერანდაზე გავიდა, რომელსაც დიკი საძინებელ ოთახად იყენებდა. პაოლამ თვალი შეავლო უამრავ ღილაკს და საწოლის თავთან დაკიდებულ ტელეფონს, რომლებიც დიკს სასახლის შინაურობასთან, მამულში მომუშავე ყველა პირთან და თითქმის მთელ კალიფორნიასთან აკავშირებდა. მაღალ, მბრუნავ სადგარზე დიქტოფონი იდგა. ლაზათიანად დაწყობილი წიგნის მწკრივები, გაზეთები, ჟურნალები და სასოფლო-სამეურნეო ბიულეტენები ისე ელაგა, თითქოს პატრონს ელოდებიანო. ასევე თავის ადგილზე ფაქიზად ეწყო — საფერფლე, სიგარეტები, ბლოკნოტები, თერმოსი.

პაოლას ყურადღება ოთახში დაკიდებულმა ერთადერთმა სურათმა მიიქცია. ეს მისი საკუთარი ფოტოსურათი გახლდათ. იგი ბარომეტრებსა და თერმომეტრებს ქვემოთ ეკიდა. და, როგორც პაოლამ კარგად უწყოდა, ყველაზე მეტად იპყრობდა დიკის

ყურადღებას. პაოლამ რაღაც უცნაური განწყობის კარნახით თავისი მოდიმარე ფოტოსურათი პირით კედლისაკენ შეაბრუნა და ჩარჩოს ცარიელ სწორკუთხედს მოჰკრა თვალი. ჯერ საწოლს გადახედა, მერე კვლავ კედელს შეხედა და თითქოს აუტანელმა შიშმა მოიცვაო, სწრაფად დაკიდა სურათი პირით ოთახისაკენ. «ასე ეკუთვნოდა, — გაიფიქრა პაოლამ, — დიახ, ასე ეკუთვნოდა».

ახლა პაოლას მზერა ბუდეში მოთავსებულმა დიდმა ავტომატურმა რევოლვერმა მიიპყრო. იარაღი დიკის საწოლთან ისე ახლოს ეკიდა, რომ მის ასაღებად მხოლოდ ხელის გაშვერა კმაროდა. პაოლამ ხელი რევოლვერის ტარს შეახო და როგორც მოსალოდნელი იყო, ჩახმახი შემართული აღმოჩნდა. დიახ, დიკს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: რაც უნდა დიდხანს დარჩენილიყო რევოლვერი უხმარი, ბუდეში არ ჩააჟანგებდა.

პაოლა დიკის სამუშაო ოთახში დაბრუნდა და ნელი ნაბიჯით მისი ყველა კუთხე-კუნჭული შემოიარა. ჩაფიქრებული ათვალეიერებდა უშველებელ კართოტეკებს, განიერ, მაღალ კარადებს, რუკებსა და ნახაზებს. მზრუნავ თაროებზე ეწყო ცნობარები, საჯიშე ჯოგებისა და ფარების გრძელმწკრივებად გაჭიმული სქელტანიანი ნუსხები. ბოლოს, პაოლა დიკის საკუთარი წიგნების ბიბლიოთეკის წინ აღმოჩნდა. აქ ნახავდით უამრავ ბროშურას, აკინძულ საჟურნალო წერილებს და მრავალ სქელტანიან სამეცნიერო გამოცემას. პაოლამ გულდასმით წაიკითხა მათი სათაურები: «კალიფორნიული მარცვლეული», «პირუტყვის საკვების დასილოსება», «ფერმის მოწყობა», «სასოფლო-სამეურნეო ანგარიშიანობის კურსი», «შაირის ჯიშები ამერიკაში», «შავი მიწის გამოფიტვა», «ნიადაგთმცოდნეობა», «იონჯა კალიფორნიაში», «მაღალმოსავლიანობა კალიფორნიაში», «ამერიკული შორტკორნები». ამ უკანასკნელის წაკითხვაზე პაოლას ალერსიანად გაეღიმა. მოაგონდა ის ცხარე კამათი, როცა დიკი ყველას საწინააღმდეგოდ ასაბუთებდა, ერთმანეთისაგან გაერჩიათ მეწველი და საკლავად გამოსაყენებელი ძროხები. დიკის მოწინააღმდეგეთა აზრით კი ისეთი ჯიშების გამოყვანა იყო საჭირო, რომლებიც ორივე შემთხვევაში ვარგისი იქნებოდა.

პაოლამ ალერსით გადაუსვა წიგნებს ხელისგული, ლოყაც მიადო, თვალები მილულა და ჩაიჩურჩულა: «ოჰ, დიკ!» უეცრად რაღაც აზრი დაეებადა, მაგრამ იქვე გაუქრა, გულში კი გაურკვეველი ნაღველი დაუტოვა, რადგან პაოლამ ვერ გაბედა მთელი სიღრმით ჩაფიქრება.

ოჰ, როგორ ააშკარავებს ეს საწერი მაგიდა დიკის ბუნებას! არავითარი უწესრიგობა. დაუმთავრებელი ნამუშევრის კვალიც რომ არსად ჩანს, მხოლოდ მავთულისაგან მოწნულ ლანგარზე იდო უამრავი ნაბეჭდი წერილი და მის ხელმოწერას ელოდა. ელდორადოდან ტელეფონით გადმოცემული მოყვითალო დეპეშები კი, მდივნებს ბლანკებზე რომ გადაუბეჭდავთ, ახლა ზვინებად ამართულიყო.

პაოლა როგორღაც ზერელებდ კითხულობდა ზემოთ დაწყობილ დეპეშათა პირველ სტრიქონებს და მეტად დამაინტერესებელ ცნობას წააწყდა. მან წარბშეკვრით ჩაიკითხა დეპეშის ტექსტი და შემდეგ ამ აურაცხელ დეპეშებში იმდენ ხანს ეძება, ვიდრე საკუთარი თვალით არ იხილა მისთვის ესოდენ მოულოდნელი და სამწუხარო ცნობა. დაიღუპა ჯერემ ბრექსტონი, ეს წარმოსადეგი, მხიარული და გულკეთილი ადამიანი. მთებში მოთარეშე მთვრალი მექსიკელი გლეხების ბანდამ სიცოცხლეს გამოასალმა, როცა იგი ჰერვესტის მალაროებიდან არიზონაში გაქცევას აპირებდა. დეპეშა ორი დღის წინ მოსულა. დიკმა ეს ამბავი უკვე ორი დღეა იცის, მაგრამ პაოლა რომ არ შეეშფოთებინა, სიტყვა არ დასცდენია. ჩანდა, სხვა მიზნითაც დაუმალა. ეს ხომ აურაცხელ ფულად ზარალს წარმოადგენდა ამ ოჯახისათვის. ამკარა იყო — ჰარვესტის ოქროს საბადოებში საქმე უკუღმა მიდიოდა. დიახ, ასეთია დიკი!

ამგვარად, ჯერემი დაიღუპა. პაოლას მოეჩვენა, რომ ოთახი შემადრწუნებელმა სიცივემ მოიცვა. ქალი თრთოდა. ასეთია ცხოვრება — გზის დასასრულს ყოველ ჩვენგანს სიკვდილი ელოდება. პაოლა კვლავ ერთ აუწერელმა შიშმა და უჩვეულო ძრწოლამ შეიპყრო. წინ დამლუპველი ბედისწერა ეხატებოდა. მაგრამ ვინ უნდა დაიღუპოს? პაოლას არ უცდია ამ საიდუმლოს გამოცნობა. მთავარი ის არის, რომ ეს სიკვდილია. საშინელებამ გონება მოუშთო, ამ საოცრად მშვიდ ოთახში ჰაერიც კი დამძიმდა, თითქოს სუნთქვა შეეკრაო. მერე, ღრმა ფიქრებში წასული, ოთახიდან ნელა გამოვიდა.

### თავი ოცდამეცხრე

— ჩვენი პატარა დტასახლისი ჩიტვით მგრძნობიარეა, — თქვა ტერენსმა და ლანგარიდან კოქტიელის სასმისი აიღო, რომელსაც ჩინელი მსახური ა-ჰა იქ მყოფთ სთავაზობდა.

სადილობამდე ერთი საათით ადრე გრეჰემი, ლეო და ტერენს მაკფეინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს საბილიარდო ოთახში.

— არა, ლეო, — გააფრთხილა ირლანდიელმა ახალგაზრდა პოეტი, ერთი სასმისიც საკმარისია თქვენთვის. ისედაც გიხურთ სახე. მეორესაც დალევთ და ხანძარი გაგიჩნდებათ. თქვენს ჭაბუკურ გონებაში მშვენიერების იდეები სასმელის ძალამ ვერ უნდა დანისლოს და გააცამტვეროს. დაე, უფროსებმა სვან. სმისათვის განსაკუთრებული ჯიში და ნიჭია საჭირო, რაც თქვენ არ გაგაჩნიათ. რაც შემეხება პირადად მე..... — უცებ თავისი სასმისი გამოცალა და დადუმდა.

— ქალების სასმელია, — ზიზღით გაიქნია თავი, — არ მომწონს, პირს არ შუშხავს. ეშმაკმა დალახვროს, არავითარი გემო არა მრჩება.

— აჰა, ჩემო ბიჭუნო, — იხმო მან ჩინელი მსახური, — შეურიე ვისკი და სოდა, მაღალ, ძალიან მაღალ სასმისში, მხოლოდ ნატურალური და მაგარი. — მერე ზომის აღსანიშნავად ჭიქაში რამდენი ვისკი უნდა ჩაესხა, ჰორიზონტალურად გაშვერილი ოთხი თითით უჩვენა. ა-ჰას შეკითხვაზე, რომელი ვისკი სურდა, ტერენსმა ასე უპასუხა: — შოტლანდიური, ირლანდიური, ბურბონული, ჭვავის, სულ ერთია, რაც ხელთ მოგხვდებათ.

გრეჰემმა თავი დაუქნია ჩინელ მსახურს და ირლანდიელს სიცილით მიმართა:

— თქვენ მე ვერასოდეს ვერ დამათრობთ. არ დამავიწყდება, რა დღეში ჩააგდეთ ო'ჰეი.

— ოჰ, რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! ეს სრულიად შემთხვევითი ამბავი გახლდათ, — უპასუხა მან. — ამბობენ, თუ ადამიანი სულდამძიმებულია, ერთი წვეთიც კი მოცელავსო.

— თქვენ გამოგიცდიათ ასეთი რამ? — ჰკითხა გრეჰემმა.

— არა, არასოდეს, ჩემს სიცოცხლეში ასეთი არაფერი მომსვლია. ამ მხრივ განსაკუთრებით თავდაჭერილი გახლავართ. არავითარი გამოცდილება, მართალი მოგახსენოთ, ძალიან ცოტა რამ გადამხდენია თავს.

— ტერენს, თქვენ წელან თითქოს... მისის ფორესტი ახსენეთ, — ვედრების კილოთი მოაგონა ლეომ. — ვფიქრობ, ფრიად საინტერესო რამ გასურდათ გემცნოთ მის შესახებ.

— განა სხვაგვარი ამბავი წარმოსადგენია? — შეეპასუხა ტერენსი.

— მე მოგახსენებდით, მას ჩიტის მგრძნობიარობა აქვს-მეთქი, მაგრამ ეს არ გახლავთ თავგზააბნეული მოხტუნავე ბოლოქანქარას ან თუნდაც უნაზესად მოღულუნე მტრედის გრძნობა. მე ვფიქრობ, რომ ეს ზეციური სიხარულით აღსავსე გარეულ ია-

დონთა მგრძობელობაა, რომლებიც აქაურ მარმარილოს შადრევნებქვეშ იბანენ სხეულს და მერე მზეში დაფერილ, გამჭვირვალე წვეთებს ჰაერში ფრთხილით განაბნევენ, თავდავიწყებით გალობენ და ჭიკჭიკებენ, თითქოს მათ გულებს ნამდვილად ცეცხლის ალი წაჰკიდებოდეს ოქროსფრად მოელვარე ბედნიერ მკერდქვეშ, აი, ასეთი გახლავთ პატარა დიასახლისიც. მე დიდი ხანია ვაკვირდები მას.

ყოველივე, რაც მზის ქვეშეთშია, მიწის გულსა და ციურ სივრცეში, ტკბობით აღავსებს და ალამაზებს მისი ცხოვრების დღეებს: ეს იქნება პაწაწინა მეწამულისფერი სვიის ყვავილი, რომელსაც უფლებაც არა აქვს ფერმკრთალ სუმბულზე მშვენიერი ჩანდეს, თუ სინგურისფერი ვარდი. ის შესანიშნავი ჯიში, სახელად «დაჩის» რომ უხმობენ, ოდეს ნიავი ოდნავ შეარხევს მის კოკორს და მცხუნვარე მზის ქვეშ უმაღვე გაიშლება... აი, სწორედ ამ საოცნებო სილამაზის ვარდის ხილვისას პაოლამ გამანდო ერთხელ: «მას აისის ფერი დაჰყოლია, ტერენს, ფორმით კი ციურ ამბორს ჩამოჰგავსო». პატარა დიასახლისისათვის ყოველივე სიამის მომგვრელია: საყვარელი ცხენის ვერცხლის ყვანთა წკრიალისებური ჭიხვინი; ზანზალაკების ხმა ალიონზე; ყინვაში ანგორის ულამაზესი თხები, მოლაპლაპე სტავრასავით რომ გადაჰკვირან მთათა ფერდობებს და ნაირნაირ თვალწარმტაც სურათებს ქმნიან; ორდობეს გაყოლებული ნაკვერცხლისფერი მადიდას გრძელ-გრძელი რტოები; ფერდობებსა და გზის პირებზე ამოხეთქილი, მზის მცხუნვარებით გაფიცებული ბალახი, ან მსხვერპლზე თავდასასხმელად გამზადებულ ლომებივით წელში მოხრილი, გვალვით გადატრუსული მურა ბორცვები. ან იმის ხილვა, რა მოჭარბებული გრძნობა და სიამე აღავსებს და ეუფლება ამ განუმეორებელ ქმნილებას, როდესაც თოვლივით თეთრ ხელებსა და ყელ-კისერს ჩვენს კურთხეულ და დალოცვილ მნათობს მიუფიცხებს.

— პაოლა თვით სილამაზის სულია, — ჩაიჩურჩულა ლეომ. — ცხადია, მხოლოდ ასეთი ქალებისათვის იკლავენ თავს მამაკაცები და არად მიიჩნევენ სიკვდილს.

— დიახ, შეგიძლია იცხოვრო ამქვეყნად მხოლოდ მათთვის, გიყვარდეს ასეთი ბრწყინვალე ქმნილებანი, — დაუმატა ტერენსმა. — მომისმინეთ, მისტერ გრეკემ, ერთ საიდუმლოს გაგანდობთ: ჩვენ, მადრონის ჰალელი ფილოსოფოსნი, რომელთაც ცხოვრებამ დიდი მარცხი და იმედგაცრუება გვაგემა, სამუდამოდ გავგრიყა და დიკის ხელგამლილობით და სიუხვით ფრთაგამლილნი ამ მშვიდ ყურეს შევაფარეთ თავი, თავგანწირულ შეყვარებულთა ძმობის წარმომადგენელნი გახლავართ. იცოდეთ, ყველა ჩვენგანი ერთსა და იმავე ქალს ეტრფის თავდავიწყებით. ეს ქალი პატარა დიასახლისი გახლავთ. ჩვენ მხოლოდ მასზე საუბარსა და ოცნებაში ანგარიშშიუცემლად ვკარგავთ სიცოცხლის უმპირფასეს დღეებს. ჩვენ, რომელთაც არც ღმერთი გვწამს, არც ემ-მაკი, არც სამშობლო, ყველანი პატარა დიასახლისისათვის თავგანწირული და თავდადებული რაინდნი გახლავართ. მისდამი აღთქმა გვაქვს დადებული.

— ჩვენ მზად ვართ მხოლოდ მას შევეწიროთ, — დაუდასტურა ლეომ და ნელა დახარა თავი.

— არა, ჭაბუკო, ჩვენ მზად ვართ ვიცოცხლოთ მისთვის და ყველას შევებრძოლოთ ამქვეყნად მისი გულისათვის. სიკვდილი იოლი საქმეა მეტად.

გრეკემს ამ საუბრიდან ერთი სიტყვა არ გამორჩენია. ჭაბუკი პოეტი, რა თქმა უნდა, ვერაფერს მიხვდა, მაგრამ კელტის ზურმუხტისფერ თვალთა ელვარებაში, შუბლზე გადმოყრილ შევერცხლილი თმის ქვემოდან, ჯიქურ რომ შეჰყურებდნენ გრეკემს, აშკარა გახდა მისთვის ყოველივე დღესავით ნათელი იყო.

კიბეზე მამაკაცების საუბარი გაისმა. ეტყობოდა, დაბლა ჩამოდდიოდნენ. მარტინესისა და დარ-ჰიალის შემოსვლისას ტერენსმა განაცხადა:

— ამბობენ, რომ კატალინაში საუცხოო ამინდებია, თინუსი მომრავლებულა და შესანიშნავად ეგება ანკესზეო.

ჩინელმა მსახურმა ა-ჰამ კვლავ მოიტანა კოქტეილი და სტუმრებს შესთავაზა. სწორედ ამ დროს ფროილენგი და ჰენკონკიც შემოვიდნენ.

ტერენსმა სოდიანი კოქტეილი სიამოვნებით მოსვა, გაქვავებული სახის მქონე ჩინელ მსახურს საკუთარი გემოვნების მიხედვით რომ შეაზავებინა... სვამდა და თან მამაშვილური მჭევრმეტყველებით თავს უბრუებდა ლეოს, როგორმე არ დაელია. მეტისმეტად მავნე, საშინელ სენად უსახავდა ლოთობას.

უეცრად დაკეცილი წერილით ხელში ო-დაი შემოვიდა და იჭვნეულად მიმოიხედა, არ იცოდა, ვისთვის გადაეცა.

— აქეთ, ფრთასხმულო მსტოვარო, — ხელი დაუქნია ტერენსმა.

— ეს თხოვნა პირადად ჩვენს სახელზეა, — განაცხადა მან, როდესაც წერილის შინაარსს სწრაფად გადაავლო თვალი, — საქმე ის გახლავთ, რომ ერნესტინა და ლიუტი ჩამოსულან, და აი, რასა გვთხოვენ: ისმინეთ, ბატონებო! ტერენსმა წერილის კითხვა დაიწყო: — ო, კეთილშობილნო და დიდებულნო ხარირემნო, ორი საბრალო, უწყინარი და თვინიერი უშობელი ირემი განმარტოებით დაეხეტება ტყეში და თავმდაბლად გევედრება, სულ მცირე ხნით, სადილობამდე თქვენს ხარირემთა სამყოფელში შეიფაროთ.

— აქ მრავალნაირი მეტაფორაა გამოყენებული. — განაცხადა ტერენსმა, — მაგრამ ქალწულნი მაინც სწორად მოიქცნენ. მათთვის კარგად არის ცნობილი ამ სასახლეში გამეფებული დიკის ფრიად საინტერესო და უკეთესი კანონი კანონთა შორის. არც ერთ კაბოსან ქმნილებას ნება არა აქვს, საბილიარდოში ფეხი შედგას, თუ მამაკაცთა ერთსულოვანი თანხმობა არ იქნება. აბა, კეთილშობილნო ხარირემნო, მზად ხართ, უპასუხოთ? ვინც თანახმაა, წარმოთქვას «დიახ». წინააღმდეგია ვინმე? ჩანს, მიღებულია ერთხმად. იჩქარე, ფრთამალო ო-დაი, გაფრინდი და მოგვევარე ასულნი სწრაფად!

— «გვირგვინოსან მეფეთა ქოშებით», — წამოიწყო ლეომ, თან თითოეულ სიტყვას ისეთი კრძალვით, სიყვარულითა და ჩურჩულით წარმოთქვამდა, გეგონებოდათ, სიტყვები ბაგეზე ადნებო.

— «განა ფეხქვეშ გათელავს იმ დიდებულ ღამის საკურთხეველს», — განაგრძო ტერენსმა. — ადამიანი, ვისაც ეს სტრიქონები ეკუთვნის, უდავოდ დიდი ადამიანია. იგი ლეოს და დიკის მეგობარია და მე სიამაყით მავსებს იმის გახსენება, რომ ის ჩემი მეგობარიც არის.

— ან ეს მეორე სტრიქონი იმავე სონეტიდან, — აუხსნა გრეჰემს ლეომ, — აბა, უსმინეთ, როგორ ჟღერს: «ისმინეთ ცისკრის ვარსკვლავის სიმღერა, ოჰ, ისმინეთ», — განაგრძობდა ჭაბუკი, მშვენიერ სიტყვათა სიყვარულით მოჯადოებული ხმით: «დასამარებული სილამაზით ხელში, ვით აღუდგენს თავის ოცნებას კვალად მომავალს...»

ლეო უეცრად დადუმდა, რადგან დარბაზში პაოლას დები შემოვიდნენ. მერე მოკრძალებით ფეხზე წამოდგა, რომ შემოსულთ მისალმებოდა.

სადილი იმ დღეს ისევე დამთავრდა, როგორც სხვა დროს, როცა მას მადრონოელი ფილოსოფოსნი ესწრებოდნენ. დიკი მისთვის ჩვეული გააფთრებით ეკამათებოდა არონ ჰენკონკს ბერგსონის თეორიათა გამო. თავს ესხმოდა მის მეტაფიზიკას მკაცრი რეალისტის შეუბრალებლობით.

— თქვენი ბერგსონი ფილოსოფოსი კი არა, თაღლითია, არონ. — დაასკვნა დიკმა, — მას ზურგზე ისევ ის ჯადოქრის ძველი ალქიმიური წამლების ტომარა ჰკიდია,

მეტაფიზიკური ცთუნებითა და ოინბაზობით გატენილი, თან თანამედროვე მეცნიერების უკანასკნელი მონაცემებით შეფერადებული.

— დიახ, ჭემმარიტებაა, — დაეთანხმა ტერენსი. — ბერგსონი მართლაც რომ მაცდური მოაზროვნეა, ამიტომაცაა ესოდენ პოპულარული...

— ვერ დაგეთანხმებით... — შეაწყვეტინა ჰენკონკმა.

— მოითმინეთ ერთ წამს, არონ, თავში ერთმა აზრმა გამიელვა. ნება მომეცით, შევაჩერო, რომ თვალსა და ხელს შუა არ გამიქრეს და ლაჟვარდ სივრცეს არ მისცეს თავი. დიკმა ბერგსონი მრავალ დანაშაულებრივ საქმეში მიიკვლია. მეცნიერების საგანძურთა ტაძრიდან ცოტა რამ როდი მოუპარავს ამ ცნობილ ფილოსოფოსს. თვით ყველაზე მნიშვნელოვანი ცნებაც კი, რაც მის თეორიებს ასე განაღიღებს, რა თქმა უნდა, ფარულად, დარვინიდან გადმოიღო. დარვინის მოძღვრების მიხედვით ხომ ბუნებაში მხოლოდ ისინი გადარჩებიან და ცოცხლობენ, რომელთაც გარემოსთან უკეთ შეგუების უნარი აქვთ. რა ჩაიდინა მერე ბერგსონმა? როგორ გამოიყენა ეს მოძღვრება? ჯეიმსის პრაგმატიზმით<sup>1</sup> (<sup>1</sup> პრაგმატიზმი — ჯეიმს დიუისის მოძღვრება. პრაგმა — მოქმედება. ამერიკული სუბიექტურ-იდეალისტური თეორიის ერთ-ერთი სახეობა.) ოდნავ გადაახალისა, ადამიანის გულში ამქვეყნად მეორედ მოსვლის და განახლებული აღდგომის მარადიული იმედი შეაფერადა და ამით ბრწყინვალემა შეჰმატა ნიცშეს იდეებს. ნიცშეს ქადაგების მიხედვით კი, ამქვეყნად ადამიანი წარმატებას ისე ვერ მიაღწევს, თუ არა უკიდურესობით.

— უაილდს გულისხმობს, ალბათ, — შეუსწორა ერნესტინამ.

— ღმერთია მოწამე, ჩემს საკუთარ მოსაზრებად გამოვაცხადებდი, თქვენ რომ არ შესწრებოდით ამ ამბავს, — ამოიოხრა ტერენსმა და ასულის წინაშე თავი დახარა. — ოდესმე აზრთა ანტიკვარები სწორად დაადგენენ და მიუთითებენ პირველ ავტორებზე. მე პირადად მწამს და მინდა მოგახსენოთ, რომ ეს აზრი მათუს აილიდან მომდინარეობს. მაგრამ ვიდრე კამათს თავაზიანად შემაწყვეტინებდნენ, მე ვამტკიცებდი...

— ვინ მოიძებნება ამქვეყნად დიკზე მეტად მგზნებარე და თვითრწმენით თავდაჯერებული, — შეედავა მას ცოტა ხნის შემდეგ არონი. პაოლამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა გრეჰემს.

— სწორედ გუშინ ერთწლიან ულაყების რემას ვაკვირდებოდი, — წარმოთქვა ტერენსმა. — თვალწინ ისევ ის თვალწარმტაცი სანახაობა მიდგას, გეკითხებით: ვინ აკეთებს ამქვეყნად ნამდვილ, სასარგებლო საქმეს?

— ჰენკონკის საწინააღმდეგო მოსაზრებანი სრულიად საფუძვლიანია, — გაუბედავად შენიშნა მარტინესმა. — იდუმალების გარეშე სამყარო ამაზრხენი, სრულიად უინტერესო და უსარგებლო ტერიტორია იქნებოდა. დიკს კი არავითარი იდუმალება არ სწამს.

— ოჰ, მის მიმართ ასეთი განაჩენის გამოტანა სწორი არ არის, — დიკის დასაცავად ხმა აიმაღლა ტერენსმა.

— მე კარგად ვიცნობ მას. დიკს დასაშვებად მიაჩნია, რომ სამყაროში არის იდუმალებანი, მაგრამ არა ისეთი, რითაც ძუძუმწოვარა, გულუბრყვილო ბავშვებს აცდუნებენ. მისთვის არ არსებობენ არც შემადრწუნებელი ავსულები და არც ზღაპრებში მოთხრობილი საოცრებანი, რასაც თქვენ, რომანტიკოსები ელოლიავებით ხოლმე.

— მხოლოდ ტერენსი ხვდება ჩემს მოსაზრებებს, — დასტურის ნიშნად წარმოთქვა დიკმა. — სამყარო სამარადისო იდუმალებაა. ჩემთვის პირადად, ადამიანური სინდისი იმაზე დიდ იდუმალებას არ წარმოადგენს, ვიდრე ქიმიური რეაქცია, რომლის წყალობითაც სრულიად ჩვეულებრივი წყალი წარმოიშობა. თუ დამეთანხმებით,

რომ ეს ბუნების უდიდესი საიდუმლოა, მაშინ უფრო რთული ბუნების მოვლენები იდუმალების ელფერს დაკარგავენ. ეს სრულიად მარტივი ქიმიური რეაქცია იმ აქსი-  
ომათა მსგავსია, რომელზედაც დასაბამიდან დღემდე გეომეტრიული მეცნიერების  
უდიდესი ნაგებობაა აღმართული. მატერია და ძალა — აი, სამყაროს მარადიული იდ-  
უმალება. ისინი თავს იჩენენ სივრცისა და დროის საიდუმლოებაში. რა თქმა უნდა,  
თვით მოვლენა იდუმალებად არ ჩაითვლება, იდუმალი მხოლოდ მისი პირველადი  
საწყისებია — მატერია და ძალა, და შემდეგ — ამ მოვლენათა გავრცელების არე —  
დრო და სივრცე.

დიკი დადუმდა და დაბნეული შეჰყურებდა ა-ჰასა და ო-დაის გაქვავებულ,  
უმეტყველო სახეებს, ლანგრებით ხელში სწორედ იმ წუთში მის წინ რომ აღმოჩ-  
ნდნენ. «მათ გაშეშებულ სახეებზე ვერაფერს ამოიკითხავს ადამიანი, — გაიფიქრა  
დიკმა, — თუმცა მზადა ვარ, სანაძლეო დავდო, რომ მათ ყოველივე დაწვრილებით  
იციან, რამაც ასე შეაძრწუნა პირისფარეში ოი-ლი».

— აი, ხედავთ, — საზეიმო განწყობილებით განაცხადა ტერენსმა, — ყველაზე  
კარგი მის ცხოვრებაში სწორედ ის გახლავთ, რომ ვერასოდეს ნახავთ მიწაზე ბეჭებ-  
გართხმულს, წონასწორობადაკარგულს. იგი მტკიცედ დგას ამ უკიდევანო დედამიწა-  
ზე ფაქტებსა და კანონებს დაყრდნობილი. დაცულია ყოველგვარი ზეციური ოცნებე-  
ბისა და უაზრო აბდაუბდისაგან...

არც სუფრასთან სადილობის ჟამს და არც შემდეგ, საღამოხანს, აზრად არავის  
მოსვლია, რომ დიკს ოდნავ მაინც აწუხებდა რამე, რომ უმძაფრესი ტკივილები უწე-  
წავდა სულს. გეგონებოდათ, თითქოს საზეიმოდ სურდა, აღენიშნა ერნესტინასა და  
ლიუტის დაბრუნება. უარი განაცხადა მძიმე, ფილოსოფიურ მსჯელობათა გაგრძელე-  
ბაზე და თავაწყვეტილ ოინებს, ანცობასა და ოხუნჯობას მიჰყო ხელი; პაოლასაც სწრა-  
ფად გადაედო მისი განწყობილება, ყოველმხრივ ხელს უწყობდა და მათ განხორციე-  
ლებაში აგულიანებდა.

თამაშთა შორის ყველაზე საინტერესო «მისასალმებელი კოცნა» აღმოჩნდა.  
ვერც ერთი მამაკაცი თავს ვერ აარიდებდა მას. გრეჰემს პირველს ხვდა პატივი ეს სა-  
ოცრად რთული გამოცდა გაეგლო, შესაძლებლობა მიეცა, დანარჩენი მამაკაცების ფა-  
თერაკებისათვის თვალყური ედევნებინა. მამაკაცები კი დიკს სათითაოდ იტალიური  
ბალიდან შემოჰყავდა.

ჰენკონკი, რომელიც დიკმა ხელჩაკიდებული შემოიყვანა, დარბაზის შუაგ-  
ულამდე მივიდა, სადაც პაოლა და მისი ორი და წრიულად განლაგებულ მაღალ სკა-  
მებზე იდგნენ. მან იჭვნულად გადახედა სამივეს და სურვილი გამოთქვა, სკამების  
გარშემო შემოეგლო. შემოვლის დროს უჩვეულო მაინც ვერაფერი შენიშნა, გარდა იმი-  
სა, რომ სამივეს მამაკაცის ფეტრის ქუდი ეხურა.

— მეტად საამური სანახაობაა, — განაცხადა ჰენკონკმა, მათ წინ შეჩერდა და  
ყურადღებით თვალთვლიერება დაუწყო:

— მართლაც ასეა, — დაუდასტურა დიკმა. — ესენი ხომ ჩვენი მამულის ულამა-  
ზესი არსებანი არიან. ამიტომაც სურთ «მისასალმებელი კოცნა» მოგიძღვნან. ამოირ-  
ჩიეთ, არონ.

არონი თვალის დახამხამებაში ზურგისაკენ შეტრიალდა, თითქოს იგრძნო, რა  
მოულოდნელი განსაცდელიც ელოდა და საჩქაროდ იკითხა:

— სამივემ უნდა მაკოცოს?

— არა, თქვენ უნდა ამოირჩიოთ მათ შორის ის, ვისაც თქვენი კოცნა სწადია.

— ის ორი თავს დამცირებულად ხომ არ იგრძნობს, მე რომ არ გავაბედნიერებ ჩემი არჩევანით? — დაჟინებით ჩაეკითხა არონი. — ულვაშების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ? — კვლავ გაისმა მისი ხმა.

— არა, ნუ წუხხართ, მაინცდამაინც არაფერია, — დაარწმუნა ლიუტმა. — მართალი მოგახსენოთ, მე, ჩემდათავად, მუდამ ძალიან მაინტერესებდა, რა განცდებს აღმრავს შავ ულვაშებზე გრძნობით დაკონება.

— დღეს ფილოსოფოსთა დღეა, ამ საღამოს ყველა მათგანს უნდა ხვდეს წილად უკვდავების მომნიჭებელი ამბორი, იჩქარეთ! — გაიგონა მან ერნესტინას ხმაც, — დიახ, საჭიროა იჩქაროთ, სხვები იცდიან. დღეს უნდა შევიგრძნო იონჯას ველივით აბიზინებულ გრძელულვაშა მამაკაცთა კოცნის გემო.

— ვის ირჩევ? — დაჟინებით ეკითხებოდა დიკი.

— ამორჩევა რა საჭიროა! — გაბედულად განაცხადა ჰენკონკმა, — რაღა თქმა უნდა, ჩემს ზეციურ სატრფოს, პატარა დიასახლისს ვეამბორები.

ჰენკონკი მოემზადა, თავი ასწია და ტუჩები გაიშვირა, პაოლაც გადმოიხარა და მისი შლაპის ფარფლებიდან გადმოღვრილი წყალი შიგ სახეში ჩქეფად შეესხა.

როდესაც ლეოს ჯერი დადგა, მან გაბედულად შეაჩერა არჩევანი პაოლაზე და კინაღამ ჩაშალა სანახაობა, რადგან თავვანისცემის ნიშნად მუხლი მოიყარა და მისი კაბის კალთას ეამბორა.

— ეს დაუშვებელია, — განაცხადა ერნესტინამ. — კოცნა ნამდვილი კოცნა უნდა იყოს: თავი ასწიეთ და მოემზადეთ.

— დაე, უკანასკნელი პირველად იქცეს, მე მაკოცეთ, ლეო, — სთხოვა ლიუტმა, რომ დაბნეულობისაგან ეხსნა.

ლეომ მადლობის გრძნობით ახედა ლიუტს და მისკენ გაიწია, მაგრამ თავის გასწორებამდე კისერში ლიუტის შლაპიდან გადმოღვრილი წყალი ჩაესხა.

— სამივემ მაკოცოს და სამჯერ მაინც ვიგემებ ჩემს სიცოცხლეში სამოთხის ნეტარებას, — განაცხადა ტერენსმა. — ეგონა, ამით დაიძვრენდა თავს უძნელესი მდგომარეობიდან.

ამ სამიჯნურო თავაზიანობისათვის მასაც სამი ჭიქა წყალი ერთად გადაეგლო თავზე.

დიკის სიმხიარულე და თავაწყვეტილი თამაშით გატაცება სულ უფრო და უფრო მატულობდა. ვინც დიკს იმ დროს თვალს ადევნებდა, როცა კარებთან ფროილენგი და მარტინესი დააყენა სიმაღლის გასაზომად, რათა დაედგინა, ვინ უფრო მაღალი იყო მათ შორის. გეგონებოდათ, დედამიწის ზურგზე მასზე უფრო მშვიდი და უდარდელი კაცი არ მოიძებნებო.

— მუხლები ერთად! ფეხები სწორად! თავები უკან! — ბრძანებას ბრძანებაზე იძლეოდა დიკი.

ის იყო კარს თავები მიადეს, რომ მეორე მხრიდან საოცარი დარტყმის ხმა გაისმა. ყველა შეკრთა. უეცრად კარი გაიღო და გონგის საცემი კეტით შეიარაღებული ერნესტინა გამოჩნდა.

მერე დიკი ატლასის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით ხელში, ზეწარგადაფარებულ ტერენსს სხვების განუწყვეტელ აურზაურში უხსნიდა, როგორ ეთამაშა: «ძმობილო ბოზ, მე უკვე გავები». სწორედ ამ დროს მეზონები და უატსონები გამოჩნდნენ მთელი თავიანთი უიკენბერგული ამალით.

დიკმა დაუყოვნებლივ მოითხოვა, რომ ყველა ახალმოსულ ახალგაზრდას ეგემნა «მისასაღმებელი კოცნა». იმ საოცარი წამოძახილებისა და ხმაურის მიუხედავად, რომელიც ამ ოცამდე ერთად შეკრებილმა ახალგაზრდამ ატეხა, დიკის ყურთასმენას

მანც არ გამოჰპარვია ლოტი მეზონის სიტყვები: «ოჰ, მისტერ გრეჰემ! მე თქვენ დიდი ხნის წასული მეგონეთ».

და აი, ამ საოცარ ნაირფერ სტუმართა თავყრილობაში დიკი კვლავ განაგრძობდა ისეთი ადამიანის განსახიერებას, რომელიც ყველაზე მხიარული და ბედნიერია ამქვეყნად. თან ფხიზლად დარაჯობდა ყველა იმ დაძაბულ მზერას, რომლითაც მხოლოდ ქალები უთვალთვალდნენ ერთმანეთს. სულ რაღაც რამდენიმე წუთის შემდეგ შენიშნა, რომ ლოტი მეზონმა სწორედ ასეთი იდუმალი მზერა შეავლო პაოლას, თანაც მაშინ, როდესაც პაოლა გრეჰემის წინ იდგა და რაღაცას ეუბნებოდა.

«არა, — გადაწყვიტა დიკმა, — ჯერ ლოტიმ კიდევ არა უწყის რა, მაგრამ ეჭვი კი უდავოდ გაუჩნდა. ისე ხომ არაფერი აამებს მის ქალურ გულს, როგორც იმის აღმოჩენა, რომ უმანკო და შეუბღალავი სახელის მატარებელ ამაყ პაოლას აქვს თავისი სისუსტე, ისევე, როგორც ყველა სხვა ქალს».

ლოტი მეზონი, ტანკენარი, განსაცვიფრებელი მშვენიების შავგვრემანი ასული, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ოცდახუთი წლის მომხიბლავი ქმნილება იყო და, როგორც დიკი დარწმუნდა, მეტისმეტად გამბედავიც. არცთუ დიდი ხნის წინათ დიკი გატაცებული იყო მისი მშვენიებით და, გულწრფელად თუ ვიტყვით, ქალის მხრივაც ფრიად წახალისებელი გახლდათ, მაგრამ ეს გატაცება მსუბუქ ფლირტს არ გასცილებია. დიკმა ურთიერთობის გაღრმავებას თავი აარიდა და ისე შორს არ წასულა, როგორც ლოტის სურდა. დიკის გული ნამდვილ გრძნობას არ შეუძრავს და არც ქალს მისცა ნება ჭეშმარიტი გრძნობის გაღვივებისა. მიუხედავად ამისა, ამ ამბის სრული დავიწყება შეუძლებელი იყო და სწორედ ამის გამო დიკი განსაკუთრებით ფხიზლობდა ახლა. მისი აზრით, სწორედ ეს ულამაზესი ქმნილება დაინტერესდებოდა თვალყური ედევნებინა პაოლასათვის... და მართლაც, უიკენბერგელ ქალთა შორის პირველს მას შეიძლებოდა დაბადებოდა ეჭვი.

— ოჰ, გრეჰემი შესანიშნავი მოცეკვავეა, — მოესმა დიკს ლოტი მეზონის ხმა, როცა იგი პატარა მის მაქსუელს ელაპარაკებოდა. — თქვენც ხომ დამეთანხმებით, დიკ? — მიმართა ლოტიმ დიკს, და ბავშვურად გულუბრყვილო თვალებით გადახედა. დიკმა მსწრაფლ შენიშნა, რა სულის სიღრმეში ჩამწვდომი გამჭოლავი მზერა სტყორცნეს ფარულად, ან როგორ შეეცადა ლოტი მისი სულის იდუმალების გამოცნობას.

— ვინ? გრეჰემი? რა თქმა უნდა! — უპასუხა დიკმა სრულიად მშვიდად და გულწრფელად. — დიახ. ნამდვილად ჩინებული მოცეკვავეა. როგორ ფიქრობთ, ხომ არ სჯობდა ცეკვა გაგვემართა? რათა მის მაქსუელმა საკუთარი თვალთი იხილოს ყოველივე. თუმცა აქ მყოფ ქალთა შორის მხოლოდ ერთია ისეთი, ვისთანაც გრეჰემი საკუთარი დიდოსტატობის გამოვლენას შეძლებს.

— რაღა თქმა უნდა, პაოლას გულისხმობთ, — წარმოთქვა ლოტიმ.

— დიახ, პაოლას. ახალგაზრდობამ ხომ ვალსის ცეკვა არ იცით, ან კი სად უნდა გესწავლათ.

ლოტიმ მშვენიერი თავი გაოცების ნიშნად მედიდურად მაღლა ასწია.

— იქნებ თქვენ კიდევაც სწავლობდით ცოტა ხანს, სანამ ახალი ცეკვები შემოვიდოდა მოდაში, — მობოდიშებით წარმოთქვა დიკმა. — ახლავე მოველაპარაკები ივენსა და პაოლას. მე კი თქვენთან ერთად ვიცეკვებ. სანამლეოს დაგიდებთ, სხვა მოცეკვავე წყვილი არც აღმოჩნდება.

ცეკვისას დიკი უცებ შეჩერდა და ლოტის გადაულაპარაკა: — დაე, მარტო მათ იცეკვონ. ღირს მხოლოდ მათ უყუროს კაცმა და დატკბეს.

კმაყოფილებით გაბრწყინებული დიკი შეჰყურებდა, როგორ ამთავრებდნენ ცეკვას გრეჰემი და მისი მეუღლე. თან იმასაც გრძნობდა, რა სულში ჩამწვდომი მზერით უთვალთვალებდა ლოტი გვერდიდან, რომელსაც უეცარი ეჭვის კვალი თანდათან გაეფანტა.

იმ ღამეს ყველა სტუმარმა ისურვა ცეკვა და, რადგან საღამო მეტად თბილი გამოდგა, დიკმა განკარგულება გასცა იტალიურ ბაღში გამავალი დიდი კარი ფართოდ გაეღოთ. ხან ერთი, ხან მეორე წყვილი სრიალით გადიოდა დარბაზიდან და მთვარის შუქით განათებულ თაღებქვეშ აგრძელებდნენ ცეკვას. ბოლოს ყველა წყვილი გარეთ აღმოჩნდა.

— სულ პატარა ბიჭვით არის, — ეუბნებოდა პაოლა გრეჰემს, რადგან ესმოდათ, როგორ აქებდა დიკი ახალ ფოტოაპარატს, რომელსაც ღამეულ შუქზედაც კი შეეძლო გადაღება. — ვერ შენიშნეთ, სადილობისას არონმა დიკს ამის გამო როგორ უსაყვედურა? ტერენსმა კი თავგამოდებით დაიცვა. დიკს მთელი სიცოცხლის განმავლობაში არავითარი უბედურება არ გადაუტანია. ის არავის უნახავს ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი. მისი თვითდაჯერება მუდამჯამს გამართლებული იყო და, ტერენსის თქმისა არ იყოს, ყოველთვის დიდ საქმეს აკეთებდა. მან იცის ახლაც, უდავოდ იცის ყოველივე და მაინც ესოდენ ღრმა რწმენითაა გამსჭვალული. ურყევად სწამს, როგორც საკუთარი თავის, ისე ჩემი.

გრეჰემმა მის მაქსუელთან დაიწყო ცეკვა, პაოლა კი ისევ ამ საოცრად მძიმე ფიქრებში ჩაიძირა, მწარე განცდები სულს უწეწავდა. როგორც ჩანს, დიკი არცთუ ისე დიდად იტანჯება, ასედაც მოელოდა. მას ფხიზლად, განყენებულად შეუძლია განსაჯოს ყოველივე, ის ხომ ფილოსოფოსია. შესაძლებელია, მეუღლის დაკარგვა ისევე მშვიდად და შეუშფოთებლად გადაიტანოს, როგორც «მთიელის» თავიდან მოშორება, ჯერემ ბრექსტონის სიკვდილი ან მალაროების წაღვევა. «მეტად ძნელი ყოფილა, — ღიმილით გაიფიქრა გუნებაში, — დაუოკებელი განცდით აღვსილი მთელი არსებით ისწრაფვოდე გრეჰემისაკენ, თან იყო მეუღლე ისეთი ფილოსოფოსისა, რომელიც თითო თითზე არ დააკარებს შენს შესაჩერებლად».

პაოლამ კვლავ ახალი ძალით იგრძნო, რისთვის ხიბლავდა გრეჰემი ესოდენ მოუწონებელი გრძნობით. დიახ, მისი ვაჟური, ცეცხლოვანი მგზნებარება და ზომიერი, ადამიანური თვისებანი ქცეულიყო მისი დაუცხრომელი გატაცების მიზეზად. აი, სწორედ ამ ბუნებრივ ნიადაგზე წარმოშობილმა გრძნობამ გამოიწვია მისდამი ასეთი ძლიერი ლტოლვა. ყოველ შემთხვევაში, დიკთან ადრეულ გატაცებასაც კი, ჯერ კიდევ პარიზში, როდესაც პირველად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, პაოლა ასეთი გრძნობით არ აღუწია. მართალია, იგი ყველასაგან განსხვავებული, შეუდარებელი ახალგაზრდა შეყვარებული ჭაბუკი გახლდათ, სატრფიალო ფრაზებისა და სახოტბო სიმღერების შემქმნელი, რაც პაოლას ესოდენ აღტაცებას იწვევდა, მაგრამ ის ვერ შეედრება ყოველივე იმას, რასაც ახლა განიცდიდა გრეჰემისადმი და რასაც, ალბათ, ახლა ივენი გრძნობდა. ამასთანავე, პაოლა მაშინ სრულიად ნორჩი და გამოუცდელი იყო სიყვარულის საქმეში, როდესაც დიკმა ასე მოულოდნელად დაიპყრო მისი გული.

ამ ფიქრებმა მეუღლის მიმართ მისი გული თითქოს უფრო გააქვავა, ხოლო გრეჰემისადმი დაუოკებელი გრძნობა გაუღვივა. სტუმართა კრებული, მხიარულება, მღელვარება, ცეკვის დროს უნახესი შეხება, ზაფხულის საღამოს სითბო, მთვარის ვერცხლისფერი შუქი და ყვავილთა ღამეული სურნელება სულ უფრო და უფრო აღელვებდნენ პაოლას და რაღაც დაუცხრომელი სურვილით აღინთო, კიდევ ერთხელ ეცეკვა გრეჰემთან.

— ელვარე შუქი საჭირო არ არის, — უხსნიდა დიკი, — ეს გერმანელთა გამოგონებაა. ნახევარი წუთი დაყოვნებაც კი საკმარისია, თან სრულიად ჩვეულებრივ სინათლეზე. ყველაზე მოხერხებული ის არის, რომ ფირფიტის გამოძვლავნება გადაღებისთანავე შეიძლება. მაგრამ ნაკლიც აქვს, პირდაპირ ფირფიტიდან გადაღება არ ხერხდება.

— თუ სურათი კარგი გამოვიდა, ამ ფირფიტიდან შეიძლება ჩვეულებრივზე გადაღება და მერე იქიდან გამოძვლავნება, — შენიშნა ერნესტინამ.

ერნესტინას უკვე მოესწრო, ენახა კამერაში ჩახვეული ოცი ფუტი სიგრძის უშველებელი გორგალი, რომელიც ბურთულაზე ხელის დაჭერისთანავე ყუთიდან ეშვავით გარეთ ვარდებოდა ხოლმე. დამსწრეთა შორის სხვაც ბევრი იყო, ვისაც ენახა აპარატი და დიკს სთხოვდნენ, კამერა გაეხსნა და სურათები გამოემძვლავნებინა.

დიკს უფრო მეტი ხნით მოუხდა სტუმრების მიტოვება, ვიდრე მოელოდა, რადგან ბონბრაიტს მის მაგიდაზე მექსიკაში მომხდარი ამბების მაუწყებელი რამდენიმე დეპეშა დაეტოვებინა. დეპეშები სასწრაფო პასუხს საჭიროებდა. ბოლოს აპარატი აიღო და უმოკლესი გზით სასახლისა და ბაღის გადავლით სტუმრებს შეუერთდა. თაღებქვეშ მოცეკვავე წყვილები ნელ-ნელა დარბაზში შედიოდნენ. სვეტს მიყრდნობილ დიკის წინ ჩაიარა თითქმის ყველა წყვილმა. უკანასკნელი წყვილი პაოლა და გრეჰემი აღმოჩნდა. მათ ისე ახლოს ჩაუქროლეს, რომ დიკს მარტო ხელის გაწევითაც შეეძლო შეხებოდა. მთვარის შუქი დიკს სახეზეც ეცემოდა, მაგრამ მათ მაინც ვერ შენიშნეს. ისინი მხოლოდ ერთმანეთსლა ამჩნევდნენ, უნაზესი გრძნობით აღვსილნი ერთურთს ეალერსებოდნენ და თვალს ვერ სწყვეტდნენ.

როცა დარბაზში უკანასკნელის წინა მსრბოლი წყვილი შევიდა, მუსიკაც შეწყდა. პაოლა და გრეჰემი შეჩერდნენ. გრეჰემმა პაოლას ხელი შესთავაზა, ეტყობა, დარბაზში სურდა შეეყვანა, რომ უცებ მოზღვავებული გრძნობით ათრთოლებული პაოლა თავშეუკავებელად მკერდში ჩაეკრა. გრეჰემმა წმინდა მამაკაცური სიფრთხილით წამით ოდნავ წინააღმდეგობაც გაუწია, მაგრამ პაოლამ ხელი კისერზე შემოხვია და გრძნობამოჭარბებულმა საკოცნელად მიიზიდა. დიახ, ეს გახლდათ მოულოდნელი და დაუოკებელი გრძნობის მოზღვავება. წუთიც და პაოლამ უკვე მკლავი გამოსდო გრეჰემს და დარბაზში შევიდა. მისი მხიარული, ბუნებრივი სიცილი ზარკით რეკავდა ირგვლივ.

დიკი ხელებით სვეტს მოეხვია, მერე ნელ-ნელა დაბლა ჩაცურდა და პირდაპირ მარმარილოს ფილაქანზე ჩაიკეცა; სუნთქვა ეკვროდა. გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობსო. ჰაერი არ ჰყოფნიდა, ეს დაწყველილი გული კი ყელში მობჯენოდა და, მართლაც, ახრჩობდა. მერე მოეჩვენა, რომ გული ყელიდან სულ ზემოთ ამოვიდა, კბილებშორის მოექცა, ნაფლეეთებად იქცა და სუფთა მაცოცხლებელ ჰაერთან ერთად ნაწილ-ნაწილ ყლაპავდა. უცებ გააჟრჟოლა, ბოლოს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ოფლმა დაასხა.

— განა ამქვეყნად ვინმეს სმენია გულით სნეული რომელიმე ფორესტი? — ჩაიბუტბუტა მან. სვეტს მიყრდნობილი დიკი ისევ ფილაქანზე იჯდა და ოფლით დანამულ სახეს იწმენდა. ხელი უკანკალებდა. გულის ავადმყოფურად თრთოლვამ გულის მსუბუქი რევაც კი მოჰგვარა.

«გრეჰემს რომ ეკოცნა, ალბათ, ასე მტანჯველი არ იქნებოდა», — ფიქრობდა თავისთვის, მაგრამ უჩვეულო სურვილით ანთებული პაოლა თვითონ მიიწევდა მისკენ. მამასადამე, ნამდვილი სიყვარულია, ნამდვილი გრძნობა. მან საკუთარი თვალით იხილა ყოველივე და ახლა, როცა ის სურათი კვლავ წარმოიდგინა, გული ისევ შეეკ-

უმშა და ყელში მოწოლილ ბურთივით ახრჩობდა. მერე თავს ძალა დაატანა, როგორც იყო, დიდი გაჭირვებით საკუთარი თავი დაიმორჩილა და ფეხზე წამოდგა.

«ღმერთმანი, გული ნამდვილად ყელში მქონდა მობჯენილი და კბილებით ვფლეთდი. დიახ, ნამდვილად ვღეჭავდი, — ჩაიბუტბუტა თავისთვის.

დიკმა ბაღს შემოუარა და საკმაოდ მხიარული სახით, როგორც ეს თვითონ ეგონა, განათებულ დარბაზში შევიდა, ხელში აპარატი ეჭირა, მაგრამ საოცრად განაცვიფრა სტუმრების მიგებებამ.

— რა დაგემართათ? მოჩვენება ხომ არ მოგლანდებიათ? — შეეკითხა ლიუტი.

— თავს ცუდად გრძნობთ? რა მოხდა? — დააყარეს კითხვები სხვებმაც.

— რატომ მეკითხებით, რა მოხდა? — თავის მხრივ იკითხა გაოცებულმა დიკმა.

— თქვენი სახე... ფერი აღარ გადევთ! — წამოიძახა ერნესტინამ, — რა მოგივიდათ?

გაოგნებულმა დიკმა მიმოიხედა და თვალი ჰკვიდა, ლოტი მეზონმა მზერა პაოლასა და გრეჰემისაკენ რომ გააპარა. ერნესტინამ ეს მზერა მაშინვე შენიშნა და თვითონაც ფარულად შეათვალიერა გრეჰემი და პაოლა.

— დიახ, — იცრუა დიკმა. — ძალიან ცუდი ამბავი შევიტყვე... ეს არის ცნობა მივიღე, ჯერემ ბრექსტონი გარდაცვლილა. მექსიკელებს შეუპყრიათ, როცა არიზონაში გაქცევას აპირებდა.

— მოხუცი ჯერემი! აცხონოს ღმერთმა! რა შესანიშნავი ადამიანი იყო, — წარმოთქვა ტერენსმა და დიკს მკლავი გამოსდო. — წამოდით, მოსამაგრებლად საჭიროა ცოტა გადაჰკრათ, მე მიგაცილებთ.

— არა, საჭირო არ არის, უკვე ყველაფერმა გამიარა, — გაიღიმა დიკმა, მხრები შეარხია და, თითქოს ძალას იკრებსო, ისე გასწორდა. — იმ წუთში ეს ამბავი მეხივით დამეცა თავს, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ჯერემი ამ ამბავს, ასე თუ ისე, თავს დააღწევდა, მაგრამ პეონებს ის და ორი ინჟინერი შეუპყრიათ, მათაც, რა თქმა უნდა, დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ. კლდის პირას ჩასაფრებულან და მთელი დღე-ღამის განმავლობაში ხუთასკაციან ალყას ესროდნენ. მაშინ მექსიკელებს ზემოდან დინამიტი ჩამოუგდიათ და მათ სანაცვლოდ მხოლოდ სისხლიღა დარჩენილა ბალახზე. მხოლოდ ბალახი, შარშანდელი ბალახი, რომელიც აღარც გამოცოცხლდება.

— თქვენი წინადადება, მართლაც, ბრძნული რჩევაა, ტერენს, გთხოვთ, გამიძღვეთ.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, დიკი მოტრიალდა და ერნესტინას გასძახა:

— ამ ამბით მხიარულებას ნუ გაიუგემურებთ, მე ახლავე დავბრუნდები და მთელ ჯგუფს გადავიღებ: შენ კი, ერნესტინა, ყველას თავისი ადგილი მიუჩინე და, რაც შეიძლება, დიდი შუქი აანთეთ.

დარბაზის შორეულ ბოლოში ტერენსმა ხელი დააჭირა ლილავს და კედელში თვალისათვის შეუმჩნეველად შედგმული სადგარი ბუფეტი გამოაღო. მაგიდის მთავარი ფიცარი რომ დაეშვა, ჭიქებიც გამოიღო. დიკმა კედლის ნათურა აანთო და საკუთარი სახე შეათვალიერა სადგარში ჩატანებულ პატარა სარკეში.

— ჩემი აზრით, ახლა თითქოს არა მიშავს რა, ბუნებრივად გამოვიყურები, — წარმოთქვა მან.

— ეს ისე, უეცარმა ჩრდილმა გადაირბინა და გაქრა, — დაეთანხმა ტერენსი და თან სასმისებში ვისკი დაასხა. — ხომ აქვს ადამიანს უფლება, ძველი მეგობრის დაკარგვა განიცადოს?

ჭიქები მიაჯახუნეს და ჩუმად დალიეს.

— კიდევ ერთიც. — წარმოთქვა დიკმა და სასმისი გაუწოდა.

— მითხარით, რამდენი დავასხა? — იკითხა ირლანდიელმა და მშვიდად შეჰყურებდა, როგორ იწევდა სითხის დონე სასმისში.

დიკი ელოდა, სანამ ნახევრამდე მიაღწევდა.

დიკმა და ტერენსმა სასმისები კვლავ მიაჯახუნეს და უეცრად გადაჰკრეს, თან ერთმანეთს თვალებში შეჰყურებდნენ. დიკი უდიდესი მადლობის გრძნობით აღივსო ტერენსისადმი, რომლის მხერაში ესოდენ დიდი გულწრფელობა და თავდადება ამოიკითხა.

დარბაზის შუაგულში კი ერნესტინა სტუმრებს სურათის გადასაღებად აწყობდა და ცდილობდა პაოლას, გრეჰემის და ლოტის სახეებიდან ამოეკითხა ის, რასაც თვითონ უნებურად გრძნობდა. რატომ გადახედა ლოტიმ ასე დაჟინებითა და დაკვირვებით გრეჰემსა და პაოლას? — ფიქრობდა გუნებაში ერნესტინა. — დიახ, პაოლას თავს რაღაც უჩვეულო ამბავია, თითქოს აღელვებული და შეწუხებული ჩანს. ბრექსტონის სიკვდილი, ვფიქრობ, აქ არაფერ შუაშია.

გრეჰემის სახიდან ერნესტინამ ვერაფერი ამოიკითხა. ჩვეულებისამებრ, თავი შესანიშნავად ეჭირა და, ეტყობა, ისეთ ამბებს ყვებოდა, რომ მის მაქსუელი და მისის უოტსონი განუწყვეტლივ კისკისებდნენ....

პაოლას გუნება გაუფუჭდა. რა მოხდა? რისთვის იცრუა დიკმა? მან ჯერემი ბრექსტონის სიკვდილის ამბავი ჯერ კიდევ ორი დღის წინ იცოდა. არც არავის სიკვდილის გაგონება ასე არ მოქმედებს მასზე! ნეტავ ზედმეტი ხომ არ დალია? მთელი მათი ცოლქმრული ურთიერთობის მანძილზე პაოლამ მხოლოდ რამდენჯერმე ნახა დიკი მთვრალი. მაგრამ ალკოჰოლი მასზე არ მოქმედებდა. სასმელი მხოლოდ ბრწყინვალეობას ჰმატებდა მის თვალებს, ენას ამოადგმევინებდა და დიდი გატაცებით იგონებდა ათასნაირ გასართობს — ღიღინებდა და მღეროდა განუწყვეტლივ. იქნებ მოასწრო და ამ გამოუსწორებელ მსმელ ტერენსთან ერთად დალია საბილიარდოში. სადილობამდე ხომ იქ ნახა ყველანი. მეუღლის მღელვარების ჭეშმარიტი მიზეზი პაოლას აზრადაც არ მოსვლია, რადგან დიკის ბუნებისათვის სრულიად უცხო იყო ფარული თვალთვალი და თვალთმაქცობა.

უკან მობრუნებული დიკი ტერენსის რაღაც ახალ ხუმრობაზე გულიანად ხარხარებდა. გრეჰემს უხმო და ტერენსს ნათქვამი გაამეორებინა. სამივენი ისე გულიანად ხარხარებდნენ, მათმა სიცილმა სტუმართა თავყრილობის ყურადღება მიიპყრო. სიცილით რომ გული იჯერეს, დიკი სტუმრებისათვის სურათის გადასაღებად მოემზადა. ბურთულაკს ხელი შეახო თუ არა, უზარმაზარი, გველივით დახვეული გორგალი, თითქოს გაისროლესო, ისე გამოხტა. ქალებმა შიშით წამოიკივლეს, უგუნებობაც სადღაც გაქრა და გაიფანტა. მით უფრო მაშინ, როდესაც დიკმა მიწის თხილის თამაში მოისურვა. თამაში ასეთი გახლდათ: სკამიდან სკამამდე, რომელიც ერთმანეთისაგან დაახლოებით თორმეტი იარდის დაშორებით იდგა, სუფრის დანის წვერით ხუთ წუთში უნდა მიეტანათ რაც შეიძლება მეტი მიწის თხილი. დიკმა თვითონ აჩვენა, როგორ ხდებოდა ეს ყველაფერი. მერე თავის მეწყვილეად პაოლა აირჩია და შეჯიბრებაში გამოიწვია ყველა, როგორც უინკენბერგელი, ასევე მადრონოს ჭალების ბინადარნი. ტკბილეულის უამრავი კოლოფი მოიგეს და წააგეს! ბოლოს და ბოლოს, პაოლამ და დიკმა აჯობეს გრეჰემსა და ერნესტინას, რომელთაც მეორე ადგილი დაიკავეს ამ საოცარ შეჯიბრებაში. დიკს სთხოვეს, სიტყვა წარმოეთქვა: არა, სჯობს იმღეროს მიწის თხილზე. დიკმა მაშინვე ინდიელთა წაბადვით იმპროვიზირება დაიწყო და მუხლჩაუხრელად ხტოდა და ხელებს ბარძაყებზე გამალებით ირტყამდა.

— «მე დიკ ფორესტი ვარ, «ქუდბედიანი» რიჩარდის ვაჟიშვილი. რიჩარდი ჯონათან პურიტანის ვაჟი გახლდათ, ჯონათანი კი ჯონის შთამომავალი იყო, იმ კაცის,

ვინც ამქვეყნად დაუდგრომელ მეზღვაურად ითვლებოდა, თავისი მამის ალბერტ მორტიმერის მსგავსად — იმ მორტიმერისა, ვისაც ზღვის მეკობრედ იცნობდნენ და ვისზედაც ამბობენ, ჯაჭვით ხელდაბორკილი ჩამოახრჩვეს და ცოდვათა შეუნდობლად გარდაიცვალაო.

მე ფორესტთა გვარის უკანასკნელი შთამომავალი ვარ, მაგრამ მიწის თხილის გადამტანთა შორის უპირველესი. ნებროთი და სენდაუ ჩემთან რა სახსენებელია. ვერცხლის დანის წვერით გადამაქვს მიწის თხილი ყველაზე სწრაფად. მიწის თხილში ხომ თვით ემმაკი ბუდობს. თავისუფლად და შესანიშნავად გადამაქვს თხილი ერთი ადგილიდან მეორეზე. დიახ, მე აურაცხელი თხილი გადამაქვს, ჩემი დამმარცხებელი თხილი კი ჯერ არ მოუწევიათ.

მიწის თხილი გორავს, მიწის თხილი გორავს, მაგრამ მე, როგორც გეოგრაფიული ატლასი, რომელზედაც მსოფლიო გამოუსახავთ, ნებას არ ვაძლევ, დაბლა დაეცეს. მისი გადატანა ყველას არ ძალუძს. მე ღმერთმა დამაჯილდოვა ამ ნიჭით; ეს დიდი ხელოვნებაა: თხილი გორავს, მე კი მუდამ შემემძლება მისი ტარება.

არონი ფილოსოფოსია. აბა რა ეთხილება. ერნესტინა ქერა ქალწულია. ქერა ქალიშვილთ არ შეუძლიათ მიწის თხილის ტარება. ივენი სპორტსმენია და თხილი უცვივა ხელიდან. პაოლა ხომ ჩემი ჯუფთია. არც მას შეუძლია მისი შეჩერება დანის წვერზე. მხოლოდ მე ერთს, ღმერთის შემწეობით და საკუთარი სიბრძნის წყალობით შემძლია ვატარო ქვეყნად მიწის თხილი.

თუ ვინმეს ჩემი სიმღერა მოსწყინდა, რამე მძიმე საგანი მესროლოს. მე ამაყი ვარ და დაუღლეელი. შემძლია მთელი საუკუნე ვიმღერო. დიახ, ვიმღერებ კიდევ საუკუნის დასასრულამდე».

აქ უკვე მეორე სიმღერა იწყება: თუ მოვკვდე, მიწის თხილის გროვაში დამმარხეთ, მაგრამ ჯერ ცოცხალი ვარ...

როგორც მოსალოდნელი იყო, დიკს დივანის რბილი ბალიშები დააყარეს. მისი სიმღერა შეწყდა, მაგრამ დაუოკებელი მხიარულება არ შეწყვეტილა; ერთი წუთის შემდეგ იგი უკვე პაოლასა და ლოტი მეზონს ეჩურჩულებოდა, ტერენსის საწინააღმდეგოდ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღეთო.

ამგვარად, საღამომ ცეკვებსა, სიცილსა და ხუმრობაში ჩაიარა. შუალამისას სტუმრებს ვახშამი მოართვეს. უიკენბერგელი სტუმრები მხოლოდ დილის ორ საათზე გაემგზავრნენ. როცა სტუმრები წასასვლელად ემზადებოდნენ, პაოლამ წინადადება შემოიტანა, მეორე დღეს მდინარე საკრამენტოზე წასულიყვნენ დიკის საცდელი მეურნეობისა და მისი საუცხოო ბრინჯის ნათესების დასათვალიერებლად.

— მე კი სულ სხვას ვაპირებდი, — განაცხადა დიკმა. — ხომ იცი, ჩვენი მთის სამოვრები «საიკამორ კრიკზე», უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში იქ ნადირმა სამი კვიცი დაგლიჯა.

— პუმები დაესხმებოდნენ თავს, — წამოიძახა პაოლამ.

— სულ ცოტა, ორი პუმა მაინც იქნება. ცხადია, ჩრდილოეთიდან მოეხეტნენ, — მიუბრუნდა დიკი გრეჰემს. — ასე იციან ხანდახან. ამ ხუთი წლის წინათ სამი პუმა მოვკალით. მოსი და ჰარტლი იქ დაგველოდებიან თავიანთი ძაღლებით. ორის კვალისთვის მიუგნიათ. ვითომ რა იქნება, ყველა ერთად რომ წავიდეთ? შეგვიძლია ახლავე, საუზმის შემდეგ გავემგზავროთ.

— შეიძლება მოლი დამითმოდ? — იკითხა ლიუტმა.

— შენ ალტადენაზე შეჯდები, — უთხრა პაოლამ ერნესტინას.

ცხენები სწრაფად გაინაწილეს. ფრიოლენგი და მარტინესიც დათანხმდნენ, ნადირობაში მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ ისიც დასძინეს, კარგი მხედრები არა ვართ და კიდევ უფრო უარესი მონადირენიო.

ყველა უინკენბერგელთა გასაცილებლად გამოვიდა. მართალია, მანქანები დაიძრა, მაგრამ ერთხანს მაინც არ დაშლილან, ხვალინდელ ნადირობაზე საუბრობდნენ.

— ღამე მშვიდობისა, — წარმოთქვა დიკმა, როცა უკვე ყველა შინ შევიდა. — დაძინებამდე წავალ. ერთი ბებერ ბესის დავხედავ. ჰენესი ყარაულობს საბრალოს. გახსოვდეთ, გოგონებო, საუზმეზე უკვე საცხენოსნო ტანსაცმელში გამოწყობილი ჩამოდით, დაგვიანება სასტიკად აკრძალულია.

ფოთერინგტონის პრინცესას ბებერი დედა, ბესი, მართლაც, ძალიან ცუდად იყო, მაგრამ დიკი სხვა დროს ასე გვიან ცხენის სანახავად არ წავიდოდა. მას ახლა მხოლოდ მარტო ყოფნა სურდა, თან იმასაც შიშობდა, ყოველივე იმის შემდეგ, რის მოწმეც საკუთარი თვალთ შეიქნა, პაოლას სადმე პირისპირ არ შეჰყროდა.

მის უკან, ხრეშით მოფენილ გზაზე მსუბუქი ნაბიჯების ხმა გაისმა. უკან მოიხედა, ერნესტინა წამოეწია და ხელკავით თან გაჰყვა.

— საბრალო ბებერი ცხენი, — წარმოთქვა გოგონამ, — მეც მინდა მისი ნახვა.

დიკი კვლავ განაგრძობდა როლის შესრულებას. გაიხსენა იმდამინდელი ყველა სასაცილო ამბავი, ოხუნჯობა, ლაღობდა, ძალიან მხიარული ჩანდა.

— დიკ, — წარმოთქვა ერნესტინამ, როცა დიკი გაჩუმდა. — თქვენ რაღაც მძიმე დარდი გაწუხებთ. — ერნესტინამ იგრძნო, უცებ როგორ შეკრთა ვაჟკაცი და სწრაფად განაგრძო: — ძალიან მინდა დაგეხმაროთ! შეგიძლიათ მენდოთ. უმორჩილესად გთხოვთ, მითხარით, რა გაწუხებთ?

— დიახ, გეტყვით, — წარმოთქვა დიკმა, — მაგრამ მხოლოდ ერთს, — ერნესტინამ მადლიერების გრძნობით ხელი მკლავზე მოუჭირა. — ხვალ სასწრაფო დეპეშას მიიღებთ; არაფერი სერიოზული შიგ არ იქნება, მაგრამ შენ და ლიუტი მოემზადებით და, რაც შეიძლება, ჩქარა გაეცლებით აქაურობას.

— მეტი არაფერი? — ჰკითხა იმედგაცრუებულმა ერნესტინამ.

— ამით თქვენ ძალიან დიდ საქმეს გამიკეთებთ.

— როგორც ვხედავ, ჩემთან ლაპარაკიც არა გსურთ? — წყენით წარმოთქვა უარით გულნატკენმა ერნესტინამ.

— დეპეშა ჯერ ისევ საწოლში მოგისწრებთ. ახლა ბესისთან შენი წამოსვლა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, შინ გაიქეცი, ღამე მშვიდობისა!

დიკმა აკოცა ერნესტინას, სახლისკენ ალერსიანად წაუბიძგა და თავისი გზა განაგრძო.

## თავი ოცდამეათე

ავადმყოფი ფაშატის ნახვის შემდეგ უკან გამობრუნებული დიკი საჯინიბოს წინ შეჩერდა და ყური მიუგდო: მოუსვენრად წრიალებდნენ «მთიელი» და სხვა ულაცები. მდუმარე არემარეში, სადღაც მთის საძოვრებიდან, ერთადერთი ზანზალაკის ხმა შემოესმა. უეცრად მსუბუქმა ნიავმა დიკს ალერსით შეახო ფრთა და საოცარი სითბო შეაფრქვია. ღამეც მეტად სურნელოვანი იყო, მწიფე პურის ყანისა და გამხმარი ბალახის სურნელით გაჟღენთილი. კვლავ დაუოკებელ ულაცთა ფეხის ხმა გაისმა. დიკმა ამოიოხრა და ნათლად იგრძნო, რომ არასოდეს ჰყვარებია ყოველივე ეს ასე ძალიან. თავი ასწია და ვარსკვლავებით მოჭედო ცის ტატნობს გახედა, ადგილ-ადგილ მთის მწვერვალებს რომ დაეფარა.

— არა, კატონ, — ხმამაღლა წამოილაპარაკა მან, — ადამიანს არ ძალუძს ასე იოლად დაგეთანხმოს. ადამიანი ისევე ვერ განშორდება ამ ქვეყანას, როგორც საკუთარ ჭერს. ის მიდის ამქვეყნიდან, როგორც სახლიდან — იმ ერთადერთ საცხოვრებელი თავშესაფრიდან, რომელიც მას ეკუთვნოდა. ის მიდის... სად? არსაით! ღამე მშვიდობისა! მისთვის მდუმარება და წყვილია დია ამიერიდან.

დიკ ფორესტს გზის გაგრძელება სურდა, მაგრამ თავლიდან კვლავ ულაცოა ფეხის ხმა შემოესმა, მთებში კი ისევე ჟღარუნობდა ზანზალაკი. ცხვირის ნესტოები დაძაბა, რომატული ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და იგრძნო, როგორ უყვარდა ეს ჰაერი, ეს სახლ-კარი თუ ნათესი ველები. უყვარდა, რადგან ყველაფერი მისი ხელების წყალობით იყო შექმნილი.

«დროის უძირო სივრცეს ჩავხედე, მაგრამ თავი კი ვერ დავინახე». — გაახსენდა დიკს და ღიმილით განაგრძო: «ცხრა ვაჟიშვილის გამჩენმა დედამ, ცხრა ქალიშვილით დამასაჩუქრა!» დიკი სახლს მიუახლოვდა, მაგრამ მაშინვე არ შესულა, წამით შეიცადა, თვალს ატკბობდა შენობის ლაღად გაშლილი, ცადაზიდული კონტურები. კარგა ხანს მდუმარებით მოცულ ბაღში, ოთახებსა თუ მკრთალად განათებულ დერეფნებში იხეტიალა. დიკი თავს ისე გრძნობდა, თითქოს შორეულ მოგზაურობას შეუდგაო. მერე პაოლას თვალწარმტაც ბაღში სინათლე აანთო, მარმარილოს რომაულ სავარძელში ჩაჯდა და სიგარეტის წევით გართული საკუთარ ფიქრთა დინებას მიენდო.

— დიახ, ყოველივეს მოხერხებულად მოაწყობს. ნადირობის დროს სრულიად ადვილი მოსალოდნელია ასეთი უბედური შემთხვევა. ეს კი ქვეყანას საბოლოოდ თვალს აუხვევს. მიზანს კი ნამდვილად არ ავაცდენ. მაგრამ ჯობს, ხვალ მოხდეს ტყეში, საიკამორ კრიკზე. პაპაჩემი, ჯონათან ფორესტი, ეს მკაცრი პურიტანი კაცი, ხომ ნადირობის დროს დაიღუპა, უბედური შემთხვევის წყალობით... — და დიკის გულს პირველად თავის სიცოცხლეში ეჭვმა გაჰკრა. — ვთქვათ, ეს შემთხვევითი ამბავი არც იყო. მოხუცმა მაინც ყოველივე დიდებულად მოახერხა. ოჯახში არასოდეს გაუგონია, რომ მისი სიკვდილის მიზეზად სხვა რამ დაესახელებინათ.

ხელი ელექტროლილაკს შეახო, მაგრამ წუთით კვლავ შეიცადა, სურდა, უკანასკნელად შეეველო თვალი მარმარილოსაგან გამოკვეთილ ჩვილ ყრმათა გამოსახულებისათვის, რომლებიც თითქოს გატაცებით თამაშობდნენ სავსე აუზში, ვარდებს შორის.

— ნახვამდის, მარად ჩვილნო, საყვარელნო ყრმანო, — ჩურჩულით მიმართა დიკმა. — თქვენ ხართ ყველაზე ახლობელი, რაც კი ოდესმე ჩემს გონებასა და მარჯვენას შეუქმნია.

საკუთარი საძინებლიდან დიკმა დიდი ბაღის იქითა მხარეზე პაოლას საძინებელ ოთახს გახედა. სინათლის ერთი სხივიც არსად გამოკრთოდა, ალბათ, ეძინა.

ფიქრებიდან რომ გამოერკვა, შენიშნა, საწოლის კიდეზე ჩამომჯდარიყო და ცალი ფეხსაცმლის ზონარი შეეხსნა. საკუთარმა დაბნეულობამ ღიმილი მოჰგვარა და ზონარი კვლავ შეიკრა. რაღა დროს დაწოლა? დილის ოთხი საათია. დღეს ხომ უკანასკნელად იხილავს მზის ამოსვლას. დღეს, რა თქმა უნდა, ყველაფერი უკანასკნელად იქნება, ეს ჩაცმაც უკანასკნელი აღმოჩნდება. გუშინდელი დილის აბაზანაც უკანასკნელი იყო. განა კამკამა წყალს შეუძლია სასიკვდილო ხრწნა შეაჩეროს? მაგრამ წვერის გაპარსვა კი აუცილებელია. უნდა მოახერხოს, ეს ხომ მიწიერი ამაოების უკანასკნელი ხარკია. თმა სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს თურმე ზრდას გარკვეული დროის მანძილზე.

კედელში დატანებულ ცეცხლგამძლე კარადიდან ანდერძი ამოიღო, მაგიდაზე დადო და ყურადღებით წაიკითხა. უამრავი წვრილმანი რამ აღმოჩნდა ჩასამატებელი,

რომელიც იქვე, ხელითვე ჩაწერა, თან წინდახედულების გამო ექვსი თვით ადრე დაათარიდა. ანდერძის უკანასკნელი მინაწერი მადრონის ჭალების ბინადართ ეკუთვნოდა, რათა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე უზრუნველყოთ ფილოსოფოსთა გაერთიანება შვიდი კაცის შემადგენლობით.

ბოლოს სიცოცხლის სადაზღვევო პოლისებს გადაავლო თვალი და განსაკუთრებული ყურადღებით ის პარაგრაფი ჩაიკითხა, დასაშვებ თვითმკვლელობას რომ ეხებოდა. იქვე ლანგარზე დაზვინულ წერილებს ხელი მოაწერა, გუშინ დილის შემდეგ რომ მის ხელმოწერას ელოდა. მერე თავისი წიგნების გამომცემლის სახელზე დიქტოფონში წერილი ჩაწერა. მაგიდა გაასუფთავა. სასწრაფოდ გამოიანგარიშა შემოსავალი და გასავალი. შემოსავლიდან ნიაღვრით წალეკილი ჰარვესტის მალაროები ჩამოწერა. მაქსიმალურად გაზარდა გასავალი და მინიმუმამდე შეამცირა შემოსავალი, მაგრამ შედეგი მაინც დამაკმაყოფილებელი მიიღო.

მერე ციფრებით აჭრელებული ფურცლები დახია და ახალი გეგმა შეადგინა. მექსიკის მალაროების მართვის საცდელი ეს გეგმა როგორღაც დაუდევრად მოხაზა, რომ შემდეგ, როცა ქალაქებში აღმოაჩენდნენ, არავითარი ეჭვი არ გამოეწვია... ასევე შეადგინა შაირის ჯიშების გაუმჯობესების ახალი გეგმაც და საჯიშე პირუტყვის შერჩევისა და შეჯვარების ახალი პროგრამა, რაც, კერძოდ, «მთიელის», ფოთერინგტონის პრინცესას და მათ შთამომავლობას ეხებოდა.

როცა ო-დაიმ ექვს საათზე ყავა მოართვა, დიკი ბრინჯის პლანტაციების პროექტის უკანასკნელ პუნქტს აყალიბებდა.

«მართალია, იტალიური ბრინჯი შედარებით მალე იზრდება, რის გამოც საცდელად მეტისმეტად ხელსაყრელია, — წერდა იგი, — მაგრამ მე ერთხანს ამ მინდვრებზე მოტის, იოკოსა და უოტერიბიუნის ჯიშის ბრინჯს დავეთესავ, რადგან ისინი სხვადასხვა დროს იძლევიან მოსავალს, ეს საშუალებას მოგვცემს, იმავე მუშახელით, მანქანებით და იმავე ხარჯებით დავამუშაოთ გაცილებით დიდი ფართობი, ვიდრე ერთი ჯიშის მცენარის დათესვის დროს ხდება».

ო-დაიმ ყავა მაგიდაზე დადგა. არავითარი განცვიფრება არ გამოუხატავს თვით მაშინაც კი, როცა ხელუხლებელ ლოგინს შეავლო თვალი, რომელშიაც დიკს, რა თქმა უნდა, იმ ღამეს არ სძინებია. მსახურის ასეთმა გონივრულმა თავდაჭერილობამ დიკს აღფრთოვანება მოჰგვარა.

ექვსსა და ოცდაათ წუთზე ტელეფონის ყურმილი აწკრიალდა და დიკმა ჰენესის დაღლილი ხმა გაიგონა:

— ვიცი, უკვე რომ ადექით და მინდა სასიხარულო ამბავი გაცნობოთ: ბებერი ალდენ ბესი გადარჩა, თუმცა წუხელ ძალიან ცუდად იყო. ახლა სათივეში შევუშვი და ცოტა თვალს მოვატყუებ.

დიკმა პირი გაიპარსა და შხაპის წინ შედგა, კარგა ხანს ყოყმანობდა, შემდეგ სახე საოცრად მოელუშა: «დრო იკარგება, რა ჯანდაბად მინდა!» — გაიფიქრა ბოლოს. მხოლოდ ფეხთ გამოიცვალა, შედარებით მძიმე, ნადირობისთვის უფრო მოხერხებული ფეხსაცმელი ჩაიცვა.

კვლავ მაგიდასთან იჯდა და საკუთარი ხელით ჩაწერილ შენიშვნებს ამოწმებდა. უეცრად პაოლას ფეხის ხმა შემოესმა. ქალი, ჩვეულებისამებრ, არ მისალმებია: «დილა მშვიდობისა, მხიარულო დიკ», მაგრამ მასთან სულ ახლოს მივიდა და ალერსიანად უთხრა:

— მუდამ დაუღალავო, მარად მხნე, სიცოცხლით გაუმადლო რკოს მთესავო, მეწამულო ღრუბელო!

დიკი წამოდგა, ცდილობდა არ შეხებოდა მეუღლეს, მაგრამ ერთი შეხედვითვე შენიშნა მისი ჩაშავებული თვალის უპეები. თავის მხრივ, არც პაოლა ცდილა დიკის შეხებას.

— კიდევ თეთრად გაათენე? — იკითხა დიკმა და სკამი შესთავაზა.

— თეთრად გავათენე, — მოღლილი გამომეტყველებით უპასუხა პაოლამ. — ერთი წამიც არ მძინებია, თუმცა ძალიან ვეცადე.

საუბარი ორივეს უჭირდა, მაგრამ რაღაც შინაგანი ძალის წყალობით ერთმანეთს თვალი ვერ მოაშორეს.

— რაღაც ცუდად გამოიყურები, — წარმოთქვა პაოლამ.

— დიახ, როგორღაც სახეზე შევიცვალე... — თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად დიკმა. — სწორედ ახლა გაპარსვისას სარკეში ვიხედებოდი და... ეს ბოლოდროინდელი უცნაური გამომეტყველება აღარ მეცვლება.

— რაღაც საოცარი დაგემართა წუხელ, — შიშნარევად წარმოთქვა პაოლამ და დიკმა ცხადად ამოიკითხა პაოლას თვალეში იგივე წამება, რომელიც ო-დიეს თვალეში შენიშნა. — ყველამ შენს სახეს მიაქცია ყურადღება. რა დაგემართა?

დიკმა მხრები აიჩეჩა.

— ეს გამომეტყველება ბოლო ხანია დაღვივით აზის ჩემს სახეს. — დიკმა თავი აარიდა პასუხს. მოაგონდა, რომ პირველად იგი იმ პორტრეტზე შენიშნა, რომელსაც პაოლა ხატავდა. — შენც შენიშნე? — ჰკითხა ბოლოს დიკმა.

პაოლამ თავი დაუქნია. უცებ თავში ახალი აზრი მოუვიდა. დიკმა ეს აზრი მის სახეზე მანამ ამოიკითხა, ვიდრე პაოლა ხმამაღლა წარმოთქმას მოახერხებდა.

— დიკ, რაიმე საქმეში ხომ არ გაები?

ეს იქნებოდა ხსნა. ამას შეეძლო გადაეჭრა ყველა გაუგებრობა და პაოლას სახეზე იმედის სხივი აკიაფდა.

დიკმა ნელა გაიქნია თავი და გაიღიმა: შეხედა, როგორ გაუცრუა ქალს იმედი. თუმცა, მართლაც ასეა, — წარმოთქვა მან. — დიახ, გავები.

— შეგიყვარდა ვინმე? — პაოლას საოცარი სურვილი წვავდა დიკს ეპასუხა: დიახ, შემეყვარდაო!

მაგრამ ყოველივე იმისათვის, რაც ამას მოჰყვა, პაოლა მოუმზადებელი აღმოჩნდა. დიკი წამოდგა, მოურიდებლად მისწია სკამი ისე ახლოს, რომ მისი მუხლები თითქმის ეხებოდა პაოლას მუხლებს, მერე მისკენ გადაიხარა და სწრაფად, მაგრამ ფრთხილად ჩაჰკიდა ხელი.

— ნუ შეშფოთდები, პაწაწინა ფრთოსანო ფერიავ, — დააწყნარა დიკმა. — კოცნას არ დაგიწყებ. რა ხანია, შენთვის აღარ მიკოცნია. მინდა მხოლოდ ჩემი გამიჯნურების ამბავი გამცნო, მაგრამ უპირველესად საჭიროდ მიმაჩნია, გაგახსენო, რა ზვიადი ვარ და როგორ... დიახ, როგორ ვამაყოფ საკუთარი თავით. როგორ ვამაყოფ, რომ მიჯნური ვარ. მიჯნური — ჩემს ასაკში! ეს დაუჯერებელია, განსაცვიფრებელი, და იცით, მერე რა გრძნობითა და განცდით მიყვარს? ო, რა უცნაური, სრულიად უჩვეულო ადამიანი ვარ და ამასთანავე განუმეორებელი მიჯნური! მე ყველა წიგნს და ბიოლოგიურ თეორიებს უარვეყოფ და მოურიდებლად დავცინი. როგორც აღმოჩნდა, მე მხოლოდ ერთი ქალის თაყვანისმცემელი და მონა-მორჩილი აღმოვჩნდი ამ უკიდევანო დედამიწის ზურგზე. ვატყობ, ერთქორწინების მომხრე ვყოფილვარ. დიახ, ერთადერთ ქალს ვეტრფი ამქვეყნად. თორმეტი წლის ცოლქმრული ურთიერთობის მერე გონიერების დაკარგვამდე მიყვარს, ვეტრფი უნაზესი და უძლიერესი გრძნობით, ისე, როგორც ჯერ არავის ჰყვარებია ამქვეყნად!

პაოლას ხელებმა უნებურად გაამჟღავნეს მისი იმედგაცრუება. ქალი რამდენჯერმე მსუბუქად შეირხა, რომ როგორმე დიკის ხელებისაგან განთავისუფლებულიყო, მაგრამ დიკი უფრო მეტად უჭერდა.

— ჩემთვის ნაცნობია ყველა მისი სისუსტე, მაგრამ მთელი თავისი სისუსტითა და სრულყოფილებით თავგზადაბნეული ვექტრფი მხოლოდ მას და მიყვარს ისეთივე ძლიერი გრძნობითა და თავდავიწყებით, როგორც ჯვრისწერის პირველ დღეს. დიახ, ისეთივე განუმეორებელი სიყვარულით, როდესაც გონმიხდილი პირველად ვეხვეოდი და ვიკრავდი გულში.

პაოლა უფრო და უფრო დაჟინებით ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა მის ტყვეობას. დიკის ხელებს შეუგნებლად თავისკენ ეწეოდა, რომ როგორმე განთავისუფლებულიყო. მის თვალებში შიში გამოკრთა. დიკმა კარგად უწყობდა მისი წესიერება და თავმოყვარეობა, ალღოთი ხვდებოდა, რომ იმის შემდეგ, რაც სულ ცოტა ხნის წინათ მის ბაგეს სხვა მამაკაცის ბაგე შეეხო, არ შეიძლებოდა არ შინებოდა დიკის მხრივ ასეთი მგზნებარე და თავდავიწყებამდე მისული წრფელი გრძნობის გამომჟღავნებისა.

— გთხოვ, გემუდარები, ნუ გეშინია, მორცხვო, უტკბესო, თვალწარმტაცო, ამაყო ჩიტუნია! ხედავ, მე თავისუფლებას განიჭებ. იცოდე, შენი სიყვარულის ცეცხლი ანთია ჩემს სულში. მთელი ამ დროის მანძილზე შენ ისეთივე ანგარიშს გიწევდი, როგორც საკუთარ თავს... მგონი, უფრო მეტადაც ვზრუნავდი შენზე, მუდამ ჩემ წინ გაყენებდი.

დიკმა სკამი უკან გასწია და, როცა მის საზურგეს მიეყრდნო, დაინახა, რომ პაოლას გამომეტყველება უფრო მიმნდობი გახდა.

— პაოლა, მე ჩემს გულს სრულიად გადაგიხსნი და მინდა შენც ასევე მოიქცე.

— ჩემდამი ასეთი სიყვარული, ვგონებ, რაღაც ახალია? — იკითხა პაოლამ, — თუ ეს განმეორებითი აფეთქებაა?

— დიახ, ხელახლა განმეორდა. თან ვფიქრობ, ასე არ უნდა იყოს!

— მე კი ვფიქრობდი, რომ ჩემი სიყვარული და თვითონ მეც ჩვეულებად ვიქცეით შენთვის მხოლოდ, — წარმოთქვა პაოლამ.

— მაგრამ ყოველთვის ძალიან მიყვარდი.

— ვფიქრობ, ასე თავდავიწყებითა და გონის დაკარგვამდე მაინც არა.

— არა, რა თქმა უნდა, — გამოტყდა დიკი, — მაგრამ საკუთარი თავისა და შენი რწმენა მქონდა. ეს რწმენა გახლდათ ჩემთვის მარადიული და სამუდამოდ გადაწყვეტილი. სწორედ აქ არის ჩემი დანაშაულიც. ახლა, როცა მარადიული რწმენა შეირყა, მთელმა ჩემმა სიყვარულმა უცებ იფეთქა და აღიგზნო. ეს ზომიერი, მუდმივად გაუნელებელი ცეცხლი ხომ მთელი ჩვენი ცოლქმრული ურთიერთობის მანძილზე ცოცხლობდა.

— ჩემზე რაღას იტყვი? — იკითხა პაოლამ.

— აი, შენამდევ მივალ, ვიცი, რაც გაღელვებს, ან რა გიშფოთებდა სულს რამდენიმე წუთის წინ. შენ უჩვეულო შინაგანი გულწრფელობა და პატიოსნება დაგყვა თან... იმაზე ფიქრი, რომ საკუთარი თავი ორ მამაკაცს გაუნაწილო, წარმოუდგენელი საშინელებაა შენთვის. მე მესმის შენი. უკვე დიდი ხანია უფრთხი და ნებას არ მაძლევ, სიყვარულით მოგეალერსო. — დიკმა მხრები აიჩეჩა. — და მეც სწორედ იმ დღიდან არ ვესწრაფვი ნამალადევ ალერსს.

— ასე რომ, ყოველივე იცოდი? პირველი წუთებიდანვე? — აჩქარებით იკითხა პაოლამ.

დიკმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

— შესაძლებელია, — დაუმატა მან, თითქოს გონებაში სასწორზე წონის სიტყვებსო, — შესაძლებელია, მე უფრო ადრე ვიგრძენი ეს მოსალოდნელობა, ვიდრე თვითონ შენ შეიგრძნობდი, მაგრამ სჯობს, ნუ შევუდგებით განსჯას...

— და შენ ხედავდი... — დააპირა ეკითხა პაოლას, მაგრამ სირცხვილისაგან უმაღვე დადუმდა. ვინ იცის, იქნებ გრეჭემთან ალერსის მოწმეც იყო.

— თავს ნუ დავიმდაბლებთ წვრილმანი ამბების განსჯით, პაოლა. ამ ამბავში ცუდი არაფერი ყოფილა და არც არის. საჭირო არ არის, საკუთარი თვალთ მეხილა რამე. ან ფარული ალერსის მოწმე გავმხდარიყავი. მახსოვს, ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან, საიდუმლოდ, სიბნელეში მოპარული წამიერი კოცნა და გულწრფელი, უსიტყვო გამომშვიდობება ღამით, ძილის წინ, როდესაც მომწიფებული გრძნობის ყოველი ნიშანი თვალსაჩინოდ მჟღავნდება. ასეთი დროს არ შეიძლება დაიფაროს ფარული სიყვარულის გამცემი ნიშნები ხმასა და საქციელში. თავისდაუნებური ალერსი ხომ გამიჯნურებულ ადამიანთა თვალთა მზერაში მოციმციმე სხივებად იღვრება განუწყვეტლივ. ხმის სითბო და სილბო, მღელვარე, შემფოთებული სუნთქვა და გუგულის მოძახილისმაგვარი ღულუნი მკერდში, ვფიქრობ, სრულიად არ არის საჭირო ყოველივე ამის შემდეგ ხვევნა, ალერსი და კოცნა იხილო ძილის წინ, გაყრის ჟამს, ფარულად სადმე ბნელ კუთხეში. გახსოვდეს, ჩემო სათაყვანო მეუღლე, რომ ყველაფერში ცამდე მართალ არსებად მიმაჩნიხარ.

— მაგრამ... ხომ მოხდა... სულ უმნიშვნელო რამ მაინც, — ჩაიბუტბუტა პაოლამ.

— მე ნამდვილად გამიკვირდებოდა, ამაზე მეტი რომ მომხდარიყო. შენ ხომ ასეთი ბუნებისა არა ხარ. მე ის ცოტაც მანცვიფრებს. თორმეტი წლის ჩვენი ასეთი დამოკიდებულების შემდეგ... ეს ყოველივე სრულიად მოულოდნელი იყო...

— დიკ, — შეაწყვეტინა პაოლამ. მერე მისკენ გადაიხარა და გამომცდელად დააკვირდა. სიტყვების ძეგნაში წამით შეყოვნდა, უნდოდა სათქმელი როგორმე გონივრულად წარმოეთქვა. შემდეგ კი გულწრფელი და გადამწყვეტი ტონით განაგრძო:

— ნუთუ ამ თორმეტი წლის მანძილზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერი შეგმთხვევია?

— უკვე გითხარი. ყველაფერში გამართლებ-მეთქი, — თავი აარიდა დიკმა პირდაპირ პასუხს.

— მაგრამ შენ პასუხი არ გაგიცია ჩემმ კითხვაზე, — დაიჟინა პაოლამ. — მე მხედველობაში უბრალო ფლირტი და არშიყობა კი არა მაქვს. ორგულობა, ღალატი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ეს ყოველივე ხომ?.. კარგა ხნის წინათ იყო?

— დიახ. შორეულ წარსულში, — უპასუხა დიკმა, — ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ.

— მე კი ხშირად მიფიქრია ამაზე, — შეესიტყვა პაოლა.

— უკვე გითხარი, ყველაფერში გამართლებ-მეთქი, — გაიმეორა დიკმა, — ახლა ისიც იცი, თუ რატომ...

— მაშასადამე, მეც მქონდა შენდაგვარი უფლება, ასე მოვქცეულიყავი. — წარმოთქვა პაოლამ. — თუმცა არ მქონდა, დიკ, არა, — სწრაფად დაუმატა მან. — ყოველ შემთხვევაში, შენ მუდამ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას მიქადაგებდი.

— ღმერთო დიდებულო, მეტ ცოდვას აღარ ჩავიდენ, აღარ ვიქადაგებ, — გაიღიმა დიკმა. — ადამიანის წარმოსახვა, ეს ისეთი ძალაა! ამ უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში იძულებული გავხდი, შემეცვალა ჩემი რწმენა და აზრი.

— ეს იმას ნიშნავს, რომ მოითხოვ შენი ერთგული დავრჩე?

დიკმა თავი დაუქნია და განუცხადა:

— სანამ ჩემს მეუღლედ ითვლები და ჩემს ოჯახში ცხოვრობ.

— მაგრამ სად არის აქ თანასწორობა?

— არავითარი თანასწორობა არ არსებობს, — თავი გაიქნია დიკმა. — დიახ, ეს ჩემი შეუსაბამო შეხედულებების ძირეული ცვლილებაა მხოლოდ; ძალიან გვიან აღმოვაჩინე უძველესი ჭეშმარიტება, რომ ქალები სულ სხვანი არიან, ვიდრე ჩვენ, მამაკაცები. ყველაფერი, რაც წიგნებითა და სხვადასხვა თეორიის მიხედვით შევისწავლე, უკვალოდ ქრება იმ მარადიული ჭეშმარიტების წინაშე, რომ ქალი — ჩვენი შვილების დედაა. მე... დიახ, მე კი დღემდე მასულდგმულებდა იმედი, რომ ჩემი შვილების დედა შეიქნებოდა... მაგრამ ახლა, რა თქმა უნდა, ყოველივე დამთავრდა. ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, საკითხავი მხოლოდ ის არის, რა გრძნობას ინახავ ფარულად გულში. მე ჩემი გული მთლიანად გადაგიშალე. მერე უკვე იმასაც გადავწყვეტო, როგორც მოვიქცეო.

— ოჰ, დიკ, — ოხვრით წარმოთქვა პაოლამ, როდესაც დუმილი აუტანელი შეიქნა. — მიყვარხარ, ჩემი გრძნობა მარადიულია და ყოველთვის მიყვარები, შენ ჩემი მეწამულისფერი ღრუბელი ხარ. იცი, ჯერ კიდევ გუშინ ვიყავი შენს საძინებელ ოთახში. ვერანდაზე გავედი, ჩემი სურათი პირით კედლისაკენ შევაბრუნე და იცი, იმწამსვე რაღაც საშინელებამ შემადრწუნა. მივხვდი, კარგს არაფერს ნიშნავდა და მაშინვე გადმოვაბრუნე ჩარჩო.

დიკმა სიგარეტი გააბოლა.

— მაგრამ გული არ გაგიხსნია, არ გითქვამს, რა გსურს. — საყვედურით შენიშნა დიკმა.

— მიყვარხარ, — კვლავ გაიმეორა პაოლამ.

— ივენი?

— იგი სულ სხვაა. შემზარავი და შემადრწუნებელია ამ ამბავზე შენთან საუბარი. გარდა ამისა, არ ვიცი, თვითონაც ვერ გავრკვეულვარ ჩემს გრძნობებში...

— ეს ჭეშმარიტი სიყვარულია თუ უბრალო სატრფიალო ეპიზოდი? ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე.

პაოლამ თავი გაიქნია უარის ნიშნად.

— ნუთუ ვერ მიმიხვდი, დიკ, — განაგრძო ქალმა, — თვითონაც არაფერი მესმის! შენ ხომ კარგად იცი, რომ მე უმძაფრესი, ველური გრძნობებით თავგზა არასოდეს დამბნევია. და ახლა, როდესაც ეს ყოველივე მე მოულოდნელად თავზე დამატყდა, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. სრულიად ადვილი შესაძლებელია, შოუ და სხვა მწერლები ჭეშმარიტებას ქადაგებენ, ქალი მტაცებელი პირუტყვიაო. ხანდახან მეჩვენება, რომ თქვენ ორივე, ჩემი დიდი ნადავლი ხართ. საკუთარ თავს ვერაფერი მოვუხერხე. ეს თითქოს დაუოკებელი მგზნებარე გამოწვევაა. თვით ჩემი თავისთვისვე გამოცანად ვიქეცი. ყველა ჩემი პირადი მოსაზრებანი და ცნებები თავდაყირა დააყენა ჩემმა საქციელმა. ვერ გავძლებ ვერც უშენოდ და ვერც უიმისოდ. ვერც შენ დაგთმობ და ვერც ივენს. თქვენ ორივენი ჩემი სულის განუყრელ ნაწილად ქცეულხართ. ეს უბრალო სატრფიალო ამბავი არ არის... მერწმუნე, და თუნდაც ასე იყოს, მე ამას ვერა ვგრძნობ! არა, ეს ის არ არის! დარწმუნებული ვარ, რომ ის არ არის.

— მაშინ, ჩანს, ნამდვილი სიყვარულია.

— მაგრამ მე შენ მიყვარხარ, შენ, მოწისფერო ღრუბელო!

— და მიცხადებ, ივენიც მიყვარსო. შენ ვერ შეძლებ ორივე გიყვარდეს!

— როგორც ჩანს, შემიძლია და მიყვარხართ კიდევ. დიახ, ორივე მიყვარხართ.

მე ხომ გულწრფელად გიცხადებ ამას და ასე გულწრფელი დავრჩები სამუდამოდ.

მინდა ყოველივე ნათელი იყოს, იქნებ, რაიმე გზა გამოინახოს... იმედი მას-

ულდგმულეზდა, დამეხმარებოდი. სწორედ ამიტომ მოვედი ასე უთენია. რამე გამოსავალი ხომ უნდა ვიპოვოთ...

პაოლამ მუდარით სავსე მზერა ესროლა დიკს, მან კი გადაჭრით განუცხადა:

— ორიდან ერთი, ან ივენი, ან მე. სხვა გამოსავალს ვერა ვხედავ.

— ისიც ამას მეუბნება... მე კი ამაზე დათანხმება არ შემიძლია. ივენს მაშინვე სურდა შენთან მოსვლა, მაგრამ მე არ მივეცი ნება. მერე წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ვაკავებდი. რაც უნდა მძიმე და აუტანელი იყოს ორივესათვის, მაინც უნდა გაგიცხადოთ: საოცარი რამ დამემართა, მიხლოდა ორივესათვის მეცქირა. მსურდა საკუთარ გულში შემედარებინეთ, შემეფასებინეთ, მაგრამ ყოველივე ამას გამოდგა. თქვენ ორივე ჩემი სულის განუყრელ ნაწილად იქცეით. ვერც შენ დაგთმობ და ვერც იმას.

— საუბედუროდ, როგორც ხედავ, — დაიწყო დიკმა და თვალეზში დამცინავი ღიმილი აუთამაშდა, — შენ, იქნებ, მრავალქმრიანობის მიდრეკილება გაქვს, მაგრამ ჩვენ, ამ გამოსულელებულ-გამოთავყვანებულ მამაკაცებს, არ შეგვიძლია შევეგუოთ ასეთ მდგომარეობას.

— ნუ იქნები ასე დაუნდობელი, დიკ, — შებედა წინააღმდეგობა პაოლამ.

— მომიტევე, ამას არ გულისხმობდა ჩემი სიტყვები. კარგად უწყი, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. ეს რაღაც ფუჭი ცდაა, ფილოსოფიური სიმამაცით ზიდო ასეთი დიდი საკუთარი სევდა.

— მე ივენს ვუთხარი, ყველა მამაკაცთა შორის, რომელთაც კი ოდესმე შევხვედრივარ, მხოლოდ შენ მიგიჩნე ჩემი მეუღლის ტოლად-მეთქი. მაგრამ ისიც იცის, რომ ჩემს მეუღლეს გაცილებით მასზე მაღლა ვაყენებ.

— ეს მხოლოდ ლოიალობაა ჩემ მიმართ, თვით შენ მიმართაც კი, — თქვა დიკმა. — შენ მე მეკუთვნოდი იმ წუთებამდე, სანამ შენთვის ამქვეყნად ყველაზე შესანიშნავ ადამიანს წარმოვადგენდი. ახლა ივენი იქცა ასეთად.

პაოლამ თავი გაიქნია.

— ნება მომეცი, დაგეხმარო ამ კვანძის გახსნაში. შენ ვერც საკუთარი თავი შეგიცვნია და ვერც საკუთარი სურვილები. არ შეგიძლია ამოირჩიო ჩვენ შორის ერთი, რადგან არც ერთთან განშორება არ ძალგიძს, შენ ორივე გჭირდება.

— დიახ, — ჩურჩულით წარმოთქვა პაოლამ. — მჭირდებით, მაგრამ სრულიად სხვადასხვაგვარად.

— მაშინ ყოველივე გადაწყვეტილია, — დაასკვნა დიკმა მოკლედ.

— რა გინდა თქვა?

— ის, რომ ბრძოლა წავაგე, პაოლა, დავმარცხდი, გრეკემმა გაიმარჯვა. ნუთუ ვერ ამჩნევ? შენვე აღიარებ, რომ ერთნაირი უფლებები გვაქვს თურმე, სრულიად ერთნაირი და არა განსხვავებული. თუმცა ვფიქრობდი, მასთან შედარებით ცოტაოდენი უპირატესობა მაინც მქონდა. ამის ნებას ჩვენი თორმეტი წლის გაუნელებელი სიყვარული, ჩვენი სათუთი გრძნობა თუ მოგონებანი მძლევდა. ღმერთო ჩემო! ყოველივე ეს რომ ივენის მხარეზე იყოს, ერთი წამითაც არ შევყოყმანდებოდი. პაოლა, შენ სიცოცხლეში პირველად გაგთანგა სიყვარულის გრძნობამ, მაგრამ ეს დიდი დაგვიანებით მოხდა და ამიტომაც გაგიჭირდა საქმის ვითარებაში გარკვევა.

— მაგრამ, დიკ, განა შენც ასეთივე გრძნობით არ შემბოჭე.

დიკმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა ასე ყოფილიყო; ხანდახან კიდევ მწამდა, რომ ასე იყო, მაგრამ არასოდეს მთლად დარწმუნებული არა ვყოფილვარ. ჩემს სიყვარულს თავდავიწყებამდე არასოდეს მიუყვანიხარ, თვით დასაწყისშიაც კი, როდესაც ორივეს სიყვარულის ქარაშოტი გვატრიალებდა. შესაძლოა, შენ მაშინ მოხიბ-

ლული იყავი, მაგრამ სიყვარულისაგან გონის დაკარგვამდე არ ანთებულხარ. არასოდეს თავგზა არ აგბნევი, როგორც მე. პირველმა მე შეგიყვარე და განუმეორებელი სიყვარულიც ვიგემე. მართალია, შენ მიპასუხე, მაგრამ შენი გრძნობა ჩემი თავდავიწყებული სიყვარულის სადარი არასოდეს ყოფილა. ივენთან კი ასე დაგემართა.

— როგორ მინდა ვიცოდე სინამდვილე, — ფიქრიანად ჩაილაპარაკა პაოლამ. — ხანდახან მეჩვენება, რომ მართლა თავდავიწყებამდე მივედი, მერე მაინც ეჭვი მეპარება, ვყოყმანობ, ეს ორი ამბავი კი ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელია. შესაძლებელია, არც ერთ მამაკაცს არ ძალუძს, თავდავიწყებამდე მიმიყვანოს... შენ კი არა გსურს, სულ ოდნავ მაინც დამეხმარო!

— მხოლოდ შენ ერთს, დიახ, ერთს შეგიძლია ყოველივე გადაწყვიტო, პაოლა, — მკაცრად წარმოთქვა დიკმა.

— მაგრამ გევედრები, მომეხმარო, სულ ოდნავ მაინც! შენ კი არცა ცდილობ ჩემს შეჩერებას ამ ბედუკუდმართ გზაზე! — დაჟინებით იმეორებდა პაოლა.

— ძალა არ შემწევს, ხელთ ბორკილი მადევს. შენს გამოსახსნელად და შესაჩერებლად ხელსაც ვერ გავანძრევ. დარწმუნებული ვარ, შენც არ ძალგიძს გული და გრძნობა ორ მამაკაცს გაუყო. ივენის ხვევნა-ალერსი განგიცდია... დიკმა ხელი გასწია, რომ პაოლას უარის გამომხატველი ჟესტი შეეჩერებინა. — გთხოვ, ძვირფასო, საჭირო არ არის... შენ ივენის მკლავთა სითბო და ძალა შეგიგრძენია. ახლა კი შეშინებული ფრინველივით გულშეშფოთებული თრთი იმის გაფიქრებაზე, რომ, შესაძლოა, მეც მოგეალერსო? შენი ყოველი მოქმედება ჩემს საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ვგრძნობ, ეს შენდაუნებურად ხდება. იქნებ არც კი იცი, რომ შენმა არსებამ და სხეულმა სხვა ირჩია. შენ მხოლოდ მისი ალერსისაკენ ილტვი, ჩემზე ფიქრიც კი არ ძალგიძს, დაუსრულებლად მიფრთხი.

პაოლამ ნელა, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით, დარწმუნებით გაიქნია თავი.

— და მაინც, ჯერ კიდევ არ ვიცი, ვერ გავრკვეულვარ ჩემი გრძნობების ხლართებში. ჯერ კიდევ ვერაფერი გადამიწყვეტია... — დაჟინებით იმეორებდა ქალი.

— არა, საჭიროა დაუყოვნებლივ გამოიტანო რაიმე გადაწყვეტილება. შექმნილი მდგომარეობა აუტანელია, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყვიტო, ივენი უნდა წავიდეს აქედან. ვიცი, კარგად მესმის ყოველივე. ან შენ თვითონ წადი სადმე. თქვენი ერთად აქ დარჩენა ყოვლად შეუძლებელია. კარგად მოიფიქრე, ნუ აჩქარდები. ივენი წავიდეს, შენ კი დროებით მამიდა მართასთან გაემგზავრე. ორივესაგან მოშორებით ყოფნამ, შესაძლოა, ყოველივე უფრო ნათელი გახადოს. უმჯობესი ხომ არ იქნება დღევანდელი ნადირობაც გადავდოთ? მთაში მხოლოდ მე წავალ. შენ დარჩი და ივენს მოელაპარაკე, ან წამოდით და გზაში მოგზაურობის დროს შეუთანხმდი. ასე იქნება თუ ისე, საჭიროა ყოველივე დასრულდეს. მე შინ გვიან დავბრუნდები. იქნებ ღამე სულაც რომელიმე მწყემსის ქოხში გავათიო, მაგრამ როდესაც დავბრუნდები, ივენი აქ ნულარ დამხვდება. შენ მასთან ერთად წახვალ, თუ დარჩები, ესეც ჩემს მოსვლამდე უნდა გადაწყდეს.

— მეც თუ წავედი? — ჰკითხა პაოლამ.

დიკმა მხრები შეარხია, წამოდგა და მაჯის საათს დახედა.

— ბლეიკს შევუთვალე, ამ დილით ადრე მოსულიყო, — წარმოთქვა დიკმა და კარისაკენ გაეშურა, თითქოს პაოლას ანიშნა, ახლა მარტო დამტოვეო.

კართან მისული პაოლა შედგა და მეუღლისკენ გადაიხარა:

— მაკოცე, დიკ! — სთხოვა ქალმა და უმაღვე დაუმატა: — არა, საალერსოდ არ გიწვევ... — მერე უცებ ხმა ჩაუწყდა. — ყოველ შემთხვევაში, წასვლა რომ გადავწყვიტო...

მდივანი უკვე გამოჩნდა დერეფანში, მაგრამ პაოლა არ ჩქარობდა.

— დილა მშვიდობისა, მისტერ ბლეიკ, — მიესალმა დიკი მოსულს. — ბოდიშს ვიხდი, რომ ასე ადრინად შეგაწუხებთ. პირველ ყოვლისა, გთხოვთ, მისტერ ეგერსა და მისტერ პიტს ტელეფონით აცნობოთ, რომ მათი ნახვა ამ დილით არ შემძლია. დანარჩენებიც ხვალისათვის დაიბარეთ. მისტერ ჰენლის გადაეცით, რომ ძალიან მომწონს ბიუჯეის კაშხალის გეგმა. დაე, გაბედულად იმოქმედოს, ნუ შეჩერდება. მისტერ მენდენჰოლსა და მისტერ მენსონს კი როგორმე დღესვე ვნახავ. გადაეცით, რომ ათის ნახევრისათვის ველოდები.

— კიდეც ერთი რამ მინდა გითხრა, დიკ, — შეაწყვეტინა პაოლამ. — გახსოვდეს, რომ ივენი მე ვაიძულე, აქ დარჩენილიყო. მისი ბრალი არ არის, მე არ გავუშვი.

— როგორც ჩანს, ივენს თავგზა დაუბნიე, — გაიღიმა დიკმა... — სხვაგვარად მისი საქციელის ახსნა შეუძლებელია. რამდენადაც მე ივენს ვიცნობ, ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, თავიდანვე უნდა გასცლოდა აქაურობას. მაგრამ რადგან შენ არ უშვებდი, თვითონ კი გონშეშლილი გეთაყვანებოდა, აბა რა უნდა ექნა? ყოველმა კაცმა შეიძლება დაკარგოს თავი შენნაირი ქალის წყალობით. ჩემთვის ახლა ყოველივე გასაგებია. იგი ყოველ ჩვეულებრივ პატიოსან ადამიანზე უფრო უმწიკვლოა. ამქვეყნად ასეთებს ხშირად ვერ შეხვდები. ვფიქრობ, ბედნიერებას მოგანიჭებს...

პაოლამ ხელი ასწია, თითქოს დიკის შეჩერება სურსო.

— არ ვიცი, შემძლია თუ არა კიდეც ვიყო ბედნიერი ამქვეყნად, ჩემო მეწამულო ღრუბელო, ახლა, როდესაც ვხედავ, როგორ გეცვლება სახე. თანაც მე ხომ ბედნიერი და კმაყოფილი ვიყავი მთელი ამ თორმეტი წლის მანძილზე. ამის დავიწყება არ შემძლია. აი, რატომ არ ძალმიძს ამოვირჩიო თქვენ ორში ერთი. მაგრამ შენ მართალი ხარ, უკვე დროა ამოვხსნა... — პაოლას ენა დაება და, როგორც დიკმა შეამჩნია, ვერ შეძლო წარმოეთქვა სიტყვა «სამკუთხედი», რომელიც თითქოს ბაგეზე გამოესახა. — ჩვენი მდგომარეობა... — თქვა ბოლოს და ხმაც საოცრად აუთრთოლდა. — სანადიროდ წამოვალთ, გზაზე მოველაპარაკები, ვურჩევ, გაემგზავროს, იმისგან დამოუკიდებლად თუ რას მოვიმოქმედებ თვითონ მე.

— შენ ადგილას მე არ ავჩქარდებოდი, პოლ, — ურჩია დიკმა. — კარგად იცი, ზნეობა ფეტიშად არ გამიხდია და მხოლოდ იმ შემთხვევაში ვცნობ მას, როდესაც იგი სასარგებლოა. აქ კი, შესაძლოა, მართლაც საჭირო აღმოჩნდეს. ვინ იცის, იქნებ ბავშვებიც გეყოლოთ... გევედრები, გთხოვ, წინააღმდეგობას ნუ გამიწევ, — გააჩუმა ქალი დიკმა. — ასეთ შემთხვევაში ყოველი მითქმა-მოთქმა თუნდაც წარსულ ამბავზე სულაც არ იქნება სასიამოვნო მათთვის. გაყრა, ჩვეულებრივ, საკმად რთული საქმეა და კარგა ხანსაც გრძელდება. მე ყოველივეს ისე მოვაგვარებ, რომ თავისუფლება კანონიერ საფუძველზე მოგანიჭო, რითაც სულ ცოტა, ერთ წელს მაინც მოიგებ.

— თუ ასე გადავწყვიტე, — უღიმღამოდ გაიღიმა პაოლამ.

დიკმა თავი დაუქნია.

— მაგრამ, შესაძლოა, სხვაგვარად გადავწყვიტო. მე თვითონაც არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ. იქნებ ეს ყოველივე სიზმარი აღმოჩნდეს, სულ მალე გავიღვიძო და გამოვერკვე. ოი-ლი მოვა და მეტყვის, რა დიდი ხანს და როგორ ღრმად გეძინაო.

პაოლა უხალისოდ შებრუნდა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მოულოდნელად შეჩერდა.

— დიკ, — დაუძახა ქალმა, — შენ გული, მართლაც, გულწრფელად გადამიშალე, მაგრამ ის მაინც არ გითქვამს, რას აპირებ, რა გიდევეს გუნებაში. რამე სისულელე არ ჩაიდინო. გაიხსენე დენი ჰოლბრუკი! იცოდე, ნადირობის დროს რამე უბედური შემთხვევა არ მოხდეს.

დიკმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და თვალები ისე აუციმციმდა, თითქოს ეს ყოველივე მეტად თავშესაქცევ ამბად მიაჩნდა. მაგრამ პაოლას ასეთმა უტყუარმა ჭერეტის უნარმა მაინც ფრიად გააოცა.

— და ყოველივე ეს ბედის ანაბარად მივატოვო? — იცრუა მან და ხელი ისე გაშალა, თითქოს სურდა, მთელი თავისი მამული და გეგმები მკლავებში მოექცია.

— უარი ვთქვა ჩემს წიგნზე ახალი ჯიშების გამოყვანასთან დაკავშირებით? ჩემს მამულში პირველად გამართულ პირუტყვის ვაჭრობაზე, რომელიც სადაც არის დაიწყება?

— რა თქმა უნდა, ეს დიდი სისულელე იქნებოდა, — დაეთანხმა სახეანთებული პაოლა, — მაგრამ, დიკ, ერთს გევედრები: მერწმუნე, ჩემი ორჭოფობა არავითარ შემთხვევაში არ არის დაკავშირებული ამ დიდებულ... — პაოლა დადუმდა, თითქოს სიტყვებს ეძებდა, მერე მეუღლეს მიჰბაძა და გაშლილი ხელი ირგვლივ შემოატარა, რომელშიც, როგორც ჩანდა, შედიოდა ეს დიდებული სასახლე და მისი განძეული... — ყოველივე ეს არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ჩემზე. ნამდვილად არავითარს.

— განა არ ვიცი, — დაამშვიდა დიკმა, — ყველა უანგარო ქალთა შორის შენ ყველაზე...

— და იცი, დიკ, — გააწყვეტინა მან, რადგან ახალმა აზრმა გაუელვა თავში, — მე რომ ივენი ისე თავდავიწყებით მიყვარდეს, როგორც შენ, მაშინ, ჩემთვის სულ ერთი იქნებოდა, ბოლოს და ბოლოს, შევურიგდებოდი თუნდაც იმ აზრს, რაც უნდა მოჰყოლოდა ნადირობის დროს უბედურ შემთხვევას... მაგრამ ხედავ, ეს ჩემთვის გადაუტანელი ამბავია. აი, ურთულესი ამოცანა და შენ თვითონ გადაწყვიტე! მეწამულო ღრუბელო, ძალიან, ძალიან ვწუხვარ... და მაინც ვერ წარმოიდგენ, როგორ მიხარია, რომ ისევე გიყვარვარ...

ბლეიკის მობრუნებამდე დიკმა მოასწრო საკუთარი სახის სარკეში შეთვალერება: გამომეტყველება, რომელმაც ასე შეაძრწუნა მისი სტუმრები წინა საღამოს, თითქოს საუკუნოდ აღბეჭდოდა სახეზე. როგორც ჩანს, ეს გამომეტყველება ასევე დამრჩება, მას უკვე ვეღარაფრით გადაიცილებ. «მაშ, როგორ გინდა, \_ გაიფიქრა თავისთვის დიკმა, — არ შეიძლება საკუთარ გულს ადამიანი ასე ფლეთდეს და ყოველივე უკვალოდ გაქრეს».

დიკმა საკუთარ საძინებელს მიაშურა და ბარომეტრს ქვემოთ დაკიდებულ პაოლას სურათს გახედა. სურათი კედლისაკენ შეაბრუნა. საწოლზე ჩამოჯდა და რამდენიმე ხანს ცარიელ ოთხკუთხედს მიაჩერდა, შემდეგ ისევ გადმოაბრუნა სურათის ჩარჩო.

— საბრალო ბავშვი, არც ასე ადვილია ასე გვიან გამოფხიზლება! — წაიჩურჩულა დიკმა.

მაგრამ, როდესაც სურათს აკვირდებოდა, უცებ მის თვალწინ სხვა სურათმა გაიელვა. მთვარის შუქით განათებული პაოლა გრეჭემს ეკვროდა და, ამბორს მოწყურებული, მთელი არსებით მისკენ ისწრაფვოდა.

დიკი სწრაფად წამოდგა და თავი გააქნია, რომ მტანჯველი ჩვენება განედევნა.

ათის ნახევრისათვის წერილების წერა დაასრულა და მაგიდა მიაღაგა, რომელზედაც მხოლოდ ის მასალები დატოვა, რაც პირად საქმეთა მმართველებთან შორტკორნებისა და შაირის ჯიშის პირუტყვთა შესახებ საუბრისას სჭირდებოდა.

მერე სარკმელთან დადგა და ლიმუზინში მსხდარ ლიუტსა და ერნესტინას ხელის ქნევით გაღიმებული დაემშვიდობა. სწორედ ამ დროს მენდენჰოლიც შემოვიდა. მალე მას მენსონიც მოჰყვა. დიკმა ამ ფრიად მოკლე საუბრის დროს გონებამახვილ-

ურად მოახერხა ჯიშთა გამოყვანისა და გამრავლების თავისი მომავალი გეგმების გაცნობა.

— საჭიროა დიდი ყურადღებით მოვექცეთ მეფე პოლოს შთამომავალთ. განსაკუთრებით მოზვრებს, — მისცა რჩევა მენსონს. — ყველა მონაცემი იმას მოწმობს, რომ თუ ბლიკვაუს, ფონს, ალბერტ უშობელს ან მორავიულ ნელი სიგნელს შევუჯვარებთ, გაცილებით უკეთეს ჯიშებს მივიღებთ. ეს წელი, მართალია, გავაცდინეთ, მაგრამ გაისად ან შემდეგ, ძალიან მალე მეფე პოლო ნამდვილად საქვეყნოდ ცნობილი საჯიშე ბულის სახელოვანი წინაპარი გახდება.

მენსონსა და მენდენჰოლთან საუბრის დროს დიკმა შეძლო სრულიად შეუმჩნევლად ეკარნახა მათთვის, თუ რა პრაქტიკულ გარდაქმნებსა და თეორიებზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება მის მამულში ახალი ჯიშების შესაქმნელად და გამოსაყვანად.

მათი წასვლისთანავე დიკმა საოჯახო ტელეფონით ო\_დაის დაურეკა და განკარგულება გასცა, გრეჰემი სანადირო ხელსაწყოთი ოთახში ჩაეყვანა და იარაღი და სხვა საჭირო ნივთები შეერჩიათ.

უკვე თორმეტი საათი გახდა. დიკმა არ იცოდა, რომ პაოლა ბიბლიოთეკიდან ფარული კიბით უკან ამობრუნდა და თაროებს იქით მდგარი უსმენდა. ქალს შესვლაც კი უნდოდა, მაგრამ დიკის ხმამ შეაჩერა. პაოლას ესმოდა, როგორ ესაუბრებოდა იგი ჰენლის ახალი ბიუკეის კაშხალის წყალსადინარის თაობაზე.

— ჰო, მართლა, — განაგრძობდა დიკი, — გაეცანით ცნობებს დიდ მირამარზე?.. ძალიან კარგი... ნუ ერწმუნებით მათ. მე სულ სხვა აზრის ვარ. წყალი არის. უდავოა, იქ უამრავ არტეზიულ წყალს ვიპოვით. გაგზავნეთ ახლავე მბურღავი მანქანები და მიება განაგრძონ. მიწა იმ ადგილებში მეტად ნაყოფიერია. და, თუ ჩვენ ამ ხრიოკს ხუთი წლის განმავლობაში ათჯერ უფრო ნაყოფიერს არ გავხდით...

პაოლამ ამოიოხრა, კვლავ კიბეზე დაეშვა და ბიბლიოთეკაში ჩავიდა.

«მეწამული ღრუბელი გამოუსწორებელია. იგი ისევ თავის რკოს თესავს! ოჯახი ენგრევა, სიყვარული ხელიდან ეცლება და ის კი რა მშვიდად საუბრობს კაშხალებსა და არტეზიულ ჭებზე, რომ მომავალშიც რაც შეიძლება მეტი რკო თესოს!»

დიკი, რა თქმა უნდა, ვერ მიხვდა, რომ პაოლა ასე ახლოს იდგა, ფარულად უსმენდა და ბოლოს თავისი ენითაუწერელი მწუხარებით კვლავ უსიტყვოდ განშორდა. დიკი საძინებელი ოთახის ვერანდაზე გავიდა, მაგრამ ამჯერად გარკვეული მიზანდასახულებით. უნდოდა უკანასკნელად გადაეთვალაიერებინა უბის წიგნაკი, მაგინდაზე, საწოლთან რომ იდო. ახლა მის სასახლეში სრული წესრიგი სუფევდა. მხოლოდ ის დარჩენოდა, ხელი მოეწერა დილით თვითკარნახით ჩაწერილ წერილზე და რამდენიმე დეკემბაზე პასუხი გაეცა; მერე, მერე კი საუზმე და საიკამორის მთებში ნადირობა. დიახ, ყოველივე ამას იგი ძალიან კარგად მოაგვარებს. დამნაშავედ დაუდგარს ჩათვლიან, მოწმეებიც კი ეყოლება: ფროელინგი და მარტინესი, თუმცა ორივე რა საჭიროა. ერთი ადამიანის თვალის სრულიად საკმარისია იმის დასანახად, როგორ გაწყდება ალვირის ღვედი, ფაშატი ყალყზე შედგება და გვერდით ბუჩქნარში, უკულმა, ჩირგვებს იქით გადაიჩეხება. მოწმე გაიგონებს გასროლის ხმას, რომელიც ამ უბედურებას უმალვე შემთხვევით მომხდარ კატასტროფად გადააქცევს.

მარტინესი უფრო ემოციურია, ვიდრე მოქანდაკე და უფრო გამოსადეგი მოწმე იქნება, — გაიფიქრა დიკმა. — ისე უნდა მოაწყოს, რომ სწორედ მარტინესი ჰყავდეს გვერდით, როდესაც დიკი ვიწრო ბილიკზე გადაუხვევს, სადაც დაუდგარი მას უნაგირიდან გადმოისვრის. მარტინესი ვერაფერი ცხენოსანია, მას ამ საქმის არაფერი გაეგება... მით უკეთესი. კარგი იქნებოდა, — გაიფიქრა დიკმა, — თუ კატასტროფამდე

ორი წუთით ადრე დაუდგარს როგორმე გავაცეცხლებდი, ამით ყოველივე უფრო ნამდვილს დაემგვანებოდა. გარდა ამისა, იგი გავაცოფებს მარტინესის ცხენსაც და თვით მარტინესსაც, რის გამოც იგი ველარაფრის დაკვირვებას ველარ მოახერხებს».

დიკის გული მოულოდნელად გამჭვალავმა, მძაფრმა ტკივილმა შეძრა და ხელის თითები ერთმანეთს მთელი ძალით მოუჭირა. პატარა დიასახლისმა, ალბათ, მთლად დაჰკარგა გონი, ნამდვილად შეიშალა, — აბა სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ასეთი სისასტიკე, — გაიფიქრა მან. დიახ, მუსიკის დარბაზის ღია სარკმლიდან გარკვევით ესმოდა პაოლასა და გრეკემის ხმა. ისინი თავიანთ საყვარელ სიმღერას «ბოშათა ბილიკით» ასრულებდნენ.

ვიდრე ისინი მღეროდნენ, დიკს ხელები არ გაუხსნია, კვლავ მთელი ძალით უჭერდა ერთმანეთს. მათ კი მთელი გატაცებით შეასრულეს ეს საოცრად აღმგზნები, ადამიანის გონის წამრთმევი სიმღერა. საკუთარ ფიქრებში ჩაფლული დიკი ერთ ადგილას გაქვავებულიყო, პაოლა კი უზრუნველად კისკისებდა გრეკემთან განშორებისას. მისი სიცილი ჯერ დარბაზიდან ისმოდა, მერე საკუთარი სამყოფელის თაღებქვეშ. თან ოი-ლი რაღაცას საყვედურობდა.

ბოლოს შორიდან ძლივს გასარჩევი, მაგრამ მხოლოდ «მთიელისათვის» დამახასიათებელი ალგზნებული ჭიხვინი მოისმა. მეფურად დასჭექა პოლომაც. მათ დაუოკებელ მჭექარე ხმას ფაშატებისა და ჯიშინი ფურების ჰარამხანიდან საპასუხო გამოძახილი მოჰყვა. დიკი უსმენდა ერთმანეთის სიყვარულით ალგზნებულ ბლავილსა და ჭიხვინს და ხმამალა წარმოთქვა:

— დიახ, რაც უნდა იყოს, ქვეყანას დიდი სიკეთე და სარგებლობა მოვუტანე. ამ ფიქრით დამშვიდებულს შემიძლია წუთისოფელს გამოვეთხოვო და მშვიდად დავიძინო.

## თავი ოცდამეთერთმეტე

საწოლის თავთან ტელეფონის წკრიალი გაისმა. დიკი იძულებული გახდა ყურმილის ასაღებად ლოგინზე ჩამომჯდარიყო. უსმენდა და თან ბაღში პაოლას სამყოფელისაკენ იცქირებოდა. ბონბრაიტმა დიკს აცნობა, ჩონსი ბიშოპი ავტომანქანით ელდორადოში ჩამოვიდა და თქვენთან საუბარი სურსო. გაზეთ «სან-ფრანცისკოს ახალი ამბების» რედაქტორი და მფლობელი ბიშოპი, როგორც დიკის ძველი მეგობარი და თან, ბონბრაიტის აზრით, ფრიად საჭირო პიროვნება, შეიძლებოდა ნებართვის გარეშე პირდაპირ დაეკავშირებინა პატრონთან ტელეფონით.

— სწორედ საუზმეზე მოგვისწრებთ, — უთხრა დიკმა გაზეთის მფლობელს. — ვითომ რა იქნება ღამეც ჩვენთან გაათიოთ?.. კორესპონდენტების ჯავრი ნუ გექნებათ! ჩვენ პუმებზე სანადიროდ მივდივართ. ნადავლიც აუცილებლად იქნება... ნადირი უკვე მიკვლეულია!.. ქალია კორესპონდენტი? რის შესახებ აპირებს დაწერას?.. აქაურობა დაათვალიეროს, მამულში გაისეირნოს, მასალა შეაგროვოს. ათი სვეტი გამოუვა. კორესპონდენტ ვაჟს კი შეუძლია ჩვენთან ერთად წამოვიდეს და პუმებზე ნადირობა აღწეროს. რა თქმა უნდა... დარწმუნებული იყავი, ისეთ მშვიდ ცხენზე შევსვამ, ბავშვსაც არ გაუჭირდეს მისი დამორჩილება.

«რაც ბევრი ვიქნებით, მით უფრო საინტერესო იქნება. განსაკუთრებით თუ კორესპონდენტებიც გამოგვეყვებიან, — ჩაიღიმა დიკმა თავისთვის. — თვით პაპაჩემი ჯონათან ფორესტიც ვერ შეძლებდა თავისი აღსასრულის ასეთ ინსცენირებას!

«მანინც როგორი სიმტკიცე და შეუზრალელობა გამოიჩინა პაოლამ, როცა ჩვენი ასეთი საუბრის შემდეგ «ბოშათა ბილიკით» იმღერა». — ეკითხებოდა დიკი საკუთარ

თავს, თუმცა ყურმილი ისევ ეჭირა, რომელშიაც ბიშოპის შორეული ხმა ესმოდა, ვი-  
დაც კორესპონდენტს სანადიროდ წასვლას რომ ურჩევდა.

— კეთილი, კეთილი, მაგრამ აჩქარდით, — უთხრა დიკმა ბიშოპს საუბრის და-  
სასრულს. — ახლა განკარგულებას გავცემ, ცხენები შეკაზმონ. შენ იმავე წაბლას შე-  
გირჩევ, რომელზედაც უკანასკნელად ჩვენთან ყოფნის დროს იჯექი.

ყურმილის დადება ძლივს მოასწრო, რომ კვლავ ზარის ხმა გაისმა. ამჟამად  
უკვე პაოლა ურეკავდა.

— მეწამულო ღრუბელო, ჩემო ძვირფასო, მეწამულო ღრუბელო, — წარმოთქვა  
მან. — ყველა შენი მოსაზრება მცდარია. ვფიქრობ, შენ უფრო მეტად მიყვარხარ. სწო-  
რედ ახლა ვწყვეტ ამ საკითხს და, მგონი, შენს სასარგებლოდ. იმისათვის კი, რომ და-  
მეხმარო, იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ შევამოწმო ჩემი თავი... გამიმეორე, რასაც  
ცოტა ხნის წინათ მეუბნებოდი... «მე მიყვარს მხოლოდ ერთი ქალი ამქვეყნად... თორ-  
მეტი წლის ცოლქმრული ურთიერთობის შემდეგაც მე ის უსაზღვრო გატაცებით,  
თავდავიწყებამდე მიყვარს. ეს არის ხელად მავალის უსათუთესი და უნაზესი დაუ-  
ცხრომელი ტრფობა...» გევედრები, კვლავ გაიმეორე, მეწამულო ღრუბელო.

— დიახ, მე ნამდვილად მიყვარს ერთი, მხოლოდ ერთი ქალი, — დაიწყო დიკ-  
მა, — თორმეტი წლის ცოლქმრული ურთიერთობის შემდეგაც თავდავიწყებით ვეტ-  
რფი მას უნაზესი და უსათუთესი გრძნობით...

როდესაც დიკმა სათქმელი დაასრულა, დუმილი ჩამოვარდა, პასუხის მოლო-  
დინში თითქოს აღარც კი სუნთქავდა, რომ მისთვის ხელი არ შეეშალა.

— და კიდევ იცი, რის თქმა მსურდა, — დაიწყო პაოლამ ძალიან ჩუმად, ძალიან  
თბილად და სრულიად გარკვევით. — მე შენ ძალიან მიყვარხარ, არასოდეს ასე ძალი-  
ან არ მიყვარებინარ, როგორც აი, ამ წუთებში. თორმეტი წლის შემდეგ ამ გრძნობამ  
თავგზა დამიბნია. ასე იყო პირველივე წუთებიდანვე, მაგრამ მხოლოდ ახლა ჩავწვდი  
მის სიღრმესა და სიღიადეს. და აი, გადავწყვიტე ერთხელ და სამუდამოდ.

პაოლამ ყურმილი მოულოდნელად ჩამოკიდა.

დიკი საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ უკვე იცის, რასა გრძნობს კაცი, რომელ-  
მაც დასჯის წინ, ერთი საათით ადრე შეწყალება მიიღო. დიკი დაჯდა და ყურმილით  
ხელში დიდხანს იყო ასე ჩაფიქრებული. გონს მხოლოდ მაშინ მოეგო, როდესაც სამ-  
დივნოდან ბონბრაიტი შემოვიდა.

— მისტერ ბიშოპი რეკავდა, — განაცხადა ბონბრაიტმა. — მის მანქანას ღერძი  
გასტეხია. გავბედე და თქვენი ნებართვის გარეშე ერთ-ერთი მანქანა გავგზავნე მათ  
მოსაყვანად.

— ყურადღება მიაქციე, ჩვენმა ოსტატებმა მანქანა შეუკეთონ, — თავი დაუქნია  
დიკმა.

კვლავ მარტოდ დარჩენილი დიკი წამოდგა, წელში გასწორდა და ოთახში  
ბოლთის ცემას მოჰყვა.

— ო, ჩემო მეგობარო, მარტინეს, — ხმამაღლა წამოილაპარაკა მან, — ვერასო-  
დეს ვერ შეიტყობ, თუ ამ საღამოს რა შესანიშნავი დრამატულ-სენსაციური ამბის მოწ-  
მე უნდა გამხდარიყავით.

დიკმა პაოლას დაურეკა.

ტელეფონს გამოეხმაურა და მაშინვე თავის ქალბატონს უხმო.

— ახალი სიმღერა მაქვს და მინდა შენ გიმღერო, პოლი, — უთხრა დიკმა და  
ძველი, ზანგური, გულში ჩამწვდომი სიმღერა წამოიწყო:

მხოლოდ თავისთვის — მხოლოდ თავსთვის.

თითოეულ სულს საკუთარი აღსარება გააჩნია  
მხოლოდ თავისთვის.

— მე კი მინდა, პაოლა, შენ გაიმეორო სიტყვები, რომლებიც ახლა წარმოვთქვი.  
მხოლოდ შენთვის, მხოლოდ შენთვის...

პაოლამ ისეთი მოღუღლუნე ხმით გადაიკისკისა, რომ დიკს სიამოვნებამ გული  
აუთრთოლა.

— მეწამულო ღრუბელო, მხოლოდ შენ მიყვარხარ, — წარმოთქვა პაოლამ. —  
უკვე გადავწყვიტე სამუდამოდ. ამქვეყნად შენ გარდა ჩემთვის არავინ იარსებებს. ახ-  
ლა კი, ჩემო ძვირფასო, ნება მომეცი, ჩავიცვა. უკვე საუზმის დროც მოვიდა და ხომ  
უნდა გავემზადო.

— შეიძლება გინახულო? სულ ერთი წუთით? — სთხოვა დიკმა.

— ახლა არა, მოუთმენელო, მხოლოდ ათი წუთის შემდეგ. ბარემ ოი-ლი მორ-  
ჩეს ჩემს მომსახურებას და უკვე მზად ვიქნები. მე ჩემს სანადირო კოსტიუმს ჩავიცვამ.  
იცი, რომელს? მწვანეს, თავთუხისფერი საყელოთი და ყოშით გაწყობილს. გრძელ-  
ფრთიანს, სწორედ ისეთს, რობინ ჰუდი რომ ატარებდა; თან წამოვიღებ ჩემს მძიმე  
თოვს 30-30-ს. იგი სწორედ პუმებზე სანადიროდ არის ზედგამოჭრილი.

— დღეს დიდ ბედნიერებას მაზიარე, პოლი, — წარმოთქვა დიკმა.

— მაგრამ შენი გულისათვის მე კი ვიგვიანებ, ჩამოკიდე ყურმილი, მეწამულო  
ღრუბელო. ამ წუთში ვგრძნობ, რა უსაზღვრო ყოფილა ჩემი სიყვარული შენდამი. ახ-  
ლა კიდევ უფრო მეტად მიყვარხარ, ვიდრე ოდესმე.

როცა პაოლამ ყურმილი ჩამოკიდა, დიკმა თავისდა გასაოცრად შეამჩნია, რომ  
მისი გული იმ დიდ ნეტარებას და სიამეს არ განიცდიდა, რაც ახლა ქვემარტად  
უნდა ეგრძნო. თითქოს ყურში კვლავ ჩაესმოდა, როგორ თავდავიწყებით მღეროდნენ  
ის და გრეჰემი ბოშების ძველ სიმღერას.

ნუთუ გრეჰემთან მისი დამოკიდებულება მხოლოდ თამაშია? ან, იქნებ, თვით  
მასთან გაითამაშა? არა, ასეთი საქციელი ყოვლად შეუფერებელი და აუხსნელი რამ  
არის პაოლას ბუნებისათვის. დიკი ფიქრებში შთაინთქა და კვლავ თვალწინ მისი გო-  
ნების ამრევი, სულის აღმშფოთი სურათი დაუდგა: აი, ხედავს მთვარის შუქით მო-  
სილ პაოლას, თავდავიწყებით რომ მიისწრაფვის გრეჰემისაკენ, ხოლო მისი  
მთრთოლვარე ბაგენი საამბოროდ გრეჰემის ცეცხლოვან ბაგეს დაემებენ...

საგონებელში ჩავარდნილმა ვაჟკაცმა თავი მწარედ გაიქნია და საათს დახედა.  
ყოველ შემთხვევაში, ათი წუთის შემდეგ, არა, უფრო ადრეც... გულში ჩაიკრავს სათაყ-  
ვანო მეუღლეს და მაშინ ყოველივეს დანამდვილებით გაიგებს...

დიკს ისე აუტანელი და ხანგრძლივი ეჩვენა ეს ხანმოკლე დრო, რომ ენით გა-  
მოუთქმელმა მოუთმენლობამ დარია ხელი და ნელი ნაბიჯით პაოლას სამყოფელისა-  
კენ მიმავალ გზას დაადგა. სიგარეტს მოუკიდა, მაგრამ ერთი მოწევისთანავე გვერ-  
დზე გადაისროლა. კვლავ შედგა, ყური მიუგდო საბეჭდი მანქანის ხმას, სამდივნო-  
დან რომ მოისმოდა.

ორი წუთი დარჩა, მაგრამ იცოდა, რომ მხოლოდ ერთი წუთი იყო საჭირო პაო-  
ლას უსახელურო კარებამდე მისასვლელად და ბაღში შეჩერდა. იქვე, აუზში მობანავე  
იადონებს დაუწყო ცქერა.

ის იყო ამ ულამაზესმა ფრინველებმა ფრთხილად სივრცე გააპეს, ოქროსფერი  
ღრუბელივით ჰაერში განიბნენ და სხეულიდან ნაკპურები უამრავი წვეთი აღმასის  
ბრწყინვალეობით მზის სხივებზე აკიაფდა, რომ დიკი უეცრად ელდანაკრავივით შეკ-  
რთა: პაოლას სამყოფელში სროლის ხმა გაისმა. დიკმა ხმაზე მაშინვე იცნო იარაღი. ეს

პაოლას საკუთარმა თოფმა 30—30-მა დაიჭექა ასე გულშემზარავად. თვალის დახამხამებაში გადაირბინა ბალი... გონებაში კი მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა. «დამასწრო», და რაც ერთი წამის წინ ამოუხსნელ ამოცანად მიაჩნდა, ახლა ისევე აშკარა გახდა, როგორც სროლის ეს მჭექარე ხმა.

სულმოუთქმელად მირბოდა, ბაღში თუ კიბეზე ყველა კარს მოფრიალებულს ტოვებდა. გონებაში კი ლახვარივით მხოლოდ ერთი აზრი ჩასობოდა: «დამასწრო», «დამასწრო»...

უმშვენიერეს სანადირო კოსტიუმში გამოწყობილი პაოლა მოკრუნჩხული იწვავდა თრთოდა. მარტო პაწაწინა ბრინჯაოსფერი დეზებილა აკლდა. თვით დეზები კი შიშით უზომოდ შეშფოთებულ, ქანდაკებად ქცეულ ჩინელ პირისფარემს შერჩენოდა ხელთ.

დიკმა თვალისუსწრაფესად გასინჯა პაოლა. ქალი სუნთქავდა, თუმცა გონი უკვე მიხდოდა. ტყვიას მარცხენა მხარეს მკერდიდან ზურგში გაედწია. დიკი ტელეფონს დასწვდა. ვიდრე ადგილობრივი სადგური დანიშნულების ადგილს დააკავშირებდა, დიკი თითქმის ლოცულობდა, რომ ჰენესის საჯინბოში აღმოჩენილიყო. ყურმილი მეჯინბე ბიჭმა აიღო და სანამ იგი ვეტერინარის მოსამებნად დარბოდა, დიკმა ო-ჯოის უბრძანა, კომპუტატორს არ მოშორებოდა, ხოლო ო-დაი დაუყოვნებლივ მასთან გამოეგზავნათ.

დიკმა უეცრად გრეჭემს ჰკიდა თვალი: ოთახში შემოვარდნილი გრეჭემი მაშინვე პაოლასთან მიიჭრა.

— ჰენესი, ახლავე, ამ წუთშივე აქ გაჩნდით, — ჩასმახა ყურმილში დიკმა. — რაც საჭიროა პირველდახმარებისათვის, თან წამოიღეთ, მისის ფორესტს თოფი გაუვარდა, ტყვიამ გაიარა გულში, თუ არ ვიცი — ფილტვებში. შესაძლებელია, ორივეში ერთად, პირდაპირ მისის ფორესტის სამყოფელში გაჩნდით ახლავე, რაც შეიძლება, სწრაფად!

— პაოლას არ შეეხოთ, — მკაცრად მიახალა გრეჭემს, — შესაძლებელია, შეხებამ სისხლჩაქცევა და დიდი ვნება გამოიწვიოს.

შემდეგ ისევ ო-ჯოის მოუბრუნდა.

— კალაჰანი სამარულო მანქანით ელდორადოში გააგზავნეთ. გადაეცით, რომ გზად შემოხვდება ექიმი რობინსონი, უმაღვე თავის მანქანაში გადმოიყვანოს, და, რაც შეიძლება, სწრაფად აქ მომგვაროს. ისე უნდა იაროს, მფრინავი ემმაკიც ვერ დაეწიოს. გადაეცით, რომ მისის ფორესტი დაჭრილია და, შესაძლოა, მის სისწრაფეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

დიკს ყურმილი არ დაუდვია. ისე შემოტრიალდა და პაოლას გადახედა.

გრეჭემი დახრილი ადგა თავს პაოლას, თუმცა არ შეხებია; მოულოდნელად მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

— ფორესტ, — დაიწყო მან, — ეს რომ თქვენ...

მაგრამ დიკმა მაშინვე შეაჩერა. თვალით ჩინელ მსახურზე ანიშნა, რომელიც გაოგნებული და დადუმებული პაოლას პაწაწინა ბრინჯაოსფერ დეზებით ხელში ისევ ქანდაკებასავით გაქვავებული ერთ ადგილზე იდგა.

— ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, — მოუჭრა მან და კვლავ მიიტანა ყურმილი ტურქებთან: — ექიმი რობინსონი ბრძანდებით? მისის ფორესტი დაჭრილია, ტყვიამ გულსა თუ ფილტვებში გაიარა, შესაძლებელია, ორივეში ერთად. კალაჰანი გამოგზავნე სამარულო მანქანით, გამოემურეთ მის შესახვედრად ისე სწრაფად, თითქოს ღმერთს ფრთები გამოესხას თქვენთვის. ნახვამდის!

როდესაც დიკმა ჩაიჩოქა და პაოლას სინჯვა დაუწყო, გრეკემი განზე გადაგა. დიკის გამჭრიახმა თვალმა სწრაფად აუღო ალლო მდგომარეობას, დაკვირვება სულ ცოტა ხანს გაგრძელდა. მერე გრეკემს ახედა, თავი გადაიქნია და ჩაილაპარაკა:

— მისი შეხება მეტისმეტად სარისკოა...

დიკი ჩინელ პირისფარემს მიუბრუნდა:

— დადეთ ეს დეზები და ბალიშები მოიტანეთ. ივენ, ხელი მიაშველეთ მეორე მხრიდან, ასწიეთ ძალიან ფრთხილად და ნელა. ოი-ლი, შეაცურეთ ბალიში ზურგქვეშ... ფრთხილად, ძალიან ფრთხილად...

დიკმა მალლა აიხედა და ო-დაი შენიშნა. დადუმებული მსახური იქვე იდგა და ბრძანებას ელოდა.

— სთხოვეთ მისტერ ბონბრაიტს, კომუტატორს თვითონ მიუჯდეს და ო-ჯოი გაათავისუფლოს. ო-ჯოის კი გადაეცით, აქ მოვიდეს და ყველა მსახური სასწრაფოდ შეკრიბოს, ვინ იცის, ვინ როგორ დაგვჭირდება. როგორც კი სონდერსი გამოჩნდება მისტერ ბიშოპისა და სხვების თანხლებით, მაშინვე ელდორადოსაკენ გაემშროს კალაჰანის შესახვედრად. იქნებ, მისი მანქანა შემთხვევით გზაში დაზიანდეს და მოსალოდნელი შეფერხება თავიდან უნდა ავიცილოთ. უთხარით, აგრეთვე ო-ჯოის, მოძებნოს მისტერ მენსონი, მისტერ პიტსი და ყველა ის მმართველი, ვისაც საკუთარი მანქანები აქვთ, რომ სასწრაფოდ მანქანებითვე მოვიდნენ და დაგველოდონ. ო-ჯოიმ მისტერ ბიშოპი და მისი თანმხლებნი შესაფერისად მიიღოს და მზრუნველობა არ მოაკლოს. შენ კი ახლავე უკან მობრუნდი, რომ ყოველ წუთს ხელთა მყავდე.

დიკი კვლავ ოი-ლის მიუბრუნდა:

— აბა მიაშბეთ გარკვევით, როგორ მოხდა ყოველივე...

ოი-ლიმ თავი გაიქნია და ხელების მტვრევას მოჰყვა.

— სად იყავით, როდესაც თოფი გავარდა?

ჩინელმა გოგონამ ცრემლი ჩაყლაპა და ხელი ჩასაცმელი ოთახის კარისაკენ გაიშვირა.

— ხმა ამოიღეთ! — უბრძანა დიკმა.

— მისის ფორესტმა მითხრა, დეზები მომიტანეო... მე დამვიწყებოდა... სწრაფად გავემშურე და სანამ იქ მივაღწევდი, გასროლის ხმა შემომესმა. მაშინვე უკან გამოვვარდი და...

თვალთ პაოლაზე ანიშნა იმის აღსანიშნავად, რაც იმ წამს შენიშნა.

— თოფი? — იკითხა დიკმა. — თოფს რაღა მოუვიდა?

— არ ისროდა. შესაძლებელია, დაზიანებული იყო, არ ვიცი... ოთხი თუ ხუთი წუთი მისის ფორესტი თოფის გაწყობას ცდილობდა.

— მაშინაც ცდილობდა, როდესაც დეზებისათვის გახვედით?

ოი-ლიმ თავი დაუქნია.

— ადრე კი შევბედე: «იქნებ, ო-ჯოიმ გაგიწყოთ-მეთქი». მისის ფორესტმა მიპასუხა: «არ ღირსო», თუ მე ვერ შევძელი, დიკი გამიმართავსო. მერე თოფი თავის ადგილზე ჩამოჰკიდა, ბოლოს კვლავ აიღო და ისევ დაუწყო სინჯვა. უკანასკნელ წამს მიბრძანა, დეზები მომეტანა... გავბრუნდი თუ არა, თოფმაც იჭექა.

ჰენესის შემოსვლამ საუბარი შეწყვიტა, დიკთან შედარებით მან უფრო მეტხანს სინჯა ქალი. ბოლოს წამოდგა და მწუხარე გამომეტყველებით თავი გაიქნია.

— შეხებას ვერ გავბედავ. არავითარი დახმარება არ ძალმიძს. სისხლის გარეთ დენა შემწყდარა, მისტერ ფორესტ, მაგრამ, ალბათ, შიგ მიმდინარეობს სისხლის ჩაქცევა. გაგზავნეთ ექიმის მოსაყვანად?

— დიახ, რობინსონი გამოვიძახე, კიდევ ბედი, რომ კლინიკაში აღმოვაჩინე. ახალგაზრდაა, მაგრამ საუკეთესო ქირურგია, — მიმართა დიკმა გრეკემს, — ამასთანავე მეტად ენერგიულია, მშვიდი და გაბედული. მე რატომღაც მას უფრო ვენდობი, ვიდრე რომელიმე ხნიერ, სახელგანთქმულ დასტაქარს.

— როგორ ფიქრობთ, მისტერ ჰენესი? არის იმედი?

— ჩემი აზრით, მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაა. თუმცა აქ მსაჯულად ვერ გამოვდგები, მე ხომ ცხენების მკურნალი ვარ. რობინსონი გაარკვევს. ჯერჯერობით ლოდინი გვმართებს მხოლოდ...

დიკმა თავი დაუქნია და ვერანდაზე გავიდა, რომ ყური მიეგდო, ხომ არ მოჰქროდა კალაჰანის მანქანა. მხოლოდ ლიმუზინი მოადგა სასახლეს უხმაუროდ და ასევე სწრაფად გაქრა. გრეკემიც ვერანდაზე გავიდა.

— ფორესტ, გთხოვ მომიტევოთ, — წარმოთქვა მან, — თავიც კი არ მახსოვდა იმ წუთებში. აქ რომ დაგინახეთ, მეგონა, თქვენი თანდასწრებით მოხდა ყოველივე. უთუოდ, უბედური შემთხვევა დაგვატყდა თავს.

— საბრალო ბავშვი, — დაეთანხმა დიკი, — ყოველთვის თავს იქებდა, ცეცხლსასროლ იარაღთან ძალიან ფრთხილი ვარო.

— თოფი შევამოწმე, — წარმოთქვა გრეკემმა, — მაგრამ ვერავითარი დაზიანება ვერ აღმოვაჩინე.

— სწორედ ამიტომ მოხდა უბედურება. დაზიანება პაოლამ გაასწორა და თოფიც გავარდა.

დიკი სიცრუის ქსელს ხლართავდა, რომ თვით ივენიც შეცდომაში შეეყვანა, გონებაში კი განცვიფრებული იყო, რა ოსტატურად გაითამაშა პაოლამ ეს უკანასკნელი სცენა. გრეკემთან ერთად შესრულებული მისი ბოლო სიმღერა მხოლოდ გამომშვიდობება იყო, თანაც ეჭვის გაფანტვის საშუალებაც, თუმცა ასევე არ მოექცა თვით დიკსაც? მასაც ხომ მეტად თბილად და სიყვარულით გამოემშვიდობა. ტელეფონით დაურეკა და თითქოს შეჰფიცა, რომ მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა ისეთი მამაკაცი, ვისაც მის გარდა მეუღლედ ისურვებდა.

დიკი გრეკემს განშორდა და ვერანდის იქითა ბოლოსაკენ წავიდა.

— პაოლას ეყო ძალა, დიახ, ეყო ნებისყოფა, — ბუტბუტებდა თავისთვის მთრთოლვარე ტუჩებით. — საბრალო ბავშვი, ვერ გადაწყვიტა, ჩვენ ორში რომელი დაეთმო, და ასე დაასრულა.

მანქანის უეცარმა ხმამ აიძულა მამაკაცები, ოთახში ერთად შესულიყვნენ, რათა ექიმს შეხვედროდნენ. გრეკემი მეტისმეტად ღელავდა, წასვლა არ შეეძლო, არადა, წასვლის აუცილებლობას გრძნობდა.

— გთხოვთ, ივენ, დარჩეთ, — უეცრად მიმართა დიკმა, — პაოლა ძალიან კარგად იყო თქვენდამი განწყობილი და, თუ თვალს გაახელს, ნამდვილად ესამოვნება თქვენი დანახვა.

ექიმმა რომ სინჯვა დაუწყო, დიკი და გრეკემი განზე გადგნენ, მერე კი, როცა ექიმი ფეხზე წამოდგა, დიკმა სახეში შეხედა. დიკის მზერა კითხვას გამოხატავდა, რობინსონმა თავი გადააქნია.

— რას იზამთ, — წარმოთქვა მან, — მისი სიცოცხლე მხოლოდ რამდენიმე საათის ამბავია, შესაძლოა, წუთისაც... — ექიმი დადუმდა, თუმცა დიკისათვის თვალი არ მოუშორებია, მერე დაუმატა: — თუ თანახმა იქნებით, შემძლია სიცოცხლის უკანასკნელი წამები შევუმსუბუქო, თორემ შეიძლება გონს მოვიდეს და საშინელი წამებით დალიოს სული...

დიკი გამალებით ბოლთას სცემდა ოთახში, ხოლო, როცა დაილაპარაკა, მხოლოდ გრეკემს მიმართა:

— მაინც რატომ უნდა შევუმოკლოთ ისედაც დასასრულს მისული სიცოცხლე? მთავარი ხომ ტკივილი არ არის. სიმშვიდე გარდუვალია, იგი ისედაც მალე მოვა. ჩემი სურვილი ასეთია და, ალბათ, თქვენიც. მას ხომ სიცოცხლე თავდავიწყებით უყვარდა. დიახ, უყვარდა თითოეული მისი წამი... რისთვის უნდა მოვუსწრაფოთ ის რამდენიმე წუთი, რომელიც დარჩენია?

გრეკემმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და დიკი ექიმს მიუბრუნდა:

— შეგიძლიათ მისცეთ გამოსაფხიზლებელი საშუალება და გონს მოიყვანოთ? თუ შესაძლებელია, გთხოვთ ასე მოიქეციოთ და, თუ ტკივილები ძალიან შეაწუხებს, მაშინ შეუმსუბუქეთ მდგომარეობა.

როდესაც პაოლამ ათრთოლებული ქუთუთოები შეარხია, დიკმა გრეკემს თავი დაუქნია, ჩემ გვერდით დადექიო. პირველად პაოლას სახეზე მხოლოდ დაბნეულობა ეხატა. ჯერ მზერა დიკს მიაპყრო, მერე გრეკემზე გადაიტანა და შესაბრალისმა ღიმილმა შეძრა მისი ზაგე.

— მეგონა... უკვე სამუდამოდ განვმორდი ამ ქვეყანას, — წარმოთქვა მან.

მაგრამ უმაღლე სხვა აზრმა გაუელვა თავში, თუმცა დიკმა იგი მაშინვე გამოიცნო, როგორც კი პაოლას გამომცდელი მზერა შენიშნა: ქალი თითქოს ეკითხებოდა, მიხვდა თუ არა, რომ ეს «უბედური შემთხვევა» არ იყო, მაგრამ დიკს თავი არაფრით გაუცია. პაოლამ ხომ ასე მოიფიქრა, დაე, ისე წავიდეს ამქვეყნიდან, ეგონოს, რომ დავუჯერო.

— მაინც როგორ... როგორ მომივიდა... — პაოლა ნელა, უღონოდ ლაპარაკობდა, თითქოს ყოველი სიტყვის წარმოთქმისას ძალას იკრებო. — ყოველთვის იარაღთან ისე ფრთხილი ვიყავი... და სრულიად დარწმუნებული, რომ არასოდეს... არაფერი დამემართებოდა და აი, უყურეთ, რა ჩავიდინე!

— მართლაც, რომ საოცარია, — მხარი აუბა დიკმა. — მაინც როგორ მოხდა? ჩახმახმა გიმტყუნა?

პაოლამ თავი დაუქნია, ცდილობდა გამხნევებულიყო, მაგრამ კვლავ შესაბრალისმა ღიმილმა შეძრა მისი ზაგენი.

— ოჰ, დიკ, წადი და უხმე მეზობლებს, დაე ნახონ, რა ჩაიდინა პატარა დიასახლისმა!.. და ეს ძალიან სერიოზულია? — იკითხა ქალმა. — გულწრფელად მითხარი, მეწამულო ღრუბელო, სიმართლეს ნუ დამიმალავ... შენ ხომ კარგად მიცნობ, — მოუთმენლად დაუმატა რამდენიმე წამის შემდეგ, რადგან დიკმა არაფერი უპასუხა.

დიკმა თავი დახარა.

— დიდხანს გაგრძელდება ყოველივე? — იკითხა პაოლამ.

— დიდხანს არა, — გაისმა დიკის პასუხი. — ეს შესაძლებელია... ყოველ წუთს მოხდეს...

— ესე იგი მე... — პაოლამ კითხვის გამომხატველი მზერა ჯერ ექიმს შეავლო, მერე მეუღლისაკენ გაიხედა. დიკმა თავი დაუქნია.

— აი, სწორედ ამას ველოდი შენგან, მეწამულო ღრუბელო, — ჩაიჩურჩულა მადლიერების გრძნობით აღვსილმა ქალმა. — ექიმი რობინსონიც ასე ფიქრობს?

ექიმი პაოლას მიუახლოვდა, რომ კარგად დაენახა მისი სახე და თავი დაუქნია.

— მადლობას მოგახსენებთ, ექიმო. გახსოვდეთ, მე თვითონ გეტყვით, როდის.

— ძალიან გაწუხებს ტკივილი? — ჰკითხა დიკმა.

პაოლას თვალეზი გაუფართოვდა, სურდა მამაცურად აეტანა ყოველივე, თავს ძალას ატანდა, მაგრამ თვალეზში შიშმა იელვა და მთრთოლვარე ტუჩეზი შეძრა:

— არც ისე ძალიან, მაგრამ მაინც საშინელია, ნამდვილად საშინელია! არ მინდა დიდხანს ვეწამო. მე გეტყვით, როდის...

კვლავ სუსტმა ღიმილმა გადაურბინა ბაგეზე და მისი დაჟინებული სურვილი ცხადყო.

— უცნაურია ცხოვრება მეტად, დიახ, უცნაური, და იცით, მინდა ისე დავტოვო ეს ქვეყანა, რომ ჩემს სმენას სიყვარულის სიმღერა ატკბობდეს... პირველად თქვენ გთხოვთ, ივენ, მიმღერეთ, «ბოშათა ბილიკით»! წარმოიდგინეთ, ერთი საათის წინ ჩვენ ერთად ვასრულებდით ამ სიმღერას. გახსოვთ? გთხოვთ, ივენ, გევედრებით!

გრეჰემმა დიკს გადახედა, იგი ნებართვას სთხოვდა. დიკმა თვალით დასტური ანიშნა.

— მიმღერეთ ისე გაბედულად, მხიარულად და თავდავიწყებით, როგორც შეყვარებული ბოშა უმღერებს თავის სატრფოს, — დაჟინებით ითხოვდა პაოლა. — აი, იქით დადექით, ოდნავ უკან, რომ კარგად დაგინახოთ.

გრეჰემმა მთელი სიმღერა ჩაათავა:

და გული კაცის სატრფოს გულს უხმოზს,  
ჩემს კარავს იდგეს ნათელი სხივის,  
ქვეყნის დასასრულს რიჟრაჟი გველის  
და დედამიწაც კვლავ ფერხთით გვივის.

ქანდაკებასავით დადუმებული და გაქვავებული ო-დაი კართან იდგა და ბრძანებას ელოდა. მწუხარებისაგან გაოგნებული და სასოწარკვეთილი ო-ლი თავთან ედგა პაოლას, ხელეზს აღარ იმტვრევდა, მაგრამ ისე უჭერდა ერთმანეთს, რომ თითების წვერეზი და ფრჩხილები გათეთრებოდა. პაოლას სატუალეტო მაგიდის უკან ექიმმა რობინსონმა ჭიქაში უხმოდ გახსნა ტკივილის დამაყუჩებელი აზეზი და შპრიცი შეავსო.

როცა გრეჰემმა სიმღერა დაასრულა, პაოლამ მადლობით სავსე მზეერა შეავლო, მერე თვალი მილულა და ერთხანს უძრავად იყო.

— ახლა, მეწამულო ღრუბელო, შენი ჯერია, — წარმოთქვა მან და თვალი გაახილა, — მიმღერე აი-კუტზე, ქალწულ ნამზე და ქალწულ სვიაზე. იქვე დადექი, სადაც ივენი იდგა, რომ კარგად დაგინახო.

და აი, დიკმაც წამოიწყო:

«მე აი-კუტი ვარ, ნიშინამთა ტომის პირველი მამაკაცი. აი-კუტი შემოკლებული ადამია. მამაჩემი კოიოტი იყო, დედა კი — მთვარე. იტოვივი კი ჩემი მეუღლეა. იტოვივი შემოკლებული ევაა. ნიშინამთა პირველი ქალი.

მე აი-კუტი ვარ, ეს ჩემი მეუღლეა, ჩემი ციური ნამი, ჩემი თაფლის ნამი. მისი დედა — ნათელი აისია, მამა კი მთიდან დაძრული ზაფხულის ცხელი აღმოსავლეთის ნიავი. მათ ერთმანეთი გატაცებით უყვარდათ და მიწის დაულეველ სიტკბოებას სვამდნენ, სანამ მათი უძლიერესი სიყვარულის ბურუსიდან მარადმწვანე ბუჩქნარსა და მანსანიტის ფოთლებზე თაფლის ნამი არ დაეპკურა.

იტოვივი ჩემი თაფლის ნამია, მისმინეთ: მე აი-კუტი ვარ! იტოვივი ჩემი მწყერია, ჩემი ფურირემი, ჩემი სვია-ქალწული, რომელიც თბილი წვიმიტა და ნოყიერი დედამიწის საზრდოთი ივსება. იგი ვარსკვლავთა მკრთალი შუქისა და აისის პირვე-

ლი სხივებისაგან იშვა ქვეყნიერების გაჩენის პირველ დღეს. დიახ, ის ჩემი მეუღლეა, ჩემთვის გაჩენილი ერთადერთი ქალი ამქვეყნად».

პაოლამ კვლავ მილულა თვალი. შეეცადა, როგორმე ღრმად ჩაესუნთქა, ოდნავ წამოახველა კიდეც.

— შეეცადე, არ დაახველო, — უთხრა დიკმა.

ყველას შეეძლო შეენიშნა, როგორ სიმწრით აზიდა წარბები პაოლამ და თავს ძალა დაატანა, მოწოლილი ხველა უკუეგდო, რასაც შეეძლო დასასრული დაეჩქარებინა.

— ო-ლი, მომიახლოვდი და ისე დადექი, დაგინახო, — წარმოთქვა ღონემიხდილმა პაოლამ და თვალი გაახილა.

ჩინელი გოგონა ო-ლი მორჩილად დაჰყვა მის ნებას, მაგრამ ისეთნაირად მიაბიჯებდა, თითქოს ბრმაა და გზას მიიკვლევსო. ექიმმა რობინსონმა გოგონას მკლავზე ხელი მოჰკიდა და ისე დააყენა, როგორც პაოლას სურდა.

— მშვიდობით, ო-ლი, — შენ ყოველთვის ერთგულად მემსახურებოდი, იქნებ ზოგჯერ კარგად არ გექცეოდი, მაგრამ მაპატიე. გახსოვდეს, მისტერ ფორესტი მშობლიურ მზრუნველობას არ მოგაკლებს.

— ჩემი აქატის ყველა სამკაულს შენ გიტოვებ...

პაოლამ თვალი დახუჭა ჩინელ პირისფარეშთან დამშვიდობების ნიშნად.

ხველამ კვლავ შეაწუხა... რაც სულ უფრო და უფრო ძლიერი და შემაწუხებელი ხდებოდა.

— უკვე დროა, დიკ, — ძლივს გასაგონად წარმოთქვა, ისე, რომ თვალიც არ გაუხელია. — მინდა ძილისპირული მიმღეროთ. რაო, ექიმო, გამზადეთ? ახლოს მოდი, ხელი დამიჭირე ისე, როგორც მაშინ, ოპერაციის დროს დამინებისას.

პაოლამ თვალი გრეჰემს მიაპყრო და დიკი შეტრიალდა: იცოდა, ეს უკანასკნელი გამოხედვა დიდი გრძნობით რომ იქნებოდა აღსავსე: ალბათ, ისეთივე გრძნობითა და სიყვარულით, როგორითაც სულ მალე მასაც საბოლოოდ გამოემშვიდობებოდა.

— ერთხელ საოპერაციო მაგიდაზე წოლა დამჭირდა, — გაიხსენა პაოლამ და გრეჰემს შეხედა. — დიკი ვაიძულე, ჩემთან ერთად საოპერაციოში ყოფილიყო და ხელში სჭეროდა ჩემი ხელი მანამ, ვიდრე ეთერი ბურანში არ გამხვევდა და არ დამეძინებოდა. გახსოვს, ჰენლიმ გონების ამ მთლიან გამოთიშვას პატარა სიკვდილი რომ უწოდა? წარმოიდგინეთ, ძალიან ადვილი მეჩვენა მაშინ ყოველივე.

მდუმარე პაოლამ კარგა ხანს უყურა გრეჰემს, მერე სახე დიკისკენ შეაბრუნა, იქვე მუხლი რომ მოეყარა და მისი ხელი ეჭირა.

— მეწამულო ღრუბელო, — წაიჩურჩულა ქალმა, — ძალიან მიყვარხარ, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. ვამაყობ, რომ ასე დიდხანს შენ გეკუთვნოდი. — პაოლამ ხელი ჩაჰკიდა და თავისკენ მიიზიდა. — ძალიან მტკივა გული, რომ შვილები არ გვყავდა, მეწამულო ღრუბელო! — მერე ხელი გაუშვა და ოდნავ უკანაც კი დასწია, რომ ორივე თავისუფლად დაენახა.

— შესანიშნავი ხართ. ენით აუწერელნი. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, მშვიდობით, მეწამულო ღრუბელო!

ორივე მდუმარედ იცდიდა, ვიდრე ექიმი ნემსის გასაკეთებლად ხელზე სახელს გადაუწევდა.

— ძილი, ძილი, — ჩუმი ჟღერტულით წარმოთქვა პაოლამ. — მზად ვარ, ექიმო! გაჭიმეთ კანი, კარგად გაჭიმეთ. ხომ იცით, არ მიყვარს, როდესაც მატკენენ ხოლმე. უფრო მაგრად, ძლიერად მომიჭირე ხელი, დიკ!

რობინსონს დიკმა თვალით თანხმობა ანიშნა და ექიმმაც თავისუფლად და სწრაფად შეიყვანა ნემსი დაჭიმულ კანში. მერე ნანემსარ ადგილს ფრთხილად გადაუსვა თითები, რომ მორფი რაც შეიძლება ჩქარა შეერთებოდა სისხლს.

— ძილი, ძილი მინდა, — ჩაიჩურჩულა თვალმილულულმა პაოლამ.

სანახევროდ გრძნობადაკარგული გვერდზე გადაბრუნდა, თავი მოხრილ მკლავზე დადო და ისე დაწვა, როგორც საერთოდ უყვარდა წოლა. კარგა ხნის შემდეგ თითქოს მსუბუქად ამოიოხრა... და ისე მშვიდად, უშფოთველად წავიდა იმქვეყნად, რომ ვერც კი შენიშნეს, როგორ აღმოხდა სული.

ოთახში დასადგურებულ მდუმარებას შადრევნის ქვეშ მობანავე გარეულ იადონთა გალობა და შორეთიდან მოღწეული «მთიელის» მჭექარე ხმა არღვევდა, რომელსაც პრინცესა ფოთერინგტონის პრინცესას თავისი ზარისებური ჭიხვინით ეხმიანებოდა.